


1956/2

+



 90

 114/2

მედიკალი

11

ს. მ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.



1956

მ ნ ა თ მ მ ბ



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 33-ე

№ 11

ნოემბერი, 1956 წ.

საპარტველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

ს. ველი-ქერიძე — მათი ბრძოლები, ლექსი	83
ხარიტონ ვარდოშვილი — ლექსები	4
გიორგი ნატროშვილი — ისევ გაზაფხული იყო იორზე, მოთხრობა	5
ნაზი კილასონია — ლექსები	21
ნაიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები	22
ჭეთევან ქუჩუაშვილი — მინიატურები	23
გიორგი კალანდაძე — ლექსები	30
ოთარ დემეტრაშვილი — დაბლიდარის ხეაშიაღი, მოთხრობა	31
ნოდარ შამანაძე — ლექსები	38
შაპრუხ ჩარკვიანი — ლექსები	39
მ. აბრამიშვილი — ლექსები	40
მულე რაჯ ანანდი — ფეხსაცმელი, მოთხრობა, თარგმანი ნ. ბაღრიანიშვილისა	41
მახლო ნერუდა — დღე, გაიღვიძოს ტყისმკრელმა, პოემა. თარგ. მუხრან მკვათარაიანის და გივი მწელაძისა	45
ა. ვენუოლისი — სამგორის უღბანო (ქართული ხალხური თქმულების მოტივი); თარგმანი მიხეილ ყვარელაშვილისა	56
ბორის პასტერნაკი — აღმამანები და გაზემოებანი, თარგმანი გ. მარგველაშვილისა	63

ქიტიკა და პუბლიცისტიკა

ხერგი ჭილაია — გიორგი ქუჩიშვილი	73
ხმონ ჩიქოვანი — ლაღო ასათიანი	80
გერონტი ქიქოძე — შალვა დადიანის „გვირგვინიდანების თჯახი“	83
გაბრიელ მეგრელიშვილი — თერგდალეულთა და ქართველ ხალხისათა მსოფლმშედელო-ბის საკითხები	86
გრ. ხათახი — ე. მარქსი და ფ. ენგელსი ისტორიული დრამის შესახებ	95
ფატი გოციელი — ბ. ბელინსკი შექსპირის შესახებ	100
იური სეროცევი — ერნესტ ჰემინგუეის „მოზეცი და ზღვა“	107
ს. ფიცხელაური — საქართველოს კურორტების დაგეგმარების საკითხები	114

ლიტერატურული მიმკვიდრეობა

გ. მაჭვირია — ალ. წულუკიძე ლიტერატურის შესახებ	120
ოთარ ჯინორია — ილია ჭავჭავაძის რეალიზმის საკითხისათვის	124
თინათინ ჭავჭავაძე — კალაღასა	134

იხ. გვ. მე-2

მეცნიერება

პროფ. კ. ბაქრაძე — რაციონალური და რეაქციული ჰეგელის ფილოსოფიაში
პროფ. შ. ნუცუბიძე — ჰეგელი და ფილოსოფიის ისტორიის საკითხები



ფოლკლორის საკითხები

გიორგი არაბული — ქართული ხალხური ბალადა „ვეფხვი და მოყმე“ 158
ჭყენია გიგელია — მუშათა ფოლკლორი 162

ხელოვნების საკითხები

თამარ არმანი — გიგო გაბაშვილი მხატვრის ხელოვნების შესახებ 167
შალვა აღმაშენებელი — პაბლო პიკასო 173

კუბლიკაცია

ხილოშინ ცაიშვილი — ილია ქვეჭავჭავაძის უცნობი წერილები 176

წიგნების მიმოხილვა

ხიმონ განჩილაძე — პოეზია და ხალხი 179
ელიზბარ ზედგინიძე — რომანი საკულმურნეო სოფელზე 181
ალ. გვახარია — საადი შირაზელი „ბუსთანი“ 182
ნინო აღმაშენებელი — ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში 184
შოთა ძიძიგური — ლენინგრადში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები 185
გრ. ზარდალიშვილი — ორი საინტერესო ნაშრომი 186

მსოფლოვანება

გიორგი მარგველაშვილი — ვულგარიზაცია თუ უმეცრება? 190 ✓
ახალი წიგნები გარეკანის შესაბამ. გვ.



მათი ბრძოლები

„იმ თაობას, რომლის წარმომადგენლები დღეს დაახლოებით 50 წლის არიან, არ შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას, ხოლო ის თაობა, რომელიც დღეს 15 წლის არის, ის მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას და თვითონ იქნება ამ საზოგადოების მშენებელი“.

(ვ. ი. ლენინის სიტყვიდან, რომელიც წარმოთქმული იქნა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მე-3 ყრილობაზე 1920 წ. 2 ოქტომბერს).

ელვა ქარიშხლის მაუწყებელი
ქვეყნად კვეთდა შემხუთავ წყვილიდს..
მოჰყვა ქუხილი დაუძლეველი
და გზა გაუხსნა მოძღვრებას დიადს.

იმ ქარიშხლიან დღეებთან ერთად
მოიგონებდეთ მებრძოლ წინაპრებს.
ახალგაზრდებო, შესძახეთ ერთხმად:
„მათი ბრძოლები ჩვენ გზას გვინათებს!“

დიღხანს იბრძოდნენ, დღემდე
იღვწოდნენ,
ფარ-ხმალი არვის არ დაუყრია,
მოხუცდნენ, მაგრამ მაინც იბრძოდნენ,
სიმართლის დროშა არ დაუხრიათ.

მათ რიგებს ბევრი გამოეცალა
და მოიფინა გზა მათი ძვლებით,
მამებს შევილები ენაცვლებოდნენ,
გზაში დაცემულ ძმებს სცვლიდნენ
ძმები.

და ჰა, შენ, ჩვენო ახალგაზრდობაე,
ახალ ბრძოლების ჯერი გრგვებია,
ქვეყნის იმედო შენ ხალხის ნდობა
ხომ არასოდეს არ დაგკლებია.

აი, ხომ ხედავ, ზვალინდელ დღეთა
როგორ ეღვარებს ჩვენი სამყარო,
ეს სამშობლოა უთვალავ ერთა,
ბედნიერების უშრეტი წყარო.

მაშ, წინაპართა ბრძოლის გზას გაჰყევ,
და ჩვენი დროშა გეჭიროს მაღლა,
ხალხთა იმედო და სიამაყე,
არა გჩვევია არასდროს დაღლა.

ჩვენ, ვინც გადავჩიით იმ
ბრძოლებიდან,
არ დავადუმებთ გულებს ნატყვიარს,
კვლავ თქვენთან ერთად განვაგრძობთ
ბრძოლას,
მტკიცედ გავეყვებით ხალხს და პარტიას.



სიმღერა

მიყვარს ყივილი ქარიშხალისა,
გულს ეწვეთება ეგ ხმა ხალისად.

იგი ქაბუჯურ დღეებს მაგონებს,
როს არ ვზოგავდი შენთვის ძალ-ლონეს,

ჩემო მიზანო, ბრწყინვალე ლექსო,
უზენაესო, უსაყვარლესო,

ჩემო სამშობლოვ, წარმტაცო მხარევ,
სიყრმიდან მხოლოდ შენ შეგიყვარე.

როცა ვკვრეტ შენს ზრდას, წინსვლას,
დიდებას,
ბედნიერება ეს არის ჩემთვის,
შენ სასიკეთოდ ვზრუნავ ყოველთვის,
შენზე სიმღერა არ მომწყინდება!

იმედი

მე ხშირად ლექსი უთქმელი მრჩება,
და ეს მიმძაფრებს ფიქრებს სადარდოს.
ვაგლახ, აქამდე რაც ითქვა ჩემგან,
დიდი მდინარის წვეთია მარტო.

მე ქარიშხალმა გზა ამიბნია,
ლალი სიმღერა არ დამანება
და გულსათუთი, როგორც ნიბლია,
ყინვით გამთოშეს ცის თევანებმა.

შენს ახლოს მსურდა მე დავანება,
თვალ-ლამეში ბრწყინვალე-კენტად,
შენთან — ოცნება, სიცოცხლე შენთან,
მაგრამ ზამთარმა არ დამანება.

უჟან დავტოვე დღე უკეთური,
და ახლა ახალ ცხოვრებას ვიწყებ,
ჩემში არ არის სიავე, შური,
მაშ სიყვარული რისთვის მივიწყებს?

ვერა, ვერ მოკლას გულის იმედი
ქარმა, მყივარმა მძაფრი გუგუნით.
ჰაუ, შორს ჩემგან, სიმღერავ გედის,
ჰანგებით ბორგავს კელავ ჩემი გული.

ამაღლდი, სულო, ზამბახის ღერო,
ვერ გძლიოს ქარმა, გაკვეთე სივრცე,
არ მილაღატო, გულო, ვიმღეროთ,
სევდა-ვარამი მდინარეს მიეცეთ.

რატომ აღარ მეფერები?

დარდებს როგორ დავემალო,
ცას ვერ გამოვეკერები!
რატომ აღარ მეფერები,
სად ხარ, ჩემო ნატვრის თვალო?

მინდა სევდა მოვიშორო.
გრიგალი ვერ მომერია.
მოდო ბაღში, გულის სწორო,
ყვავილები მოგელიან.

ერთხელ რატომ არ გაივლი
ჩემთან ერთად ყვავილნარში?

შენ სახე გაქვს ნაზი ბავშვის
და შენ თვითონ ხარ ყვავილი.

მე აწ იღბალს აღარ ვწყევლი,
მსურს ვიხარო შენთან გავლით,
თვალში გიკრთის სხივთა ქველი —
სიყვარული, ჩემი მკვლელი.

ველარ იტანს გული ლოდინს,
რატომ აღარ მეფერები?
ცას ნუ გამოვეკერები.
სიხარულო, მოხვალ როდის?



ისევ გაგაფხუდი იყო იორგე

ალბანი და იორი, საქართველოს ოდნავ რომ გასცდებიან, მაშინ უერთდებიან ერთი-მეორეს. მინდვრები კახეთის მდინარეთა ამ შესართავს ზემოთ, ივრის ხეობაში, ჩათმის მთების გადმოღმა, იქ, სადაც ვაშლოვანისა და პანტიშარას ხეები ჩამოდიან — ძველთა ძველი დროიდან საზამთრო საძოვრებად იყო გადაქცეული.

იმ ძველ დროთაგან იცნობს მატთანე ამ ადგილებს. მათ იხსენებს ჯერ კიდევ ბასილი ეზოსმოძღვარი, როცა აღნიშნავს, რომ მახატლის ძეთა შიშით მტერანი ივრის პირის საძოვრებს ვერას აწყენდისო. მახატლის ძეთა შორის ერთი ალბათ საღირი იყო, ის მეპატრონე ხორნაბუჯისა, რომელსაც იხსენებს წიგნი „ისტორიანი და აზმანი შარაევანდელთანი“.

უკეთეს საზამთრო საძოვრებს მეცხვარე მართლაც ვერ ინატრებდა. ამ მინდვრებზე გალაღებულ ავშანს, უმკაცრესი ყინეაც რომ ჩამოდგეს, ვერ აზრობს, ვერც ზაფხულის მზე სწვავს, როცა მთელ ბალახს მოშუშავს და ქარს გაატანს, ვერც თოვლი ჰფარავს. ამიტომ კახელ კოლმეურნეთა ცხვრის ფარები მუდამ აქ გადაიზამთრებენ ზოლზე. და მტკავლობრივ აზომილი ეს მიწებაც დღეს კოლმეურნეობათა ზონარგაყრილ წიგნებში საზამთრო საძოვრებადაა შეტანილი, როგორც ოდესღაც, შუასაუკუნეების ქართულ მატთანეებში.

არც ისე შორს არის ეს ადგილები შირაქიდან და წითელწყაროდან, მაგრამ აქ რომ ჩამოხვალთ, რატომღაც უეცრად, თქვენდა უნებურად, ქვეყნისაგან მოწყვეტილობის მძიმე გრძნობა შემოგაწვევით გულზე. სულ ახლოს ხარ გაღვიძებულ და მოხშიანე სიციცხლით სავსე ქვეყანასთან, მაგრამ გგონია, თითქოს სადღაც შორს, დასაკარგავში გამგზავრებულიყო.

იქნებ ამ გრძნობას ეს მთები იწვევენ, ხეობა რომ ჩაუყვებათ, იქნებ ნაცრისფერი ავშანი, ან მოწითალო, გავარეზებული ქვიშისფერი ხურხუმო, უცნაურ სურნელს რომ აფრქვევენ, დამბნეღელსა და უმიზეზო ნაღვლის აღმძვრელს.

იქნებ იმიტომ ეჩვენება კაცს ასე, რომ აქაური გაზაფხული ქვეყნად ნახულ არცერთ გაზაფხულს არა ჰგავს, თითქოს სულ შებრუნებით და უკუღმა ხდება აქ ყველაფერი — მეწამულ აღმურში ჰხვევენ ნაცრისფერ მიდამოს თრიმლის ბუჩქები, გაზაფხულზე წითლად რომ ჰყვავიან, შემოდგომაზეც მათ ფოთოლი ისე უწითლდებათ, თითქოს ხანძარი მოსდებია მიწასო. ფერდობებს მოღებული ქაფათარა ძეძვი კი ყვითლდა ჰყვავის და ეს ფერები ჰქმნიან აქ მთავარ ტონებს. აქ გაზაფხულიცა და შემოდგომაც, თითონ ზამთარიც კი, ერთი ფერისანი არიან. ზამთარშიც ხომ აქ მუდამ გაზაფხულია, პატარა გაზაფხულს რომ ეძახოდნენ ჯერ კიდევ ის ქართველები, რომელთაც უხსოვარ დროს პირველი ფარეხები ააგეს ამ მიდამოებში.

როცა ის უცნაური ზამთარი გათავდება, როცა მაჭარივით აღუღდება და აიძვრება წყალი იორში, მწყემსებიც იწყებენ მზადებას, რომ აქაურ გაუძლის ზაფხულს დროზე გაეცალონ და გაუსწრონ.

ახლა გაზაფხული იყო და მეცხვარეები შორეული მგზავრობისათვის ემზადებოდნენ. კიდევ ერთი კვირა და ისინიც აიყრებიან, მერე მიწყდება აქ კაცის ფეხი, აღარავინ იქნება აქ, ვარდა მზისა და იმ შიშით დამწვარი ბალახებისა, და მაშინ ათასში ერთხელ აფთრის ხავილს თუ გაიგონებს, გარეული ღორის ნაკვალევს თუ წააწყდება გზადაკარგული მონადირე ივრის ამ უღაბურ ჭალებში.

ხანდახან იქნებ შორიდან თვალი მოპ-

კრას რაღაც უკანასკნელ შვიდიოდე სულ ჯერიანს, სასწაულგებრივად რომ გადარჩენიან უმოწყალო ბრაკონიერის ტყვიას.

რომ იხრჩობოდე, ზაფხულში აქ წყალს ვერავინ მოგაწვდის, რომ კვდებოდე, თვალს ვერავინ დაგიხუტავს; გამოკეტილი და ცარიელია მეცხვარეთა ბინები, ფერდობებს რომ შეჭფენიან.

ახლა კი ჯერ გაზაფხული იყო.

ჩათმის მთებს რიერაჟის შუქი დაჰფენოდა, ხეობაში კი ნისლი ის-იყო იფანტებოდა.

მოხუცმა იორამმა, დილით მწყემსები რომ გაისტუმრა, უნებურად ამოიხრა; გუნება დამძიმებული და შეკრული ჰქონდა, არა იმიტომ, რომ ბინაში ახლა შინაურ საქმეს უნდა დასტრიალებოდა, არამედ იმიტომ, რომ ეს ერთი ხანია მეტს აღარაფერს ანდობენ ოდესღაც უბადლო სარქალსა და გამოცდილ ბინისთავს. „შენ უკვე დაბერდიო, უთხრეს, გზათუქან წანწალის თავი აღარა გაქვსო“...

ისიც მიეჩვია ბინაში ფუსფუსს.

ამ დილითაც ჯერ კიდობანში ჩაიხედა — პურის ნატებიც აღარსად ეგდო. გადაწყვიტა ფათირები დაეცხო, თორემ საცაა მწყემსები გამძლარ პირუტყვს მოაბრუნებენ, თითონ კი შიმშილისაგან გუნებაგადაღელულნი მოვლენ, მგლის მადაზე იქნებიან, ხელეზში შეჭხედავენ პაპა იორამს, ისიც გადმოალაგებს ახალ-დაცხოვილ ფათირებს, ახალ ყველსაც გასჭრიან და, მეტი რაღა უნდა მწყემსის ხუფრას?!..

იორამმა გობი გადმოიღო, ცომი მიმხმარიყო გობის ძირზე. წუხელ ხინკალი მოახვიეს და მოფხეკა დავიწყებოდათ. ეს საქმეც პაპას მიუგდეს — მაინც რაც ცხვარს გაყოლა აუკრძალეს, ბინაში ხელს აღარავინ ანძრევს... არც კერიისა-

თვის მიუხედნით — ნაცრით საფსეა, არც შეშა აქეთ ცეცხლის დასანთებად. ფიჩხი მაინც ჩამოეტანა მშ ჰრჭებს, განა წილები დასწყდებოდათ?

მოხუცს უეცრად გაახსენდა ეზოში რომ თელის ვეება მორი ეგდო, შარშან, იმ ავადსახსენებელ ზამთარში, იორამი ქალაქიდან რომ დაბრუნდა, ცხვარს ძალიან რომ უჭირდა და მწყემსების საშველად ემტრესიდან ხალხი ჩამოვიდა, მაშინ ამოათრია ტრაქტორმა ეს მორი იერის ქალებიდან.

მას მერე გდია ფარების ეზოში და კაცს ზედაც არ შეუხედავს.

იორამიც ახლა პირველად აკვირდება მას და შეშად ვერ გაუმეტებია. რამდენი ხანია შეამჩნია, რომ ფარებში მკლავკოკი დამპალია... მშვენიერი ფარდი გამოიჭრებოდა ამ მორისაგან... აქ კი ბალახი მოჭხევეია და ხავსი მოსდებია... თავთან თეთრწამწამებიათი ყვითელი გვირილა ანთია, როგორც სანთელი კუბოსთან...

არა, ამ მორის წახდენა არ ივარგებს, ფრთხილად შემოსჭრის აქეთ-იქიდან, რომ ორიოდე ნაფოტი ჩამოათალოს; ცეცხლის დასანთებად ესეც იკმარებს!

დიდხანს ეწვალა ბერიკაცი, მაგრამ მზეზე გამოფიტულ მორს ვერაფერი მოუხერხა. მაინც გამწარებით სცემდა ნაჯახს, თან ბუტბუტებდა, ბრაზობდა და ეტყობოდა მარტო ამ მორზე არ იყო გამწარებული:

ყველაზე მეტად მას ის საშინელი ცვლილება სწყინდა, რაც მის ცხოვრებაში ხდებოდა. საცაა ცხვარი უნდა იყაროს, იორამი კი თრიალეთზე აღარ მიჰყავთ... ეს უკვე ჩაუარაკა თარიმანმა, თან ისე უთხრა, ვითომ გიფრთხილდებო, ცოდვა ხარ, ამ ქვეყნის-სივრძე გზაზე ველარ ივლიო.

ვითომ მოეფერა კიდევ... მაგრამ ტყუილად ეფერებიათ! მარტო ლიტონ სიტყვას რა მადლი აქვს. ამ ბიჭებს მაჯებში კამეჩის ღონე აქვთ და ხელის განძრევა კი დაიზარეს, ერთი გულდურა ფიჩხი ვერ ჩამოიტანეს სერებიდან. მო-

ხუცი ყველაზე მეტად თარიმანზეა ნაწყენი. ის არ აჩერებს აქ, ამ ბინაში... რა ვუყოთ მერე, რომ სარქალია. სარქალიც რომ აღარა ჰქვია, ბრიგადირს ეძახიან... მერე რაო? სახელი რა ბედენაა, რაც უნდათ ის დაუძახონ. მაინც საჭირო ფხარა აქვს, ზოზინა კაცია. აგერ ერთ კვირაში მთაზე უნდა წავიდნენ და ჯერ პარსეაც არ დაუწყიათ. როდის-ღა უნდა მოასწრონ, რას ფიქრობენ, რას უტყვიან?

განა მართო თარიმანს ემდურის მოხუცი: ნიკომ უარესად ატკინა გული, თავმჯდომარემ. ეს ბიჭები თავის ნებაზე მიუშვა, იორამს კი უთხრა — ახლა კაკლის ჩრდილში მხარ-თქოზე წამოწეკ და დაისვენეო. ნიკოს კი არა, თითონ წუთისოფელსაც ემდურის იორამი, იმ წლებს ემდურის, მუხლში და მკლავში ძალა რომ გამოუღიეს, საღდაც წაიღეს იმისი სიმარჯვე, თითქოს ამ ივრის წყალს გაატანესო.

ამ ტიალმა მორმაც გული შეუწუხა. მასაც ისე უწყრება, როგორც ჯიუტსა და გაუგონარ ადამიანს.

— ჰაი, შე სატიალევ, შენა! დაბერდაო იორამი, არა? აი, თუ დაბერდა, ნახე, — და დაჰკრა ნაჯახი, — აი კიდევ...

წუთით შეჩერდა. ნაჯახის ტარი დაინაცვლა და იმ მორის მაგივრადაც თითონვე უპასუხა თავის თავს:

— დაბერდი, მაშ რა? შენი თავი პატარა ხომ აღარა გგონია?

ივრის ხეობიდან გრილმა ნიავმა წამოიჭროლა, აეშნის მძაფრი, ქინძისებური, სიკბუეკიდან ნაცნობი სუნი სახეში შეაფრქვია. ეს ხომ თითონ ივრის ტალღების სუნია, მიწის სუნთან შარბილი. იორამი დაბნინდა იმ სუნმა, წენგოსფერ, დარდიან თვალეებში რალაც შუქი ჩაუდგა, ნაჯახი მიავლო და წინ გადაშლილ ივრის ჭალებს გადახედა.

გაღმა ჩათმისა და ჩობან-დაღის მწვანე მთები ამართულიყვნენ და ქვეყანა ჩაეკეტნათ. იმ მთებსა და ბერიკაცს შუა იორი მოდიოდა, ოღონდ არა ჩანდა აქედან, ჰალას მოჰფარებოდა, იმის გამო-

ღმა ეს აეშინიანი მინდვრებია და აქედან მოდის ის სუნი. შინ წადიო, განა იქაც დაჰბერავს ეს ნიავი, განა იქაც მოიტანს ნეტარ სუნს იმ ოღლუნისა და თრიმლისა, კოწახურისა და ფშატისა... არსადაც არ წავა, ფეხსაც არ მოიცივლის. ვის უნდა დაუტოვოს აქაურობა — თვალი უჭირავს ღედაზეც და ბატკანზეც, მშრალზეც და მეწველეზეც, ლუბზეც და ქორფაზეც... წადიო! მაშინ გაგახსენდებათ პაპა იორამი, როცა გაგიკვირდებათ!...

ახლა-ღა შეამჩნია იორამმა, რომ ხმა-მალა ფიქრობდა... ესეც დასჩემდა ამ ბოლო ხანს. ამ ფიქრმა ისევ საქმე მოაგონა, დაკარგულ დროს ავინაზღაურებო, იფიქრა, დასვენებულმა მთელი ღონით მოიქნია ვერცხლისფრად მოელვარე ნაჯახი და როცა აღუსილმა ფოლადმა იმ მორის სქელი, დახორკლილი ქერქი ოდნავ გასჭრა, მერე აცურდა და ბერიკაცის ფეხისკენ დაქანდა, თითქოს ავი ძალი საკებნად წაეტანათ, შემკრთალმა ნაჯახი მორზე მიავლო და აქითიქით მიიხედა-მოიხედა — არავინ დამინახოს და არ შემიცოდოს — იორამი სულ მოტეხილა საწყალი, სულ დაძაბუნებულაო.

გაშლილ ეზოში არავინ იყო და ბერიკაცმა თავისუფლად ამოისუნთქა, დაწერნაგებული ხელით შუბლიდან ოფლი ჩამოაწმინდა. არა, ვერ მოერია...

ნაჯახი გადაავლო და მორზე ჩამოჯდა. ხსევ ჩათმის მთებს გასცქეროდა, მაგრამ თითქოს ველარაფერს ხედავდა. დაღარულ სახეზე ღრმა ფიქრი აღბეჭდოდა.

არა... მორჩა, ველარ შეაცდენენ იორამს — მან ერთხელ უკვე იწვინა აქედან წასვლის სიმწარე. ერთხელ შესცდა და აკი ჭკუა ისწავლა, მაშინაც თავის შვილს დაუჯერა — ლევანს, ქალაქში რომ ცხოვრობს, უეტრად რომ ჩამოვიდა და ძალათი წაიყვანა ბერიკაცი თბილისში.

ქალაქის უნახავი როდი იყო მოხუცი, რამდენაღერ აოტარებია და ჩამოუტარებია ცხვარი თბილისზე, ხანდახან შვილანს ბინაზე შეუხვევდა, პატარებსა ნახავდა,

მოიკითხავდა და მერე დიდიხნით დაემშვიდობებოდა. მაგრამ როცა სამუდამოდ იმ ბინაზე წაიყვანეს — ვერ გასძლო, ვერ მოისვენა, თუმცა, თითონ ლევანიც, შვილიშვილებიც — მიტო და ლამარა თავზე ეკლებოდნენ პაპას.

— გოგო, ტელეფონია თუ კარებზე დარეკეს? — გაისმა შორიდან და შუახნის, თხელი აგებულების ქალმა სამზარეულოდან გამოიხედა.

— კარებია, დედი! — უპასუხა ბავშვის ხმამ.

— მიხედ, გენაცვალე! — და ქალი უკანვე შებრუნდა.

შიგნით ოთახებიდან თოთხმეტობდე წლის გრძელკლანჭებიანი და მხრებში აწურული გოგო გამოვარდა და კისრისტებით გაიქცა დერეფნისაკენ, საკეტი გადასწია, კარი გამოაღო და უცებ შეჩერდა. მამა ჩამოსულიყო და თან მალალო, გამხდარი ბერიკაცი ახლდა, დაღარული სახე ჰქონდა, ძირს ჩამოფარცხული თეთრი უღვეშები; ხშირი თეთრი წარბების ქვემოდან წენგოსფერი, დარდიანი თვალები იცქირებოდნენ.

— ვინ იყო, გოგო, — ისევ გაისმა სამზარეულოდან ქალის ხმა. პასუხი რომ ვერ მიიღო, ნელი კარებისაკენ წამოვიდა.

— გოგო, პაპაშენი ველარ იცანი? — ჩაპკითხა გოგოს ლევანმა, ღია კარში რომ იდგა.

იცნო ლამარამ თავისი ასე ძვირად სანახავი პაპა, ახსოვს, სულ პატარა იყო მაშინ, როცა პაპამ ლამაზი ბატკანი მოუყვანა და ლამარას აჩუქა. მერე სახლშიც რამდენჯერ უხსენებიათ, რამდენი რამ გაუგია მასზე, მაგრამ მაინც დიამორცხვა თამამა გოგომ.

ველარავისა ჰხედავდა ლამარა, ველარც მამას, რომელიც აქვე, დერეფანში იდგა, ველარც სამზარეულოდან წამოსულ დედას, ახლა წინსაფარზე ხელებს რომ იმშრალებდა, უნდოდა მამამთილს

შეპკებებოდა, ველარც მეჭზოვეს, მძიმე ხურჯინები რომ ამოეთრია. და ისევ დედამ ამოიღო ხმა:

— გოგო, გამოატარე ეს ადამიანები! — და მერე ბერიკაცს მიუბრუნდა, — როგორ იმგზავრეთ მამა... როგორ შეიძლება ასე რომ დაგვივიწყეთ... აი, ბავშვს აღარც კი ახსოვხართ...

ყველანი ოთახში შევიდნენ. ლევანი სამსახურში გაიქცა, ნელი სამზარეულოს დაუტრიალდა და როცა მარტონი დარჩნენ, მაშინ-ღა გაუთამამდა და მიიჩნია ლამარა თავის მოხუც პაპას. დახეთ, თურმე ვახსოვდი, ვუყვარდი — ფიქრობდა იორამი და დაღარული სახე ჩუმი ღიმილით უბრწყინდებოდა.

მალე მიტოც დაბრუნდა უნივერსიტეტიდან, ის გულლიად და თამამად მიესალმა პაპას, გადაყოცნა და პაპიროსიც კი მიაწოდა, მაგრამ მოხუცმა უარი უთხრა — არ ვეწვეო.

სალამოთი ვახშამზე მთელმა ოჯახმა მოიყარა თავი.

ვახშმის შემდეგ, როცა საძილედ მზადება დაიწყო, ლამარამ უეცრად იკითხა:

— პაპა სად დაიძინებს?

ნელიმ უმწეოდ მიმოიხედა აქეთ-იქით... მთელ დღეს ეს იყო მისი საფიქრელი და აი ახლა უნდა გადაწყდეს... სად დააწვინონ ბერიკაცი — საწოლ ოთახში? შეუძლებელია! სასტუმროში? აბა ეს რას ემსგავსება — გვიანობამდ რჩებიან სტუმრები, ბერიკაცს კი ალბათ აღრე დაძინება ეყვარება, ლევანის კაბინეტზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პაპა ოთახია და იქ საწერი მაგიდაც ძლივს ეტევა... მაშ სად, სად წაიყვანოს თავისი მამამთილი?

არავენ იცოდა, რომ ნელის თავი ატკინა ამაზე ფიქრმა.

მაგრამ ახლა დაყოვნების დრო აღარ იყო, ქალმა რაღაც ნაძალადევიად გათლია და თქვა:

— პაპა მოხუცია და სითბო უყვარს. ჰოდა, ჩვენც სამზარეულოში დაეუგოთ...

მიტომ მაშინვე შებლი შეიკმუხნა და თავი დაბლა ჩაღუნა, შერცხვა, ლამარამ კი წამოიძახა:

— არა, დედა... სადაა იქ ადგილი? როგორ შეიძლება?

— მამ დერეფანში ხომ არ დავაწვენთ? — განწირულივით წამოიძახა ნელომ.

— ქალო, გადარიე? — გაუწყრა ლევანი, — აგერ აქ დაიძინოს... ცარიელი არ არის ეს ოთახი... ნეტავ ვის ეშმაკებს უნახავ?

ეს კი ველარ ატანა დიასახლისმა, სასწრაფოდ წამოხტა, ბერიკაცის ლოგინი საწოლ ოთახში შეიტანა, ძვირფასი ხის საწოლს კი დასტაცა ხელი და სამზარეულოსაკენ წათრევა მოუნდომა. მაშინ მიტომ დედას გამოშტერებული ფუქსავატი ქალი უწოდა, ლამარა კი მოულოდნელად ატირდა.

ასე შეიტანა შფოთი წყნარ და მყუდრო ოჯახში ბერიკაცის გამოჩენამ.

არაფინ იცის რით გათავდებოდა ეს შინაური ომი, რომ ისევ იორამს გადაჭრით არ ეთქვა — სამზარეულოში მირჩენიაო და იქ გაუშალეს ლოგინი.

უქმად ყოფნას დიდხანს ვერ გაუძლო მოხუცმა, შეიღს აუტყდა — იქნებ სადმე შესადერი ადგილი მიმოგნოო. ლევანმაც დაიწყო ადგილის ძებნა და ერთი კვირის შემდეგ მოხუცი სარქალი ფეხსაცმელების ფაბრიკის დარაჯი იყო.

იღვა იორამი ფაბრიკის კიშკარში და მიხსლელ-მომსვლელს ამოწმებდა.

იოლი საქმე იყო, მაგრამ უჭირდა მოხუცს, თუმცა ათას დარიგებას აძლევდნენ, რომელთაგან მთავარი ეს იყო: — უცხო არაფინ შემოვიდეს, ტყავი არაფინ გაიტანოსო.

მოხუცმა კი აბა რა იცოდა ამ მიღების ხალხში ვინ უცხო იყო და ვინ შინაური. იმას როგორ იკადრებდა, რომ კაცისათვის ჯიბე გაეხინჯა, ხომ არაფერი მიგაქვსო. სინდის-ნამუსზე ენდობოდა ყველას, როგორც მთელ თავას გრძელ სიცოცხლეში იყო მიჩვეული.

იმ ხანებში გამოსატყრელ საამქროში ტყავი დაიკარგა... ატყდა აურ-ზაური,

ხმაური, სადღაც ძიებაც დაიწყეს, ქურდი ვერ იპოვეს და ბოლოს იორამი/სასამართლოში წაიყვანეს/უთხრეს/ — „ქურდების ხელშემწყობი“ ნაჩიჩი...
რა დღეში ჩავარდა მაშინ ბერიკაცი!



ის დღე რომ გაახსენდება ხოლმე იორამს, უცნაურად შეზარავს ტანში, თავს გაიქნევეს, იმ აბეზარ მოგონებას იშორებს. ის კი როდი შორდება, ისევ და ისევ ჯიუტად უღვას თვალწინ ბერიკაცს, სტანჯავს და აწვავს.

მაინც რა უცნაური დღე იყო... თათრის მოედანთან, ბაზრის ახლოს ზღვა ხალხი ირეოდა. იმ ხალხში გაატარა იორამი თოფიანმა კაცმა, დაბლა, მიწას ჩასცქეროდა ბერიკაცი — არაფინ დამინახოს, არაფინ მიცნოსო... მარტო ერთხელ აიხედა და მაშინაც კლდინი მეტეხი შეეფეთა თვალბში... მგონი ციხე მანდ აღარ უნდა იყოსო, გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ფეხებში ვიღაც ბიჭები წამოედნენ. ქვაფენილზე ებღლარძუნებოდნენ ერთი-მეორეს და იმათ ბერიკაცის დარდი ფეხებზეც არ ეკიდათ, ხბოებივით ღონემოჭარბებულები კუნტარუმობდნენ, ერთი-მეორეს ერჭინებოდნენ და სულაც არ ედარდებოდათ, რომ ახლა, აი ამ წუთში მთელ კახეთს თავი ეჭრებოდა... მაგას ვილა ჩივის, ერთმა ყმაწვილმა, ბერიკაცის ფეხებთან რომ ჩაჩოქა მოწინააღმდეგემ, აპხედა მოხუცს და დაიძახა:

— კარგი რაღა, ვერა პხედავ, პატიმარი მიპყავთ...

— ნახვამდის, პაპაჯან, ჩვენი ბიჭები მოიკითხე!...

— ნუ იღარდებ პაპაჯან, — მიიძახა მესამემ, — კარგ ზაზე დგეხარ... მიტოვე ტუდა პრიდიომ!

მეტე აღარა გაუგონია-რა იორამს, სასამართლოს კიბეს აპყენენ, კიბე კი არა, გოლგოთა იყო; დარბაზში რომ შეიყვანეს, ჯერ ვერაფერი გაარჩია, მერე

თითქოს ნისლი ოდნავ შეთხელდაო, მოსამართლე დაინახა: ვილაც ახალგაზრდა ქალიშვილი ევება, მაღალ სკამზე დაესვათ, თითქოს გაჯიუტებულ პატარას ახირებული სურვილი აუსრულეს და უფროსების სკამზე დასვესო. მარცხნიდან იორამივით დაჩაჩანაკებული ბებერი ეჯდა, მარჯვნიდან კი ვილაც შუახნის მანდილოსანი. ის ქალიშვილი ხან ერთისაკენ, ხან მეორისაკენ გადაიხრებოდა და რაღაცას გადაუჭურჩულებდა ხოლმე.

ბერიკაცი კი აქეთ, გრძელ სკამზე დასვეს და ის თოფიანიც თავით დაუდგა.

პაი დედასა, სახელხმინარ სარქალო! ეს რა დაგემართა? ეს რა დღე გაგიფენდა, იორამ, რას მოეწარაი კაცო, ნამდვილად შენ თავს ხდებდა ეს ამბავი, თუ ვილაც სხვა ზის ტუსალის სკამზე. არ გერჩივნა იორამ, მაშინ მომკვდარიყავ, როცა საშინელ ავდარში, მიწისა და ჭიოჩის ზევემა ცხვარიც წაიღო და მწყემსებიც... იმ დღეს დაიხრჩვენ ბიუები და წყალმა იანე შორს ატარა მკვდრები, რომ ბახტრიონთან გამოიყა... თავს იკლავდა მაშინ იორამი, შე ტიალო ალაზნო, მეც გამათავეო. მაგრამ რა ექნა — თოფიც წაართვეს, ხანჯალიც, დანაც კი ამოუღეს ჯიბიდან... იმის მერე ალაზნის წყალი აღარ დაუღვია იორამს, ცოდვიანიაო.

ცრემლი ჩამოუგორდა ბერიკაცს ხნელ ლოყაზე. ვისა ტირის იორამი? იმ ბიუებს, თუ თავის თავს... სახელოთი თვალეზი მოიწმინდა, ისევე მოსამართლისაკენ გაიხედა; დახე რა თვალშიშტერებით უქქერის ის ქალიშვილი, მაღალ სკამზე რომ ზის... იქნება დაინახა, როგორ ტიროდა ბერიკაცი...

არა სჯობდა იორამ, მართალი გამოდგარიყო ის ამბავი, ერთხელ სოფელში ხმა რომ დაყარეს — თრიალეთში, ჭიოჩან გორაზე იორამი მოუკლავთო, ცხვარს დასცემიან, არ დაუნებებია და თავდამსხმელებს ხანჯლით გამოუფატრავთო. მაშინ იორამი ჯეელი ბიჭი იყო, ახლად ცოლშერთული. მაროს ამბავი რომ მიუტანეს — იორამი აღარ არი

ქვეყანაზე, დაუმარხავად გდია მთაში და ზევიდან ნაბლიც კი აღარა მხურავსო — ქალმა ცხენი შეკაზმა და თრიალეთის გზას გაუდგა. ესეც რაღა გავიხსენდა, როცა განსაცდელში ჩაგვარდნა იმას ხომ მუდამ ახსოვდი, ვიდრე ცოცხალი იყო? მაშ შენ რა დაგემართა? გული აგრე რამ გაიციინა?

ახუნდება იორამს, ჯეელი ბიჭი იყო მაშინ, როცა მარო თრიალეთში ამოვიდა. დაპრილი იწვა იორამი და ცოლი უეცრად აბულის მთიდან ამოსული ვარსკვლავივით დაადგა თავზე... ცრემლით ავსებოდა შეუქიანი თვალეზი, რომლის მსგავსი იორამს არაფერი უნახავს ქვეყანაზე, გარდა იმ ყვავილები-სა, ივრის პირებზე, ტყეში რომ ამოდიან.

ხელახლა ევება თვალეზი ცრემლებით. ნეტავი არ შეამჩნიონ!

არაფერი ესმის იორამს რა ხდება... სახელიცა ჰკითხეს, გვარიც, ის ტიალი ტყავის ნაჭერიც ახსენეს... დარბაზში რაღაც არეულობაა. ორი მეცხვარე შემოხტებულა სასამართლოში და ისე ხმამალლა ლაპარაკობენ, თითქოს ივრის მინდვრებში არიანო. ესენი რაღამ მოიყვანა? უცებ ახუნდება იორამს, რომ აქ ახლოს დამზადების კანტორაა, ამ მწყემსებმაც ცხვარი თუ ჩამორკეეს ჩასაბარებლად (თითონაც ზომ ერთხელ სწორედ აქ ჩამოიყვანა შვრიაზე დასუქებული ქედილები), იქიდან ალბათ ბაზარში გამოიარეს, თვალი მოჰკრეს იორამს, გულმა აღარ გაუძლოთ და აქაც შემოჰყვენენ ბერიკაცს.

— ბიჭო გიო, — ესმის იორამს რაღაც საოცრად ნაცნობი კილო, — პატარას ვერა სცნობ?

ეს-ღა აკლდა ბერიკაცს — იმასა ნატრობდა ნაცნობი არავინ გამოჩნდესო და აჰა? აქც არ იპატრია ილბაღმა. მაგრამ სად გაუგონია ეს ხმა? და მეორე მეცხვარის პასუხი აწყვეტინებს ფიქრს:

— ბიჭო, ეგ კაცი იორამსა ჰგავს, მაგრამ იმას აქ რა უნდა?... — ის არი, კაცო, აგრე არ გამოაცხადეს!..

მოსამართლე ზარს აწკარუნებს და მეცხვარეებს დარბაზიდან გაძევებით ემუქრება. ისინი ერთ წუთს ჩაჩუმდებიან და ახლა მოსამართლეს გასცქერნიან.

— ბიჭო გიო, — ისევ ის ხმა ესმის იორამს, — აგერ იმ მოსამართლეს ვერა სცნობ... ჩვენებურია, ძიძილანთ მიხაკოს გოგო, რამდენჯერ უთქვამს მავის მამას — ჩემი შვილი ქალაქს არი, მოსამართლედაო...

მეორე მწყემსი მოსამართლეს აგვირდება და ბრაზით ნელ-ნელა მარცვლავს, ისე რომ მთელ დარბაზში ისმის:

— მეო, და, ეგ მიწადასაყრელი, ლასტის ქოხში არ არის გავრდილი? რატომ არ იცის, რომ სარქალი იმ ტყავს არ მოიპარავედა...

იორამს მოსამართლისა აღარა ესმისრა, ყური იმ მწყემსებისაკენ უქირავს... თითქოს ჩამობნელებულ წყვდიადში რალაც შექი გამოჩნდაო, სახეზე იმედი ეფინება და ისევ მეორე მწყემსის ხმა ესმის, დამკინავი და სასოწარკვეთილი:

— შენც ამბობ რალა... გლეხის ქოხში... იმდენი სიკეთე მე, რამდენი უმადური იმ ქოხში გავრდილა... არ გაგიგონია — ობოლო, ვის დაჰკარაო და ვინც გამზარდა იმასაო... ასეთია მშაო, ეს წუთისოფელი...

„ჰო, მართლა, ეგ ხომ აგრეა“, გაურბინა ფიქრში ბერიკაცს და წყვდიადში ის უეცრად გამობრწყინებული შექი ისევ ჩაქრა, ისევ ბნელი ჩამოდგა და ლოდვივით შემოაწვა მის დაღლილ გულს.

და აღარაფერი აღარ ესმის იორამს — რა მიუსაჯეს, რამდენი მისცეს? ეს მოსამართლე ასე რათ უცქერის, ან იმ მწყემსებს რა უხარიათ. რათ იცინიან? ამ ხალხში რალა ყრიბულია, რას ულოცავენ? სულ უნდათ გააგიგონ იორამი, ატყუებენ თუ რა ამბავია... მაგრამ აი თითონ მოსამართლეს უახლოვდება და მისი სიტყვები ვერ გაუგია იორამს, თუმცა ეს ქალიშვილი მგონი, ქართულ ენაზე ელაპარაკება:

— პაპე, შენ თავისუფალი ხარო...

მწყემსებიც უახლოვდებიან... გაოგნებული ბერიკაცი დგას და სიტყვა ვერ ამოუღია... გულს ბაგა-ბუნჯი წააქვს, თითქოს სუნთქვაც უჩერდება. სხლაც უნახავს ეს მწყემსები, მაგრამ სად — თრიალეთზე, იორზე, ტარიბანაზე? იქნებ მახსოვრობა დაღატობს, ამიტომაც ველარ მოუგონია... იქნებ მართო ეს იერია ნაცნობი, ივრის მცხენვარე მშესა და გადაარეულ ქარს მათ სახეზე წარუშლელ დაღად რომ აღუბუქდავს? ჰო, აღმათ იქაურები არიან, მილეთის ხალხში გამოარჩევს ადამიანი ამ ბიჭებს... ამიტომ თუ ეჩვენებიან ნაცნობებად. მაგრამ მისი სახელი საიდანა იციან?

აი ახლაც, იმ მწყემსმა, გიოს რომ ეძახოდა ამხანაგი, ხელი ჩამოართვა და პირდაპირ მიახალა.

— იორამ, აქ რა გული გიძლებს, იქ საქონელი გელუქებათ...

ბერიკაცს წუთით მიავიწყდა წელანდელი განსაცდელი და უცებ გაურბინა ფიქრმა — თურმე მართალი ვიყავი, როცა ივრიდან გული არ მომიწყვედაო. და მან შეკრთომით ჰკითხა მწყემსს.

— რა მოხდა, ბიჭო?

— თქვენმა თავმჯდომარემ დროზე არ გაანძრია ხელი, არც თივა ჩიტანა იორზე, არც შერია... ახლა ჯოჯოხეთი ზამთარი ჩამოდგა და თქვენები ისეთ დღეში არიან... აღარ იციან რა ქნან... თარიმანს მიუწერია თავმჯდომარისათვის: ნიკო, ცხვარი ხელიდან გვეცლება და იცოდე ჩვენც ყველანი იორში გადავეცივდებით. მერე ამ ცხვრის ცოდვაც შენზე იყოს და ჩვენი ცოლშვილისაცაო...

ტყვიასავით მოხვდა გულზე ბერიკაცს ეს სიტყვები. არა, ერთ დღესაც აღარ გაჩერდება აქ: ფაბრიკის კომპარტი ვინც უნდათ ის დააყენონ, თითონ კი იქ არის საჭირო, იორზე...

სასამართლოს სხდომის დარბაზის კარებთან გამოეთხოვნენ მწყემსები იორამს, მათ თავიანთ საქმეზე გასწიეს და ბერიკაცი მართო დარჩა თავის ფიქრებთან.

— არა... უნდა წაიღეს! — და რაკი-
ლა ეს გადაწყვეტილება მიიღო, გულზე
ისევ მოეშვა.



სასამართლომ მუშაობა დაამთავრა.
მაგრამ იორამს შინისაკენ არ გაუწია
გულმა; ის კიბე, წელან გოლგოთასავით
მძიმე რომ იყო, ახლა დინჯად ჩამოი-
რა და ქუჩის პირას შეჩერდა. მოსამარ-
თლის დანახვა ენატრებოდა.

დიღხანს იცადა ბერიკაცმა. ჰყინავდა,
მაგრამ მისი ბებერი ძვლები სიცივეს
ალარ გრძნობდნენ... თოვლის ფანტელე-
ბი სახეზე ეცემოდნენ და იმავე წუთს
დნებოდნენ, ისევ ფარაჯის სახელოთი
იწმენდდა ბერიკაცი, მაგრამ ეს ცრემლი
ალარ იყო.

როდის-როდის მოსამართლეც გამოჩ-
ნდა. მარტო მოდიოდა. იორამიც ამან
გათამამა და წინ გადაუდგა. ქალმა გა-
უღიმა, როგორც მშობელს შეჭხარინან
ხოლმე.

— შენ საიდან მიცნობდი, შეილო? —
და ხმა აუთრთოლდა.

— მე არ გიცნობ, პაპავ! — წყნარად
უპასუხა ქალიშვილმა.

მოხუცი ამ პასუხს არ ელოდა...

— მაშ... მაშ შენ რა იცოდი,
რომ... — ვერ დაასრულა ალაღმა ბერი-
კაცმა, უნდოდა ეთქვა, — რა იცოდი,
რომ მე არ მომიბარავსო.

— ეგ კი ვიცოდი, პაპავ! — უთქმე-
ლად გაუგო მოსამართლემაც. ყველაფე-
რი ვიცოდი, უკეთ რომ ეთქვათ, ყვე-
ლაფერს მივხვდი... შენ ვერ გაიგონე
იმ მწყემსმა რომ დამაყვედრა, ლასტის
ქონშია გაზრდილი... ჰო, იქა ვარ გაზ-
რდილი... მერე, ვითომ რაო? რათ მაყ-
ვედრიდა?

იორამს სული შეეხუთა, გულზე რა-
ღაც მოაწვა და ეს-ლა წამოიძახა:

— ეისი ხარ, შეილო? ნეტავი შენს
გამზრდელს, რომ ემაგეთი ჰყეხარ?

ახალბედა მოსამართლეს (მან ხომ
შარშან დაამთავრა ინსტიტუტი), სიწით-
ლემ გადაურბინა სახეზე, სიამაყითა და

სიხარულით აევსო გული, მაგრამ მაინც
არ შეიმჩნია და ბერიკაცს უთხრა:

— ნუ მიხდი, პაპავ, მდლომას!

მაგრამ ბერიკაცი მაინც ალარ მოეშვა.
მან ყური მოჰკრა იმ მწყემსების სიტყ-
ვას — ჩვენებურიო, გლეხის ქონშია
გაზრდილიო, და კვლავ ჩაჰკითხა:

— მითხარი შეილო, სადაური ხარ?

— იფნისხეველი ვარ, პაპავ! მიხაკო
ძიძილაშვილი გაგიგონია?.. სოფლის
ბოლოზე უდგა სახლი.

ბერიკაცი შეყოყმანდა, იფნისხეველი,
ყოფილა, მაგრამ ძიძილაშვილი არ
ახსოვს... ბუნდოვნად აგონდება — ერთ-
ხელ გზად მიმავალი, სწორედ იფნისხე-
ვის ბოლოს ლელვზე შეიპატივა ვილაცამ
და არაყიც გამოუტანა. ის თუ იყო ძიძი-
ლანთ მიხაკო. ორი პატარა გოგო დარ-
ბოდა ეზოში, თითისხელები იყვნენ...
ერთს წარბები სწორედ ასეთი ჰქონდა.
და ისევ მოსამართლის ხმამ გამოაფხი-
ზლა.

— არ გიცნობდი, პაპავ, არა ისე კი,
რათ უნდა დაგიმალო, გამიგონია შენი
სახელი...

კინლამ ბუდიდან ამოვარდა ბერიკა-
ცის გული... ისევ ჯეელია იორამი, ისევ
ფიცები და ამაყია, თუმცა ჰყინავს ქუჩა-
ზე, მაგრამ არა სცივა, გული გამთბარია,
ისევ არის მზე, ისევ ანათებს; ბერიკაცს
კი ეგონა, ყველაფერი გათავდაო.

და ალარ იცის რა უთხრას ამ ქალი-
შვილს:

— რა კარგ ზელსა სკერია ცოდვა-
მდლის სასწორი... შენ გენაცვალე,
შეილო, რა მადლიანი ძუძუ გიწოვნია,
გოგო!

წუთით შეჩერებული გამვლელზე
გაოცებულნი უტკერდნენ როგორც ეხ-
ვეოდა უზნის მოსამართლე ვილაც აწო-
წილ, სოფლური შესახედაობის ბერი-
კაცს და ვერ მიმხვდარიყვნენ რა ატი-
რებდა ან ერთს, ან მეორეს.

მხრებს აიჩჩეჩავდნენ ხოლმე, შორდე-
ბოდნენ იმ ადგილს, მიდიოდნენ თავი-
ანთ გზაზე და ისე ილიმებოდნენ, რო-
გორც ილიმებიან სხვისი დარდისა და
სხვისი სიხარულის შემყურენი.

• • •
 იორამმა ფეხსაცმელის ფაბრიკაში შეუღვია, ახლადგაცნობილი მეგობრები მოინახულა და თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ არასოდეს აქ აღარ დაბრუნდებოდა, ანგარიშის გასწორებაც არ მოუთხოვია, ისე წამოვიდა.

თითქოს ასი ფრთა ჰქონდა გამოსხმული, როცა შინისაკენ მოჰქროდა, ფეხქვეშ ნიადავს ველარა გრძნობდა, ისე მოაქცაულებდა გუბებზე. მელიქიშვილის ქუჩას რომ მიადგინა და კიბეებს შეჰყვია, ველარ გაიხსენა რა გზით წამოვიდა, ქვეითად მოდიოდა თუ ტრამვით. შემკრთალიც იყო, გახარებულიც, მადლიერიც იყო მთელი ქვეყნისა; უხაროდა, რომ ახლა შინაურებსა ნახავდა, მათ ხომ არაფერი არ იცოდნენ და რაკილა ახლა ყველაფერი გათავებული იყო, მოუყვებოდა ყველაფერს.

კიდევ ერთი სართულიც და შინ იქნება. აი მათი კარებიც. როგორც კი ზარს თითი დააჭირა და ნელიმ კარი გააღო, თავით ფეხთამდე აათვალიერა ბერიკაცი და იკვილა კიდევ.

— მოიცა, მოიცა... არ შემოხვეიდე, პაპავ, ღმერთო ჩემო, თითქოს განზრახ ჩურჩხელასავით ამოვლებულა ტალახში...

და ნელი უკანვე შებრუნდა, ალბათ ცოცხის გამოსატანად.

ნაწყენმა ბერიკაცმა აღარ მოუცადა, თოფნაკრავივით გამობრუნდა და კისრისტებით დაეშვა კიბეზე. ბავშვივით ამოუჯდა გული და ნიკაპმა ცახცახი დაუწყა. აბა რა დროს ეს იყო, ამ დიდი სიხარულის დროს... არა, სულ წავა აქედან, სულ არ უნდა თქვენი არაფერი — არც თქვენი გაპრიანებული იატაკი, არც თქვენი ანდაზაობა, არც თქვენი მოჩვენებითი სიყვარული...

მოხუცი ტრამვაიში ჩაჯდა. რუსთაველის მოედანზე მეორე ნომერ ტროლეიბუსში გადავიდა და სადგურზე რომ გააღწია, ბილეთი იყიდა და რაკი მატ-

რებლის გასვლამდე ხუთიოდე საათი კიდევ დარჩენილიყო, ერთხანს ინტე-ალა ვრცელ დარბაზებში და მერე სკამზე ჩამოჯდა.

დალილ-დაქანცულს, ნაწვალებს, მთელი იმ შფოთვისა და მღელვარებას შემდეგ, ჩქარა ჩაეძინა კიდევ.

უკანასკნელად რაც ესმოდა, ეს იყო ტირილის ხმა — ძუძუთა ბალლი ტიროდა, ჩემოდნებზე ჩამომჯდარი კაცი მკლავებით არწევდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაეჩუმებინა. ეტყობოდა, დედა სადღაც წასულიყო და კაცს თოთოს დაწყნარება ვერ მოეხერხებინა.

რალაც უცნაური ხმა ჩაესმოდა ძილში — თითქოს ათასი ბატკანი ერთადა ბღავისო. საიდან სადაო? აქ ბატკნებს რა უნდათ? ან რა დროს ბატკნებია ამ შუა ზამთარში, დოლის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. არა და ეს ხმაც ესმის და მოდი ყურს ნუ დაუჯერებ... ნუთუ სიზმარშია იორამი? მაგრამ არა, ბატკნები ისე ბღავიან, თითქოს მას ეძახიანო, რათ წაზევდიო, თავი რათ დაჯვანებო, დედები აგვერია ერთმანეთში, სარქალო, ველარ გვიპოვინა, ველარ გვიცვინა, თითონ დედებიც ვერა გაცნობენ... ადექი, გვიშველე, რა დროს წოლაო.

ყურს თუ არ უჯერებდი, თვალს მაინც დაუჯერე, ბერიკაცი! აგერ, მთელი მინდორი ცხვრით არის სავესე, მალდიდან მთვარე დაქანათის ქვეყანას და მის მკრთალ შუქზე თეთრი ზღვა დამდგარა, ნისლივით გადათეთრებულა ქვეყანა. მაგრამ მწყემსები სადღა გაქრნენ, სად გადაილუპნენ... ერთიც არა ჩანს... ეინ დაყარა ეს ფარები უპატრონოდ. აბა, განა ტყუოდა იორამი, როცა გული არ მიუწყევდა იერისპირებიდან. სად დასაკარგავში დაიკარგენით თქვე ტივლებო, — ფიქრში უწყრება იორამი მწყემსებს. თან დახეტიალობს ამ უზარმაზარ ფარაში, მწყემსს ეძებს, მაგრამ აქ კაცის კვალებაც არ არის.

ისევ გაიხედ-გამოიხედა ბერიკაცმა. თვალწინ ჩათმის მთები აიშართნენ, იმ მთიდან მგლის ყმული ესმის ბერიკაცს, ყური მიუღდო და დახეთ, არჩევს კიდევ რასაც მგელი ამბობს:

— ააუუ, ბიჭებო, ააუუ, გლეჯიავ, ტუჩმურავ, ფლეთიავ, მოგროვდით, ძმებო! მწყემსებმა ცხვარი აყარეს... იალალებზე მიდიან და აქაურობას ეთხოვებიან, ქეიფობენ. ცხვარი უპატრონოდ არი... კაცის შვილი აღარა ჩანს ფარებთან... ძაღლებიც აღარსად არიან... აბა, ყველანი აქ მოდით... მე თითონ წაგიძღვებით...

აი თურმე რაში ყოფილა საქმე, აი რატომ არა ჩანან მწყემსები, და იორამი ხედავს, რომ სადღაც, მოღზე სუფრა გაუშლიათ. მწყემსები ქეიფობენ, გრძელ სადღეგრძელოებს ამბობენ, ცხვრები დაუკლავთ, ხორცს თითონა სკამენ და ძვლებს ძაღლებს უყრიან. ეს ტიალი მყეფრებიც ერთმანეთს ებრძვიან, იმ ძვლებზე დაობენ, ღრინავენ და იორამს იმათი ენაც ესმის — მომეცი აქა ეგ დიდი ძვალი, მე პატარა შემხვდაო. მარტო ერთი ბებერი მყეფარი არ ერევა მათ ჩსუბში, არც ძვლებზე ცილობს, განზე გამდგარა, ცხვარსა ყარაულობს, იმ მგლის ძახილს ყურს უგდებს და აქედან გასძახის:

— მე ისე დაებერდი, რომ ჯერ ჩემი ფარიდან თქვენ ვერა წაიღეთ-რა... ვერც ახლა წაიღებთ...

იორამმა იცნო — ეს ქესარა იყო.

ჩათმის მწვანე მთიდან ისევ ის მგელი ღმუილით ეპასუხება:

— დაიკარგე მაქედან, შე გადაყრუებულო ბებერო, შენა! ჯერ ის შეგჩრჩეს დედაჩემი რომ დაახრჩე... იმის საფლავსა ვფიცავ, ცუდად გადაგიხდით...

შეწუხდა იორამი. იფიქრა — აბა ბებერი ქესარა მარტო რას გახდებო, მობრუნდა, მოკრიბა ცხვარი და თითონაც ყარაულად დაუდგა.

და აი მგლებიც მოეტანენ... ნაქეიფარ მწყემსებს უკვე ღრმა ძილით სძინავთ,

მაგრამ ბებერმა იორამმა და იმ ბებერმა ქესარამაც ისე ვაბუჯური მუხლი ჩაიდგეს, ისე ურბინეს ცხვარს-გარემო, რომ მგლებს ერთი ციკნის ყურიც არ გაატანეს. მწყემსებს ისევ ეძინათ. შუალამისას თოფი რომ დაახალა იორამმა წამოფეთებულ ნადირს, ამ ხმაზე ბინისთავს გამოუღვიძა, სხვა მწყემსებიც წამოიშალნენ, გარს ეხვევიან პაპა იორამს — ავაშენა ღმერთმა, რა კარგ დროს მოხვედიო.

მაგრამ დახეთ კაცის უმაღურობას — მთაზე წასასვლელად ემზადებიან და პაპა შინც არ მიჰყავთ. აღარც ის ბებერი ქესარა მიჰყავთ, წუხელ იორამთან ერთად მგლებს რომ ებრძოდა. ბინისთავი იძახის:

— აბა, ბიჭებო, დავიძრაო... — მერე რომელიღაც მწყემსს გასძახის, — ქესარა ძალიან ამაგიანი ძაღლი იყო, თრიალეთზე რომ წავიყვანათ, შინც ვერ ივლის, გზაში ჩარჩება, გაიტანჯება და ძაღლებიც დათეთქვავენ. ცოდვია მაგისი უხეიროდ სიკვდილი... შენი ქირიმე, ჩადექი მაგის მადლში, გაიყვა ცოტა მოშორებით და დაეცი თოფი...

— მოიცა, შვილო, — აჩერებს ბერიკაცი, — ეგ ძაღლი მე მაჩუქეთ...

ბინისთავი უპასუხებს:

— იმ პირობით გაჩუქებთ, თუ კარგად მოუვლი, ცოდვია მაგისი გატანჯვა...

დახეთ, ასეთი ცოდვა-მადლიცა ყოფილა ქვეყანაზე!

...სინმარი უეცრად წყდება... ბერიკაცი თვალს იფშენებს... მის გვერდით, სკამზე მიტო და ლამარა სხედან... ის ატირებული ბავშვიც კი აღარსადა ჩანს. მიტო მოხუც პაპას ჩასძახის:

— პაპავ, ძლივს გიპოვნეთ... ვიცოდით, აქეთ წამოხვიდოდით... დედამ ტირილით აიკლო სახლი... პაპას ვაწყენინეთ... რათ გამოიქეცი... სოფელში შირბოდი?

— ახლა ველარსად ველარ წაგვიხვალ, პაპავ! — ეუბნება ლამარა და თან თვალები ცრემლებით ევსება.

მოხუცი ხმას არ იღებს, მიტო კი განაგრძობს:

— წავიდეთ, პაპავ, წავიდეთ... მანქანა გარეთ გვიცდის...

— არა, გამიშვი, ბიჭო, — და უცებ წელანდელი სიზმარი ახსენდება, — ცუდ სიზმრებსა ვისწავებ... არ მინდა აქ მოვეკდე, შვილო, შინ გამიშვით!

— გაწყენინეთ, პაპავ?...

— არაფერი, შვილო, აგრემც დედას დაუბერდები... მაგრამ... არ მესვენება, უნდა წავიდე...

— შენი ნებაა პაპავ! მაგრამ იორჯე ნულარ წახვალ. სოფელში სახლსაც ხომ უნდა მიხედვა?!.

მიტომ და ლამარამ მოხუცი ვაგონში აიყვანეს და გამოეთხოვნენ.



ისევ ის ზამთარი აგონდება იორჯის თბილისში ის თითქოს არ იგრძნობოდა, მაგრამ მატარებელი კახეთის თოვლით გადაბენტილ მინდვრებში რომ გამოვიდა, იგრძნო გამოცდილმა მეცხვარემ, თუ როგორ უჭირდათ იორჯე მწყემსებს.

სოფელში აპირებდა წასვლას, მაგრამ გულმა ისევ იერისაყენ გაუწია...

ბინას რომ მიადგო, იგრძნო — იმ მწყემსებმა არ მოატყუეს.

სწორედ იმ ზამთარს ამოათრია ეს მორი ტრაქტორმა იერის ქალებიდან, და მის მერე აქა გდია ისე, რომ მისი არსებობაც დაავიწყდათ.

აგონდება იორჯის ის განსაცდელიანი ზამთარი: რა ხერხი არ იღონა ბერიკაცმა, რომ ცხვარი არ გაწყვეტილიყო...

მაშინ იგრძნო, რომ მისი ცხოვრება ჯერ არ დამთავრებულიყო, ის ისევ საჭირო იყო იორჯე.

ახლა კი სამე კარგად აქვს თარიღიანს და აღარაფერში სჭირდება მოხუცი იორჯამი.

...ეჰ, რა დროს ფიქრია, საცაა მწყემსები მობრუნდებიან, მშვიდრები მოვლენ და იორჯამი კი ვერაფერს დაუხვედრებს მათ...

მაშ იქნებ იორჯამი მართლაც საჭირო აღარ არის აქ, იქნებ გამტყუებელი უსარგებლოა ოდესღაც მანქანის საჩქალი?..

მოხუცი ღრმა ფიქრებიდან მანქანების გუგუნმა გამოარკვია. მანქანებს მთაში გასამეზავრებლად საჭირო სურსათი, საჭურველი და ელექტროსაპარსი აგრეგატი ჩამოეტანათ. იმავე მანქანამ იორჯამი დღის ბოლოს სოფლისაკენ წაიყვანა.

გულდახურული ამოვიდა იორჯამი დაცარიელებულ სახლში.

აქ უარესად მოიწყინა ბერიკაცმა, გული ვერაფერს ვერ დაუღო. ერთთავად დანა ეჭირა ხელში და ჩხირს სთლიდა... ფიქრი ფიქრს მისდევდა.

არ ედგომებოდა სახლში; ან რა იყო აქ საკვირველი — მთელ სივოცხლეში, რაც თავი ახსოვს, იორჯამი შინ სტუმარივით მოდიოდა ხოლმე — ზაფხულში მუდამ თრიალეთზე იყო, ზამთარში — ხან შირვანში, ხანაც იერის საზამთრო საძოვრებზე.

ამ გაუთავებელმა გარეთ ხეტილმა კინლამ გააგარეულა კაცი, გადააჩვია სოფელს, ლოჟინში წოლას, თონეში გამოცხვარ პურსაც, რომელსაც რატომღაც საჯზე შეხანხლული ფათირი ერჩინა...

ახლა ერთთავად იჯდა ეზოში, ჯოხი ეჭირა ხელში და დანითა სთლიდა, ცვიოდა ბურბუშელა და ფიქრიც ფიქრს მისდევდა...

ცარიელი იყო ეს ვეება ეზოც...

მოხუცს მობეზრდა ეზოში ყოფნა, შინ შევიდა, მაგრამ ველარც იქ მოისვენა.

ისევ ეზოში გამოვიდა, დიდხანს იწრიალა აქეთ-იქით და მერე თავმჯდომარისაყენ გაუწია გულმა.

განშობის დრო იყო, როცა იორჯამი ორლობეში გამოვიდა, ნელ-ნელა ჩაპყვა გზას... არავინ შეხვედრია. თავმჯდომარის ჰიშარს რომ მიადგა, მეცხვარის წესისამებრ, როგორც იორჯე იყო მიჩვეული, შორიდან დაიწყო ძახილი, ასე ეგონა ძაღლები გამომეგებებიანო.

ქიშკარი თითონ მასპინძელმა გამოა-
ლო, მთვარის შუქზე ხელი მოიჩრდილა
და მისულს გაეხმიანა:

— რომელი ხარ, ბიჭო?

— მე ვარ, ნიკო... იორამი ვარ...

— შენა ხარ, პაპავ... მერე მაგრე შო-
რიდან რათ მეძახი... მოდი, შენი ქი-
რიმე...

იორამი წამოვიდა. ნიკომ ვერ შეატ-
ყო, რომ ბერიკაცს ფეხი ერეოდა, ქიშ-
კართან რომ მივიდა, წელზე ხელი მოჭ-
ხვია და შინ შეიყვანა.

შინ სუფრა იყო გაშლილი. მაგადას-
თან მიხო იჯდა... ახლა მიშას რომ ეძა-
ხიან, სოფლის აგრონომია და სხვა სა-
ხელი აღარ ეკადრებაო.

თავმჯდომარემ, როგორც სოფლის-
თავი გაუთამამდება ხოლმე ასაკით უფ-
როსებსაც კი, ალერსიანი ხუმრობათ
უთხრა:

— სიღდრსა ჰყვარებიხარ, პაპავ!
კარგ დროს მოგვისწარი...

აგრონომმა იორამის მოღუშულ
შებლს რომ შეხედა, მიხვდა, ბერიკაცს
რალაც დარდი აწუხებდა და სცადა გაე-
ქარწყლებინა მისი მკმუნვარება. ამიტომ
წამოიძახა:

— დარდი არ გამაგონო, პაპავ! შეხე-
დე რა სუფრაა...

თავმჯდომარემ შემოსწრებულს ქიქა
გაუესო და ხმაც არ ამოაღებინა, ისე
მიაგება:

— შენ ტყუილად არ მოხვიდოდი,
დალიე და სათქმელი მერე მითხარი...

სტუმარმა დალია, სული მოითქვა და
უფრო თამამად დაიწყო:

— აღარ შემძლია, ბიჭო, — და რო-
გორღაც იმ შორს შესჩიოდა, ახლაც ის
სიტყვები გაახსენდა, — მარტო ვარ,
შვილო! დარდმა მომიღო ბოლო. საქმე
მომეცი რამე...

— წამოდი ჩემთან! — წამოხტა აგ-
რონომი და მერე თავმჯდომარეს მიუბ-
რუნდა, — მე ჩამძახე პაპა იორამი...

ბერიკაცმა მას უნდობლად გადახედა
და ისევ ნიკოს მიუბრუნდა:

— მინდორში გამიშვი შენი ქირიმე...

— მინდორში? — წაიჭრძელა ნი-
კომ, — აბა სად, რა საქმეზე?

— რა ვიცი, მომიძებნე რამე?

— წამოდი ჩემთან, ალაზნის ბოლო-
ზე. — და აგრონომმა ნიკოს გადახედა.
მოხუცი შეთრთოლდა, იფიქრა, აღ-
ბათ იერის ბოლო უნდა ეთქვაო და
სიტყვაც შეაშველა:

— იერის ბოლოზე?

ნიკოს გაეცინა და მერე თქვა:

— იორი დაივიწყე, პაპავ! შენ იქ
ველარ წახვალ! ალაზნის ბოლოზე იმაზე
ნაკლები საქმე კი არა გვაქვს... დილაზე
გადმოდი ჩემთან, წავიდეთ... მე თითონ
წამოგყვები... ნამდვილად ბერიკაცის
საქმეს აგირჩევ...

რა საქმე აქვთ ალაზნის ბოლოზეო,
ერთი კი გაიფიქრა მოხუცმა, მაგრამ
აღარაფერი იკითხა, ენდობოდა ნიკოს,
ცუდს არაფერს მირჩევსო, თანაც ნი-
კომ ახალი ქიქა გადააწოდა.

გვიანობამდე შეჰყვინენ სუფრას. მე-
ორე დღეს დილით აღრე მიადგა იორამი
თავმჯდომარის ქიშკარს და მისივე „პო-
ბედით“, აგრონომთან ერთად, ალაზნის
ბოლოსაკენ გასწია.



რალაცით ჰგავდა ალაზნის ბოლო იე-
რის ბოლოს. იორამი აქ წინათაც ყოფი-
ლა, მაგრამ ეს ყამირები მაშინ ჯერ გა-
უტტებელი იყო. ახლა კი აქ ბალჩები გა-
უშენებიათ. დადექ, და უყარაულე ბე-
რიკაცო... საქმე მინდაო, და აპა, საქ-
მეს!

ახლა უფრო სულ მარტო დარჩა იო-
რამი.

მთელი დღე ევება ბახჩების დათვა-
ლიერებას მოუწდა. საღამოთი, მეველი-
სათვის მოხუხულავებულ ალაზნის
რომ დაბრუნდა, შიმშილი იგრძნო.

— ბიჭო, იორამ, — ჰკითხა თავის-
თავს, — პური არა გშოიან?..

— შოიან! — თითონვე უპასუხა თა-
ვის თავს...

— მაშ ადექ და გაიყეთე რამე. აა სა-
გზალიც ხომ დაგიტოვეს!

ვახშმის შემდეგ იმ სურსათთან ერთად ნიკოს ჩამოტანილი იყევსის თოფი აიღო და გარეთ გამოვიდა. მთვარის შუქზე ბატკნებივით იწვნენ თეთრი გოგრები, ლურჯი საზამთროები, ოქროსფერი ნესვები, ესენიც ბატკნებივით იწვნენ და სწოვდნენ დედაიწწას. ამიერიდან ამათ უნდა უყარაულოს იორამშია, ამათ მოფეფროს. ისევ შინ შებრუნდა, იქაც ველარ მოითმინა, გამოვიდა, გადასწვია ფოთლები და როცა ისევ დაინახა ის საზამთროები, გუნებაში ჩაიცივნა — რაო, ვითომ წაიფილოდნენ საითმე, ბატკნებივით დაიფანტებოდნენ?.. რისა ეშინიან იორამს?

კიდევ დიდხანს იარა, დიდხანს ათვალეირა ვეება ბახჩა... მერე საღდაც სიმინდებში გავიდა და უეტრად გაახსენდა, რომ ეს სიმინდებიც მას ჩააბარეს.

ლამით, დაქანცულს, ღრმად მიეძინა.. და უეტრად მგლების ბუბუნი გაიგონა, როგორც იმ სიზმარში, სადგურზე რომ ნახა... მომეჩვენაო, გაიფიქრა და მხარი იცვალა... არა, ეს ხომ სიზმარი აღარ არის, ღვიძავს და მაინც მგლების ბუბუნი ესმის, სწორედ ის ხმა ესმის, როცა ისინი დიდ თავდასხმას აწყობენ. გულა აღარ გაუჩერდა, თოფი გადმოიღო, მხარზე გადაიკიდა და გარეთ გამოვიდა.

მთვარე გადმობრწყინებულიყო ალაზნზე, ღღესავით ღამე იყო და მაინც არ დაუჯერა იორამმა თავის თვალებს — მგლების გროვა დასცემოდა ბაღჩას ისე, როგორც ფარებს დაეცემიან ხოლმე. და როგორც ფარებში ყელსა ჰლაღრავენ ცხვარს და არ კი სჰამენ, მგლები აქაც ხეთქავდნენ საზამთროებს, და მერე ახლებზე გადადიოდნენ.

ეს ჯერ არც ენახა და არც გაეგონა მოხუც მეცხვარეს.

„როგორ ახერხებენ მათ დახეთქვასო“, გაიფიქრა და თითონვე უპასუხა თავის თავს:

„კამეჩის ძვლებს ამტვრევენ, ამ საზამთროებს როგორ ვერ მოერევიანო“.

იერიდან არიან ალბათ წამოსულები. და საკეტში ჟაკანის ტყვია ჩასდო ბერიკაცმა.

თოფის გრიალმა მთელი ხეობა შესძრა.

დაუპატიეებელი, მაგრამ ძველი ღროიდან ნაცნობი სტუმრები, რომ გაიცილა და გადაარეკა, იორამი ქოხში დაბრუნდა, გულმა არ გაუძლო. როგორც ბატკნებს ფარებში, ისე ვახვედა ბაღჩას.

დილით ძლივს-ლა მიღულა თვალი... „პაპავ, პაპავ!“ — ჩაესმოდა, ვილაც აღვიძებდა... თვალები გაახილა. მის წინ აგრონომი იდგა.

შუეს უკვე ამოუხედნა კაეკასიონზე. აგრონომმა მთლად გაღარია მოხუცი. რალაც პატარა სასწორი მოიტანა და ხან ერთი საზამთრო აწონა მოუწყვეტლივ, ხან მეორე, თან ბლოკნოტში უყანასკენელ გრამამდე ყველაფერი ჩაიწერა, მერე თავი გადაიქნია — წონაში აყლიათ. იორამმა ვერ გაიგო რას ამბობდა ეს ბიჭი. ამიტომ ჰკითხა:

— რაო, შვილო, არ მენდობით?..

— არა, პაპავ! — გაეცინა აგრონომს, — ეს მეცნიერული დაკვირვებაა. მინდა შევეამოწმო როგორ იზრდებიან...

იორამი თითქოს დაშშვიდდა, მაგრამ ის ბიჭი რომ წაეიდა, მაინც მწარე ფიქრი აეშალა. საზამთრო და ნესვი აუწონეს, ვითომ რაო, ჩამოაქრის ნაჭერსა თურა? დახე, აქაც აღარ ენდობიან!

ერთი კვირის შემდეგ აგრონომი ახლა საღამოთი ესტუმრა, მთელი ღამე არ დაუძინია. სწონიდა მოუწყვეტელ საზამთროებს, რალაც ისევ იწერდა და დილით უძილო, დაქანცული ისევ უკან გაბრუნდა.

სწორედ იმ დღეს, აგრონომი რომ წავიდა, ბაღჩას ვილისი მოადგა. იქიდან ვილაც უცხო ახალგაზრდა გადმოხტა, მეველის დანახვაზე კოსტუმის უბის ჯიბიდან ავტომატური კალამი და ბლოკნოტი ამოიღო, კარგა ხანს წერდა რალაცას და მერე ბერიკაცისათვის არც შეუხედავს, კვლებში შევიდა, დიდხანს და საგულდაგულოდ არჩია საზამთროები და ნესვები, არჩეულები შოფერს ვილისში შეატანინა და თითონ კი სიმინდის ნედლი ტაროების მტვრევა დაიწყო.

— რას ჩადიხარ, ამხანაგო? — ძლივს ამოიღო ხმა გაოგნებულმა მეველემ, თუმცა ძალიან გაუბედავად ლაპარაკობდა... იცოდა, ეს ქურდი არ იყო, თორემ ასე თამამად არ მოვიდოდა.

კოსტუმთანა თითქოს ახლა შენიშნა მოხუცი მეველე და გაუცინა.

— მე მოსავლის ინსპექტორი ვარ. ზიძია! ეს ტაროები კი, აბა როგორ ავიხსნა, შენ ამ სიტყვას ვერც გაიგებ, მოსავლის აპრობაციისათვის მიმაქვს...

იორამმა მართლაც ვერაფერი გაიგო. მესამე დღეს აგრონომი ჩამოვიდა და ბახჩაში რომ შევიდა, თავში ხელი შემოიკრა.

— ეს რას ვხედავ, პაპავ! გამომპერი ყელი? ეს სიმინდი ვინ გააოხრა?

მოხუცს ის უცნაური სიტყვა აღარ გაახსენდა და ეს-ლა თქვა:

შესამოწმებლად წაიღესო:

— ჰმ, აბა რა დროს ამისი შემოწმება იყო? ჰყინტი სიმინდი ჰყვარებია ვიღაც ქურდბაცაცას... ეეჰ, ეს რა მიყავ, პაპავ? ამერიკული ჰიბრიდი მქონდა ჩვენებურთან შეჯვარებული... ერთი ტარო ძლივს ვიშოვნე, მოსკოვიდან ჩამოვატანინე...

და აგრონომმა ხელი ჩაიქნია.

არა, ტყუილად კი არ ეშინოდა იორამს.

— ინსპექტორი ვარო, შეილო, აგრე მითხრა.

— ინსპექტორი კი არა, ქურდი ყოფილა ის ძალიშვილი... თუ კაცი ვარ, ვიპოვი და დედას ვუტირებ... და შენც, ბებერო, ქურდების ხელისშემწყობი ხარ... მოვტყუედი, აქ რომ წამოგიყვანე..

და საწყალ იორამს ზურგი შეაქცია.

— უცებ ფეხსაცმელების ფაბრიკა გაახსენდა იორამს, იქაც ასე უთხრეს — „ქურდების ხელისშემწყობი ხარო“, მერე თოფიანი კაცი დააყენეს თავზე, მერე სამართლის კარზე წაიყვანეს...

მაშ ისევ თავიდან იწყება ყველაფერი?

აგრონომი ისე წაედა ბაჩიდან, რომ მოხუცს არ გამოთხოვებია.

ალბათ ესეც სამართალში მისცემს... აქი არ უნდოდა ივრიდან წამოსვლა, აქ ერთი ფეხი გადადგა და უკვე ნაპიჯი შეეშალა... თავის ნამუსს ჰქვეყნის ქონებას ანდობდა და დახე, იქნება ისევ ქურდობა დააბრალონი!

მაშ ისევ სამართლის კარზე წაიყვანენ... მაშინ ის დალოცვილის შვილი შეჰხვდა, ის მოსამართლე, მაგრამ კოქი განა მულამ ალჩუზე დაჯდება? ხან თოხანი მოვა, ხან ითაფებს! მაშ დროზე დაიკარგე აქედან, ბებერო, დროზე მოშორდი აქაურობას, მოშორდი ამ ჰქვეყანას, ვიდრე გვიან არ არის...

— ...მეორე დღეს, აღაზნის ბოლოს, ბაჩაში მანქანები რომ ჩაეიდნენ საზამთროს წამოსალეზად, პაპა იორამი ვეღარ იპოვნეს.



როცა ნიკოს უთხრეს მოხუცი უგზო-უკვლოდ დაიკარგო, დინჯი და წყნარი თავმჯდომარე თოფის წამალივით აფეთქდა... მას ახლა-ლა გაახსენდა, ოთხიოდე დღის წინ აგრონომმა რომ უთხრა — მოხუცმა ჰიბრიდები დამიღუპა, მომაშორე თავიდანო, და მოუყვა, თუ როგორ წაეჩხუბა.

— შენ ადამიანის შვილი ხარ? ორი ტაროს გულისათვის კაცი დამიკარგე!... — ბრაზით წამოიძახა თავმჯდომარემ.

— რა ექნა, ნიკო, რა ვუთხარი ისეთი? ამერიკული ჰიბრიდი შეთესა-მეთქო, ჯიში გამოიყვანდა...

— გაქრეს შენი ჯიში, შე უმადურო შენა...

მაგრამ ჩხუბი საქმეს აღარაფერს უშველიდა. ბერიკაცი საჩქაროთ უნდა ეპოვნათ...

მეხუთე დღე იყო და იმისი კი სახსენებელიც არსად იყო.

შეძრეს მთელი ჰქვეყანა, დაუწყეს მოხუცს ძებნა ყველგან, სადაც კი მას წასვლა შეეძლო.

საქმეში მალე პროკურორიც ჩაერიო. აცნობეს თბილისში შეილსაც. ჩამო-

ვიდა ლევანიც და ატრებული ლამარაც
თან ჩამოჰყვა.

ვილაც ლაგოდხელ კაცს ეთქვა, იო-
რამი ზაქათალაში ვნახეო, აფრინეს კა-
ცი, ტყუილი გამოდგა.

იქნებ თრიალეთისაკენ გასწიავ, იფ-
იქრეს, იქაც გაგზავნეს კაცი, მაგრამ ეს
ცდაც ამაო აღმოჩნდა.

ვილაცამ ძვლებიც მოიტანა, ნახშირ-
წყალზე მკლებს კაცი გამოუხრავთო,
მაგრამ ის ძვლები აღამიანისა არ გამო-
დგა.

პაპა იორამი აღარსად იყო...

დაიკარგა კაცი... იტირეს, იღარდეს
და გამოიგლოვეს კიდეც.



მთელ სოფელს ეწყინა ბერიკაცის და-
კარგვა, მაგრამ ყველაზე მეტად მეცხვა-
რეებს დასწყდათ გული...

იმ შემოდგომაზე თრიალეთიდან
ცხვარი რომ დასძრეს, მგლოვიარესავით
წამოვიდა თარიმანი. რაც უფრო უახ-
ლოვდებოდა კახეთს, უფრო გული უტი-
როდა...

თავმჯდომარე, როგორც წესი იყო,
ჯერ ისევ საგარეკახეთო მინდვრებში
გაეგება მეცხვარეებს. წესად ჰქონდა
ნიკოს — ცხვარი ჯერ მოახლოვებულაც
არ იყო, გზაში შეხვდებოდა ხოლმე.
ცხვრის დათვლიერებით ნიკო ახლა
კმაყოფილი იყო და თვალთ თარიმანს
ეძებდა, რომ მადლობა ეთქვა. მან კი
სიტყვაც აღარ დააცალა, ისე მიახალა:

— ნიკო, ეს რა ჰქენით, კაცო? ი ბე-
რიკაცი სად დაკარგეთ...

ნიკოს უეცრად ჩაუქრა ღიმილი და
განზე გაიხედა. ძლივს-ღა ამოთქვა:

— რა ექნა, თარიმან? ქვეყანა შეე-
ძარი... დარღით აღარა მძინავს, ბიჭო..
განა მე არ მენანება?!

— ბიჭები იგეთები არიან, ნიკო, დანა
პირს არ უხსნიო... აგრონომს ემუქრე-
ბიან...

— ეჰ, ეგ რა საჭიროა, თარიმან?

— ერთი მაგრად მოვებევამთ და
გულს ზომ მოვიფხანთო, ამბობენ! მეც

მემდურთან, რატომ არ წამოიყვანეო,
იგრე გაუფრთხილდებოდით პაპასა, რო-
გორც საკუთარ თვალმსაო!

— ბიჭო, მეცოდებოდა და იმიტომ
არ გაგატანე, ქართველო! კარგი შედე-
გიანი ბალახი კი ყოფილა! — ბანზე გა-
დაუგდო სიტყვა.

— ეეჰ, ბალახი რა? თრიალეთზე ბა-
ლახს რა გამოლევს.

ცხვრის ფარებმა ლაკბისხევი გად-
მოსქრეს და ივრის საზამთრო საძოვრე-
ბისაკენ დაუყენენ.

აგერ შორიდან ჩათმის მთებიც გა-
მოჩნდა, გადმოლმა ხომ მათი ფარებია..

მაღე მწყემსებიც და ცხვარიც თა-
ვიანთ საზამთრო ბინაზე იყენენ.

თავმჯდომარე და ბინისთავი ნელ-
ლა ათვლიერებდნენ ბინას, წინა ზამთ-
რებმა მათ ბევრი რამ ასწავლა და ახლა
უნდოდათ, ყველაზე უძნელეს ზამთარ-
საც მზად დახვედროდნენ.

— ამავიანი კაცი ხარ, ნიკო! — წა-
მოიძახა უცებ თარიმანმა — შე კაი კა-
ცი, მე სულ ვნანობდი, მაგ ჩატეხილი
ფარდის ამბავი ნიკოს ვერ შევატყობი-
ნე-მეთქი... დახე, უჩემოდაც გიფიქრია.

— რას ამბობ, ბიჭო, რომ არ მეს-
მის... — წამოიძახა ნიკომ.

— რა არ გესმის კაცო? შენს გარდა
ჩვენთვის თავს ვინ გაიცხელებდი?..

ნიკო შეცბუნებული უცქეროდა ბი-
ნისთავს... ის კი განაგრძობდა:

— ეპეი, ნიკო, შენი ჭირიმი, შენი...
კაცის პირში ქება არ მიყვარს, მაგრამ
შენისთანა თავმჯდომარე ტყუილია,
ძმავო... ეს კორაკანები როდის-ღა დააწე-
ნევიენ, კაცო!

ნიკომ ახლა კორაკანებს გადახედა,
თვალბრის არ დაუჯერა, ხელით შეეხო
და თარიმანს მოუბრუნდა.

— თარიმან, რა ექნა, თქვენი თავი სა-
და მქონდა, ძმავო! იმხელა მოსავალი
იყო, ზღვად გასკდა ის ტიალი შირაქი...
შენ ვილას ახსოვდი...

— მაშ ვინ დაწნა ესენი, ბიჭო?

— აბა, რა ვიცი... ის კი გამიგონია,
ეშმაკებმა ცხენი თუ დიმიარტოხელეს,
ძუასა და ფაფარს ისე დაუწნავენ ხოლ-

მე, თითქოს ეშხიანი გოგოს ნაწნავე-ბიო... აბა ახლა ეშმაკები აღარ არიან და რომ იყვნენ კიდეც, მაგ კორაკანებს მაინც არ დასწანედნენ, შრომადღეს არ დაგვიწერენო!

თარიღიანმა გაიცინა. ნიკოს კი რაღაც აზრმა ელვასავით გაჰკრა თავში, მან უცებ დაკარგულის კვალი იპოვნა და მთელი ხმით იყვირა:

— ჰაი, შენი ჭირიმე, იორამ, გამოდი პაპავ! სადა ხარ, კაცოოო!

თარიღიანს ჯერ ეგონა თავმჯდომარე გაგიტდაო, ნიკო კი ისევ ყვიროდა:

— სადა ხარ, პაპავ! ეპეიი, იორაამ!

თარიღიანიც უეცრად მიხვდა ყველაფერს და ბანიც მისცა თავმჯდომარეს, იმავე წუთს ფარეხის ბნელი კუთხიდან აწოწილი ლანდი წამოვიდა და ხმაც გაისმა:

— მე შექაბით, ბიჭებო?

საოცრად ნაცნობი ხმა იყო.

— პაპავ, შენა ხარ? ცოცხალი ხარ?

— პაპავ, რაზე გაგვაწვალე?..

თარიღიანი ნიკოს მოუტრიალდა:

— ნიკო, აკი ქვეყანა გადმოვატრიალეთ ძებნითაო... აქ ვერ ჩამოხვედით?..

— რა ფიქრს მოვიდოდით, კაცო! აქ, ამ ივრის ბოლოზე, კაცის შვილი არ ჩამოდის ზაფხულში...

ბერიკაცი თარიღიანს ეხვეწებოდა:

— შენთან მამყოფე, შვილო! ცოდო ვარ, ბებერი ვარ...

— ეჰ, პაპავ! თრიალეთზე რომ ვერ ივლი?

— რას ამბობ, ბიჭო? არ იცი, რომ სამართლის კიბე თრიალეთზე უფრო ძნელია?

საუბარში ნიკო ჩაერია:

— სამართალს შენთან ხელი არა აქვს, პაპავ, ის მარტო ცუდ კაცს დასდევს... შენ კი, ნეტავი, ჩვენ, ყველანი შენისთანები ვიყოთ!..

ფარეხში ბნელოდა და ნიკომაც ამიტომ წამოიძახა:

— გარეთ გამოდი, პაპავ, სინათლეზე მიხდა დაგინახო!

ბერიკაციმა შემოდგომის მზეზე თვალები მოიფშენიჭა და მიღამოს გაჰხედა, ისევ ისეთი იყო იორი, როგორც გაზაფხულზე, ისევ ლურჯად კრთოდა ცა ჩათმის მთის თავზე, ისევ ნაცრისფერი იყო ის ნახევრად უდაბნოსებური მიწა, რომელიც თრიმლის ბურქებს წბთელ აღმურში გაეხვიათ.

და ისევ ვერ გაიგებდი გაზაფხული იყო თუ შემოდგომა იორზე.

ვერც იმას მიხედებოდით, ქაბუკი აყო იორამი თუ ღრმა მოხუცი, რომელსაც გზათუკან წანწალი აღარ შეეძლო.

მტრედისფერი ბინდი ნელნელა წვებოდა ჩათმის მთებზე.



ყავარის ლექსი

მიხარია, თავზე ქოხი მაფარია,
ჩემი შნო და ჯავარი.
ხან წვიმების ზღაპარია,
ხან კი ქარში გაფრენილი ყავარი...

მიხარია ცა მგრგვინავი,
ცაზე ელვის ქამარი.
როდის მოვა ამირანი
მომიტაცოს ყამარი?

ცხოვრება მაინც არის ცხოვრება

ცხოვრება მაინც არის ცხოვრება,
იქნებ იმისთვის ლამაზი უფრო:
შენს ნაცვლად იმ ბიქს სხვა ეტოლება
და საპატარძლოც სხვა უზის სუფრას.

ცხოვრება მაინც არის ცხოვრება
მერე რა, თუკი წაიქეც წამით,

გაზაფხულივით განმეორდება,
მკერდს რომ შეგიმტვრევს ლექსების
პწკარი.

ცხოვრება მაინც არის ცხოვრება.
თუ გულს პატარა იმედი დასდევს:
წავიდა, მაგრამ ემახსოვრები
და ერთხელ მაინც შეხვდები სადმე.

მგზავრი

დღეს მხოლოდ შენკენ... თეთრი ბაქანი
ახლა ხმაურობს სხვა გამჭაფრებით.
დღეს მხოლოდ შენკენ გამომაქანებს
ჩემი ოცნების ლურჯი აფრები.

ვაგონის გარეთ მცხეთა უცვლელი,
ზაფხულის ღამე შემოდის შიგნით,
ეს შერამდენედ გადავფურცლავი,
შენთვის რომ მომაქვს პატარა წიგნი.

გზაზე შეხვედრილ პირქარს მივპაობ,
თუ ფიქრებს მივდექ თავგამეტებით...
და ვარსკვლავებში შორით კიაფობს
თეთრი კლდეები, თეთრი სვეტები.

მეც იმ ვარსკვლავთა ნაპერწკლებს
ვიჭერ დაბლა დაცვენილთ ზეცის უბიდან,
ქსანში ამოვა პატარა ბიჭი
შვლის თვალებით და სველი თუნგითა.

დღეა მტირალა თოთოს მიხედავს,
ვილაცა ამბავს დაიწყებს ზანტად
და მერე, გვიან უფლისციხემდის
ალარ ჩადგება ხმაური მგზავრთა.

ხაშურის ველზე წვიმა წანწკარა
ვერცხლის ევენებით მიმოფანტული.
ლიხი პატარა!
ლიხი პატარა!
ჩვენი გულების დიდი სადგური.

ეს ნაწვიმარი წამიც მაცალეთ
ზევით, ფიქვენარში იქნებ ვინ ადის?
მაგრამ მოუსწრებს ძილი წამწამებს
და ბნელში შიქრის წიფის გვირაბი.

და როცა მარისხს, ვერცხლის თმებიანს,
ცა გაანაზებს მეტის ფერებით,
კოლხეთის გზაზე შემომხვდებიან
ზღვა და რიყრავი მტრედისფერები.

შენს თვალებს ვხედავ, ჰკვიანს,
უნაზესს,
შენი თვალების ცეცხლით ვინთები,
მაგრამ... სამშობლოს ღამაზ რუკაზე
რათ ფითრდებიან ჩემი თითები?

თურმე მგზავრობის სურათებს ვიჭერ
ჩემი თბილისის ცხელი უბიდან...
და ქსანში იცდის პატარა ბიჭი
შვლის თვალებით და სველი თუნგითა.

ამ სიტყვებზე!

რად გელიმება როდესაც ვიტყვი,
ჩემს ფანჯარასთან ჩამოჯდა ჩიტი,
და გალობს ისე და ისე გალობს,
მეც მაწვალებს და თვითონაც წვალობს.
მერე რა არის აქ სასაცილო
ინდოელიც და ჩინელიც ცდილობს

შეებმატკბილონ ჩიტს ერთნაირად,
მათ მიაჩნიათ მაღალ შაირად
მისი სტვენა და მისი სიმღერა.
აქ სიცოცხლეა, ჩემო, იმხელა
ვერ მოიქცევი შენც სხვანაირად.

მე არ მეგონა...

მე ზრასოდეს არ მიფიქრია,
თუ წლები ასე სწრაფად მიქრიან.
მე არ მეგონა,
არ გამეგონა
თუ კაცი ასე ჩქარა დუნდება.
ახალგაზრდობა შემომელევა
და ისევ აღარ დამიბრუნდება.
მე არ მეგონა წაბლისფერ თმაში

გაერეოდა ერთი ჭაღარაც,
თითო-ოროლა ლექსების თქმაში,
დაიღლებოდა მგოსნის ჭაღარაც.
მე სულ არ მინდა ჩემი ხალისი,
რომ მიჰყვებოდეს წლების ქარავენს —
ბუნების მეფეს,
ქვეყნის მბრძანებელს
მეტი სიცოცხლის ნება არა მაქვს?!

მუსიკის ხმაში

ჩემს შეილს თენგიზს

შენც უკრავ, შეილო, შენი თითები
ირგვლივ ფანტავენ ბგერებს და
ფერებს.
კვლავ ახალგაზრდა კაცად ვითვლები,
შენი შემყურე რა დამაბერებს.
რა დამაბერებს მუსიკის ხმაში,
ახალგაზრდული ბრწყინავს იერი.
არ გამერევა ჭაღარა თმაში,
არ გათეთრდება თმა უსიერი.

როცა პირველად წვერს გაიბარსავ,
მამაკაცობას იგრძნობ პირველად,
იღუმალების შეალებ კარსაც —
მოგეჩვენება გასაკვირველად
ეს მშვენიერი ქვეყანა ჩვენი,
და თვალწვედენი ცხოვრების ჩქამიც,
და ეს მუსიკა, ეს მამაშენიც
და ეს წარმტაცი სიცოცხლის წამიც.



მინიატურები

მძინარა მუხა

ტყეში სიბნელე იყო. ის ადგილი, სადაც ცა უერთდებოდა ტყეს, ბაცად მოჩანდა, ქარი არა ჰქროდა, ხეები არა შრიალებდნენ, ტყეს ეძინა.

— რა სიჩუმეა, — თქვა მუხამ და ტოტი გასწია ნეკერჩხლისაკენ. — სძინავს, — ამოიოხრა მან, — მთვარე მაინც ამოვიდეს. მთვარემაც დაიგვიანა, რა სიბნელეა! აი, იქით თხმელასაც სძინავს; გავალევიო? — გაიფიქრა მან, მაგრამ ტოტი ისევ ჩამოუვარდა. — რად ვალევიძებ, იქნება მეც ჩამეძინოს.

მუხა გაირინდა. თითქოს ჩასთვლიდა, მაგრამ არა. ბურანში წასული ელოდა მთვარის ამოსვლას.

— არ მეძინება, მთელი ღამეები ასე მღვიძავს, აჰა, მთვარეც ამოდის! — შვეებით დაიშრიალა მუხამ.

ტყის უკან ცას ფერი შეუკრთა, გაცრიკდა, ხეებმა სიბნელიდან ამოიწიეს, მთვარის შუქში მძინარე ხეები გამოჩნდნენ. მთვარე ამოვიდა, მაგრამ ტყე ისევ დუმდა, ტყეს ისევ ეძინა. მხოლოდ მუხა ტუბებოდა მთვარის ამოსვლით. ხაცხე მთვარე შუაგულ ტყეში ხეებს შუა გამოცურდა.

— რა ღამეა! ნეტა სხვებსაც ეღვიძოთ, — გაიფიქრა მუხამ და მიიხედ-მოიხედა.

ტყეს ეძინა, ტყე ისევ დუმდა. მკვდარივით ეძინა ნეკერჩხალს. მთელი დღე კორობით მოლლილი თხმელა მშვიდად ფშვინავდა ძილში, ნაზად სუნთქავდნენ ნორჩი არყის ხეები.

— სძინავს, ყველასა სძინავს. ერთხელ მაინც ნახონ ასეთი ღამე! — შრიალებდა მუხა.

მთვარე გაიცრიცა, გათენდა, მოქანცულ მუხას ჩაეძინა.

ქარმა დაუბერა და ტყე გააღვიძა. ხეები აშრიალდნენ.

— რა ღამე იყო! — გაიზმორა ნეკერჩხალი და ნამძინარევი ტოტები გაშალა.

— რა მთვარიანი ღამე იყო! — ჩაიცინა თხმელამ და ტოტი დასწია.

— მუხას კი ისევ სძინავს. — ჩაერივნენ ლაპარაკში არყის ხეები და ფოთლები შეათამაშეს.

ნეკერჩხალმა გადაიხარხარა.

ამ ხარხარს სხვებიც აჰყენენ და საცოდავად მთვლემარე მუხისაკენ გაიწოდეს ტოტები.

— მძინარა, სულ ასე სძინავს მთელი ღამეები! — ბუბუნებდნენ ხეები.

ტყე ხარხარებდა.

— დაველწოთ მუხა, ეგ ღირსი არ არის, ჩვენს ტყეში იღგეს! — იშუქრებოდნენ ხეები და მუხისაკენ იშვერდნენ ტოტებს.

ფიჭვის ბაე

ფიჭვები გარინდებული იღვნენ. დახეთქილი ქერქიდან მზუზე გამდნარი ფისი გადმოსდიოდათ.

ფეხი სრიალებდა ხეების ძირში დაცვენით გამხმარ წიწვებზე.

არ იძვროდა ფიჭვების სურნელებით გაქლენთილი ჰაერი.

ისინი ბებერი ფიჭვის ძირში ისხ-

დნენ. ორივენი ახალგაზრდები იყვნენ. ისინი დუმდნენ და მხოლოდ ჩრდილისაკენ გადაიწევენდნენ ხოლმე, როდესაც ფიჭვის ტოტებში გამოპარული მზე შეაწუხებდათ. ბედნიერები იყვნენ და არა ლაპარაკობდნენ, მაგრამ ასე ჩუმად ყოფნაც უხერხული იყო და ამიტომ

ხან ერთი არღვევდა ღუმელს, ხან მეორე.

— თმებში ფიჭვის გამხმარი წიწვები გაგხლართვია, — უთხრა ვაჟმა.

— მართლა? — გაელიმა ქალს და თავი გააქნია. თმიდან წიწვები ჩამოსცივდა.

ამაზე ორივეს გაეცინა. ისევ გაჩუმდნენ.

ტყეში ცხელოდა, მაგრამ ისინი ვერა გრძნობდნენ ამ სიცხეს. მათ ლაპარაკი უნდოდათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ.

— მიამბე რამე, — დაარღვია სიჩუმე ქალმა და მზისაგან გაწითლებული სახე მოიჩრდილა. ფიჭვებში საღაც კიდევ გამოიპარა სხივი და სახეზე მიადგამან ჩრდილისაყენ გადაიწია და ხელი უცაბედად ვაჟის ხელზე მოუხვდა. ქალმა ხელი უცაბად გასწია. უფრო გაწითლდა, და რომ ეს გაწითლება დაეფარა, ოდნავ გაჯავრებით უთხრა:

— მიამბე რამე, რამდენჯერ უნდა გთხოვო!

— რა გიამბო, — თვითონაც შეწუხებულმა უპასუხა ვაჟმა და მზემოკიდებულ სახეზე სიწითლემ გადაუარა.

— აი თუნდაც ამ ტყეზე.

ეს აღვილი იყო.

— კარგი, — მიუგო ვაჟმა და მართლაც მოაკყვა ტყის ამბავს. ის ლაპარაკობდა მკაფიოდ, დაბალი, სასიამოვნო ხმით მზისაგან და ლაპარაკისაგან აწითლებული. ახლა აღარა რცხვენოდათ ერთმანეთისა და ერთმანეთს უცქეროდნენ. ტყე მათ თვალიდან ხან ეღვებოდა, ხილისაგან თრთოდა, ხან მზისგან დაქანცული ზანტად ილიმებოდა.

ტყესაც თავისი ცხოვრება ჰქონდა.

ფიჭვები ერთმანეთს აღარა ჰგავდნენ ახლა, ყველა ხეს ჩრდილივით მოსდევდა თავისი წარსული.

ტყეში ერთი ფიჭვი არ ირჩუნოდა.

ტყე გარინდებულყო.

ორივენი კმაყოფილები იყვნენ, რომ იპოვეს საერთო საგანი, რის ირგვლივაც შეეძლოთ ელაპარაკათ. ისინი იცინოდნენ ტყესთან ერთად და გული ეკუმბობოდათ, როდესაც ქარისაგან წაქცეულ ხეებს მოიგონებდნენ.

მზე გადაიხარა. ტყეში ჩრდილები გაწვა.

ქარმა დაუბერა და ხეები შეარჩია.

ტყე აშრილდა.

ისინი კვლავ ღუმდნენ.

დღე გავიდა. ეს დღეც დაჰკარგეს. მათ ხომ სულ სხვა რამ უნდა ეთქვათ ერთმანეთისათვის? მაგრამ დღევანდელი დღით უფრო კმაყოფილები იყვნენ, ვიდრე გუშინდელით. მათ ილაპარაკეს... სულ ერთი არ არის, რაზე?

გავიდა კიდევ ერთი დღე.

გავიდა კიდევ ერთი თვე.

გავიდა მთელი წელიწადი.

ფიჭვის ტყე მათ მოგონებაში დარჩა, როგორც ხელშეუხებელი სიყვარული. ფიჭვის ტყე მათ აგონებს ახალგაზრდობის პირველ წელიწადს, ფიჭვის ტყესავე მთლიანად დათენთილს თავისივე ბედნიერებით.

ისინი ფიჭვის ტყეში ისხდნენ.

ისინი ტყეზე ლაპარაკობდნენ.

იმიტომ, რომ მათ ერთმანეთი უყვარდათ.

მათ ჯერ სიყვარულზე ლაპარაკი არ იცოდნენ.

ტყე

მე ტყის მახლობლად დავიბადე და იქვე დაიბერდი. ტყე ძალიან მიყვარს, მაგრამ ამ ბოლო დროს რატომღაც მაშინებს. უცნაურად გუგუნებს, შემზარავად და...

მაგრამ როგორ მიყვარდა ტყე! უზარმაზარი ხეებია ირგვლივ ბებერ

ტყეში, მაგრამ აქ-იქ ნორჩი ხეებიც გამოერევა. აქ დავდიოდი ხშირად და მიკვირდა, საიდან იცოდა ტყემ სწორედ ის ზღაპრები, რომლებიც მე მიყვარდა. ის ხმადაბლა ლაპარაკობდა, ახველებდა და მე შეშინებული აქეთ-იქით ვეყურებოდი.

მე წამოვიზარდე. ზღაპრები გადამოვიწყდა და ტყეც გაჩუმდა, აღარც ტყეს ახსოვდა ზღაპრები. მე ერთი ახალგაზრდა ქალი შემოვიყარა და ტყესაც ვილაღ შეუყვარდა. ახლა ისიც მხოლოდ სიყვარულზე ჩურჩულებდა. ათასი რამ იცოდა, ათასი სიყვარულის ამბავი ახსოვდა. მივიკირს, როგორ არ იღლებოდა ამდენი ლაპარაკით!

და მე სულ ტყეში მინდოდა ყოფნა. დადგა დღე და მე მიწაზე დამხოზილი მწარედ ვტიროდი — ლალატის შხამი მეც ვიგემე და ტყეც გმინაუდა.

გავიდა დრო. მე დავიწყებას მივეცი სიყვარულს ამბები და ტყესაც აღარავინ უყვარდა. ისიც დუმდა. ხმას არ იღებდა, იმასაც თითქოს, ჩემს ჯიბრზე, აღარაფერი ახსოვდა.

კიდევ გავიდა დრო. მე დავებრდი და ტყეც დაებრდა. მე ხან მკლავი მტეხავს და ხან ფეხი მიბუჯდება. ახლა ტყეც სულ კენესის. იმასაც ხან რა სტეხავს და ხან რა. ერთთავად სიბერეს უჩივის, ზამთარში ქარი არ ასვენებს და ზაფ-

ხულში მზე ველარ ათბობს ძველებურად. მაგრამ მე ჩემი ტკივილები მაწუხებს და სხვისი ჩივილის გავონების თაყვი აღარა მაქვს.

ტყეში მაინც დავდივარ.

კიდევ გავიდა დრო. ახლა იშვიათად ვესტუმრები ხოლმე ტყეს, მაგრამ როცა კი მივდივარ, მუდამ თავებდს ვიწყველი და სიტყვას ვაძლევ ჩემს თავს, რომ ტყეში აღარ წავალ. რატომ? იმიტომ რომ ტყე ძალიან გამოიცვალა. ის ტყე აღარ არის, რაც იყო. ახლა ტყე რაღაც ჩრდილებით არის საესე. ხან სად გადაირბენს ჩრდილი ჩემი რომელიმე ძველი მეგობრისა, ხან სად; ჩრდილები იმ ადამიანებისა, რომლებიც ამქვეყნად აღარ არიან. მე ვიმუქრები, რომ ტყეში აღარ წავალ, მაგრამ ისევ მალე მაიწყდება ჩემი მუქარა და კვლავ მივდივარ ბებერი ტყის სანახავად, ნუთუ სულ ასე იქნება? ნუთუ სულ აღარ მოაგონდება აღარც ზღაპარი, აღარც სიყვარულის ამბავი?

მახინჯი ვერხვი

მახინჯი იყო ვერხვი, ისეთი მახინჯი, რომ მთელ ტყეში გამოირჩეოდა. ტანი ორგან ჰქონდა ჩახნექილი, ტოტები ერთმანეთში გადახლართული და კორძიანი.

არავის უყვარდა ვერხვი, არ უყვარდათ იმიტომ, რომ მახინჯი იყო. იგი შრიალსაც ვერა ბედავდა, ისე იყო დაშინებული თავისი სიმახინჯით. ფოთლებს ერთიერთმანეთს მიადარებდა და გაუჩნდებოდა. მხოლოდ ღამით კენესოდა მახინჯი ვერხვი.

— რა დაეშავე ასეთი, რომ ფოთლებიც ვერ ამიშრიალებია. — დუდუნებდა იგი.

— დაიშრიალე, დაიშრიალე, ახლა ხომ ღამეა, ახლა ვერავინ გაიგონებს. — აგულანებდა იქვე ფესვმაგარი მუხა. მხოლოდ ის ელაპარაკებოდა მახინჯ ვერხვს.

— მახინჯი ვარ, ყველას ვეჯავრები, — კენესოდა ვერხვი.

— ტყე ძილშია, ახლა გაქვს დრო, დაიშრიალე! — ამხნეებდა მახინჯ ვერხვს თამამი მუხა.

ტყე მართლაც ძილში იყო. მთელმარე ხეები ოდნავ ტორტმანებდნენ, მხოლოდ ვერხვს არ ეძინა. მას შრიალი სწყუროდა, მაგრამ ვერ გაებედა, ეშინოდა; უცებ ქარმა წამოუბერა, ვერხვმა თავი ველარ შეიმავრა — ფოთლები აათამაშა, ტოტები გაშალა და მძლავრად შეიჩხა. ფოთლების უცნაური ძლიერი შრიალი მოისმა. ამ შრიალზე გაიღვიძა ტყემ.

— ასე მძლავრად ვინა შრიალებს ამ შუალამისას! — კითხულობდნენ ქედმაღალი ხეები.

— მახინჯი ვერხვია, — უპასუხა ამაყად მუხამ.

— მახინჯი ვერხვი? — დაცინებით იკითხეს ხეებმა და ვერხვისაყენ მიიბრუნეს ტოტები.

მახინჯი ვერხვი უცნაურად იგრიხებოდა, მიწისაყენ იზნიქებოდა და მძლავრად შრიალებდა. ახლა უფრო მახინჯი იყო, ვიდრე ოდესმე, მაგრამ უკვე ვერაზინ ამჩნევდა მის სიმახინჯეს.

ტყე და ბალახი

ტყე გმინავდა. ქარიშხლისაგან იღუწებოდა. გადატეხილი ხეები სიცოცხლეს ეთხოვებოდნენ. ერაზელ კიდე მძლავრად დაჰქროლა ქარმა და ჩადგა. ტყემ ამოიხუნთქა.

— გადავრჩით! — ხმადაბლა უთხრა ვერხვმა მუხას.

მუხამ ხმა არ გასცა, ფოთლები შეარხია და წვიმის წვეთები ჩამოიბერტყა.

— გადავრჩით! — დაიშრიალეს კვლავ ხეებმა.

მაგრამ ამ დროს ქარმა ისე ღონივრად წამოუბერა, რომ ხეები მიწაზე დააწვინა.

— რა მწარე ყოფილა სიცოცხლე! — ღმუროდა ტყე.

ხეები ერთმანეთს აწყდებოდნენ. ტოტებს ლაწალაწი გაჰქონდა, ნორჩი ფოთლები ეფინებოდა მიწას.

ტყე გარინდებული უგდებდა ყურს ვერხვის შრიალს.

ამის შემდეგ ტყეში ველარაგინ ზედავდა მახინჯი ვერხვის დაცინვას. როდესაც ვერხვი შრიალებდა, მაშინ ტყე ღუშდა.

ხეების ძირში სამყურა ბალახი ოდნავ თრთოდა.

— რა კარგია სიცოცხლე! — შრიალებდა სამყურა ბალახი.

— რა სიმშვიდეა ტყეში! — ეუბნებოდნენ სამყურები ერთმანეთს და მრგვალ, ტუპუბად შეკრულ სრიალა ფოთლებს ატყლაშენებდნენ.

ტყეში ქარიშხალი დათარეშობდა. ხეები სიმწარისაგან იგრიხებოდნენ, მიწისაყენ იზნიქებოდნენ, ქერქი უსკდებოდათ.

— დაგვეწა ქარიშხალმა! — ღმუროდნენ ხეები.

სამყურა ბალახი ისევ უდარდელად შრიალებდა. უდარდელად თრთოდნენ ქარზე სამად გადაშლილი მრგვალი ფოთლები.

ყვავილები მდინარეზე

მდინარეს დავეკერი. წყალი ხეებიდან ჩამოცვენილ ყვავილებს მოატეტივებს. მე მიყვარს ცაცხვის ეს წვრილი ყვითელი ყვავილი.

გეოლოგურ პარტიამი ვარ. საღამო ხანია. მარშრუტიდან ვბრუნდებით. ტყე-ტყე მოვდივართ. ტყე მოფენილია ხეებიდან ჩამოცვენილი ყვითელი ყვავილით. ყვითელი ყვავილები სქლად აღვს ხეების ქვეშ. ჩვენ უხმოდ მოვაბიჯებთ.

მას თმაზეც ეს ყვავილები აყრია, მაგრამ არასოდეს არ იბერტყავს. არ ვიცი, რატომ! იცის, რომ მე ასე მომწონს მისი თმა ზედ დაცვენილი ყვითელი ყვავი-

ლებით? ალბათ. მე არაფერს ვეუბნები და ისიც ღუშს. ან რა სალაპარაკოა, რომ ასე უხდები ყვავილები! იგი არა გრძნობს, რა ლამაზია. არც ყვავილები ამჩიებებს და მსუბუქად მიდის ტყეზე.

ჩვენ დიდრონი ხეების ქვეშ ვსხდებით. ოჰ, როგორ მინდა ვუთხრა, რომ მიყვარს. მაგრამ სწორედ ამ ერთი სიტყვის თქმა მიჭირს. სწორედ ამ ერთ სიტყვას ვერ ვამბობ. მზე ჩადის. წასვლას დრო ახლოვდება.

— ახლავე მოვალ, აი, იმ ყვავილებს დავკრეფ, — მეუბნება იგი და ტყის შუაგულში პატარა მინდვრისაყენ იყუ-

რება. — იქ აუარებელი ტყის ყვავილებია.

— მე დაგიკრეფ, — გაუბედავად ვთავაზობ.

— არა, მე თვითონ დაეკრეფ, მამაკაცებმა ფერების შერჩევა არ იციან. — მას ეშმაკურად ეღიმიება და ზურგჩანთას ძირს აგდებს.

იგი ხეებს ეფარება.

ჩემს წინ მისი ხელით დაწერილი ღია ბარათი გდია.

„ჩვენ ისევ ტყის მახლობლად ვცხოვრობთ“ — იწყებს იგი და თითქმის დაწვერილებით უამბობს განვლილ დღეებზე.

ტყე და მდინარე

თხელი მდინარეა. ტალღები წელი ჩქაფუნით მისდევენ ერთიმეორეს. მდინარის ნაპირზე შერეული ტყეა. თეთრი ვერხვები დეკორაციულ ხეებს ჰგვანან, ნაცრისფრად ახლად შეღებილი. აქა-იქ ნაძვია გამორეული. ტყიდან გამუდმებული შრიალი ისმის. მდინარე განუწყვეტლავ დუღუნებს.

მდინარის ნაპირზე ქალი და ვაჟი სხედან.

— რამდენი ნორჩი ხე ამოიყარა წელს ტყემ, — დუღუნებს მდინარე, — რა ბედნიერია ტყე, რა ბევრნი არიან!

— ბევრნი ვართ, ბევრნი! — ამაყად გუგუნებს ტყე და განაგრძობს, — ყოველ გაზაფხულზე ახალი ხე იბადება. სიცოცხლე დულს ტყეში. ჯერ ხეთა აყვავილება იწყება და ყვავილთა საამო სურნელება იფრქვევა. მერე მწვანედ დაიბურცებიან კვირტები. მწვანე მეჭეჭებით იფარება ტოტები, ხეები ფოთლების შრიალა კაბებს იცვამენ. ოჰ, რა სიხარულია, როცა ამ შრიალა კაბებით იმოსებიან.

ტყე ჩუმდება და მდინარის ტალღებს ჩასცქერის.

ეს ვერაფერი ვაეკაცობაა, რომ მე სხვის წერილს ვკითხულობ.

„მე არასოდეს არ ვიბეჭდებდიან ყვავილებს, რომლებსაც ასე გულუხვად მაყრიან ხეები. იმიტომ, რომ... შენ გიყვარს“.

თვალები მიპრეღდება. ველარაფერსა ვხედავ:

„თმაზე დაყრილი ყვავილებით დაედვიარა“ — მაგონდება სტრიქონები და მძულს ეს ყვითელი ყვავილები.

როგორ არ მიყვარს, როდესაც მდინარეს ხეებიდან ჩამოცვენილი ყვავილები მოაქვს.

მდინარე დუღუნებს.

— მარტო მივაბობ ჩემს გზას. მოვიქანცე, მოვილაღე ქეებზე ხტომით. დღე-ღამე ვტირი და ვინ არის ნუგეშის მომცემი!

— ნუ სტირი, მდინარე, შენ სულ ასე სიმარტოვეში ლევ შენს დღეებს. ჩვენთვის კი ბუნებას ერთად, მრავლად ცხოვრება დაუწყესებია, — ამაყად შრიალებს ტყე.

— გესმის? — ჩურჩულებს ქალი, — ტყე ტირის, ვინ იცის, რამდენი დარდი აქვს ჩახვეული!

— ჰო, მესმის, — უპასუხებს ვაჟი, — როგორი ყრუ კენესა ისმის ტყიდან!

— მდინარე კი რა მზიარულად მიედინება, რა უდარდელია. რა სიცოცხისკისით ეხეთქება ქეებს.

ქალი და ვაჟი საუბრობენ.

ტყე ისევ ამაყად და მზიარულად გუგუნებს.

მდინარე ჩივის, მწარედ დუღუნებს რომ ასე ეულად უნდა გალიოს თავისი სიცოცხლის დღენი.

ნაცრისფერი ზღვა



ლამაზია ნაცრისფერი ზღვა მზის ჩასვლის შემდეგ და საღამოს ბინდში შავად ამართული ხეები.

ჩვენ მაშინ ზღვისპირას ვიდექით, ახალი ტრასა გაგვყავდა. იქ ბუნება მკაცრია, მაგრამ ლამაზი. ფიქვები ზედ ზღვის ნაპირზე იდგნენ. ტალღა ეხეთქებოდა ქვიშიან ნაპირს. განსაკუთრებით მიყვარდა დრო მზის ჩასვლის შემდეგ, ვიდრე მთვარე ამოვიდოდა. მწვანე ზღვა ახლა ნაცრისფრად ლივლივებდა. ფიქვები მუქდებოდნენ.

იმ დღესაც საშინლად ცხელოდა. მაგონდება ყოველი წვრილმანი. თითქოს იმ ღრუბლების მოხაზულობაც კი მახსოვს, დილით ადრე რომ გადაიარეს ცაზე და საღვაც გაჰქრნენ. მაგრამ განსაკუთრებით ერთი შემთხვევის გამო ჩამჩა ეს დღე ხსოვნაში.

მზისაგან დამწვარი მამაკაცი ჩემს წინ მიდის. ქვიშაში ვიფლობით. იმ დღეს ერთ-ერთ უბანს ვამთავრებდით. ადრე იყო, მაგრამ უკვე ცხელოდა. ამოდ გავცქეროდით ზღვას, ქარი ოდნავაც არ უბერავდა. ჩემს წინ მიმავალ მამაკაცსაც სცხელოდა. თვალები სიცხისაგან ჩაშავებოდა. ტუჩები დამსკდარი, დიდრონი ხელები დამძიმებული ჰქონდა. მე მიყვარდა ის, მას კი სხვა უყვარდა. მე იშვიათად მაქცევდა ყურადღებას და ამიტომ ყველაფერი მახსოვდა, ყოველი წვრილმანი ძვირფასი იყო ჩემთვის.

იმ დღეს ჩვენ ორნი წავედით სამუ-

შაოდ. ჩუმად ვაკეთებდნენ ჩემს წაქმეს. იმასაც თავისი საქმე ჰქონდა. ასე ვიმუშავეთ შუადღემდე და უკან რომ ვბრუნდებოდით, დალილები გზაზე ჩამოვსხელით: ზღვა აქედან კარგად მოჩანდა. ახლა ზღვიდან ცხელი ქარი უბერავდა. ის დიდრონი ხელებში ქვიშას ათამაშებდა. მე ჩუმად ვიჯექი მის გვერდით და ვფიქრობდი, იცოდა რა ძლიერ მიყვარდა? იგი თითქოს მიმიხვდა, ოდნავ გაელიმა, დამსკდარი ტუჩები შეატოკა, ხელები დაიბერტყა და ერთი ხელი ჩემს ხელს დაადო.

— მიყვარხარ, ამ საღამოს ზღვისპირაზე გამოდი, — წარმოთქვა მან და ისევ ცხელ ქვიშაში ჩაყო ხელი.

ჩვენ უკან დავბრუნდით.

დღე დაღამდა. მზე ჩავიდა, ზღვა გაფითრდა და ნაცრისფერი ტალღები წამოვიდა. ფიქვის ხეები ჩამუქდნენ. მე ზღვისკენ გავწიე. მას დაუწყვე ძენა, ის მართლაც იქ იჯდა. დაღონებული გასცქეროდა ზღვას. ჩემკენ არ იყურებოდა. არ აწუხებდა მოლოდინი. მე არ ვახსოვდი. არ მელოდა. დიღანს ვიდექი მის ახლოს, მაგრამ ერთხელაც არ მოუხვდია ჩემსკენ.

მოეტრიალდი და სახლისაკენ წამოვედი.

ამის შემდეგ ჩვენ კიდევ რამდენიმე თვე ვიმუშავეთ ერთად, მაგრამ მას არასოდეს არ მოჰგონებია ის საღამო.

და არც მე მითქვამს არაფერი.

ზღაპარი

„აი, აქ შემიძლია ცოტა ხნით განემარტოვდე“, — გაიფიქრა მაყვალამ და კლდის პირას ჩამოჯდა. ხელები მუხლებზე შემოიჭლო და ველს გადახედა.

მალღ ბალახში ალპური ყვავილები ირხეოდნენ. ჩამავალი მზისგან მთებს წითელი შუქი ადგა. ხევში აქაფებული მდინარე მოჰქუხდა. მთელი დღის სიარულით მოქანცულ მაყვალას მინდვრე-

ბიდან წამობერილი ნიაგი ესიამოვნებოდა. ნიავს ბალახის სურნელება მოჰქონდა. მაყვალა ჩამავალი მზის სიმშვიდით ტკბებოდა.

„მგონი, აქ ვერ მომაგნებენ“, — გაიფიქრა კვლავ მაყვალამ და კარგა მოშორებით, მთის ძირში გაშლილი კარავისკენ გაიხვდა. იქიდან მართლაც არავინ მოდიოდა.

...არ მოსწონს იგი. ყოველთვის გაჩუმებული, ტუჩებმოკუმული, შუბლზე გახაზული ნაოჭით.

— აი, თურმე სადა ხარ? — მოესმა ამ დროს ნაცნობი ხმა. მას მზისაგან გაშავებული მამაკაცი წამოსდგომოდა. შუბლი მართლაც ნაოჭით ჰქონდა გადახაზული.

— შეიძლება, მეც აქ დავჯდე, თუ ეს კლდის ქარაფი მხოლოდ შენ გეკუთვნის? — ჰკითხა მამაკაცი.

მაყვალამ უკმაყოფილოდ შეხედა, არ მოელოდა, თუ აქაც მოაგნებდნენ.

— დაჯექი, სხვა დროს ჩემგან როდის იღებ ნებართვას?

— იქ სხვებიც არიან ხოლმე, აქ კი მხოლოდ შენა ხარ.

მამაკაცი გაჩუმდა და მაყვალასაც აღარათფერი უპასუხია. ისინი ერთხანს დუმდნენ.

— იცი, ეს ორი ერთნაირი გორა როგორ გაჩნდა ამ ხვეის პირას? — წარმოთქვა მამაკაცი.

— არა, არ ვიცი, განა შენ იცი? — ჰკითხა მაყვალამ.

— ან ეს წყალი რატომ არასდროს არ იმღვრევა?

— განა არ იმღვრევა? არც წვიმების დროს? აბა, მაშ მიაბზე, როგორ გაჩნდა ეს ორი ერთნაირი გორა. სულ ერთნაირი, თითქოს ტყუპები არიან.

— აქ ძველად დიდი მინდორი ყოფილა. ამ მინდორს უზარმაზარი ვეშაპი დაჰპატრონებია.

— ვეშაპი?

— ჰო, ზღაპრული ვეშაპი. თურმე ყოველდღე ერთი მზეთუნახავი უნდა მიეყვანა ხალხს მისთვის. ამ ვეშაპის

მოსაკლავად ერთი ჭაბუკი მოსულა და, როდესაც ვეშაპისათვის შუბრი დაუკრავს, შუბრი მზეთუნახავსაც მოხვედრია. ვეშაპი შუაზე გაუპია და მზეთუნახავი ამ გააბილ ვეშაპშუა დაცემულა. ჭაბუკი შეწუხებულა, დანანებია მზეთუნახავი და მისი მდინარედ ქცევა უნატრია. მაგრამ როგორც კი ქალი მდინარედ გადაქცეულა, გააბილი ვეშაპი გაქვავებულა და აი, ეს ორი ერთნაირი გორა გაჩენილა. ამის შემდეგ დარჩენილა ეს თქმულება ამ მდინარესა და ამ გორებზე. ამ გორებზე ბალახს არა თიბავენ, ატყობ? იმიტომ, რომ უწმინდურადა თელიან. ხოლო ამ მდინარეს წმინდას უძახიან, იმიტომ რომ იგი ქალია და წვიმიან ამინდში ამღვრეულიც კი დაწმენდილად ეჩვენებათ.

— საიდან იცი ეს ზღაპარი? — ჰკითხა მაყვალამ.

— არსაიდან. აი ახლა შენ რომ გიცქეროდი, ვფიქრობდი, რატომ ჰქვია ამ ადგილს უწმინდური, და რატომ არა თიბავენ აქ ბალახს, ან რატომ ჰქვია ამ მდინარეს წმინდა და წვიმიან ამინდშიც კი, როდესაც ამღვრეულია, მინც წმინდას რატომ ეძახიან. და მე ეს უბრალო ახსნა მოვუნახე. მართლაც რა შეიძლება იყოს ახალგაზრდა ქალზე უფრო წმინდა და რა შეიძლება იყოს ვეშაპზე უფრო უწმინდური, რომელიც შესაქმენლად არავის არ ინდობს.

მაყვალა გაჩუმებული უსმენდა; მოეწონა ეს ზღაპარი. სახეც მიმზიდველი ეჩვენებოდა გაშავებული, მუდამ ტუჩებმოკუმული მამაკაცისა შუბლზე გადახაზული ნაოჭით.



მწვერვალისკენ

მწვერვალისკენ აღმართს მივდევ
ფეხით,
ღროის ტვირთი გზა-გზა მხრებით
ვზიდე,
გადავიცილდი წლების უღელტეხილს,
მწვერვალამდე შორი გზა მაქვს კიდევ.
„დაიღალე! — ხმა მომესმის უცხო, —
მგზავრობაში გაგითეთრდა თმები!..“
გულს ბუდიდან ასაფრენად ვუხმობ
და ღღის ნათელს მუხლმოყრილი
ვხვდები.

შუადღეა. გზებს ვიგონებ განვლილს,
კლდის ქიმიდან ხეცს ჩაეხედავ ჩაღმა,
მთის ნიავის დამკრავს გრილი ქაველი
და მგლის მუხლით კვლავ შევეუბნე
აღმართს.

მე ცხოვრების აღმართს მივდევ ფეხით,
ღროის ტვირთი გზა-გზა მხრებით
ვზიდე,
გადავიცილდი წლების უღელტეხილს,
მწვერვალამდე შორი გზა მაქვს კიდევ.

ზღვაზე დაფრინავს

მრავალ უცნაურ მხარეთ მხილველი,
ზღვის სიყვარულის სევდით სნეული,
ზღვაზე დაფრინავს უცხო ფრინველი,
გზადაკარგული, გზააბნეული.

ტალღა უმღერის მიჯნურს ოსანას,
დააფრენს მიჯნური ზღვის ვრცელ
საფირონს...
ვერ დაუბრუნდეს ხმელეთს ფრთოსანი,
ვეღარ იხილოს მან სანაპირო!

შემოიტყუა ტალღამ ლურჯთვალამ,
მოწყვიტა ნაპირს და გაიტაცა,
მოწყვიტა ხმელეთს, ქვეყნებს
უთვალავს,
გადავიწყდა ცაც და მიწაცა.

და გვიან, საღმე, იგი ფრინველი,
ზღვის სიყვარულის სევდით სნეული,
შთანთქმას ტალღებმა მრავლის
მხილველი
გადაკარგული, გზააბნეული.

ასე გაბმული ზღვის ლურჯ ბადეში
მღერის, დაეძებს მყუდრო სწავნეს
ირგვლივ სივრცეა უღიადესი,
უსასრულო და უგალავანო.

და ვაკვირდები ჩემს ბედს და იღბალს,
ეს — ჩემზე თქმული იგავი თუა:
შენი აღერისის ტალღამ მომზიბლა,
შენი თვალების ზღვამ შემოიტყუა.

**შავ კეკელას, რომელ'აც ნინო ატაკვდა გულზე,
ღედის გარდაცვალების შემდეგ**

მე არ მინდოდა თალხი და ბინდი,
შენ შენი ფრთების ბინდის მონა მქენ,
შენ ნინოს გულზე რისთვის დაფრინდი,
ნუთუ სხვა ბინა ვერსად მონახე?!

აკლდამებიდან ამოფრენილი,
ფრთებქვეშ იღუმალ გლოვის ზარს
მალავ.

შენ, ვით ბოროტი სული დევნილი,
რომ ჩემს სიხარულს წაართვა ძალა,

შენ ჩემი ლექსიც თალხით შეღებე,
ჩემი სამი წლის სიღალე დაჰკმე,
ამიტომ ვფიქრობ, ფრთხილი შეხებით
აგაფრინო და დაგკარგო საღმე.



დახლიდარის ხვაშიადი

მთელმა უბანმა იცის სანდროს ამბავი. გუმანითა ხედებიან რა სატიკივარიც აწუხებს, მაგრამ პატივისა სდებენ დახლიდარის თავმოყვარეობას და არაფერს ეკითხებიან. თვითონაც არას ამბობს, მხოლოდ უბნის როკავი დედაკაცები ქილიკობენ ნართაულად: — „ქაჯან, რით ვერ გაიგეთ, რომ ცალფეხა კაცს ორფეხა კაცი სჯობიაო“.

თითქოს და აინუნშიაც არ იგდებს ამ ამბავს სანდრო, პირიქით, ჩვეულებრივზე მეტად ენამქვერი და გულმხიარულია. ეს კია, პაპიროსს მიეძალა ბოლო ხანს. პროტეზიანი ფეხით დააბოტებს ფარდულში და თავაზიანი ღიმილით ისტუმრებს მუშტარს.

მუშტარის ყადრი და პატივი კარგად იცის. ასე რომ არ იყოს, ვერც უფროსების ნდობას დაიმსახურებდა და ვერც მომხმარებლის სიყვარულს. მიღეთის ხალხი დაიარება მასთან, ათასგვარი ხასიათისა და განწყობის კაცი. ყველას უნდა გაუგოს, ყველას უნდა ასიაშოვნოს, არც პატივისცემა მოაკლოს და არც ტაბილი სიტყვა.

ამ ბოლო დროს რატომღაც შინ ვერ უჩერდება გული: უთენია მიაშურებს ხოლმე ფარდულს. გარჯას ნაჩვევი მარჯვენა ცუდუბრალოდ ვერა და ვერ მოუსვენებია. ხან გარეთ დაიკოდელობს, მისადგომ ბილიკსა და წყალსაწერტს ასუფთავებს, ხანაც თაროზე კოხტად შემორაგულ საქონელს აებოტება, ადგილს მოუნაცვლებს, ისევ და ისევ შეასწორ-შეაღამაზებს და მერე დარაბებსაც ახსნის.

ქარხნისაკენ მიმავალი მუშები ხელის შემართვით ესალმებიან და ღინჯი საუბრით თავდაღმართში უჩინარდებიან. მერე ხტუნაობითა და ასკინკილას თამაშით ჩაირბენენ სკოლისაკენ მიმავალი ბაღლები. ფუსფუსში გართულს ხშირად

ფოსტალიონი წამოადგება. დაყვავებით მოიკითხავს დახლიდარი ბერიკაცს; თანაც ჭროლა თვალებს აცა-ბაცად ზურგჩანთისაკენ გააპარებს, გააპარებს და დაურევებული ინტერესით ჩაეკითხება: „ობლიგაციები ხომ არ თამაშობსო“.

ამასობაში დიასახლისებიც აიშლებიან და თეთრ ხალათში გამოწყობილი სანდრო მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს. თუ საჭიროება მოითხოვს ცხრაჯერ გავარდება სამმართველოში და არც შეათედ მისელას მოერიდება. ექსპედიტორებს, შვეგმავებსა და საწყობის გამგეებს ერთიანად გაათხოვს ყველას. მმართველსაც გაჰკენწლავს და მის მოადგილესაც, არავის შეეპუება, ტოლს არავის დაუდებს, აენტება და იყვირებს, გაჯახირდება და სხვადაც გააჯახირებს.

მაინც უყვართ და პატივისა სცემენ. კარგად იციან, როცა სანდრო „სცენებს“ მართავს, საამისო საბაბი უთუოდ აქვს.

მარტლაც, მოდი და ნუ გახელდები, როცა გაგანია ზაფხულში ცივი ლუღისა და ღიმილითის ნაცვლად ხუთი ნომერა ღვინით გაგივსებენ ფარდულს. რალა თქმა უნდა, არც იმის მოთმენა შეიძლება, უმაღლესი მარკის პაპიროსებს ნორმაზე მეტს რომ ნორჩიან ხელში. მაინც და მაინც არც ეს ნატეხი შაქრით სავსე ტომრები ეფონება სანდროს გულს.

განა არ იციან, რომ ქალაქის განაპირა უბანში, საცა მისი ფარდული ღვას, უფრო მეტად ფხვნილ შაქარსა და იაფფასიან სიგარეტებს ეტანებიან. ძალიან კარგადაც იციან. ჰო-და, თუ იციან, კეთილინებონ და უკლებლივ გამოუგზავნონ, რაც განაწილების ძალით ერგება.

ვილაც-ვილაცების უთაურობის გამო, ათი წლის შემოჩვეული მუშტარი აბა რატომ უნდა განაწყენოს?!

ამ უბანში დაიბადა სანდრო, ამ უბანში გაიზარდა, ახლაც აქ ცხოვრობს. ამიტომაცაა ხელი თითოეით რომ იცნობს ყველას, მათი ზნეც იცის და ისიც იცის ვის რა საქონელი სჭირდება.

აგერ მესამე დღეა აფაქიძის პატარძალი ლამის არის წელში გადაწყდეს ამდენი სირბილით. წამდაუწყებ მოაკითხავს ხოლმე. შუშა კიტრის დაწინილებას აპირებს და ვერ იქნა, დაცხვილი ქვემარბილი ვეღარ იშოვნა.

არტელის ბუხალტერის ფაშფაშა ქალიც დაბარებულივით მოეხირობა, ფერუმარლით წაგლესილ სახეს წმინდანით მოიქცევს და ტურების პლაცეით შამიას, ზეთისხილსა და ინდისხურმას მოკითხავს. ხანაც თეთრ ხიზილალაზე ჩამოუდგებს სიტყვას.

მწუხრის ხანს უფრო მამაკაცები მოეძალევიან, სამუშაოდან მობრუნებულნი წუთიერად შეიყოვნებენ, თითო ლულს გადაჰკრავენ, ან არადა პატარბისათვის ნამცხვარს და კამფეტს ამოიჩრიათ ილლიაში.

მერე „დამიბრუნდის“ ღიღინით ჩამოიბრუნებს მღებავი სტეპკო და შორადანვე მიაწვდენს ხმას — „გადმოიღეო“.

სანდროც ადგება და გადმოიღებს. ახლად დაოჯახებულ ჯეულს ყოველ საღამოს თითო ბოთლი წითელი ღვინო მიაქვს. იმ დღეს კი, რაღაც ეშმაკად თეთრი წაიღო. მაშინვე ვეღარა ჰკითხა სახტად დარჩენილმა დახლიდარმა, მერე კი საღერღელაშლილი ცნობისმოყვარეობა ვეღარ დაიცბრო, ერთი სული ჰქონდა, როდის გათენდებოდა, სამუშაოსაკენ მიმავალს რომ შეჰკითხოდა: „რაშია საქმე, ღვინოები რატომ შეინაცვლეო“.

ფარდულის, ახლოს უბნის ბაღლებიც იყრიებიან. გაუთავებლად ანცობენ პატარები. უკლებლივ კარგები არიან, კარგები და გულმისავალნი. მაგრამ საცა სიმართლეა, ეს თმახუტუქა თამაზი მაინც ყველაზე მეტად უყვარს დახლიდარს, ალბათ იმიტომ, გულიდან მოწყვეტილ თავის ერთი ციდა ვაჟაკს რომ ახსენებს.

შეფარვით შესცქერის და ჯიგარი ეწ-

ვის, გულის სიღრმეში ყრუ ტკივილსა გრძნობს. ზოგჯერ მოუთოკავი სიყვარული წამოუელის, ხელში აიტაცებს ბიჭუნას, ჩაპბუნავს, ჩავსალტება და სულის მოგუდვამდე უკონის თოთო გულმკერდსა და ფენჩულა ლოყებს. მერე, ატირებულს, მონანსიეთი აუვსებს ჯიბეს და ლიმონათსაც დააღვეინებს.

ისე გაუტება საჩუქრები პატარას, რომ თვითონვე მოუხშირა სტუმრობას. უღროოდროს მოცუნცულდება ხოლმე. ხესთან უჩუმრად ატუზული გამალებით ილოკავს თითებს, თან წაქლებილი ფეხსაცმელით მიწაზე წრეებსა ხაზავს.

შაბაშის დროს სანდრო პირწმინდად მოალაგებს ფარდულს. ყველაფერს დაბინავებს, ყველაფერს ადგილს მიუჩენს, მტვერსაც დასწმენდს და იატაკსაც გამოჰკვინს. გულისჯიბეში არც პატარა შოკოლადის ჩაცურება ავიწყდება.

ვაი-ვიშვიშით შეუყვება სახლისკენ აღმართს. მიბაბყუნებს მთელი დღის ნაჯაფი, მიბაბყუნებს და რაღაც საამო ნათელი ეღვრება გულში. აღარც დალასა გრძნობს, აღარც წელანდელი აბეზარო ფიქრები ახსოვს. აი საცაა შეივაცებს, შეივაცებს და ბომბებზებეგნილი სახლის სარკმელიც გამოჩნდება. იცის, კარგად იცის, ამ სარკმიდან მისი ბედნიერება რომ უდარაჯებს. ორი დიდრონი, მოპლოდინე თვალეები სიხარულით გაიელვებს და ზარის დაწყრიალებასავით ჩამოესმება „მამიკო მოდის, ჩემი მამიკო!“.

ღერეფანში ხტუნაობით გამოქცეულ კუდრაქას ტბილად ჩაჰკონის სანდრო და თან ქურდულად შეიმშრალეს უკესა

არა, თვითონ კი არ უნდა, თვითონ ანაზღად მოაწვევა ხოლმე ეს ოხერი ცრემლები. აბა რა სჭირს მის გოგონას დასატირი და გულშესალონი? შეხედეთ, კარგად შეხედეთ უზადო ცისფერი თვალეები განა უზრუნველი კმაყოფილებით არ შესციონებს თავის მამიკოს?

აბრეშუმით ნაზი, ოქროსფერი თმა გულისყურით აქვს დავარცხნილი. ზედ გასაფრენად გამზადებული პეპელა აზის — სუფთა და ქათქათა. გემოვნ-

ბით შეკერილი დაგვირისტებული კაბა აცვია, ისიც სუფთა და ქათქათა.

ვინ თავმკვდარი იტყვის მოვლა და გალალემა აკლიაო.

მამ რატომღა შემოჰკენის გული სანდროს, რაღაც შეუცნობი ურვა რატომღა უღრღინის სულს, რატომღა წასცდება ხოლმე მისდაუნებურად: „უღედო ბავშვი მეჩაგრებაო“.

რატომ, რატომ არ ფიქრობს ამ სიტყვებით გულს რომ უღონებს თავის რძალს, გარჯას და ჯადვას უფუქსავატებს.

ქვეყანაზე მართალი კაცის სახელი აქვს მოპოებული და ხშირად სამართლიანი განსჯა კი აკლია. განა პირად-პირზე შეიძლება მოიტანოს ნინოს აუცი? უშვილო ქალი სწორედ რომ გადააკვდა მის გოგონას. გადასავით, გადასავით კი არა, ამაგდარი დედასავით დალოლიავენს თავზე. დღე ჩამუხვლა არაა მისთვის, ღამე კი ძილი. თავის ხელით უკერავს, თავის ხელით აბანავენს, პატარ-პატარა წიგნებსაც უკითხავს დღენიდაც, თოჯინების თეატრი და ზოოპარკი ხომ კარგა ხანია რაც მოიწყინეს.

სანდრო კი მაინც მუშტრის თვალთ იყურება. სანდრო კი მაინც გულს ვერ იმშვიდებს. სირცხვილია სხვა არა იყოს, სირცხვილი და დაუნახავობა...

ზეზეურად ცდილობს იხტიბარი არ გაიტეხოს, მტერსა და მოყვარეს შუბლ-გახსნილი ეჩვენება სანდრო, დაწოლის მერე კი ათასი ფიქრი აეშლება. გვიანობამდე ბორგავს ძილგატეხილი. ვერ იქნა, ბიჭის დაშორებას ვერა და ვერ შეეგუა, სულ ერთთავად თვალწინ ეხატება თავისი ვაჟკაცი, ღამის არის ძილშიაც შეეხიანოს.

ამას წინათ სამთვლიანი ველოსიპედი გაუგზავნა ხაშურში. პაი დედასა, როგორ გაიხარებდა ეშმაკის ფეხი. ალბათ ტოლებსაც მოჰქინა: „მამიკომ გამომიგზავნაო“...

ეს, ქალაქში მაინც იყოს, ხშირ-ხშირად ინახულებდა, ეგების ცოტა დაეცხრო ნახვის სურვილი და სიყვარული...

ცულად წავიდა სანდროს საქმე, ვაგ-

ლაბ, რომ ცულად წავიდა?! ნაცოლარი იყვარა და ხაშურში გაიბიჯნა მშობლებთან; პატარა ბიჭიც თან წაიყვანა, თვითონ, ტყუპის ცალით უშვილო ძმისა და რძალს შეეკვლა. თავმოყვარე ვაჟკაცა ხალხის ყბაში ჩავარდა, ქვეყნის სამასხრო გახდა, მერე რა რომ პირში არაფერს ეუბნებიან, გულში ხომ მაინც ფიქრობენ, აუგს მაინც ხომ იტყვიან — ერთმანეთი ვერ შეიგუესო... მოდი და არწმუნე რომ სულ ცულდებრალოდ დაიქცა ოჯახი... ალბათ არც იმას დაიჯერებენ დედ-მამის შეგონებით რომ წავიდა თამარი... ოჯახურ ამბებზე შეყვანენ და შემოყვანენ, დაყვავებას ნაჩვენებმა ქალმა სიტყვაც კი აღარ დაუთმო ნაღვინე მუღულეს. აურ-ზაურში მშობლებიც შემოესწრნენ და ძალის-ძალად გაარიდეს მტირალი თამარი...

მაგრამ რაც იყო იყო, რაღა გაეწყობა... ყველას თავის გზით უშველოს ღმერთმა.

შემოდგომის ერთ საღამოს უხასიათოდ გამობრუნდა შინისაკენ სანდრო. ჯერ იყო და დილით შეუძლოთ დატოვა ბავშვი. მერე ექსპედიტორსაც შეეკიწყავა. ცარიელი ბოთლებისა და ყუთების დროულად გატანას ვერაფრის დიდებით ვერ შეაჩვია ის დალოცვილი.

ჩაფიქრებულმა დახლიდარმა ქოშინით ალია აღმართი და ელდადაკრულივით შედგა. საჩქმლის გედალმა მოდარაჯე შვილს ველარ შევლო თვალისათვის კარსაც ბოქლომი ედო, რატომღაც ცული უზარა გულმა, შეტებუნებულმა მიუყაკუნა კარის მეზობელს.

— ნათელა საავადმყოფოში წაიყვანეს, — მხოლოდ ეს უთხრა მოხუცმა, — ნინოც თან გაყვა. — ესეც დაადვენ კიბეზე გულზეთქებით ჩამავალს.

ფილტვების ანთება გამოაჩნდა გოგონას. იმასაც ამბობდნენ ექიმები: ავადმყოფობა მძიმედ მიდისო.

ორი დღე-ღამე თვალი არ მოუხუჭავს ნინოს, სველ ტილოებს უმუღმებდა ავადმყოფს. დანიშნულ დროზე ასმევდა წამლებს.

ყოველ ცისმარე დღეს სანდრო ყურდ-

ნის წვენსა და ნუგბარ სანოვაგეს ეზიდებოდა, მაგრამ ვინ იყო მკამელი. დასიცხული გოგონა ერთთავად ბორგავდა, ძალისძალად თუ წახეხებდნენ ქათმის ფრთასა და კაკლის მურაბას.

სასთუმალთან ჩამომჯდარი მამა ხან ბრმა მდევისა და ცხრა ძმის ამბავს უყვებოდა, ხანაც ოლონდ ეს ფორთოხალი შექამეო და, მფრინავი ხალიჩის ყიდვას პირდებოდა.

ის კი არა, ერთხელ, პატარას თხოვნით, ნეკი და არათითიც კი გადაჰქო, გადაჰქო და თვალდახუტულმა სამჯერ დაიფიცა, რომ ხელფასის აღებისთანავე ცოცხალ სპილოსა და მომღერალ თუთიყუშს უყიდდა. რალა თქმა უნდა, თუთიყუშიც ცოცხალი იქნებოდა და იმ გალიაში შეაბრძანებდნენ, ქათმებს რომ ამწყვდევენ ხოლმე.

— მერე, მერე რას ვიზამთ? — მოსვენებას აღარ აძლევდა გამოცოცლებული გოგონა და სიამოვნებით ცქმუტავდა. რადგან ხელების ამოღების ნება არ ჰქონდა, საბნის ქვეშედან უკრავდა ტაშს.

კვირა დღით შეწუხებული დახვდა ბავშვი. „კრიზისი იწყება“ — ტყვიასავით ჩაელვენტა ნინოს სიტყვები.

სარეცელზე უილაჯოდ მისვენებულ ნათელას ოქროსფერი თმა ასწეწოდა. უბებრავარდნილ თვალებზე ცრემლა უბრწყინავდა. მამის დანახვამ აღარ შეტოკებულა, მისვლისთანავე არც ის უკითხავს: მალე წახვალო?

მუხლთან ჩამოშლილი საბანი აუკეცა სანდრომ და მოგუდულივით ჰკითხა: „რამე თუ გინდა?“...

თითქოს ამ კითხვას ელოდა, ცრემლიანი თვალებით შესცინა მამას. გაუპარსავ ლოყაზე მიადო ცხელი ტუჩები, ჩურჩულით უთხრა: „დედიკო მინდა“..

წასვლის ხანს გაუტყდა რძალი, ძვლები დამადნა ნათელას ცოდვით, ექიმებმაც ბეერი მიჩრჩეს, მეტი რა ჩარა მქონდა, ხაშურში დეპუმა გავგზავნეთ.

„დეპუმა გავგზავნეთ“ — არ ექაშნიკა ნინოს ნათქვამი: „აღბათ დღედღეზე ჩამოვა“. ახლა ამაზე ბორგავდა სანდრო.

ნაცოლართან შეხვედრის შრშმა რატომღაც დაფრთხო. ნირწამბდარი, მიყუჩებული სატყეიარი ატყნა, ბავშვივით ესარცხვილებოდა უმძრახნად მყოფთან პირისპირ შეხვედრა.

გაბოღმებულმა მამამ დაპირებებით აავსო შვილი. ხან რა მიკიბა, ხან რა მოკიბა, ათასი რამის ყიდვაც კი აღუთქვა: მაგრამ დედაზე ძვირფასს აბა რას შეჰპირდებოდა? უჯიათ გოგონას ვერ მოაშლევინა თავისი ნათქვამი.

მთელი საღამო ბორგავდა სანდრო, გამთენიისხანს დადინჯდა ცოტა. უფრო საზრიანად აწონ-დაწონა ყველაფერი. ენიშნა კიდეც ნინოს სიტყვები: დედასთან ყოფნა მოუხდებოდა.

შშობლის ხელი მაინც სულ სხვავა, იქნება მართლაც არგოს ავადმყოფს. ოლონდ ნათელა გახდეს კარგად და რაში დაეძებს წამსვლელს და მომსვლელს. ვინც უნდა ის მოეხიროს, ვინც უნდა ის წაეხიროს, ზედაც არავის შეხედავს სანდრო, ერთი ძარღვიც არ შეუტოკდება.

მეორე დღეს ვარაუდმა არ უმტყუნა სანდროს. საავადმყოფოში შესვლისთანავე ნაცოლარს შეასწრო თვალი. შვილის საწოლთან დახრილიყო თვალცრემლიანი დედა. ოქროსფერ თმაზე ესიყვარულბოდა გოგონას.

ფეხის ხმამ შეაკრთო ქალი, დამფრთხალი მზერა გააპარა კარებისაკენ. სანდროს დანახვისთანავე სიცხის საწოლს წაეპოტინა, ალექილი დააშტერდა ხელში პირუტყუ შერჩენილს.

სასა გაუშრა კარებში ულაზათოდ გახიზულ დახლიდარს, ბერლინის მისადგომებთან ნატყვიარი ცაცია აუცახცახდა.

— ისაა... — სიტყვა ველარ მოატრიალა გაოგნებულმა და ლიბრდაკრულივით აებლანდა ქროლა თვალები.

ნათელას ეძინა. ცვილივით ფერგაცრეცილი პატარა მძიმედ სუნთქავდა. საბნის ქვეშ დათრეული დედის ხელი გულთან ჩაეკრა, თითქოს ეშინოდა არავინ მომტაცოსო. გახსნილ ბაგესთან ოდნავ შესაძინევი ღიმილი დასთამაშებდა.

იქვე, კარადაზე, ლოყაწითელი თურა-
შაული ეწყო. ავადმყოფის თავით კი
მზრუნველ ხელს რქაწითელას ჩხემა
და აკიდოები ჩამოეკიდა.

ბრაზი მოაწვა დაბნეულ სანდროს. სა-
კუთარმა უნიათობამ გული ატკინა, ერთ
ხანს ჯიბეში აფათურა ხელი, მერე ია-
ტაკზე დაქცეულ ბულონს დახედა:

წელან ნინომ ჩამოაკითხა, ბულონი
და ფუნთუშები ჩამოუტანა, შესვენება-
ზე ნათელას წაუღეო. ირიბად იყურებო-
და თანაც. ალბათ იცოდა თამარის ჩა-
მოსვლა, სახლშიაც ძალის-ძალად იმი-
ტომ დარჩა... გუმანში მაინც ჩაუგდო
დალოცვილიშვილს, ასე ხომ აღარ
წახდებოდა შემზადებული... არა და რა
ბედენაა ნაცოლართან პირისპირ შეყრა?

ლამის გატეხვა ემჩნეოდა თამარს. გა-
ყინულივით იჯდა ლაწვემშეფაცლული.
ჩალაშებული თვალებით ახლა იატაკს
დასცქეროდა მდუმარედ.

ძლივს ათორია ფეხი სანდრომ. ერთი-
ორჯერ ყასიდათ ჩახხველა, საწოლს
მიუახლოვდა, წამოწითლებული ჩააც-
ქერდა მძინარე შვილს.

— სიცხე დიდი აქვს? — ჩურჩულით
იკითხა უხერხულად ატუზულმა.

ქვეშ-ქვეშ ახედა ქალმა, ნაცნობი,
თაფლისფერი თვალები შეანათა და
ჩურჩულითვე გაეპასუხა:

— ოცდაცხრამეტი!

ცოტა კიდევ შეიცადა სანდრომ, მო-
ტანილი სანოვაგე ამოალავა, მერე თა-
ვისთვის ჩაიბუზღუნა — „მივდივარ“ —
და უჩუმრად გაიხურა კარები...

გვიანობამდე შეყენენ საუბარს მაზლი
და რძალი. პირველად თითქოს არ ეპოტ-
ნავა თამარის ხსენება, სიტყვის ბანჯე,
აგდებას ცდილობდა სანდრო, მერე კი
მოტყდა, გარინდებული უსმენდა ნინოს.

ბოლო ხანებში თავის ტკივილი დას-
ჩემება თამარს. ბავშვის უნახაობას
უჩივის თურმე. დეპეშის მიღებისთანა-
ვე გამოქცეულა გულგახეთქილი, ცალკე
თამაზიკ ახირებია, „მამიკოს ნახვა მენა-
ტრებაო“. რა უნდა ექნა, ამდგარა და
მამაილა თავისნათქვამაც წამოუყვანია.

— ნათელას მოკეთებამდე სიძესთან

აპირებს დარჩენას, ნამგზავრი გიორც
იქა ჰყავს ახლა... ხვალვე მოგიყვანო პა-
ტარა ყაჩაღს! — სევდიანი ხმით ამბობ-
და ნინო.

რამდენიმე დღე კვლავ შეუძლოდ
იყო ნათელა, ნემსებით ასულიერებდ-
ნენ. მერე თანდათან მოფერება დაეტყო,
ჩამქრალ თვალბშიც სინათლის სხივი
აუციავდა.

სიხარულით აღარ იყო სანდრო. გე-
ლარ გაეგო, ახალი წამალი მოუხდა გო-
გონას თუ დედის ხელმა არგო. ანდა რა-
ში ენაღვლებოდა ამის გაგება. მთავარი
ის იყო, საფრთხეს რომ გადაურჩა მისა
ნათელა.

მაგრამ ვინ იცის გადაურჩა კია?

აქი თქვა პროფესორმა, სიფრთხილ
გმართებთო. ისიცა თქვა: საავადმყოფო-
დან გაყვანის შემდეგ დედა უნდა დაად-
გეს თავზეო.

ჩვილივით ფერება სჭირდება ნაავად-
მყოფარს, ყუათიანი საჭმელის შერჩე-
ვით მიძალედა. მცირე გაციებითაც შე-
იძლება შეუტკიოსო ავადმყოფობამ.

უძილობით გატანჯული თამარი
გვერდიდან აღარ სცილდებოდა შვილს.
იმედმიცემული შესციციწებდა თვალბ-
ში, ხვევნა მუდარით აქმევდა. პატარა-პა-
ტარა ზღაპრებსაც უყვებოდა. ერთი-ორ-
ჯერ, ნათელას თხოვნით, სიმღერაც კი
წაილიონა თვალცრემლიანმა.

დედის კაბაზე ჩაველო ხელი გოგო-
ნას, გაუთავებლად რალაცას შესტიტი-
ნებდა. წამდაუწუმ იმასაც სთხოვდა,
თვალდახუჭულმა შემომფიცე რომ აღ-
არსად წახელო.

დასიცხულ ხელებს უკოცნიდა თამა-
რი, თითს-თითზე აკლბოდა, ათჯერ და
ოცჯერ იმეორებდა, რომ აროდეს ში-
ატოვებდა, რომ დღეის შემდეგ ერთად
იცხოვრებდნენ ნათელა და მისი დე-
ლიკო.

მუხლებზე მჯილის ცემას დაეხსნა მა-
თი შემყურე ნინო. ფრთაშესხმულივით
დაფრინავდა, ქალარაშერთული. ხან
გალმა-გამოღმა მაღაზიებში თოჯინებსა
და ლენტებს ეძებდა, ხანაც ფარდულშა

გარბოდა, ნათელას ამბავს ახარებდა გალურსულ მამას.

საავადმყოფოდან გაყვანისას როგორღაც დასცდა თამარს, სიძესთან წავიყვან ნათელას, შევებულების დამთავრებამდე იქ ვუბატრონებო, მაგრამ ნინომ არამც და არამც არ დაანება. ის კი არა და, სიტყვაძვირი დედაკაცი კაბასივით აიშალა ამის გამგონე.

— როგორ, სახლიცა ჰქონდეთ, კარიცა ჰქონდეთ და ავადმყოფი ბავშვი მაინც სხვის კარზე აწოწილონ, ვიღაც ცხრა უცხო დამუნათონ? მერე და რატომ, რის გულისათვის? შეგნებულ ქალია თამარი, სწორედ რომ არ შეფერის ასეთი განსჯა!

უსაგნო რიდი და დასირცხვილება რა მოსატანიია, არც ძველი ამბების გახსენების დრო არის ახლა. ისევე ისა სჯობს ნათელას მიხედონ, უიღბლო ბავშვი გამოაკეთონ, მერე კი ვისაც სად უნდა იქით წაბრძანდეს... დამკვირი ვინ არის ნეტა?

რადა ეთქმოდნა თამარს, უსიტყვოდ დაყვა ნინოს ნებას. ნათელას გვერდით გამართა საწოლი და შეიღს თავს დაადგა.

ოჯახში თამარის მისვლისთანავე უცნაური ზნე დასჩემდა ნინოს. ყოველ საღამო კინო-თეატრში დაატარებდა მეუღლეს. ხან კიდევ მძაბალსა და მივიწყებულ მოკეთებებს გაიხსენებდა ხოლმე.

ადგილს ვეღარა პოულობდა ნაცოლართან პირისპირ შერჩენილი სანდრო, კრიჭაშვიტულივით იჯდა გარეთ უჩვეულოდ ენამრავალი. არც თამარი გრძნობდა თავისუფლად თავს. თითო-ორჯოლა სიტყვებით თუ გაეხმიანებოდნენ დღეების მანძილზე...

დღე დღეს მისდევდა და დაბინდებისას ფარდულში ვეღარ ისვენებდა სანდრო. ერთი სული ჰქონდა შინ მისასვლელად. ჩვეულებას მაინც არ ღალატობდა წესრიგის მოყვარული. წასვლის დროს ყველაფერს წმენდდა, ყველაფერს აბინავებდა, არც იატაკის გამოხვეტვა ავიწყლებოდა. გულისჯიბში კი ერთის ნაცვლად ორ შოკოლადს ჩაატარებდა ხოლმე. თან იმას ფიქრობდა, მარწყვის მუ-

რბაც წაეღო თუ არა? ფიქრობდა, თორემ წაღება მაინც ვერ გადაეწყვიტა.

სარ, მლიდან ნათელას ნაცვლად ზღარბივით თმაბურძგვნილი ბიჭუნა უცდიდა, რომელიც ყიფინითა და ხის დამბაჩით ეგებებოდა შინ მოსულ მამას.

ახლა მეორე ოთახში დედასთან ჩახუტებული ნათელა დაცქვეტდა ყურებს „მამიკო მოვიდაო“, ტაშისცემითა და სიცილ-კისკისით გაიძახოდა სიხარულით წამოგზნებული.

შემოსწრებული რძალი თვალს არიდებდა სანდროს, ალბათ ცრემლებს თუ ამჩნევდა ვაჟაკის თვალზე.

ნუკრივით აღევნებულ ბიჭუნას მუშტრის თვალით ზომავდა მამა, როგორც კი ცალკე მოიხელთებდა ხევენა-ალერსით იჯერებდა გულს, მერე აკისხებულს მხრებზე შეისკუპებდა და მაგიდის გარშემო დარბოდა ცხენივით.

ხშირად სასეირნოდაც დაბრძანდებოდნენ მამა და შვილი. თეთრ ყაბალახში გამოწყობილ პატარას შორი გზით მოატარებდა სანდრო, მტერსა და მოყვარეს დაანახებდა. ბტუნაობით მისდევდა საუბარში გართული ბუთბუზა. ხელების ქნევით ყვებოდა მის მიერ დახოცილ ლომების ამბავს..

დედის მზრუნველმა ხელმა მალე გამოაკეთა ნათელა, სისხლი და ხორცი შემატა. ექიმების რჩევით ფეხზე ადგომის ნებაც კი დართეს.

ოთახიდან ოთახში დაცუნცულებდნენ ტყუპები. ხან წყრილა ხმით მღეროდნენ, ხანაც წიგნებს ამოიჩრიდნენ, დედასა და ბიკოლა ნინოს დასდევდნენ. გინდა თუ არა „მაგდანას ლურჯა“ წავიკითხო.

საღამო ხანს კი ნიბლიასავით დასკუპდებოდნენ სარკმელთან, ხელგადახვეულები გზას გასცქეროდნენ მამის მოლოდინში.

დრო და დრო შეშინებული მოიხედავდა ნათელა, დედის დანახვისთანავე დამშვიდებული განაგრძობდა სარკმელში თვალით.

ძველებურად თავს დასტრიალებდა ოჯახს გარჯის მოყვარე თამარი, ერთის

წუთითაც არ ისვენებდა. გოგლი-მოგლს და ნაზუქებს უმზადებდა ნათელას, იატაკსა და ფანჯრებს წმენდდა; ნინოს წასვლის მერე ვახშმის თადარიგს იჭერდა მკლავებდაკაიწებული. ცალი თვალი კი მამისა და შვილებისაკენ ევირა და, როცა ქურდულ გამოხედვას წააწყდებოდა, მაშინვე საათს ახედავდა ხოლმე შეკუნებულად.

შვილებში ჩამჯდარი სანდრო თვლებგაბრწყინებული ჰყვებოდა მავანშავანის ამბებს, თანაც ფერად-ფერადი ფანქრებით უკულო ძროხებსა ხატავდა. სიცილითა კედებოდნენ მამის ხელმარჯვეობაზე. — მოდი და რქებიც მიახატეო. — შესთხოვდნენ ანცები.

ერთ დღეს კინალამ შეჰყვირა ფარდულში მოფუსფუსე დახლიდარმა, როცა თვეების მანძილზე ჩახსნილი ჯიბის პირი ამოკერილი დახვდა, მალე ხალათზე ახლად დაკერებული ღუგმებიც შენიშნა სანდრომ.

შაბათ სალამოს კი დერეფანში თამარს გადაეყარა. წახრილი ქალი გულდაგულ წმენდდა გათხუნულ შარვალს.

ისევ გაუტყდა ძილი დახლიდარს, ისევ ორქოფული ფიქრები აეშალა. ბევრი აწონა, ბევრი დაწონა და მეორე დღეს მარწყვის მურაბით მობრუნდა სახლში, წვერგაპარსული.

მაგრამ ნეტავი სულაც არ მობრუნებულყო. „ხვალ თამარი მიდისო“ — შესვლისთანავე მიაგება ნინომ. როგორც იყო ონკანთან დაიშარტოხელა და „ვინძლო რაიმე იღონოო“, — ჩააწვეთა ჩურჩულით ყურში. მერე მაინც და მაინც უაედრობაში მოიწადინა კონცერტზე წასვლა და ცეცხლთან მიფიცხებული შეუღლეც თან გაიყოლა ბუზღუნით.

თავის ტკივილმა თუ გაუხსენა თამარს. ხილაბანდით აეკრა შუბლი, უჩვეულო სიზნანტით კმაზავდა ვახშამს.

თითქოს ბავშვებსაც ეგრძნობთ შშობლების გულისთქმა. კუთხეში მიმსხდარიყვენ გარინდებულნი.

გული ჩაწყდაო, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო, სადეთქლებთან მოძალეულ დაგა-დუგსა გრძნობდა სანდრო. შორეული იმედი, აი ის იმედი, საკუ-

თარ თავსაც რომ ვერ უმხელდა, ხუხულასავით ეცლებოდა ხელდან. გულის-გამაწვრილებლად ტიქტიკებდა კედლის საათი. გარეთ კი ავბედათ ამღვარი ქარაშოტი დათარეშობდა, მტვერსა და ქვიშას ახლიდა ფანჯრებს.

მამაპაპისეულ ტახტზე გამოტილიყო ფიქრებში წასული სანდრო. თამართან გატარებულ ბედნიერ წლებს იხსენებდა...

უთენია უყვარდა აღგომა თამარს. სამუშაოზე მიმავალ სანდროს თბილ საუზმეს გაუმზადებდა. სალამო ხანსაც კარებში ეგებებოდა დახლიდარს ცოლი. ქუდსა და პალტოს ჩამოართმევდა, პაწაწა ტყუპებს მიაწვდიდა ხელში.

ლილინით გაშლიდა სუფრას თამარი. გაზეთში ცხვირჩარგულ ქმარს მხრებზე მოხვევდა ხელებს.

— გაცივდა კერძი! — თვლების კუტვით და ნაძალადევი დატევებით ეტყოდა ხოლმე. და როცა სუფრას მიუხსდებოდნენ, მერცხლებით მოხატულ თეფშზე თვითონვე ვადულებდა საქმელს.

მერე... მერე დასხდებოდნენ და იმაზე დაობდნენ, დანაზოგი ფულით სარკიანი კარადა ეყიდათ თუ მრგვალი მაგიდა... ისიც ახსოვს დახლიდარს, ცოლის უჩუმრად ტყუპებისათვის საწოლები რომ მოიტანა როგორ ბავშვით უხაროდა თამარს...

გვერდი მოინაცვლა ტკბილ მოგონებებში გათულმა სანდრომ.

ანაზლად თამარის ფაფუკი ხელი შეიგრძნო ბუქებზე.

— გაცივდა კერძი! — ძლივს გაარჩია ჩურჩულით ნათქვამი.

სუფრა გაეწყო თამარს, ბოლოკითა და მწვანითილ დაშვენებულ მაგიდაზე. საამო სურნელი სდიოდა ხაშლამას. ქათქათა სუფრაზე ჩამოედოთ თავები პატარებს, პირში კოვებზემერჩილები ფეხების ქნევით ელოდნენ შშობლებს.

მთვარეულივით მიუჯდა სანდრო სუფრას და მაშინ, როცა კერძით სავსე მერცხლებით მოხატული თეფში მიუდგა თამარმა, ბერლინის მისადგომებთან ნატყვიარი ცაცია კვლავ შეუთრთოლდა ბედნიერ დახლიდარს.



ღამე ყვირილასთან

ავაციებს შორევიათ ძილი, —
განაბულან ხოდაბუნის პირას,
აღარ ისმის შარიშური ტკბილი,
ფრთამარდ ნიაცს სძინავს.

სხივმოღლილი მთვარე დნება ვერცხლად,
დალეულა, ნამგლის ტოლაც არ ჩანს,
თითქოს ჯიხვმა გაღირბინა ზეცა
და ცალი რქა დარჩა.

მუღამ გვიცინის

აღმოსავლეთით ზეცა შეწითლდა,
ვით მოვარვარე კედელი თონის,
მზე მოაბიჯებს, მოდის მთებიდან,
ქვეყნად სიცოცხლის მკედელი მოდის.

მუღამ გვიცინის, როგორც ნაცნობი,
ქვეყნად მის გამო ვერ ხარობს ბინდი,
ამდენ ამაგის მქონე მნათობი
რა უხმაუროდ მოდის და მიდის!..



შემოდგომის ნოვატი

კვლავ მიიწურა შემოდგომის დიდი სამხრობა,
იკლო მზის ძალამ, გაქრა ბული, სიცხე თაყარა,
და დედამიწამ მადლიანი გახსნა კამარა
საზღაპრო სუფრის გადიშალა იალაღობა.

ხორბლეულს ფქვევენ და წისქვილში გრძელდება თხრობა...
გადაირკალა მნათობებით ლურჯი თავანი;
შემოჯირითდა შემოდგომა ამპარტავანი
და მოგვაგონა გაზაფხულით აღსაესე ყრმობა.

ჩამწყრივებულან მღვრიე მაჰრით საესე ჩაფები,
თელემს მერიჭიფე მოქანცული, განაჯაფები.
ეწყებათ ქვევრებს მადლიანი დღესასწაული,
რომ გაახარონ სიხარულით უძლები გული,
რომ ქარვისფერად აელვარდნენ მტევნები ნათლად
და ჩურჩხელები ჩამოქნილნი აენთონ სანთლად!

მე და შემოდგომა

ჰა, შემოდგომა, ჩემი გულის ჰარბად გამთბობი;
მიყვარს მზისა და მშობლიურ ცის უნმოდ ძახილი,
ძეწნის რტოები მდინარეზე ნაზად დახრილი, —
ბაღში ნარჩენი ყვავილები გაშლილი ტრფობით.

უქრობელ ხანძრად ცის წიაღში იწვის მნათობი...
ბელლის მახლობლად დაგოგავენ გვრიტები ფრთხილი, —
აგერ გოგონებს ეწებებათ ტუჩები ხილით,
ისმის სიმღერა და თამაში გულის გამართობი.

საღლაც დაეცა ყვავისაგან ჩამონაგდები,
ნაგვიანები, კანდამსკდარი თეთრი კაკალი,
ხეზე ფოთლებმა ნიავისგან იწყეს კანკალი.
ბედნიერი ხარ, თუ ასეთ დროს ქვეყნად გაჩნდები,
ან ასეთ დროში სიყვარული აგანთებს მწველი...
ასე იმკობა შემოდგომით ყოველი წელი.



ორი მშვენება

ის — სიყვარულის შორეთი,
 ცაზე შზის გასხვიოსნება,
 ის — გენიოსი პოეტის
 აუხდენელი ოცნება;
 ქართველი ქალი დიადი,
 თვით სილამაზის დობილი,
 — დიადი, ვით განთიადი,
 და სადედოფლოდ შობილი;
 დამწველი და გულსაკლავი,
 როგორც სიტურფის ჩვენებ,
 ბარათაშვილის ვარსკვლავი
 და სამეგრელოს მშვენება...
 ის — ცრემლად დატბორებული,
 ატირებული ტურფა რამ,

ის — გულით გატოლებული
 გრიბოდოვის გულთანა;
 ციმციმა, როგორც ვარსკვლავი,
 მალამო გულის წყლულისა,
 სიმდაწყვეტილი საკრავი
 ხანმოკლე სიყვარულისა;
 ქართველი ქალი დიადი,
 ქვეყანაძიანთ ასული,
 დიადი, ვით განთიადი,
 და მთაწმინდაზე ასული, —
 გაბრწყინებული სხივებად
 ორი მშვენება წარსულის,
 ორთავ ლექსი და სიმღერა,
 ორთავ პოეტის ასული.

ვალარის გამო

ველზე ვიყავ და ყაყაჩომ დამფარა,
 მთაზე აველ — შემომცინა იამა,
 მე ბავშვობა გამეპარა პატარას
 და ქარიშხლის ფრთებზე შემსვა ნიავმა.

წლები მიდის... მეც ჩემი გზით
 მივდივარ,
 და შეეხარი ცის და მიწის სურათებს,
 ეამთა სრბოლავ, ვით ბავშვობის იმ
 დილას —
 ახალგაზრდულს ვერ მომტაცებ
 შუადღეს.

ჯერ სადა ვარ, ჯერ სიბერე აღრეა.
 საოცნებო ფრთები ლაღად გაეშალე,

შეხე, თავზე თოვლის ფიფქი მაყრია —
 მგონი ქარმა გადამაძრო თავშალი.

არ მალატობს ლექსი და სიყმაწვილე,
 სიყვარულის გზას ვარ ადევნებული, —
 ეს... წაბლისფერ თმებში ასე
 გაბრწყინდენ
 ლამეები თეთრად გათენებული.

ველზე, ვიყავ და ყაყაჩომ დამფარა,
 მთაზე აველ — შემომცინა იამა, —
 მე ბავშვობა გამეპარა პატარას
 და ქარიშხლის ფრთებზე შემსვა ნიავმა.

იქნებ მართლა

წვიმს და შავად შენისლულან მთები,
 წვიმს და წვიმამ აღარ გადაიღო, —
 იქნებ მართლა აღარ შევერიგდებით
 იქნებ მართლა განშორება იყო?

იქნებ მართლა შეგაცვალა გული,
 იქნებ მართლა უჩემობა გიჯობს,
 იქნებ მართლა გაქრა სიყვარული,
 იქნებ მართლა მომიძულე, ბიჭო?!

აღარ მახსოვს, შენ დამტოვე მაშინ,
 დამგმე, როგორც მოლაღატეს გმობენ,
 თუ მე თვითონ გაგეჭეცი ქარში
 და „დაბრუნდი“ ველარ გავიგონე.

წვიმს და შავად შენისლულან მთები,
 განზე მდგარი ხე ტირის და მიხზობს, —
 ნუთუ მართლა აღარ დაბრუნდები,
 ნუთუ მართლა განშორება იყო?



ფენსაცემი

იგი იჯდა და თავის ავლა-დიდებას ბოხჩაში კრავდა, თან დროდადრო მზის სხივებით დასერილ დილის ნისლს გაპყურებდა. მზის სხივი ციური ცეცხლით დადაგულ მის მწუხარე სულშიც შეპარულიყო. ოდნავ ზევით აწეული ცხვირი ოფლს დაეცვარა, ხელები კი მონადირის გამოჩენის მომლოდინე ჩიტებივით უთრთოდნენ. მთელი გულისყური ვარეთ ჰქონდა მიპყრობილი, მაგრამ ორლობიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ამიტომაც ჩქარობდა, იქნებ მეველებს როგორმე გასხლტომოდა. მაგრამ, ეშმაკად, ზეწურის ქვედა კვანძი, რომელშიც თავისი ჯღანები გამოკრა, საკმაოდ მსხვილი გამოვიდა და ამიტომ, ვერ იქნა და, ვერ შეეკანა ბოხჩის ზედა წვერები. დაცარიელებული ეზოს მხრიდან რაღაც ყრუ გრუნუნის მოისმოდა, — ნეტავ, ავდარს ზომ არ აპირებს? იგი ხედავდა, როგორ ირეოდნენ ბოროტი სულელებით ერთმანეთში ნაირ-ნაირი ღრუბლები, — იქნებ მისი ქმრის სულის გარშემო ჯინებს ფერხული ჩაუბამთ? ერთი-ორჯერ კიდეც მოეჩვენა, რომ მის წინ უზარმაზარი უფსკრული გადაიხსნა, — ვინ იცის, იქნებ სიკვდილმა ხახა დაალო, რომ იგი შთანთქას?...

მარტოა, სრულიად მარტო.

უსაზღვრო სევდა ჩამოწვა ამ ქალსა და იმ ბუნდოვან შორეთს შორის, საითაც მისი ქმარი გაემგზავრა. ზღვა და ზმელეთი, თოვლი და ტალახი, მოკლედ, მთელი უფერული არარობა გადაიშალა მის თვალწინ და სიმღერის უბრალო ჰანგში გადმოიღვარა: „საით წახვედი, ჩემო გადახვეწილი“.

უცებ თვალში მოხვდა ფენსაცემელი, ჯერ კიდეც ადრე ფრთხილად რომ გადადო გვერდზე: უზარმაზარი მალალყელიანი ფენსაცემელი ბოხჩაში ვერ

ჩასტია, დასატოვებლადაც არ ემეტებოდა თავისი მბრძანებლისა და პატრონის ეს წმინდა, მოგონებებით აღსავსე ფენსაცემელი, რომელიც მოეთავსებინა სამსხვერპლოს გვერდით, ბრინჯაოს ღვთაებებს შორის. ღვთაებებზე ძლიერ ჯაი სინგპთან მას ეს ფენსაცემელი აკავშირებდა, და რა გასაკვირველია, თუ იგი ოცნებების სამყაროში უზენაეს ღვთაებად ესახებოდა.

საოცარია, რა წვრილი ძაფებით ვართ ურთიერთთან დაკავშირებულნი. უბრალო რამ სიმღერა, ან ერთი წყვილი ფენსაცემელი ზოგჯერ მოგონებებით დაღარავს ზოლმე მარტოდ დარჩენილი სულის სიცარიელის გრძნობას. და ვაი, მას ვინც ცხვირს იქით ვერაფერს ამჩნევს.

გობინდის მთელი ცხოვრება თითქოს ამ არტილერისტის ფენსაცემლის თასმებით იყო აკინძული, ფენსაცემლისა, რომელიც ჯაი სინგპს დარჩა ფაციფუცში გემით გამგზავრების წინ. ახლა გობინდიმ ფენსაცემელი ერთმანეთს გადააბა და ბოხჩას დაალო, მაგრამ ფენსაცემელი დაცურდა და აქეთ-იქით მოექცა ბოხჩას. იგი წამოდგა ორლობის დასაზვერად, რომ გაეგო, შეძლებდა თუ არა შეუშინველად გაპარვას.

დამფრთხალი ქურციკივით უცებ აღვიდა მოსწყდა, ეზო გადაირბინა და შედგა ჩამოქნობილ ჯუტის ფარდასთან, რომელიც მას გარე სამყაროსაგან ფარავდა. ხშირი ქუხილისაგან ზეცა მისი ალღელებული მკერდივით თრთოდა, პაერში განუწყვეტლივ ისმოდა გრკვიანვა. გობინდი ხარბად სუნთქავდა პაერს. უცებ გაახსენდა, რომ წინათაც ბევრჯერ განეცადა რაღაც ამის მსგავსი გრძნობა. ეს მაშინ იყო, როცა ქმრის სახლში ახლად შესული პატარძალი დედამთილის მრისხანე თვალებს გაურ-

ზოდა, ჭურღულად იპარებოდა გარეთ და ქმრის მოლოდინში ქიშკართან იცდიდა. მართალია, იგი ვერ ბედავდა დაერღვია ადათი, რომელიც ქალს უკრძალავდა გრძნობების საქვეყნოდ გამოხვედრებას, მაგრამ. სამაგიეროდ, მკერდში ფარულად იმდენ ვნებას მალავდა, რომ ლამის იყო წაეღეკა თავისი ქმარი. თავის მხრივ ჯაი სინგპიც გაუბრბოდა და ერიდებოდა დედის მძვინვარე მხერას. მაგრამ როგორც კი შუადღე მოაწევდა და მოხუცს წასთვლემდა, მაშინვე დროს იხელთებდა, ფეხაკრეფით შეიპარებოდა შინ, უხმოდ, უდარდელი ღიმილით ჩაიხუტებდა ცოლს და ფრთხილად წამოაწვენდა თევანზე... როცა მოხუცი გარდაიცვალა, ჯაი სინგპი უკვე საღდაც შორს იბრძოდა. მას შემდეგ მათ ერთხელაც არ გაუზიარებიათ ერთმანეთისათვის თავისუფალი და სრული ვნება. აღსავსე იღუმალებით, ვით სურნელება იმ ვარდებისა, ერთხელ მისმა კაცმა რომ მოართვა ამრიტსარიდან¹ დაბრუნებისას, — სწორედ ასეთი იყო ჯაი სინგპის სიყვარული, უშრეტო ცეცხლით რომ გადაბუფა მისი სხეული... უჩინარი, ვით მეტყველება თავისი ტანისა, ისეთი იყო ქმრისადმი მისი ტრფიალი, რომლას ალიც ჯაი სინგპს ისე მოსდებოდა, რომ ვი-ვაგლახით შორდებოდა მუდამ თავის ცოლს. უჩინარი, მთლად უჩინარი იყო ის პრილობაც, რომელიც ქმარმა მიაყენა მას განშორების ეამს...

„საით წახვედი, ო, ჩემო გადახვეწილო“ თავიდან არ შორდებოდა აკვირებული პანგი, სანამ კინალამ თვალთ არ დაუბნელდა. მაგრამ თავს სძლია, ჯუტის ფარდა ფრთხილად გასწია და მალულად გახედა ორლობეს. „არავენ არის... თუმცა არა...“ და ფარდას სწრაფად უშვა ხელი. შორიახლოს, თავისი სახლის წინ, ერთგულ დაარჯი-

ვით, ღირეზე წამოსკუბებულიყო ბებერი ფუფი და ლამბაქედან ხვრტებდა ჩაის. გობინდის მუდამი მშინს მხატს სცემდა ფუფის მოთვალთვალე, ფართოდ გახელილი შავი თვალები. კარგად იცოდა, რომ დედაბერი მისი გულქვა და გონებაშეზღუდული დედამთილის გულისმესაიდუმლე იყო. გობინდის ექვიც არ ეპარებოდა, რომ სიკვდილის წინ დედამთილმა მთელი თავისი საიდუმლო ზრახვანი ფუფის გაანდო ჩურჩულით. ალბათ ამიტომ იყო, რომ დედაბერი ასე ბევრს ყბებლობდა იმაზე, რომ გობინდი უნდა „მორიდებოდა“ მამაკაცთა მსუნავ გამოხედვას. ახლაც მის სიფრთხილეს მოწმობდა ცნობისმოყვარობით გამოწვდილი, დანაოკებული კისერი, ჩაის ლამბაქს ზემოდან რომ გასცქეროდა ორლობეს.

გობინდი ეზოში შემობრუნდა, თავი ოდნავ მოიღერა და სმენად გადაიქცა. დედაბრის ეზოდან მამლის ყვილი შემოესმა, მერე ფუფის ხმაც გაიგონა, მამალს რომ მიაწყველა.

უცებ მისთვის ნათელი გახდა, რომ სოფელში დედასთან გაქცევის გეგმა ჩაეშალა. წყალწალბებული მაინც იმედს მოეჭიდა, აივანზე აიჭრა და ბოხჩას ხელი დაავლო. მაგრამ სწორედ ამ დროს შესახვევის მხრიდან გაისმა ფეხის ხმა. ვილაც მოაბიჯებდა სახლისაკენ. გობინდი მიხვდა, რომ ყველაფერი გათავდა. ხელები დაუდუნდა, ფეხსაცმელი ბოხჩაზე დაცურდა და ყრუ გრუბუნით დაეცა იატაკზე. გობინდი რომ ასაღებად დაიხარა, მევახშე მილაპ ჩანდი უკვე კარის რაზას აჩხავენებდა და გაყვიროდა:

„ჯაი სინგპის დედაკაცო! კოპწიავ! შეიძლება შემოვიდეთ?“

გობინდი იატაკზე ჩამოჯდა, სახეზე გულმოდგინედ მოიფარა თავშალი და მთლად მობუხული შეეხმაურა:

„შემოდით, შემოდით, სეტპჯი!“

„სანამ ხალხი შეიკრიბებოდა, მანამ გვინდოდა მოგვეთავებინა საქმე, რომ

¹ სიკების წმინდა ქალაქი, მდებარეობს აღმოსავლეთ პენჯაბის პროვინციაში, ინდოეთის ჩრდილოეთით, პაქისტანის საზღვრის მახლობლად.

¹ სეტპჯი — მევახშე, ჩარჩი.

ზედმეტი ხმაური და მითქმა-მოთქმა არ გამოგვეწყია“, — შემოსვლისთანავე წამოიწყო უხერხულობის დასაფარავად მილაპ ჩანდმა. ჩასუქებული სხეული მთლად გაოფლიანებოდა, თვალები მოკრძალებით ზემოთ აღებურო, თუმცა მის შხერას ერთი ნივთიც არ გამოჰპარვია.

„აი, ჯენტლმენი, რომელიც სახლის ყიდვას აპირებს. ექიმი საინ დასი“...

გობინდი უხმოდ იჯდა თავის ბოჭჩაზე და გულზე ცეცხლი ედებოდა.

„შოგნით შემობრძანდით, ექიმო საპიბ²“, შემოიპატიჟა მილაპ ჩანდმა ახალი მოსული. გობინდომ თავშალი ორნავ გადაიწია და თვალი შეაგლო შავ გოლიათს, რომელსაც პაწაწინტელა თვალებზე სათვალე ეკეთა. იგი ინგლისურ კოსტუმში გამოწყობილი, ნამდვილ სპილოს ჰგავდა. სიარულიც რაღაც უცნაური ჰქონდა: მოძრაობის დროს ხელებს არ აშორებდა თეძოებს. მას შემოპყვა წელში მოკაყული ბებერი ფუფი. კარებში კი ბავშვები შეჯგუფდნენ ხმაურით.

„ეზოს უკანა კედელი რომ მოირღვეს, ექიმო საპიბ, მაშინ სახლი ბაზრისკენ შემობრუნდება. მე გირჩევთ ამ მხარეს გასვრათ კარი და აქედან მიიღოთ ავადმყოფი მამაკაცები. რაც შეეხება უკანა კარს, რომელიც შესახვევში გადის, ავადმყოფი ქალების მისაღებად დატოვეთ. ეს თქვენ მიზნებს მშვენიერად უღდება, მით უმეტეს, რომ ახლო ხანში მეზობელი სახლებიც...“ — მან ჩაახველა და მერე მრავალმნიშვნელოვნად თქვა: „ალბათ მალე შესძლებთ გაათართოვოთ პრაქტიკა...“

„ღიახ, ღიახ“, — თავი დაუქნია სპილო-ექიმმა. „ფართობი მართლაც მცირეა. შემდეგში საკირო იქნება მთლიანად გადაკეთება“.

„მაგრამ ჯერჯერობით ხომ სავსებით საკმარისია?“ — მიუგო მილაპ ჩანდმა, რომელიც ცდილობდა, რაც

შეიძლება მალე დაემთავრებინა გარიგება.

„რას იზამ, ჯერჯერობით რაცაქნის — არის“, — უპასუხა ექიმმა.

„მაშ ჩვენ აქ საავადმყოფო გვექნება?“ — გაიკვირვა ფუფი. „ოჰ, რომ იცოდეთ, წელი როგორ მტკიცია! იქნებ საპიბმა ინებოს და ცხელი საფენები დამადოს ანდა სხვაგვარად მიმკურნალოს“.

„მოგცლია რაღა, დედაბერო“, — ხელი აუქნია მევახშემ.

„ქვაბებზე, ქოთნებსა და საწოლზე რაღას იტყვიო?“ — იკითხა ექიმმა. „იმედია, ყოველივე ეს სახლის საერთო საფასურში შედის?“.

„ოჰ, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ არაფერია, ამაზე მერეც მოვრიგდებით. ახლა კი კარგი იქნებოდა მინდორში გასეირნება და ქასთან ცივი წყლის გადავლება ტანზე“.

„ცოდვების ჩამოსარეცხად, არა?“ — მოუჭრა უეცრად დედაბერმა. „არა, როგორ არ გრცხენია, გობინდის შეძვეობით შეძენილ ქონებას რომ ეპატრონები?“.

„ფუფი მაი“, — შეეკითხა თვალცრემლიანი გობინდი.

„ეი, თქვენ, ნუ კი იღრინებით!“ — შეუყვარა მილაპ ჩანდმა. „მე თქვენ დაგინდეთ და საჯარო ვაჭრობის სირცხვილს აგარიდეთ. თქვენი გულისათვის ამ დილაადრიან ექიმი საპიბი შევაწუხებ, თქვენ კი...“

„თავი დაანებეთ“, — უთხრა ექიმმა საინ დასმა, რომელიც ცდილობდა აყალმაყალი არ ჩამოეარდნილიყო მევახშესა და დედაბერს შორის.

„კეთილი, იყოს ნება თქვენი. მაშ წავსულვართ“. — მაგრამ სწორედ ამ დროს მან თვალი მოკრა ბოხჩას და ძირს დაყრილ ფეხსაცმელს.

„ქურდო! უჰ, შე ძაღლის შვილო!“ — ყვირილით მივარდა მევახშე გობინდის. — „მოპარვას აპირებდი, განა? აბა, ახლავე გახსენი ბოლჩა! ეს ფეხსაცმელი კი ჩემს შვილს გულზარი ლაღს მოუხდება“.

² საპიბი — ტიტული, რომელიც ერთის მაღალი წოდების ან თანამდებობის პირთა სახელებს, ევროპელი, საიბი.

ამ სიტყვებზე გობინდის გული დაეწვა, დაჭრილი ფრინველივით აფართხალდა, ბოხჩას ორივე ხელით მოეხვია და სლუკუნე და ქვითინი აუყვარდა.

„გახსენი-მეთქი, შე ძუენა, შენა!“

„აგრე უხეშად რატომ უყვირი?“ — გ: მოესარჩლა რატომღაც დედაბერი გობინდის... გობინდი დიდი ხანია აპირებს ჩემს ვაჟს აჩუქოს ეს ფეხსაცმელი, როგორც ჯაი სინგჰის უკანასკნელი სახსოვარი. ჩემი შვილი და ჯაი სინგჰი ზომ სიყრმის მეგობრები არიან!“

„გახსენი ბოხჩა, გვიჩვენე, რის წაღებას აპირებდი“ — ბრძანების კილოთი განაცხადა ექიმმა საინ დასმა. — „დედაბერო, უთხარი ბოხჩა გვიჩვენოს“.

„გახსენი, შვილო, გახსენი. ნახონ ამ ეშმაკის კერძებმა, თუ რა გაქვს ბოხჩაში. ერთი ისიც ვნახოთ, საკუთარ ნივთებზე როგორ აგაღებინებენ ხელს განსაკუთრებით კი ამ ფეხსაცმელზე, შენ რომ უკვე ჩემს შვილს შეჰპირდი“. დედაბერი რომ ამ სიტყვებით თავზე წამოაღვა, გობინდი შიშის ზარმა აიტანა. მაშინვე ბოხჩას ხელი შეუშვა და ფეხსაცმელს ჩააფრინდა.

„გახსენი ბოლჩა!“ — უბრძანა მილაპ ჩანდმა. ბებერმა ფუფიმ კვანძების შესხნა დაიწყო. მევახშე და ექიმი ახლოს მივიდნენ, რომ უფრო კარგად დაენახათ, თუ რა იყო ბოხჩაში.

„ახლავე მოიტა ეგ ფეხსაცმელი, ეს გულზარისაა“. — შესძახა მევახშემ და ხელი ჰკრა გობინდის, რომელიც მაგრად მოხვევოდა ჯაი სინგჰის უკანასკნელ სახსოვარს. გობინდის მთელი ცხოვრების აზრი თითქოს ფეხსაცმელით გამოწვეულ მოგონებებში ჩაქსოვილიყო. სანამ ამ წმინდა ნაშთის გა-

დარჩენის იმედი შერჩენოდა, კრდევ მხნეობდა, მაგრამ გრძნობდა, რომ იმედის დაკარგვისთან ერთად მხნეობაც ლალატობდა.

„ბოხჩაში სახარბიელო არაფერია, მარტო რაღაც ძონძებია“ — დასკვნა ექიმმა საინ დასმა, როცა შეკვრა ფრთხილად გადაქექა. — „მარტო ეგ ფეხსაცმელი თუ ღირს რამედ. სოფლებში წაწალის დროს ეგ ფეხსაცმელი სწორედ რომ მისწრება იქნება“.

„ჩემი გულზარი...“ ისევ წამოიწყო მილაპ ჩანდმა. „უღმერთოებო, ფეხსაცმელი უკვე ნაჩუქარია ჩემი შვილისათვის“, — გაიძახოდა თავისას დედაბერი და ცდილობდა გობინდისათვის ხელიდან გამოეგლიჯა ფეხსაცმელი.

გობინდი კარგა ხანს მთელი თავისი ახალგაზრდული ძალ-ღონით იბრძოდა. თავშალი ჩამოუვარდა და გამოუჩნდა შეკავებული ქვითინით დამახინჯებული სახე, რომელსაც ბებერი ფუფი თავისი ბრკყალებით აფხაჰნიდა. მევახშე მილაპ ჩანდი ორივე ხელით აწებობდა და ლამობდა გვერდზე გადაეგდო გობინდი, ექიმი კი თითქოს მის წინ ადამიანი კი არა, ძალი ყოფილიყო, ცდილობდა წიხლი ჩაერთყა.

„რაო, გეგონათ საქმის გარიგებაში გასამრჯელოს არ ავიღებდი?“ — წამოიძახა ბოლოს მევახშემ, როცა ფეხსაცმელი გამოჰგლიჯა გობინდის.

გობინდი უეცრად ადგილზე შეინძრა, პირქვე დაემხო მიწაზე და მწარედ აქვითინდა:

„ნამდვილად ჰქუაზე შევირყევი გავეგყდები!“ თავზარდაცემული ბავშვები გაიფანტნენ.

დაე, გაიღვიძოს ტყისმცხრელმა

და შენ, კაღარნაუმ, ნუ ცაღმდე აშაღლდები, არა-
მედ ჯოჯოხეთაღმდე შთაჰხდე.

სახარება ლუკასი. X, 16.

მდინარე კოლორადოს მარცხენა ნაპირი
არის საყვარელი ადგილი ჩემი.
მე ამ ნაპირის ვარ სტუმარი ძალიან ხშირად.
ეწვევა ხოლმე მას ჩემთან ერთად
ჩემგან განცდილი
ყოველივე და ყველაფერი:
ის, რაც ვიყავი,
ის, რაც გავხდი,
რაც ღრმად მწამს, ისიც.

აქ უთავებოლოდ ჰყრია ირგვლივ ფერადი ქვები,
სახლების მსგავსად აბოლიხებს რიყის ქვებს ქარი.
ორწოხებიდან მწითური ბრმა ამოდის ქშენით
და ჩნდება ქვებში ენერგია, რკინა და ცეცხლი.
ო, ამერიკავ! მოფენილო კამეჩის ტყავით;
მე ხარბად ვსუნთქავ შენი ვრცელი სტეპების ღამეს,
ჭიჭის ვარსკვლავებს ვუჭახუნებ და...
შენი ქალების ცვარნამით ვთვრები.

ღიახ! არიზონას კვანძების გავლით
და ვისკონსინის ფესვების გასწვრივ
მე ვისწრაფვოდი ჩრდილოეთით — მილეოკისაკენ,
რათა შევხვედროდი ლითონს და ქარს.
მე მივარღვევდი ცეცხლმოდებულ ვესტ-პალმის ჰანკრობს,
ნაძვების ტევრი ტაკომაში უშიშრად განვლე;
ვძლიე სიურჩე შენთა ტყეთა რკინისებური.
მე მივდიოდი მშობლიურ მიწით.
გარშემო ერთხმად შრიალებდნენ ფოთლები ლურჯი.
წყალნი მქუხარნი ხათქახუთქით ისროდნენ ლოდებს.
გრილ-გრიალი გაჰქონდა გრიგალს,
როგორც მუსიკას სამყაროსას.
ჰგავდა გალობას საეკლესიოს
მღორე მდინარის დუღუნი ნელი.

მხედებოდნენ ჩიტები.
მხედებოდა ხეხილი.
მხედებოდნენ მინდვრები.



და იღვა ირგვლივ დუმილი სრული,
გალოჯილიყო რათა ხნულში ხალვათად თესლი,

მდინარის პირას როცა მარტო ვყოფილვარ ხოლმე,
იმხელა ძალა მისცემია ოცნებას ჩემსას —
ვისმენდი: ფართო ქუჩების ხმაურს.

დიდტანიანი წიგნების შრიალს,
საფლავთა დუმილს, ფიფქების ცვენას.
ქარხნების დგანდგარს, ყვავილთა ფშვენას
და ორთქლმავლების გაბმულ კივილს შუალამეში.

ვხედავდი: ზღვაში ჩაწოლილ ხომალდს,
საქსოვ დაზგათა უთვალავ მაქოს,
ჰაერში მცურავ უშიშარ კონდორს
(კონდორს ნისკარტი ბურღის წვერს უგავს)

და ნავსადგურში მანქეტენის ქათქათა მთვარეს.
ვგრძნობდი: ვეება სამყაროს სუნთქვას,

ადამიანთა ყოველგვარ ტკივილს,
მიწის წიაღში ვულკანის წრიალს,
რკინის სიმძიმით გასრესილ ბალახს
და ყოველივე მიწიერის ყოფნა-არყოფნას.

მიყვარს, როდესაც ახალგაზრდა ლამაზი დედა
ალიზის ქოხში თავის პირშმოს აწოვებს ძუძუს.
მიყვარს, რძის სუნი რომ ტრიალებს ღარიბის ქოხში,
როცა აკვანი აკმევს სურნელს, ვით ტამარინდა.
მიყვარს, როდესაც თეთრ ზეწარზე გაივლის უთო
და ოდნავ სველი თეთრეული ოხშივარს უშვებს.
კერის ნაცარში გახვეული სუნთქავს ლადარი.
შავი კარდალი უმოძრაოდ ჰკილია ჯაპვზე.
წადით, ესტუმრეთ მისურის მხარეს;
კარგად გასინჯეთ იქაური ფქვილი და ყველი.
ვიოლინოსებრ წითელ ხეებსაც,
სურნელუბას რომ აფრქვევენ უხვად,
შეავლეთ თვალი.

იქ პურის ყანას ღრმა თოვლივით მიარღვევს კაცი.
უხედნი კვიცი თვალებიდან ნაპერწკლებს აფრქვევს.
(მას უნაგირი დღეს პირველად დაადგეს ზურგზე),
აჯილღას უნდა გამოჰგლიჯოს აღვირი პატრონს
და იალალზე თავისუფლად გაინაეარდოს.
ნახავთ ნახნავში წითელ ყაყაჩოს,
ნახავთ გამქვარტლულ ჯუჯა სამკვდლოს,
ნახავთ ქვიტყირის მაღალ სამრეკლოს.
კინო თუ გნებავთ — კინოსაც ნახავთ:
ტყის შუაგულში ჯგუფად დგანან დიდრონი ხენი.
ხეთა ტოტებზე ეკრანია გამოკიდული;
ნელთბილ ნეშოზე სიყვარულს სძინავს.
შედნიერებას ხედავს იგი სიზმარში ახლა.
ბავეთა მისთა ნეტარების ღიმილი ამკობს.
მას ეს ღიმილი დედამიწამ აჩუქა ერთხელ.



ჩვენ გვიყვარს შენი მშვიდი გამოხედვა.
 არ გვიყვარს შენი ღრენა ბოროტი.
 შენ არ გიხდება საომარი ნილაბი ცივი.
 ჩვენ გესურს ჩრდილოეთ ამერიკა არ იყოს ცუდი.
 ჩვენ შენ გვიყვარხარ, ვით უბრალო მრეცხავი ქალი —
 მდინარის პირას ჩირგვებზე რომ თეთრეულს აფენს,
 მყუდრო ადგილას — ყვავილნარში ჩადგმული სკები.
 მზეში ზღუნით მოფუსფუსე ფუტკართა გუნდი —
 ესაა შნო და ლაზათი შენი.

ჩვენ გვიყვარს კაცი, ორეგონას ქაობში მდგარი.
 გვიყვარს იმ კაცის ხელები დაკორძილი.
 გვიყვარს თმაბუჭუჭა ბიჭი აფრიკელი —
 სპილოს ძვლის მიწიდან მან შენ მოგიტანა
 მელოდიები მკვირცხლი და ცხელი.
 ჩვენ გვიყვარს შენი რკინიგზის ქსელი,
 შენი ღიდრონი ქალაქები, შენი სოფლები.
 შენი სინათლე, მანქანები, ნავსადგურები.

ჩვენ გვიყვარს შენი სოფელი მყუდრო,
 ფუტკრის სკასავით სიტყბოთი სავსე.
 ჩვენ გვიყვარს გოლიათი ქაბუკი —
 უზარმაზარი ტრაქტორის მძღოლი.
 გვიყვარს ხორბალი — ჯეფერსონის ნაანდერძალი,
 გვიყვარს ბორბალი — კომბაინის დიდი ბორბალი,
 ზომავს რომელიც შენი მიწის ლურჯ ოკეანეს.
 ჩვენ გვიყვარს კვამლი — აგრაგნილი ქარხნების თავზე.
 ჩვენ გვიყვარს შენი მუშური სისხლი.
 გვიყვარს მაზუთში გათხვრილი ხელი —
 აი რა გვიყვარს ჩვენ.

მოხდა ისე, რომ... პრერიების უსაზღვრო ცისქვეშ,
 კამეჩის ტყავზე გაწოლილებს — ვით უხმო ჩრდილებს —
 ღრმა ძილით სძინავთ მელოდიებს მამათა ჩვენთა.
 ეს ის ხმებია — წარმოდგენს რომელიც ახლა
 ქვეყნად ჩვენამდე არსებულის ქებათა ქებას...

ოკინაიდან,
 საფრანკეთიდან.
 ფილიპინების კუნძულებიდან
 (ეს თავის წიგნში ნორმან მაილერს
 აქვს ასახული ძალიან ცოცხლად)
 ზღვაში და ცაში გადატანილ ბრძოლების შემდეგ
 ჯარისკაცები დაუბრუნდნენ საკუთარ სახლ-კარს.
 ბევრმა მათგანმა ველარ ნახა მამულის ზეცა...
 წვირე და ოთლი, სისხლი და შმორი —
 აი რა იყო ბრძოლის ველზე ცხოვრება მათი.
 არ ეპუებოდნენ გრივალს და ქარიშხალს.
 მათ ვერ აშინებდათ გრიალი ზვირთების, —



გმირულად ეცემოდნენ ბრავებთან ისინი...
 და როს მრისხანე ქვემეხები შეწყვეტდნენ ქუბილს —
 გადმოდრიოდნენ მებრძოლები ხშირ კუნძულებზე —
 გვირგვინებით რომ აწყვია ოკეანეში
 და დედამიწას აბარებდნენ დაღუპულ გმირებს.
 ვირთხები, კუჭყი, ქარბუქი, თქეში
 იყო მებრძოლთა მუდმივი მტერი.
 სასოწარკვეთას ჯარისკაცთა ებრძოდა გული.
 მხნე მეომარი ვაჟკაცურად იტანდნენ ტანჯვას.
 ბოლოს ისინი დაუბრუნდნენ მშობლიურ მხარეს;
 შენ კვლავ იხილე, ამერიკავ, შეილები შენი
 და ომგადახდით განიერად გაულე კარი.
 მათ, როგორც ვარდი დაყრის ხოლმე უფერულ ფურცლებს,
 თავიდან ისე მოიშორეს მზარავი ხსოვნა,
 რათა ხელახლა შესდგომოდნენ ცხოვრებას ახალს.

II

მაგრამ რას ხედავს თვალები მათი:
 საკუთარ სახლში ვიგინდარა დახვდათ მასპინძლად.
 ომგადახდილებს მხედველობა დალატობს იქნებ?!
 ვინ იცის, იქნებ ბეცი იყო აქამდე ყველა?!
 იქნებ უეცრად ეკლიანი ეპოქის ტოტი
 მოხვდათ სახეში და გააღეს სიმწრისგან თვალი?!

შეხედე ზანგებს! ხომ გახსოვს მათი
 გამტანობა და გმირული ბრძოლა.
 დღეს მათ ქოხებთან სისხლიანი დგას სახრჩობელა.
 სახრჩობელაზე ჩამოკიდეს ღვიძლი მამა შენი!
 ჰქონდა საკუთარ სისხლის დაღვრის უფლება გუშინ,
 მოკლებულია დღეს ყოველგვარ უფლებას იგი.
 შავ მოსასხამში გახვეული ავაზაკები —
 ერთ ხელში ჯვართი,
 მეორეში რეზინის შოლტით —
 შუალამეში საიდანღაც გამომტყვარალები,
 აწიოკებენ კარ-მიდამოს უწყინარ ზანგთა.
 (და განა ამას ჰპირდებოდნენ მეომრებს მაშინ,
 როცა ისინი მტერს ებრძოდნენ თავგანწირვითა?!)

აგმა ბატონმა, ვით რეაფეხამ გაუმაძღარმა,
 დაისაკუთრა არემარე, კაბუკო, შენი.
 მიხაკისფერი, ბერლინური, ნაცნობი შხამი
 წვეთ-წვეთად ჟონავს ამერიკულ გაზეთებიდან.
 „ნიუს-ვიკი“, „ტიამსი“ და სხვაც ბევრი ახლა
 ცილისწამებით და სიცრუით არიან სავსე.
 იგივე ხერსტი, — ნაცისტებს რომ უქმევდა გუნდრუქს,
 დღეს პირზე ღიმილთ ფრჩხილებს იქნის და გულით უნდა
 იქ გაგავზავნოს შაშხანით ხელში,
 სადაც ბღავილით ასკლებიან ზვირთები ბრავებს.

გაგვზავნოს, რათა კვლავ იმისთვის დაღვარო სისხლი,
ვინც უკანონოდ წაგართვა სახლი.

ეს კი სავსებით გასაგებია:

ომის გარეშე არ სალდება ტყვია და დენთი.

გაფაციკებით ამზადებენ ისინი ნაღმებს.

ჩქარობენ, რათა არ გამოჩნდეს ახალი ნაღმი

და სხვათა ხელში არ აღმოჩნდეს ქარხნები მათი.

ყველგან და ყველადღერში დამკვიდრდა ჯალათი.

ერთობა იგი ბავშვების ელექტით...

მას ესპანეთი ძლიერ მოსწონს — მოსილი თალხით.

ხელში უჭირავს შენი სისხლით გავსილი თასი.

აი „კოკტილი“ რა არი მარშალის.

ჩაასხით ჯამში დახვრეტილი ჩინელი გლეხის

და ესპანელი ტუსადის სისხლი.

მას ჩაურჩეთ ცხელ კუბაში დაღვრილი ოფლი.

იმავე ჯამში ჩააქციეთ ცრემლები დედის.

(ჩილის მიწაზე თქეშევით რომ იღვრება ხოლმე)

ჯამს მოურიეთ პოლისმენის მაგარი კეტით.

არ დაგავიწყდეთ: დაუმატეთ ყინულიც ცოტა

და უძველად — რამდენიმე ფერადი წვეთი

ამ სიმღერისა: „ქრისტიანთა კულტურას ვიცაეთ!“

— გემწარა?! მალე შეგაჩვევენ ამასაც, ძმაო!

შენ შეგიძლია დედამიწის ყოველ კუთხეში

ეს „კოკტილი“ მოითხოვო და შესვა იგი.

შენ ეს სასმელი ჯერ არნახულს შეგმატებს ძალას.

და როცა შესვამ, ამოიღე ქალაღი კოხტა —

ჯორჯ ვაშინგტონის რომელზედაც ხატია სახე.

შენ იყავ მოწმე: ვით აიძულეს

გაქცეულიყო ამერიკიდან

სახელგანთქმული ხელოვანი ჩარლი ჩაპლინი.

შენ მოწმე გახდი: რა უსაფუძვლოდ

გამოაცხადეს ამერიკის „მტრებად“ შენივე

უერთგულესი, ღირსეული თანამომხენი

და როგორ დასვეს ბრალდებულთა სკამზე ისინი.

ვინაა მათი ბრალმდებელი?! — ვაჭართა ხროვა —

ომების ცეცხლზე ხელს რომელიც გულგრილად ითბობს.

ძალზე შორეულ ადგილამდეც მისულა შიში

(დეიდაჩემი შეშფოთებით კითხულობს გაზეთს),

ზიზლით უყურებს ქვეყანა მთელი:

მართალი ხალხის უსამართლოდ დამსჯელ ტრიბუნალს.

გონებაჩლუნგი ბებიტების ბრაზიან ღრენას.

მონათმფლობელთა მართლმსაჯულებას.

ლინკოლნის მკვლელებს.

ახალმოდის ინკვიზიციას —

ქრისტეს სახელით კი არ არჩევს რომელიც საქმეს —



(თუმცა არც მაშინ დაუყრია დიდი ხეირი,
როდესაც იგი მოქმედებდა ქრისტეს სახელით)
ოქროა მისი საფიცარი კერპი და ხატი, —
ბანკის კედლებში მოქცეული ჩხრიალა ოქრო.
ოქრო, რომელსაც ოდნავადაც არ აქვს უფლება,
იყოს განმსჯელი საქმეთა ჩვენთა.

ბჭობენ ბოგოტეში ტრუხილო, მორინიგო,
გონსალეს ვიდელა, სომოსა, დეტრა
და უსამართლობას უკრავენ ტაშს.
ყველა ესენი ვინ არიან, ქაბუკო, იცი?!
ესენი არიან ის შაეი ყვაეები,
მზეს რომ აბნელებენ ფრთებით
და მთელ კონტინენტს მწუხრავს ჩრდილი მათი ფრთებცხა.

საპურობილენი, მძულვარება, კაცისკვლა, ომი,
ბატონობს ახლა ამერიკის სამხრეთ ნაწილში,
იქ, სადაც მიწიდან ამოაქვთ ნავთი.
და განა მარტო ნავთს იძლევა სამხრეთის მიწა, —
ეს ურჩხულებიც ამავ მიწის არიან მკვიდრნი.
ჯალათის ბრძანებით თითქმის ყოველ დამე
არბევენ ლოტაში ღარიბთა უბნებს...
ტირიან ხმაურზე დამფრთხალი ბავშვები.
უდანაშაულოდ იღვრება სისხლი...
ბოლმა ეხეთქება დილევის ცივ კედლებს,
სწყურიათ პატიმრებს ბრძოლა.

იქ... პარაგვაის უღრან ტყეში იჭექა თოფმა —
სისხლის წვეთებით დაიწინწკლა კრიალა დილა...
მოკლეს სიმართლე! —
ადამიანის თეთრი ძვლები მინდორში ჰყრია.

თქვენ, მისტერ ვანდენბერგ,
თქვენ, მისტერ არმურ,
თქვენ, მისტერ მარშალ,
თქვენ, მისტერ ხერსტი! —
კაცმა რომ გკითხოთ „დასაგლეჯის იცავთ!“
და ეს თუ მართლა ასეა, მაშინ
ჯარები რატომ არ გაგზავნეთ სან-დომინგოში?!
ის როგორ იყო?! მკვლელთაგან რომ დაეხსნა თავი —
ნიკარაგუას პრეზიდენტმა საქასამ ღამით
ჩუმად დატოვა საყვარელი სამშობლო მხარე
და საღდაც, უცხო მიწა-წყალზე, დალია სული!
(როგორც ჩანს, თქვენთვის ბანანები უფრო მეტს ნიშნავს,
ვიდრე დაცვა და მოფრთხილება თავისუფლების.
ბანანების კი... არცთუ ისე ძნელია მოვლა, —
ბანანთა დაცვას სომოსებიც მოახერხებენ).

III



შობლიურ მიწას მოწყვეტილმა, ნატრულმა მისმა,
 მომთაბარეთა ალაჩუხად ვაქციე სახლი.
 მოგზაურობით შევაჯერე ქვეყანა მთელი.
 გზაში ხან ვმღერი, ხან გულთბილად ვსაუბრობ ხალხთან,
 ხან შენთანა ვარ, ამერიკავ,
 ხან შორს ვარ შენგან.
 დღეს, მაგალითად, ვარ ურალის უსიერ ტყეში;
 აქ სიჩუმეა... ისვენებს სული;
 ვსუნთქავ ფიჭვების საამო სურნელს.

მე აქ ყველაფერი მიყვარს და მახარებს,
 რაც ადამიანმა შექმნა სიყვარულით.
 ურალის ნაძვთა სქელ ლამეში დგას სახლი ჩემი.
 უძრავ ბოძებად აზიდულა დუმბილი ცაში.
 აქ კაცის ძალამ შთაბერა სული
 ლითონს და ხორბალს.
 უროთა თქარუნს ნთქავს ტყე ბებერი;
 ყრუ თქარათქური სასწაულს მოგავს.
 აქედან ვხედავ სივრცეებს უსასრულოს,
 ხალხმა რომ გამოჰვლიჯა ბუნებას ხელიდან.
 იქ, სადაც წინათ შემზარავად ჩხაოდა ტურა,
 დღეს: ელსადგური, აფთიაქი, კინო და ბალი
 სუნთქავს და ელავს, ვით მათიოლა.
 და ეს ყველაფერი შშვიდობისმოყვარეს —
 დიდსა და პატარას — ეკუთვნის ყველას.

დავაჩერდები საბჭოეთის ელვარე რუკას:
 შირტყამს სახეში ვებერთელა ქარხნების კვამლი.
 ვყნოსავ ნოყიერ მდელოთა სურნელს.
 შრიალი მესმის ფაბრიკიდან ახალი ფართლის.
 ვხედავ გათოკილ მდინარეთა ამო ფართხალს.
 საღამოთი კი... ოღეს ციდან ეშვება ბინდი —
 ახალ გაყვანილ გზით როდესაც ვბრუნდები სახლში, —
 სამზარეულოს დაღინახავ თუ არა, მყისვე
 მეცემა ხოლმე მოხარული კომპოსტოს სუნი.
 აქ, ამ მიწაზე, ამოხეთქა იმ წმინდა წყარომ,
 ახლა რომელიც უკლავს წყურვილს სამყაროს ახალს.
 კერას საკუთარს დაუბრუნდა ომიდან ბევრი.
 ბევრი ვაქცატი ბრძოლის ველზე დატოვა ომმა.
 ისე გააქრო ყუმბარამ ზოგი,
 მათი მარტოდენ სახელილა არსებობს ახლა.
 ყველაფერს უმოწყალოდ არბევდა მტერი.
 ცეცხლში ინთქებოდა ქარხნები, ჯოგი.
 ერთიმეორეში იყო არეული
 ნამსხვრევენი ფანჯრების და ძელები ხალხის.
 ომმა დაგლიჯა გაზაფხული ვით მგელმა ცხვარი.



მაგრამ დაბრუნდა ბერლინიდან არმია გმირთა, —
 მონატრებული სიხარულის გათენდა დილა.
 ომგადახდილები ჩაებნენ შრომაში,
 გაჩაღდა დანგრეულ ქალაქთა აღდგენა:
 შენდება ხელახლა სახლები დიდრონი.
 ამღერდნენ ყანები. ამღერდნენ ქარხნები
 ქუჩაში მწვანე გაზაფხული გამოჩნდა ისევ.

უოტ უიტმენ! წამოდექი ბალახის წვერით,
 ახალ სამყაროს ძველებურად მოავლე თვალი!
 — რას ხედავ, ძმაო?!

— ვხედავ! — ამბობს მოზუცი ბრძენი:
 — ხელახლა გუგუნიებენ ქარხნები სტალინგრადში.
 (გმირებს სტალინგრადი ახსოვთ სამარეშიც)
 ვხედავ: დანგრეული ქალაქის ქუჩიდან
 კიხეინით გამოდის მინდორში ტრაქტორი.
 უოტ უიტმენ! ხმა და გული მომეცი შენი.
 მომეცი შენი პირისახის ნაკვთები მკვეთრი, —
 ამ განახლებას ორმა ერთხმად ეუმღეროთ რათა.
 ეუმღეროთ იმას, რაც შენდება სისხლისღვრის შემდეგ.
 რასაც შესწირეს დევგმირებმა სიცოცხლე თვისი.
 რაც იბადება ძლევამოსილ გამარჯვებაში.

საბჭოთა მიწავ! როგორც დედამ საკუთარ პირმშოს,
 თავისუფლებას შენ რაც სისხლი შესწირე ომში,
 ჩვენ რომ იმ სისხლის მოგროვება შეგვეძლოს ერთად,
 აივსებოდა ოკეანე უზარმაზარი...

ცხელი — ვით ვულკანი არაუქანისი.

მქუხარე — ვით ჩანჩქერი.

წითელი — ვით მზე.

აღამიანო!

სადაურიც არ უნდა იყო,

ჩაყაყი ხელი ამ უწმინდეს ოკეანეში.

და შენ იმ ხელით მიადრჩევე ყველა —

ვინც ააოხრა!

ვინც მოატყუა!

ვინც დაიეწყა!

ვინც შეურაცხყო!

ვინც დასავლეთელ მზეცების ზროვას

შეუერთდა და მოხოხავდა გველივით შენკენ,

რომ შეებღალა სისხლი შენი წმიდათა წმიდა —

თავისუფალი ხალხების დედავ!

ურალის ფიქვები აყმევენ სურნელს.

ფიქვების ჩეროდან მთელ რუსეთს ვხედავ:

ლაბორატორიებში მუშაობს დუმილი.

მიაქვს მატარებელს ხე-ტყე და წიგნები.

ქალიშვილები მიდიან სახლისკენ.

მტრედების გუნდი ტრიალებს ცაში.



ფორთოხლის ნაყოფში მკვიდრდება ოქრო.
 ბაზარში დახლებზე ხასხასებს მწვანელი.
 ქარს მოაქვს ჩემამდე სურნელი ახალი —
 დასახიჩრებულ, ნომარ მთებიდან.
 უსაზღვრო სტეპებს სახეს უცვლის ინჟინრის ხელი;
 დნება თოვლი და... გაშიშვლებულ, ლორთქო მიწაზე
 იკლაკნებიან გველებივით ორთქლის მიღები.

IV

არ გაგაბრიყვონ, ჯარისკაცო! ფრანგულ მიწაზე
 არ შედგა ფეხი, არ გაბედო შებღალვა მისი,
 თორემ ჩვენ იქაც დაგახვედრებთ საკადრის პასუხს.
 შენთვის ძმრით სავსედ გადიქცევა მტევნები ყურძნის.
 შენ იმ ადგილებს განახვებენ ფრანგის ქალები,
 სადაც ჯერ კიდევ არ ამშრალა დამპყრობთა სისხლი.
 ესპანეთშიაც არ გაბედო მახვილით შეჭრა;
 იქ ქვა ყოველი ქცეულია ყუმბარად ახლა.
 არ შეიპარო ზეთისხილის ბაღებში, თორემ
 ვეღარ იხილავ ოკლახომას ვეღარასოდეს.
 არც ელადამში გაქაქანდე შამშანით ხელში,
 თუ არ გინდა, რომ ჩაგითრიოს მორევმა სისხლის.
 ტოკოპილიოს ცისფერ ზღვაში არ ჩაპყო ხელი, —
 იქ თევზის ნაცვლად ხელს დაახვე ნაჯახს მოპირულს.
 იქ შენი ხილვა გაახვლებს არაუკანელს;
 იგი მიწიდან ფაცა-ფუცით ამოთხრის ისრებს;
 კონკისტადორებს ელოდება მუქარით იგი.
 არ დაენახვო გაუჩოსაც — როცა ის მღერის.
 არც ნავსადგურის მუშებისგან გელის სიკეთე.
 იცოდე! ყველგან იქნებიან ისინი! ყველგან! —
 გიტართა და ცეცხლწამკიდი ბოთლებით ხელში.

არ მიუშვირო ზარბაზნები ნიკარაგუას.
 ნიკარაგუას უღრან ტყეში სანდინოს სძინავს...
 ლიანებშია გახლართული შამშანა მისი;
 კოკისპირული წვიმა ავსებს შამშანის ლულას;
 დაუძიძგნია ყვავს და ყორანს სანდინოს სახე...
 მაგრამ ჭრილობა, რომლითაც თქვენ მოჰკალით იგი, —
 კვლავ ცოცხალია, ვით ხელები პორტორიკოში, —
 მომლოდინენი ბასრ დანათა ალაპლაპების.

კაცობრიობა იქნება მკაცრი!
 თქვენ არა მარტო მიწა დაგვმობთ, დაგვმობთ ჰაერიც,
 მან კარგად იცის, სიყვარულის ვინ არის ღირსი.
 ნუ მოაშურებთ საზარბაზნე ხორცისთვის პერუს!
 იქ ძველთა ღმერთთა ბომონების ახლოვე მდგარი —
 ჩემი შედგარი წინაპარი აფხავეებს მახვილს;
 ტრიალებს ჩარბი, — ამეთისტო ნაპერწყლებს ისვრის...
 იქ არ მიხვიდე! არ დაგინდობს მახვილი მისი.



ტრიალ მინდორში აყვირდება ნიჭარის ბუკი:
ერთი კაცივით აღდგებიან ამარუს ძენი —
შვილდ-ისრითა და შურდულით ხელში.
არც იქ... მექსიკის თვალშეუდგამ კორდილიერთა
კალთებზე სცადო გმირი ხალხის დაქირავება, —
მზის წინააღმდეგ არ აღმართავს ხელს მექსიკელი.
იცოდე! არ სძინავს საპატას იარაღს,
შეყენებულია ჩახმახზე იგი
და მიშვერილი — ტეხასის გულში.
კარგს არას მოგიტანს კუბაზე თავდასხმა;
იქ ოფლისმღვრელი კუბელი გლეხი
შენს გამოჩენას უშიშრად ელის.
ამ რწმენითაა მისი ხმა საესე:

„მოვკლათ ან მოვკვდეთ!“
ერთი ნაბიჯით არ გაშორდეს სან-პედროს ზღუდეს,
ზღვის ნაპირებზე არ გამოჩნდეს „მწვანე მუნდირით“
(ამ მუნდირებით ახლა რომში „იცავენ წესრიგს“)
იქ... მეთევზეებს საკუთარი თავივით უყვართ
ხალისიანი სტეპები და თავისუფლება.
ხელი არ ახლო ბულგარეთის მშვენიერ ხიდებს.
გზას არ მოგცემენ რუმინეთის მდინარეები.
ჩაილუბები მილიონთა მდულარე სისხლში.
გირჩევ, ერიდო გლეხიკაცის შეურაცხყოფას;
დაასამარა მემამულე მან სამულამოდ,
დღეს იგი მედგრად დგას მშვიდობის სადარაჯოზე;
არ ითავებდო, არ ჩახედო თვალეში მტრულად,
ის თუ განრისხდა ცეცხლოვანი თვალეებით თვისით
შენ და შენს ფარ-ხმალს ნახშირად აქცევს.
არ სცადო ჩინეთში დესანტის გადასხმა;
იქ არ დაგხედება ჩან-კაი-ში — ლაქია შენი.
იქ შენს ცხელ ტყვიებს დაგიშენს ხალხი —
ტყავი დაგრჩება ფიწლების ტყეში.

სხვა ომებშიაც იყო ქუხილი,
მავთულხლართები, ნალმების სკდომა.
- მაგრამ არასდროს არ ყოფილა ამგვარი გრგვინვა
ეს — ერთობაა სხვადასხვა გულთა!
ეს — სიმტკიცეა ფოლადზე მყარი!
ეს — წინაპართა ტანჯვაა მძიმე, —
ტანჯვა, რომელიც სულყველგან სუფევს:
მალაროებში, სადაც მუდამ წყველიადი მეფობს.
ხოდაბუნებზე, სადაც ოფლის იღვრება თქეში,
სამკვედლოების ჯოჯოხეთურ სიმხურვალეში,
დიდრონ ქარხნებში, უსაზღვრო ზღვებზე,
ნავსადგურებში, რკინიგზებზე, ქალაქად, სოფლად.
ეს ყველაფერი — გარდაქმნილი უძლეველ ძალად —
გალავანივით შემორტყმია მშვიდობას ირგვლივ.
დედამიწაზე არსებობს ხალხი!
მათ სახეებზე ღიმილი და ფოლადი ელავს.



ყველა მათგანმა ბრძოლაც იცის, სიმღერაც იცის.
 ტურფა ქალები, ღონიერი მამაკაცები,
 ტუნდრების მკვიდრნი, ტაიგელი მონადირენი,
 უკრაინელი გოლიათნი, ვოლგელი გმირნი,
 სწორუპოვარი მეომარნი — სტალინგრადელნი —
 ყველა ესენი აუღებელ სიმაგრედ დგანან.
 იმედი, ძმობა, სისხლი, ოფლი, სიმღერა, რწმენა, —
 მშატებს სიმტკიცეს ამ სიმაგრის უძლეველ კედლებს.
 როგორც კი ოდნავ შეეხებით ამ მტკიცე ზღუდეს,
 იმავე წუთში იქცევით ჩონჩხად.
 და ფერფლად ქცეულ ღიმილს შენსას, როჩესტერ, მეგრე
 ტრიალ მინდორზე ღრმა თოვლისქვეშ დამარხავს ქარი.

V.

დაე ნურასდროს ნუ მოხდება ამგვარი რამე.
 დაე... გაიღვიძოს მძინარე ტყისმცირეობა.
 დაე... დაგვიბრუნდეს ჩვენ აბრამ ლინკოლნი;
 ხეზე მიაყუდოს თავისი ნაჯახი,
 აბგიდან ამოიღოს ხის ჯამი,
 და გლეხკაცებთან ძველებურად გატეხოს პური.
 პიტალოსავით მოეღვარე ლინკოლნის შუბლმა,
 მუხის ქერქივით დაღარულმა იმისმა სახემ,
 იმავე მუხის კოყრებივით — თვალებმა მისმა, —
 დაე შეხედონ ხელმეორედ სამყაროს ახალს —
 აღმავლობით რომ ვირგინიის ფიჭვებს აჯობა!
 გზაზე შეიაროს ახალ აფთიაქში,
 დიდი ავტობუსით გასწიოს ტამპისკენ,
 ჩაკებიჩოს სისხლივით წითელი ვაშლი,
 ნახოს რომელიმე ახალი კინო,
 გააბას საუბარი უბრალო ხალხთან.
 დაე გაიღვიძოს მძინარე ტყისმცირეობა.
 დაე კვლავ ვიხილოთ ჩვენ აბრამ ლინკოლნი.
 დაე იმისმა მზრუნველობამ აზიდოს მალღა
 ილინოისში ოქროსფერი სიმინდის ყანა.
 მონათმფლობელთა სიმკაცრის წინააღმდეგ,
 პლანტატორების შოლტების წინააღმდეგ,
 დამამცირებელი სიტყვის წინააღმდეგ,
 ომის წინააღმდეგ, ჩაგვრის წინააღმდეგ
 დაე აღიმართოს ლინკოლნის ნაჯახი.
 საწინააღმდეგოდ ოქროს ბატონობის,
 საწინააღმდეგოდ სისხლით ვაჭრობისა,
 საწინააღმდეგოდ ლინჩის კანონისა, —
 დაე ამხედრდეს თეთრიც და შავიც.
 დაე გაიღვიძოს მძინარე ტყისმცირეობა.



სამგორის უღებო

(ქართული ხალხური თქმულების მოტივი)

— შორეულ კავკასიაში, შირაქის მთაგორიან ველზე, იქ, სადაც ამჟამად სამი მლაშე ტბის ადგილას თბილისის ზღვა ღელავს, ეს ვეებერთელა წყალსაცავი მთებშორის გამოყვანილ მდინარე იორის წყლით საზრდოობს. ასეული წლის წინათ რომის კეისრის მცირერიცხოვანი ლეგიონის კოლორტა, მთავარ ძალებს მოწყვეტილი, კავკასიონის მთებსა და უდაბნოში გზააბნეული განაგრძობდა უგზო-უკვლოდ სვლას. ის მიემართებოდა დასავლეთისკენ, იმ ვარაუდით, რომ მიაღწევდა ევქესინის პონტის აღმოსავლეთ სანაპიროებს და იქ დატოვებდა ზომალდებს, აქედან კი ზღვით გაემართებოდა თავის სამშობლოში, რომის იმპერიაში.

რომაელი მხედრობა მზიური იბერიის ლაშქრობიდან დამარცხებული ბრუნდებოდა. ისინი ქართველთა შეერთებული ტომების მიერ განადგურებულნი და განდევნილი იქნენ.

ქართველმა ლაშქარმა რომაელებს უკან დასახევი გზებიც გადაუჭრა, გადაუღობა მთის გადასასვლელები და აიძულა მტერი, უვალი ადგილებით დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში ქვალორლიანი, უდაბნოს ქვიშიანი და მთაქედების უდაბური გზით.

კოლორტას წინ მოუძლოდა შესანიშნავ, მაგრამ ქანცაწყვეტილ ცხენზე მჯდომარე უფროსი, სამხედრო ტრიბუნი, მოჰყებოდნენ მშვერავები, მათ შემდეგ მოზოზინე ჯაგლაგებზე — ცენტურაის¹ უფროსები და დანარჩენი მოლაშქრენი.

ლაშქარს შიმშილი იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც აუტანელი წყურვილი, სულშემხუთველი და დამადნობელი სიცხე, რამდენიმე დღეა ძლივს მო-

ლასლასებდნენ უკაცური გზებით მშინერ-მწყურვალნი, არაფრის მქონენი, პირუტყვის საკვებიც კი არ გააჩნდათ.

შორს სამხრეთით, მთის მწვერვალებს შორის უკვე დიდი ხანია ბრწყინავს ცადაწვდენილი თეთრი, წვერმობლაგვული, კუზიანი, ღრუბლის მსგავსი მყინვარის¹ მასივი, რომელსაც ირგვლივ ყველაფერი შთაუნთქავს თავისი სიდიადით.

ყოველი ნაბიჯის გადადგმისას მთასულ უფრო იზრდებოდა, მაგრამ არ ახლოვდებოდა.

მყინვარის აღმოსავლეთ-დასავლეთით გაბმულია ასეთივე მარად თოვლიანი, შევერცხლილ-მოსაყვადებული გრებილად წინ წამოწვდილი მთების ჯაჭვი.

მთაგრეხილების ეს შესანიშნავი მწკრივი, აღმართული კუწუბოვანი მრავალფეროვანი პირამიდების მსგავსად, დასერილია ხეობებად, ხოლო ყველა ეს ხეობა დაფენილია მოლურჯო ყინულებით... მთაგრეხილების ძირს მიჰყვება რუხი, ვეყანი, მოწითალო ფერის მთები. უფრო დაბლა, უდაბნოსთან ახლოს ზღვის ტალღების მსგავსად გაწოლიან მთის ქედები, ტყით შემოსილი მომცრო გორაკები: ნისლბურუსშეგახვეულნი ისინი შორიდან მოჩანან კუშტად, მღუმარედ, თითქოს მათში რაღაც იდუმალ არსებად დაესადგურებინოთ. თავს მოჰკიდებიან ღრუბელი, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიქაწება, მიცურავენ პიტალო კლდეებზე და ედებთან თოვლიან-ყინულიან ფერდობებს. სამხრეთ-ჩრდილოეთით, რამდენადაც კი აღამიანს თვალი გაუწვდება, გადაქიმულა ასეთივე დაუსრულებელი, უსიცოცხლო მზით გავარჯარებული უდაბნო. ქარბუქისაგან აქა-იქ დასობილი მერხევი ფხვიერი ქარაბოძები, დღისით მზისაგან ისე ხურდებიან,

¹ ცენტურია — სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც თანამედროვე ასეულს უდრის.

¹ ყაზბეგი.

რომ მთელი ღამის განმავლობაში ვერ ასწრებენ გაგრილებას.

სამხრეთით, საიდანაც მოდიოდა კოლორტა, რომის ლაშქარს უკან მიხედვისაც კი ეშინოდა, რადგან იქ მან დატოვა მათივე დაქსაქსული მომთაბარე ტომები, ამოწყვეტილი საქონელი, მკვიდრი მოსახლეობის გათვლილი ყანები, პირველყოფილი ცივილიზაციის საღმრთო ნაგებობათა ნანგრევების — ნაშთები.

ამის გარდა, რომაელებს ეშინოდათ მდევრისა. ესენი მოარღვევდნენ გავარვარებულ ქვიშას, ედებოდნენ ლუღელუღებს, არსად არ ხედებოდათ მკვიდრი მოსახლეობა, არც მომთაბარეთა კარავები, არც მდინარე, არც წყარო და არც თუნდაც თაზისის მსგავსი რამ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო პირუტყვი მაინც მიეშვათ საძოვრად ანდა თვითონ მოეკლათ წყურვილი. ლადარივით ცხელი ქვიშა ფეხის გულებს უთუთქავდა ფეხოსან ლაშქარს, ზემოდან მზე ცეცხლის ალს უშვებდა, როგორც ადამიანს, ისე პირუტყვს — ყველას ერთნაირად — სუნთქვა უჭირდა. ყოველწამიერ მხედრები ძირს ვარდებოდნენ, იქცეოდნენ, ფეხზე ველარ დგებოდნენ, შმაგდებოდა და ცოფდებოდა პირუტყვი, ცხენოსანი დიდი ხანია დაქვეითდა. აფრიკის უღაბნოს აქლემები და სპილოები, დატვირთულნი კედლის მნგრევი მანქანებით, უკვე ბარბაცებდნენ, პატარა წაბორძიკებისთანავე გრძობდნენ, რომ ახლო იყო მათი აღსასრული.

ყველანი ცრემლმორეული გასცქეროდნენ შორს მთების თეთრ მწვერვალებს, ტყით შემოსილ ქედებს და ხარბად სუნთქავდნენ ჰაერს იმის იმედით, რომ სადმე ახლოს გამოჩნდებოდა პატარა წყარო ან პატარა მწვანობი.

ყველას დაუსკოა ტუჩები, გაუშრათ ყელი, ბაოიანი ენა ისე გაუხდათ, როგორც ღვედი. ადამიანებს ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს თვითველი შესუნთქვისას ცხელ ქვიშას ყლაპავდნენ.

ხანდახან პორაზონტზე გამოჩნდებო-

და ამწვანებულ თაზისი, მორაჯრეკე მდინარეები გადაკრიდნენ უღაბნოებს, ლივლივებდნენ მოლურჯო ტბები, გამოჩნდებოდა კარვები, წყაროები, აღმოცენდებოდა პალმების ქალები, ბამბუკები, კადრები...

ვირები ატებდნენ ყროყინს, ცხენები — ფრუტუნს, სპილოები და აქლემები აუჩქარებდნენ ნაბიჯს; მხნევედბოდნენ ადამიანები. მაგრამ, როდესაც ცარია¹ გაუჩინარდებოდა, ყველას შეიპყრობდა უფრო მეტი სასოწარკვეთილება და საშინელება: უნაჯირიდან ერთიმეორეზე ძირს ეცემოდნენ მხედრები, უკან ჩამორჩებოდნენ ქვეთინი და კოლორტა თანდათან უფრო მცირდებოდა.

ხანდახან კი უღრუბლო ცა მოიღუშებოდა, მზე მოიბინდებოდა, ამოტყდებოდა ქარაშოტი, დაატრიალებდა ცხელ ქვიშას და სვეტებად ცად აზიდავდა. მაშინ ყველანი ძირს დაემხოზოდნენ, თავპირზე შემოიხვევდნენ ტანისამოსს და მთლად ქვიშაში ჩაიფლობოდნენ, მტკვრივით ცხელი ქვიშით გამოეტენებოდათ ცხვირ-პირი, თვალები, ყურები... როდესაც ქარაშოტი გადაივიდა, ვისაც ძალა შესწევდა, წამოდგებოდა და განაგრძობდა გზას. არ ნებდებოდნენ სტიქიას, უკანასკნელი ძალით იბრძოდნენ სიცოცხლისათვის.

ზოგჯერ რომელი მოლაშქრენი გადააწყდებოდნენ ქარისაგან გაშიშვლებული და ქვიშაში ახლად დამარბული ბელდარების ნაშთებს: თიხის მილების ნამტვრევებს, ნათალი ქვის წვეტებს, დამუშავებულ მარმარილოს ნატეხებს; ოდესღაც ესენი გადაგდებული იყვნენ აწ დაკარგული მდინარეების კალაპოტზე, აქვე ნახულობდნენ არნახული ხალხის სადგომების ნანგრევებს, ასეული წლების უკან აყვავებული ცივილიზაციის ნაკვალევს, რომლებიც ვერ გაანადგურა ვერც მძაფრმა ქარიშხლებმა, ვერც საუქუნეთა სიმრავლემ...

გაიარეს კიდევ ერთი ქარაბოძების ხშირი მწკრივი, უცებ შორს თვალი

¹ ცარია — მირაჟი.

მოპყრეს თეთრფეროვან წყალს, სამ ტბას. კიდევ აყროყინდნენ ვირები, გულსაკლავად აფრუტუნდნენ ცხენები, სპილოებმა და აქლემებმა მოუმატეს ნაბიჯს, ხოლო ადამიანები არ აპყვენენ საერთო გაღიზიანებას — ფიქრობდნენ, რომ ეს არის ისევ ის ცარია, მაგრამ, არა ღღვებოდა და არ უჩინარდებოდა, პირიქით, რჩებოდა ერთ ადგილზე უმოძრაოდ და რამდენადაც უახლოვდებოდნენ, იმდენად სულ უფრო გარკვევით ჩნდებოდა. ბოლოს ამ სანახაობამ აღელვა ადამიანებიც — ქვეითი და ცხენოსანი. უკვირდა თვით სამხედრო ტრიბუნს და უმცროს მეთაურებს... ო, ბედნიერება!... აი ხსნა!... ეს უკვე არ იყო ცარია, არც ოპტიკური მოტყუება, ეს იყო ნამდვილი წყლით სავსე ტბა.

თავშეუთავებელი სწრაფებით და კისრის ტვით მიესივნენ წყალს ცხენები, ვირები, ჯორები, მძიმე საპალნით დატვირთული დორბლმორეული სპილოები და აქლემები... მხედრები ცხენებიდან გადმოხტომას ერთიმეორეს ასწრებდნენ, ადამიანებს ერთი სული ჰქონდათ, ჩქარა დასწაფებოდნენ წყალს... მაგრამ ვაი და უბედურება, აქ ატყდა წყევლა, კრულვა, გინება, პირუტყვის ბლავილი და ყველა ერთნაირად შეიპყრო გულგატეხილობამ და სასოწარკვეთილებამ: სამივე ტბა აღმოჩნდა არა სუფთა ცივი წყლით, არამედ სქელი, მყარალი დუბელა მლაშობით, რომელიც სუსხავდა ტუჩებს და წვავდა ყელს. ვინც კი ერთი ყლუპიც იგემა, ზიზლით იფურთხებოდა, გული ერეოდა, სისხლს აღებინებდა და ტკივილებით იკლავებოდა.

ამოდ ცდილობდნენ კოლორტისა და ცენტურიის მძლოლები — არ მიეშვათ ახლოს ამ შხამიან წყალთან ჯარისკაცები. ამოდ დენიდნენ პირუტყვის ამ ამყრალებული ჭაობიდან: ყველანი ერთნაირად — როგორც ადამიანები ისე პირუტყვი — ჰგავდნენ შერშილებს, გადარეულებს; ერთი ტბიდან გადენილი ყვირილითა და ღრიანცელით, ერთიმეორეზე წაწყდომით გარბოდნენ მე-

ორისაკენ; თვით ცენტურიონებმა და მხვერავეებმაც ვერ შეიკავეს თავი, რომ არ ესინჯათ ეს გულის ამრევი საზიზლარი მლაშობი.

მხოლოდ ერთმა, კოლორტის წინამძღოლმა, შეიკავა თავი და ამ ტბის წყლით ტუჩიც კი არ დაისველა. მხოლოდ ეს ერთი გახდა მოწმე იმ საშინელი ხვედრისა, რაც აქ ეწია მის ლაშქარს და პირუტყვს.

მზე ჯერ კიდევ კავკასიონის ქედს არ მიჰფარებოდა და კოლორტის ნაშთების დასასრულიც დადგა.

ზოგნი უგონოდ ეყარნენ მიწაზე, ზოგნი ტკივილებისა და კრუნჩხვისაგან ივრიხებოდნენ და საშინელი წამებით იხოცებოდნენ...

ამომავალმა მთვარემ დაანათა სხივები სამი ტბის ახლო ველს, სადაც საუკუნო ძილს მისცემოდნენ რომის კეისრის უძლეველი ლეგიონის კოლორტის ნაშთები და ჯერ კიდევ ცოცხალს, ცალად დარჩენილ მათ ბელადს. დიდხანს იდგა კლდის ქიმზე ჩამოყრდნობილი სამხედრო ტრიბუნი, და აღარ შესწევდა ძალა არც მოძრაობის, არც მგრძნობელობისა. დიდხანს უცქერდა დაღუპულ თავის ლაშქარს, მთვარის თეთრი შუქით განათებულ თოვლიან მთებს, მათ გადღმა ხომ არის ზღვა, რომი და რომის იმპერია, რომლის ნახვასაც იგი ვეღარ ეღირსებოდა.

„შეიძლება იქ მთებში კიდევ დაყი-
ალობენ უძლეველი ლეგიონის სხვა კოლორტები? ვინ იცის, ისინი კიდევ ერკინებიან მტერს, ებრძვიან შიმშილს, წყორვილს და ცდილობენ სანაპიროზე გამოსვლას?“ ასე ფიქრობდა კოლორტის წინამძღოლი და უნაყოფო ოცნებას გადაჰყავდა თავის სამშობლოში.

ხოლო თოვლიანი მთები, გულცივნი და უტხონი, ძალზე შორს იდგნენ და იყვნენ მიუწვდომელი როგორც მისთვის, ისე მისი ლაშქრისთვის... ცივი და უგრძნობელი ჩანდა მთვარეც... და გრძნობს კოლორტის უფროსი, რომ მასაც ელევა უკანასკნელი ძალღონე და, ეს არის, გვერდით მიუწვება გაწყვე-

ტილ მის ლაშქარს... მას უკვე აღარ აწამებს არც შიმშილი, არც წყურვილი. სულ არ აღულებს დაუმარხავ მკვდართა სანახაობა, რადგან იცის, იგივე ვერ ეღირსება დამარხვას. ხოლო ბანაჯის ახლოს უკვე გაკვირვან ტურები, ყმუიან მგლები. ხვალ, დილიდანვე ამ დღესასწაულზე მოფრინდებიან შორეული მთების არწივები... უცებ მოესურვა გამოეთხოვოს თავის საღმერთებელ კეისარს და მუსრგავლებულ ლაშქარს, — **Ave caesar, moritarius te salutet**¹. გაიშვირა ხელი დასავლეთისაკენ, სადაც ეგულებოდა რომი და რომის იმპერია, — ასე გამოეთხოვა სამხედრო ტრიბუნა თავის კეისარს.

მოუბრუნდა საუკუნოდ მიძინებულ თავის ლაშქარს და შესძახა: **Vivos voco, mortuos plango**², მაგრამ მას არავინ არ გამოეპასუხა, ხელი ზე არავინ არ ასწია, ხოლო მისი სიტყვების ყრუ გამოძახილი სამი ტბის ზედაპირზე გაიმეორა უდაბნოში... დაეცა ღონემიზდილი ბელადი. თავი დაარტყა კლდის ქიმს და დახუჭა თვალი... და ეჩვენება, რომ იქ დანისლული, ბუმბერაზი მთები კი არ აღმართულან აბოზოქრებული ზღვის ტალღების მსგავსად, არამედ ხალხს მიერ დაღვრილი სისხლი, ცრემლი და მკაცრი საუკუნეები ერთიმეორეს ენაცვლებიან, თითქოს აუწყებენ ბნელით მოცული ადამიანის ვარამს...

როდესაც მეორე დღეს, დილით, მზიური იბერიის გაერთიანებული ტომების მღვეარი სამგორში სამი ტბის ველზე წამოეწია თავის მტერს—კეისარის ლეგიონის კოლორტას, მათ მხოლოდ მკვდრები იპოვნეს, ერთი მხოლოდ სამხედრო ტრიბუნი აღმოჩნდა ჯერ კიდევ ცოცხალი, რომელსაც აბოლებდა და წყალს ითხოვდა.

• • •

მაგრამ შირაქის მთავანის შტოები ყოველთვის არ წარმოადგენენ უსიცოცხლო ქვიშიანსა და ფლატოებიან

უდაბნოს. ამ მდებარეობას უკეთესი დროც უნახავს და მეტად მადლიან-ბარაქიანი ადგილიც ყოფილა.

ჯერ კიდევ რამდენიმე ასეულობის წინათ არცთუ ევრე ცოტა ყოფილა ხშირად დასახლებული, აყვავებული ოაზისები. ეს ადგილები სამგორის სამი ტბის სუფთა წყლით მორწყულა. ამ ტბების გემრიელი წყლის სახელი მთელ კავკასიაში შორს იყო განთქმული, მისი ადგილებისა და სანაპიროების სილამაზეზე, მის ნაყოფიერ ბაღებსა და ყურძნის დიდ მოსავლიანობაზე ყველგან გაისმოდა ქება. ხალხმა ამ კუთხეს ვაზიანი შეარქვა, — ნიშნავდა იმას, რომ ამ ადგილების მოსახლეობა მევენახე-მებაღეობას ეწეოდა.

ვაზიანის მთელ ამ კუთხეში გაისმოდა სიმღერები, სიცილი, მხიარულება, ჰყვაროდა ყვავილი, ჰყვაროდა, სიყვარული; ხალხი დიდი სიყვარულით ამუშავებდა თავის მიწებს და ერთიმეორეს უხვად უმასპინძლებოდა გემრიელი ხილითა და ღვინით. ზღაპრულ ადგილს წარმოადგენდა სამგორის სამი ტბის კუთხე: შემოსეული მტრებისა და ცივი ქარებისაგან მას სამხრეთით მარად თოვლიანი მაღალი მთები იცავდნენ, აღმოსავლეთით — ველები, სამხრეთით — ისევ მთები, ქედები, და უღელტეხილები, ხოლო ტყით დაფარულ დასავლეთის მხრიდან ქარს მოჰქონდა წვიმა, რომელიც აგრილებდა მზით გახურებულ ფლატებს. ვაზიანის კუთხის ქება შორეულ მდიდარ ქვეყნებშიც გაისმა, ამ ხმამ შემძლებელ ერისთავებამდეც მიალწია; მათ შემოსანგრეს და გარს შემოარტყეს სადარაჯო ციხე-კოშკები. ცხოვრობდნენ მოსაზღვრე მეზობლებთან გამუდმებულ ქიშპობა-უთანხმოებაში, საზღვრების დაცვისა და წყლით სარგებლობის გამო; ხშირად თავს ესზომდნენ ერთიმეორეს. ისინი იმდენად არ მეცადინეობდნენ მიწის მეურნეობით, გაცვლა-გამოცვლით, ვაჭრობით, რამდენაც თავდასხმებით და ძარცვა-გლეჯით. კარგად დაცულ მაღალ ციხე-კოშკებში ოჯახებით ცხოვრობდნენ და ყოველდღე მტრის შემოსევას ელოდნენ, თვითონაც მუდამ მზად იყ-

¹ გამარჯობა, კეისარო, მომიკვდივო გესალმება შენ! (ლათინ.)

² ცოცხლებს მოუწოდებ, მკვდრებს დავტირი. (ლათინ.)

ნენ, ან მოვეგერიებინათ მტერი ან თავს დასხმოდნენ. მათ მიწებს ამუშავებდნენ მონები, რომლებიც წყევლა-კრულვას უთვლიდნენ თავიანთ დამმონებლებს, მზავვრელებს.

ერისთავებმა დიდი ხანია თავი შერგეს ვაზიანის მიწის ოაზისებში და დაეუფლნენ იქაური მოსახლეობის სიმდიდრესა და თავისუფლებას, თუმცა მათზე ცალკეულად თავდასხმებს ერიდებოდნენ. მათ არ ამინებდათ შევენახებობის ქვეყნის მცხოვრებლები, მათ უფრო ამინებდათ ისეთივე ხარბი, მძარცველი მეზობლები, როგორც თვითონ ერისთავები იყვნენ.

საბოლოოდ სამამ მეზობელმა ერისთავმა შეკრა პირი და თავის მფლობელობაში დატოვებული ძლიერი ციხივანი ჯარით გაემართა ვაზიანის მიწებისაკენ. ამ ადგილებში შეჭრა არც თუ ევრე ძნელი იყო, რადგან ამ ოაზისის მცხოვრებლები არ გამოიჩინოდნენ როგორც კარგი მეტრძოლები, პირიქით, ესენი იყვნენ მშვიდობიანი შრომისმოყვარული მიწის მეურნენი. რაკი ესენი არასოდეს არ შეჭრილან სხვის მიწაზე, ასე ფიქრობდნენ, რომ ევრე სხვა გაბედავსო კბილი დაულტყინოს მათ კუთხეს. მაგრამ, როდესაც ვითომ მეზობლურად მათ ეახლა თავისი ამალით სამი ერისთავი, ვაზიანელ მევენახეებს ექვიც არ შეჰპარვიათ სტუმრების ბოროტ განზრახვაში და შეხვდნენ გულწრფელად, გულუხვად, გამოიჩინეს ნამდვილი სტუმართმოყვარეობა. სამ დღეს უმასპინძლებოდნენ შესანიშნავი ღვინით და ტკბილი ხილით, დაათვალიერებინეს საკუთარი სიმდიდრე, ამ მხარის ნოყიერი, მოსავლიანი მიწები.

როდესაც მეოთხე დღეს შემოვიდა ერისთავების ჯარი, ვაზიანელებს გაუკვირდათ და შეწუხებულნი შეეკითხნენ თავიანთ სტუმრებს, რას ნიშნავდა ყოველივე ეს.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დავიცავთ თქვენს კუთხეს შემოსეული მტრისაგან, ვინც კი ეცდება შემოიჭრას თქვენს მდიდარ მხარეში!

მაგრამ, როცა ვაზიანელები საათობი-

როდ შეიკრიბნენ, რათა განეხილათ ეს საზარელი ამბავი, ერისთავებმა იარაღი მოიმარჯვეს, ძალით გარეკეს ისინი და სასტიკად აუკრძალეს ამიერიდან ყოველგვარი შეკრებულება. ხოლო იმავ საათს ერთი ერისთავი დაეპატრონა ერთ ტბას, მეორე — მეორეს, მესამე — მესამეს და თვითეულმა წამოიწყო ციხესიმაგრეების აშენება ტბის ნაპირებზე.

გაინაწილეს რა ტბები, გაინაწილეს მიწებიც და მოსახლეობაც. ამაღლეს რა კედლები ერთიმეორის სამიჯნაოზე, შემოავლეს გალანები, თხრილები, დაიწყეს ბატონობა როგორც საკუთარ სამფლობელოში და შემოიღეს ახალი წესები.

მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს მიუჩინეს მინდვრის სამუშაოები, ხოლო ჯაბუკები შეჰყარეს სალაშქრო კარებში და დაუწყეს სამხედრო საქმეში წრთვნა. ამის გარდა, ჯაბუკებს აძულებდნენ ემუშავათ საცავი კოშკების მშენებლობაზე, სანგრების გათხრაზე და მიწის სხვა მძიმე სამუშაოებზე.

ერთიმეორის უნდობლობის გამო ახალი ბატონები მიწის მეურნეობის კეთილმოწყობისა და სარწყავი არხების გაყვანისათვის იმდენად არ ზრუნავდნენ, რამდენადაც თავდაცვისათვის, ახალი თავდასხმებისათვის. ისინი აშენებდნენ ციხესიმაგრეებს, ქვიტკირას სადარაჯო კოშკებს და ამ მძიმე სამუშაოებზე ერეკებოდნენ დამონებული ხალხის საუკეთესო ძალებს.

ხალხმა თანდათან ხელი შეუშვა მევენახეობა-მებაღეობას, მოსავლიანობამ იკლო, ზიანდებოდა უყურადღებოდ მიტოვებული ბედლები, სარწყავი ტბორები და არხები. მოუვლელობისაგან ბალახმა ზედ გადაუარა, მოეკიდა ხავსი და ობი, ჩაინგრა ნაგები სანაპიროები და დაკუმბებული უმოძრაო წყალი აშშორდა.

სულ მოკლე ხანში ვაზიანის მხარის ოაზისებს ეწიათ ახალი უბედურება და განსაცდელი: ერისთავებმა თავიანთი სამფლობელოების საზღვრების გამო ერთმანეთში დაიწყეს დავა, ვერ გაიყვეს წყლები, ურთიერთ შორის ვერ

მორიგდნენ ბევრ სხვა საკითხში და ატეხეს ომი. ბრძოლის ველზე გამოიყვანეს დამონებული მოსახლეობა და ერთიმეორის დასახოცად მიუსიეს. ეწეოდნენ რა მუდმივ ომიანობას, თავდაცვის მიზნით ციხე-სიმაგრეებსა და სადარაჯო კოშკებში თავშეფარებულებმა მთლიანად მიაწიეს თავი მიწის მეურნეობას—ველარც თავის დროზე თესავენ და ვერც თავის დროზე იღებდნენ მოსავალს. ყველაფერს აკეთებდნენ ნაუცბათევად, აჩქარებით და სულ იმის შიშში იყვნენ, თავს არ დასხმოდან მტერი და არ წაერთმიათ უკანასკნელი ქონება, რაც ჯერ კიდევ ებადათ.

შრებოდა გაოხრებული, უპატრონოდ მიტოვებული ტბები, ტბორები, არხები. მზემ გადაწვა ჯეჯილი, მოთუთა ბაღები, ყვავილნარი და ვაზი.

შეწყდა სიმღერა ვახიანის მიწაზე, აღარ გაისმოდა მხიარული სიცილი.

ხალხი დაიშმა, გაღარბდა, გაძვალტყავებულნი, ტანზე შემოცვეთილნი, განაწამებნი ლანდებივით დაზოხინებდნენ. თანდათან ეს კუთხე გადაიქცა საკრულავ, შესაჩვენებელ შხარედ. აქაური მცხოვრებნი წყველა-კრულვას უთვლიდნენ სისხლისმსმელ, გულქვა ერისთავებს, რომლებმაც თავს დაატეხეს ამდენი მწუხარება და ქირი.

ხალხი წყველა-კრულვით გარბოდა მთებში, იალაღებზე... მათ ძაღლებით იჭერდნენ, სცემდნენ, წკვპლავდნენ, ამთრახებდნენ და ალპობდნენ ჯურღმულებში.

სამგორის სამი ტბა გაივსო ადამიანთა ცრემლით, სისხლითა და ოფლით, მას შემდეგ გადაიქცა მლაშობად და ეიშხად.

ტბებში თანდათან გაქრა თევზი და სხვა სიცოცხლეც. უდაბნოს ქარებმა სარწყავ არხებს ქვიშა წააყარა, მიწით ამოაესო ტბები, ბელარეები, ქვიშის ნამქერში დამარბა მოსახლეობის მიერ მიტოვებული ნასახლარები და მთელი მხარე გადაიქცა ქარაბოძებად, ფლატოებად და თვალუწდენელ დაუსრულებელ მტკრიან-ქვიშნარიან უდაბნოდ.

მას შემდეგ გაიარა მრავალმა ასეულმა წელმა. საუკუნეთა სრბოლაში გაქრა რომის იმპერია, გადაშენდა კეისარების დინასტია, ზოლო ზღაპრულ იბერეას თავისი ორი დედაქალაქით მცხეთით და თბილისით ეწეოდა საქართველო, გაყოფილი ორ პროვინციად.

შეიცვალა კავკასიელ ხალხთა ტომების ბედიც.

წარსულ საუკუნეთა მსვლელობაში ბევრჯერ მძვინვარებდა ომები და ეამი. იცვლებოდა მმართველობა, იცვლებოდა სახელმწიფო საზღვრები. სამგორის ტბების სანაპიროებზე დაინგრა ერისთავების მიერ ნაგები ციხე-სიმაგრენი, ჩამოიქცა სადარაჯო კოშკები, მტვრად იქცა სამგორის ტბების ველზე დაყრილი რომელიღაც ლაშქრის ძვლები.

ხოლო შირაქის მთავანიანის ქედები, უდაბნოს ფხვიერი ქვიშა და ჩამოფლართული კლდეები როგორც იყო, ისევე დარჩნენ. ოღნავადაც არ შეცვლილა სამგორის მლაშე ტბები.

უდაბნოს ირგვლივ გაშენდა სოფლები, ქალაქები, იზრდებოდა და მრავლდებოდა მოსახლეობა; მთებში საქონელს აღარ ჰყოფნიდა საძოვრები. შორს მოჩანდა ვიწრო სერელებად დამუშავებული მიწის ნაკვეთები, უდაბნოში ამოვარდნილი ცხელი ქარბუქი სილავდა ამ წვრილ სერელებად ნახნავ-ნათესებს; ხანდახან სულ მთლად მიწაში დამარბავდა მთელ სოფლებს, ბაღებს და ზვრებს.

უდაბნოდან შემოვარდნილი დამშვეული მგლები და მტაცებელი ტურები ეცემოდნენ ცხვრის ფარას. ხოლო მლაშე ტბები შავი ღრუბელივით შემოასვედა გამრავლებულ შხამიან კოლოებს, რომლებიც ხალხში და პირუტყვში ავრცელებდნენ საშინელ ავადმყოფობას და ასნეულებდნენ ციებ-ცხელებით.

განაწამები ხალხი მრავალი საუკუნის მანძილზე ოცნებობდა იმაზე, თუ როგორ ეხსნა თავი ერისთავების მონობისაგან, როგორ გაეძლო ეს მიწა სუფთა წყლით, რომ კვლავ გამხდარიყო ბარაქიან-მოსავლიანი.

ხალხი ხედავდა, რომ ტყით შემოსილი მახლობელი მთებიდან არაფერი იცის, ვისთვის რბიან სწრაფად მდინარეები, ნაკადები, ძირს უფსკრულში ვარდებიან ჩანჩქერები, მიწიდან ამოჭრიან წყაროები და ყველა ესენი მუქთად, უქმად ერთვიან შორეულ ზღვებს...

ამის შემხედვარი ხალხი ოცნებობდა იმაზე, თუ რამდენ მოსაველს მისცემდა უდაბნო, რამდენ ხალხს დააპურებდა იგი, თუკი ოდესმე მოირწყებოდა მთის სუფთა წყლებით, დაეიდებოდა ანკარა წყაროებით და გაგრილდებოდა ჩანჩქერების შეხედვით, თუკი სამგორის საბრტბა სავსე იქნებოდა მთის მდინარის — იორის სუფთა წყლით, რომელიც აქვე ახლოს, მთებს შუა მიედინება.

მრავალი საუკუნის მანძილზე ოცნებობდა საბრალო ხალხი და არ კარგავდა იმედს, რომ ოდესმე განზორციელდება მათი ოცნება. ერთნი ღრმად იყვნენ დაიწმინდებულნი, რომ მათი ფიქრები სინამდვილედ იქცეოდა, ხოლო მეორენი ამას თვლიდნენ ლამაზ ზღაპრად. წვალობდა ხალხი, მაგრამ სამგორის მლაშე ტბების მხარე რჩებოდა ერისთავთა მიერ დანერგილი ბოროტების მოგონებად.

ამ მხარის მმართველთ სულ არ ადარდებდათ ხელქვეითი ხალხის სიდუხჭირე: ერისთავებს სავსებით აკმაყოფილებდათ მოსავლიანი პროვინციები.

და ბოლოს, ხალხს დაელია მოთმინება და, აი, კავკასიელ ხალხთა ტომები, რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად, აღდგნენ თავისი მმართველობის წინააღმდეგ, მოითხოვეს თავისუფლება, მოითხოვეს ყოფილიყვენ ადამიანად წოდებულნი, ეს მოთხოვნა არ იყო წუწუნი, ჩივილი, არაზების უბრალო სიტყვები: ისინი გამოვიდნენ იარაღით ხელში, აღდგნენ მჩაგვრელების, დამპყრობლების წინააღმდეგ, გამოაცხადეს ომი და გაიმარჯვეს... ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, აიღო ხელში ძალა-უფლება და შეუდგა ისეთი წესების გამოშვებას, რომლებითაც ადამიანს შეეძლო ყველგან ბედნიერად ეცხოვრა. მას არ ექნებოდა ხვალისდელი დღის შიში,

რომ ერთ ლუკმაპურს ვინმე წაართმევდა... და, აი, ხალხმა მიაპყრო თვალი სამგორის უდაბნოს.

გავიდა სულ რამდენიმე წელი და სამგორის საბრტბის მლაშე ტბის ადგილას სუფთა წყლით სავსე „თბილისის ზღვა“ შეაბუნებს. შირაქის მთაგორიანის უდაბნო რამდენიმე წლის შემდეგ გადაიქცევა მარად მწვანე ბაღად.

უკვე ამჟამად თბილისის ზღვის სუფთა წყალი აბრუნებს ტურბინებს, იძლევა სინათლეს. უდაბნოში გაყვანილ არხებში მიქვხს სარწყავი წყალი, რწყავს მინდორ-ველს, ასაზრდოებს ციტრუსებისა და ვაზების ახალ ნერგებს, იცვლება ჰავა.

ყოფილ უდაბნოში შენდება და იზრდება ქალაქები, სოფლები და, ოდესღაც აქ რომ ქარბუქს აყენებდა გახურებული ჰაერის ნაკადები, მის ნაცვლად მოასფალტებულ გზებზე მიქრიან ავტომანქანები, რომლებმაც შეცვალეს უდაბნოს ხომალდები — აქლემები.

შეიცვალა მთელი ამ კუთხის სახე, მხოლოდ შორს, ჩრდილოეთით მთაგორიან საქართველოს თავზე დარჩა იგივე ლურჯი ცის თალი და მბრძანებელი, თეთრი წვერმობლაგული, კუზიანი, ღრუბლის-მსგავსი უზარმაზარი მყინვარი, რომელსაც ყაზბეგს უწოდებენ.

მისგან, აღმოსავლეთ-დასავლეთით ეგრევე გაბმულია მარად თოვლით დაფარული მთების ჯაჭვი; პირამიდების მსგავსად წაწვეტილი მწვერვალები დასერილია ხეობებით, ხოლო ხეობები — ლურჯი ყინულებით.

კავკასიონის მთების მცხოვრებნი, თეთრწვერა მოხუცი მწყემსები მოუთხოვრებენ ტურისტებს უძველეს ზღაპრებს, ლეგენდებს ოდესღაც შირაქის მთაგორიანი უდაბნოს სოფლების, ტბებისა და ზვრების შესახებ და იმ ხვედრზე, რაც ეწია რომის კეისრის ლეგიონს სამგორის ველზე მლაშე ტბებთან; ისინი უამბობდნენ, აგრეთვე, ამ კუთხის ახლანდელი საბჭოთა მოსახლეობის ბედნიერ ცხოვრებაზე.



აღმინაშე და გარემოებანი*

გავსვობა

1.

მე დაეიზადე მოსკოვში 1890 წლის 29 იანვარს ძველი სტილით, ლიჭინის სახლში, სასულიერო სემინარიის პირდაპირ, ორულეინის შენახვევში. არ ვიცი, რატომ დამამახსოვრდა ზოგი რამ, რაც ვნახე შემოდგომაზე ძიძასთან ერთად სემინარიის პარკში სეირნობის დროს: დაცვნილ ფოთოლთა გროვებში მიმაღლული სველი ბილიყეში, გუბუ-ტბორები, ხელოვნური გორაკები, სემინარიის შეღებილი ქონგურები დიდ შესვენებებზე ახორხოცებულ სემინარისტთა თამაში და დაკადაკა.

სწორედ სემინარიის ტიშკრის პირდაპირ იდგა ორსართულიანი ქვის სახლი, რომლის ეზო მეტელთათვის იყო განკუთვნილი, ხოლო ზეენი ბინა მოთავსებული იყო ტიშკარს ზემოთ, მის კამაროვან თაღში.

2.

ბავშვობის შთაბეჭდილებებს შეადგენდნენ შინა და ალტაცების ელემენტები. ფერთა ზღაპრულობით ეს შეგრძნებანი უკავშირდებოდნენ ყველაფერზე გაბატონებულ და ყოვლის გამაერთიანებელ ორ ცენტრალურ სახეს: დათვების ფიტულებს კარტინი რიადის საციპაყო დაწვებულეებში და კუთილი გოლიათის — ოდნავ წელში მოხრილი, მუდამ თმამბურძნული, ყრუ ბანით მოლაპარაკე გამოცემლის პ. კონჩალდოსკის სახეს, მის ოჯახს და მისი ბინის ოთახებში გამოფენილ სეროვის, ვრუბლის, მამაჩემისა და ძმების ეანსეოვების ფანქრით, კალმითა და ტუშით შესრულებულ ნახატებს.

ჩვენი უბანი ყველაზე საცქვო იყო, — ტერესკაია-იამსკაიას ქუჩები, ტრუბა, ცვეტნის შენახვევები. წამაღწეწმე მექაჩეოდნენ ხელით: რაღაც არ უნდა მცოდნოდა, რაღაც არ უნდა გამეგონა. მაგრამ ძიძები და გამდლები ვერ ეგუებოდნენ მარტოობას, და მამინ ჩვენს ირგვლოვ მტრად ტრეღი საზოგადოება იყო გარსშემორტყმული. შუადღეზე კი ზნაშენკის კაზარმების ღია პლაცზე წრთვინდნენ ცხენოსან განდარმებს.

მათხოვრებთან და მოხეტიალე მსხუმ ქალთა სიახლოვიდან, განწირულითა სამყაროსა და მათი

შემამულური ლიბერალიზმის კლასობრივ საფუძველს წარმოადგენდა ბურჟუაზიული ურთიერთობის გზაზე შემდგარი, „გამბურჟუაზიული“ ნაწილი თავდაზნაურობის, ნულ ერთი, თუ იგი წყრილი, მსხვილი თუ საშუალო. უნდა შევნიშნოთ, რომ წინააღმდეგობებთან აღსავსე ახალი ქართული ლიტერატურის ის მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მიძღვნილია თერგდალეულთა მოღვაწეობის დახასიათებისადა, მათი ლიტერატურულ-პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებისადა, მკვამ ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებში, რომლებსაც ერთიმეორის გვერდით ათავსებს მიხ. ზანდუელი თერგდალეულთა შესახებ, ბოლოსდაბოლოს გამარჯვებულად გამოდის შეხედულება, რომლის მიხედვითაც თერგდალეულები კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზის იდეოლოგებად და ლიტერატორებად არიან ჩათვლილი, ისინი შემამულური ლიბერალებია. ეს მოსაზრება არ არის სწორი. არ შეიძლება გავიზაროთ დებულება, რომ თერგდალეულები წარმოადგენენ ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ მთლიან იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას, და ისიც ისე, რომლის მთავარი ბირთვი კაპიტალიზმის პრუსიული გზის განვითარების მოპირეთ და კაპიტალიზმის აპოლოგებად გვემხნება. თერგდალეულთა ერთად ბრძოლამ ბატონყმობისა და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ არ უნდა დაფაროს ცალკეულ თერგდალეულთა სხვადასხვა იდეური მიმართულების წარმოადგენლობის ფაქტი. უცნაურია ერთ სიბრტყეზე მოათავსო, მკვადეთად, ნ. ნიკოლაძე და მ. თუმანიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც გერციენის „კოლოკოლის“ ფურცლებზე 1864 წ. საგლეხო რეფორმის უწოდა გლეხობის ძარცვა და რომელმაც გაიმეორა თვარევის სიტყვებით, რომ მეფემ მოატყუა გლეხობა, რომ მეფე — მძარცველია. როგორ შეიძლება არ დაეინახოთ განსხვავება ნიკოლაძესა და იმ პირს შორის, რომელიც ბატონყმობის გაქმების პერიოდში არ გამოდიოდა მეფის რესკრიპტების ფარგლებიდან საგლეხო რეფორმის საკითხებში. პირდაპირ უცნაურია მიაჩნოთ ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელს „შემაჩვიებლმათა კაპიტალიზმთან“, სერიოზულად ამტკიცო, რომ მათ თავიანთი მოღვაწეობის დედაბრად მიაჩნდათ „ზატონყმური ექსპლოატაციის ხერხები თანდათან ბურჟუაზიულით შეეცვალათ“¹. დროა ერთხელ და სამუდამოდ გამოვეშვიდობოთ თვალაზრის, რომლის მიხედვით ყველა თერგდალეული ერთი იდეურ-პოლიტიკური მიმართულებისაა 60-იან წლებში და, რომ ყველა ისინი თავდაზნაურობის ლიბერალებია.

მიხ. ზანდუელი იძლევა ხალხსნური იდეოლოგიისა და მატერული ლიტერატურის სისტემატურ ანალიზს. ავტორის დამსახურება.

სხვათა შორის, ამაში მდგომარეობს, რომ მინ, ერთმა პირველთაგანმა, სისრულით გამოავლინა ხალხოსნურა ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის წარმოადგენლები და მოგვცა მათ შესახებ საინტერესო ცნობები. შ. ზანდუკელის პირველი გამოკვლევა — „თერგდალეული“ და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“ გამოვიდა ჯერ კიდევ 1928 წელს. ქართული ხალხოსნური მოძრაობის, იდეოლოგიის და ლიტერატურის დება ათეუბს მიეძღვნა პროფ. მიხ. ზანდუკელმა თავისი „ახალი ქართული ლიტერატურის“ მეორე ტომის საკითხ ნაწილი და შესაქმ ტომი მთლიანად. ავტორი ცდილობს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების თვალსაზრისით განიხილოს ხალხოსნური მოძრაობა, იდეოლოგია და ლიტერატურა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი მისი მოსაზრება მიუღებელია. არასწორი თვალსაზრისებს ავითარებს მიხ. ზანდუკელი რუსული ხალხოსნური მოძრაობისა და იდეოლოგიის შესახებაც.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ქართული ლიტერატურის შესახებ ტომი, რომელიც მიემდგვნება ხალხოსნობას, ახლახან გამოვიდა, მასში არ არის მხედველობაში მიღებული საბჭოთა მეცნიერების ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაგანანა რუსეთისა და საქართველოს რევოლუციური მოძრაობისა და, კერძოდ, ხალხოსნობის ისტორიის დარგში. მიხ. ზანდუკელი სამართლიანად მიიჩნევს 70-80-იანი წლების ხალხოსნობას როგორც რევოლუციურ — დემოკრატიულ, შიმართულებას, ამ აზრის ყველაზე პროგრესულ მიმდინარეობად თავისი პერაოდისათვის. მიხ. ზანდუკელის ამ სამართლიანმა დებულებამ არ პოვა მხარდაჭერა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში.

ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული დოც. დ. გამეზარდაშვილის მიერ ამ დებულების უარყოფა¹. არ არის სწორი მოსაზრება, თითქოს რევოლუციური ხალხოსნობა ყოველი სახის ლიბერალიზმზე დაბლა იდგეს. რატომ ფიქრობს დოც. დ. გამეზარდაშვილი, რომ „ძველი“, ადრეული ხალხოსნობა, რომელიც გამოხატავდა გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას ბატონიშვილი გადანაშთების წინააღმდეგ, რომელიც ამოკანად ისახავდა ფეოდალურ ბატონიშვილი ექსპლუატაციის ლიკვიდაციას, მისი საფუძველის მსხვილი შემადგენელი მიწათმფლობელობის დანგრევას, მიწის გადაცემას ხალხზე და თვითამყარებლობის განადგურებას, რომელთა შედეგი იქნებოდა ქვეყნის გამოყოფა-ნა განჯითარების ფართო დემოკრატიულ გზაზე, არ წარმოადგენდა ამ პერიოდის „ყველაზე პროგრესულ მოვლენას“? როგორც ცნობილია, ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა 70-იანი

წლების რუს ხალხოსანთა თავგანწირულ ბრძოლას ხალხის ინტერესებისათვის. ვერნერ ედრეულ, „ძველ“ ხალხოსნობის უკუღმეხე რევოლუცია 70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადი“ და აყენებდა მათ რევოლუციური დემოკრატიზმის ბელადების — გერცენის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის გვერდით! რატომ უნდა ვფიქრობდეთ, რომ საქართველოში რევოლუციონერი ხალხოსნები იყვნენ ნაკლებ პროგრესულნი, ვინემ ბურჟუაზიული ლიბერალები, რომლებიც ქადაგებდნენ „თანდათან“ და „შეშვიდ“, საზოგადოებრივ პროგრესს, მემამულური საეკორებისა და ძალა-უფლების თანდათანობით შეგუებას კაპიტალიზმთან. ჩვენში ხალხოსნობის წარმოშობისა და ევოლუციის შესწავლა წარმოადგენს ჩვენი რევოლუციური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ დაღსა და რთულ პრობლემათაგანს. ამ მხრივ ჩვენ მცირე რამ გვაქვს გაკეთებული.

პროფ. მიხ. ზანდუკელი სწორად იქცევა, როდესაც რევოლუციურ ხალხოსნობას არ უპირისპირებს გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლინოვის რევოლუციურ დემოკრატიზმს. ხედავს მათ შორის მემკვიდრეობითს კავშირს და შეხების მრავალ წერტილს, რომ ორივე ამ მიმართულებას ავტორი წარმოგვიადგენს, როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზონიონერ ეტაპს. მაგრამ, მიუხედავად ცდისა, მოახდანოს ხალხოსნური მოძრაობისა და ხალხოსნობის პუბლიცისტურ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მარქსისტული ანალიზი, პროფ. მიხ. ზანდუკელი მთელ რიგ მკვლარ დებულებებს გვაწვდის. არ შეიძლება არ შეინიშნოს, რომ, როდესაც ამ გამოკვლევებს კითხვობა, გიმინელდება დიქიარო ავტორის თვალსაზრისი; აზრთა ბუნდოვანება და საწინააღმდეგო მოსაზრებათა დაცვა წითელი ზოლივით გასდევს ამ გამოკვლევებს. ამავე დროს, აქ საქმე გვაქვს ერთი და იმავე ფაქტს, მოვლენის ერთმანეთის გამოპირისპივებულ ტერმინოლოგიას ასახავსთან, ტერმინთა სიჭრელესთან, მათ არა თავის აღვალას გამოყენებასთან. მაგალითად, როდესაც პროფ. მიხ. ზანდუკელი ახასიათებს გერცენის, ჩერნიშევსკის და დობროლინოვის მოღვაწეობას, ამ ამბობს, რომ ისინი რევოლუციური დემოკრატიები. მიხ. ზანდუკელის აზრით, ისინია: რადიკალები, დემოკრატიული და სოციალისტური სულერი განწყობილების მოკენნი², „სიღარიბესა, სიბნელურესა და ნაკლებულესაში გამოზრდილი რაზონიონერები“³, „მებრძოლი სულიერი განწყობილების გამოხატველნი“, რომლებიც „სოციალური სიტყვით არ ცვაუფილდებოან, არამედ რევოლუციურ საქმეს ეძებენ, რევოლუციურ მოქმედებას თხო-

¹ იხ. დოც. დ. გამეზარდაშვილი, ევლგარული სოციალიზმისა და ობიექტივიზმის წინააღმდეგ; გაზ. „კომუნისტი“, 16. IX — 1955 წ.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 462.

² ტ. 2, გვ. 159.

³ იქვე, გვ. 160.

ულაშენ¹. (თხოვლობენ და არა მოქმედებენ რევოლუციურად? გ. შ.). ასევე 70-იანი წლების ხალხსნობის დახასიათების დროს ტერმინი — „რევოლუციური ხალხსნობა“ არ არის გამოყენებული.

ხალხსნობის დახასიათებისას ის სრულიად უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ ჩვენში ეს მოძრაობა იფარგლება 70-80 წლებით. თუკი განმათავისუფლებელ მოძრაობის მეორე ეტაპში პრეფ. შიხ. ზანდუკელი ამჩნევს ორ პერიოდს (რევოლუციურ დემოკრატიულ და რევოლუციურ ხალხსნობას), ის სავსებით უგულებელყოფს ლეგალურ, ლიბერალურ ხალხსნობის პერიოდს და სრულიად უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ „80-იანი წლების დასაწყისში დასასრულად რუსული ხალხსნობა“², რომ „ხალხსნობა სკოქმედო ასპარეზიდან 80-იან წლებში უკვე იხსნება“ როდესაც ის არ „მოუხსნია“ არც მეცხრამეტე არც მეოცე საუკუნეს. საკითხავია, თუ „80-იანი წლების დასაწყისში დასასრულად ხალხსნობა“ მას ვის წინააღმდეგაა მიმართული 90-იან წლებში დაწერილი შრომები ლენინისა, პლეხანოვისა. განა აჩარსებული ხალხსნობა აწარმოებდნენ 90-იანი წ. წ. გამამდირებელ ბრძოლას მარქსიზმის წინააღმდეგ, განა რუს და ქართველ მარქსისტები 90-იანი წ. წ. საზოგადოებრივი აზროვნების აჩარსებულ ფაქტებს ებრძვიან, ხალხსნობის სახით?

განა მოჩვენებებს ებრძოდა ლენინი თავის ნაშრომში „ეკრეთოლებული ბაზრების საკითხის გამო“ 1893 წელს თუ ლიბერალურ ხალხსნობაზე შეხედულებებს კაპიტალიზმის ზედის შესახებ რუსეთში? განა ლენინს მოჩვენებებთან ბრძოლისათვის დასჭირდა დაეწერა „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატიების წინააღმდეგ?“ სწორედ ამ ნაწარმოებში უღმობლად გაკრიტიკებული ვორონცოვი, მიხილიოვსკი, ივკუაოვი, კრივესკო და სხვები, ლიბერალ ხალხსნობას კორიფებენ.

განა ჩვენში შ. ცხაკაიას, ე. ნინოშვილის, ი. წულუკიძის, ფ. მხარაძის და სხვა მარქსისტთა პუბლიცისტთა 90-იან წ. წ. უმათავისუფლოდ ხალხსნობა თეორიების საფუძვლებს წინააღმდეგ არ არის მიმართული? განა იმდროინდელი ქართული მარქსისტული პუბლიცისტთა თავის ერთ-ერთ უმათავრეს დანიშნულებად არ თვლიდა ცხადეყო ქართული საზოგადოებრივი აზრის ამ ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობის უსაფუძვლობა და გაეწმინდა განმათავისუფლებელი მოძრაობა ამ შეტად მანერ, რევოლუციური მოძრაობისათვის ხელშეშლელი ხალხსნობის თეორიტიკოსების გაელენისაგან? რა საფუძველი აქვს შიხ. ზანდუკელს, თქვას, რომ „ხალხსნობა სკოქმედო ასპარეზიდან 80-იან წლებში

უკვე იხსნება“. აღსანიშნავია, აგრეთვე, ის გარემოება, რომ რევოლუციური დემოკრატიზმისა და რევოლუციური ხალხსნობის დახასიათებისას პრეფ. შიხ. ზანდუკელი წინა პლანზე ეყენებს საესებთი უმართებულოდ მათ სოციალიზმს და ზრდილში აყენებს მათ რევოლუციურ დემოკრატიზმს, იმ ფაქტს, რომ როგორც რევოლუციური დემოკრატიები, ისე რევოლუციური ხალხსნობები გვევლინებიან ბატონყმობის გადანაშთებით, მსხვილი შემთქმურ-მიწათმფლობელობით დაივარული გლეხობის ანტიემემიზური ბრძოლის იღერ გამომხატველებად, რომ მათი მოძღვრება შეიცავდა არა მარტო სოციალისტურ ილუზიებს არაჰაიტილისტური განეთარების გეგმთ, არამედ რადიკალური აგრარულ პროგრამას, მსხვილი მიწათმფლობელობის დანგრევის პროგრამას, ფეოდალურ-ბატონყმური წყობის ნაშთი დანგრევის თვითმპყრობელობასთან ერთად. საერთოდ, რუსული რევოლუციური ხალხსნობის ზანდუკელისეული დახასიათებანი შეიცავენ შრავალ უსწორობას და ვაუკვებრობას. გაიკებას იწვევს ლ. ტოლსტოის ჩარიცხვა რუსული ხალხსნობის (როელი ხალხსნობის?! გ. შ.). „შესამე მიმართულების“ წარმომადგენლად, მაშინ როდესაც რევოლუციურ ხალხსნობა მიმდინარეობს დახასიათების დაეწვებულია ტაქტიკი. მისი სახელი ერთხელაც არ არის მოხსენებული, მაშინ, როდესაც ტაქტიკე წარმოადგენდა რევოლუციურ ხალხსნობა მთავარ იდეოლოგიაგანს, შეთქმულებითი ტაქტიკის თეორიტიკოსს.

არასწორად დახასიათებს შიხ. ზანდუკელი ზემოლეოლცებს. რუსულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ის წერს: „1878 წლისათვის, მთელი რიგი უშუდეგო აჯანყებებისა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში აუარებელ დაბრკოლებებთან შეხედრის შემდეგ, ხალხსნობის დარწმუნდნენ, რომ მარტა „ხალხში სიბრული“, ელტურული აგრიტიკის გზით, შეუძლებელია გამოწვეულ იქნას სოციალური რევოლუცია. მალე ხალხსნობისათვის აშკარა შეიქნა, რომ საერთო მიზნის მისაღწევად, სოციალიზმის დასაწყებლად ჯერ პოლიტიკური თავისუფლებისათვის უნდა იყოს გაწეული ბრძოლა. ეს ნიდაგს შეუშმაღებს სოციალურ განთავისუფლებას. თუ 70-იანი წლების პირველ ნახევარში ხალხსნობის პოლიტიკური საკითხის წამოყენება არამით არ აინტერესებდით, არამედ უშნიშვნელოდაც კი მიანდათ, 1878 წლის შემდეგ ხალხსნობი უკვე გრძობდნენ ბრძოლის ორი ფრონტის — პოლიტიკურისა და სოციალურის შეთანხმების აუცადებლობას. ალა უკვე არსდგმა პოლიტიკური ორგანიზაციება. აღიარებულ იქნა არამით თუ პოლიტიკური პრამატის გათანასწორება სოციალურთან, არამედ პირველი დროისათვის პოლიტიკურის უპირატესობაც კი“³. ამ ამონაწე-

¹ იხ. იქვე, გვ. 161.
² იქვე, გვ. 174.

¹ იქვე, ტ. 2, გვ. 172.
² იქვე, გვ. 173.

რის თითოეული ფრაზა მცდარია. არ შეიძლება ერთმანეთში შევეერთო „ხალხში სიარული“ და „ქალღერულთა ავტორის გზა“. „ხალხში სიარული“ წარმოადგენდა გლეხური სოციალიზმის იდეების პროპაგანდას, გლეხური რევოლუციის ხალხოსნური პროგრამის პროპაგანდას, ციარზმისა და მემამულეების მხილვას, გლეხთა მსებინადმი მოწოდებას დაძრულეიყვნენ მემამულეთა და თვითმპყრობლობის წინააღმდეგ. „ხალხში სიარული“ წარმოადგენდა ძალმომრეობითი გადართიადების და პრის მომზადების იუცილებლობის აღიარებას, მისი მომზადების ცდას. შეცდომაა იმის მტყიცებაჲ, რომ ზემლვეოლეები თითქოს იყვნენ მხოლოდ პოლიტიკური რევოლუციონერები, რომ ისინი მისწრაფეოდნენ მხოლოდ პოლიტიკური გადართიადებისაკენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ზემლვეოლეებს ზეო არ ავლიათ თავიანთი წინამორბედების რევოლუციური პროგრამაზე, ისინიე მიზნად ისახედნენ გლეხური რევოლუციის მომზადებას ციარზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ და გლეხური სოციალიზმის დამკვდარებას. ისინი პოლიტიკური გადართიადების არ აცილებდნენ სოციალურს. ზემლვეოლეები, თავიანთი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ცდილობდნენ განებორციელებინათ ყველაფერი ეს რევოლუციონერთა ცენტრალზებული, კონსპირაციული ორგანიზაციის საშუალებით. ისინი იმ სწორ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თვითმპყრობლობის დესპოტიზმის პირობებში არ შეიძლება უზრუნველყო რევოლუციის გამარჯვება ერთიანი, კონსპირაციული, ცენტრალიზებული რევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გარეშე. თავის წინამორბედთა მსგავსად ზემლვეოლეები არ აწარმოებდნენ „პროპაგანდას“ სოფლად. მართალია, ისინი, როგორც მათი წინამორბედები, ძირითად ყურადღებას სოფლად აქცევდნენ, მაგრამ, უარი თქვეს რა პროპაგანდაზე, ცდილობდნენ დიდი ზნით დასახლებულიყვნენ სოფლის ადგილებში და გლეხობასთან ფართო ნაცნობობის დამყარების, მათ ინტერესთა ლეგალური დაცვის გზით, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით მოეპოვებინათ ავტორიტეტი, რათა შეეძლებ შექმნათ „მეზბძობლი რანზები ხალხში მყოფე ბუნებრივ რევოლუციონერებისაგან“. ზემლვეოლეები, განსხვავებით თავიანთი წინამორბედებისაგან, მისწრაფეოდნენ გამოეყენებინათ თვითმპყრობლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ლიბერალიზმა, ლიბერალიზმა, დემოკრებიანთ კავშირი ჯარის ოფიცრობასთან, რელიგიურ სექტებთან და მოეწყოთ პროპაგანდისტული დასახლებანი სოფლის იმ ადგილებში, სადაც არსებობდა მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლების დიდი ტრადიცია.

ზემლვეოლეების ანარქისტული ელფერი გამოიხატებოდა იმაში, რომ მათ არ ესმოდათ სო-

ცილისტური რევოლუციის დამოკიდებულება სახელმწიფოსთან, ის ფაქტი, რომ სოციალიზმის გამამარჯვებლად საჭირო იყო სოციალისტური კლასის დიქტატურა, რომ ისინი მისწრაფეოდნენ დაეჯერებინათ სახელმწიფო და ჩამოეყალიბებინათ თავისუფალი ავტონომიური თემების ნებაყოფლობითი ფედერაცია.

ამრავად, მიხ. ზანდუელის ის მტყიცება, თითქოს ზემლვეოლეებმა უარი თქვეს „ხალხში სიარულის“ პერიოდის „სოციალურ“ პროგრამაზე და თავს იზღუდავდნენ მხოლოდ პოლიტიკური გადართიადების ორგანიზაციით, არ შეეფერება სინამდვილეს.

ასევე, მიხ. ზანდუელი „ნაროდნაია ვოლის“ დახასიათებისას ვერ გვიჩვენებს მის ძირითად ნიშნებს. პირდაპირ გავუგებარია, რა საფუძველზე თელის ავტორი ნ. მ. მიხაილოვსკის ნაროდოვოლეების იდეურ ბედადად. ნაროდოვოლეების დამახასიათებელი ნიშნად მიხ. ზანდუელი მიიჩნევს მათი პოლიტიკური ბრძოლის მომზრეობის ფაქტს და აქ სვამს წერტილს. თქვა, რომ „ნაროდოვოლეებმა“ ახალი ლოზუნგი წამოაყენეს — „სოციალიზმისაკენ პოლიტიკის საშუალებით“¹, რომ ნაროდოვოლეები იყვნენ პოლიტიკური ბრძოლის მომზრენი, არ ნიშნავს, რომ ამით თქმულა ყველაფერი, პირაქით, ამით არაფერი არ არის თქმული. სოციალიზმიცა და სოციალიზმიც, არსებობს სხვადასხვაგვარი გავება პოლიტიკისა და პოლიტიკური ბრძოლისა. ამიტომ აუცილებელი იყო ავტორის ეხვეუნებინა, თუ როგორი პოლიტიკოსები იყვნენ ნაროდოვოლეები. საჭირო იყო ხაზი გასმოდა იმაზე, რომ ნაროდოვოლეები შეთქმულებითი ტაქტიკის მომზრენი იყვნენ და, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ნაროდოვოლეებს „პოლიტიკა“ მიაჩნდათ მუშათა მოძრაობის მოწყვეტილ საქმიანობად², რომ ისინი „პოლიტიკას ზღუდავდნენ მხოლოდ და მხოლოდ შეთქმულებითი ბრძოლით“³.

ნაროდოვოლეების დახასიათებისას უნდა აღნიშნულიყო, აგრეთვე, რომ ნაროდოვოლეები მისწრაფეოდნენ დაეპყროთ ძალა-უფლება შეთქმულების გზით და წარმოდგენა კი არ ჰქონდათ ძალა-უფლების რევოლუციური დაპყრობის ნამდვილ პირობებზე და ძალა-უფლების ხასიათზე.

ახდენს რა ქართული რევოლუციური ხალხოსნობის ანალიზს, ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ქართული ხალხოსნობა წარმოადგენდა პერიოდს განმთავისუფლებული მოძრაობის რანქონიერი ეტაპისას, რომელიც

¹ იქვე, გვ. 173.

² ე. ო. ლენინი, ჩვენი მოძრაობის ამოცანები, თხ. ტ. 4, გვ. 450.

ერთი ძირითადი მიმართულებათაგანი იყო ქართული საზოგადოებრივი აზრისა და რევოლუციური საქმიანობის გაძლიერება ქართულ ლიტერატურაში¹. მიხ. ზანდუკელი აყენებს ქართული რევოლუციური ხალხისთვის ურთიერთობის საკითხს რუსულ ხალხობისათვის, მაგრამ საკითხი არ არის მის შიგნით სწორად გადაჭრილი ავტორი სწორად შენიშნავს, რომ არის მათ შორის საერთო და არის განსხვავებაც ზოგ არსებით მომენტში. მ. ზანდუკელი ცდილობს გაიხვეწოს განსხვავებები მათ შორის, მაგრამ ამ საკითხსაც არასწორად წყვეტს. ავტორი წერს:

«В отличие от русских народников, Грузинские народники стояли за национальное освобождение Грузии и совместно с „тер-далеулами“ усиливали фронт революционной борьбы... 2) в противоположность русским народникам, их отношение к западной Европе не было огульно отрицательным. Напротив отсюда собирались они брать пример для перестройки народной жизни... 3) отсюда вытекало их своеобразное, в отличие от русских народников, отношение к капитализму. Грузинские народники не только не отрицали капитализма, но принимали его, как уже совершившийся могучий фактор, но исторической роли капитализма грузинские народники ровни как и их русские собратья не понимали...»²

ამ ამონაწერის შრავალ უსწორობას თავი რომ დავანებოთ, არ არის შარბალი მტკიცება, თითქოს ნაციონალური საკითხში რუსი და ქართველი რევოლუციური ხალხისთვის სხვადასხვა პოზიციებზე იდგნენ. როგორც რუსი, ისე ქართველი რევოლუციური ხალხისთვის ნაციონალური საკითხის გადაწყვეტას უკავშირებდნენ ხალხის „სოციალური“ განთავისუფლებას, ექსპლუატორული ურთიერთობების ლიკვიდაციას, ქვეყნის დემოკრატიზაციას. ისინი გამოიხატებდნენ ნაციონალური ზავების წინააღმდეგ, მუჯის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ქართველი რევოლუციური ხალხისთვის არასოდეს არ ყოფილან სუბპრობლემები, არასოდეს არ წამოყენებიათ თავიანთ პროგრამულ მოთხოვნებზე სუბპრობლემები, საქართველოს რუსეთთან გამოყოფა, ორა ქვეყნის შერწყმვა გათიშვის მოთხოვნა.

არც ის არის შარბალი, თითქოს რუს და ქართველ ხალხისთვის ჰქონდათ ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულება კაპიტალიზმთან. რუსი და ქართველი ხალხისთვის კაპიტალიზმს უდგებოდნენ მჭიდროდ მჭარმოების საზომით, ისინი კაპიტალიზმს თვლიდნენ რეგრესად, რადგანაც ის იწვევდა

თემისა და გლეხთა და სხვა წარმოშობის რევოლუციური დაწინაურება და სოციალური რევოლუციის დაგეგმვას. მათ არ ესმოდათ, რომ კაპიტალიზმი ქვეყნის მატერიალურ პირობებს და აყალიბებს მუშათა კლასის სახით სოციალისტური კლასის, სოციალისტური რევოლუციის სუბიექტური ფაქტორის, რომელთა გაჩენა სოციალისტური გამარჯვება წარმოუდგენელია. გაუგებარია, რა მონაცემების მიხედვით ამტკიცებს პროფ. მიხ. ზანდუკელი, რომ ქართველი ხალხისთვის სენობდნენ ჩვენში (რუსეთსა და საქართველოში) ფაქტურ კაპიტალიზმის განვითარებისას, ზოგ რუსი ხალხისთვის — არა. უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ხალხისთვის სენობდა კაპიტალიზმის განვითარების ფაქტს. მაგრამ მათ სხვადასხვა მიმდინარეობას ერთმანეთისაგან განსხვავებული დასკვნები გამოჰყავდა კაპიტალიზმის განვითარების ცნობის ფაქტიდან. რევოლუციური ხალხისთვის, გამოდიოდნენ რა კაპიტალიზმის არსებობის აღიარების ფაქტიდან, ჩქარობდნენ რევოლუციის მოხდენას, რადგან, მათი აზრით, კაპიტალიზმი შლიდა ეკონომიური ცხოვრების არსებულ „საფუძვლებს“ და ამით იწვევდა სოციალური რევოლუციის დაგეგმვას. ლებერაღური ხალხისთვის, თვლიდნენ რა კაპიტალიზმის რეგრესად, გამოწვეულს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკით, როგორც წერილობრივად რეგრესისთვის არწმუნებდნენ მთავრობას კაპიტალიზმის დანერგვის მიზანშეუწონლობაში. კომპრომიზმს, მათი გაგება, არ ჰქონდა განვითარების პერსპექტივა და მათე იყო „ხალხისთვის“.

არასწორადაა გაშუქებული მიხ. ზანდუკელის „ხალ ქართული ლიტერატურაში“ 70-80-იანი წ. წ. ქართული ხალხისთვის მოძრაობა. 70-80-იანი წ. წ. ხალხისთვის შევსებარს დაყავს „ხალხში სიარული“ ტაქტიკაზე. მას ვერ შეუნიშნავს, რომ საქართველოში ხალხისთვის მოძრაობა 70-80-იანი წ. წ. გაივლის მთელ რიგ ეტაპებს და ამ მიმართულებით სავსებით პროგრესულია რუსულ ხალხისთვის მოძრაობასთან. მიხ. ზანდუკელი შიგნით დავიწყებულია ის ფაქტი, რომ „ხალხში სიარული“ ჩვენში წინ უსწრებს რევოლუციური ინტელიგენციის სხვადასხვა წრის არსებობა. ამ წრეების უმთავრესად ჰქონდათ თვითგანვითარების ხასიათი, მაგრამ იმუშავებდნენ ბრძოლის განწყობილებას ინტელიგენციის. დაახლოებით 70-იანი წლების შუა პერიოდთან საქართველოში იყვნენ „ხალხში გასვლის“ ტაქტიკის, რასაც ხელმძღვანელობს ხალხისათვის პროპაგანდისტები. ამას მოსდევს ზემოთხსენებული და ნაროდოვოლუციური ორგანიზაციები, დაკავშირებული რუსეთის სოციალურ ორგანიზაციებთან. პროფ. მიხ. ზანდუკელი კი 70-80-იანი წლებში „კულტურულ-რევოლუციონის“ მერს ვერაგვის ხედავს. მიხ. ზანდუკელი

¹ Мйх. Зандукели, Очерки по истории Грузинской литературы, гз. 132, 1955 წ.

² იქვე, გვ. 133 — 134.

ფიქრობს, „რომ „ხალხში სიარულის“ ტაქტიკით ჩვენში თავს იხრთობდა რამდენიმე ხალხოსანი ერთმანეთს დაკავშირებულ ორ-სამ ხალხოსნურ წრეში ვაერთიანებულ და, რომ ამ მოძრაობის ცენტრი საქართველოში იყო მხოლოდ ვორი. ავტორმა არ იცის, რომ 1875 წლისათვის ჩვენში ხალხოსნური მოძრაობა მთავრად სავფხვრზე ავიდა, რომ ამ მოძრაობის მეთაურები მივიღწენ ამ დისკუსიამდე (და ამით გადადგვი ნაბიჯი წინ რევოლუციურ მოძრაობაში), რომ გლეხური რევოლუციის წარმატებით მომზადებისა და მისი გამარჯვების ამოცანა მოითხოვს წრეობიანას არაღან ვამოსვლას, რომ რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ინტერესებში მოითხოვს, შევიქმნეს რევოლუციონერთა არალეგალური კონსპირაციული ორგანიზაცია, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული არალეგალური კონსპირაციული წრეების სახით განდგენილი უნდა იყოს მთელ საქართველოში და დაკავშირებული კავკასიისა და რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებთან. შაით ახრით ამ ორგანიზაციას უნდა ჰქონოდა მის მიერვე გამოშვებული ერთიანი პროგრამა, ტაქტიკა და მისი ძალაწეობა მიმართულიყო გლეხური რევოლუციის მომზადებისაკენ პროპაგანდის გზით. უოველივე ამას მიხ. ზანდუელი კვლავტურტეგერობას ეძახის. არაერთი და ორი წრე იყო ჩვენში ხალხოსნებისა 70-იან წლებში, როგორც ფიქრობს პროფ. მიხ. ზანდუელი, არამედ მიმდინარეობდა გამალბებული მუშაობა ხალხოსან პროპაგანდისტთა ზელმძღვანელი წრისა და ქართული ხალხოსნების მიერ საბოლოოდ გაფორმებულიყო ქართულ ხალხოსან პროპაგანდისტთა ორგანიზაცია თავისი წყაღებით, ტაქტიკური ხაზით და პროგრამით და, რომ ასეთი ორგანიზაცია 1876 წლისათვის ფაქტურად უკვე არსებობდა. პროფ. მიხ. ზანდუელის მიერ შენიშნული არ არის არც ის ფაქტი, რომ ჩვენში ქართულ ხალხოსან-პროპაგანდისტთა რეპრესირების შემდეგ ხალხოსნური მოძრაობა ეს არ დაშლილა, არამედ ჯერ მიიღო ზემლვეოლტერი ხასიათი, ზოლო შემდგომ-ნაროდოვლტერი, რომ ჩვენში იყო ქართული ძლიერი ნაროდოვლტერი ორგანიზაცია, რომელიც არსებობას განაგრძობდა ალქსანდრე მერის მეფობის შემდეგაც. ეს ორგანიზაცია დაკავშირებული იყო „ნაროდნიია ვოლის“ აღმარებლებელ კომიტეტთან, რომლის თვალსაჩინო წევრები არაერთხელ ყოფილან თბილისში და სხვ.

მიხ. ზანდუელმა ვერ გვიჩვენა ქართული რევოლუციური ხალხოსნები, როგორც კაპიტალიზმის კრიტიკოსები. ეს პრობლემა დასმულია, მაგრამ ორი-სამი ბუნდოვანი ფრაზითაა ამოწურული. ხალხოსნები თურმე „ხშირად კაპიტალიზმის უარყოფით მხარეებს გამახვილებულად და ცალ მხრივად ასახევენ თავიანთ შემოქმედე-

ბაში“¹, და ისე შემდეგ ნამდვილად კი რევოლუციურ ხალხოსნებს, როგორც კაპიტალიზმის კრიტიკოსებს, ის დამსახურება აქვთ/ქართულურ სპეციალადობრივი აზრისა და ლტერატურტრქმწინაშე, რომ მათ ქართველ რევოლუციურ დემოკრატიებთან ერთად პირველად დასვეს საკითხს კაპიტალიზმის შესახებ, კაპიტალიზტური წინააღმდეგობათა შესახებ. ამ კრიტიკის მითვარი ისიცაა, რომ კაპიტალიზმი ნანგვენებია, როგორც ანტიხალხური სოციალ-ეკონომიური სისტემა, ის დისკრედიტებულია. ამ კუთხით რომ მისდგომოდა მიხ. ზანდუელი პრობლემას, ბევრად მოიგება ხალხოსნური ლტერატურის ანალიზი და ხალხოსნური ლიტერატურა შინაარსობრივად ისე დაღარიბებულად არ იქნებოდა წარმოდგენილი. მიხ. ზანდუელი ცდილობს დაახასიათოს 70-80-იანი წლების ქართული ხალხოსნების პოლიტიკური შეხედულებანი, მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ამ ერთი ურთულესი პრობლემის განხილვას ჩვენი ავტორი მეტად უღარდელად ეპყრობა სერიოზული საკითხის მეცნიერული ანალიზი აქ შეეცლითა პრიმიტიული, მოუფიქრებელი მსჯელობით. იხილავს რა ხალხოსნების პოლიტიკასთან დამოკიდებულებების საკითხს, ის გვაუწუებს, რომ მოძრაობის პირველ ხანებში ხალხოსნების „ყურადღებას იპყრებს... ხალხის ცხოვრების ეკონომიური მოუწყვსრეგებლობა. ამიტომ მათ პირველ რიგში ხალხის ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესების პრობლემა აქვთ დასახული. ხალხის ეკონომიური უზრუნველყოფა ხალხოსნების შეხედულების, ძირითადი საწინდარია ხალხის ზედნაღრებისა და აღაშიანური ცხოვრების არსებობის მოპოვებისა“². (ზახე ავტორის გ. მ.) მაგრამ შემდგომ „პრაქტიკულმა მოღვაწეობამ იხინი მალე დაარწმუნა, რომ სოციალურ-ეკონომიური კუთხილდებობის მოპოვებისათვის ხალხი უნდა შეეცადოს პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას“³ მიხ. ზანდუელის აზრით, ხალხოსნები ამტიკებდნენ, რომ „ძალა-უფლება უნდა ხალხის ხელში იყოს; სახელმწიფოსა და ხალხის ცხოვრების სრულფლებიანი გამგებელი თვით ხალხი უნდა იყოს“⁴, რომ სოციალიზმისაკენ „პოლიტიკური თავისუფლებანი უნდა იქნეს გზა გაყოფულია. ჯერ — ერთი, საკითხავია, ერთი შინაარსისაა ცნება „პოლიტიკური თავისუფლება“ და „ხალხის ბატონობა“? ცნებათა ასეთი არტებს პირობებში მწელი ვასაგებია, რის მომხრენი არიან ხალხოსნები; იბრძვიან პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისათვის თუ ბუნდოვანი ცნების — „ხალხის ბატონობის“ დამყარე-

¹ ტ. 3, გვ. 31.

² იქვე, გვ. 41.

³ იქვე.

⁴ ტ. 3, გვ. 42.

ბისათვის, რა ფაქტებს ეყრდნობა პროფ. მიხ. ზანდუკელი, როცა გვასწავლის, რომ ყველა ხალხოსანს ერთმანეთისაგან განუსხვავებელი დამოკიდებულება ჰქონდა პოლიტიკასთან, ყველა ისანი აღიარებდნენ პოლიტიკური ბრძოლის აქტიულობას. საზოგადოდ, ჩვენი ავტორის მიერ ხალხოსნების პოლიტიკური მსოფლმხედველობის პრობლემა მეტად ძუნწადაა განხილული. დასვა რა პოლიტიკასთან ხალხოსნების დამოკიდებულების საკითხი, პროფ. მიხ. ზანდუკელი ვაღიარებელი იყო მოვხდინა პრობლემის უოველმზრავი ანალიზი, ვაღიარებელი იყო განეხილა: ხალხოსნების სხვადასხვა მიმდინარეობათა შეხედულებანი ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთობის შესახებ, ხალხოსნების დამოკიდებულების საკითხი სახელმწიფოსთან და პოლიტიკურ ბრძოლასთან (ე. ი. ბრძოლასთან პოლიტიკური თავისუფლებისათვის და ბრძოლასთან სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებასათვის. თვითმპყრობელობასთან, ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან და ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან; ხალხოსნები სოციალისტური რევოლუციის, სოციალიზმის დამოკიდებულების შესახებ სახელმწიფოსთან და სწვა.

მიხ. ზანდუკელი ხალხოსნებს უწოდებს „სუ-შიქტურ სოციალისტებს“ და კი არ ცდილობს ამ არც ისე მართებული ცნების შინაარსის გახსნას, გვაჩვენოს ხალხოსანთა სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშნები, მისი შინაარსი, მისი კლასობრივი ხასიათი. უმართებულო დებულებები აქვს განვითარებული მიხ. ზანდუკელს ცალკეული ხალხოსნის მხატვრული ლიტერატურის

სოციალური მოტივების ანალიზის დროსაც. განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ ლიბერალურ ხალხოსან მწერლებს, როგორცაა ვაგ. დ. შანხანელი და სხვები — ის უწოდებს ხალხოსანმდვილ მწვობრებს, ხალხის ინტერესების დამცველებს. ეს ხდება 1956 წელს, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ 60 წლის წინათ ლენინმა ხალხოსნების წინააღმდეგ იღვეურ ბრძოლაში გვიჩვენა, რომ ლიბერალური ხალხოსნები არავითარი მწვობრები ხალხისა არ ყოფილან. როგორ იქნებოდა ხალხის მწვობარი ის საზოგადოებრივი მოღვაწე და ლიტერატორი, რომელიც იყო მტერი მუშათა კლასის მეათაფრობით ხალხის რევოლუციური ბრძოლისა, თვითმპყრობელობის, შემამულეთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მოღვაწე, რომელიც თვითმპყრობელობასთან თანამშრომლობით, ნამცეკური რეჟორმებით ცდილობდა მიეღწია „თანამშრომლისა“ და „სამართლიანობისათვის“, რომლის პოლიტიკური და ეკონომიური პროგრამა არ შეიცავდა სოციალურა ცხოვრების არავითარ რადიკალურ გარდაქმნების მოთხოვნას, არ გამოსახავდა მუშათა კლასის ინტერესს.

ასეთია ჩვენი შენიშვნები თერგდალეულთა და ქართული ხალხოსნობის მსოფლმხედველობის ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც აღმართულია მიხ. ზანდუკელის ნაშრომებში. ამ შენიშვნების მიზანი ის კი არ არის, რომ ჩრდილი მიაყენოს ჩვენი მშობლიური ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის დამსახურებას, არამედ იმხანავურად დაეხმაროს მას ახალი ქართული ლიტერატურის შესწავლის სამართლი და სამასუხისმგებლო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში.



კ. მარქსი და ფ. ენგელსი ისტორიული დრამის შესახებ

1859 წელს ფ. ლასალმა გამოაქვეყნა დრამა „ფრანკ ფონ ზიკენგენი“. ავტორი მიზნად ისახავს გვიჩვენოს ტრაგედია ისტორიული პიროვნების — ფრანკ ფონ ზიკენგენისა, რომელიც მის დიდ თანამედროვე, ჰუმანიტარულ უღრმეს ფან პეტენთან ერთად, სათავეში უდგება გერმანიის რიანდთა აჯანყებას 1522 წელს. როგორც ცნობილია, ეს აჯანყება დამარცხებით დამთავრდა. დრამის ავტორისადმი გაგზავნილ წერილში კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა დაწერილებით ვანიხილეს ეს ნაწარმოები (მარქსის წერილი დათარიღებულია 1859 წ. 19 აპრილით, ენგელსისა კი — იმავე წლის 18 მაისით). ამ წერილებში გამოთქმულ მოსაზრებებს ენიჭება ფრად დიდი მნიშვნელობა როგორც ლასალის ტრაგედიის შესასწავლად, ისე ისტორიული დრამის ძირითადი საკითხების გასარკვევად.

მარქსისა და ენგელსის შენიშვნებიდან მთელი სიტყვადით ჩანს, თუ რა მოთხოვნებს უნდა ვუყენებდეთ დრამაში ისტორიული თემის დამუშავებას, რა მიმართებაში უნდა იყოს ამ თემის დამუშავება თანადროულობის აქტიური საკითხების გარკვევასთან. მარქსი იწინებს ლასალის მიერ არჩეულ თემას, მიიხსნია, რომ ამ გზით შესაძლოა შექმნეთ თანადროულობის ზოგადი მშვენიერება საკითხებს. ამავე საფუძველზე გამოთქმულად მიიხსენებს მარქსი და ენგელსი ისტორიული თემის არჩევას გოეთეს მიერ „გოცე ფონ ბერლინგენში“. ლაპარაკობს რა გერმანული ლიტერატურის აღმავლობაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ენგელსს ერთ-ერთი სილუსტრაციო მასალად მოჰყავს გოეთეს ეს ნაწარმოები¹. ეჭვი არ რჩება, რომ მას გამოართვებულად მიიხსნია დრამის სიუჟეტის აღება ისტორიიდან არა მხოლოდ ისტორიული, არამედ თანადროულობის თვალსაზრისით.

იგივე აზრი უდევს საფუძველად ლასალისადმი მარქსის წერილის ამ ადგილს, რომელშიაც მოცემულია ზიკენგენისა და გოეთეს დაპირისპირება და ის აზრია განვითარებული, რომ ზიკენგენი და პეტენი, გოეთესაგან განსხვავებით, იყვნენ „მთა წარმოდგენაში რეჟორლოკორირები“². მარქსს მხედველობაში ჰყავს ისტორიული ზიკენგენი და გოცე. გოცთან შედარებით ზიკენგენის უპარატესობის აღნიშვნისას იგი ოდნავაც არ უსაყვედურებს ლასალს, რომ მან

ტრაგედიის ცენტრში ისტორიული პირები მოაქცია, არამედ იმის გამოკვეყნას ისახავს მიზნად, თუ რამდენად სწორად მოახერხა ლასალმა ისტორიის გაგება, ისტორიული ზიკენგენის შესატყვისი დრამატუზებული სახის შექმნა. გოეთეს დრამის მიმართ კი საკითხის ეს მხარე მარქსის წერილში დასმული არაა.

ძირითადი საკითხი, რომელიც დასმულია მარქსისა და ენგელსის შენიშვნებში ლასალის დრამაზე — ესაა ისტორიისთან დრამატურგის დამოკიდებულების საკითხი. ლასალის დრამის განხილვისას მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები მიზნად ისახავენ გამოარკვიონ, აქვს თუ არა ლასალს სწორად გაგებული XVI საუკუნის გერმანიის ისტორია, სოციალურ ძალთა მიმართება და ამ საფუძველზე აქვს თუ არა მას გაგებული დრამატული კოლიზია მარქსი და ენგელსი ცხადყოფენ, რომ ლასალს არა აქვს სწორი წარმოდგენა იმ ეპოქაზე, რომელშიაც ხდება ზიკენგენის დრამის გათამაშება, არ აქვს გაგებული ეპოქის ძირითადი წინააღმდეგობანი, იმდროინდელი სოციალური და იდეოლოგიური ბრძოლის საკითხი. ისინი ცხადყოფენ, რომ ლასალს არ აქვს შეფასებული გლვბთა რეჟორლოკორი გამოხატულების მნიშვნელობა, ამასთანავე, ხასიათი იმ აზნაურული მოძრაობისა, რომლის სათავეშიაც პეტენი და ზიკენგენია მოქცეული.

იჩვენებს, რომ ისტორიული დრამის ძირითადი საკითხების გაგებას მარქსი და ენგელსი ორგანულად უყავითრებენ იმის გამოარკვევას, თუ რამდენად სწორად ისახავს დრამატული კოლიზია ისტორიულ აზნავს. ისინი უსაყვედურებენ ლასალს დრამაში არა მინაგანი მთლიანობის, ტრაგედიული კოლიზიის უქონლობას, არამედ იმას, რომ იქ დახატული კოლიზია არ წარმოადგენს ეპოქის წინააღმდეგობის სწორ სურათს, რომ ლასალი ისტორიულ მასალას ამუშავებს არა მატერიალისტურად, არამედ იდეალისტურად. თუკი ლასალი ისტორიულ მასალას დაამუშავებდა ისტორიული სიზუსტის დაცვით, მას ძალიან უნებურად დასტირდებოდა „უფრო მეტად შექმნილი სპირიტუალური წერა“¹. მაშინ, როდესაც ლასალის მხატვრული შეთოდის ნაკლოვანებას მარქსი ზედავს იმაში, რომ იგი წერს შილერისებურად, აქცევს რა ინდივიდუუმებს დროის იდეების უბრალო რეჟორებად².

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. V, стр. 7.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, სახელგამი, 1949, გვ. 114.

¹ იქვე.
² იქვე.

მარქსის ამ შეხედულებას ენიჭება დიდი მნიშვნელობა როგორც ლასალის დრამის, ისე შექსპირისა და შილერის მხატვრული მეთოდის გაგებისათვის. ლასალის მხატვრული მეთოდის იდეატად ამ შემთხვევაში მიჩნეულია შილერის მხატვრული მეთოდი, ხოლო შექსპირის მეთოდი მიჩნეულია რეალისტურ მეთოდად. ლასალისა და შექსპირის მხატვრული მეთოდების ამგვარ განსხვავებაზე მიუთითებს ენგელსიც. იგი საკაროდ ცნობს, რომ დრამაში „იდეალურს იქით დაწვრილებული არ იქნება რეალისტური, შილერის იქით — შექსპირი“¹.

ამგვარად, თავისებურება მხატვრულმა მეთოდმა, ისტორიული მასალისადმი აბსტრაქტული-იდეალისტურმა მიდგომამ განაპირობა, მარქსისა და ენგელსის აზრით, ლასალის ტრაგედიის ძირითადი ნაწილი. ლასალმა, გამოდის, თავის დრამას საფუძვლად არ დაუდო ეპოქის ძირითადი კანონზომიერების შესწავლა და ამ ნიადაგზე არ წარმოადგინა ზოგინგენის ზელმძღვანელობით მომხდარი აჯანყების სურათი.

თუ როგორ სწორად შენიშნეს მარქსმა და ენგელსმა ლასალის დრამის ძირითადი ნაწილი, ამას მჭევრმეტყველურად დაგვიხატურებს ამ ნაწარმოებისა და მისდამი წამმდგარული წინასიტყვაობის განხილვა. ამ წინასიტყვაობიდან აშკარა ხდება, რომ ლასალს პრინციპულად სხვაგვარად ესმის ისტორიული დრამის საკითხი, ვიდრე მარქსსა და ენგელსს. ისტორიულ ტრაგედიაში, მისი აზრით, პიროვნებანი არ თამაშობენ რაიმე როლს; ისინი „წარმოადგენენ მსოფლიო სულის მეტროპოლი წინააღმდეგობათა განსახიერებას“. შემართებული ისტორიულ ტრაგედიაში, ფიქრობს ლასალი, საქმე გვაქვს „ხალხთა ძლიერი და დიად ბედთან, რომელიც წყვეტს ამ მსოფლიო სულისათვის სიკეთესა და ბოროტების საკითხს“. „ტრაგედიებში ეს ბედი, — ამბობს ლასალი, — ჩაქსოვილია შვეელი ვენებებით აღტყინებულ მოქმედ პირობებში, რომელთათვისაც მსოფლიო სულის სიკეთე და ბოროტება მათი პირადი ცხოვრების საკითხს შეადგენს“.

როგორც ვხედავთ, ლასალი დგას ისტორიული დრამის მდარეი გაგების ნიადაგზე, საფუძვლად უდებს რა მას თვით ისტორიული პროცესის მდარე, იდეალისტურ გაგებას. ისტორიული დრამის მასალად მას აღებული აქვს ისტორიული ეპოქა, მაგრამ ეს უკანასკნელი გაგებული აქვს არა როგორც კონკრეტულ-სოციალურ ძალთა მოძრაობის, არამედ როგორც მსოფლიო სულის წინააღმდეგობის გამოხატულება.

თავისთავად ცხადია, რომ ისტორიული დრამის საკითხის ასეთი მდარეი გაგების პირობებში ლასალის დრამაში ამაოდ დაგვიწყებთ ისტორიული ეპოქის მართალი სურათის ძებნას, ტრაგიკულობის პრობლემის სწორ გადამწყვეტას. ისტორიული დრამის ლასალისეული კონ-

ცეფცია მთელი სიციხადი გვიჩვენებს მარქსისა და ენგელსის მიერ ამ დრამის შესახებ გამოთქმული შენიშვნების, მარტენდელუბას, შენიშვნებისა, რომლის მთავარი აზრი იქნა მიღწეობა, რომ ლასალი არ დგას ისტორიული პროცესის მატერიალისტური გაგების ნიადაგზე. თვითონ ლასალი აღიარებს, რომ ისტორიული დრამის შექსპირისა მისთვის სახელმძღვანელოს წარმოადგენს არა ისტორია, არამედ იდეები, მსოფლიო სული.

ლასალის ეს მსჯელობა მთელი სიციხადი გვიჩვენებს, თუ როგორ მართალი იყვნენ შექსპირული სოციალიზმის მამამთავრები, როცა უსაყვედურდნენ ლასალს, რომ იგი მიდის შილერის და არა შექსპირის გზით. თვითონ ლასალი აღიარებს, რომ ისტორიული დრამის შექსპირის გზაზე შექსპირი განვიღო საფუძვლად წარმოადგენს.

ასეთია ისტორიული დრამის ლასალისეული კონცეფცია. მაგრამ საკმარისი როდია ლასალის დრამის თვითონის მანქანს ჩვენება მისი ტრაგედიის წინასიტყვაობის მიხედვით, საკვირია ამ მანქანს ჩვენება თვით ნაწარმოების განხილვით მაგალითზე. ამ მხრივაც სახელმძღვანელო მითითებებს ვგაძლევენ მარქსი და ენგელსი. ძირითად ნაწილად ლასალის ნაწარმოებისა მათ მიმართ ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის უგულებელყოფა, როგორცაა გლეხთა მოძრაობა მე-16 საუკუნის გერმანიაში. მარქსი შეეცდომად უთვლის ლასალს, რომ მისი ზოგინგენი თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში იმთავითვე არ ახდენს აპელაციას ქალაქებისა და გლეხებისადმი, ე. ი. სწორედ ამ ქალაქებისადმი, რომელთა განვითარება რაინდობის უარყოფას წარმოადგენს¹. იგი საყვედურს გამოთქვამს, რომ გლეხების და აგრეთვე ქალაქების რევოლუციური ელემენტების წარმოადგენლები ლასალის დრამაში არ შეადგენენ ფრიალ არსებობას და აქტიურ ფონს.

ამსვე უსაყვედურებს ლასალს ენგელსი. ამის გამო მიაჩნია მას ლასალის ნაწარმოებში აბსტრაქტული ხასიათის ნაწარმოებად. ენგელსი წერს: „სწორედ ამიტომ დრამის იმ გაგებითაც, რომელიც თქვენ გავქეთ და რომელსაც მე, როგორც თქვენ, ალბათ, შეამჩნიეთ, ვთელი მეტისმეტად აბსტრაქტულად, არასაკმარე რეალისტურად, გლეხთა მოძრაობა ღირსი იყო იმისა, რომ თქვენ ის მეტის ყურადღებით განგებხით“².

და მართლაც, ლასალის ტრაგედიაში გლეხთა მოძრაობას არ უკავია რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილი დრამის იდეის განვითარებაში. იგი არ ასრულებს რაიმე როლს დრამატული კვანძის არც შეყვანას და არც გახსნაში. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ მწერალი მთლიანად უგეობს გვერდს გლეხთა მოძრაობას, მაგრამ დრამაში

¹ იგივე, 113.

² იგივე, 115.

მეტწილად ლაბარაკია მხოლოდ გლეხთა მოძრაობაზე და არაა ნაჩვენები მისი გაშლა-განვითარების სურათი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ლანდაუერ შეკრებილი რაინდებისათვის ზიკინგენის მიერ მიცემული დარბევა. ზიკინგენი აფრთხილებს რაინდებს, არ გააბრაზონ ქალაქები, გაითვალისწინონ, რომ ახალი დრო ქალაქებს აზნაურ-რაინდთა მოკავშირეებად აქცევს. ასევე ურჩევს იგი რაინდებს — არ გააბრაზონ გლეხები, გაითვალისწინონ, რომ გლეხებს თავადები სძულთ და არა აზნაურ-რაინდობა, რომ ისინი ამ უკანასკნელებს გაყვებიან.

ლასალი არ გვიჩვენებს ამ პუნქტში წინააღმდეგობას გლეხთა და აზნაურთა პოლიტიკურ იდეალებს შორის, არ გვიჩვენებს მათი დამოკიდებულების ნამდვილ სურათს. მისი ნაწარმოების გმირი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რატომ უნდა იყოს მოძრაობის მეთაური აზნაურთა და არა გლეხთა, არაფერს ამბობს, რომ პლუბების პოლიტიკური იდეალები საფუძველზე განსხვავდება აზნაურთა იდეალებისაგან.

ისტორიული პეტენი და ზიკინგენი ისწრაფოდნენ, როგორც ენგელსი აღნიშნავს, თავდაზნაურული დემოკრატიისაკენ, რაც „მეტად პრიმიტიული საზოგადოებრივი ფორმაა და სრულიად ნორმალურად ვითარდება ნაოლდ გამოკვეთილ ფეოდალური იერარქიისაკენ“¹. კ. მარქსიც ზიკინგენსა და პეტენს უწოდებს რევოლუციის თავადაზნაურულ წარმომადგენლებს, რომელთა ერთიანობისა და თავისუფლების ლოზუნგების უკან ჯერ კიდევ იმალება ოცნება ძველ იმპერიასა და მეშტის სამართალზე².

მარქსი და ენგელსი მიუთითებენ, რომ აზნაურული რევოლუცია არ ისახავდა მიზნად ფეოდალიზმის უარყოფას და არც ზიკინგენი და პეტენი ისახავდნენ ასეთ მიზანს. ისინი არ იყვნენ ნამდვილი რევოლუციონერები იმიტომ, რომ ის კლასი, რომლის იდეოლოგიადაც ისინი ითვლებოდნენ, არ იყო ნამდვილად რევოლუციური კლასი. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, აზნაურულ რევოლუციას შეეძლო დაეახსება პლუბების მოძრაობის მხოლოდ ნეიტრალიზაციის პოლიტიკა, რადგან გლეხობასა და აზნაურობას შორის კავშირი არც ერთ სურდა და არც მეორეს. ისტორიულ ზიკინგენსა და პეტენს არ შეეძლოთ გლეხობასა და ქალაქებზე ორიენტაცია, რადგან არც გლეხები და არც მოქალაქეები აზნაურობას არ ენდობოდა. „ქალაქები, — წერდა ენგელსი, — იმდენად კარგად იცნობდნენ თავდაზნაურობას, რომ არ ენდობოდნენ მას და ყოველ კავშირს გაუბრძოდნენ მასთან. გლეხები სრულიად სპარტოლიანად თავის უსასტიკეს

მტრად თვლიდნენ თავადაზნაურობას, რომელიც მათ სისხლს სწოვდა და ტარჯავდა“³.

ლასალს კი არ გამოჰყავს ზიკინგენი და პეტენი ამგვარ ხაზებში. იგი მათ ნატავს, როგორც მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ მებრძოლებს. მაგრამ არ გვიჩვენებს წინააღმდეგობას პლუბებსა და მათ შორის, წინააღმდეგობას აზნაურულ და პლუბურ მოძრაობას შორის. ეს წინააღმდეგობა ლასალთან მკითხადაც კი არაა ნაჩვენები. ამის შესახებ არაფერს ამბობს არც ზიკინგენი და არც პეტენი. რაც შეეხება ისტორიულ პეტენს, იგი თავის ნაწერებში „კრისტუსი არ ძრავს ბატონყმობისა და გლეხების ვალდებულებათა მოსპობაზე“⁴.

როგორც ვხედავთ, ლასალმა თავის ტრაგედიკაში წარმოადგინა ისტორიული ფაქტის არასწორი სურათი, დასაბა შესაძლებლობა აზნაურული და პლუბური მოძრაობის დაკავშირებისა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-5 მოქმედებაში ბალთაზარისა და ზიკინგენის საუბრის სცენა. ბალთაზარი ურჩევს ზიკინგენს, კავშირი დაამყაროს გლეხობასთან, რომელიც ბოხოქრობს და მხოლოდ სიგნალს ელის. საკმარისია ზიკინგენმა გადასარტოლოს გლეხებში მოწოდება და ისინი მას დიდძალ ჯარს მოამოწოდებენ. ექიმად კი ბალთაზარი ფიქრობს, რომ ზიკინგენი გაიმარჯვებდა თავისი ამბოხება რომ რაინდულ შეღლად კი არ მოეხატა, არამედ საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისა და თავადების წინააღმდეგ აშკარა ომის დროსა აღეშარათა. მარქსი ბალთაზარის ამ გეგმას აბასათავსს როგორც ილუზიას, რადგან ზიკინგენის დაღუპვა, აღნიშნავს, ის, გარდაუვლი იყო გარდაუვლი იყო იმიტომ, რომ ზიკინგენმა აჯანყება მოაწყო, როგორც რაინდმა და როგორც დაღუპვის გზაზე დამდგარი კლასის წარმომადგენელმა⁵.

ლასალს კი ამგვარი ილუზიებიდან ბალთაზარი მიჰყავს ისეთ პოლიტიკამდე, რომელსაც ენგელსმა ნამდვილად რევოლუციური პოლიტიკა უწოდა. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, რომ შწერალმა შეაცულებინა ბალთაზარს თავისი შეხედულება, არამედ იმას, რომ ბალთაზარის თვალსაზრისი ემთხვევა თვით ზიკინგენის თვალსაზრისს. ბალთაზარის შეხედულებას, რომ საჭიროა გლეხთა მოძრაობასთან კავშირი, ზიკინგენიც იზიარებს. შთაბეჭდილება ექმნება, რომ ის, რაც ბალთაზარს ახლა გაუგია, ზიკინგენისათვის იმავეითვე ნათელი ყოფილა.

¹ ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1932, გვ. 97.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 114.

7 „წათობი“, № 11.

³ ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, გვ. 98.

⁴ ოგუი, გვ. 99.

⁵ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 113.

კიდევ უფრო ნათლად ბატავს ლასალი აზნაური და გლუხთა მოძრაობის კავშირის საჭიროებას დრამის ფინალში, სადაც აგვიწერს გლუხთა მეთაურებს, შთა ეღას ჩააბან მოძრაობაში ზოიკენი, გაიხილან იგი თავიანთ მეთაურად, მტკიცე ვადამყვებლებს ზოიკენისა დაკავშირების თვისის საქმე გლუხთა მოძრაობასთან.

ამგვარად, ირყევია, რომ ლასალმა არ მოგვცა გლუხთა და აზნაურთა ურთიერთდამოკიდებულების სწორი სურათი, ანგარიში არ ვაუწია შთა ინტერესთა მკვეთრ განსხვავებას. მწერალმა შეეცალა საბით წარმოადგინა თვით რაინდული მოძრაობის ხასიათი, „არ ვეინგენა წინააღმდეგობა აზნაურობასა და გლუხურ, აგრეთვე ქალაქურ ოპოზიციას შორის, მან ვერ ვგვიჩვენა მოძრაობის მეთაურების — ზოიკენისა და ჰეტენის ნამდვილი სახე, გამოიყვანა ისინი როგორც გერმანიის ვაერთიანებისათვის, მოწინავე იდეალებისათვის მებრძოლი და ერთი შტრიხითაც არ ვეინგენა, რომ შთაი იდეალები არ სცოდნებია აზნაურული იდეოლოგიის ფარგლებს.

ამასთანავე, მწერალმა წარმოადგინა არასწორი სურათი თვით პლუბურნი და ქალაქური მოძრაობისა. მან არ დაგვიხატა ის უნდობლობა, რომელსაც იჩენდნენ გლუხები და მოქალაქეები აზნაურებისადმი. მან დაბატა გლუხთა ბელადები, რომლებიც მზად არიან გლუხთა მოძრაობის ხელმძღვანელობა აზნაურობას ჩააბარონ. გლუხთა მეთაურ იოს ფრიცსა და ჰეტენს შორის მოლაპარაკება სწრაფად მთავრდება. არც ერთი მხარე არ აყენებს შეთანხმების დადებისას რაიმე წინაპირობას. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი თითქოს ბოლომდე ერთიმეორეს მოკავშირენი იქნებიან. ასეთ შეთანხმებაზე მიდიან გლუხები და ჰეტენი და ასეთ შეთანხმებას ესალმება უკვე მომავლადგი ზოიკენიც, არ ჩანს, რომ ეს იყოს დროებითი ხასიათის შეთანხმება.

დაბატა რა სოციალურ ძალთა დამოკიდებულების არასწორი სურათი, ლასალმა, გამოდის, არასწორად წარმოადგინა თვით აზნაურული მოძრაობის ხასიათი. მის მიერ დაბატული ზოიკენი და ჰეტენი არ წარმოადგენენ რეალისტურ სახეებს, რადგან ისინი არ მოქმედებენ იმ რეალურ-ისტორიულ პირობებში, რომელშიაც მოქმედებდნენ შთა პრაქტიკაში, არ მოქმედებენ როგორც წარმომადგენლები მომავლადგი კლასისა. მკითხველს იზიდავს შთაი თავდადება საერთო საქმისათვის, მაგრამ მის წარმოდგენაში ეს დამიანები რჩებიან მხოლოდ დეკლამატორები, თავისუფლებასა და ერთიანობაზე რომ ლაპარაკობენ მხოლოდ, რეალურად კი მისი განხორციელებისათვის ბრძოლა არ შეუძლიათ.

მარქსი და ენგელსი მიუთითებენ, რომ ლასალმა ვერ შექმნა კვშიარტად ტრაგიკული კო-

ლიზია, მიიჩნიათ, რომ ამგვარი კოლიზის შექმნა შესაძლებელი იქნებოდა ისტორიული მოვლენების, მოქმედი სოციალური ძალების სწორად დაბატების საფუძველზე. ამგვარად ვამართლები ისტორიული ტრაგედია ამავე დროს იქნებოდა თანადროული, ეპოქის აქტიურ ამოცანებს უბასუბება.

ნიშნავს ეს თუ არა, რომ ზოიკენის დრამაში მარქსი და ენგელსი უარყოფენ საერთოდ ტრაგიკული კოლიზის არსებობას? არა, არ ნიშნავს. მარქსისა და ენგელსის შენიშვნებიდან არ გამომდინარებობს, რომ ლასალის დრამაში სცერთოდ არ არის ტრაგიკული კოლიზია, არამედ ის, რომ იქ მოქმედი ტრაგიკული კოლიზია არ არის ის, რაც ისტორიული ტრაგედიისათვისაა საჭირო. კოლიზია ლასალის დრამაში გაშლილია აზნაურული მოძრაობისა და მსხვილი ფეოდალების შეჯახების ფორმა. ზოიკენის დადებუა იქ ახსნილია როგორც რაინდ-აზნაურთა დიდი ნაწილის მიერ მისი მიტოვების შედეგი. კოლიზის ამ სახით წარმოდგენა არაა ისტორიულად გამართლებული. ისტორიული ზოიკენი დაიღუბა იმიტომ, რომ იყო წარმომადგენელი მომავლადგი კლასისა. მის გეგმაში არ შედიოდა საზოგადოების საფუძვლიანი გარდაქმნა, ბატონობის მოსპობა. ის დაიღუბა იმიტომ, რომ არ სურდა და არც შეეძლო კავშირის დაყარება რევოლუციურ კლასთან, რომ ეს კლასი მას არ ენდობოდა. ლასალის მიერ დაბატული ზოიკენი კი იღუბება იმიტომ, რომ იგი აზნაურება გაეჩინა, თავადებმა მასზე უფრო სწრაფად და რადიკალურად იმოქმედეს.

ლასალის ზოიკენი უფრო პროგრესულია, ვიდრე ისტორიული ზოიკენი, წარმოსახვაში რევოლუციონერია; მაგრამ სწრაფად ამაში მღგომარეობს მისი, როგორც მხატვრული სახის, ნაკლავანება. მარქსისა და ენგელსის შენიშვნების აზრი იმაში მღგომარეობს, რომ მწერალს ტრაგიკული კოლიზის შესაქმნელად უნდა ეჩვენებინა ზოიკენი როგორც მომავლადგი რაინდობის წარმომადგენელი; ამავე დროს, თუ იგი მას დაბატავდა იღურად მაინც პლუბურ მოძრაობასთან დაკავშირებულად, მაშინ მას უნდა ეჩვენებინა წინააღმდეგობა პლუბურ და აზნაურულ მოძრაობას შორის, ე. ი. მას უნდა დაეხატა გლუხობა და მოქალაქეები, ამხედრებული აზნაურობის წინააღმდეგ და არა მათთან შეთანხმებაზე წასული. მეორე მხრივ, ლასალს უნდა ეჩვენებინა წინააღმდეგობა აზნაურებსა და ზოიკენებს შორის, თუკი ეს უკანასკნელი გლუხობასთან საერთო ენის გამოჩაბას მოისურვებდა. მაშინ ზოიკენი გაბდებოდა ნამდვილი ტრაგიკული გმირი, რადგან ცხადი შეიქმნებოდა, რომ გაეროებათა ძალა მას ერეკება გლუხობასთან კავშირისაკენ იმ დროს, რადგან თავისი კლასობრივი ინტერესები ასეთ შეთანხმებაზე წასვლას შეუძლებლად ხდიდა.

ასეთ პირობებში იმდროინდელი სოციალური ვითარებისათვის მთავარი ტონის მიმცემი იქნებოდა არა აზნაურული, არამედ პლუბერული მოძრაობა. ასეთ პირობებში აზნაურთა წინაშე დადგებოდა არჩევანი — მიმბრობოდნენ ან გლეხებს ან თავადებს, ხოლო ისინი, ვინც არც ერთ მათგანს არ მიეშხრობოდა, გაიხრისებოდა. ასეთ პირობებში ზიკინგენის დაღუპვა ბუნებრივი იქნებოდა, იგი ჰემშარიტ ტრაგიკულ გმირად წარმოვიდგებოდა.

მარქსისა და ენგელსის შენიშვნებს ლასალის დრამაზე აქვს ფრიალ დიდი მნიშვნელობა ჩვენი დროისათვის, ისტორიული დრამის ძირითადი საკითხების გარკვევისათვის. თეთი მარქსი და ენგელსი, იზილადნენ რა ლასალის დრამას, ამ განხილვას ორგანულად უკავშირებდნენ 1848 წლის რევოლუციის ეპოქაში დასმულ შევსებულ საკითხებს. მათ უჩვენეს, თუ როგორი უნდა იყოს ჰემშარიტი ისტორიული დრამა, ხაზი გაუსვეს ისტორიული თემისადმი მხატვრის რეალისტური დამოკიდებულების, რეალისტური მეთოდის მომარჯვების აუცილებლობას. მათ ცხადყვეს, რომ დრამატურგს უნდა გააჩნდეს სწორი მეთოდოლოგიური წინამძღვრები.

მარქსი და ენგელსი გვირკვევენ, რომ ისტორიული მასალისადმი დამოკიდებულებაში დრამატურგი, საერთოდ მხატვრული სიტყვის ოსტატი, სახელმძღვანელოდ უნდა იხდიდეს ისტორიული მოვლენის მართალსა და მიუკერძოებელ გადმოცემას, საფუძველშივე უნდა უარყოფდეს მისადმი ნებისმიერ, სუბიექტივისტურ დამოკიდებულებას. თავიანთი შენიშვნებით ლასალის დრამაზე, სხვა შრომებთან ერთად, მარქსი და ენგელსი უჩვენებენ რეაქციულ არსს იმ ხელოვნებისა, რომელიც ეწევა ისტორიის მისტიფიკაციას, წარსულის აპოლოგიას. მარქსისა და ენგელსის შენიშვნები ლასალის დრამაზე

წარმოადგენს გამანადგურებელ პასუხს აბგვარ მისტიკურ-რეაქციულ ხელოვნებაზე. ისინი წარმოადგენს დასაბუთებას რეალისტური ხელოვნების პრინციპებისა, მაგრამ არა საერთოდ რეალისტური ხელოვნებისა, არამედ ისეთის, რომელიც მოვლენას იხილავს და აწუჭებს თავის განვითარებაში, აჩვენებს მასში წამყვან ტენდენციას. ისინი წარმოადგენს დასაბუთებას სოციალისტური ხელოვნების პრინციპებისას.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებული ჩვენი შწერლებისათვის მარქსისა და ენგელსის ეს შეხედულებები წარმოადგენს ფუნქციონირებელ, სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც უჩვენებს, თუ როგორ უნდა ასახონ მათ თავიანთ მხატვრულ ქმნილებებში ისტორიული წარსული, საერთოდ სინამდვილე. რასაკვირველია, არა ისტორიული თემატიკა შეიადგენს ჩვენი ლიტერატურისათვის მთავარს, არამედ თანადროულობა, სოციალისტური მშენებლობის თემა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი ეპოქისათვის მნიშვნელობას მოკლებულია ისტორიული თემატიკა. ჩვენი დიადი ჰეგელის სოციალისტური მშენებლობის ამსახველი მხატვრული ნაწარმოებების გვერდით, საბჭოთა მკითხველებში დიდი წარმატებით სარგებლობს ისტორიულ თემებზე აგებული მხატვრული ძეგლები, ის ნაწარმოებები, რომლებშიაც ასახულია ჩვენი ჰეგელის ხალხთა გმირული წარსული. ეგვიდეთ რა ხელოვნებაში წარსულის გამოჩენილ ადამიანებს, ჩვენ კიდევ უფრო მეტად ვიმსჯელებით სიყვარულის გრძნობით ჩვენი ჰეგელისადმი. მშობლიური ჰეგელის გმირულ წარსულისადმი ინტერესი გვეზიარება ჩვენს წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში. ამაში მდგომარეობს ისტორიული დრამის საკითხების სწორი გადაწყვეტის მნიშვნელობა.



ბ. ბელინსკი შექსპირის შესახებ

ბელინსკის მსოფლმხედველობა, როგორც დედოფალი მთაწარის და კრიტიკოს-პუბლიცისტი ა. ს. სობოლოვოვი ჩამოყალიბდა 40-იანი წლების დანაწიებით.

ბელინსკი ამ დროისათვის გამოვლინდა, როგორც მატერიალისტი, ისტორიული კანონზომიერებისა და დიალექტიკური განვითარების მომხრე, რევოლუციონერი-დემოკრატი, შერიგებული მტერი ბატონყმობის და თვითმპყრობელობისა, კაპიტალისტური წყობილების მამოლენელი და „სოციალიზმის იდეის“ მომხრე. ამავე პერიოდში დასრულებული სახე მიიღო ბელინსკის ესთეტიკურმა შეხედულებებმაც, რომელთა ცალკეული ელემენტები, დასაბუთო ძიებების შედეგად, ყალიბდებოდა 30-ანი წლების მანძილზე.

ფილოსოფიური მატერიალიზმიდან გამომდინარე იცავს ბელინსკი რეალიზმის პრინციპს ლიტერატურაში. ხელოვნების შინაარსი შეიძლება იყოს მხოლოდ მატერიალური რეალობა, სინამდვილე. ე. ი. საზოგადოებრივი უფიფერება, ზალხის ცხოვრება. მაგრამ რეალიზმი არ არის სინამდვილის მარტავი გადმოღება ხელოვნებაში. ეს სინამდვილის მხატვრულად განზოგადებული ასახვაა, ერთ-ერთი ადრინდელ წერტილში ბელინსკი წერს: „პოეზია — ცხოვრების გამოსახულებაა, უკეთ რომ ესთქვათ, თვით ცხოვრება... პოეზიაში ცხოვრება უფრო ჰგავს თავის თავს, ვინემ სინამდვილეში... სინამდვილე — ბაჯადლო ოქროა მაგრამ გაუწმენდავი მიწისა და მადნის გროვანი. მეცნიერება და ხელოვნება ასუფთავებს სინამდვილის ოქროს, გადადნობს მას სათუთ ფორმებში. მაშასადამე, ხელოვნება და მეცნიერება არ იფრენებს ბაღს, აზარსებულ სინამდვილეს, არამედ იღებს მზა მასალას, მზა ელემენტებს, მზა შინაარსს სინამდვილიდან, რომელიც იყო, არის და იქნება“¹.

ხელოვნების ღრმა კონცხითა და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების თანამდევრული გამოყენებით ცხადყოფს ბელინსკი მხატვრული სახის რაობას. სინამდვილის ასახვის საშუალება ხელოვნისათვის — მხატვრული სახე ანუ ტიპი: „ტიპი — ორი უკიდურესობის ორგანული შერთების შედეგია, — წერს ბელინსკი, — ზოგადისა და კერძოსი. ტიპური სახე არის სახეთა მთელი გვირის წარმომადგენ-

ლი, საერთო სახელი მრავალი საგნისა, მაგრამ იგი გამოთქმულია ერთი საყოთარო სახელით. ასე, მაგალითად, ოტელო — საყოთარო სახელია, რომელიც ეკუთვნის შექსპირის მიერ დახატულ ერთ პირს, მაგრამ როდესაც ჩვენ ვხედავთ ეკუთვნივთ ალგუნებულ ადამიანს, ჩვენ მას ოტელოს ვეძებთ, თუგინდ ამ ადამიანს იფანე ან პეტრე ერქვას და ის იყოს რუსი ან გერმანელი და არა მავრი... კუშმარტი და სრული შეერთება ზოგადისა და კერძოსი შესაძლებელია მხოლოდ იდეისა და ფორმის შეწინაწარმებით, მაშასადამე, შესაძლებელია მხოლოდ მხატვრულ პოეზიაში“².

ბელინსკი არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში უდიდეს რაოდენობაში იღებს მარტო ფაქტობა, არამედ სოციალურ მოვლენათა მკვეთრი ანალიზის უნარი. ის წერდა: „ფაქტობა არის მხოლოდ ერთ-ერთი მთავარი ნიჭი, რომელიც განაპირობებს პოეტს. მაგრამ მარტო მისგან არ შეიქმნება პოეტი. პოეტს კიდევ სჭირდება ღრმა გონება, რომელიც ფაქტში იღებს აღმოჩენის, კერძო მოვლენაში საერთო მნიშვნელობას აღიწინავს“³.

სწორედ ნათელი გონების წინამძღოლობით წარმოებულ სოციალური ცხოვრების ანალიზი მიიყვანს მწერალს ფაქტიდან იდეისაკენ, და ეს იდეა ეპოქის მოწინააღმდეგე იდეა უნდა იყოს. „ჩვენს დროში მკვლარია მხატვრული ნაწარმოები, თუ იგი გვიხატავს ცხოვრების მხოლოდ იმისთვის, რომ დაგვიხატოს ცხოვრება, ყოველგვარ ისეთ მძლავრ, სუბიექტურ მისწრაფების გარეშე, რომელსაც თავისი საწყობის ეპოქის გაბატონებულ აზრში აქვს, თუკი იგი ტრეგეის გმინვა ან ალტაეების დიფირამბი არ არის, თუკი იგი არ არის კითხვა და პასუხი კითხვაზე“⁴.

თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე ბელინსკის შეხედულებანი მთელ რაგ მწერლებს შესახებ საგრძნობ ცვლილებებს განიცდიდნენ. მაგრამ არის ერთი მწერალი, რომლის მიმართ ბელინსკის შეფასება უცვლელი დარჩა: არის მწერალი, რომლის ქმნილებანი მუდამ იწვევდნენ დიდი კრიტიკოსის ალტაეებასა და სიყვარულს. ეს მწერალი შექსპირია.

ბელინსკის გატაცებით უფუარდა შექსპირი, იგი ღრმად შეიცნობდა შექსპირის ნაწარმოებებს არა მარტო როგორც რევოლუციური დემოკრატი, მოწინავე მთაწარის, არამედ როგორც უცუფარი პოეტური ალღითი დაჯილდოებული ად-

¹ იქვე, გვ. 71.

² ტ. III, გვ. 406.

³ ტ. II, გვ. 301.

მიანი. გოეთს სიტყვები რომ გამოვიყენოთ, ბელინსკის მიმართ, მას მსგავსად დიდი მსახიობისა მქონდა უნარი აღევჩინა მკითხველი იმ ცუცხლთ, რომლითაც გამობარა იყო პოეტის სული შემოქმედების წიგნებში. „ბელინსკი, კემპარიტი ლიტერატურული კრიტიკოსი, მოყოლებული იმ დიდი საქმისათვის, წარმოგვიდგება ყოველთვის როგორც უწყალო საყვარელ პოეტსა და მკითხველს შორის. იგი ახდენს არა მარტო ანალიზს მწერლის შემოქმედებისას, არამედ აღვიდრებს და ამახვილებს ჩვენს შინაგან მზერას, გვეხმარება, რათა უფრო ღრმად, მთელი მისი მშვენიერებით განვაცადოთ პოეტის შემოქმედება.“

ბელინსკის ხიბლადა შექსპირში არა მარტო მისი უხვადი ოსტატობა, ღრმა აზრი, ნათელი პემაინიზმი, არამედ ისიც, რომ შექსპირი, როგორც დიდი დრამატურგი, ბელინსკის საყვარელი ხელოვნების, თეატრის სწორუბოვარი შესაიდუმლე იყო. თავისი მღვლეარე სულის მთელი დაძაბულობით უყვარდა ბელინსკის თეატრი და ღრმად მქონდა შეგნებული თეატრის მნიშვნელობა, როგორც იმ ტრბუნისა, საიდანაც გაისმოდა საჯაროდ წარმოთქმული ეპოქის მოწინავე იდეები. მთათოლვარე სიტყვებით გვიხატავს ბელინსკი თავის სიყვარულს თეატრისადმი: „თეატრი!... ვიყვართ თქვენ თეატრი ისე, როგორც მე მიყვარს იგი, ე. ი. თქვენი სულის ყველა ძალებით, მთელი იმ ერთუბაზშითა და სიშმაგით, რომლის უნარი აქვს ფიცხ ახალგაზრდობას, ეგზომ ხარხასა და მგზნებარეს სინატიფის შთაბეჭდილუბისადმი? ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, შეგიძლიათ არ ვიყვარდეთ თეატრი ყველაფერზე უფრო ამტყვეყნად, გარდა სიყუთის და კემპარიტიებისა? და მართლაც, განა მასში არაა თავმოყრილი ყველა ის თოლისა, მიწინდველობა და მომაჯადოებელი ძალა, რაც კი გაანინა ნატოფ ხელოვნებას? განა ის არ არის ჩვენი გრძნობების სრული ბრძანებელი, რომელსაც ყველა დროში და ყოველ გარემოებაში ძალუქს აღძრას და ააღვლავს ისინი ისე, როგორც გრივალა მღლა აიტრას ხოლმე სილის ქარბუქს არამეთის უსაზღვრო ველებში?... და მე გავითხებით, რა არის ეს თეატრი?... ო, ეს ხელოვნების კემპარიტი ტაძარი, რომლის შესავალთან თქვენ მყისვე სცილდებით დედამიწას, თავისუფლებით ყოველდღიური მიმართულებებუსაგან. ორციტრბში აწუბენ ინსტრუმენტებს და ეს ბეგრები ქანცავენ თქვენს სულს რაღაც სასწაულებრივი ჰოლოდინით, გულს ვიკემშავეენ რაღაც გამოთქმელადტბილი ნეტარების წინაგრძნობით. ეს ხალხი, რომელსაც აუესია უზარმაზარი ამფითეატრი, იზიარებს თქვენი მოლოდინის მოუთმენლობას, თქვენ მათ შეერწყმით ერთ გრძნობაში. ეს მდიდრული და საუცხოო ფარდა, ეს სინათლის ზღვა გახვედრებთ, რომ მზადდება სასწაულები და საოცრებანი, რაც კი გაბნეულია ამ ტყვენიერებაზე და თავმოყრილია

სიყენის ვიწრო სივრცეში. აი, ფარდა აიხიდა და თქვენ წინ გადიშალა ადამიანთა ბედისა და გრძნობის უსაზღვრო საძიაროქრის ქვისმის წყნარი და მოყვარული დეზდემონს-ტყვენიერება, მას ერთვის ეკვიანი ოტელოს გააფთრებულ ლაღდისი. აი, შუღამით, გამოჩნდება ლდი მკებეტი ვალდილი მკერბით, თმაგაწწილი და ამოად ედლილბს იგი წარხოცას თავისი ხელიდან ლაქებთ, რომლებიც მას ეხვედება შუის მაძიებელი სინდისის ტანჯვაწამებაში. აი, გამოდის საბრალა ჰამლეტი თავისი იდუბალი კიბხებით: „ყოფნა—არყოფნა“. აი, გაელვებენ თქვენ წინაშე ლეთებრივი მეოცნებე პოზა, სამოთხის ორა ყვაფილი,—მაქსა და თეკლა,—მათი ზეციური სიყვარულით. ერთი სიტყვით, აქ ცოცხლობს მშვენიერი და უსაზღვრო საყვარო, შექსპირული შექსპირების, შილურების, გოეთეთა და ვერნერების ნაყოფიერი დანტრბით. თქვენ აქ ცხოვრობთ არა თქვენი ცხოვრებით, იტანჯებით არა თქვენი ტანჯებით, ხარობთ, არა თქვენი ნეტარებით, თითოთ არა თქვენს წინ აღმართული საშომტრების წინაშე. აქ თქვენი ცივი მეთაბა ქრება სიყვარულის მგზნებარე ეთერში... განა შესაძლოა აღწერათ თეატრის მთელი მომხიბლველობა, მისი ჯადოსნური ძალა ადამიანის სულზე? არა, წადით, წადით თეატრში, იცოცხლეთ იქ და მოყდით აქ, თუ შეგიძლიათ“¹.

ჩვენ ვანზრახ მოვიყვანეთ ეს გრძელი ამონაწერი, რათა თვალნათლივ გვეჩვენებინა, როგორ იყო თანამერყემული ბელინსკის სულში თეატრის სიყვარული შექსპირის სიყვარულთან, რომლის უყვადე ქმნილებებს განისახიერება მამინ გენიალური რუსი მსახიობი მოჩალოვი. ბელინსკიმ წერილებს მთელი სერია მიუძღვნა მოჩალოვს ჰამლეტის რაღაში და ეს წერილები თეატრალური კრიტიკის იდეალური ნიმუში და მისაბამი მაგალითია მსოფლიო თეატრმცოდნეობაში.

ბელინსკი არა მარტო აღტაცებული მაყურებელი იყო შექსპირის ნაწარმოებებისა, არამედ მათი გულსხმიერი მკითხველიც. პირველი, რაც ხიბლადა ბელინსკის შექსპირში, ეს იყო შექსპირის ღრმა და ყოვლისშემცველი რეალაზმში. შექსპირის რეალიზმზე, მის ცოცხლ და უშუალო დამოკიდებულებაზე ცხოვრების ყველა მოვლენისადმი, სინამდვილის ჩვენების უნარზე მის მუდმივ ცვალებადობაში და მოძრაობაში ლაბრაკობენ შექსპირის ყველა მკვლევარები. მაგრამ შექსპირის რეალიზმის დახასიათება ბელინსკის მიერ თავისებური და საინტერესო, სრულად ახლებური. „ლიტერატურულ ოცნებებში“ ბელინსკი წერს: „რაც უფრო მაღალია პოეტის გენია, მით უფრო ღრმად და ფართოდ ესმის მას ბუნება და მით უფრო მეტი წარმატებით წარმოგვიდგენს მას თავის უმოდლეს კავშირში და სიცოცხლეში. თუ ბაიონში ასწინა

¹ ტ. I, გვ. 370.

სამონიერება და ტანჯვა, თუ მან ვაიგო და გამოთქვა მხოლოდ წამება გულისა, ჯოჯოხეთი სულისა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მისწვდა მხოლოდ ერთ მხარეს სამყაროს ყოფიერებისას, რომ მან ამოგლიჯა და გვიჩვენა მართლად მისი ერთი გვერდი. შილერმა ვადმოგვცა ზეისი საიდუმლოებანი, გვიჩვენა მხოლოდ ის, რაც მშვენიერია ცხოვრებაში ისე, როგორც ეს მას ესმოდა, მან ეფიჯალობა მხოლოდ თავისი იდეალური ფიქრები და ოცნებანი. ცხოვრების სიბოროტე არ არის მასთან სწორად ასახული ანდა დამახინჯებულია ვაზვიადებით. შილერი ყოველი მიმართებით თანაბარია ბაირონისა. მაგრამ შექსპირი, ლეოტარეი, დიადი, მიუწვდომელი შექსპირი მისწვდა ჯოჯოხეთისაც, მიწასაც და ზეცასაც. ბუნების მეფემ, მან, თანაბარი ხარკი აართვა სიბოროტესაც, სიყვითესაც და იხილა თავის შთაგონებულ ნათელშერაში სამყაროს მაჯისცემა.¹ როგორც ვხედავთ, ბელანსკი უდარებს ლოთიეროსს სამ დიდ შემოქმედს: ბაირონს, შილერსა და შექსპირს. ბაირონმა, რომელსაც ბელანსკი ხშირად „ჩვენს საუკუნის პრომეთეს“ უწოდებს, აშხილა, დაგმოცხოვრების სიბოროტე და მას შურიგებელი, სამარადისო ბრძოლა გამოუცხადა. შილერი ბელანსკისათვის მალაქტემანტია, კაცობრიული იდეალების მქადაგებელი პოეტია. თუ ბაირონი ებრძოდა იმას, რაც არ უნდა იყოს, შილერი მოუწოდებდა იმისაკენ, რაც უნდა იყოს. შექსპირი კი, ბაირონის მსგავსად, ებრძვის მსოფლიო უსამართლობას, შილერის მსგავსად შორსმკვრეტელი თვალთ შილტვის იდეალისაკენ და, ამავე დროს, იგი თავისი ეპოქის ამსახველი გამაჟიბი, სწორუპოვარი ოსტატია. მებრძოლი კრიტიკოსში, ეპოქის ღრმა გაგება და მომავლად რწმენა, ურთიერთშედრებულია შექსპირის შემოქმედებაში, ანუ, ბელანსკის მხატვრული გამოთქმით, „იგი მისწვდა ჯოჯოხეთისაც, მიწასაც და ზეცასაც“. შექსპირის შემოქმედების ეს დამახინჯება იმით არის ახალი, რომ აქ იგი ბაზგახსით აღნიშნავს ვანუყურელ კავშირს შექსპირის რეალიზმის ამას მამხილებელ, მებრძოლ ბუნებასთან და მის მალაქტემანტთან.

შექსპირის ასეთი გაგებით იელინსკი უახლოვდება ენგელსის ცნობილ შეფასებას შექსპირისას: ენგელსი აღნიშნავს, რომ „იდეალურმა არ უნდა დაგვივიწყებინოს რეალისტური, შილერმა — შექსპირი“.²

ბელანსკის დროს გერმანულ შექსპირილოგიაში ვაბატონებული იყო ობიექტივისტური გაგება შექსპირის რეალიზმისა. ასეთ გაგებას ვერ კიდევ დასაბამი მის-

ცა გოეთემ, შექსპირის დღისათვის დაწერილ წერილში 1771 წელს. მაშინ გოეთე „ქარიშხლისა და შეტევის“ პოეტი იყარა მტარმტარებელი და გოეთე ხედავდნენ შექსპირს მტარმტარებელიც სრულიად არ იყო დაინტერესებული ისტორიული და სოციალური პრობლემებით. ისინი აცხადებდნენ, რომ შექსპირის ქმნილებებში „მეტყველებს ბუნება“, ხელშეუხებელი ცოვლილბაიის მიერ, ხოლო შექსპირის ვაირებში ისინი ხედავდნენ მათთვის საყვარელ „ველურ გენიოსებს“, „კოლოსალური მასშტაბის“ ადამიანებს, რომლებიც ისეთივე უშუალო და სტიქიურნი არიან, როგორც ბუნება. შედეგ გოეთემ სრულიად შეიკალა შეხედულება შექსპირზე და 1813 წ. ცნობილ წერილში „შექსპირი აქ და მარადის“ ხაზგასმით აღნიშნავდა: „მნელია მოცემბნით ისეთი პოეტი, რომლის ყოველ ცალკეულ ნაწარმოებში ჩანერგილია საკუთარი, ყველაფრის გამსჭვალვი იდეა, როგორც ზენ ამას ვხედავთ შექსპირის ნაწარმოებებში“. ამგვარად, გოეთემ უარყო შექსპირის ობიექტივისტური გაგება, მან აღიარა შექსპირის ღრმა იდეურობა, მაგრამ გერმანელი შექსპირილოგები, რომლებიც იყვლევდნენ შექსპირის შემოქმედებას იდეალისტური აზროვნების პოზიციებიდან, გახდნენ მედრომული შექსპირის ობიექტივისტური გაგების კონცეფციისა. ობიექტივისტები, გამოდიოდნენ რა შექსპირის რეალიზმის მრავალსახეობიდან, ამტკიცებდნენ, რომ მის შემოქმედებაში პოელობს გამოხატულებას ყველა ადამიანური გრძნობა, და ბოლოს დასაკვნიდნენ, რომ შექსპირი გვიხატავს ცხოვრების უსაზღვრო სიმდიდრეს ისე, როგორც ის არის, ყოველგვარი შეფასებისა და სოციალ-იდეური ან მორალური კრიტიკიუმების გარეშე. სწორედ ასეთი ყოვლი, ობიექტივისტური გაგება შექსპირისა ვაბატონებული იყო ევროპაში ბელანსკის დროს. მხოლოდ ცალკეული ვაბედული, მოწინავე მოაზროვნენი აღნიშნავდნენ შექსპირის რეალიზმის ღრმა იდეურობას. ასე, ფრედერიკ სტენდალი ცნობილ ვაშოკლევაში „რასანი და შექსპირი“ ამბობს, რომ მწერლობა უნდა მიმაძიონ შექსპირს მსოფლიოს შესწავლის ხერხში. სტენდალი ატაკებულა შექსპირის მამკურთ პოეზიით, „რომელიც მოუჩივდებდა ვიჩიენებს ცხოვრების მთელს მორიღებურს“. სტენდალმა იგონა შექსპირის სოციალური კრიტიკიზმი, მისი შემოქმედების დიდი მამხილებელი და მებრძოლი ძალა. მაგრამ ასეთი ცალკეული, ფიზიული და სწორი შეფასებანი შექსპირის შემოქმედების ითქვამებოდა ფილოსოფიურ-სამკულტურ გომოკლევათა საერთო მასაში.

¹ В. Гете, Ко дню Шекспира. „Лит. Критик“, 1936, № 4, стр. 75.

² Стендаль Ф., Соч., 1938, т. IX, стр. 56 და 124.

¹ ტ. I, გვ. 320.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Собр. Соч., т. XXV, стр. 257.

ბელინსკის არ მიუძღვნია სპეციალურა მოწოდებათა შექსპირისათვის, მაგრამ თავის გამოკვლევებში რუსულ ლიტერატურის შესახებ, თეატრალურ რეცენზიებში და სხვა სტატიებში იგი ზიარად ვრცელ ანალიზს ახდენს შექსპირის შემოქმედებისას, მისი ტრაგედიებისას, ხანდახან ბელინსკი სარგებლობს შექსპირის ქმნილებებით თავის აზრის დასასაბუთებლად და ცხადსაყოფად, ანდა გაკვირთი ვადროსდრის სხარტ. მაგ. — რომ შეკეთრ შენიშვნებს შექსპირის ამა თუ იმ სახის შესახებ და თვით ეს მოკლე შენიშვნებიც კი „შექსპირული კრიტიკის მარგალიტებია“¹, როგორც ამას აღნიშნავს პრფ. სტროგოვიკო.

ბელინსკი ებრძვის იმდროინდელ დასავლეთში გაბატონებულ გერმანულ შექსპიროლოგიის იდეალისტურ-ობიექტივისტურ კონცეფციას, მის პედანტიზმსა და სპეკულატიურობას და გვაძლევს მისი დროის დიდი იდეოლოგიური ბრძოლიდან გამომდინარე ახლებურ, ღრმად პრინციპულ შეფასებას შექსპირის შემოქმედებისას. იმაშია ბელინსკის დიდი და უდავო დამსახურება მსოფლიო შექსპიროლოგიის წინაშე.

ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ნაწარმოებებში ბელინსკის, ალტაცუბულს შექსპირის ობიექტიურობით, არასდროს არ ესმოდა ეს ობიექტიურობა, როგორც ინდეფერენტობი ან მიუღვამლობა. ცნობილ წერილში „პოეზიის დაყოფა გვარებზე და სახეებზე“, რომელიც დაწერილია 1841 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც ბელინსკი ჯერ კიდევ სავსებით თავისუფალი არ იყო ჰეველიანობიდან იგი აფასებდა მდიდარ ლიბრისს, რომლითაც გამსჭვალულია შექსპირის დრამატიზმი“² აღნიშნავდა, რომ „შექსპირის დრამებში ობიექტიურობა და სუბიექტიურობა საშუარო ურთიერთდადამოკიდებულია და გავრთიანებულია განუყოფელ მლიანობაში“³.

ბელინსკი თანდათან რწმუნდებოდა აბსტრაქტულ-ესთეტიკური კრიტიკის ცალმხრივობაში. იგი ილაშქრებდა ჰეველის წინააღმდეგ, რომელიც თავის ესთეტიკაში შექსპირის და, განსაკუთრებით, შილერის დიდ დამსახურებდად თვლიდა რეფლექტურ ელემენტს ე. ი. უშუალობას შათ შემოქმედებაში და ამ რეფლექტურ ელემენტს „უახლესი დროს სულის“ მთავარ გამოსახულებად აღიარებდა. ბელინსკი არ უარყოფს იმას, რომ ყოველ პოეტს უნდა ჰქონდეს შემოქმედებითი უშუალობა, რომ „უშუალო შემოქმედების უნარის გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს პოეტი“. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, მთავარი — შემოქმედების ღრმა შინაარსია. „როდესაც შექსპირზე ვლაპარაკობთ, — წერს ბელინსკი, — უცნაური იქნებოდა ალტაცუ-

ბაში მოვიდეთ მისი უნარიო, რომლირაც იგი ყველაფერს გვიდგენს განსაკვივრებელ სისწორითა და ჰეშმარტებით, იმის მკვირვარ ტლმ მკვავაკოს იმ აზრმა და მნიშვნელობამ, რომელირაც აძლევს მისი შემოქმედებითი გონება ფანტაზიის სახეებს, მხატვარში, რა თქმა უნდა, დიდი ღირსებაა, თუ იგი თავისუფლად ეუფლებოა ფუნჯსა და საღებავებს, მაგრამ ეს უნარი გერ კიდევ არ შექმნის მისგან დიდ მხატვარს. იდეა, შინაარსი, შემოქმედებითი გონება — ეს არის საზომი დიდი მხატვრისა“⁴.

დღიად საგულისხმოა ბელინსკის ის შენიშვნები, რომლებშიაც ის ახასიათებს შექსპირის უნარს ცოცხალი სახეების შექმნისას, ადამიანურ ფანტაზიასა დახვეწილი ფსიქოლოგიური ანალიზისას, მის მიერ გამოქმნილი ხასიათების შინაგანი შინაარსის სიმდიდრეს და გამოკვეთილებას. ბელინსკის თქმით, შექსპირი ისეთი დიდი და მართალი ოსტატია, რომ გამოუდელი მაყურებელიც კი თავისუფლად გაერკვევა მისი დრამების მოქმედების ბუნებრივ, თავისუფალ განვითარებაში და მოქმედ პირთა სულიერი ვაქცუების შინაგან, ფსიქოლოგიურ აუცილებლობაში. ბელინსკი წერს: „მოიხვანეთ შექსპირის ან შილერის დრამაზე მაყურებელი, რომელსაც არ მიუღია რაიმე ცოდნა-განათლება, მაგრამ რომელსაც გააჩნია ბუნებრივი გონება, და მშვენიერ შთაბეჭდილებათა მიღების უნარი. ისტორიაც რომ არ იყოდეს, ის მაინც გავგებს საქმის ვითარებას. შესაძლოა, ის ვერ წასწავდეს ისტორიულ სახეებს, მაგრამ ადამიანურ სახეებს მშვენიერად ჩასწავდება“⁵.

ბელინსკის ხიბლავდა შექსპირის ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმე, მისი უნარი „ერთი შეხედვით უმნიშვნელო გარემოებებში და მოქმედებებში ადამიანის ნებისყოფისა გამოსტანვისას დახედავითა დახედავით უმალეს ფსიქოლოგიურ მოვლენათა გადაწყვეტიანთის“⁶.

ბელინსკი იმასაც აღნიშნავდა, რომ რაგინდ რთული არ იყოს შექსპირის პერსონაჟების სულიერი ცხოვრება, იგი ყველასთვის უღრმესად კანკრეტული და ხელსახებია, დამავკრებელი და რეალისტურია. წერს ბელინსკი: „მოზალოგი პაშლეტის რაღში“ ბელინსკი წერდა: „როდესაც ვლაპარაკობთ მოქმედ პირების ხასიათზე დრამაში, უნდა მივითითოთ შექსპირის სახეთა სინამდვილეზე, მათში გამოთქმულ სიცოცხლის საწყისის კანკრეტულ კავშირზე ცხოვრების ამა თუ იმ გამოვლენებასთან. შექსპირის ყოველი პერსონაჟი ცოცხალი სახეა, რომელშიაც არაფერია განყენებული, იგი მთლიანად, ყოველგვარი გასწორებისა და გადაკეთების

¹ Стороженко, Белинский и Шекспир. Лекция. 1902 г. Сборник: „Опыты изучения Шекспира“.

² ტ. VI, გვ. 69.

³ იქვე, გვ. 108.

⁴ იქვე, გვ. 442.

⁵ ტ. I გვ. 351.

⁶ ტ. II გვ. 225.

გარეშე, აღებულია საყოველღეო სინამდვილიდან.¹

შექსპირი არა მარტო დიდი ოსტატია, არამედ ადამიანის გულის კუმშირავი მესაიდუმლე და ნათელი ჰუმანიტი. ბელისკი ხშირად იმეორებს თავის საყვარელ აზრს, რომ მარტო ოსტატობა არ ქნის პოეტს, მთავარია მისი შემოქმედების იდეური ოსტატობა. ამ აზრის სიღრმისადაც იგი კვლავ შექსპირის მიმართავს: „შექსპირშია ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, შეგვაჩერებს არა მხატვარი, არამედ გულის ღრმა შესაიდუმლე, მსოფლიოს მიმწედევი მოაზროვნე. მხატვარმა კი მასში თითქმის აღიარებულია ასევე მთელი უთქმელი და განუმარტებლად, როდესაც დიდ მათემატიკოსზე მსჯელობენ, მიუთითებენ მის დამახერხებელ მეცნიერებაში და არას ამზობენ საგნების დაუბოლოებელი კომბინირებისა და მოაზრების განსაცვიფრებელ უნარზე.“² აქაც ბელისკის ინტერესებს არა შექსპირის ოსტატობა, არამედ უმთავრესად მისი შემოქმედების ფსიქოლოგიური სიფაქიზე, როგორც ადამიანის გულის მესაიდუმლისა“ და ფილოსოფიური სიღრმე, როგორც „მსოფლიოს მიმწედევი მოაზროვნისა“.

განსაკუთრებით ბრწყინვალე, მიხედობილი და დამაჯერებელია ე. ბელისკის კონკრეტლიტერატურული შეფასებები, რომლებშიაც იგი შექსპირის ცალკეულ ნაწარმოებთა და სახეთა ანალიზს ახდენს. თავისი მსოფლმხედველობის საბოლოო ჩამოყალიბების შემდეგ ბელისკიმ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ ობიექტივიზმს და, მათ შორის, ობიექტივისტურ — იდეალისტურ ახსნა-განმარტებას შექსპირის შემოქმედებისას. ბელისკი თამამად ამხერყებს ჰეგელიანურ შექსპიროლოგიის ნაწიწებსა და ტრადიციებს, გვაძლევს სრულიად ახლებურ შეფასებებს, შექსპირის ნაწარმოებებისას, შეფასებებს, რომლებშიაც იგი მარქსისტული ლიტერატურის მკვლევების წინამორბედად გვევლინება.

ბელისკის დროს პოეტიაში შეტად გავრცელებული იყო ე. წ. „ტრაგიკული ბრალის“ თეორია, რომლის ფუძემდებელი გერმანიის დიდი განმანათლებელი ლესინგია. ლესინგი ამტკიცებდა, რომ ტრაგედიის გმირი დამნაშავედაც და არცაა დამნაშავე იმ კატასტროფაში, რომელიც მას თავს დაატყდა. ტრაგიკული კონფლიქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ბუნებრივი და ნებადართული მისწრაფებებიც კი შეიძლება გარკვეულ პირობებში, მისდამეუმხნეველად, ისე განვითარდნენ, ისეთი გარდამეტებული სახე მიიღონ, რომ გადაახონ წინაშე, კანონი და ადამიანი დაღუპვამდე მიიყვანან. რამდენადაც ტრაგიკული გმირი ემორჩილებოდა თავის ბუნებრივ მისწრაფებებს,

იგი სუბიექტურად დამნაშავე არაა, მაგრამ, რამდენადაც მან დაარღვია ნორმები, დაარღვია მსოფლიო წყობა, — იგი დამნაშავეა. მტკიცებითად, ოტელოს მგზნებაზე ზენენაშვილმ თავისთავად დამნაშაული არაა, მიიყვანა იგი დეზდემონის მოკვლამდე. ამგვარად, რაჟინდ დადებითი არ იყოს ტრაგიკული გმირი, მას აქვს ერთი რაიმე სისუსტე, ისე ვთქვათ, აქილესის ქუსელი, რომელიც ხდის მას ობიექტურად ზალალებად მის უბედურებაში. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, ლესინგი თავისებურ კონცეპტებს უკეთებს არისტოტელეს განწყენდის ანუ კათარზისის თეორიას. არისტოტელე, „პოეტიკის“ მე-7-ე თავში ამტკიცებს, რომ ტრაგედია იწვევს მყვერბელში შიშსა და თანაგრძნობის განცდას და ამით განწყენდს მის სულს. ლესინგი ამ „განწყენდას“ შემდეგნაირად ხსნის: ტრაგედია იწვევს ჩვენში შიშს, რადგან შესაძლოა ჩვენც ის მოგვივლდეს, რაც ტრაგედიის გმირს დაემართა. თანაგრძნობას კი ტრაგედია იმტობ იწვევს, რომ ჩვენ გვებრალებს გმირი, რომელსაც უბედურება თავს დაატყდა. ორივე ეს გრძნობა განწყენდს ჩვენს სულს, რადგან განამტკიცებს ჩვენში ზნეობრივ ძალას და, ამავე დროს, იწვევს ჩვენში ჰუმანურ გრძნობებს.

ლესინგის ეს „ტრაგიკული ბრალის“ თეორია, რომელსაც აგრეთვე ეთიკურ თეორიას უწოდებენ, წარმოადგენს პროგრესულ ნაბიჯს შედარებით ტრაგედიის ანტიკურ კონცეფციასთან. თუ ანტიკურ, ბელისკერის ტრაგედიოში ადამიანი უწყო და უსუსურია ბუნების ზენაძალებს, ბედისწერის წინაშე, უკვე აღორძინების და, განსაკუთრებით, განათლების ეპოქაში, ადამიანის პიროვნებას უდიდესი მნიშვნელობა მიეცა. იგი ამერიდან ითვლება საკუთარ ბედის მქედლად, თავისუფალი ნებისყოფის შესაძედ და აშენადევე, ტრაგიკული კონფლიქტი ისახება ყოველთვის, როგორც ტრაგიკული გმირის შინაგანი, სულიერი კონფლიქტი.

მაგრამ ეთიკური თეორია უფროც ცალმხრეია. იგი მხედველობიდან უშვებს კლასობრივ, სოციალურ ბრძოლას, რომელიც კლასობრივი საზოგადოების განვითარების მთავარი ფაქტორია. მას ავიწყლება, რომ ტრაგიკული კონფლიქტი შეიძლება მოხდეს არა მარტო ადამიანის სულში, არმედ მოწინავე იდეის ადამიანსა და მისდამი მტრულად განწყობილი, რეაქციული საზოგადოებას შორის. სინამდვილემ იცის არა მარტო შინაგანი, სულიერი ბრძოლები, რომლებიც ხდებიან ადამიანის შეგნებაში, არამედ სოციალური ბრძოლიც, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, ორი იდეოლოგიის შეჯახება მომხდარი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. ტრაგიკული გმირი შეიძლება ფიზიკურად დიდი უთანასწორო ბრძოლაში ძველი საზოგადოებრივი წყობილების ძალებთან, მაგრამ იდეურად იგი გაიმარჯვებს ამ ძალებზე, მტკიცდება

¹ ტ. II გვ. 225.

² ტ. III გვ. 363.

მისი შეხედულებათა სიმართლე, და იმ ეს იწვევს სწორედ განწმენდას, კათარზისს მკურნებელში. მაგალითად, ოტელი იღუპება, მაგრამ ოტელის რწმენა ადამიანის სულიერა სისხეტკოსა იმარჯევს.

ბელნისის დროს „ტრაგიკული ბრალის“ თეორია გაბატონებული იყო იდეალისტურ ესთეტიკაში. მას იზიარებდა ცნობილი გერმანელი შექსპიროლოგი ჰერეინუსიცი, რომელიც შექსპირის ყოველ ტრაგედიაში გმირის ტრაგიკულ ბრალს, მისი ხასიათის სუსტ მხარეს ეძებდა, რაც, თითქმის, საბოლოოდ ამ გმირის დაღუპვის მიზეზი იყო.

ასე, „რომეო და ჯულიეტას“ გამოცდევინას ჰერეინუსი რომეოს ხასიათის ნაკლებ ემიციებს გამოიჩინებს დაღუპვის მიზეზს. ის ამბობს რომ რომეოსა და ჯულიეტას გრძნობა მეტად დამძებლი სიყვარულის გრძნობა იყო. თუკიკი მათი სიყვარული კეთილშობილია, მაგრამ მან მთლიანად მოიკლა მათი ბუნება, ყველაფერი დააფრეხინა და დაღუპვამდე მიიყვანა ისინი, მსგავსად სურნელგანი ყვავილისა, რომელიც, გარდამეტებული ზომით საქმელში საყვარელ გამოყენებული საწმელად იქცევა და კლავს ადამიანს. კერძოდ, რომეოსა და ჯულიეტას ტრაგიკული დაღუპვის უშუალო მიზეზად ჰერეინუსი რომეოს აქარებულ ხასიათს თვლის. ფიციკმა რომეომ, რომელიც პირველსავე აფექტს ემორჩილებოდა, — ამბობს ჰერეინუსი, — სწრაფად დაუჯერა მსახურს, რომელმაც ჯულიეტას სიკვდილის ამბავი მოუტანა. ხოლო ვერძონაში ჩასვლისას ლორენცოსთან კი არ მივიდა, ჯულიეტას აკლამას მიაშურა და ამიტომ თვითონ გაბდა მსხვერპლი საბედისწერო შეცდომისა და ჯულიეტაც დაღუპა.

ძნელა მისაგებოდა არაა, რომ აქ ჰერეინუსი ძლიერ ახვევს თავზე რომეოს ტრაგიკულ ბრალს, რომელიც მას არ მიეძღვის. რომეოსა და ჯულიეტას სიყვარული ხომ ნამდვილი, ჰუმანური სიყვარული იყო როგორ შეიძლება სიყვარულის, ამ უსაზღვრო გრძნობის, მოზომვა და თქმა იმისა, რომ იგი ვარკვეულ ზომამდე მისაღება, ხოლო ამ ზომის შეზღუდვა არა გამაკეთილშობილებელი და ამამდვილებელი, არამედ დაღუპველი და გამანადგურებელია. ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ჰერეინუსი ელემენტარული ფიციკოლოგიურ სიმართლეს დაღატებს, ოღონდ კი ერთგულად მისდიოს ლესინგის კონცეფციას.

ასევე უსაფუძვლოდ მიიწერს იგი რომეოს ტრაგიკულ ბრალს. როდესაც რომეოს ჯულიეტას სიკვდილის ამბავი მოუვიდა, რაღასთვის უნდა ეცადა მას, მან ხომ არ იცოდა, რომ ლორენცომ მსახური გამოგზავნა ნამდვილი ამბით და ეს მსახური, კარანტინის გამო, ქალაქში არ შემოქმედეს. სრულიად ბუნებრივია ისიც, რომ ვერძონაში ჩასვლისთანავე რომეო ლორენცოსთან კი არ წყვილობდა თავისი დარდის შესახებ, არამედ გეშურა აკლამისაყენ, სადაც მიცვლებული ჯულიეტას ნეშტი ვეულებოდა, რომ მასთან მომკვდარიყო ეს ფსიქოლოგიურად სავსებით გამართლებული და დამაჯერებელი სულიერი მოძრაობა.

გეორგ ბრანდესი თავის მონოგრაფიაში შექსპირის შესახებ სავსებით სამართლიანად უარყოფს ჰერეინუსის ამ შეხედულებას და წერს: „ჯულიეტასა და რომეოს ტრაგიკული სიკვდილი სრულიად; არ არის სასაჯელი რაიმე ბრალისათვის და ამოდ დავუწყებთ ძებნას ტრაგედიაში გამოსავალ წერტილს ჰერეინუსისა და სხვების პედანტიური, კუქისდამარჯებელი ახსნა-განმარტებისათვის“¹. მაგრამ თვითონ ბრანდესი რამდენიმე იმეორებს ჰერეინუსის შეცდომას, როდესაც წერს: „ახალგაზრდებს ძარღვებში ჩქეფდა ცეცხლი, და არა სისხლი, ჯერ კიდევ დაუნესტიანებული ცხოვრების ბურონი და სიყვარული ძალემოდ აღაზნებდა მათ. ამ ახალგაზრდების დაღუპვა გარდუვალია და პოეტი სწორედ ასეთ პოტიციაციას აძლევს მათ ტრაგიკულ სიკვდილს“².

აქ ბრანდესი არსებითად ისევ ჰერეინუსის აზრს იზიარებს იმის შესახებ, რომ გრძნობის სიჭარბემ და დამაბულობამ დაღუპა რომეო და ჯულიეტა.

სულ რამდენიმე სტიქიონს მიუძღვნის ბელნისკი (ცნობილ წერილში „პოუზის დაცოდა გვარებად და სახეებად“) „რომეო და ჯულიეტას“ ანალიზს, ის აღიარებს, რომ თვით მაშინდელი ცხოვრების, სინამდვილის პირობებში იყო რაღაც არასრული, საბედისწერო, რამაც იმსხვერპლა ისეთი მშვენიერი სიყვარული, ისეთი სისრულე სიციუხისა, ისეთი არსებანი, როგორც იყვნენ რომეო და ჯულიეტა. „რად უნდა იყვნენ ისინი ბუნებრივები, როდესაც სხვებს წარმოუდგენა კი არა აქვთ ასეთი ბუნებრივების შესაძლებლობისა? არა, ძვირად დიუჯდებოდა მათ ეს ნეტარება.. და მართლაც, ვინ დაღუპავს რომეოსა და ჯულიეტას? არა ბოროტი მოქმედება, არა ვერაგობა, არამედ ადამიანთა სასულელე და არაბობა. მოხუცი კამულებები კეთილი, მაგრამ უფერული ადამიანები არიან: მათ ვერაფერი წარმოუდგენიათ თვითონ თავზე მალალი, ისინი მსჯელობენ მათი ქალიშვილის გრძნობებზე საკუთარი გრძნობების მიხედვით, მის ბუნებას სკუთარი ბუნებით ზომავენ და ღუპავენ მას. ხოლო მერე, როდესაც უკვე გვიანაა, მიხვდებიან, ამატიებენ და შეაქებენ კოდეც მას. ვაგლავ, ვაგლავ!“³. როგორც ვხედავთ, ბელნისკის აზრადაც არ მოსდის რომეოსა და ჯულიეტას რაიმე ბრალი მიაწეროს. მან იცის, რომ მათი დაღუპვის მიზეზი არა შინაგანი კონ-

¹ Брандес Г., Шекспир, гл. 62.

² იქვე, გვ. 62

³ ტ. V, გვ. 106.

ფლიტტი, არამედ სოციალური ინტეგრირებისა არ სამყაროს შორის, ძველსა და ახალ სამყაროს შორის, ძველ და ახალ თაობას შორის. ფეოდალური, სავაჭრული შერისძიების გრძნობა, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადიოდა და მტრად გადაქცევა ერთმანეთს მონტკეებისა და კაპულეტების ოჯახს, უკვე რამდენიმედ მოღწენდა ფეოდალური წყობილების დასუსტებასთან ერთად, მაგრამ იგი მაინც იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ თავისი შხამით დაგესლა ორი ახალგაზრდა, რომლებმაც ტრადიციულ სოციალ-მოხალურ შეხედულებებს დაუბირისპირეს ახლებური, რენესანსული, ღრმადამაინური გაგება სიყვარულისა. ისინი არ თმობენ მათ სიყვარულს, სიყვარულს არჩევენ, ვიდრე ვანშობებს, სწორედ ამ ინტეგრირების ორ სამყაროს შორის გულისხმობს ბელინსკი, როდესაც აღნიშნავს, რომ რომეოსა და ჯულიეტას ბედნიერება, მათი გულისხმა გაუგებარიც კი იყო ვარაუდ ადამიანებისათვის, რომლებიც თავიანთი ვიწრო საზოგადოებადნენ მათ სიყვარულს. აქ ბელინსკი აშკარად ლაპარაკობს სოციალურ, იდეოლოგიურ კონფლიქტზე, რომელიც შეიძლება ტრაგედიის საფუძვლად დაედოს და ამით გაბედულად ამსჯერავს იდეალისტურ, პედანტური შექსპიროლოგიის „ტრაგიკული ბრალის“ კონცეფციას.

შექსპირის სახეებს შორის ყველაზე საყვარელი და სულიერად ახლოს მდგარი ბელინსკისთან არის ჰამლეტი. „ჰამლეტი“ შექსპირის ურთულესი, ყველაზე ძნელად ასახული ტრაგედიაა. „მისი შთანთქმის განსაკუთრებული სირთულის გამო, — აღნიშნავს თანამედროვე საბჭოთა შექსპიროლოგი სიმონოვი, — არც ერთ ნაწარმოებს შორის მხოლოდ ლიტერატურისა არ გამოუყვებია სხვადასხვაგვარი ახსნა-განმარტების ასეთი რაოდენობა“. გოეთემ თავის რომანში „ვილჰელმ შაისტერი“ გამოთქვა ის საგულისხმო აზრი ჰამლეტის შესახებ, რომელიც, სხვადასხვა მოდიფიკაციებით, არსებითად გაბატონდა მე-19 საუკუნის ლიტერატურულ კრიტიკაში და რომელსაც დღესაც ჰყავს ბევრი მიმდევარი, განსაკუთრებით ბურჟუაზიულ შექსპიროლოგიაში. გოეთე სვამს საკითხს: რა არის ჰამლეტის გაუბედობისა და ყოყმანის მიზეზი, რადგან სწორედ ჰამლეტის შერყეობა მიაჩნია მის ამ ტრაგედიის იდეური ბირთვის გასაღებად და უღრმესი აზრის შატარებლად. ჰამლეტის იდეა, გოეთეს თქმით, „არის იდეა მოვლადობისა, დაკისრებული ისეთ სულზე, რომელსაც არ ძალუძს მისი შესრულება“. გოეთეს მხატვრული ანალიზი კი მოქცეულა: ჰამლეტი — ეს ფიფქორის სათუთი პერქველია, რომელიცდაც ყველის მგაიერ მძლავრი შუხის ჩითლი წაუგვს. შუხის ფესვები გიზარდა და სათუთი პერქველი გატყდა.

გოეთეს აზრი გაიზარა, მასში მცირეოდენი ცვლილებების შეტანით, გერმანულმა იდეალისტურმა ლიტერატურისმკოდნებმა¹ რომელმაც ჰამლეტის „სულიერი სიბრძნის“ — „შეხვედრის“ ზედმეტ ინტელექტუალიზმში დაინახა, რაც მისი აზრით, კლავდა ჰამლეტის მოქმედების უნარს. გოეთეს გაგებას იმეორებს ჰერციენისიც.

თავის აღჩინებულ ნაწარმოებში ბელინსკი ძირითადად ემხრობოდა გოეთეს ინტერპრეტაციას. ბელინსკის აზრითაც, მოვლადობის ბრძოლა ნებისყოფასთან არის „იდეა შექსპირის ქმნილებისა“. ჯერ კიდევ 1835 წელს ერთ-ერთ წერილში ბელინსკი წერდა: „ნუ იტყვი: აი ადამიანი, რომელსაც ღრმად ვგმობ ადამიანის დანიშნულება და ცხოვრების მიზანი, რომელიც მისიწრაფვის სიყუთისაგან, მაგრამ, სულიერ ენერჯიას მოკლებულს, მას არ ძალუძს ერთი კეთილი საქმის გაკეთებაც კი და იტარებდა თავისი უძღვრების შეგნებით სიჭკით: აი ჰამლეტი“².

მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ბელინსკი სცილდებოდა გოეთეს კონცეფციას და შესანიშნავი წერილების სერიაში „მოხალევი ჰამლეტის როლი“, რომელიც 1838 წელს დაიწერა, ბელინსკი აწარმოებს დაწერილებით ლიტერატურულ ანალიზს შექსპირის უცვლელი ტრაგედიისა, კვლავდაცულ მიხეცებას მისი გმირის მოქმედებას და არჩევნებრივი მხატვრული ალღით დაჯილდოებული კრიტიკოსი მიავნებს ჰამლეტის სახის სწორ გაგებას.

პირველ წერილებში ბელინსკი დაწერილებით ლაპარაკობს იმ დიდ შინაგან სულიერ ბრძოლაზე, რომელიც ჰამლეტში ხდებაოდა, მის შერყეობაზე და იქვე სვამს საკითხს: განა ეს შერყეობა ნებისყოფის სისუსტის შედეგია? შეიძლება იგი შედეგია შეუსაბამობისა ჰამლეტზე დაკისრებული საქმესა და მისი ადამიანური, ბუნებრივი დანიშნულებას შორის?

ბელინსკი განსაკუთრებით აღნიშნავს ჰამლეტის პეშანიზმს, იმას, რომ „მისი სული სიყუთისათვის არის შექნილი“ ღრმა და შთაშვებდავი სიტყვებით აღწერს ბელინსკი ჰამლეტის სულიერ მდგომარეობას მამის ანრდილთან შეხვედრის დროს და მის შემდეგ: „ანრდილთან სუტრის დროს, — წერს ბელინსკი, — ჰამლეტის უოველი სიტყვა გამსჭვალულია მამისადმი უსაზღვრად ღრმა, უსაზღვრად დამტარველი სიყვარულით. პირაციოსთან და მარცელესთან საუბარში, ანრდილის წახვლის შემდეგ, ჰამლეტის ყოველი სიტყვა შხაში ახოვლებული მტრევის ისარია, ყოველ მის გამოთქმაში ისმის მწვავე მშინეარებაც ავკაციობის წინააღმდეგ და მწვავე ტარვეაც იმიტომ, რომ ეს ავკაციობა არსებობს“³.

¹ История Зап. Европ. литературы, под ред. В. Жирмунского, ГИЗ, 1947, с. 579.

² ტ. II, გვ. 243.

³ ტ. III, გვ. 198.

ბელინსკი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ჰამლეტი სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანია: „არა, ჰამლეტი სუსტი, უძლური პაემანი არ არის, — წერს იგი, — ის მოქმედებს, როდესაც უნდა იმოქმედოს თავისუფლად, შინაგანი გულისქმით, მშინაეკი, როცა ადამიანები უნდა დალუპოს (იგულისხმება გილდერსტერნი და როზენკრანცი. ფ. გ.), თუკი მათ წინააღმდეგ მოზღვაებულ რისხვა აღეცხს საკმაო ძალის მათ დასაღუპავად“¹.

ბელინსკი პირდაპირ ლაპარაკობს ჰამლეტის სულიერ სიმტკიცეზე და მის ენერჯიაზე: „ბუნებით ჰამლეტი ძლიერი ადამიანია: — წერს ბელინსკი, — მისი ღვაძლიანი ირონია, მისი წუთიერი აფეთქებანი, მისი მგზნებარე საქციელი დედასთან საუბრის დროს, მისი იმაყი ზიზღი და დაუფარავი სიძულელი ბიძისადმი, — ყველაფერი ეს მოწმობს მისი სულის ენერჯიაზე და სიღაღადზე“². აქ ბელინსკი საბოლოოდ იმიჯნება გოეთეს, პერკინიუსისა და სხვათა კრეფუციებიდან ჰამლეტის ნებისყოფის სისუსტის შესახებ.

ბელინსკის არც კი გამოჰპარვია, რომ ჰამლეტს, როგორც ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანს, ახასიათებს განზოგადების, ცხოვრების კერძო ფაქტში დიდი სოციალ-მორალური პრობლემის დანახვის უნარი. „მისი დედა სუსტი, უსუსური და დამნაშავე ქალია — და ქალი დაიღუპა მის შეგნებაში. — წერს ბელინსკი. —... ჰამლეტს შეეზიზღება ქალი. რატომ? — იმიტომ, რომ მისი დედა ზიზღის ღირსია, თითქოს შინა დედის ნაკლი, საერთოდ, ქალის ღირსებას სპობდეს“. ასე, ჰამლეტის პიროვნების ნათელყოფისას ბელინსკი სულ უფროდაუფრო სცილდება იდეალისტიკურ შექმნილობისა და ჰამლეტის სახის გასაგებად სწორ გზას პოულობს. ბელინსკი მიიღვეს ტრაგედიის მოქმედების მსვლელობას და ამბობს, რომ, როდესაც ჰამლეტმა გაიგო ბიძის დანაშაული, მან აქაც, განმარტებულდებულ ნიჭით, ერთიანი ბოროტმოქმედების მიღმა დაინახა საპრობლეოდ გადაქცეული დანია, ფანატრშითა და ოპსკურანტიზმით აღსავსე, გაბრწყინილი სინამდვილე თავისი დროისა.

ბელინსკი დაასკვნის, რომ ჰამლეტის წინაშე ისახება არა ერთიანი შერისძიების აქტის შესრულების ამოცანა, არამედ მსოფლიო ბოროტებასთან და მანიკერებასთან ბრძოლის დიდი მიზანი. მაგრამ ჰამლეტი მარტოდმარტოა. ისტორიის ჯერ არ შეუქმნია ის ჯგუფები და კლასები, რომლებიც ამ ბრძოლის ავანგარდში ჩადგებიან. სწორედ ეს სულიერი სიმარტოვე, ეს სულიერი ობლობა ადუნებს ჰამლეტის ნებისყოფას.

ფას. ამგვარად, ჰამლეტის შინაგანი, სულიერი კოლიზიის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მის სულიერ გარებაში, არამედ იდეურ[კონფლიქტში] აღორძინების ეპოქის ქემანტრებიში[ქმნა] გერმანოსთან რომელიც შექმნილია „ტიმონ ათენელში“ მტაცებელ მხეცებით დასახლებულ ტყეს შეაღარა.

ჰამლეტის ასეთი გაგება, რომელიც ეთანხმება სამკოლა ლიტერატურისმოკიდნობის დასკვნებს, გვაძლევს საფუძველს ვიქვით, რომ ბელინსკის წერილები დღესაც წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს და უღრმეს კომენტარებს ჰამლეტის დიდი სახის გასაგებად.

ასეთივე ფსიქოლოგიური სიღრმითა და ფაქიზი მხატვრული ალთაოა აწარმოებს ბელინსკი „ჰამლეტის“ დანარჩენი პერსონაჟების — ოფელიას, პოლონიუსის, კლავდიუსის, დედოფალ პერტრუდის, პორაციუსის და ლაერტის დახასიათებას. ყოველი ამ დახასიათებათაგანი ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზის შედეგია.

„ოტელოს“ კონფლიქტი პიროვნებასა და გარემო საზოგადოებას შორის უფრო დიდარული სახით არის მოკმული, ვიდრე „ჰამლეტში“. ამით აიხსნება, რომ „ოტელოსადმი“ მიძღვნილ ცალკეულ შენიშვნებში ბელინსკი უახლოვდება ლესინგის „ტრაგიკული ბრალის“ თეორიას. მიუხედავად ამისა, „ოტელოს“ შეფასება ბელინსკის მიერ ისევე აციფრებს მკითხველს სიმკვთრით, სიღრმითა, და ორიგინალობით, როგორც „ჰამლეტის“ ახსნა-განმარტება. ბელინსკი ახასიათებს ოტელოს, როგორც ადამიანს — დიდი სულით, ფიციბელი გრძნობებით, ფართო გონებით, მაგრამ შესზღულული განსჯით“³. იგი აღნიშნავს, რომ ეს ტრაგედია აციფრებს მსოფლიოს არა თავისი სიეციბით, რომელიც საკმაოდ მარტოეია, არამედ „მხატვრის შინაფიქრით, იმ სახეებით... რომლებიც... წარმოუდგებოდნენ შექმნის ჯერ კიდევ შემოქმედების კონცეცტაში“⁴. ბელინსკი წერს, რომ ოტელოს ტრაგიკული ბედი არ გამოძინარეობს მისი ნებისყოფისა ან შეგნებისაგან.⁵ იგი არ არის ბუნებრივი შედეგი მხოლოდ შინაგანი კოლიზიისა, აქ ოტელოს სულიერი საყარო დაეჯახა იაგონი განსაზიერებული პატრიმთყოფარეობის, სიმორატის საყაროს. მაგრამ ბელინსკი თვლის, რომ ოტელომ თვითონ ხელი შეუწყო ტრაგიკულ კატასტროფას „თავისი ვულკანური ტემპერამენტით, თავისი მხურვალე გრძნობებით, რომლებიც თვალის დახამამებაზე იფეთქებდნენ ზოლმე... არ ემორჩილებოდნენ გონების ხმას, თავისი სულმურად გუნდანიობლი, ცრუმორწმუნე ხასიათით, რაიც გვახსენებს მისი აღმოსავლურ-

¹ Белинский, Собр. Соч., под ред. Венгрова, т. III, гл. 220.

² იქვე, ტ. III, გვ. 228

³ ტ. II გვ. 224.

⁴ ტ. III, გვ. 318.

⁵ ტ. VI გვ. 74.

აფრიკულ წარმოშობას¹. ბელისკის აზრით, ოტელოს ჰეიანობას თავისი მიზეზობრიობა, თავისი იუცილებლობა ჰქონდა, რომელიც უნდა ვეძოთ მის მგზნებარე ბუნებაში, ალბრადში, მთელი მისი ცხოვრების გარემოებებში.

ბელისკის ლაქონიურია, მაგრამ სწორად დახასიათებანი შექსპირის ქალთა სახეებია — სა კიდევ ერთხელ ამეღვანებენ, რამდენად მალა იღვა იგი, როგორც მოაზროვნე და ისტატი, იმ დროის დასავლეთის ბურჟუაზიულ კრიტიკოსებზე. ბელისკის შენიშვნები ოფელიას, დეზდემონას, დედოფალი გერტრუდას, ლედი მაკბეტის, მიჩანდას, ჯულიეტას და სხვათა შესახებ ბევრ რასმეში წინასწარ განსაზღვრავენ შინაარსს ჰანეს შესანიშნავი ციკლისა — „შექსპირის ქალები“.

წერილების სერიაში „მოწალავი ჰამლეტის როლი“ ბელისკი ადარებს ერთმანეთს დეზდემონასა და ოფელიას, ამ გზით ის ატყვევს უოველი მათგანის ბუნების თავისებურებას. დეზდემონა და ოფელია სულიერად ენათესავენთან ერთმანეთს იმით, რომ ორივენი ფაქიზი, ქალწულებრივი კდემამოსილებით გამსჭვალული და ამიტომ უზომოდ მიმზიდველი არსებებია. მაგრამ ამით მთავრდება მსგავსება მათ შორის. ოფელია ჰარმონიული ბუნებისა და ნაზი, მოვარული გულის აღმამანია. ბელისკი წერს, რომ „მისთვის უცხოა უოველი ძლიერი, გამანადგურებელი განცდა იგი შექმნილია ღრმა, მაგრამ წყნარი და მშვიდი გრძნობისათვის“². ოფელიას უყვარს ჰამლეტი, მაგრამ უყვარს მამა და მამაც. ის არ ერკვევა მათი ხასიათის კარგ თუ ცუდ თვისებებში, უყვარს ისინი, როგორც აბლობერნი. მას უნდა ჰამლეტის სიყვარულიც შეინარჩუნოს და ამავე დროს, მამისა და მამის მორჩილიც იყოს. ამიტომაც, რომ მამის რჩევასაც მისდევს, მამასაც გადასცემს ჰამლეტის წერილებსა და საიუქრებს. ოფელია ინსტინქტურად ცდილობს შეარიგოს ძველი და ახალი სამყარო, ჰამლეტი და თავისი ოჯახი. ამიტომაც, რომ ის ბოლომდე ვერ რჩება ჰამლეტის მიჯნურად და მის მეგობრად, ვერც კი გაუგია ბოლომდე, თუ რა მისწრაფების, რა იღვის აღმამანია ჰამლეტი.

სულ სხვაგვარია დეზდემონა. ბელისკის თქმით, „იგი ძლიერია თავის ქალწულებრივ სისუსტეში... იგი მთლიანად, სამარადისოდ და განუყოფლად მიეცემა თავის სიყვარულს და ხან-

შიშესულ, უღამაზო მავრში დიდ ოტელოს შეყვარებას შესძლებს. სიყვარული მისთვის უმალესი გრძნობაა, რომელიც შთანთქმავს ყველა დანარჩენ გრძნობას, ყველა დანარჩენ სიყვარულს... სიყვდილის წინაც, აფრიკული ეფექტის კლანჭებით დამხრჩველი, ის ბრალს თავის თავზე იღებს და თხოულობს, რომ გაამართლონ თავის შეუღლეს წინაშე“¹. ბელისკის ღრმად აჭვს შეგნებულა, რომ დეზდემონა უკვე ახალი ეპოქის აღმამანია, რენესანსის პირამოა. ის შეერთა ოტელოსთან არა ქალგავის სტიქიურმა მიდრეკილებამ ერთმანეთისადმი, არამედ ღრმა ურთიერთგაგებამ, გულითაღმა სულიერმა სიახლოვემ, რაც სიყვარულის ყველაზე მაღალი და მტკიცე ფორმაა. დეზდემონა თავისი ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე არა მარტო ერთგული სატრფო და შეუღლეა ოტელოსი, არამედ მისი თანამოაზრეც. მან ერთხელ და სამუდამოდ მოახდინა არჩევანი, იგი რასობრივ კრურწმუნაზე მალა დადგა და შეიყვარა ოტელო „მისთა განვლილთა კირთათვის“, მისი პატიოსანი, კეთილშობილი, მგზნებარე ბუნებისათვის. ბელისკის სიტყვით, მან „შეე მავრში დიდი ოტელო დინახა“. იმაშია სწორედ, ბელისკის აზრით, დეზდემონას უდიდესი ღირსება. რამდენად მალა დგას ბელისკის ეს შეხედულება ჰერეინიუსის კანცეფციაზე, ჰერეინიუსისა, რომელიც ერთგულად მისდევს ეთიკურ თეორიას, ეძებს ტრაგიკულ ბრალს და ამ ტრაგიკულ ბრალს იმაში ზედავს, რომ დეზდემონა მამის ნების წინააღმდეგ ოტელოს მისთხოვდა. „არ არის სიკეთე იმ, სადაც ახალი ოჯახი ძალადობით მოსწყდება ძველ ოჯახებს, რომელთაგან იგი წარმოიქმნა“ წერს ჰერეინიუსი.² ამიტომ, მისი აზრით, დეზდემონა უნდა დაისაჯოს თავისი ურთობისათვის. ასეთი ფილისტერული, პედანტური მორალის დასაცავად გამოჰყავს ჰერეინიუსს დეზდემონა ბრალეულად და მის სისუსტეს იმ ზედავს, სადაც ნამდვილად დეზდემონას სიმტკიცე, მისი სულიერი სიმადლე მელანდება.

ბელისკის ცეცხლოვანი, მეზობლი ბუნება, მისი ნათელი ჰემანიზმი სულიერად ენათესავენა შექსპირის შემოქმედებას. ამიტომ არის, რომ შექსპირის ქმნილებათა პოეზია ცოცხალა და მღელვარე გამოძახილს ჰგვებს ბელისკის მგზნებარე სტრაქონებში.

¹ ტ. VI გვ. 74.

² ტ. III გვ. 230.

¹ ტ. III, გვ. 230.

² Гервинус, Шекспир. ტ. III, გვ. 111



ენმეტ ჰემინგუეის „მოხუცი და გღვა“

მას სანტიავო ერქვა; იგი მარტოხელა და ღრმა მოხუცი იყო, თუმცა ჯერ კიდევ ძალღონე შერჩენოდა; ოდესღაც მას, ყველაზე ღონიერ და მობერებულ მეთევზეს სანაპიროზე El Campion — ჩემპიონს ეძახდნენ, ახლა კი ყველა დააწმუნდა, რომ იგი Salao გახდა, „ყველაზე უიღბლო კაცი მთელ ქვეყანაზე“ ზოგს ეს ამბავი აღონებდა, ზოგი კი დასცინობდა მოხუცს; მხოლოდ მანოლინს უყვარდა იგი, ბიჭს, რომელსაც თევზობა ასწავლა მან. მოხუცი გამხდარა და ჩამოკვნიარი იყო, კეფა ღრმა ნაოქებით ჰქონდა დაღარული, ზოლო ლყებზე კანის კიბოს ეანვისფერი ლაქები ეყარა, კანის ეს კიბო, რომელსაც ტროპიკული ზღვის ზედაპირზე არეკლილი მზის სხივები იწყვეს, საშიში არ არის. მოხუცს ლაქები ყელამდე ჩამოსდიოდა, ხელებზე კი ღრმა ნაიარევი ეტყობოდა თოკისაგან, როდესაც დიდი თევზი ამოქონდა ზღვიდან. ეს ნაიარევი ძველი იყო, როგორც დიდი ხნის ამომშრალი წყალსატევის დაბქოვლი ფსკერი“.

ასეთად მოჩანს ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობის პირველივე გვერდიდან მისი მთავარი გმირი, თათქოს ჩამავალი მზის წითელი სხივებით განათებული შუუხარე ფიგურა...

...არიან მწერლები, რომლებსაც მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იზიდავთ ერთი და იგივე საკითხი; მათ ნაწარმოებებში მუდამ მოქმედებენ ერთნაირი, ანდა ერთიერიის მსგავსი გმირები. და მწერლის ფილოსოფიის გაგება ამ სახეების გარეშე შეუძლებელია ერნესტ ჰემინგუეი სწორედ ასეთი მხატვარია, პრობლემათა განსაზღვრული წრისა და ერთნაირი გმირებისაღმი საყვარელით. მოხუცი სანტიავო სწორედ ასეთი გმირია — ჰემინგუეის წინანდელი სახეების სინთეზი, წარსულ შემოქმედების თავისებური შეჯამება.

ჰემინგუეი, როგორც მწერალი, 1914 — 1918 წლებს მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა. ევროპასა და ამერიკის სხვა ნიქიერ მწერლებთან ერთად ჰემინგუეი ეძებს თავის გმირებს იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც აბლაგზობრდამ პირველ მსოფლიო ომის სასაყლაოში გაიარა და ომის დამთავრების შემდეგ ცხოვრებას შეხედნენ გამოკარიელებულნი, ურწმუნონი, ატროფირებული გრძნობებით და გაცრუებული იმედებით. ასეთები არიან ჰემინგუეის მრავალ მოთხრობებისა და მისი პირველი რომანის „ფიესტას“ პერსონაჟები (მარსი). ასეთი ადამიანი ყველაზე დასრულებულად წარმოდგენილია ფრედ ჰენრის სახით ჰემინგუეის რომანში „შვილობით, იარაღი“

თუ ამ რომანის ძლიერი მხარე იყო მისი ანტიმილიტარისტული მიდრეკილება, ომის საშინელებათა სიმართლით დახატვა, ბურჟუაზიის „ქუმანაზმისა“ და „მატრიოტიზმის“ სიყვარის გამოაშკარავება, მეორე მხრივ იგი გამსქვალულია უიმედობით და პესიმიზმით. ასეთებია აგრეთვე მოთხრობები („კილიმანჯაროს თველი“, „სახლში“, „თეთრი სპილოები“ და სხვ.), სადაც მოქმედ პირთა აზრები და საუბარი ფრედ ჰენრის ფილოსოფიის ეთარეკიას წარმოადგენენ.

ცხადია, ჰემინგუეის, სუბიექტურად პატიოსანი მხატვრის, ასეთი მსოფლგაგება განპირობებული იყო იმდროინდელი საციალურ სამყაროთა, რომელიც შემოფარგლული იყო ინდივიდუალისტური „ინტელეგენციის“, რანტიეს, წრით. დიდი სოციალური სამყარო, კლასობრივი ბრძოლა, პოლიტიკური მოძრაობა რჩებოდა ჰემინგუეის ყურადღების გარეშე. მისი მოთხრობებისა და რომანების გმირები დროს ატარებენ ერთნაირ „სოციალურ“ გარემოში: კოსმოპოლიტური პარიზის კაფეებში, „ეგზოტიკურ“ ესპანეთში, მისი ციარებთა და ხარების ბრძოლით, აფრიკის „მწვანე ზარკვებზე“, მაგრამ ამ „გმირების“ გვერდით ჰემინგუეის გამოქყავს თავისი საყვარელი ადამიანები: მონადირეები, სპორტსმენები, მატადორები — მამაცი, გულადი, მყარი ადამიანები, ადამიანები, რომელთაც არ ახასიათებთ ჰენრისა და ბარნის ინტელექტუალურ-ფიზიკური მოშვებულობა (მაგალითად, მატადორი რომერო „ფიესტაში“) თუმცა ბოქსისტე ბარნისი, უნებისყოფო ჰენრი, მამაცო რომერო — მძები არიან: ისინი ერთნაირად არიან მოწამლული მარტობის შხამით, მათ არ მოსწონთ გარემომცველი ღორბა და ბოლოს ყველანი მარცხს განიცდიან — ოღონდ ჰენრი ზის და ელოდება“, ბარნისი ღოთობს და ფილოსოფოსობს, რომერო კი, სანამ ძილონე შესწვეს, ციარის არენაზე მოდგაუქობს. სამივეს აერთიანებს აგრეთვე ერთნაირი ზიზლი „ტურისტების“ შიშით. „ტურისტები“ კი ის ხალხია, რომელიც სძულს ჰემინგუეისაც, — მდიდარი პარაზიტები, მოზალური სრარაბანინი, თვითმყოფლო ბოშლიცები (იხ. მოთხრობები „მისტერ და მის ელიოტ“, „უქალნი შვეიციაში“, „რობერტ კონი „ფიესტაში“ და სხვ.). „ტურისტებისა“ და „მატადორების“ დაბრისპირება დრამატიზმის უმაღლეს წერტილამდე აღწევს ჰემინგუეის 1936 წლის რომანში „გქონდეს და არ გქონდეს“, რომლის გმირის პარი მორგანის შერე სიყვდილის წინ წარმოთქმულ სიტყვებში აგრეთვე იძლევა მთელი თავისი წიგნის სოციალურ-ჰემინგუეის დასკვნას: „ადა-

მიანს მარტო არ შეუძლია ყოფნა. ახლა არ შეიძლება, რომ აღმოაჩინო მარტო იყოს. ამ სიტყვებს თან ახლავს ავტორის რემლიყა: „ყოტა დრო როდი დასპირდა, რომ მას ეს წარმოეთქვა და მთელი ცხოვრება დასპირდა, რომ მას ეს გაეგო“. ბევრი რამ „დასპირდა“ ვერცხვეთ თვითონ ჰემინგუეის, რომ „მას ეს გაეგო“. ჰემინგუეი ესპანეთში გაიღებულს სამოქალაქო ომის დროს დაშინებულს საწინააღმდეგო რიგებში იდგა. აქ, 1936 — 1939 წლებში ესპანეთში, პესიმისტი და სეპტიკოსი ჰემინგუეი, მოწემა ზაღის გმირული თავადებისა, აქ, ჰემინგუეი, „უგმირო“ რომანების ავტორი, მებრძოლი ზაღის წარმომადგენელია ახალი სახეებით ამდიდრებს თავის შემოქმედებას (მესამე მხელეთ კოლონა“, მოაზრობები „მადრიდელი მოუფრებე“, „ამერიკელი მებრძოლი“ და სხვა).

მოთბობაში „მოხუცი და ზღვა“ ჰემინგუეის ისევ გამოკავს უიღბლო ადამიანი, ოთხმოცდაათბჯერ გაივლია სანტიავო ზღვაზე „და ერთი თვეზეც ვერ დაიჭირა“. მის ზელებს ძველი ნაიარევი ეწინევა, წინანდელი გამარჯვებების ნაკალები.

მოხუცი დახატულია ვასილიარი კონკრეტულობით, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს მხატვრის მახვილ თვალს და მტკიცე კალამს. კანის კიბოს ლაქებით დაფარული მოხუციის სახე, ლინიერი ზელება, ტანისამოსი, ღარიბი ჭობის მოწყობილობა (მეტადრე განებობი, სიონანაც იგი გებულობს ბეისბოლის ახალ იმბუბესს), მისი მოაზრობანი, ჰეველება თავის თავთან გამოლაპარაკებისა, დაუჭრილებითი აღწერა მისი ნავისა, სათევზაო ზელსაყოებისა, მუშაობის ხერხებისა: „ყოველი ანეკსის თოკი დიდი ფანქრის სიმსხი იყო. თოკი ისე იყო ელასტიურ წნელებზე მოდებული, რომ, თუ თვენი ოდნავადაც კი შეეხებოდა ანეკსს, წნელი წელის ზედაპირამდე დაიდუნებოდა. თოკები გადაბმული იყო ორმოც-ორმოცო საველის სიგრძის სამარქათო მორგებებზე, რომელიცა გადაბმა თავის მხრივ შეიძლებოდა სხვა სამარქათო მორგებებზედაც. ასე რომ, საჭიროების შემთხვევაში თვენი შეიქლო სამას საველებზე და კიდევ მეტზე გაეშვა“...

ასევე ოსტატურად, ხელშესახებად, დაწერილობითა აღწერილი ზღვა, მცენარეები და ცოცხალი არსებანი მის სიღრმეში ცვალებადი, მრავალფეროვანი მისი ზედაპირი, ჰემინგუეის ისე ზატავს პეიზაჟს, რომ არ იფიქრებს მის ფერს, არც მისგან მიღებულ მხედველობითს შთაბეჭდილებებს, არც ცალკეულ საგნების სივრცეში დასაგებასა და ადგილის გამოცვლას — შეწრალი ყოველთვის ზუსტია და ეურადლებიანი, იგი ამ მოთბობაშიაც პეიზაჟის დიდოსტატად გვევლინება. „ახლა ღრუბლები დიდი მთებზე იყვებდნენ მადლი, ხოლო ზღვის ნაპირი მწვანე ზოლს ჰგავდა; ზოლს

იქით რუბ-მოციისფრო გორაკები მიზანდა. ახლა წაიღე შექ-ლერჯი, თითქმის იისფერი იყო, როცა მოხუცი ჩასტკეროდა რვექსის და შექ-სალრემში ზედავდა პლანქტონის მოშინების ფერების ლივოვს და მზის სხივების თვალწარმტაც ანარეკლს... წელის ზედაპირზე არ ჩანდა არაფერი, გარდა სარგასის წყალმცენარის გაყვითლებული, მზით გახურებული კონებისა და ელიისფერი, მოელვარი ლამისებრი ბუმბაცისა — პორტვალური ფიზალიისა, რომელიც ნავის ახლოს მიცურავდა. ფიზალია გვერდზე გადაბრუნდა, მერე ისევ გასწორდა“.

მაგრამ ვეღა საგანი არა მარტო სწორადაა ნანახი და ზუსტად გადმოხატული, ბუნების მოყვარულია ზელით, იგი შინაგანად ასულდგმულებულია, საესეა ღრმა აზრით. ჰემინგუეი, მავალითად, მარტო იმას კი არ გვიყვება, რომ მოხუციის „ანძახე დახვეულ აფრის... ბევრგან ჰქონდა დაეკრებული ტომრის ნაჭრები“, არამედ ადრე „მუღბივი დამარცხების დროშის წაბავედო“. მოხუციის პორტრეტი, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, „რუცებ“ ასეთ არა კონკრეტული, ემოციური ფრამით მთავრდება: „მოხუცს ვეღაფერა ბებრული ჰქონდა, გარდა თვალბებისა, თვალედა კი ზღვისფერისა ჰქონდა, მზიარული თვალეზი აღმოაჩინისა, რომელიც არ ნებდება“.

ამგვარად, თანდათან ვეწვევიით ასეთ სტილს, ვეჩვევით „ხილული“, კონკრეტული მუღამ შეეფუარდით მეორე, შინაგან პლანს, და ასეთი დასკენა გამოვლევს: არა, მოხუცი სანტიავო უბრალო მეთევზე სანტიავო კი არაა, იგი, ამავ დროს, The Old Man, მოხუცია საერთოდ, სიმბოლური ფიგურა, მხატვრული ილუზორია.

ზღვაეც მოხუციის ირგვლივ უბრალო ზღვა რაღია, იგი რეალურიც არის, და, ამავ დროს, ცხოვრების ზღვაა, რომლის გავილ სივრცეზე გამოვიდა თავისი დღეების დასავალზე მოხუცი, რააა ბრძოლით წაართვის ზღვის არსებობის საშუალებანი. ტუეტილად კი არ დადიოდა იგი, მოხუცი მუთვეზე, მუღბივი დამარცხების დროში. შორს, შორს გაივლია იგი ნაპირიდან, ძნელი შეიქმნა მარტოდ ყოფნა: ეპ, ნეტავი ბიჭი მართლინე ყოფილიყო მასთან, — მუღამ ფიქრობს იგი; სასტიკი, დამლაღე, ხანგრძლივ ბრძოლაში გაიმარჯვა მოხუცმა დიდ თევზზე, დაბრუნებისას კი მსუნავი მტაცებელი ზვიგენება დაეკენე ნავს. და, მოხუცდავად იმისა, რომ მოხუცი საშინელი თვეწაწირულებით იგერიებდა მათ და იცავდა თავის ნავებს, მინერ ზვიგენებმა „სძლიეს მას“, გაწეალებული, დონემიხდილი მოხუცი ისევ უარაფროდ დარჩა. ნაპირზე კი დაიარებიან „ცნობისმოყვარე ტურისტები“ და მუთვეზეებით თოკით ჩინჩხს ზომივენ, რააა გააგონ ზვიგენების მიხედვით, თუ რა ხაგრძის ყოფილი ეს საოცარი თვენი, რომელიც ნავზე იყო მიკრული. უსინარული სიუიეტია, ფრედ ჰენრის ფილოსოფიას წაავგავს: ან იბრძოლე ან გულზედაკრეფილი იჯექი —

„ბოლო ცნობილია“, ჰქვყანა თვითველს
კლავს“.

მაგრამ მოთხრობაში „მოხუცი და ზღვა“
ჰემინგუეი უფრო ხშირად, ვიდრე, ვთქვათ,
„ფიესტაში“, მიმართავს ჰარდაპარ მსჯელობებს
ცხოვრებისა და ადამიანის შესახებ. მთელი
მოთხრობა, არსებითად, წარმოადგენს ერთი გმი-
რი გამწვანო მონოლოგს. ამ მონოლოგის ყვე-
ლაზე დაძაბული მომენტები ემთხვევიან მოქ-
მედების — ბრძოლა მოხუციისა თვეზთან და
ზეოგენებთან — ყველაზე დრამატულ მომენტებს.
მაგრამ ცოტაა ითქვას, რომ დროის მიხედვით
ემთხვევიან, მონოლოგი შინაარსის მიხედვითაც
თათვის ებრძვის უსიხარულო სიუვეტს, ეწი-
ნააღმდეგება მას.

(სანტიავოს ჩვეულება თავის თავთან გალაპ-
რაკებისა ჰემინგუეის იძლევა საშუალებას დაუ-
შვლავად გამოთქვას სინამდვილის თავისი გაგე-
ბა — კომპოზიციური დაძაბვის, მოქმედების ყო-
ფითი უტყუარობის გარეშე. ჰემინგუეი ცდი-
ლობს, რომ ყველაფერი ზენზებრივად გამოჩნ-
დეს და, როგორც დიდი ოსტატი, მთლიანად
აღწევს კიდევაც ამას. თქვენ არც კი დაგება-
დგებათ კითხვა, თუ როგორ შეიძლება, რომ
კუბის ჩვეულებრივმა მეთევზემ, ისიც ხანში-
შესულმა, გუნათობებშია, თანაც ძლიერ
დაღლილმა, დაიწყოს ფილოსოფოსობა ცხოვრე-
ბის მიზანისა და ადამიანის დანიშნულებზე.
თქვენ გვერდს უვლით, მართლაც „დაბეწილ“
შედარებებს მოხუცის მიერ მოკლეული თვეზის
თვალუბისა „პერისკობის სატყესთან“ და „ლი-
ტანიის წმინდანთან“; ყველაფერი ეს წერილ-
შიაა, ხარკი იმ პირობითობისა, რომელშიაც
გახვეულია მოხუცის სიმბოლური ფიგურა.

გაევეთ მოხუცის ფიქრებს: თვეზი რომ არ
მოგვალა, შიშობილი მოგვედებოდა, ჩემი თვეზი
ზიოგენის რომ არ წყარბოშია, ისიც მოგვედებოდა,
რადგან „შენსავეთ იგივე იმით ცხოვრობს, რომ
თვეზებს კლავს“, რადგან „ყველა ასე თუ ისე
კლავს ვინმეს ან რამეს“. მოხუცის მიერ მოკ-
ლეული თვეზი გასაოცარი, დიდი, კეთილშობილი
თვეზია, მოხუცი კი, რომელიც მოკვდებოდა,
თვეზი რომ არ მოგვალა, საუკეთესო მეთევზეა,
„სულ სხვაანარი ბერიკაცი“. „თვეზო, მიყვარ-
ხარ, მაგრამ მოკვალე, უნდა მოკვალა“ — ეს
მოტივი გამუდმებით ისმის მოთხრობაში. და
კარგია კიდევ, რომ „შეზს, მთვარეს და ვარს-
კვლავებს არ დაუდევთ მისაკლავად, ისიც საე-
პარისია, რომ საკუმულს ვტაკებთ ზღვის და
ჩვენს ძმებს ვკლავთ“. ძმებს? დიად, ძმებს.
ზღვაზე, ისევე, როგორც დედაშიწაზე ერთი და
იგივე კანონია — ვინ ვის, და არავინ არაა
დამნაშავე — რას იზამ, ასეა ქვეყანა მოწყობი-
ლი — ასე ფიქრობს მოხუცი სანტიავო, მაგრამ
სანტიავო ფრედ ჰენრიც, ადამიანი, რომე-
ლიც „ზის და ელოდება“, და არ იცის „როს-
თვისაა ყველაფერი ეს“. მაშ, მოხუცი სანტიავო
გადაკებული ფრედ ჰენრიცა? მაგრამ, ნუ ავიჩარ-

დებით დასჯინის გამოტანისას. გაევეთ მოხუცს.
მაგრად გაქმიულ თვეზე დასასვენებლად ჩაი-
ჯდა პატარა ჩიტი. იგი იმდენად უფრედელი-
ლა, რომ თვის სიმტიციტს მისივეგვესე თვეზი
არ ჰქონდა; სათუთი კლანტები შემოქველო თვე-
ზე და ქანობდა.

— ნუ გეშინია, თოკი მაგრად არის გაქმიუ-
ლი, — უთხრა მოხუცმა, — ძალიან მაგრადაც.
ასე არ უნდა დაღლილიყავ უქარო ლამეში. ეკ,
ახლა ფრინველებიც სხვაანარები წამოვიდნენ!

„აი, ქოჩები გამოდიან თქვენს შესახვედრად
ზღვაზე“ — გაიფიქრა მოხუცმა, მაგრამ ჩიტს
არ უთბარა; ჩიტი ვერც მიხედვებოდა. არაფერია,
მალე თითონ გაივებს ქოჩების ამავეს.

— კარგად დაისვენე, ჩიორა, — თქვა მოხუც-
მა. — მერე გაფრინდი ნაპირისაყენ და იბრძო-
ლე, როგორც იბრძვის ყოველი კაცი, ფრინველი
თუ თვეზი“.

„იოჯები და ელოდე“ — დასკვნის ფრედ ჰენ-
რი, „სისულელეა იმედის დაკარგვა“ — იბრძო-
ლე — ასეთ რჩევის იძლევა მოხუცი სანტიავო,
ამაშეა განსხვავება. აქ ჰენრი გზას უთბობს
მამაც მატადორს რომეროს, ჰემინგუეის საყუ-
რელ გმირს.

მოხუცის ძლიერება მისი სახის მკითხველს;
ზემოქმედების ეფექტი ისაა, რომ ადამიანის
სულის რიი დამირისპირებული მდგომარეობა,
პასიურობა და აქტიური მიზანდასახულობა, მო-
ცემულია მწერლის მიერ მკვეთრ, დრამატულ
ორთბარბოლაში. პასიურობის მქდაგებულა
ფრედ ჰენრი და მამაცი რომერო ეკამათბიან
ერთმანეთს მოხუც სანტიავოს გულისხამის-
ქეშმარიტი შთავგონებით ვადაგვიშალა ეს კამათი
ჰემინგუეი: უფრო მტი მზურგალებით განამტ-
კიცებს იგი აქტიურობას, სიმამაცეს, ნებისყო-
ფას, გამძლეობას და უფრო ძლიერ ჩაგვიტორია
ამ კამათში მკითხველებიც, არ შეიძლება მკით-
ხველს არ მოსწონდეს მოხუცის ჯიუტობა,
სიმამაცე, ნებისყოფა. ჩვენი მკითხველისათვის
ეს ატლოსაა: ნებისყოფა და სიმამაცე ადამიანი-
სა, რომელიც არ დაუნებდება, თუმცა იგი სერიო-
ზულ მარცხს განიცდის და მას მძიმე ზნეობრი-
ვი ევეები აღეძრის.

— ბრწყინვალედ აქვს აღწერილი მწერალს მო-
ხუცისა და თვეზის ორთბარბოლა: „ჯერ კიდევ
დიდი ხნით ადრე, სანამ თვეზი ნავს მოუხე-
ლოვებოდა, მოხუცმა მთელი ძალბონტე მოიკ-
რინა და თვეზი მოზიდა. მაგრამ თვეზი მხო-
ლოდ ოდნავ გადაბრუნდა გვერდზე, მერე გას-
წორდა და განზე გაიქურდა“.

— გაბაგონე, თვეზო, — უთხრა მოხუცმა, —
სულ ერთია, ხომ უნდა მოკვდე, მამ რად გინ-
და, რომ მეც მოკვდე?

ასე ვერიფერს ვაეაყუბო. — გაითქირა მან.
პირი ისე გაუშრა, რომ ლაპარაკი აღარ შეეძ-
ლო, თანაც ძალა არ ყოფიდა წყლით საცხე
ბოთლამდე გაეწვდინა ხელი. „ამჯერად თვეზი
ნავთან უნდა მოვბილო, — გაიფიქრა მოხუცმა. —

ძალა დიდხანს არ შეყოფა. — არა, გვეყოფა — შევასუფხა თავის თავს. — ძალა შენ საუყუროდ გვეყოფა, ბებერო.

შემდეგი წრის შემოვლის დროს მოხუცი კონაღამ მისწვდა თევზს, — მაგრამ თევზი ისევ გასწორდა და ნელა გაკურდა განზე. „მდღეავე, თევზო, — ფიქრობდა მოხუცი. — ეს, რასაკვირველია, შენი უღელბაა. ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არ მინახავს შენზე უფრო დიდი, დანჯი და კეთილშობილი არსება. მაშ, რას შერბობ, მომკალი, ჩემთვის უკვე სულ ერთია, ვინ ვის მოკლავს“.

„თავში ისევ გვრევია აზრები, ბებერო! თავი კონათელი უნდა გქონდეს. დალაგე აზრები და ეცადე აიტანო ტანჯვა, როგორც ადამიანი“ — „ან როგორც თევზმა“ — დაუმტა გუნებაში.

— აბა, თავო, გონს მოდი, — თქვა ისე ჩუხად, რომ ძლივს გაიგონა თავისი ხმა. — გონს მოდი, გუბუნებია.

კიდევ ორი წრის შემოვლისას ყველაფერი ძველებურად დარჩა.

„რა ექნა?“ — ფიქრობდა მოხუცი. ყოველთვის, როცა თევზი განზე მიდიოდა, მოხუცს ეჩვენებოდა, რომ ვინმესას კარგავდა — რა ექნა? ერთხელ კიდევ ვიღა“.

კიდევ სცადა ერთხელ და იგრძნო, რომ კარგავდა ვინმესას, მაგრამ მიინც თევზი გადაბრუნდა გულადში. მერე თევზი უკანვე გადმოზრუნდა და ვეებერთელა ბოლოს პაერში ქნევით ისევ ნელა გაკურდა განზე.

„ერთხელ კიდევ ვიღა“ — შებირდა თავის თავს მოხუცი, თუმცა ზელები დაუსუსტდა და თვალთ უხედლებოდა.

ისევ სცადა, და თევზი ისევ წვივდა „აბ, ასე, — გააფიქრა, და მაშინვე იგრძნო, რომ სიცოცხლე ელეოდა, — ერთხელ კიდევ ვიღა“.

ჭერთხელ კიდევ სცადეთ — აბ მოთხრობის ლიტ-მოტივი. ფრედ ჰენრი, ვანაგრემ ბრძოლა ეყადეთ იყოთ ადამიანი, რომელიც არ ნებდებია. არ არსებობს ისეთი მდგომარეობა, რომ შეუძლებელი ყოფილიყოს ბრძოლის ვაგრძელვა. შეინარჩუნეთ ის, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ელტრე დამარცხება ან გამარჯვება დღეს. — სიმამივე და გამბედაობა. შესანიშნავი ფორი-ზება: „ადამიანი შეიძლება მოსპოთ, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია“.

„თევზიც ჩემი მეგობარია“ — ამბობს მოხუცი: თვითველი თავისთვის ცხოვრობს და თავისთვის იბრძვის, „ყველას თავისი ზედი აქვს“ — ამბობს ჰემინგუეი. ჩვენ დროებით დავიციეყოთ პარი მოგრანი, ის დსაცნა, რომელიც მან თავის სიცოცხლის ბოლო დღეებში გამოიტანა — არ შეიძლება რომ ადამიანი მარტო იბრძოდეს, ერთი ცაცი ყოველთვის სუსტია: „არ შეიძლება, რომ ადამიანი მარტოდ იყოს.“ მოხუცი სანტი-გულ ხომ ასე ფიქრობს: „სიბერეში ადამიანი მარტო არ უნდა რჩებოდეს“. ამ მოთხრობაშიც

პარის მოტივი არსებობს. ამიტომაც ვთქვით, რომ ჰემინგუეისათვის მოხუცი სინთეზური სახეა. მაგრამ მოხუცი უფრო მატადორია, ვიდრე პარი მოგრანი. ტყუილად ვთქვით, რომ ჰემინგუეიმ ბშირად მოხსენებული სახელგანთქმული ბეის-ბოლისტის „დიდი დიმაჯიონ“ სახელი. მოხუცი ყოველთვის იგონებს მას, ცდილობს დაემსგავსოს მას. ყველაზე მძიმე წუთებში, დიდილა, დაქანცული, იგი ფიქრობს: „ჩემი ძალა უნდა ვიქნამო, რომ დიდი დი მაჯიონს დიდი ვიყო. იგი ხომ ყველაფერს დიდებულად აყეთებს, მაშინაც კი, როდესაც ქუხლის ძეგის კორძი აწუხებს“. და მაშინვე გაიფიქრებს მის თვალწინ ის დრო, როდესაც იგი კასაბლანკის ტავერნაში, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბიჭი, ღონეში შეეჯიბრება მატადორს დალოვან სიენფუეგოსელ ზანგს. „ორთაბრძოლა კვირა დღით დაიწყო და ორშაბათი დღით დამთავრდა“. გაიმარჯვა სანტიგომ.

მოხუცი, ეიმეორებო, ჰემინგუეის დადებითი გვირგვინის სინთეზია. მის სულში ცხოვრობენ ფრედ ჰენრი და მატადორი რომერო. მოხუცის სულში პარი მოგრანიცაა, მაგრამ უფრო ძლიერია მიინც რომერი. დიდი თევზის ჩონჩხი მე-ეთვეების აღტაცების იწვევს, ისინი ხომ მამაცი და სახლეთაო საქმის მცოდნეები არიან, ხილეთა მათთვის — იგივე ცხოვრებაა, როგორც მატადორისათვის ცხოვრებაა — ხართან ბრძოლა, მეარეისათვის — ერთი. ცხოვრება — შრომაა, მძიმე, ხანცე ხილეთით, განსაღღლეთ. ელტვა არაა თევზი მოკალი, „რომ შიშლიათ არ მომკვდარიყავი და კიდევ აუარებელი ხალხიც გამეძლო“, ასე მსჯელობს მოხუცი. მაგრამ... აქ ისევ გამოინდებია სცენაზე „დიდი დი-მაჯიონ“. ამიტომ კი არ მოკალი თევზი, რომ გავფიქრებო და თვითონ გეარსება, — ფიქრობს მოხუცი, — მოკალი სიამაყისა და იმის გამო, რომ მეთევზე ხარ. შენ გიყვარდა ეს თევზი, ელტრე ცოცხალი იყო, ახლაც გიყვარს“. ეს იგივეა, რაც მატადორის სიყვარული იმ ხართ-სადში, რომელსაც იგი შემდეგ კლავს აგრენაზე. რომანში „ფიესტა“ რომერი ეუბნება ტურისტ-ქალს ბრეტას: „ხარები ჩემი საუყვეთსო მეგობრები არიან... — თქვენ მეგობრებს კლავთ? — შეეკითხა იგი. — მუდამ, — უპასუხა მან ინგლისურად, და გაიციინა, — რომ მათ არ მომკლან შე“.

ზოგ კრიტიკოს მოთხრობა „მოხუცი და ზღა“ ოპტიმისტურ ნაწარმოებად და ჰემინგუეის იდეური განვითარების ახალ პერიოდის დაწყებად მიიჩნია. ასეთია ვიქტორ გორიხოვის წერალი (ტურნალი „ნოევი ვრემია“ № 37, 1955 წ.). ზოგი კი, და პირველ რიგში, ი. კაშინი, მწერლის შემოქმედების დიდი მცოდნე, მეტ სიფრთხილეს იჩენს შეფასებაში, უფრო მეტად ითვალისწინებს მოთხრობის სირთულეს, წინააღმდეგობრიობას. პირდაპირ ვთქვათ, თუ „მოხუ-

ცი და ზღვა — რაღაც ახალი, დადებითი პერსონაჟების შემოქმედებაში, ეს კი უთვალსაშუალოდ შედარებით იმ ნაწარმოებებთან, რომლებიც მან დაწერა უკანასკნელ დროს, და არა „ესპანური“ წლებს შერევალებთან.

მოთხრობა გამსჭვალულია „ბრძოლის სიღამახისა და მებრძოლების უძველესობაში მხურვალე რწმენით“, „მოხუცი არ არის დამარცხებული“ — წერს ვ. გორხოვი, მაგრამ გაიმარჯვებს მამაცი სანტიაგო, თუ ის ისევ გავა ზღვაზე, ჩვენ არ ვიცით, თვითონ სანტიაგო არაა ამასი დაწვენილებული. მოთხრობის დრამატული ნაწილის მკაფიო ელერგობა, ადამიანის აქტიურობისა და სიმამაცის განმტკიცება არ იძლევა ნაწარმოების საერთო ტონალობას. იბრაძლევა — ამბობს მოხუცი, მაგრამ არა იმისათვის, რომ გაიმარჯვოს, — სიუჟეა რომ გაიმარჯვოს, — არამედ იმიტომ, რომ სამარცხენოა და არასაკადრისი ნამდვილი ადამიანისათვის იჯდე და ელოდო; შეხედე დი-მეჯიოს სანტიაგო მამაცია, იგი ქედს არ იხრის და არც ჩივის, „თვითელს ხომ თავისი ბედი აქვს“. შეიძლება კი ამ ბედის საზღვარს ვასცილებ?

ვ. გორხოვი წერს: „ბიჭი მოხუცის გადამჩინია. ბიჭი მოხუცის მომავლია. იგი ისევ გავა ზღვაში, მაგრამ მართო კი არა, არამედ ბიჭთან ერთად. ბიჭი მოუტანს მის ბედნიერებას“. მაგრამ ასეა? ჩვენ ვიცით, რომ ბიჭს უყვარს მოხუცი სანტიაგო, ზრუნავს მასზე და მის ნაეზე, სწავლობს მისგან თევზობას, უყვარს მისმენა მოხუცის ნაამბობისა შორეულ ქვეყნებსა და თევზებზე, აგრეთვე მსჯელობს მისთან ბეისბოლის შესახებ. და, ბოლოს, ანუგეშებს მოხუცს დამარცხების შემდეგ, სიმხნეისა და წინააღმდეგობის გაწევის სულს უმაგრებს მას. მაგრამ ბიჭი აღებულია მხოლოდ სანტიაგოსთან დამოკიდებულებაში, იგი მოკლებულია იმ კონკრეტულობას, რომელიც ასე დამახასიათებელია მოხუცის სახისათვის. ბიჭი მეტად პირობითი სიმბოლოა.

...მოხუცს უყვარს ბიჭი. რისთვის? ჯერ-ერთი, იგი მასში თათკის ზედავს თავის ახალგაზრდობას — მღელვარე, შეუდრეკელ ახალგაზრდობას, რომელიც არ ფიქრობს ცხოვრების აზრზე, პირაქით, ხარბად და უშუალოდ ეწაფება მას. ახლა მას ეს ახალგაზრდობა მხოლოდ ესიზმრება, ბიჭი კი თათკის მისი განსახიერებაა. „მის ესიზმრებოდა მხოლოდ შორეული ქვეყნები და კლამები, ნაბირზე რომ გამოდიოდნენ, ლომები კატის კნტებზეთი დაბტონდნენ საღამოს ბინდუნდში და მოხუცს ისინი ისე უყვარდა, როგორც უყვარდა ბიჭი. მაგრამ ბიჭი არასდროს არ ესიზმრებოდა“.

ზღვაში გასული მოხუცი სულ იმაზე ფიქრობს: ახ, ნეტავი ბიჭი აქ ყოფილიყო, ყველაფერი სხვანაირად წაივლიდა. ბიჭი ნემსივებს დაიკვებდა, საქმლის მარაგს შეავსებდა, მკლავს

დაუხელდა. თევზის დამარცხება უფრო ადვილი იქნებოდა, ბიჭი რომ ყოფილიყო. მაგრამ ეს არაა შთავარი. მოხუცი მაინც იმარჯვებს თევზზე მარტოდმარტო და რომ იქნებოდა მარტო მარტო პირისპირა შეხვედრებში, სანტიაგოს მარტოობა ავსებს მას. („ბიჭს ხომ ეთობარი, სულ სხვანაირი ბერაკია ვარ-მეთქი. ახლა დადგა დრო, რომ ეს დავამტკიცო“). ბიჭი იმდენად მონაწილე არაა საერთო საქმეში, საერთო ბრძოლაში, რომდენადაც „შინაგანი მკაფიერებელია“, რომლის წინ გამოდის სპორტსმენი სანტიაგო; მკაფიერებელი, რომელიც სიმპათიითაა გამსჭვალული მისდამი, აქვებს მას, უსურვებს გამარჯვებას, დარწმუნებულია, რომ სანტიაგო არ უმტყუნებს! მოთხრობის დასაწყისში ბიჭი, მოხუცის მიერთების ძალასა და წარმატებაში რწმენის პერსონაჟიკაია. ბიჭიც სწორედ იმით არის აღტაცებული, რომ მოხუცმა მარტოდმარტომ მოკლა თევზი. მაშასადამე, მოხუცს ჯერ კიდევ შეუძლია გაიმარჯვოს „პატიოსან“ ბრძოლაში, პირისპირა, მაგრამ, ქვეყანა ხომ რინევი არაა, და არც ციკრის ანევი; მეტისმეტად ბევრი ზეადენი დაესხა მოხუცს.

ბიჭი, წინააღმდეგ სხვა შეთქმულებისა, სანტიაგოს ეპყრობა როგორც უმტკიანი ამხანაგი უფროსს. და რა „სასამოვნოა, როცა მუცის ხმის გამოემი, შენი თავისა და ზღვის გარდა“. მარტოობა მოსაწყენია, განსაკუთრებით, როცა მოხუცი ხარ. ეს მოტივი პერსონაჟის თითქმის ყველა რომანშია. „საბერეში ადამიანი მარტო არ უნდა რჩებოდეს... მაგრამ ამას ვერ გაეჭტვი“ — ფიქრობს მოხუცი სანტიაგო. მოთხრობის თანაღში ბიჭი ჰპირდება მოხუცს: „მე მოგანიჭებ ბედნიერებას“. ჩვენ გვირდა დავიჯეროთ ეს, ამ დაპირებაში ვვსურს ოპტიმიზმის გამოვლინება ვნახოთ. მაგრამ ბიჭი ხომ იყო ოპტიმიტი და მოხუცთან ერთად ზღვაში, წარმატება კი მაინც არ ჰქონდათ. ბიჭი ტირის, ვუღვრილი „ტურისტებს“ არაფერი ესმით, მოხუცს კი ისევე, როგორც უწინ, ლომები ესიზმრება. ცხოვრება გრძელდება — ამბობს შერაბელი — ბიჭი ცოტა ხანს კიდევ დაეხმარება მოხუცს, მერე კი, როცა იგი მოკვდება, მის ადვილს დაიკვებებს. ბიჭი სანტიაგოს მომავალი კი არაა, სანტიაგო მთლად წარსულშია, ბიჭი მომავალი სანტიაგოა, მის გადარევაზე მეკუთვლირებით მისი სიმამაცე და გამპირაობა, სეველა და მარცხი, ბრძოლა და გამარჯვება...

„მოხუცი და ზღვა“ — ამალეღვებელი, მალალ-მხატვრული მოთხრობაა.

ქეშინევი მართალია: ყველაზე ღამაში ადამიანები — მამაცი, მეღვარი, ძლიერი ადამიანები არიან. მაგრამ ცხოვრებაში საპირობა სიმამაცი, რომელიც იმარჯვებს, და არა ისეთი, რომელიც მხოლოდ გვანუგეშებს.

6 — 10 — 56

მოსკოვი.



საქართველოს ჟურნალის დაგეგმარების საკითხები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას. სხვა დონის-ძიებებთან ერთად დასახულია ამოცანა: „უზრუნველყოფილი იქნეს ჯანმრთელობის დაკვირვების შემდგომი განვითარება, ამაღლდეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების კულტურა. გადიდდეს 1960 წ. 1955 წელთან შედარებით ადგილების რაოდენობა სანატორიუმებში — 10%-ით, დასასვენებელ სახლებში — 13%-ით, უზრუნველყოფილი იქნეს სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების ქსელის განვითარება“.

ზრუნვა ადამიანისათვის გამოვლინდა მშრომელთა ჯანმრთელობის სამედიცინო — საბჭოთა კურორტების ფართო ქსელის შექმნაში. სახალხო ჯანმრთელობისათვის დასახულ დონისძიებითა შორის სახელმწიფომ დასვა ამოცანა ზატარებელიყო მეცნიერულ საფუძველზე ძველი კურორტების რეორგანიზაცია, შათი გაფართოება და განვითარება ახალი მოთხოვნილებების თანახმად.

ამვე დროს, დაიწყო ახალი კურორტების მშენებლობა, რადგანაც არსებული კურორტებზე ვეღარ აკმაყოფილებდნენ გაზრდილ მოთხოვნას შთ მიმართ. სსრკ კონსტრუქციის შესაბამისად, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს ანიჭებს დასვენებისა და მკურნალობის უფლებას, კურორტების მშენებლობამ მიიღო ფართო ხასიათი. საბჭოთა კავშირში მშრომელთა სამედიცინო მომსახურება მიმდინარეობს ძირითადად სანატორიუმებში, რომლებიც წარმოადგენენ მკურნალობის უმაღლეს ფორმას. თვით კურორტები გადაიქცა უოველმხრივი შესწავლის საგნად. ფართოდ იქნა გამოილი კომპლექსური გამოკვლევები. კურორტების ქსელის განვითარება დაეყრდნო მეცნიერულად დასაბუთებულ სახელმწიფო გეგმას და გადაიქცა ჯანმრთელობის მმართველ ფაქტორად. საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა მეცნიერებას კურორტების შესახებ — კურორტოლოგიას.

კურორტების ძირითადი პრობლემების შესწავლისათვის დაარსდა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მთელი წყება, რომლებმაც დააგროვეს კვლევისა და მისი მეცნიერულად დამუშავების დიდძალი მასალა.

ცალკეულ კურორტებზე ჩვენ უკვე მოგვემოგვება დაგეგმარებისათვის საჭირო მასალები.

უნდა გავიხსენოთ ის დიდი სამუშაოები, რომლებიც ჩატარდა ყრილობის, სოჭა-მაიკესტის, ჩრდილო კავკასიისა და მრავალი სხვა კურორტის დაგეგმარებისათვის. ამვე დროს, საქართველოში, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ კურორტების ქვეყანას, კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ იქნა დიდი მუშაობა ძირითად საკურორტო ფაქტორების შესწავლისათვის.

იგი შეეხებოდა ჰიდრომინერალური რესურსების გამოვლინებას, წყაროების კოპტაცსა და დაცვას, კლიმატური ფაქტორების შესწავლას, სამკურნალო საქმის დაყენებას და სხვა.

მთავარი კურორტებისათვის შედგენილი იყო დაგეგმარების და განვითარების გენერალური პროექტები, დადგენილი იქნა კურორტების სიმძლავრე, შათი სამკურნალო რესურსების, სამედიცინო და კლიმატური პროფილის მიხედვით. დასახული და ნაწილობრივად განხორციელებული იყო საკურორტო მშენებლობის ზონების განსაზღვრა სამთო-სასანიტარო ზონებისაგან, წყაროების რეჟიმის სტაბილიზაციისა და დაცვისათვის გაქუქვისათვისაგან.

გამორკვევა და დასაბუთება ტერიტორიისა, რომელიც სჭირდება კურორტს მისი სრულყოფილი განვითარებისათვის, შეადგენს ვადამდებელ სამუშაოს ჩვენი კურორტების შესწავლაში. პირველად დადგენილი იქნა სამთო-სასანიტარო ზონები, ხოლო 1939-40 წ. წ. ჩატარდა კომპლექსური სამუშაოები წამყვანი კურორტების (წყალტუბო, ბორჯომი, აბსთუმანი, მენჯი, აჭტალი) სომეხებლო ზონების გამოისარკვევად, რაც შემდეგში დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.

ხუთწლეულების მიწილზე შესწავლილია სსრკ საკურორტო რაიონების გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები, გამოკვლეული მინერალური წყლების ყველა მნიშვნელოვანი საბადოება, გაზრდილი შათი დებიტები და ტემპერატურა, გადაკვლეული სიექსპლოატაციოდ ახალი მინერალური წყაროები და ა. შ.

კურორტების ჰიდრო-მინერალური რესურსების გამოკვლევით დადგენილი იქნა არა მარტო რიცხობრივი მაჩვენებლები განსაზღვრული დროისათვის, არამედ დასაბუთებული პროგნოზებიც მომავლისათვის.

მთელ რიგ შემთხვევებში მეცნიერულად დასაბუთებულ კაბტაის, ღრმა ბურღვისა და სხვა დონისძიებითა საფუძველზე წყაროების დებტმა

საგრძობლად იმატა (წყალტუბო, თბილისი, ბორჯომი, მენჯი, ცაიში და სხვა), რაც მნიშვნელოვანია მათი განვითარების გეზისათვის.

კურორტების კლიმატური პროფილის დადგენამ და მიკროკლიმატურ თავისებურებათა შესწავლამ მოითხოვა მრავალი წლის განმავლობაში დაკვირვებული მუშაობის წარმოება.

მტკიცე ნიადაგზე დაღა აგრეთვე მინერალური წყლების მოქმედების და მკურნალობის მეთოდების შესწავლა.

გამოკვეყნდა მნიშვნელოვანი ლიტერატურა ყველა ამ საკითხზე.

კურორტის დაგეგმარება, როგორც შედეგი ექიმის, კლიმატოლოგის, ჰიდროგეოლოგის და არქიტექტორის ხანგრძლივი თანამშრომლობისა, წარმოადგენს თვალსაზრისით მრავალთა კოლექტიური შემოქმედებითი მუშაობის ეფექტურობის ცხადყოფისათვის.

ამ მუშაობის საბოლოო შედეგმა—დაგეგმარების და გაშენების გენერალურმა პროექტმა, რომელიც ისახავს კურორტის განვითარებას ათეული წლების პერსპექტივით, უნდა მისცეს მწყობრი საისტემა შეცნიერულ სამუშაოების მიერ კომპლექსს.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა კურორტების არქიტექტურული დაგეგმარების საკენამო პრობლემებზე მოითხოვდა მის სათანადო სიმაღლეზე აყვანას.

ჩვენი მიზანია ძირითად კანონზომიერებათა გამოვლენა საქართველოს კურორტების დაგეგმარებისა და გაშენების საქმეში, გეონომიის მიღწევა დაგეგმარების რაციონალური მეთოდებით და პრაქტიკული დამარების აღმოჩენა კურორტების მშენებლობისათვის.

არქიტექტორის ჩამო კურორტების დაგეგმარების მეცნიერულად დასაბუთებულ მუშაობაში, როგორც მისალოდნელი იყო, ჩამორჩებოდა სხვა დარგებს.

ბუნებრივია, რომ მას უნდა დაეცა იმ ძირითადი კვლევების მასალებისათვის, ურომლისოდაც არქიტექტურული დარგის ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია. და თუმცა ცალკეული კურორტებისათვის ეს მასალა უკვე არსებობს და არქიტექტორის ამოცანები ნათელია, — მათი გადაწყვეტა ძნელდებოდა მტკიცე ნორმატივების უქონლობის გამო.

1946 წ. გამოცემული ნორმები სამედიცინო-სანიტარული დაწესებულებებისათვის ცხება ობიექტებს, რომლებშიც მოქმედებენ ჩვეულებრივ ტიპის დასახლებულ ადგილებში და არა კურორტებზე.

1949 წ. გამოცემული დროებითი ტექნიკური პირობები სპეციალიზებული სანიტარო-მედიცინისათვის სრულიადაც არ აშუქებს კურორტების დაგეგმარების საკითხებს.

ერთგვარი გაუმჯობესება შეიტანა 1953 წ.

გამოცემულმა ნორმებმა სანიტარო-მედიცინისა და დასახლებული სახლების დარეგულირებისათვის.

ეს ნორმები არ ვრცელდება საბავშვო და ტურისტულად დაკავშირებული სანიტარო-მედიცინაზე, ზოგადად ეხება ნაყვეთების ზომას და არ აშუქებს კურორტების არქიტექტურული დაგეგმარების საკითხებს.

ამ ვითარებაში, საგეგმარებო სამუშაოთა პროცესში, არ შეიძლება არ ჰქონდეს ადგილი შეცდომებსა და გადახედვებულ მოთხოვნებებს, განსაკუთრებით ნორმატული მანქანების და რკინიგზის, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს ნაკვეთის ფართობი და შენობის კუბატურა ერთი სანაპირო სანაპიროსათვის, სანიტარო-მედიცინის სართულიანობა და მოცულობა.

ამ შეცდომების საგრძობი ნაწილი ჩვენ შეგვეძლოს თავიდან ავიცილებინა შეცნიერი გამოცდების სისტემატიზაციითა და მისი განზოგადებით.

უნდა გამოვიმუშაოთ კურორტების დაგეგმარებისათვის სახელმძღვანელო ზოგადი პრინციპული დებულებები. ეს დებულებები შეიძლება იყოს საერთო ყველა კურორტისათვის და კერძო — ან თუ იმ განსაზღვრული შემთხვევისათვის. უფიქროს კერძოტა სპეციფიკურია, აქვს თავისი ინდივიდუალური თავისებურება, გაუმკობრებელი სახე, შეეხება ეს სამკურნალო პროფილს, კლიმატურ მონაცემებს, ჰიდრომინერალურ რესურსებს, რელიეფს, გეოგრაფიულ მდებარეობას, ტოპოგრაფიულ თუ გეოლოგიურ სტრუქტურას და სხვა.

მაგრამ, ცალკეული კურორტების სრული თავისებურების მიუხედავად, უდავოა არქიტექტურული დაგეგმარების ძირითადი პრინციპების დადგენის შესაძლებლობა.

უნდა გამოვინდგინო ზოგადი განზოგადებული კანონზომიერება, რომლებიც დაედება შემთხვევად კურორტების დაგეგმარებას, რასაც საქართველოს პირობებში ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

უნდა დაეადგინოთ აგრეთვე კურორტისა და საცხოვრებელი ერთეულის (დაბა, ქალაქი, საკურორტო დაბა) ურთიერთი დამოკიდებულება ეს მომენტები მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ჩვენი კურორტები, იშვიათი გამოჩენისის გარდა, ტერიტორიულად და საეკონომიკურ თვალსაზრისით მკიდროდ არიან გადახლართული ქალაქებთან თუ დაბებთან, საბჭოთა სინამდვილეში არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი კურორტისა და ქალაქის ინტეგრაციის დაპირისპირებას. კურორტისა და ქალაქის შეთავსების შემთხვევები მრავალია და მაგალითისათვის შეგვიძლია დავსახვით თბილისი, ბორჯომი, ბათუმი, ქობულთი, სოხუმი, გუგარა და სოჯა.

ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან ქალაქ-კურორტები — კისლოვოდსკი, პიატიგორსკი, იალტა, ოდესა და სხვა ადგილები, ქალაქ-

კურორტები ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, იტალიაში და სხვაგან. ბორჯომში კურორტი შეიქმნა ქალაქის ცენტრში და დაგეგმარების პროექტმა ანგარიში უნდა გაეწიოს ამ გაერმოვებას.

ამის საწინააღმდეგოდ, ბორჯომის დაგეგმარების ერთი ვარიანტი იძლეოდა წინადადებას სარაიონო ცენტრის გატანის შესახებ ვაშლოვანყვიბისში მდ. შტკურის დინების ქვედა მხრისაკენ, რაც არ იყო რეალური და უარყოფილი იქნა. დაგეგმარების მეორე ვარიანტით კურორტისა და ქალაქის ტერიტორიული გამოყენება ზედა მინერალური წყაროების განლაგების მიხედვით.

ქობულეთში დაგეგმარების პირველი მეტრეტად მარტივი გეომეტრიული სქემა, რომელიც გულისხმობდა საცხოვრებელი შენობების აგებას კურორტის გრძივად, ყოველი სანატორიუმის უკან, აგრეთვე უარყოფილი იქნა და მიიღეს წინადადება, რომელიც ქალაქს და კურორტს ტოვებდა თავის ბუნებრივ საზღვრებში, ხოლო კურორტის მომსახურე პერსონალს კი 15%-ის გარდა, რომელსაც ტოვებდა სანატორიუმთან კურორტში, თავსებდა ძირითადად ქალაქ კობულეთში. ამ იდეას დამატებოდა ჩვენ მიერ შედგენილი პროექტი. დამატებული პროექტი აგებულა პირველი შეხედულების იდეაზე, სათანადო კორექტივებით. ანალოგიურ შემთხვევებში გავრის, სოქის, კასლოვლსკის, იალტისა და სხვა ადგილების დაგეგმარების პროექტებით ნაბოვნი იყო ოპტიმალური გადაწყვეტა, თანაბრად მისაღები კურორტებისა და ქალაქებისათვის.

როგორც ცნობილია, პარტიისა და მთავრობის უკანასკნელი დადგენილებებით სასტიკად დაგომილია ეკონომიკის საკითხების უგულებელყოფა, რასაც ხშირად სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. დამგეგმარებლის ხელოვნება უნდა ვერდობოდეს დასაბუთებულ ეკონომიურ გაანგარიშებას.

აქტიუტეტორი ვალდებულია სითეთად მოეპყროს ბუნებრივ საშერნალო მონაცემებს, რომლებიც შეიძლება არათუ გაეთმჯობესოს, არამედ ვეაუარესოს კიდევ.

ავტორიტეტული ვამოკვლევებით, მვალითად, შტკიულება ცუდი კლიმატური პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობა, კლიმატური ფაქტორების შემოქმედების გაძლიერება. შესაძლებელია, პირიქით, მათი ვაუარესება, მვალითად, ტყეების უგეგმო გაჩეხვით, მწვანე ნარგავბათა ანგარიშის ვაუქველობით, მათი, როგორც მიკროკლიმატის ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორის, უგულებელყოფით. ცნობილია ნარგავბათა ზეგავლენა თბო და საარაღიკო რეჟიმზე, პერის ტენიანობაზე, პივიენურ პირობებზე და ქარდაცვის ზოლების შექმნისათვის. მვალითისათვის შევიძლია მოვეყვანოთ აბსოლუმინი, სადაც ტყეების გაჩეხვამ ზედა სანატორიუმებ-

თან გზის გაყენის დროს ვაუგუხსნა წაღლოთის ქარებს, რომლებიც აქამდე წინათ შედარებით ნაყლებად აღწევდნენ. წინაშეების მონარჩენების ვაშვებამ ზღვისკენ გავრის ერთერთ კურორტთან ზიანი მიაყენა ზინიონის პირობებს საგრძნობ მანძილზე. უარყოფითი შედეგი მოიტანა დელდინისის ქარხნის მოწყობამ ერთი კურორტის მახლობლად და ასე შემდეგ.

მნიშვნელოვან საკითხად უნდა ჩითივალის მინერალური წყლების მიწოდება განსაზღვრულ მანძილზე, მვგრამ მათი საშერნალო თვისებების შენარჩუნებით, ღამის დებიტის გამოყენება თბილისში, მეწეში და სხვაგან ბალნეოტექნიკური პირობების დაცვიით.

შემოსხნებულ გაერმოვებას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რადგანაც იძლევა შესაძლებლობას კურორტის ვამენებისათვის ოპტიმალურ ვითარებაში და არა უსათუოდ წყაროების გამოსასვლელებთან, რაც საძნელო და მთელ რიგ შემთხვევებში შეუძლებელიც არის.

სამეცნიერო-მეთოდოლოგიურმა შეშობამ კურორტების დაგეგმარებისა და მშენებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ უნდა მოგვეცეს პასუხი მთელ რიგ ცხოველყოფილ საკითხებზე, რომელთა ნაწილსაც ჩვენ აქ ჩამოვთვლით:

1. დახუტდეს ნორმატული მონაცემები საქირო მიწის ნაკვეთის ფართობის შესახებ ერთ საწორზე სხვადასხვა ტიპის კურორტისათვის, რაც მოგვეცეს შესაძლებლობას მათი განლაგებისათვის კომპაქტურ, მვგრამ სრულიად საყოფ, ტერიტორიაზე.

2. დადგინოთ იქნის სამედიცინო და ფუნქციონალური ზონირების პრინციპები ბუნებრივი საშერნალო ფაქტორების ანგარიშის გაწევიით.

ამ ძირითად ზონებს შეადგენენ: სასანატორო, ზოგად საკურორტო დაწესებულებათა, მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი ზონა; სატრანსპორტო მოწყობილობა, სამეურნეო-ტექნიკური ზონა და სხვა.

3. დამუშავდეს სანატორიუმებისა და დასასვენებელ სახლების ტიპური საძილე სექციები, მათი საგეგმარებო ელემენტების უნიფიკაცია და შემდეგში ტიპური პროექტები კურორტების დაგეგმარებისა და ვამენებისათვის, ზედმეტობის აღმოსაფხვრელად პროექტირებასა და მშენებლობაში.

ჩვენ აქ ვვინდა შევეხოთ ერთ მეტად სერიოზულ საკითხს საკურორტო ობიექტების დაპროექტების საქმეში.

საქართველოში სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების პროექტირებას ეწევა თითქმის ყველა საპროექტო ინსტიტუტი, პერიფერულთა გამოუკლებლივ. მრავალი წლის გამოცდილება ვაწმუნებს, რომ უმჯობესი იქნებოდა ამ საქმის წარმოება ერთ-ერთ საპროექტო ინსტიტუტში.

დამტკიცებელი ტიპური პროექტები ამ დარგში არ არსებობს, მაშინ როდესაც ქალაქებში

მოქმედი სამკურნალო დაწესებულებებისათვის (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ამბულატორიები) და საცხოვრებელი სახლებისათვის ისინი მრავლად მოგვეპოვება და ახლებიც მუშავდება.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დარგში არსებობს დიდი არე-დარევი და საკითხი კურორტებზე მოქმედ სამკურნალო დაწესებულებათა საგვემარებო ელემენტების ზუსტი სახლების დადგენისათვის წარმოადგენს გადამდებელ ამოცანას სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად „ზედმეტბათა ამოწმებისათვის პროექტირებასა და მშენებლობაში“. და მართლაც, არსად ამ ზედმეტბათს ისე არ გავლია ფრთები, როგორც სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების პროექტირებასა და მშენებლობაში, სადაც იგი ითვლებოდა აუცილებელ საქმედ.

შეგათვინო მრავალ მოგვეპოვება მთელ საქმეთა კავშირში და საქართველოშიც, სადაც საკურორტო მშენებლობა მიმდინარეობდა სხვადასხვაგვარ კლიმატურ, რელიეფისა და სხვა პირობებში.

სადაც იყო თვით სასანატორო პალატების ტეპიდობა ერთიდან ოთხ საწოლამდე და მეტრიც დადგენილი უნდა იქნეს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების პალატებისათვის ძირითადი ტიპები, რადგანაც მათ ზომებზე არის დამოკიდებული საძილე სექციის აგება მთლიანად, საგვემარებო ელემენტების უნაფიციაციის შესაძლებლობა. უკანასკნელი წლების სასანატორო მშენებლობაში მიღებული იყო ძირითადად ოთახები ერთი და უმთავრესად ორი კაცისათვის, რაც უფრო გამართლებულია ეკონომიურად.

ოთახები 3 საწოლით სსრკ-ელია დაშვებული იქნეს შეზღუდული რაოდენობით, ხოლო უფრო მეტიანი აღიკვეთოს სავსებით. მშენებლობის ომისწინანდელ პრაქტიკაში მცირემეტრებიანი საძილესათვის ოთახების ზომებსა და შემადგენლობას არ მთელია პროექტირებაში სრულფასოვანი გადაწყვეტი.

ტიპიზაცია, პირველ ყოვლისა, უნდა შეეხოს საძილე ბინათს, მისი შემადგენლობის, ფართობების და გაბარიტების დაზუსტებას. 1953 წლის პროექტირების ნორმებით საძილე ოთახის ფართობი ერთი კაცისათვის მიღებულია 10 კვ. მეტრი, ორისათვის — 15 კვ. მეტრი და სამისათვის — 20 კვადრატული მეტრი.

თვით საძილე ბინათვი, საძილე ოთახი, სასანატორო კვანძი, ტამბური, აივანი-ლოჯია და შეწყობილობა, თუმცა დაზუსტებულია თავისი შემადგენლობით, მაგრამ შემდგომ დაშვებების მოთხოვნის სათავეების სიღრმე, სიგანე და სიმაღლე, მათი პროპორციულობა და მისტები, საძილე ოთახების ორიენტაცია და სხვა.

დაგვემარების რაციონალური მეთოდები დაგვიპირება სასარგებლო ფართობის მაქსიმუმის

მიღების დროს, საკითხის გამორკვევისათვის მიზნუწონილია თუ არა აბაზანის მოწყობა ყოველ საძილე ოთახთან, რაც ტექნიკურად სავსაშალოა და ძვირიც ჯდება. არ უნდა გავუვივათ შედეგობიდან, რომ სარგებლობა აბაზანებით ან შეფვებით ბალნეოლოგიურ (საბანაო) და კლიმატურ კურორტებზე შეზღუდულია და დასაშვებია მხოლოდ ექიმის მითითების შემდეგ. ამიტომ ინდივიდუალური აბაზანები და შეფვები უნდა დავუშვათ შეზღუდული რაოდენობით.

პარსანების მოწყობა წიშებში სრულიად გამართლებულია. აივნებსა და ლოჯიის სანატორიუმ-დასასვენებელ სახლებში აქვთ ფუნქციონალური დანიშნულება, რადგანაც წარმოადგენენ ავადმყოფების სამყოფელს ღია ჰაერზე, რაც ნავარაუდევია მკურნალობის კომპლექსური მეთოდებით, მაგრამ მათი გაბარიტები და განსაკუთრებით სიღრმე მოითხოვს დაკვირვებულ შესწავლას კურორტის პროფილის, სამკურნალო ობიექტისა და კლიმატურ თვისებებზე მისი საბაზისად. დღისა სხვაობა წინადადებებში მოცულობის შესახებ ერთ ადგილზე სანატორიუმებისათვის 150-300 კუბური მეტრი და დასასვენებელ სახლებისათვის 110-150 კუბური მეტრი, სამკურნალო დაწესებულების სიდიდის მიხედვით — 100-დან 300 საწოლამდე.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ოთახების სიღრმის დადგენას, რომელიც ნორმებით უდრის 6 მეტრს, მაგრამ ფაქტურად არ აღემატება 5 მეტრს.

ლოჯიებისა და აივნების სიღრმე იცვლება 1.5-3 მეტრამდე, რაც უზრუნველყოფს წამოწმული აივნის დადგენას. სათავსოთა სუფთა სიმაღლე რეკომენდირებული 3.5-4 მეტრამდე მოითხოვს დამატებით შესწავლას.

კორიდორების გაშენება მიღებულია ცალმხრივი, მაგრამ მიზნუწონილია აგრეთვე მეორე მხრის გამოყენებაც, ზოგიერთ შემთხვევაში საძილე პალატებისა და ძირითადად კი დამხმარე სათავსოების მოსაწყობად, რითაც მივალწვედით მათი ხვედრითი წონის საგრძობ შემცირებას გაშენების მთელი ფართიდან. მუშაობა ამ მიმართულებით მიგვიყვანს ჩვენ ტიპიური საძილე სექციის შექმნამდე, დაგვემარების მიხედვებით, მარტივი და ეკონომიური სქემებით, უნიფიცირებულ გადახურვებისა და სანატორიუმ-დასასვენებელი სახლების ტიპობრივი კორპუსების გადაწყვეტამდე.

უპველია, მოვიხილება საძილე ბინათების და დამხმარე სათავსოების სიგანისა და სიღრმის დასადგენად მოდულის სისტემის ხმაერება და მთელი შერობის დაქვემდებარება ამ სისტემისადმი.

მხოლოდ დასახელებული სამპროექტო-საკვლევი სამუშაოების შესრულების შედეგად სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლებისათ-

ვის შეიქმნება წინაპირობები მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლისათვის, რაც არათუ მიგვიყვანს მის გაიაფებასა და სისწრაფეზე, არამედ აგვაცილებს ყოველგვარ ზედმეტობას პროექტირებასა და მშენებლობაში. ამ მხრივ მრავალ საინტერესო შედეგები უნდა მოგვეყვას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მიერ 1956 წ. გამოცხადებულმა სრულიდ საქავშირო კონკურსში სანატორიუმებისა და დასასვენებელი საბლების შენობათა ტიპობრივ პროექტებზე — 250 და 400 ადგილი საშუალო და საშრბეთის რაიონებში ასაგებად.

კონკურსის პირობებით განზრახულია მთავარი კორპუსი — წლიური მოქმედების, ხოლო ხუზარური დანიშნულებისათვის — გამართვებული კონსტრუქციის მთელი რაჟი საწოლა კორპუსები, დამხმარე სათავსების მნიშვნელოვანი შემცირება, მშენებლობის ღირებულების მკვეთრი შემცირება, ასაწობი კონსტრუქციების და ქარხანაში დაშალადელი დეტალების, ახალი ეფექტური მასალებისა და მოწყობილობის ფართოდ გამოყენება.

4. გამოვლინდეს არქიტექტურული კომპოზიციის დამოკიდებულება ბუნებრივ პირობებზე, დამუშავდეს შენობების სართულიანობისა და მოცულობის საკითხები. უნდა გვახსოვდეს, რომ კურორტების არქიტექტურა — ეს ძირითადად სანატორიუმების, აბაზანების, ტალახით სამკურნალოების, საკურორტო სისტემების და სხვა საკურორტო ობიექტების არქიტექტურაა, რომელსაც ძალიან ბევრი რამ სახაგავებს ჭალაქში მოქმედი ჩვეულებრივი სახის სამკურნალო დაწესებულებებისაგან (საავადყოფოების, პოლიკლინიკების და ამბულატორიებისაგან).

სანატორიუმები, სააბაზანოები, კურორტები და სხვა შენობები პარკებისა და საბარკო ზეინების შუგანე ფონზე, გარშემორტყმული ვაზონებით და ყვავილნარით, შადრევნებით და არქიტექტურის მკობრ ფორმების მრავალსახეობით, — ძლევან ტრანს მთელი კურორტის არქიტექტურას და წარმოადგენენ მის წამყვან ელემენტს.

5. შესწავლილი იქნეს რელიეფის როლი, რომელსაც ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამა თუ იმ საგვემარებო გადაწყვეტაში, საქართველოს, მავალითისათვის, რომლის კურორტების უმრავლესობა განლაგებულია მთიანი რელიეფის პირობებში, საკვადებულა რელიეფის ზეგაღვინის დახსტება და შესწავლა.

როგორც ცნობილია, ჩვენი კლასიკური არქიტექტურული ნაგებობანი ძლევან თვალსაჩინო მავალითს რელიეფის ბრწყინვალედ გამოყენებისათვის.

6. დამუშავდეს შუგანე მშენებლობის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, რასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი კურორტისათვის. დადგენილი იქნეს მოთხოვნილებები

დეკორაციული-მებალეობის და პარკების მშენებლობის მიმართ კურორტებზე, ჰებეფუფურ პირობებში.

შენიშვნები

განსაკუთრებით წაიწია ჩვენში კურორტების გამწვანების არქიტექტურამ. შუგანე ნარგავების გავლენა კლიმატის ფორმირებაში და მთელი კურორტის ესთეტიკაზე მოითხოვს სათანადო ყურადღებას ამ საქმისადმი.

ჩვენი კურორტების მიმართ თამამად შეიძლება ითქვას: „კურორტი პარკში და არა პარკი კურორტში“. აქ საკმარისია გავხსენოთ შესანიშნავი ზღვისპირა პარკები გვარაში, სოხუმში, ბათუმის სანაპიროზე, სოჯაში და სხვაგან.

7. გათვალისწინებულ იქნეს შენობების და მთელი კურორტის კარგი არქიტექტურა, რომელსაც მკურნალობის რთულ კომპლექსში უკავია მნიშვნელოვანი ადგილი. კურორტის დაგვემარება, რომელიც გვამლევს მის არქიტექტურულ-სამხატვრო სახეს, არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ფუნქციონალურ-ტექნიკური თვალსაზრისით.

8. გათვალისწინებული იქნეს კურორტის მთლიანი დაგვემარების და მისი ცალკეული ზონების განლაგების დრის ინსოლაციისა და აერაციის ფაქტორები, რასაც მნიშვნელობა აქვს სისანატორო კარპუსების ფორტის გამორკვევისა და მათი სმაილე პალატების ექსპოზიციისათვის, ქვეყნის ფრთენთა და გაბატონებულ ქართა მიმართ.

9. შესწავლილი იქნეს და არქიტექტურული თვალსაზრისით დახასიათებული ადგილობრივი სამშენებლო მასალები, რომელთა როლდღია და ნაირფერობა საქართველოში ფრად დიდია.

ეს მასალები წარმოადგენენ დიდ ინტერესს პოლიკრომიის მხრივ და ეკონომიური ეფექტრობის თვალსაზრისითაც, რასაც მივალწევთ მათი ფართო მასშტაბით მომხარების დრის.

ხსენებულ მასალების დასახასიათებლად საკმარისია გავხსენოთ სახელგანთქმული მარმარილები — ლობოტის, სალიეთის, მელაურის, საკასრიის, ბოლნისის ტუფი, კურსების გრანიტი, კირქვები და სხვა.

შემოთხამოთვლილი პრაბლემების და საკითხების მოკლე ნუსხა ძლევვა წარმოადგენს, თუ რა რთული და მრავალმხრივი ამოცანები წამოიტვიბინ არქიტექტორ-დამგვემარების წინაშე კურორტების დაგვემარების დრის.

ესადა, რომ ავტორიტეტულად ვაღპრა ამ ფრიად სერიოზული საკითხებისა შეიძლება მხოლოდ საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის დახმარებით და სხვადასხვა საბროექტო ინსტიტუტის გამოცილების გამოყენებით. გამოყენებული უნდა იქნეს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების და უცხოეთის საკურორტო მშენებლობის ყველა მიღწევა.

მთელი რიგი საკითხები შეიქმნება დამუშავდეს აგრეთვე კოორდირებულად, მგალითად, ცენტრალური კურორტოლოგიის ინსტიტუტთან მოსკოვში, უკრაინის კურორტოლოგიის ინსტიტუტთან, საქავეშირო საბროექტო ინსტიტუტებთან და სხვა.

ამგვარ თანამშრომლობას ადგილი ჰქონდა წინააღ, რაც ფრიად ნაყოფიერ შედეგებს გვაძლევდა კურორტების არქიტექტურული და გეგმარების პროცესში. ეს კარგი ტრადიცია საჭიროა განახლდეს.

ეფექტობთ, რომ დროა ამ საკითხის დაყენება და გადაჭრა, რადგან ამას მოითხოვს ჩვენი კურორტების მშენებლობისათვის გაღებული ასეული მილიონი მანეთის თანხები და დიდი მატერიალური რესურსები.

მშენებლობის დიდი მისშტაების გამო შეღარებთ მცირე შეცდომებიც კი დაგეგმარების დროს დიდ ზიანს მოუტანს სახელმწიფოს.

კურორტების მშენებლობის განსაკუთრებულ

ინტენსივობით მთელ საბჭოთა კავშირში გამოირჩევა სოკა-მაცესტა, ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის ჯგუფის კურორტებში. მათგან უკვე წყალტუბოში, ბორჯომში, აბსთუმანში და სხვა კურორტებში. შექმნილია ახალი კურორტებისა და დასასვენებელი ადგილების დიდი რაოდენობა საწარმოო ძალთა განვითარების რეალურ საფუძველზე. ამავე დროს, ძველ კურორტებზე ჩატარდა ძირეული რეკონსტრუქცია. თუ რა ზასიათის რეკონსტრუქცია ტარდებოდა, ამის თვალსაზრისი მაგალითს იძლევა სოკა-მაცესტის კურორტი, რომელიც არსებითად ხელახლა შეიქმნა.

დაგეგმარების რაციონალურმა მეთოდებმა უნდა გამოასწოროს ძველი გეგმების ნაკლი, ხოლო ახალმა გეგმებმა კი დააკმაყოფილოს თანამედროვე საბჭოთა ჯალაქთმშენებლობის ყველა მოთხოვნილება.

ლიბერალური ეპიკრიკოზი

1913 წლის
1913

ბ. პაპორია



აღ. წულუკიძე ლიბერალურის შესახებ

(დაბადების 80 წლისთავის გამო)

ა. წულუკიძე ჯერ კიდევ ქაბულობისას ეწეოდა ქართულ და რუსულ კლასიკურ ლიტერატურას და, როგორც თვითონ ამბობს, დიდად იყო გატაცებული 60-იანი წლების მწერლობით. ეიღერ მარქსიზმამდე ამაღლებოდა, წულუკიძე განიცდიდა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელანსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლინოვის იდეების კეთილმყოფელ გავლენას. ახალგაზრდობისას წულუკიძე ლექსებსაც წერდა. იგი 19 წლისა იყო, როდესაც გაზეთ „ივერიამი“ დაბეჭდა „ღამის სურათები“ და რამდენიმე კორესპონდენცია, რომლებშიც მკაფიოდ დაგვიხატა როგორც მშრომელთა მძიმე და უმწეო მდგომარეობა, ისე ექსპლუატატორთა განცხრობითი ცხოვრება.

ა. წულუკიძემ 1895 წელს ქ. ქუთაისში წაიკითხა რეფერატი ე. ნინოშვილის „ტარიელ მკლავის“ შესახებ. იგი დიდად აფასებდა ე. ნინოშვილის მოთხოვნებს, სადაც ნათლად იყო ასახული მე-19 საუკუნის დასასრულის ქართულ გლეხთა მძიმე მდგომარეობა. თავის რეფერატში ავტორი იძლეოდა ამ ნაწარმოების მარქსისტულ ანალიზს.

ბ. ცხაკაია ამბობდა, რომ ა. წულუკიძის მოხსენებამ ე. ნინოშვილის „ტარიელ მკლავის“ შესახებ პირადად მასზე და ქუთაისელ ამხანაგებზე დიდი გავლენა მოახდინა. „ჩვენ განცვიფრებულ ვიყავით, — წერდა ბ. ცხაკაია, — ახალგაზრდა რევოლუციონერი მარქსისტის ბუნებრივი ნიჭითა და მდიდარი ერუდიციით“.

1897 წელს წულუკიძე მიემგზავრება მოსკოვში, სადაც ეწიფება მარქსის, ენგელსის, პლეხანოვისა და ლენინის შრომებს. დიდი ლენინის შრომებმა განსაზღვრა ა. წულუკიძის მსოფლმხედველობა. მარქსისტული ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის შესწავლასთან ერთად იგი დიდ ყურადღებას აქცევდა „ესთეტიკისა და ლიტერატურის საკითხებს“.

ა. წულუკიძე ლიტერატურისა და ზელოვნების საკითხებს ეხება ნაშრომებში: „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში (1898 წ.), „საუბარი მკითხველთან... (1899 წ.) „მკითხველის შენიშვნები“ (1900 წ.). პირადი მიმოწერა და სხვა, რომლებშიც იგი მარქსისტულად წყვეტდა ისეთ საკითხებს, როგორცაა ქართული ლიტერატურის

განვითარება, 90-იანი წლების ლიტერატურის შეფასება, მხატვრული ლიტერატურისა და ცხოვრების ურთიერთობა, მწერლის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, ლიტერატურული გმირების ჩამოყალიბება, მხატვრული ლიტერატურისა და ზელოვნების სოციალური დანიშნულება, ბურჟუაზიული მორალის კრიტიკა და სხვა.

ა. წულუკიძე ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების არასწორ შეფასებას იძლეოდა და გაიძახოდა, თითქოს 90-იანი წლების ქართული ლიტერატურა დაკნინდა, თითქოს 60-იანი წლების მწერლობით დამთავრდა მხატვრული ლიტერატურის განვითარება და ჩვენ ვუღარ დავუბრუნდით ძველ სანებარ დროს, თითქოს ბედმა გვარგუნა, ვკითხოთ უშინაარსო და ზოგჯერ მავნე მოთხოვნებიც კი, რომლებსაც 90-იანი წლების ბელეტრისტები გვთავაზობენ.

ა. წულუკიძე ამტკიცებდა, რომ 90-იანი წლების ქართული ლიტერატურის ამგვარი შეფასება შედეგია ქართული ლიტერატურის საკმეო შეუსწავლულობისა და საკითხისადმი არამეონიერული მიდგომისა. იგი ებრძოდა დოგმატურ ლიტერატურულ კრიტიკას, რომელიც ბატონობდა იმდროინდელ ქრწნალ-გაზეთების ფურცლებზე. წულუკიძე აღნიშნავდა, რომ 90-იანი წლების ქართული მხატვრული ლიტერატურა არის ქართული რეალისტური ლიტერატურის ორგანული და ბუნებრივი განვითარება, მისი ტრადიციების გაგრძელება.

ა. წულუკიძის აზრით, რეფორმის შემდგომდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა ღრმა სოციალ-ეკონომიური ცვლილებები: სწრაფად ვითარდება ეპრობა-მრწველობა, სოფლად იჭრება კაპიტალიზმი, ხდება გლეხების გაინაგება. კაპიტალისტურმა ურთიერთობამ გადატარალება მოახდინა მთელ ზედანაშენში, გამოიწვია საზოგადოებრივი ფსიქოლოგიისა და იდეოლოგიის შეცვლა. „ყოველი თვალსაზრისით სოციალური ცვლილება თავის ელფერს ღებს გონებრივ მოძრაობას, რის გამო ლიტერატურაც ფერს იცვლის, ახალ მიმართულებას აღგება“ (მხულებანი, გვ. 47).

ლიტერატურული მასალების მარქსისტული ანალიზის საფუძველზე წულუკიძე ამტკიცებდა,

რომ 90-იან წლებში მხატვრული ლიტერატურა კი არ დაქვეითებულა, არამედ ქართულმა მწერლებმა თანდათანობით შეცვალეს თავიანთი თემატიკა და შექმნეს ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც ასახეს საზოგადოებრივი ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებები. ჩაწება რა ლიტერატურის არსებას, წულუკიძე კიბხეის სევას, თუ რა მოვლავებმა ლიტერატურას, მწერალს და იქვე უპასუხებს: მწერალს მოვთხოვება „სინამდვილის სწორად გამოხატვა ცოცხალ მხატვრულ ფორმებში“ (იქვე გვ. 71). რადგან „მწერლობა ცხოვრების სატყეა“. მწერალმა, ა. წულუკიძის აზრით, უბრალოდ კი არ უნდა ასახოს ცხოვრების მოვლენები, არამედ იგი უნდა ჩასწვდეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შინაგან კანონებს, მის არსებით მხარეებს, რომ მწერალმა უნდა ასახოს ცხოვრება თავის მრავალფეროვნებაში და გადიდოს „ის სურათი, რომელიც ცხოვრებაში ჰქონდა“.

ა. წულუკიძის აზრით, მე-19 საუკუნის დსასარულს საქართველოში მომხდარი ღრმა სოციალ-გეონომიური ცვლილებანი მხატვრულ ფორმებში ასახეს და ახალი პირობების შესატყვისი ნაწარმოებები შექმნეს ვგნატე ნინოშვილმა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“, „მოსე მწერალის“, „სამონას“, „გოგია უიშვილის“, ლალიონმა (არსენ მამულაიშვილი) „ფირალი დავლასის“, დავით კლდიაშვილმა „სამანიშვილის დედინაცუალის“, „ქამუშაის გაქირებების“, შოი არაგვისპირელმა თავის ნოველების სპაით.

ა. წულუკიძე 90-იანი წლების ქართული პროზის ნიმუშად იღებს ლალიონის მოთხრობა „ფირალი დავლასის“ და ახდენს მის კრიტიკულ ანალიზს, რადგანაც ამ მოთხრობის გარჩევა, ამბობდა იგი, დაგვანახებ, თუ რამდენად არის მასში იმპროვიზირებული ცხოვრების „გულის პასუხი გამოთქმული“, ე. ი. გამოხატული სოფლის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები.

სტატიაში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ ა. წულუკიძე გადმოგვცემს ლალიონის მოთხრობა „ფირალი დავლასის“ მოკლე შინაარსს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოთხრობის მთავარი გმირების — ივანე დავლასისა და ნიკო კალაძის ყოველმხრივ დახასიათებას, რადგანაც ისინი იმპროვიზირებული პირობების რეალური სახეები იყო ვინ იყო ივანე დავლასი? ა. წულუკიძე ამბობს, რომ იგი იყო ძველი ფეოდალური კლასის წარმომადგენელი, „ნაშთი ძველი დიდებისა“. ივანესთან ტაბები რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში არსებობდნენ და ლიტერატურაში ისინი დაგვიხატა გ. წერეთელმა „პირველ ნაბიჯში“, ე. ნინოშვილმა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“, დ. ერისთავმა „ვისი ბრალია“ და ლალიონმა „ფირალი დავლასის“. ამ ტიპების საერთო ხედიანია ის, რომ იმპროვიზირებული საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ირაციებიან და უშინაარსოდ ამთავრებენ თავიანთ ხანმოკლე სიცოცხლეს.

ივანე დავლასის ანტიპოდი ნიკო კალაძე, რომელიც ახალი ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელია. იგი თავისი საქმიანობით, შეხედულებებით და მორალთ ახალი ცხოვრების დედანაზრს განასახიერებს, „ახალი დროის მერცხალია“. გლეხის შვილი ნიკო კალაძე ეპრობაში გამოიწევა, სოფლისაგან საქონელს იფად ყიდულობს, ერთიორად კი ყიდის, მისი დევიზია: „რაც შეიძლება იფად იყიდოს და მერფასად გაასალოს“. ნიკო კალაძე სხვების გლარობებით სიმდიდრეს იძენს, ისე როგორც მდიდრდებოდნენ დავით დროიძე, ბაბუა ფულავა და სხვები.

ა. წულუკიძე უბრალებს აქციებს იმას, რომ ლალიონმა და ნიკოს — მისწრაფებანი და ფსიქოლოგიური მოტივები დაგვანახა მათი პირველი შეხვედრიდანვე: „რა ამბავია, კაცო, ამდენ ხანს რომ გვაკითვ! პაწაი ადრე არ გვეკადრებოდა მოსვლა, სიდაური დიდი კაცი შენ ხარ? ძალდატანებულის ხუმრობის კილოთი უთხრა ივანემ. — შენთან კი ვარ უკუკრავთ, ირონიულად უპასუხა ნიკომ — უკუკრავთ კი ხარ, ყანაბო, მეტი არაფერი! წარმოსთქვა ივანემ გაბრაზებით.“ (იქვე, გვ. 14).

ივანე დავლასი ცხოვრებაში გარაყული რჩება; ეს იმიტომ ხდება, აღნიშნავდა ა. წულუკიძე, რომ ახლა სხვა დრო დადგა, წარსული ჩაბარდა მკლავლონიერობა ძალა, გაქრობა-მარწყველობის განვითარების შედეგად „გუშინდელი ბატონი იმისი ყმაა გეონომიურად, რომელსაც გუშინ თვით ბატონობდა. თავდაუნაწურობა, რაგორც წოდება, დღევანდელი ცხოვრების ბორც-მეტია. მას მხოლოდ სახელი მერჩინია, უშინაარსო, უაზრო, სახრავი მისი აღარ არის“ (იქვე, გვ. 15).

ა. წულუკიძე მოხდენილად შენიშნავს, რომ ლალიონმა ნიკო კალაძის სიტყვებში — „ახლა კაცი იგია, ვინც თვითონ ვარჯა, ვისაც რამე გააწინაიო“, გამოხატა იმპროვიზირებული ცხოვრების ნამდვილი დედაზარი, მისი შინაარსი. „რაც პუბლიცისტ-გეონომისტებს მრავალი ცვლადობებით დაუსაბუთებიათ, ნიკომ მოკლედ და მარტივად გამოთქვა“ (იქვე, გვ. 20). ამგვარად, კაპიტალიზმის განვითარების შედეგად აღმთავრირი ღირსება წინანდლებურად გვაზიშვილობით კი არ იზომება, არამედ სიმდიდრით. ახლა საზოგადოების მეთაურობას ბურჟუაზიის კლასის წარმომადგენელი კისრულობს. თვით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ წარმოშვა ივანესა და ნიკოს შორის ანტაგონიზმი. მხატვრული მსაალის საფუძველზე ა. წულუკიძე არყვეს, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად აღმთავრირების კლასობრივი დიფერენციაცია, შწევადება ანტაგონიზმი და კლასების ერთმანეთთან შერეობა შეუძლებელია, როგორც ამას ამ პერიოდში კლასთა „საერთო ნიადაგის“ მომხრები — ა. ჯორჯაძე და სხვები ცდილობდნენ.

ივანე დავლიძე ნათლად გრძნობს, რომ მის ფული სჭირდება თავისი ფუქსიატორი ცხოვრების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მის სხვა გზა ვერ მოუწახვავს ფულის საზოგადოებად, ვარდა შამა-პაპუელი მაშულის გაყიდვა-დაგირავებისა ან ძალადობისა. ძალადობით ეს ფულის მოგროვება აკრძალულია; ამიტომაც ივანე ვერ ეწყობა მაშინდელი წყობილების მოთხოვნებებს. კაპიტალისტური საზოგადოება ვერ ითმენს. ივანე დავლიძესა და მის მსგავს ტიპებს, „ცხოვრება მით ვერ ჰგუობს და ისინი — ცხოვრებას“. პირიქით, ნიკო კალაძე კაპიტალისტური ცხოვრების საიდუმლოებათა კარგი მცოდნეა და მოზერხებული გამომყენებელიც. იგი ფულით იმარჯვებს უველან და იმავე ფულითვე ცდილობს შოპოვის სიყვარულის გრძნობაც კი, რომელიც მხოლოდ „სფლიერი გრძნობით, გონებრივი თანასწორობით, ზნეობრივი სიფაქიზით შეიძლება მოაოვებულ იქნას“.

ნიკო კალაძე თავისი მოქმედებით ბურჟუაზიული მორალის გამოხატველად, მისი ნებობრივი ფიზიონომია პირდაპირ სახატვლია. თუ ტარიელ მკლავაძე ბერკულესის ხელებით ცდილობს თავისი ველური ენის დაკმაყოფილებას, პირიქით, ნიკო ფულითაა ძლიერი, ნიკო არაფერს არ თაკობს თავისი ვგოისტური სურვილის დასაკმაყოფილებლად; მან ფულით შექმნი მისთვის ახალ ნათლიდა მაცრიხე, რათა დამარცხებოდა ახლაზრდა ქალის ნინოს დამორჩილებაში. იგი სუსტ ქალთან „არანდია“ ამ ეპიზოდის აღწერისას ა. წულუკიძე იხსენიებს დ. ერისთავის მოთხრობას — „ვის არის დამნაშავე? სადაც ნესტორმა საწყალი გულის დათქვა ცოლი ძალით დაიშორილა. ნინოს მამამ, ღარიბმა აზნაურმა მამსიმემ, როცა ნიკოსაგან ფული (ორმოცი თუმანი) აიღო, თავისი ლამაზი ქალიშვილი მიჰყიდა ნიკოს წულუკიძეს მოჰყავს მამისადმი ნინოს სიტყვები: „საკუდავო ბაბა, ვაგიტირდა და მყიღი“ — ეს არის ნათელი სურათი კაპიტალისტური დრინდელი ქალის ჭვედრისა. ნიკოს ტიპის კაპიტალისტური მსუნავები არიან „ზნეობის გამოთხისრებელი, ტრადიციების წამსლეღნი და მშობლიური გრძნობის მოგაქრენი“.

ა. წულუკიძე ილაშქრებს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებული მორალის წინააღმდეგ. იგი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმში ქალმადე და სოფლად წარმოშვა ადამიანთა ისეთი ტიპები, რომელთა ზნეობრივი არსება ბილწი ანგარებაა, რომ ამ საზოგადოებაში უველაფერი, მათ შორის მკვებობა, ცოლქმობა და სიყვარული ფულით იზომება. „მდიდარი, — წერდა ა. წულუკიძე, — თითქო სიყვარულის სხებელი ყიდულობს ფულით ღამაზს ტანად და ხორცად ქალს. რასავიწრველი, ასედაც ხდება, რომ მდიდარი ქალი ღამაზს კაცს ყიდულობს, ეს მხოლოდ რაღების შეცვლა“. (იქვე, გვ. გვ. 277 — 278).

ა. წულუკიძე თავის პირად წერილებში ეტება მორალის საკითხებს, იგი მაღალ შეფასებას აძლევს დიდ რუს შწერალ ლევ ტოლსტოის: „რომელმაც თავის ნაწერებში ბრწინაწერა ბურჟუაზიული მორალი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ლ. ტოლსტოიმ „კრიტიკოვია სინატამი“ და ა. შ. ნათელი სურათი დახატა ბურჟუაზიული მორალისა — წერს ა. წულუკიძე, — მან „ფილოსოფიურად ვერ ახსნა, ვერც მიზეზი ამ მოვლენისა და ვერც საშუალება მოგეაწოდა მეცნიერულ“ (იქვე, გვ. 278). ე. ი. უტოლიურად დასახა მისი მოსაზრების გზები და საშუალებანი. ა. წულუკიძე ბურჟუაზიული მორალის მოსაზრების საშუალებად თვლიდა პრილტარული რევოლუციის გამარჯვებას.

ა. წულუკიძე ლალიონის „ფრალ დავლიძეს“ ისეთ ნაწარმოებად თვლიდა, რომელიც მხოლოდ კაპიტალისტურ სინამდვილეში შეიძლება შექმნილიყო და არა სხვა ეპოქაში. ლალიონის მიღწევად მიანდა, რომ მან გადილო ის სურათი, რომელიც ცხოვრებაში ჰყოფა, მაგრამ იქვე უსაყვედურებდა, რომ შწერალმა ვერ გამოიჩინა თანმიმდევრობა. „ჩვენი აზრით, — შენსწავლავ წულუკიძე, — ლალიონს რომ ამ ორ ტიპთა შორის ბრძოლა, რაშლითაც თითქმის იწყება მისი მოახრობა, ბოლომდის ლოდაერთ გაეტარებინა, არ აყოლოდა ფანტასტიკურ გულსიტქმას, არამედ ცხოვრებას ბოლოშიაც დააკითხებოდა, იგი ნიკოს არ მოაკლევინებდა ივანეს. გამარჯვებას ბოლომდე ახალ ტიპს შეარჩენდა. თუმცა აქ გამარჯვება ფიზიკურია, მაგრამ მოთხრობა, რომელიც ამ ორ ტიპთა ბრძოლის დამახასიათებელია, იმით უნდა ბოლავდებოდეს, რთოაც თვით ცხოვრებაში ბოლავდებოდა. თუმცა ამნაირი შემთხვევა შესაძლებელია ხშირათა ზღუებოდეს, მხოლოდ იგი მიანიც არ არის დღევანდელი ჩვენი საზოგადოების კლასიური ბრძოლის დასკვნა; იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ სურათს არ წარმოადგენს“ (იქვე, გვ. 17—18).

ა. წულუკიძის ეს კრიტიკული მითითება აქვამადე მნიშვნელოვანია ლიტერატურისათვის, რადგანაც ლიტერატურამ უნდა გამოხატოს საზოგადოებრივი ცხოვრება, მკიდრო კვშირში უნდა იყოს მსთან, ასახოს ტიპური სურათები და არა შემთხვევითი მოვლენები.

ა. წულუკიძე დიდ ყურადღებას აქცევდა არა იმდენად ფორმას, რამდენადაც შინაარსს, მხატვრული ქმნილების იდეას, რისი ნათელი მავალითაა მის მიერ დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის ვაჭირეების“ ვრცელი კრიტიკული განხილვა. კლდიაშვილის „ქამუშაძის ვაჭირეების“ წაკითხვა მას მიანდა სასარგებლო და სასიამოვნო საშუალებად, მაგრამ, როგორც თვითონ წერს, „არა იმიტომ, რომ დასტკებ სტილის სილამაზით, ან პოეტური შედარებებით გაამაზებლო შენი გონება, — არა! თუ თქვენ, მკითხველო, გაინტერესებთ არა იმდენად პოეზია, რამდენადაც ცხოვ-

რება, თუ თქვენ გულისფანქვით იდეებზეთ თავაყურს ხალხის მატერიალურ და სულიერ განვითარებას, თქვენ ბევრ საინტერესოს იპოვით თქვენთვის „ქაშუშაის გაქირვებაში“ (გვ. 72).

ცნობილია, რომ კაპიტალიზმის შექრამ სოფელში გამოიწვია თავადანაურობის ეკონომიკური დასუსტება და სულიერი დაქვეითება. „ქაშუშაის გაქირვების“ მთავარი გმირი ოტია აზნაურია, მაგრამ იგი ტარიელ მკლავაძესა და ივანე დავლაძესათვის ძალმომრეობას კი არ მისცევს, არამედ თავისი შრომით ცდილობს გზის ვაიფავს ცხოვრებაში. იგი უბრალო მიწის მუშაა და ვადაცუელი. წულუკიძეს ოტია ქაშუშაძე მიიჩნია ახალ განსხვავებულ ლიტერატურულ ტიპად. ოტია ცოლად ირთავს ქალაქელ ქალს და ორივენი ცდილობენ ოჯახის უკეთ მოწყობას, მაგრამ მათი ცხოვრება სოფლად აუტანელი ხდება. თვით საზოგადოებრივმა სინამდვილემ ქალის პირით ურჩია ოტიას დაეტოვებინა სოფელი. ოტია პირველ ხანებში არ თანხმდება, მისი გონება კონსერვატიულია, შიშს განიცდის ახლისადმი, მაგრამ საბოლოოდ, დიდი ვაი-ვაგლების შემდეგ, ტოვებს თავის შეჩვეულ კარმიდამოს და ქალაქში ვაიხიზნება. წულუკიძე ღრმად სწვდება ოტიას ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ დავით კლდიაშვილმა „შეძლო გაოტარებული აზნაურის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ოსტატური გადმოცემა“.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეთოთხედში კაპიტალიზმმა სოფლიდან ქალაქში გარეკა ოტიას მსგავსი ადამიანები, აიძულა ისინი, რათა იქ ექმნათ ცხოვრებაში გამოსავალი. ეს კი, — როგორც წულუკიძე შენიშნავს, — ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტი და „აგარარული საკითხი“ ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტია“ (გვ. 73).

დ. კლდიაშვილის მოთხოვნის „ქაშუშაის გაქირვების“ ღირსებად წულუკიძეს ის მიიჩნია, რომ მან იმ პერიოდში სოფლიდან ქალაქში ადამიანთა წასვლა სწორად ასახა ლიტერატურაში. მაგრამ ა. წულუკიძე არ ვითანხმება კლდიაშვილს, როცა ეს უკანასკნელი მოთხოვნის დასასრულს წერს, რომ „ჯერად კიდევ ვერ მოეწვენენ, მართალია, მაგრამ იმედი აქვთ ორივე ცოლ-ქმარს, რომ მოკლე ხანში ამ ახალ ნიადაგზე სოფლისაზე უკეთესად წაიყვანენ საქმეს“. თავის სტატიაში — „მკითხველის შენიშვნები“ წულუკიძე აღნიშნავს, რომ კლდიაშვილის „გადაკრული სიტყვები დამაჯერებლად არ გვეჩვენება. იქნებ ავტორი ფიქრობს მათი ცხოვრება უზრუნველყოფილად და ბედნიერად მოაწყოს? არა გვერჩია. იგი ზომ სინამდვილეს ვეიხიზნავს, სინამდვილეში კი ეს არ ხდება“ (იქვე, გვ. 75).

დ. კლდიაშვილი სათანადოდ ვერ იცნობდა გაპროლეტარებულთა ცხოვრებას! წულუკიძის აზრით, შეერაღმა უნდა ასახულიყო მჭიდროდერთი გამონაკლისები, არამედ უნდა გვიჩვენოს ტიპი. ტიპური კი ის იყო, რომ ოტიას მსგავსი ადამიანები თანდათანობით პროლეტარულ ცხოვრებაში ჩაბმულყო. შეერაღმა კი ვერ ასახა ეს სურათი ბოლომდე თანმიმდევრობით. მიუხედავად ამისა, წულუკიძე დიდად აფასებდა ჩვენს შესანიშნავ ბელეტრისტს დ. კლდიაშვილს, მას უწოდებდა ქართული ხალხის ყოფაცხოვრების ნიჭიერ შექრალს.

ცნობილია, რომ რევოლუციის შემდეგდროინდელ საქართველოში თავადანაურობის სამი ტიპი წარმოიშვა და ლიტერატურაშიც ეს იქნა ასახული. ა. წულუკიძეს ამ სამ ტიპად მიიჩნდა ე. ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე, ლალიონის ივანე დავლაძე და კლდიაშვილის ოტია ქაშუშაძე. ა. წულუკიძის დამსახურება, როგორც კრიტიკოსისა, ისაა რომ მან პირველმა მოხდინა ანალიზი ამ ახალი ტიპებისა და იქვე განსაზღვრა მათი წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური გარემო, ნატურალური მეურნეობის წგრევა და ფულადი, — კაპიტალისტური მეურნეობის წარმოშობა. ა. წულუკიძე ამ სამი ტიპის მოკლე დანახაოებასაც იძლევა. პირველი ტიპი — ქართველი მეომრის სუსტი ნაშვირია, რომელიც მთელ თავის ენერჯიას ქეიფსა და აყაღმაყაღს ანდომებს, ბრძოლისათვის მას აქვს ხანჯალი და პერკულსის მკლავები. დავლაძე — მისი ორეული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თავის წოდებრივი უბრალებლის შესანარჩუნებლად ნ. კალაშვილთან ბრძოლაში მიმართავს სტეპა საშუალებებს — ფულს, ყაჩაღობას. ხოლო მესამე ტიპი — ოტია კი უარს ამბობს აზნაურობაზე და შრომით ცდილობს ცხოვრების მოწყობას. ეს უკანასკნელი ტიპი, წინა ორ ტიპთან შედარებით უფრო სოციალურად ნაირიანია და მისი ცხოვრება ხდება სერაიოზულ დაკვირვებისა და კვლევის სავანი.

ა. წულუკიძე, ახსიათებს რა ბურჟუაზიისა და თავადანაურობის წარმომადგენელთა ტიპებს, მიუთითებს, რომ მომავლის კლასებია — ქალაქში მწარმოებელი მუშა და სოფელში გლეხი, რომელთა სულიერი აღზრდის საშუალებად, ბრძოლისა და განთავისუფლების იარაღად მას მიამართა პროგრესული ლიტერატურა და ზელოვნება.

ა. წულუკიძის მარქსისტულ-ლენინური შეხედულებანი ლიტერატურისა და ხელოვნების სოციალურ ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურული აზროვნების განვითარებას. ეს შეხედულებანი დღესაც ინარჩუნებენ ცხოველყოფილ მნიშვნელობას.



ილია ჭავჭავაძის რეალიზმის საპიოხისათვის*

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში და პუბლიცისტიკაში თავისებურად ეხვევა ერთმანეთს ბურჟუაზიულ-განმანათლებლური და რევოლუციურ-დემოკრატიული ტენდენციები.

მსგავსად წარსულის მრავალი დიდი ჰუმანისტისა, ილიასაც შემოქმედებითი განვითარების მთელ მანძილზე გასდევს ღრმა მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა, რომელიც თავის ძირითად გამოხატულებას პოეტობის შერჩევის ჰუმანისტურ-დემოკრატიულ თეორიულ იდეალსა და მისი განხორციელებისათვის დასახულ პრაქტიკულ საშუალებებს შორის მძაფრ შეუსაბამობაში.

ილიას სოციალ-პოლიტიკურ მრწამსს იმთავითვე გამსჭვალავს ტენდენცია, რომელიც განმანათლებლური იდეოლოგიის ბურჟუაზიულ ზარჩოვას სცილდება. მართალია, ილიას ადრინდელი სოციალური პრობლემატიკის ქვაკუთხედსაც ბატონყმობის საკითხი წარმოადგენს, — განმანათლებლური იდეოლოგიის ცენტრალური საკითხი, — მაგრამ ილია თავიდანვე პრინციპულად განესხვავება საკუთრივ-ბურჟუაზიულ, მაგალითად, ვოლტერის ტიპის, განმანათლებლებს, რომელთა დემოკრატიზმი ობიექტურად მხოლოდ პირობითი იყო, რადგანაც ისინი მხოლოდ იმდენად მოითხოვდნენ ბატონყმობის უღელსაგან მშრომელთა მისი განთავისუფლებას, რამდენადღაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება „თავისუფალ“ მუშა ხელს საჭიროებდა. თუმცა ჰუმანი ილიაც სწორედ ბატონყმობის ბოროტებას თვლის „კაცთა ცხოვრების შემფერებლად“ და მათგან სწორედ „შრომის ახსნას“ მიიხსენებს საყოველთაო ბედნიერების საწინდარად, მაგრამ „აზრდილის“ ავტორის ამ „ტიპიურ“ განმანათლებლურ ლიბერალიზმს სოციალურ სარჩულად უდევს არა საკუთრივ-ბურჟუაზიული, არამედ წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგია, რომელიც მას, ამ ლიბერალიზმს, გამსჭვალავს ორთოდოქსულ განმანათლებლობისაგან არსებითად განსხვავებული რევოლუციურ-დემოკრატიული ტენდენციით. სახელდობრ, განსხვავებით საკუთრივ-ბურჟუაზიულ განმანათლებელთაგან, რომელთა „გონება“, როგორც ცხოვრების კეთილმოწყობის უზენაესი პრინციპი, ობიექტურად მხოლოდ იდეალიზირებული ბურჟუაზიული გონება იყო, ილია ძირით

დადალ ხალხის ფართო მასების ინტერესებთან გამოიმდინარეობს. ილიას ყურადღების ცენტრში დაბნელებული მშრომელი ადამიანები დგანან, მისი ზრუნვის საბოლოო და უმაღლესი მიზანი მათი ბედნიერებაა: რევოლუციურ დემოკრატია, კერძოდ, ზერინშეგესის მსგავსად, ილია არ კმაყოფილდება ბატონყმობის ბორკილიაგან „ჩაგრულ-ენებული“, „ტყვემწილი“ შრომის ფორმალური, მხოლოდ იურიდიული განთავისუფლებით, არამედ მოითხოვს გლეხთა მიწიანულ ემანსიპაციას, რათა ბატონის მიერ გლეხის ძარცვისა და რბევის მიზეზი „იღარა დაჩრებს რა“ და „უკმ სიტყვად არ იქნას ძმობა, ერთობა, თავისუფლება“.

მართალია, ილიას არსებითად გლეხური იდეოლოგია პოზიტურ მხარესთან ერთად, რომელიც მისი მსოფლმხედველობის რევოლუციურ-დემოკრატიულ ტენდენციას ასაზრდოვებდა, შეიცავდა ნეგატიურსაც, — წვრილმესაკუთრებრივს, — რომელიც მისი ამ ტენდენციის თანმიმდევრულად, სრულად გაშლას აბრკოლებდა. ამიტომაც ბატონყმობის ბორკილებისაგან გლეხთა რეალურად განთავისუფლებისათვის მეტრძოლი ილია დიდხანს ვერ მალდებდა კერძო საკუთრებაზე დამყარებული სოციალური უთანასწორობის მოსპობის იდეამდე და მისი სანატრლო „შრომის სუფევა“ მინიმუმ იფარგლება ნახევრული, მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების განმანათლებლურ-ბურჟუაზიული კონცეფციით, რომელიც „კანონს“, — უფლებასა და მოვალეობის „სოფლის ყველა მკვიდრზე“, „ერთნაირის სისწორით“ განაწილებს, — მიიხსენებს „სიკეთის დედაბოძად“ და რომლის თანახმად შესაძლებელია, რომ „ერთგან სძოვდეს სხვარი და მგელი“.

მაგრამ რუსეთსა და საქართველოში ბატონყმობის ფორმალური, მხოლოდ იურიდიული გაუქმების უარყოფით შედეგთა გამოცდენისთან და კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებისთან ერთად ილიას ჰუმანისტური იდეალი თანდათან თავისი სრულქმნისთვის თვისებრივად ახალ ხარისხს იძენს: მას შემდეგ, რაც გლეხი ორმაგი, არა მხოლოდ ფეოდალური, არამედ აგრეთვე კაპიტალისტური ექსპლოატაციის ობიექტი ხდება, ილიას სოციალ-პოლიტიკური მრწამსის რევოლუციურ-დემოკრატიული არსი სულ უფრო ეწინააღმდეგება თავის ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ჩარჩოებს და იმსჭვალება სოციალისტური ტენდენციით. მართალია, ილია არასდროს არ დამდგარა კერძო საკუთრების მოსპობის თვალსაზრისზე, რაც არ იძლევა საფუძველს იგი სოციალისტად ვაღიაროთ, მაგრამ მისი იდეალი მთელი რიგი არ-

* რედაქცია არ იზიარებს ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას, წერის ბეჭდავს კამათის წესით.

სებით მომენტით განსხვავდება ბურჟუაზიული ადგილობრივებისგან და უახლოვდება სოციალისტურ იდეოლოგიას. თუ კი საკუთრივ-ბურჟუაზიული განმანათლებლები, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, ვერ ამჩნევდნენ ბურჟუაზიული წყობილების არსებით მანკიერებას და გულწრფელად იყვნენ იმაში დაწმუნებულნი, რომ ამ ქვეყნად გონიერება და სამართლიანობის ზემოქმედების საგმარისია ბატონყმობის პოლიტიკური ინსტიტუტის მოსპობა, — ილია მიხვდა, რომ სოციალური ბოროტების ფესვები უფრო ღრმად და საძებარი, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ ფორმებში; ილიამ დაინახა, რომ სოციალური ბოროტება ორგანული, განუყოფლო თვისებაა თავისი არსით მანკიერი, საზოგადოებრივი „წესისა“, რომელსაც საფუძვლად უდევს გეონომიური უთანასწორობა, ხალხის მატერიალური გაჭირვება. ჯერ კიდევ 1863 წელს („საქართველოს მოამბის“ მარტის ნომერში) შენიშნავს ილია, საფრანგეთის (პოლიტიკური ურთიერთობის ილიაში) კლასიკური კაბატალისტური ქვეყნის) სტატისტკურ მასალაზე დაყრდნობით, რომ „სხვადასხვა დანაშაულობათა“, კერძოდ ქურდობის, „უფროსი ნაწილი... მიხვდება დამნაშაუვების შეეიწროვებულ მდგომარეობისაგან“ და დაასკვნის, რომ „თავითონ საზოგადოება თავის წესით მიიყვანს კაცს იმ ნაირ გამოუსყლელ მდგომარეობაში, რომ თითქმის დაძალებული იქნება მოახდინოს რამე დანაშაულობა და დანაშაულობის მოხდენის შერამე სჯის მის ისრე სასტიკად ვითომც თვითონ იმაში არაფერი ბრალი არა იყოს“. ხოლო 1897 წელს, უკვე ამიერკავკასიის მაგალთზე, იდგენს ილია, რომ „ისთვის თამაშს და კანდიტის ავკაცობის, ძარცვა-პლუჯის, როგორც ეს ზღა, ესე ყველგან მოდებულს და თავ იღებულს, ძნელად თუ ვინმე მოსწრებია უწინ“ და მიუთითებს, რომ ამ ავკაცობის „თავი და ბოლი“, „ზოგადი მიზეზი“ ყველგან და ყოველგან... ყოფილა და კვლავაც იქნება „გეონომიური პირ-ბოროტი“, „გეონომიური უღონობა“, — რომ „გაჭირვება, რომელიც კაცს კაცობას ხელს უწყობს და ავკაცობას აბედინებს“. ილია ხედავს, რომ ბურჟუაზიამ, რომელშიც დასავლეთ ევროპაში ბატონყმობის უღელი დამსხვრია და საყოველთაო პოლიტიკური თანასწორობა და თავისუფლება დაეკანონა, კი არ მოსპო, არამედ კიდევ უფრო გაზარდა რეალური, მატერიალური უთანასწორობა, — რომ „ამ ბურჟუაზიამ... ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ენოსავით სულ თავისკენ მოთაღა და ის კი, რამაც საკუთრივ შექმნა... სიმღვდრე“, — შრომა და მისი წარმომადგენელი მუშა-კაცი, — „წრეს გარეთ დარჩა“. ილიასთვის ცხადი ხდება, რომ „ახალს“ საზოგადოებაში კანონი „შეიქმნა ფორმალურ სამართალად“, რომ აქ „ვერც კანონს დაუმორჩილებია ცხოვრება და ვერც ცხოვრებას შეუდრებია კანონი“; — ილიას უკვე

ენის, რომ აქ კუმშარიტი — აღამიანი, საზოგადოებრივ-კოლექტივისტური არსება, რომელიც საყოველთაო კერძო-საზოგადოებრივ ინტერესებით ცხოვრობს, მხოლოდ ერთი იქნება, რამდენადაც ყოველი ცალკეული ინდივიდი თავის კერძო-მესაკუთრებრივ, ეგონისტურ სოციალურებათა ნაკლებში ჩაყვრილი, ან გულგრილად, ან მტრულადა განწყობილი ყოველივესაღში, რაც ამ ნაკლების მიღმა დევს. 1876 წლის 14 მარტის „დროებაში“ ილია იმას უჩივის, რომ ჩვენში „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდენნი, ეპატონი, ჩინიანი და უჩინონი, — ყველანი არიან და ქართველი კი არსად არისო“, რომ „თავადის ბრისი — სათავადო, აზნაურის — საზნაურო, გლეხის — საგლეხო, ეპატონის — საეპატონო“ და ყველანი ისინი ერთმანეთს „ზურგს უქცევენ“, რამდენადაც მათ შორის არაფერია „საყოველთაო“, რომ ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“ და „ერთთავენი ერთად კი არაო“; „ვინ იმ ხალხს, — ამბობს ილია, — რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვინ იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითველი ყველასათვის არ ჰქვირბობს და ყველა-თვითველისათვის, საცა „მე“ ზნობია და „ჩვენ“ — იშვიათი! — და შემდეგ ილია დაასკვნის: ჩვენ „თითო-თითოდ, ერთის გაწყვეტილის ჭაჭვის რგოლებით... ცალკ-ცალკე და თავ-თავად დაფორჩავთ, ზოგი იქეთ, ზოგი აქეთ“, „განეთვითებულდო, ცალკ-ცალკე დაფიშალებით, ასო ასოდ დაეჭვირით...“ ილია რწმუნდება, რომ არცხებითად მანკიერს საზოგადოებაში, რომელსაც „თვითონ თავის წესით“ მიჰყავს აღამიანი ბოროტმომქმედებამდე, რომელიც ყველას ყველასაგან აუცხოვებს, ყველას ყველასთან ამტერებს, კაცთ შორის აღამიანობის „ხილსა“ სტებს, „ფორმალურ სამართალად“ ქვეყნული კანონი, თანასწო-

1 ანალოგიურად მოსთქვამდა გოგოფ-შილერის თანამედროვე გერმანელი იაკობინელი პოეტის ფრიდრიხ ჰელდერლინის, რომლის ჰუმანიზმური იდეალი კუმშარიტი, „ჰარმონიული“ აღამიანისა მამადედ უპირისპირდებოდა მისდროინდელ გერმანულ ფეოდალურ-ბიურჯერულ სინამდვილეს: „გადსაროლელი კურტლის მსგავსად ჰარმონიას მოყლებენი, — ამბობს ილია გმირი ჰუმანიზმი, — ასეთი იყვნენ ჩემი მონუემენტები... მე ვერ წარმოვიდგენ სხვა ხალხს, რომელიც უფრო დაფლეთილი იყოს, ვიდრე გერმანელები. ხელისაწთ ხედავ შენ, მაგრამ არა აღამიანთ, მოაზროვნეთ, მაგრამ არა აღამიანთ; მოძღვართ, მაგრამ არა აღამიანთ; ბატონთა და მძახართ, ჰბუქათ და მოხუეთ, მაგრამ აღამიანთ ვერა, — განა არა ჰკავს ეს ბრძოლის დელს, სადაც ხელები და მკლავები და ყველა ნაკვით ნაკუწებულ აღბეული ჰყრია, მაშინ რაცა დიდგრილი მაცოცხლებელი სისხლი ქვიშიში ყოწავს?“.

რობასა და თავისუფლებას, სიკეთესა და ბედნიერებას კი არ ამკვიდრებს, არამედ, პირიქით, ამ „უსამართლო ქვეყანას“ იცავს მისსავე მსხვერპლთაგან, მის მიერვე გაუბედურებულ, გამოტყვევებულ, გაუკაცურებულ ადამიანთაგან.

აქ ილია პრინციპულად უბრძოლველად ედგა ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს და საბოლოოდ ლოკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ იმისათვის, რათა „უქმ სიტყვად არ იქმნეს ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, სოციალური სინამდვილის არსებითი გარდაქმნა საჭიროა, მისი მწკვიერი საფუძვლების დაშლა, ყოველგვარი კლასობრივი უთანასწორობისა და ეკონომიური ჩაგვრის მოსპობა ანუ სრული, არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ აგრეთვე სამოქალაქო თავისუფლების, ნამდვილი, როგორც უფლებრივი, ისე მატერიალური თანასწორობის დამყარება.

1899 წლის 31 დეკემბრის თავის შესანიშნავ წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“ ილია ასე აღგვს თავის ეპოქის ნეგატიურ შედეგს: „დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარია არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტყველისა, რომლის შორინეც მეცხრამეტე საუკუნემ უნდებოდა აწ მომავალ საუკუნეს“. და ამავე დროს, ილია მეცხრამეტე საუკუნეს იმას უთვლის „ერთ დიდ და სახელოვან საქმედ“, რომ მან იმით „განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა“ ძველი „კათოლიკური მოძღვრება“, რომლის თანახმად „ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველსთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშემატკვარი“, — რომ ვადაცკია იგი „ღარიბთა და უძლურთა სამწუო მოძღვრებად“, რამდენადაც „სოციალური ცხოვრების იდეალად“ დასახა „გაუქმება ჭირებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველ კლასობრივ ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველს კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯეულ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად“...

ამრიგად, პ რ ო გ რ ე ს უ ლ , თ ა ნ შ ი მ დ ე ვ რ უ ლ ა დ ზ ე ა დ მ ა ვ ა ლ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს განაცხადის დიდი პუნქტის სტრუქტურული იდეალი, რომლის სიმბოლოდ აკრიტიკებს და უარყოფს ილია თავის დროინდელ მანკიერ სინამდვილეს. მაგრამ, ამავე დროს, სწავნიან მღვდელთა ხასიათის, დაღმავალ ევოლუციას განაცხადის პრაქტიკული მეთოდოლოგია, რომელსაც ილია რევალური სინამდვილის გარდასაქმნელად სახაზავს და ამის შესაბამისად უტოპისტურ ხასიათს იძენს მისი თანამედროველ სრულწინად,

თავისთავად, თეორიულ პლანში, რევოლუციური პუნქტის სტრუქტურული იდეალი.

უბრალოდ ილია, რევოლუციურადვე ვხვდებით, — ბატონის ძალმომრეობის წინააღმდეგ კრადიკალური ბრძოლისაკენ, იარაღით იმხედრებისაკენ მოუწოდებს ყმას. „სიტყვად „რევოლუცია“ — ამბობს იგი „მგზავრის წერილებში“, — არ შეგავსებს მეთხველო! რევოლუცია იმისთვის არის განწინილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს, ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირ-ღირიის და მერე დაწმუნდება ხოლმე. ასეა ყველაფერი ამქვეყნად“. „კაკო უსაღისა“ და „გლახის ნაამბობის“ ლიტერატური ხილი არ გაიღება“ და რომ ბატონთა ავკაცობა სისხლით ანგარიშსწორებას იმსახურებს, მათი ტრანია თაფითა და მახვილით უნდა აღიკვეთოს. „სად სისხლი უნდა, იქ არ ვარგა საღობი ცრემლი“, — აცხადებს ილია.

მაგრამ ახალგაზრდა ილიას ამ რევოლუციურ განწყობილებას, ამ რადიკალიზმს ახლავს არსებითი ნაკლიც, რომელიც მას პრაქტიკულ ქმედითობას უკარგავს, სინამდვილის გარდაქმნის არარეალურ საშუალებად აქცევს.

ტოტალის მსგავსად, ილიას არსებითად გლახური იდეოლოგიაც პოლიტიკური მოუწიებლობით სცილდება, რომელიც დაღ პუნქტისა და დემოკრატიის თავისი მსოფლმხედველობრივ-სემოქმედებით განვითარების შთეს მანძილზე დაურჩა დაქმნეული.

მართალია, ახალგაზრდა ილია კი ეცხნება მითხველს, რევოლუციისა ნუ გვიწინაო, მაგრამ მას არ აღმოსწენია საიმიო თანმიმდევრულობა, რათა ბატონყმობის წინააღმდეგ აჯანყებული გლახური მასის წარმომადგენელი გამოეცხნათ თავის გმირად და არა ინდივიდუალისტი მემობიებები — კაკო და გამბრო.

კაკოს და გამბროს მემობიების ინდივიდუალისტური ნაკი მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისინი მარტოგლანი იბრძვიან, არამედ — იმაშიც, რომ ისინი მხოლოდ იმდენად აღიმართებიან საბრძოლველად, რამდენადაც პირადად ზღვნიან ბატონის ავკაცობის მსხვერპლნი (ამ მხრივ საყურადღებოა, რომ გამბრო თვითონ აღიარებს, თავდაპირველად ისე ერთგულად ემსახურებოდი დათიკოს, რომელმაც „ქვეყანა წამერტლა“, რომ „ბევრი მოვინდურე, ყმა თუ მოჯამგარეო“, და თუმცა-ღა მანამდეც მემლერეოდა გულია, მხოლოდ მას შემდეგ ვაგებედ მისთვის თოფის კერა, რაც „შე და ის ერთ გზაზე ვადავითიხნითო“). ცხადია, კაკოს ყინაღლად გაგარდნა დიდად კეთილშობილურია, — მხოლოდ შურისძიებით, პირადი ანგარიშსწორებით კი არ შემოიფარგლება, არამედ „უდისაგან დანაგრული“ გლეხკაცობისადმი ღრმა სიყარულ-ღიანად და თანგრძობითაა ამღლებული. ამდენად იგი, კაკოს სათაყვანო გმირის, — არსენის,—

ყაჩაღობის მავნარად გამოხატავს ხალხში საუკუნეებით დაგროვილ მძულარებას ჩაგვრისადმი და უდრავს რწმენას უკეთესი მომავლისა, ე. ი. გამსწავლელი პოტენციური რევოლუციური სულით, რომელიც ხალხის პოლიტიკური აქტიუზაციის სათანადო დონეზე ყოველგვარ სოციალურ ბოროტებას წაღებს. მაგრამ კაცოს მეამბოხეობის ინდივიდუალისტური, — არსებითად, პასიური, „იძულებითი“ და „თავდაცვითი“, — ხასიათი ამ მეამბოხეობაში ნაქსოვლია ხალხურ-რევოლუციური ტენდენციის გამოვლენას კი არ ბოძავს მხოლოდ, არამედ თვით ამ მეამბოხეობის უნაყოფობას, მისი საბოლოო მარცხს იუცილებლობასაც განაპირობებს, თუმცა თავიანთი ანტიდესპოტური სულისკვეთებით კაცო და ზაქრო ხალხის დეიქლი შეიღობს, მისი სისხლი და ხორცი არიან, მაგრამ როგორც ტყეში გვარდნილ ყაჩაღებს მათ გაწყვეტილი აქვთ ხალხთან ქმედითი კავშირი, — ილია ერთ სიტყვასაც არ ძრავს მათ მიერ გლეხთა მასის აყოლაზე, — და მათი ბრძოლაც წინასწარვე განწირული. თუმცა ილია ბოლომდე ასხამს ზოტბას თავის მეამბოხე გმირებს, მაგრამ შემთხვევითი როდია ის მწუხარე მოტივი, რომლითაც პოემა მთავრდება, — ის „ერთი ნაღველი“, რომელმაც „ორივე წაიღო“, ის „ბაღალა“, რომელიც „ამ ორს გულში ინღელა“. ამ ნაღველსა და ბაღალის წყარო ინდივიდუალური შურისძიების უნაყოფობის შეგნება: მართალია, ეს შეგნება ზაქროსა და კაცოს პარადული ფორმით ეუფლება, — ზაქროსავე თქმით, ტირან ბატონის სიკვდილმა მას იმიტომ ვერ გაუმართლა გულის ჭრილობა, რომ მან, „მამის გულისთვის გაიწირა შეიღმა, მამას ვერაფერი ევლარ უშეღა“; მაგრამ მკითხველისათვის, რომელსაც ილია კაცოსა და ზაქროს გულში ზუღღარე ბაღალის წარმოდგენას ანდობს, ისიც ცხადია, რომ ცალკეულ ტირანთა კვლა ტირანის ვერ მოკლავს, და ისიცაა ნათელი, რომ კაცოთა და ზაქროთა საბოლოო დღე ან ტყვიის მსხვერპლად დაეცემა, ან გაბრძობა — გლახად სიკვდილი.

ამავე დროს, თავისი პასიური, პოლიტიკურად მოუწყობებელი ხასიათის ძალით ილიას რადიკალში გარკვეული უთანმიმდევრობითაა აღბეჭდილი, იმთავითვე შეიცავს შემრიგებლურ ტენდენციასაც.

თუმცა ილია ბატონის მიერ ყმის დამონებას უმჭედრებდა, — „ვერა გაკურნოს მან მონის წყლული, ვინც მონებას თვით ემორჩილება“, — მაგრამ უკვე „აჩრდილის“ პირველ ვარაძტში მიანიხი მას შესაძლებლად გულქვა ბატონის მიერ თავისი ავჯიკობის მონაწილეობა და კეთილ ყმის მიერ ამ ავჯიკობის მიტევა, მგლისა და ცხვრის დამშობილება. ხოლო „გლახის ნაამბობში“ ამჭედრებულ გაბრძობის დამრიგებლად ილიას გამოყავს პიუგოსიულ ენისყოფილ ბენენიუეს მავგერა „იდეალური“ მოძღვარი, რომელიც ბოროტ-

ბის მიტევაებასა და საყოველთაო სიუფრულეს ქადაგებს და რომელსაც გულგამწარებელი გაბრძობა თუმც კი ვერ ეთანხმება, მაგრამ უფრულეს-პოტივსა სცემს.

შეზღუდულობა

და თუ კი ილიას მსოფლმხედველობრივი განვითარების ადრინდელ ეტაპზე ეს შემრიგებლური განწყობილება ვერ-კიდევ მხოლოდ ტენდენციის სახით გამოვლენდება, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სწორედ ის განსაზღვრავს ილიას პრაქტიკულ მეთოდოლოგიას, — საფუძვლად ედება ქვეყნის „გასწორების“, ცხოვრების გონივრულად მოწესრიგების ილიას მშვილობიან-რეფორმისტულ კონცეპციამ.

ამ მხრივ შეიმჩნევა ილიას წინააღმდეგობრივი ევოლუციის გარკვეული მსგავსება „გოტიდან“ — ფიუსტის“ მეორე ნაწილამდე გოეთეს ევოლუციისთან, რომელმაც თავისი ადრინდელი მეამბოხეობის ინდივიდუალისტური ნაყოფანების დაძლევის ნაცვლად თვით მეამბოხეობაზე აიღო ხელი და თავისი ჰუმანისტური იდეალის განხორციელების ძირითად საშუალებად აგრეთვე დასახა წოდებთა შორის შერიგების საფუძველზე დამკვიდრებული მშვილობიანი შრომა.

მართალია, ილიას ჰუმანისტურ-დემოკრატიული იდეალა მის გვიანდელ მეთოდოლოგიასაც გამსჭვალავს რევოლუციური ტენდენციით: სინამდვილის რევოლუციური ბრძოლის გზით გარდაქმნის იდეა არც შემდეგ უოფილა მისთვის საესებით უტყვ პირიქით, თავისი იდეალის სრულქმნასთან ერთად იგი ისტორიული პროგრესის არსსა და აზრს ხედავს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ხალხის დანაჯრული მისების ბრძოლაში და ამდენად ხალხს მიიჩნევს ისტორიის მამოძრავებელ ძალად, — იმ დასკვნამდე მიდის, რომ „საქმე ხალხია“, „როგორც მოქმედი პირი ისტორიისა“, და რომ ერის მომავალი წარმატების საწინდარი „ღარიბთ ერთობაშია“, „ერთმანეთით მილიონობაში“. და ამიტომაც ილია მხოლოდ გარბადლის ბურჟუაზიულ ნიციონალურ-განმთავისუფლებელ ბრძოლას კი არ თანაჯრძნობს მგზნებარედ, არამედ — პარიზის კომუნისაც, რომლის დამარცხებაში ხედავს „ისტორიის შეფერებას“, „განახლების ძალთა შედგომას“.

მაგრამ, მაინც, ილიას მიერ რევოლუციური ბრძოლის აღიარება ვერ იყო საიმისოდ სრული და თანმიმდევრული, რომ მას იგი სოციალური სინამდვილის გარდაქმნის ერთადერთ შესაძლებელ მეთოდად მიეჩნია და, კერძოდ, საქართველოს მიმართაც ჩაეთვალა აუცილებლად. საქმე ის არის, რომ ილიასთვის, როგორც გლეხობის დეოლოგიისათვის, გაუგებარი დარჩა პრაღეტიკაობის, როგორც ერთადერთი ქვეშაობილ სოციალისტური და ნამდვილად რევოლუციური კლასის, ისტორიული როლი. თუმცა ილია ხედავს, რომ დასაყვლეთ ვერობაში „დღეს“ მას შემდეგ, რაც ფეოდალიზმზე გამარჯვებულმა

ბურჟუაზიამ მშრომელთა ხელით შექმნილი სიმდიდრე „ეთოსავით სულ თავისეც მითაღა“) სწორედ პროლეტარიატა, „მეთებე წოდება“ იბრძვის „სასტიკად და მეღვრად“, რათა „უბრატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობაში არავის არ პქონდეს განსაკუთრებული და ამისათვის ყოველ-გვიარის წყობის ქვეუთხედლიად სდებს შრომისა, რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია, რადგანაც ყველა მშრომელი უნდა იყოს“; მაგრამ, ამჟღად დროს, მას სათანადოდ ვერ შეუძენია პროლეტარიატის ამ ბრძოლის, როგორც ხალხის საუკუნოვანი განმათავისუფლებელი ბრძოლის უშაღვლეს ვტაბის, პრინციპულ სიახლედ გადამწყვეტად მნიშვნელობა, ეს ჩანს თუნდაც იქიდანაც, რომ პარიზის კომუნა მან, არსებითად, აბსტრაქტულად აღიქვა, — როგორც „ყოველად მშსნელი სიყვარულის დიადი საქმისათვის“ ბრძოლაში ტანჯული ხალხის შორივი, კიდევ ერთი დამარცხება, — ისე, რომ ის სპეციფიკა, ის პერსპექტივა ვერ შეამჩნია, რომელიც ამ ბრძოლას კომუნარებმა, როგორც კაპიტალიზმის შესაფლავებმა, შესძინეს. და სწორედ ამით, — პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის სპეციფიკის გაუგებრობით, — ახსენება ის ვარემოეა, რომ ილია საერთოდ არ ჟღის კლასობრივ ბრძოლას თავისი სოციალური იდეალის განხორციელების ერთადერთ გზად, და რომ, მსგავსად გოეთესი, რომელმაც რევოლუციის აუცილებლობა საფრანგეთისათვის აღიარა, ხოლო გერმანიისათვის გამორიყნა, ილიაც „წოდებათა შორის დაჯახებას, ერთმანეთთან შეხებებას, ერთმანეთთან ცილობას“ ევროპისათვის თვლის „საუბოიანად“, ხოლო საქართველოსათვის შესაძლებლად და უმჯობესად მიიჩნევს „სრულად აღმოფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილებისა“, რათა „ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენის შეერთებულს ძალისას“.

ხოლო საკითხის ამგვარი გადაჭრა მხოლოდ უტოპისტურ ხასიათს კი არ აძლევს ილიას პუმიანისტურ — თავისთავად ღრმად რეალისტურ — იდეალს, არამედ პრაქტიკულად ისეც იმ ბურჟუაზულ-განმანათლებლის ჩარჩოებით ზღუდვს მის, რომელთაც იგი, ეს იდეალი, თვითრთულ პლანში ძღვეამოსილად არღვევს.

წოდებათა თანამშრომლობის თვალსაზრისზე დამდგარ ილიას სხვა აღარაფერი რჩება, რომ თავისი იდეალის თანდათანობითი, მშვიდობიან-რეფორმისტული განხორციელების საფუძვლად და ფარგლად იყვიე „ფორმალური სამართალი“, იგივე ბურჟუაზიული ლიბერალიზმი მიიღოს, რომელსაც ეს ადგილი თავის თანამიმდევრულად ზეღმავალ განვითარებაში შეუტიკებლად დაუპირისპირდა. ხოლო ძალეში, რომლებმაც ამ „ფორმალური სამართლის“ მანკიერება უნდა უწებელპყონ და მრავალტანჯული ქართული ხალხი მომავალ ბუნდოვრებას აზიარონ,

ილიას აზრით, არის მუყაითი, გამარჯვებულმა, „რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია“ და „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება“, რომელიც „ღონა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ დაუდგება: ვერც მუშტო, ვერც ხმალი, ჯართა სიმრავლე“...

ამრიგად, თუ კი თავისი თეორიული მრწამსით ილია ვეკლენება დიდ რევოლუციურ-დემოკრატიად, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება როგორც ფეოდალურ, ისე კაპიტალისტურ, ე. ი. საერთოდ კლასობრივ-ექსპლოატატორულ, ანტაგონისტურ საზოგადოებრივ წყობილებას, თავისი პრაქტიკული მეთოდოლოგიით იგი ბოლომდე რჩება არსებითად ბურჟუაზიული განმანათლებელი, რომელიც უპირატესად ბატონობის პოლიტიკური ინსტიტუტის დამზომამდე განწყობილი რადიკალურად, ხოლო საბოლოოდ კი ზომიერი ბურჟუაზიული ლიბერალიზმით შემოფარგლავს თავის ქუმიანზმს.

და ამ მსოფლიმხედველობრივი წინააღმდეგობით ვანისაზღვრება ილიას მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდის ბუნებაც. მისი რეალიზმის არასათანადო თანმიმდევრულობა, კერძოდ ის გარემოება, რომ მსგავსად კრიტიკული რეალიზმის სხვა მრავალი კლასიკოსის დადებითი გამოჩენისა ილიას დადებითი გამოჩენისაც რომანტიკული ხასიათით აქვთ.

ილია კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელი ჩვენი კლასიკური ლიტერატურაში. მის მხატვრულ ქმნილებებში, — „კაიოლიან“ „ოთარაანთ ქერვამდე“, — მხატვრული გამოშსახველობის დიდი ძალით აისახა XIX საუკუნის ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრების იარება და ტყვიელება, თავდაზნაურობის ძალმომრება და ხრწვა, გლეხობის ჭირთა თენანი, სახელმწიფო მოხელეთა სიყვალე, ლიბერალური ინტელიგენციის უნიათობა, მთელი სოციალური წყობის მანკიერება, რომელიც მხოლოდ „ამაქვეყნის“ ძლიერთა აჯაკობას კი არ ხსნის აღვირს, არამედ მშრომელი ხალხის ჯანსად და სპეტაკ ბუნებასაც ზღავს „ცხოვრების ქაჟით“, სთესს მასში ბოროტების, — სიხარბის, გაეტრანლობის, შეუბრალებლობის, უმადურობის, გარყვნილების, — თესლს.

ილიას რეალიზმის კრიტიკულ-მამხილებელი ტენდენცია უკვე „კაიოლიანი დამიანში“ აღწევს თავის მაქსიმალურ სიმძაფრესა და სისრულეს. ლუარსაბი და დარჯჯანი, რომელთა სოციალურად გადაჯვარებულ პიროვნებებში მცენარეულ იმპულსებსა და ცხოველურ ენებებს ყოველივე ადამიანური ჩაუხშვია, მთელი თავიანთი „განუყოვრებალობის“, „გადაჭარბებულობის“, გროტესკულობის მიუხედავად, საყვებით რეალისტურ, „შექსპირისებურად“ დამერილი სახეებია. ეს

სახეები საცემბით ავსავთფილებენ ამ მოთხოვნისა, რომელსაც მარქსი და ენგელსი უყენებენ კემპარტიდ რეალისტურ განსაზღვრებას, რომელიც „იდეალურს იქით... რეალისტურს, შილერს იქით შექსპირს“ არ ივიწყებს; მუქათხობრა თავადანერობის უადამიანობისა და განწირულობის იდეა, რომელიც ამ სახეებშია მხატვრულად ხორციელდება, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირდაპირ გამოქანდაკობს“ მათი „წარმომადგენლობით ხასიათიდან“, — ე. ი. იმ თვისებებიდან, რომლებსაც ისინი როგორც ობიექტური სინამდვილის, გარკვეული სოციალური წარსლის შეილება ატარებენ.

მაგრამ ამასთანავე ნიშნავდა იგი ეს გარემოება, რომ ამ უმძაფრეს კრიტიკულ-მამხილებელ ნაწარმოებს, რომელიც ობიექტურად ბატონყმობის რაღაცალოდ აღვეთის აუცილებლობას ცხადყოფს, პუბლიცისტური ხორცშეხის სახით ერთის ეპიგრამად და მეოთხეელისადმი ზოლო მინამდვილა, რომლებშიც თავისი პრაქტიკული სოციალ-პოლიტიკური პროგრამით წოდებთა შერიგებისაკენ მიდრეკილი ილია საკუთარ თეორიულ იდეალთან შოღის შვეივე წინააღმდეგობაში, — საწინააღმდეგოდ ამ იდეალისა, რომელიც დევრადირებული თავადანერობის სრულ დროშოქმულობას ნათყოფს, შესაძლებლად თვლის „მოყვრულად“ უძრავის ღუარსაბ-დარეჯნებს შიით სივლახე ანუ რჩება მათი „გამოსწორების“ ილუზიით შებოქილი.

კრიტიკული რეალიზმისათვის ნიშანდობლივა წინააღმდეგობა რეალურსა და იდეალურს შორის ილიას თავის იმ თხზულებებშიც ვერ აქვს დამლეული, რომელთა შიათვე პერსონაჟები დადებითი გმირები არიან. კერძოდ, „კაკო ყაჩაღში“ და „გლახის ნაამბობში“, „სისრისებულაზე“ — ში და „ოთარანთ ქვრივშიც“ უხდის ილია ხატის რომანტიზმს; თუმცა, ამადე დროს, ეს რომანტიზმი (მთავრს რომანტიზმის მსგავსად) პრინციპულად განსხვავდება კრიტიკულ რეალისტთათვის ტიპიურ უნიადგოდ და უპერსპექტივოდ რომანტიკულ ტენდენციისაგან: ილიას რომანტიზმი როდაა უნიადგოდ და უპერსპექტივოდ — დროსა ხალხურობითა გამსჭვალული და რეალისტურია ასრებითად.

თუმცა კაკოსა და ზაქროს შემოხობობა ინდივიდუალისა ნაქუქითაა შებოქილი, რის გამოც მას კონკრეტული უშუალო პერსპექტივა არ გაჩნია და, ამდენად, რომანტიკული ხასიათი აქვს; მაგრამ ამ შემოხობობის რომანტიკულ ნაქუქს დრომდ ჰუმანისტური და რეალისტური შინაარსი ავსებს: კაკოსა და ზაქროს ვეკუცურ, კეთილ-შობილურ ხასიათებში, შიი სამართლიან, ადამიანის მოყვარულ პიროვნებებში გამოიხატა ხალხის ჰუმანისტურ-რეველუციური ბუნება, შიროშობლივად ამიანის შორაბირო ძალა, უდრეკო სიძულვილი ყოველგვარი ჩაჯრისა და უშრტი რწმენა კეთილი მომავლისა, და თავიანთი ინდივიდუა-
9. „შნათობ“ № 11.

ლისტერ-რომანტიკული შემოხობობის ამ დემოკრატიულ-რეალისტურ ხატისა ძალით კმბუქ ილიას ეს გმირებშიც ვხვდებით, როგორც მათი სიათყვანა ხალხურ გმირებშია — მომავლის ადამიანება არიან იმ სახით, როგორიათ ეს უყანასკნელნი მაშინ არსებობენ საქართულიანი გმირთადა, ისინი პირადი მარცხისათვის არიან გაწერილნი, მაგრამ იბრძვიან და გვევლენებიან ლისტერულ წინაბრებად და წინამორბედებად იმ რევოლუციური გლახობისა, რომელიც 1905 წელს ტარიელ გოლეების მეთაურობით მასობრივად აღსდგა ბატონყმობი უთანასწორობის წინააღმდეგ, ხოლო 1917 — 21 წლებში, თავისი პოლიტიკური გათავითშობიერების კიდევ უფრო მაღალ საფეხებზე, სოციალისტურ პროლეტარიატს დაუკავშირდა, რათა უყვე ყოველგვარი ჩაჯრისათვის შოელი ზოლო.

ხოლო „კაკო ყაჩაღისა“ და „გლახის ნაამბობის“ შემდეგ, — ილიას მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობრიობის, ზემოთ აღნიშნული ზრდის შესაძამისად, — ახალს, უფრო მაღალ, მაგრამ აგრეთვე უფრო გაართლებულ სახეს იქენს ილიას დადებით გმირთა რომანტიზმი. სახელდობრ, ილიას შემოქმედებაში, ერთის შორივ, თავისი სრულქმნის შვეერვალს, ახალ მფიქრებავ ხარისხს აღწევს ის ჰუმანისტურ-დემოკრატიული შინაარსი, რომელიც კაკოსა და ზაქროს ინდივიდუალისტურ ამბობს გამსჭვალავდა; მაგრამ, შეორეს მხოლოდ, ეს შინაარსი არა თუ არ თავისუფლება თავისა გამოვლენის ინდივიდუალისტური ფორმისაგან, არამედ, პირიქით, ეს უყანასკნელ ჰკარგავს თავის ადრინდელ აქტიურ-მებრძოლ ხასიათს. უყეთ: ამ შინაარსის სრულქმნა თეორიულა, ახსტრაქტულ-შორალური მიმართულებით სწარმოებს, ხოლო მისი პრაქტიკული, კონკრეტულ-პოლიტიკური გამოვლენის ქმედობობა კიდევ უფრო მეუთდება, რის შესაძამისადაც სუსტდება ილიას დადებით გმირთა „წარმომადგენლობითი“ კავშირი ცოცხალ, ვმირიულ სინამდვილესთან ანუ იზრდება მათ სახეთა „შილერისებურობა“.

სინიშემოდ შეწერალები ილიას დადებით გმირთა ორ უყანასკნელ და უშეღულს სახეზე, — თთარანთ ქვრივისა და გიორგის სახეებზე, — რომლებშიც შიელო სიხადლით გამოვლინდა გვიანდელ ილიას როგორც მსოფლმხედველობის, ისე შეთოლის წინააღმდეგობრიობა.

თავიანთა შორალური ბუნებით დედა-შვილი შოლოდ შემეკიდრენს კი არა არიან ილიას ადრინდელი შემოხობ გმირებისა, არამედ, დიდადც აღემატებიან მათ, მათზე გაცილებით შეტად გვევლენებიან მომავლის — ჩვენი დროისა და სინამდვილის ადამიანებად.

როგორც ითქვა, ილიას სოციალური იდეალი პრინციპულად დამუხრისპირდა კლასობრივი წყობილების ამორალურ საფუქვლებს. „სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველზედ წინ წამოდგა-

რო, — წერს ილია 1877 წელს, — თუ არ ამ ზნობითი კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გვმართებს. ეს ზნობრივი კანონი, რომელიც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა-დამცირებას კრძალავს, ილიას ყველა დღეებში გვირის შორალდა არის საზღვრავს. მაგრამ თუ ეს კაცო-ზაჭრას და გაბაროს პიროვნებებში ეს კანონი ჯერ კიდევ პირადული ნაქუცით იბოკებოდა, ოთარანთ ქვრივისა და გიორგის შორალურ უპირატესობას სწორედ ამ ნაქუცისაგან გარკვეული შიშართულებით და გარკვეულ ფარგლებში მათი განთავსულება შეადგენს. „აუთლებელია, — ამბობს ილია, — ადამიანს გული იმოდენად ჰქონდა დეეს ვამოღვიძებული, რომ საქვეყნო საქმისათვის უცემდეს და მოსვენებას არ აძლევდეს, იმოდენად ამატებული უნდა იყოს ზნობით, რომ თავის პატივმოყვარეობას, სახელსა, დიდებას — შარტო ქვეყნისათვის და დებულ დეაწლში ხედავდეს და შარტო მაგ ღვაწლის სიდიდით ზომავდეს კაცის ადამიანურს ღირსებასა საზოგადოდ და თავის დიდკაცობისას ცალკედ“; ღირსეულ, „გონიერ კაცად“ ილია მიიჩნევს საზოგადოებრივი ვალდებულების შევსებით გამსჭვალულ ადამიანს, „რომელიც თავის გარეთიან სხვაზედაცა ფიქრობს, სხვაზედაცა სწებს“ (ასეთი კაცისათვის, დასძენს ილია, „შიშვე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა“ „ის ჩვენი ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს“). და ესაა სწორედ ის ნიშანი, რაც შევეთრად განასხვავებს ოთარანთ ქვრივსაც და გიორგისაც, მაგალითად, გაბროსაგან, რომელიც შინამდე ურთოდებოდა დათიკოს ავკაიკობას, ვიდრე იგი პირადად მას არ შეეხო: დღედაცა და შეილიც, ცხადია, არა ბოლომდე, არა სრულად, მაგრამ შინაც ღრმად სოციალური, კონტრასტის არსებობა ილიას თვითნებური ბუნებით.

მართალია, ოთარანთ ქვრივისა და გიორგის აზრით, ყოველი ადამიანი თავისთვის უნდა შრომობდეს, საკეთიარ თავს უნდა პატივობდეს და ამით შეელოდეს „ამ გამჭარებულ წუთისოფელს“ (მათი მკნებთა მკნებაჲ: გაისარაჯე და ირჩინე თავი). — მაგრამ მთავარი ის არის, რომ მათთვის ადამიანური ღირსება, „ნამუსის“ ცნება მათიც არ შემოიფარგლება ე. წ. „გონიერული ეგოიზმით“, რომლის თანამდებ ადამიანი პირველ რიგში თავის წინაშე ვალდებული და იმიტომ უნდა იყოს პატიოსანი, რომ ეს მისთვისაა სასარგებლო. დედაშვილის საზრუნავი იმდენად პირადი კეთილსეუბაა კი არ არის, რამდენადაც საზოგადოებრივი, ადამიანთა სევაბული. მათ ის არ ავსაყოფლებს, რომ თვითონ არიან გამრჩენი, — ნამუსიანნი, — და ამით შეაქვთ თავიანთი წეილი „უთავებოლო და უსწორმასწორო წუთისოფლის“ გასწორებაში; მათ ანგარებითა თუ პატივმოყვარეობით დაბუნდები, „ბრმა“ და „მკედარი“ გული კი არ უღვეთ მკერდში, არამედ ქვეყნისათვის

გახსნილი და გამოღვიძებული გული უცემო, რომლისთვისაც „შენი“ „გემო-ც“ არის და „მე“-ს „ჩვენი“-ს გარეშე ეკარგება „ფასის, რომელიც „სხვის“ საქმეს ისევე ახლავს/დღებს/სწავლობს „თავისას“. ამიტომაც, რომ ოთარანთ ქვრივი „ისე არავის ვაუვლოდა გვერდით, რომ არ გაეკინწლა, თუ რამ თელში არ მოუვიდოდა“ და „მწველს იქნებოდა, რომ ტბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმაც“, რადგანაც „ამ გამჭარებულს წუთისოფელში ტბილი სხვა არ არის, რომ სიტყვა იყოს“; ამიტომაცაა, რომ მათხოვრისათვის გასაკითხის ვაცემისას იგი „მაიყოლებდა“ ზოლვე: „... ვერა ზედავ შე გული ედარო, რომ ვინცა იგი, წელზე ფეხს იღვამს და ღღის საჩრის ძლივსა შოულობს... ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრყვი თავი ენახოს? ფუი, შენს ნამუსსა“ და იგივე მაღალ-შორალური შეგნება ასულდგმულს გიორგისაცა რომელსაც, „მართალს შევერდის, თვითონაც მართალი უყვარდა, ლალაც და არმობა ისე გააწიწებოდა ზოლვე, რომ თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტებდა, თავს გამოიღებდა“. მასაც, დედის მსგავსად, აქვს „ის დიდნი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას“, ისიც, „თავისი იყო, თუ სხვისა. — თუ“ ცული რამ იყო, გამოეცილებოდა“, რამდენადაც ქვეყნის ავს ისევე მტყენეულად აღიქვამს, როგორც საკეთიარს; ასე, მაგალითად, გიორგი მხოლოდ იმიტომ როდი შეეგბა ოთარანთ მოჯამაგირეს, რომელსაც წწელით გამოება კამერტი ურეუმე, თვითონ კი ჩრდილში იმინი, რომ პირტტვი შეეყოფა, არამედ და მეტადრე იმიტომაც, რომ მოჯამაგირის სიზარმაცესა და უპატიოსნებაში ადამიანის ღირსების შემზღადველი და „ქვეყნის დამღუპველი“ პირობება დაინახა: „ის დავა მქონდაო, — განუმარტავს გიორგი სოფლის მოსამართლეებს, — რომ მაგისთანა ნამუსხდილ კაცისაგან ქვეყანა დაღუბული, კაცი კაცს ველარა ნდობია“.

თავიანთი პირდაპირობითა და უანგარობით, მაღალი პრინციპულობით, რომელიც ქვეყნის წინაშე ადამიანის ვალდებულების შევსებას იმეორება, დედა-შვილი ისევე ღრმად ხალხურნი არიან, როგორც თავიანთი გამრჩელობითა და გულკეთილობით. ილია საგანგებოდ უსვამს ხაზს იმას, რომ ოთარანთ ქვრივიცა და გიორგიც შრომებულ ხალხში, გულბაკობაში მჭკეტარე სილი, შემოქმედებითი ცხოვრების წიაღში შენახულ ნამდებულ, — არა „გავითებულ“, არამედ „შექმნილ“, — ადამიანურ ბუნებას წარმოადგენენ, — ბუნებას, რომელსაც მხოლოდ გარედან მოსდებია მანკიერა სოციალური წუობილებისაგან წარმომდგარი პირობებაცა ვესოს, რომლის „გვირგვინობის ცხბა კლიტით დავეტილ“ გულს გიორგის სული შეუვრანობელი დაურჩია და რომელიც გულბაკობაში მხოლოდ ხარბსა და გაუტანელ, შეუბრალებელსა და უმაღლარ არსებას ხედავს, ილია ასე პასუხობს ბრნილის პირით: „მაგრამ ცხოვრება მათიც იმათ-

შეა: იქა პდელს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სეემს თითონ სიციცხლის ძარღვიცა. რაც თქვი, ეგ ქუპუცია, ქაიფია მდღეარე ცხოვრებისა, თავედ მოგდებელი. ძირში კი უწინდლა. მამ რა სწავს იმისთანა კაქურ-კაქს, როგორც გიორგი იყო, ან ამისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქერიცა? შავისთანა პური მარტო იმას თონე-ში-ლა მტყვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს“.

შეგრამ ამის-და მიუხედავად ოთარაანთ ქერი-ვცა და გიორგიც მინც ვერ არიან ხალხის აქ-ტიური, პრაქტიკულად ქმედითი წარმომადგენ-ლები, მისი მეგზურება.

საქმე ისაა, რომ დედაცა და შვილიც გვიანდელ ილიას რევოლუციურ-დემოკრატიულ მორალურ იდეალებს ერთად განსაზღვრებენ მის შემრიგებ-ლურ-რეფორმისტულ პოლიტიკურ მეთოდოლო-გიასაც, რომელიც ამ იდეალს უტოპისტურ ოცნე-ბად აქცევს.

ოთარაანთ ქერიც და გიორგიც მხოლოდ სუბი-ექტურ-მორალურ პლანში მდღეღმებთან კაცო-გაბრუნებულ ინდივიდუალიზმზე, ხოლო ობიექ-ტურ-პოლიტიკურ პლანში მათ არა თუ დაუძლე-ველი დაურჩათ, არამედ გაუარესებულ-ი იც კი აღმოუჩნდათ ეს ინდივიდუალიზმი. თუმცა თავისი ადამიანური ღირსების ამაყი შეგ-ნების ძალით ოთარაანთ ქერიც (და ასევე გიორ-გიც) თავს ადვილად არავის დაჩავევრინებს, ისე რომ შორსა დგას ბორცვებისათვის წინააღმდე-გობის გაუწველობისაგან, და ასევე, თუმცა მას იმდენად აქვს გაღვიძებული გული საქვეყნო საქ-მისათვის, რომ უნებაროდ, პირადად მის წინააღ-მდეგე მიმართული რაიმე გარეგანი იმპულსის გე-რეგე, არის „აგრესიულად“ განწყობილი საზო-გადობრივი ბორცვების წინააღმდეგე; — შეგრამ მისი ეს მორალური აქტივიზმი გამოვლინდება მხოლოდ „კერძო, პირაგნულ ურთიერთობათა ფარგლებში და კონკრეტულად იმაში გამოიხა-დება, რომ იგი თავისი მწარე სიტყვით „ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოთხრადა“ ხოლმე რომე-ლიმე უსაქმურს ანდა კანდიდურად ამხელდა „გა-ნათლებულ“ მოღავებთ — არჩილსა და კესოს. ხოლო იმისათვის, რათა მისი პროტესტანტიზმი სუბიექტურ ფარგლებს გასცილდეს, ოთარაანთ ქერიც ისევე საქირებს ვარეგად ბიძგს, რო-გორც ზაქრო და ვაბრო ობიექტურ-პოლიტიკურ სფეროში მისი პროტესტანტიზმი მხოლოდ მისწინ გადის, „თუ ვაქირდა“, — მავალითად, მოურე-დებელია გზირმა ჭათამი რომ წაართვა, რის შე-დეგებაცა ოთარაანთ ქერიცა გუბერნატორამდელ იარა. თანაც, თქ. — ობიექტურ-პოლიტიკურ სფე-როში, — ოთარაანთ ქერიცის პროტესტანტიზმი მხოლოდ კაცოსეული მეამბოხების რადიკა-ლიზმს კი არაა მოკლებული, არამედ იმ ფართო სოციალურ ტენდენციასაც, რომლითაც სუბიექ-ტურ-მორალურ პლანში ხასიათდებოდა. ერთის მხრივ, „თუ ვაქირდა“, ოთარაანთ ქერიც რკინის ქალამანს ზაიცივას, რკინის ჯიხის აიღებს ზელ-

ში და ზელმწიფეში ივლის, ე. ი. „კანონს“ მი-მათავს იმის ნაცულად, რომ თავისი ჯიხი „კა-ნონის“ ბორცვად გამოყენებულს ველაბუხონს და თავის გიორგის შამისეული თოფითააღის ასხ-მა და კაცოსეული უსაღად, არსენად გასვლა მოს-თხოვოს. ხოლო, მეორე მხრივ, უმთავრეს ისაა, რომ თუ კი საზოგადობრივი ბრძოლის ასპარეზ-ზე უსაღად გასულ კაცოსა და ზაქროს „გაეების ცეცხლმოდებულ გულში“ ფართო საზოგადობე-რივი, საერთოდ „პედისაგან დაჩაგრული“ ადამა-ნისადმი თანაგრძნობა და დახმარების მოთხოვნე-ლება ლევიდება, ოთარაანთ ქერიც პირიქით მოს-დის: „კანონის“ გზით საპარტლის მიძებარს, მას უკვე გამწარებული წუთი-სიფელი“ რადი ახ-სოვს, არამედ საყუთარ უფლებათა ხელშეუხებე-ლობა ადარდებს; „ჯავრი ხომ არ შევარჩინე, — რადა ღირს სტუდენტურად რომ არ დავჩაგ-ვრინე ცოტაა? და ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქერიცს მეძახიანო“, — ამავობს იგი, გზარზე გამარჯეებული.

ამდენად, ის მორალური შინაარსი, რომელიც დედა-შვილის პირაგნებებს ილიას სხვა დადებით გმირებზე ამაღლებს, საბოლოოდ მინც რჩება პირაგნული, ინდივიდუალისტური ჩარჩოვებით შეზღუდული და ვერ იძენს იმ სიფართოვეს, რომელიც მას სოციალ-პოლიტიკური მასშტაბით აქცევადა ქმედით, რეალურ ფაქტორად. და ამა-ტომაცაა, რომ ხილი მარტო ოთარაანთ ქერიც ვიგო რ გისა და არ ჩილკესოს შორის კი არ არის ჩატეხილი, არამედ, — მორალურ პლანში, — დე-და-შვილისა და გლეხკაცობის შო-რისაც.

ცხადია, ამის მიზეზი მხოლოდ ოთარაანთ ქერი-ვისა და გიორგის პირაგნებებში როდი დევს. თუ კი არჩილსა და კესოს გვაჩინებოდათ ცხრა კლავით აქვთ გული ისე დაყეტლი, რომ მათ-თვის გიორგი, — ადამიანური ღირსების ეს „ციცხლი ხატი“, — შეუგრძნობელი და გაუგე-ბარი, „სულსხვა ასოვებით დაბეჭ-დილი“ წიგნი დაჩა, გლეხთა, — „ამ უთავბო-ლო და უსწორმასწორო წუთისიფელის“ მსხვერპლა, — გულევიც ისეა თავგრილობით „დამურეკებული“ და „დაურეკებული“, რომ არც მათ ესმით მათსავე თონეში გამოშკევარი დედა-შვილისა. მათის თელასაზრისით, გიორგის მიერ კამეჩების გამოსარჩლება „უქნაერია და დაუჯე-რებელი“ „მერე შენ რა გუპრიანება?“ — მიუ-გებს გიორგის „უნაშუსო“ მოჯამგორე „ბიჭო და შენ რა დავა გქონდა?“ — ცეითობიან მას სოფლის მოსამართლენიც, ხოლო გლეხთა საბო-ლოო დასკენა ისაა, რომ „ეს კაცი ან გიგია, ან ლევისაგან მოგზაინილი“, რომ მასში და დედა-მისშიც „ამ დიდი ცოდო ტრაიილებს, ან დიდი პნალო“, რომ „აქ სხვა ნიშანს წყალია“.

შეგრამ იმის შთავარი მიზეზი, რომ ოთარაანთ ქერიც და გიორგი საბოლოოდ კაცოვ და ზაქრო-ზე მეტად რჩებიან მარტოხელნი და განმზოლოფ-

ბუნია, მანც თვით მითხივეა და არა გლეხებში, საქმე ისაა, რომ ამ „კატერ კატო“ გული, — ეეს იგი, ის მალღი, რა ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს“, — რომელიც როგორც არჩილ-ვესოსანის, ისე გლეხებისათვის შეუცნობელი რჩება, მანც ამდენად ეერ არის გახსნილი და გამოცოცხლებული, შინაგანად ემანსიპირებული და აქტივიზირებული, რომ იმ ქმედით ძალად იქცეს, რომელსაც მისების ფოლა და ამაღლება, აღზრდა და გარდაქმნა შეეძლება. დედა-შვილის პირდაპირობა, მორალური „ავტოსიულობა“ მხოლოდ უნამუსობის მხილების მიმართულებით გამოვლინდება, ხოლო მაღლის ისინი მხოლოდ მაღლიდ და, თანაც დამკვლევებით, პოლიდამოყრდნობის სახით სჩადიან, ისე რომ სოფელში იმასაც ამბობენ, რომ „ოთარანთ ქვრივს გულის ზაგიერ ქვა უდესო“. მეტიც, თავიანთი კაცთმოყვარების, გამწარებული ხალხისადმი უანგარო თანაგრძნობის მიუხედავად, დედა-შვილი განუკლებებთ ღვანა, სიმკაცრის აბჯერის ისხაშენ და, როგორც გულხაბვეულ კაცს მოსდის ხოლმე, შინაგანი დამკვალეობისა და ნაღველით არიან შეპყრობილნი; პეტაძრე გამოირჩევა ამ მხრივ ვიორგი, რომელიც ტალა-ამანაგობას აგრერიგად არ ეწყობოდა და ძნელად თუ წარბის საუბრე გახსნიდა და საქმეს შესკინებდა — სულ პირდაღერებოდა და დანაღველანებული იყო („მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაჯრებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი“), და ამიტომაცაა, რომ „კაცი ვერ იტყვის, სძულდათ თუ უყვარდათ დედა და შვილი სოცელნი, შიშით კი ყველას ეწინააღმდეგებოდა“...

ჩვენი სამეცნიერო და კრიტიკული ლიტერატურა „ჩატეხილი ხილის“ ილიასეულ ცნებაში გულანსმობს მხოლოდ „წოდებათა“, ე. ი. გლეხობას და აზნაურობას შორის კლასობრივ ანტაგონიზს და ამის შესაბამისად „ხილის გამოვლენისაჲ“ ილიას მისწრაფებაში ზედმეტს მხოლოდ „წოდებათა“ შერიგების რეაქციულ-უტოპისტურ რქნებას. ნამდვილად კი „ჩატეხილი ხილის“ ილიასეული ცნება თუ სიმბოლო გაცოლებით უფრო ღრმავა და ფართო და ისევე წინაღობდევარბირი, როგორც ილიას მთელი მსოფლიმდევრობაა. — ჯერ კიდევ „გლახის ნაამბობში“ სიკვდილის პირას მთავარი გამბრო თავისი მოთხრობის დასაწყისში ამბობს, „ჩემ და ქვეყანას შუა ხომ გხვობიდა ჩატეხილია“ — და ბოლის განმარტავს, „გულეტკოვარი ვეზობოში მე ამ ქვეყანას აა, იმით რომ მე იმისი არა შემადგენს ჩაო!“ და განა მხოლოდ დათიკო წარმოადგენს „ამ ქვეყანას“? ამავე „ქვეყნის“ მკვიდრია ის გლეხკაციც, რომელმაც დასწინებული ვაბრო „შვირღობა“ — მანამ იმნა, ვიდრე ვაბროს „ერთი რაობი ვროში“ ჰქონდა, ხოლო როცა კი ფული გამოვლია — „ამ დალოცვაღმა“ ხელი ჰქრა და გარეთ გამოავლო უთესტოში. — და ასევე, „სარჩობელაზედ“ დასჯილი ავაზაკის ძმა ასე

სწერს პეტრეს: „გამოვედით. თ რწო. ბ ბ რ ღ რ ამ ტ ი ა ლ დ ე დ ა მ ი წ ა ზ ე დ უ ბ რ ო ლ დ უ ფ ო ლ დ უ ბ ნ ო ლ დ უ ნ ე ვ გ ო მ დ ე რ ე მ ე რ ო ლ დ უ მ ს უ ს ტ კ ო ე დ ბ ო ლ დ ჩ ე ვ ნ ი ვ ი ს ჯ ბ ბ რ ი მ ი რ ე მ ე რ ე მ ე რ ე ლ ა ს ა თ ე ი ს უ ბ ხ ო ნ ი ვ ი ყ ა ვ ი თ ყ ვ ე ლ ა ნ ი ჩ ე ვ ნ თ ვ ი ს გამ ო ვ ე ი თ ქ ა ლ ა ქ ი ა ს ე ე ნ ვ ა ბ ო რ ო ტ ე ბ უ ლ ნ ი, მ თ ე ლ ს ქ ე ვ ყ ა ნ ა ზ ე დ გ ო ლ ა მ ღ ვ რ ე უ ლ ი, გა და ვ ე მ ტ ე რ ი თ უ ს ა მ ა რ თ ო ლ კ ე ვ ე ყ ა ნ ა ს, გა და ვ ე მ ტ ე რ ი თ ყ ვ ე ლ ა ს... მ ქ ე ლ ს ქ ე ვ ყ ა ნ ა და ა დ ა მ ი ა ნ ი უ ფ რ ო, ჩ ე ე ნ შ ე ა ს ა ბ ო ლ ო ლ ჩ ა ვ ტ ე ხ ე ხ ი დ ი ვ ე ე რ თ ო ა ქ ე თ პ ი რ ა ს და ვ რ ჩ ი, მ ქ ე ე ნ მ რ ა თ ე ლ ო ი ქ ი თ ი“. ხოლო მეორას მტკიერ, ადამიანთა შორის ხილის ჩატეხილობა, მათი ერთმანეთისაგან გაუცხოებულობა, ერთმანეთისადმი თანაუგრძნობელობა აიკებს და ამტყუნებს პეტრეს, ოთარანთ ქვრივისა და ვიორგის მონათესავე პერსონაჟს, რომლის ცნობიერებამდე ვერც ის აღწევს, თუ როგორ შეიძლება ადამიანის ჩამოხრობა („კატა ხომ არ არის, აილო და ჩამოკილო რაც უნდა იყოს ღვთის სული ადამიანთა“) და ვერც ის, თუ როგორ ხდება, რომ კაცის ჩამოხრობის შემდეგ „ე ხალხ... ასე ქვილით გუნებანება, მიღის და მთყუანებს მხიარულად“... — და ამ ასექტში „ჩატეხილი ხილი“ ილიასეული სიმბოლო გამოხატავს კლასობრივ საზოგადოებაში ადამიანთა შორის კეთილშესაქუთობრივ ინტერესებზე დამყარებულ ანტაგონისტურ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელსაც ყოველგვარ ადამიანურ, მორალურ კავშირებს წყვეტს, და ამ აზრით ხილის გამოვლენაზე ილიას ოცნება შეიკრება. — თუმცა უტოპისტურ-რომანტიკული ფორმით, — დრამად რეალისტურ და პიოტრესულ, რეკოლოკურ-დემოკრატიულ იდეასაც ადამიანებს შორის ჰმარბიოელი კავშირის, ქვეშარჩება ადამიანური ერთიანობის დამკვიდრების აუცილებლობის შესახებ.

ჩატომ წარმოგიდგენს ილია ოთარანთ ქვრივისა და ვიორგის, თავის ამ იდეალურ გმირებს, ამგვარად ვანერძობებულ პიროვნებათა სახით?

საქმე ის არის, რომ კერძო საკუთრების ნიდავზე ადამიანთა „გათვითულების“, „ცალკე ცალკე დამოს“ პრინციპულად, თვორიულად მგომბელი ილია კონკრეტულად, ჰაქტკრეულად დასა საცა ვერძო საკუთრებაზე დამკვიდრებული სოციალური წყობილების რადიკალური, რევოლუციური შეცვლის, არამედ, — ყველას გამდიდრების გზით, — ეკონომიური ეთანასწორობის თანდათანობით, მშვიდობიანი გათანაბრების თელაზარისზე ხოლო ამის შესაბამისად იგი ორთიკრეტაის იღებს ხალხის, კერძოდ რეალურის არა რეკოლოკურ — დარბ მსახუ, არამედ შეძლებულ ნაწილზე, რომელიც ვანსაკუთრებით გამოირჩეოდა სარქოთო გლეხობისათვის დამახასიათებელი წვრილმსაკუთრებრივი თავგერძობით. ამ მხრივ ის არის ნიშან-

დობლივი, რომ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის საზოგადოებრივი თავდაპერისა და ჭკეცის განკერძოებულობას, რომელიც მწვევე წინაღმდეგობაში მიიღის მათ სუბიექტურ-მორალურ არსთან, ორგანულად ეხამება მათი სოციალური მდგომარეობა, — ის გარემოება, რომ ოთარაანთ ქვრივი, რომელიც არც სხვისას მოისურვებდა, მაგრამ თავისს კრუხავით ეფაფრებოდა („ოთარაანთ ქვრივის მიღამოში მზისა და წვიმის მტის არავის შეუძლო გაელა ქვრივის უნებართვოდ“), თავისი კონკრეტულ-სოციალური ნიშნებით შეძლებული გავრცობის წარმომადგენელია.

ამრიგად, მხოლოდ გლეხობისა და დედა-შვილის შორის კი არაა მორალური წინააღმდეგობა, არამედ, ამასთანავე, წინააღმდეგობაა ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის იდეალურ მორალურ ბუნებასა და მათ რეალურ წარმომადგენლობით ხასიათს შორის.

ცხადია, მათი კონკრეტული წარმომადგენლობითი ნიშნების მიხედვით ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახეები არ არის მოკლებული რეალიზმს. სახელდობრ, როგორც კაცისა და გაბრძოს შეამზობეობის ინდივიდუალისტური ბასიათი, ისე დედა-შვილის განკერძოებულობაც, საკუთარ თავში ჩაეკტილობაც გამოხატავს საერთოდ ილიას დროინდელი გლეხობისათვის და მეტადრე მისი შემღებელი ფენებისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ უმწეობას და, ამდენად, შეესაბამება „ცხოვრების სიპატალეს“. მაგრამ ის გარემოება, რომ ილია არა მხოლოდ კაცისა და გაბრძოს შეამზობეობის, არამედ აგრეთვე ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის „დიდი ნაშესის“ გამოვლენის ინდივიდუალისტურ ფორმას ექრტიკად, პოზიტურად წარმოადგენს. იმ მსოფლმხედველობრივ ფარგლებს მიუთითებს, რომლებიც გადაუღალავი რჩება როგორც ილიასეული, ისე საერთოდ კრიტიკული რეალიზმისათვის და რომელთა გამოც არ რეალიზმის უდიდეს წარმომადგენლებს არ შესწევთ ძალა თავიანთ ჰუმანიტარ იდეალთან მიმდევრულად რეალისტური განსახიერებისათვის. ანუ, სხვა სიტყვით, სწორედ ის გარემოება, რომ ილიამ თავისი მსოფლმხედველობრივი შეხედულების ძალით თავისი ჰუმანიტარული იდეალის გამოხატულებს გვირგვინ შეუფერებელი რეალური წარმომადგენლობითი თვისებები მიცა, განსაზღვრავს ამ გვირგვინის სახეთა რომანტიკულ ბას. მართლაც, გვევლინებთან რა ხალხის ნამდვილ შვილებად და წარმომადგენლებად მხოლოდ თავიანთი იდეალურ-მორალური ბუნებით, მაგრამ არა თავიანთი კონკრეტულ-სოციალური მდგომარეობითა და ხასიათით, ოთარაანთ ქვრივი და გიორგი კონკრეტული სინამდვილის რეალისტური განზოგადოების გზით შექმნილ „შექსპირისებური“ სახეები კი არ არიან, არამედ, — მკაცრად აგლახის ნაამზობის“ იდეალური მდგომარეობისა, რომელიც ზეციის წარმომადგენლის“ სახით დასტრიალებს თავს მი-

წიერ ცოდვით, — წარმომადგენელ ილიას ამ რეალური-დემოკრატიულ, თავისი არსით ღრმად რეალისტურ იდეალთა „რეპრეზენტს“, რომელთა განზოგადოების კონკრეტულ-რეალისტური ფორმები შევალს ვერ უპოვნია.

მაგრამ „შოლერისადაც“ არის და „შოლერიზაციაც!“ ზოგადად და პრინციპულად განზილული, იგი განსახიერებს რომანტიკული შეთქვამა. მაგრამ მისი კონკრეტული რაობა და საბოლოო დირებულება, — ყერძოდ, რეალიზმთან მისი მიმართება, — იმისაგანაა დამოკიდებული, თუ რა იდეებსა „რეპრეზენტს“ იყენებს შევრალი მხატვრულ სახეს. სახელდობრ, უნადაგოდ და უპერსპექტივოდ, ანტირეალისტურ რომანტიზმად იქცევა იგი, როდესაც მწერლის იდეები რეაქციულია, და პირიქით — ღრმად რეალისტური ტენდენციით გამსკვალელი შინაარსით ივსება ისეთ მწერალთა რომანტიკული სახეები, რომლებიც თუმცა ვერ ასერბებენ შესაფერი კონკრეტული ფორმები მისკენ თავიანთ იდეებს (რის გამოც რომანტიკისუნად გვევლინებთან), მაგრამ ამ იდეათა პოზიტურად, ჰუმანიტარ-ხალხური არსით თავიანთ ეპოქის პროგრესულ, რეკოლუციურ, შინააღმდეგობრივ მიმართულ ტენდენციებს გამოხატავენ. ამგვარი, ასე ვთქვათ, რეალისტური ეპოქის რეალისტური სახეთა ტიპს ეკუთვნიან ილიას ოთარაანთ ქვრივიცა და გიორგიც.

თუმცა ილიას ეს დადებითი გვირგვინი სათანადო კონკრეტულ-წარმომადგენლობითი ფორმის გარეშე ანუ აბსტრაქტულად, რომანტიკულად წარმომადგენლენდნენ მანკიერი სოციალური წყობილებების ხანგრძლივი ბატონობის შედეგად ხალხური ცხოვრების სიღრმეში ჩაძირულ ნამდვილ, წმინდა და აღამიანურ ბუნებას კაცისას, მაგრამ ამ აბსტრაქტულ-რომანტიკული სახითაც ისინი გამოხატავენ იმ ძალას, რომელიც მწერლის მიერ მათი შექმნის შედეგად სულ მოკლე ხანში ძლევაშისილად აღმოჩნება ცხოვრების ზედამართება, რათა საშარადისოდ წილეცა ის ბოროტება, ის „ქაფი“ და „ქუქვი“, რომელიც ფრთებსა ჰვეცის და სულს უხშობს, არ ახარებს, თრგუნავს „დიდი ნაშესის“ ადამიანს. ისინი წარმომადგენენ ადამიანური ღირსების, „კაცური ეკობის“ იმ ამიღებულ, ტანჯულთა და მებრძოლი ხალხის მრავალსაყურთაგანი ოცნებით შექმნილ იდეალს, რომლის კონკრეტულ-სოციალურ სინამდვილად სრულქმნილ განზოგადოებას სოციალისტური რეკოლუციის გამოქმნა და დედო სწავისა და რომლის სრულყოფილი, ცოცხალი და ღრმა, ემოციურად ქმედითი და იდეურად დამარწმუნებელი განსახიერება ქართული საბჭოთა ლიტერატურის უმაღლესი ვალდებულებაა.



ბაღიჯას



კალიდასის ვინაობის თაობაზე ისტორიამ არავითარი ცნობა არ შემოგვცემს. მისი სახელიც კი უცნობია ჩვენთვის. ფსევდონიმის ეტიმოლოგიის მიხედვით (კალი-დასა, ე. ი. ქალღმერთ კალის, შივას შეუღლის მონა), ის შივაიტი უნდა ყოფილიყო. ეს არის და ეს. ყველა დანარჩენის თქმა კალიდასას შესახებ მისი ხელით ნაწერ სტრაქონებს აქვს მინდობილი.

იმ ნაწარმოებთა წყვილიდან, რომლებსაც კალიდასას მიაწერენ დღეს კალიდასას შემოქმედების უტყუარი ნიშნუბად მიჩნეულია სამი დრამა — „შაქუნტალა“, „მალაიკა და აგნიმიტრა“ და „ვიკამორავაში“ — და სამი პოემა: ორი ეპიკური ხასიათისა — „ეუმარა-სამბაავა“ და „რაგუქენაში“ და ერთიც ლირიული — „მეგვა-დღა“.

პოემები დაწერილია სასკრიტზე — ძვ. ინდურ ენაზე. დრამებში კი სასკრიტულად შეტყუებული მხოლოდ მაღალი წოდების მამაკაცები, ქალები და დაბალი წოდების ხალხი საშუალო ინდურ ენას იყენებს.

კალიდასას პირველ დრამად ნაგარაუდვეი „მალაიკა და აგნიმიტრა“ გვიამბობს ისტორიული პიროვნების — შუნგა დინასტიის (II საუკ. ზვ. წელთაღიქცემამდე) პირველი მეფის — აგნიმიტრას შესახებ. აგნიმიტრას შეუყვარდება დედოფლის — ღვარინის — უღამახუნი მსახური ქალი მალაიკა. თავის მზრიალ, მალაიკაც ისწრაფვის მეფისაკენ და, ვიდრე გამოიჩნებულნი დაახლოვებას მოასწრებდნენ, ორივეს სასარგებლოდ ირყევია, რომ სასახლეში უბრალო მსახურად მოხვედრილი მალაიკა მეზობელი მეფის ასულია. მალაიკა აგნიმიტრას კარზე მოხვედრილი მეზობელ სახელმწიფოებს შორის არსებული ბრძოლებით შექმნილი არეულობის გამო. ამბავი მთავრდება აგნიმიტრას და მალაიკას შეუღლებით, მალაიკის დედოფლად აღიარებით.

შუნგას დინასტიის შესახებ არსებულ ცნობათა სიმცირის გამო არ არის დადგენილი, თუ რამდენად შეეფერება დრამაში აღწერილი ამბავი ისტორიულ სინამდვილეს.

ორი დანარჩენი დრამა — „შაქუნტალა“ (დრამის მთავარი მოქმედი პირის ქალის სახელია) და „ვიკამორავაში“ — „სიმამაკით მოზოგებულ ურავაში“ აგებულია ინდოეთში გავრცელებულ თქმულებებზე, თუმცა კალიდასამ უბრალოდ კი არ გაიმეორა, არამედ თავისებურად გადაამუშავა ინდური თქმულებები; თქმულებათა გმირები შეუღლებულად უფრო გააკეთილშობილა, ამაღლა და ისე წარმოგვიდგინა ისინი თავის დრამებში.

დრამატურგიის კლასიკურ ნიმუშად მიჩნეულ დრამა „შაქუნტალა“ გადმოგვცემს ცნობილი მეუღლანობის კანეას შეიღობილის შაქუნტალას თავგადასავალს. შაქუნტალა ერთბაშად გემოიჯნურდა და ცოლადაც გაყვა კანეას საგანგში ნადირაბის დროს შემთხვევით. შემოსულ მეფე დეშინატას. შეუღლებიდან რამდენიმე დღის შემდეგ დეშინატა თავისი მანკისაკენ გაემგზავრა იმ პირობით, რომ რამდენიმე დღეში შაქუნტალაც იქ გადაეყვანა. მაგრამ ამ რამდენიმე დღეში შაქუნტალას უბედურება შეემთხვა ერთხელ მეფეზე ფიქრით გატაცებულმა შაქუნტალამ ვერ შეინძნა და ვერ მიეგება კანეას საგანგში სტერმად შემოსულ სახელგანთქმულ ბრძენს დურვასას. დურვასა განაწყენდა და დეშინატას შაქუნტალა: რაკი სატყფოზე ფიქრმა უყურადღებო გაგზავდა, დაგვიწუოს მან და მხოლოდ მაშინ გიყნოს, როცა მის მიერ ნაჩქარ ნივთს უჩვენებდი. წყველამ, რა თქვა უნდა, გაქრა. დეშინატას დაეიწყა შაქუნტალა. შაქუნტალამ თავის შესვენება მათი შეუღლების საწინდარის ბეჭდის ჩვენებით მოინდომა, მაგრამ ბედკრულს ბეჭედი დაკარგული აღმოაჩნდა. სასწრაფოკეთილმა შაქუნტალამ დატოვა დეშინატას სასახლე, თუმცა კარგა ხნის შემდეგ ბედმა ის უკანვე დააბრუნა: სრულიად შემთხვევით დეშინატას მიგვეარეს მისი სამთავროს ერთერთი მეთევზე, რომელსაც მეფის ბეჭედი აღმოაჩნდა. მეთევზის თქმით, ბეჭედი მას თევზში ეპოვნა. დაინახა თუ არა ბეჭედი, დეშინატას მოაგონდა შაქუნტალა, შეუღდა მის ძებნას და იპოვა კიდევ.

თქმულების მიხედვით, შაქუნტალას უბედურების მიზეზი მეფეა, მაცდური და არაკეთილშობილი პიროვნება. ის არ სცნობს შაქუნტალას, მანამ, სანამ ზეციდან მუქარის ხმა არ შემოსვება. შემდეგ კი მეფე ეშმაკურად აცხადებს, რომ მე ჩვენი შეუღლებას სწორედ ამ ზეციურ ერთხევის ველოდიო. როგორც დაინახეთ, სხვა მდგომარეობა კალიდასას დრამაში. აქ შაქუნტალას მეფის მაცდურობა და არაკეთილშობილება კი არ აუბედურებს, არამედ შაქუნტალაზე განრისხებული სახელგანთქმული ბრძენის — დურვასას წყველა.

ასევე უფრო გაკეთილშობილებული არიან კალიდასას შესამე დრამის „სიმამაკით მოზოგებულ ურავაში“ გმირებიც. ეს დრამა გადმოგვცემს მიწიერი მეფის — პურურავასისა და ზეციური არსების — ასარა ურავაშის ტანჯვით სავსე ურთიერთტრობის ამბებს. თქმულება მიწიერი მეფისა და ზეციური ფერისა — ასარას ურთიერთსიყვარულის შესახებ საყმაღად გავრ-

ცლებულია არა მარტო ინდოეთში, არამედ, საზოგადოდ, აღმოსავლეთში. ამ თქმულებებში გამოყვანილი ფერია, აჰსარა გარკვეული პირობით მიჰყვება ცოლად მეფეს. საქმარისა მეფემ ეს პირობა დაარღვიოს, რომ განრისხებული სატრფო ჯერ დროებით, შემდეგ კი სამედამოდ ტოვებს თავის მეუღლეს და მიფრინავს ზეცაში. თქმულებებში გამოყვანილი ზეციური სატრფო ფიციხი, თავნება და სასტიკია. ის თვით ადევნებს თვალყურს დიდებული პირობის შესრულებას და მისი დარღვევის შემთხვევაში არაერთაზრ დათმობაზე არ მიდის.

სულ სხვა კალიდასას დრამის ურვაში. ურვაში მოსოვარულე და კეთილი ცოლია. ის, წინააღმდეგ თქმულებებში გამოყვანილი ზეციური ქალებისა, კი არ ესწრაფვის თავის ზებუნებრივი ძალის გამოჩენას — ზეცაში დაბრუნებას, არამედ, პირიქით, ცდილობს გაიხანგრძლივოს სათავყვანებელ მეუღლესთან ყოფნა: იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება გვიან დამდგარიყო ევაში მათი განშორებისა — რაც შეიძლება გვიან ენახა მეფე პურურავას სახე თავისი შვილისა, ურვაშიმ არც კი შეატყობინა მეფეს მემკვიდრის შექმნა, ისე შობაშია ის გასაზრდელად ნეტარი ჩოაენის საგანში. მართალია, კალიდასას ურვამისაც ახასიათებს სიდიცხე, ისიც ამწუხრებს მეფეს მასთან ხანგრძლივი განშორებით, მაგრამ უნებურად, აქ ის უდანაშაულაა. ურვამი მეფის დასჯის მიზნით არ გაუჩინაბრებულა. მას, მეფისაგან განაწყენებულს, დაეიწყება, რომ ექმარას ტყეში შესული ქალები ლიანებად გადააქცეოდნენ და წყენის გასაქარებლად შემთხვევით სწორედ ამ ტყეში შესული ურვამი მისდაუნებურად ლიანად გადაიქცა. მისი სათავყვანებელი მეუღლის უდიდესი მწუხარებას მიზეზად იქცა,

ურვამის თავდავიწყებული სიყვარულის სახალაა, აღბათ, ინდური პოეტის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნების დაქმყოფილებასთან ერთად¹, დრამაში მოცემული ხალხური ფინალი: ინდრას ნება-სურვილით პურურავასი მეფედ თავის შვილს აკურთხებს და თვით კი ურვამისთან ერთად ტყეში გადაახვევება.

კალიდასას სამსავე დრამაში, თუკი მათ ჩვენ განვიხილავთ ინდური პოეტის თვალსაზრისით, კარბობს სიყვარულის რასა². მისი სა-

მივე დრამა სიყვარულის გრძნობის გაღვივება-განვითარებასა და დავიერიგინებას ეძღვნება. დრამებში ყველაფერია, ყოველი წერილმანი ამ ძირითადი საკითხის უკეთ გაშუქებას ემსახურება. აქ არც ბუნებით ამ ძირითადი საზისაგან რდნავ მაინც დაშორებულ ამებს. დრამების მთავარი გმირები თავიანთი გატაცებებითა და განცდებით თითქმის განუწყვეტლოვ დგანან მკითხველისა და მსაყრებლის წინაშე; და თუ ფარდა მთავარი გმირების გარეშე იხდება, სცენაზე გამოყვანილი პირები მხოლოდ მათ გატაცებთან დაკავშირებული ინტერესის გამაძლიერებლად გამოდიან.

„ვიკრამორვაში“-ში ბრძენი ბჰარატას მოწაფეები საუბრობენ ურთიერთმორის: ურვამის ისე თავდავიწყებით შეგვევება მუფე პურურავასი, რომ ბავჯე ქვეცნობიერად მხოლოდ მისი სახელი აყვარა. იმ ნაწარმოების კითხვისას, რომელსაც „ლაქშმის მიერ მეუღლის არჩევა“ ეწოდება, ურვამის, განმასახიერებელს ლაქშმისა, კითხვაზე, თუ ვინ არის ის, ვისცენაც შენი გული მიიღტვისო, ნაცლად ტეჰტში არსებულ პურურავამისა, პურურავასი უთქვამს.

სხვადასხვა ნაწარმოებში ერთი და იმავე რასას ასე განუხრელი განვითარება, არსებითად, ერთსა და იმავე სიუჟეტურ ჩონჩხზე — ცოლიანი მეფე უმიჯნურდება ლამაზ ასულს, რომელსაც ბოლოს ცოლად ირთავს — დიდ საფრთხეს ქმნიდა დრამების ნაირფერონებისა და მიშხიდელობისათვის. საქმის ამგვარი ვითარებისას ადვილი შესაძლებელი იყო, რომ დრამები დამსგავსებოდნენ ერთმანეთს და მკითხველისა და მსმენელისათვის საკმაოდ მომაბეზრებლად ქცეულიყვნენ. მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა კალიდასას სიღაღად. კალიდასამ ასეთ პირობებშიც კი შეძლო სიუჟეტის სხვადასხვაგვარად განვითარება. „მალაიკასა და აგნიმეტრაში“ მეფის მიჯნური მსახური ქალი მალაიკა ჩრდილშია. აქ ერთ-ერთი მთავარ მოქმედ პირად დედოფალი გამოიყვანა და დრამის სიუჟეტს სწორედ მისი ექვიანობა ავითარებს. „ვიკრამორვაში“-ში პირიქით, წინააღმდეგ ურვამი დგას თავის თავგადმსავლითა და განცდებით და დედოფალი შედარებით დარღილულია. მესამე დრამაში კი („შაკუნტალა“) დედოფალი საზოგადოდ არ ჩანს და მთელი დრამის მანძილზე უყრადღება მხოლოდ

¹ ინდური პოეტის მოთხოვნის თანახმად ნაწარმოები არ უნდა გადმოსცემდეს ისეთ გრძნობებს, ისეთ ამბებს, რომელთაც ადამიანის ცულ ხასიათზე დაყენება შეუძლიათ. ასე, მაგ. გმირის სიყვარული დიდშეებელია. ამ მოთხოვნისაგან განაპირობა, აღბათ, ის გარემოება, რომ ძე. ინდ. დრამატურგია არ იცნობს ტრაგედიას.

² ინდურ პოეტიაში მნიშვნელოვანი ადგილა უჭირავს მოძღვრებას „რასას“ შესახებ. „რასა“ გემოს ნიშნავს და იმ უმათარეს განცდას, გუნე-მა-განწყობას გულისხმობს, რომლითაც ნაწარ-

მოები ან მისი რომელიმე ნაწილია გამსკვალული და რომელიც მსხენელსა თუ მკითხველს „აგებებს“ შესატყვის შეგრძნებებს, განაწყობს შესახამისად. რვა ძირითად რასას არიყვენ: 1. სასიყვარულოს, 2. კომიკურს, 3. პათეტურს, 4. შრისხანების აღმჭვრელს, 5. საგმიროს, 6. შინის მომვრელს, 7. ზოხლის გამოწვევს, 8. გაოცების გამოწვევს. ნაწარმოებში ერთდროულად რამდენიმე რასაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ამათგან ერთერთი უსათუოდ სხვებს უნდა სუბარბოდეს.

შაქურტალზეა მიქცეული. უზღაო მხატვრის — კალიდასას სხვა დამახტვრებასთან ერთად, უთუ-ოდ ამ ზემოსხენებულმა ფაქტმა განაპირობა დრამების ნაირგვარობა. კალიდასას დრამები არა თუ არ არიან მომამხტვრებელი, პირიქით, თითო-ეული მათგანი თავისი საკუთარი სურნალებით იზიდავს ადამიანს, თავისებურ სითბოს მძატებს მას, თავისი საკუთარი ლაზათით კეკლუცობს. „შაქურტალში“ კი იმდენად ვადაპირება თავისი მიზიდულობით არა მარტო კალიდასას დანაჩ-ინენ ორ დრამას, არამედ ინდური დრამატურგის სხვა ნიმუშებსაც, რომ ბუმბერაზ გოეთე ალტაცებით ათქმევინა:

გწაღია იხილო ყვაილი სიკამატისა და ნა-ყოფი ხანდაზმულობისა,

გწაღია ის, რაც მოგაჯადოებს და აღვადრთო-ვანებს,

რაც გასაზროებს და ავადებს,

გწაღია ზეცისა და მიწის ერთი სიტყვით

გამოხატვა,

დავისახლებ შაქურტალს და ამით ყველა-ფერი ნათქვამი იქნება.

დრამების გმირები მალაი ზნეობის ზალხია ყოველი მათგანი უშელო და წრფელია, გუ-ლისხმიერია და კეთილი, მეგობრისა და თავის მოვალეობისათვის თავდადებული და ერთგული. კალიდასას თანაბრად ეტყობება როგორც მალა-ლი, ისე დაბალი წოდების წარმომადგენელი დაბატება. მეფე და მეოყვზე, დედოფალი და მო-ახლე ქალი მის დრამებში თანაბარი მიმზიდუ-ლობით გამოიყურებიან.

განსაკუთრებული გულისყურით ვვიღებ კალიდასა ქალთა გამოხატვას. დრამების ქალები ედემამოსილი, ნახი და არბილი ბუნების არსე-ბები არიან. მიჯნურისა მათ რუბუნით და ერთ-ღებში, მალავთა მეფის წინაშე წარდგენისას იმდენად დარცხენილია, რომ მას აშნევენენ, შაქურტალა კი არამარტო თვითონ არის თავ-დაქერილი, სითამისათვის მეგობრებსაც კი ტუქსავს. მიჯნურს არ უთამაზდებიან არა მარ-ტო მიწიერი არსებამ — მალავთა და ნახევრად-მიწიერი — შაქურტალა, არამედ მეფე პურუჩა-ვასისთვის თვით ზეციდან მოვლენილი ურვა-შიე კი. ურვაში თავისი ზებუნებრივი უნაბა-ნობის წყალობით ნამდვილად შეიტკობს, რომ მეფეს სწყურია მისი ნახვა, მაგრამ, მიუხედა-ვად ამისა, სასოწარკვეთილი ამბობს: ო, მრცხე-ნია, მრცხენია ... ნუთუ მიმხედა მეფე რაიმეს? არ ძალმობს მისთან გამოჩენა.

როგორც მთავარი, ისე მეორეხარისხოვანი როლებს მქონე გმირი — ქალები, ყველანი ერთთვად ვაციასრონებულნი არიან ყველაზე უფრო მალაი და კეთილშობილური გრანო-ბით — უნაგრო სიყვარულით ყოველი ცო-ცხალი არსებისა და, საზოგადოდ, მთელი ბუ-ნების მიმართ. ამ გრანობის სძლიერე ქალებში განსაკუთრებით ცხადად არის ვადმოცემული „შაქურტალს“ I მოქმედებაში, სადაც შაქურ-

ტალა და მისი მეგობარი გოგონები არიან ვა-მოყვანილი კანვას სავენში და IV მოქმედება-ში, სადაც ქმრისაგან დაეციებულ შაქურტალა მიემგზავრება მეუღლის სამფლობელოსკენ და ემშვიდობება სავენს. კანვას სავენში აღზრ-დილი ქალწულით თითქოს შერწყმულია არიან ბუნებასთან. ისინი სიყვარულით ევლებიან თავს სავენის ყოველ ხეს და ბუჩქს, სიდაქიზით რწყა-ვენ, უვლიან არა მარტო იმ მცენარეებს, რომ-ლებიც ყვაილობის პრიცესში არიან და რომ-ლებიც ატებენ ქალწულს თავიანთი წარ-მტაც კურნულებითა და შესახებობით, არა-მედ ისეთებსაც, რომელთაც უკვე იყავიერეს და, შემქნარი ტოტების გარდა, აღარაფერი დარჩე-ნიათ. მოდი, მოგწყათ ეს ხეები, რომელთაც უკვე იყავიერეს, ეს უფრო უნაგრო იქნებაო, ამბობს შაქურტალს მეგობარი პრამეადა და ამ აზრის სილამაზით მოხიბლული შაქურტალა გა-ტაცებით ეძლევა საქმიანობას.

მეფე დუშინატის სამფლობელოსკენ გამგ-ზავრების წინ შაქურტალა ეთხოვება, ეალერსე-ბა სავენარად სავენს, ნახ ლიანებს და გამო-შვიდობებისას ზოგიერთი მცენარის მიმართ მე-გობრებს განსაკუთრებული სიდაქიზითა და ყუ-რადღებით მოქცევას სთხოვს. მეუდაბნოე კან-ვას კი ეუბნება: მამაო, აქ არის ერთი შველა, რომელსაც მალე პატარა უნდა შეეძინოს. რო-ცა ის ბედნიერი დედა იქნება, ზემთვის ამის შეტყობინება არ დაგიფიქდესო.

არც სავენე რჩება გულგრილი შაქურტალს გამგზავრებისაღმე. მეგობრებთან ერთად მის წასვლას მთელი ტყე განიცდის: ფარშავანგი წყეტს ცეცხას, ირმებს ზალხი ყელში აღარ გადასდით, დადარღინებულ მცენარებს ცრე-ლებივით სცივით გაყვიერებული ფოთლებაც შაქურტალს გამოზრდილი შველა კი თითქოს გრანობს განმორებას და ეწინააღმდეგებო მას, ისე ექიდება შაქურტალს კბახე და არ უშვებს.

სიყვარულის ეს დიდი გრანობა წარმოშობს დრამებში მეგობრისათვის თავდადებასა და ერთგულებას, მისდამი გულისხმიერებასაც. ამ სა-საკითხშიც განსაკუთრებით „შაქურტალა“ გამო-ირჩევა, აქ თითქოს კეთილ და უმანკო ქალ-წულია მთელი სულერი საშარაო ვადაშლილი, გოგონები შემხარიათ, ეალერსებიან ერთმანეთს (I მოქმედებაში) და ყველა მათგანი ანებებებს მათ შორის მოხდენილობით გამოირჩეულ შა-ქურტალს. გოგონები ტუტებიან თავიანთი მე-გობრის მშვენიერებით: შეჩერდი — ეუბნება შაქურტალს პრამეადა — შენ მანდ ემსავესე-ბი ვაზს, რომელიც მანგოს ხეს შემხტავივია.

მეგობარი გოგონებივე უღადაან გვერდში გა-მიჯნურებულ შაქურტალს და ისინი ეტებენ მას-თან ერთად გამოსავალს. მეგობარმა გოგონებმა შეარბილბინეს განრისხებულ დურვასას წვე-ლა — შაქურტალა იცნოს მეუღლედ მამინ, როცა თავის ნახუქარ ნივთს დაინახავს.

დრამებში მეგობარი ყოველნაირად ცდილობს

მეგობრის დაცეას უსიამოვნო განცდებისაგან. პრიაშვიდამ და ანასუიამ იცოდნენ დერეისას წყევლის ამბავი, მაგრამ ეს შაყუნტალას არ გაუშხილეს.

გულისხმიერებას ქალი იჩენს არა მარტო მეჭობრის, არამედ თვით მეტრასის, რაყიფის მიმართაც კი. მალაფიას, როგორც ქალს, ესმის დედოფლის, წუხს მისი მდგომარეობის გამო, მაგრამ მას მორალის ნორმების მოგონებით ამშვიდებენ: როგორ, ვანა არ შეიძლება მოტეხო მანგოს ის ტოტი, რომელზეც ფუტკარი ზისო?

მიწიღებულობა და ტაქტიანობა მეტოქესთან დამოკიდებულებაში კალიდასას დრამების ქალთა დამახასიათებელი თვისებაა. მიუხედავად ოფიციალური აღიარებისა, პოლიგამია ერთგულ და მოყვარულ ცოლებს მეტად დიდ უსიამოვნებას აყენებდა. კალიდასას ორსავე დრამაში, რომლებშიც კი ჩანან მეფის მიჯნურის გამოჩენილი აღსაფრთხილებელი ცოლები, დედოფლები დიდსულოვნებისა და ტაქტიანობის გამოჩენით ახერხებენ თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებას. „მალაფიასა და აგნიმიტრასში“ დედოფალი, ცოლი მეფე აგნიმიტრასი, თრგუნავს თავის თავში მეფის ვატიცებთან გამოწვეულ გრძნობებს და საკუთარი ინიციატივით აჩქარებს მალაფიას სასახლის დედოფლად აღიარებას. „ურავში“-ში კი დედოფალი საჯანგებო ათქმის აძლევს მეფეს, რომ ის ხელს არ შეუშლის მას სხვა ქალთან დროის ტარებაში. ზემო ბედნიერების ხარჯზე მე მსურს ჩემი ბრძანების ბედნიერებათ, ამბობს დედოფალი.

აღსანიშნავია, რომ დრამების მორიდებულ, მოყვარული და ერთგული ქალები შეერაცხებოდნენ იოლად რაყისაგან აიტანენ, როცა მეფე დღმინტა დაეძვდა შაყუნტალას პატონსებასა და სიმართლში, მეფის მიმართ ყველაზე მაკაცრი ჩისხვა სწორედ შაყუნტალამ გამოაკვია: უღირსო! შენ ყველაფერზე საკუთარი ორგულობის მიხედვით მსჯელობ. ვაბედავდა ვანა ვინმე იმის ვაკეთებას, რაც შენ ჩაიღინე? დაშლულაყო სათანობისა და სიკეთის საფარველში თითქოს ზემოდან ბალახით დაფარული თვალაწუწქდომი ქაოა.

ვებებით რა დრამების გმირებს, ყურადღება უნდა შევანეროთ მათ ფსიქოლოგიურ სიზარტულზე. კალიდასა გამოირჩევა თვალთ, აღამიანის ბუნების ღრმა ცოდნითა და ფაქიზი სულით დანტრიალებს თავის გმირთა სამყაროს, კალიდასას გმირთა ქვევა ყოველთვის წრფელი და დამაჯერებელია: ურავშიზე გამოიჯნურებულ მეფე ცილიობს არც დედოფალს ატონოს გულს. მეფე ეალერსება დედოფალს, ცდილობს ასიამოვნოს მას, მაგრამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ხელის მოჯნურისაგან, მიუხედავად მეფე-დედოფალს შორის მოშხადარი სერიოზული განხეთქილებისა, როგორც კი გადის დედოფალი, მეფის აღარ ძალუბს ამ უსიამოვნებაზე ფიქტი, მისი აზრები მხოლოდამხოლოდ სანატრე-

ლი ურავისაგან იწვევენ. ან კიდევ: შაყუნტალა ეახლა მეფე დღმინტას, რომელიც ვერ ხვონებს მას. შაყუნტალა განიზრახავს თავის ცოლობა დღმინტას მისი ნაჩუქარი ბეჭდის ჩვენებით დაურეკოს მისი და ზელს წარუღებს... თითზე, რომელზეც ბეჭედი ევალდება, მაგრამ... ბეჭედი დაქარავია... და შაყუნტალას შესახებ, რომელიც ბეჭედთან ერთად უკანასკნელი იმედიც დაქარავი, ავტორის რემარკა გვეუბნება: დამწებრებული შეხედავს გაუტამის. ერთადერთი აღამიანი, რომელსაც შეეძლო შაყუნტალასათვის ამ უცხო მხარეში თანაგრძნობის გაწევა, კანვას სავანიდან გამოყოლებული მხლებელი გაუტამი იყო და სასოწარკვეთილი შაყუნტალას თვალუბიე მისკენ მიავსრო აშწუთს ავტორმა.

კითხვობით რემარკებს და გგონიათ, რომ კალიდასა გონების თვლით ვი არ სქვართს თავის გმირებს, არამედ ცხადად უზურს მათ, ცხადად ადგენებს თვალყურს მათ საქციელს, ყოველ მათ ეესტს, თითოეული კენთის შერხებას მათ სახეზეო. ავტორის რემარკები მიუთითებენ ტონს, რომლითაც უნდა წარმოითქვას სათქმელი, მიმეგას, რომელიც უნდა ახლდეს განსახორციელებელ მოძრაობას, მოქმედებას, რომელიც საუბრობა გარკვეულ მომენტებში, ითვალისწინებს რა მაშინდელი სცენის შესაძლებლობებს, ავტორი ზმირად მიუთითებს, რომ აქტიორმა მხოლოდ ეესტებით ან მოქმედებით უნდა შექმნას ილუზია იმის განსახიერებისა, რის წარმოსახვეც აუცილებელია ბიესაში. ასე, მაგალ, ურავის ქალწული მეგობრები ისეთ მოძრაობებს აკეთებენ, თითქოს მთა ჰემპელტაზე აღიარო — გვეუბნება ერთი რემარკა. ან კიდევ შევს გამოდებულ მეფე დღმინტას განიზრახვისა შევტლემ უნდა წარმოადგინოს სწრაფი მოძრაობა...

კალიდასა არ კმაყოფილება მხოლოდ გმირთა განცდებისა და მოქმედებების უშუალო და წრფელი გადმოცემით. „სამამაკით მოპოვებულ ურავშიში“ სცენაზე მიმდინარე ამბების ემოციურად გასამახვილებლად კალიდასა იყენებს მუსიკალურ აკომპანიმენტსა და კელისებიდან მომავალ ხმას, რომელსაც სცენაზე მიმდინარე ამბების მხატვრულად განზოგადებული სახით გადმოცემის ავილებს. ასე, მაგალ, დახეტება სასოწარკვეთილი პურტრავასი ურავის ძებნაში და ჰმა კელისებიდან ამბობს:

უღაბურ ტყეში მცხოვრები სპილო... მეფე სიხარულს მოკლებული გულით... მწუხარ დახეტება, ვაებთ მოთქვამს...

პურტრავასი განიზრახავს, მიუხედავად განუკერტელი სიზნელისა, ეახლოს მთას და პოპოხოს, ხომ არ იცის მან რაიმე მისი მეგობრის შესახებ. მე არ მოგბრუნდება მანამ, სანამ ამ საღ კლდეებს არ მოვიანახლებო, ამბობს მეფე და ამ ვადამწვეტილებას თითქოს განსაკუთრე-

ბულ სიპტიკეს აძლევს იმავე წუთს ხმა კულისებიდან:

ხასრი ჩლიჭებით მიწას თხრის (და)
უკან მოუბედავად,
განზრახულით მთლიანად შთანთქმული
ტახი მიღის ტყეში.

კალიდასა მიზანს უთოვდ აღწევს. ოსტატურად განვითარებულ სიუჟეტში მოხდენილად ჩართული მხატვრული განზოგადებები თითქოს ნაყარადედე მუსიკასაც ახმოებენ და მკითხველსა თუ მსმენელის ეს ემოციური აღტკინება მეფე პურურავასის ოხერას გმინვად აქცევს, მის მიერ დადრქვეულ ცრემლებს კი — გამჭვირვალე ტბად, რომელშიც მთელი სიციხლით აირეკლება მეფის სრული სასოწარკვეთა.

დრამები სოციოლოგი სიმახვილითაც იპყრობენ ყურადღებას, კალიდასას შეუმჩნეველი არ რჩება მეტოქე ქალთა ერთ პერქვეშ ცხოვრების სიმძიმე, სიძნელე. მას რაყიფთა ერთად ყოფნა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ საჭირ-ხორტო საკითხად მიიჩნის: ხელშეიფეო! გესმენია, რომ მეფეებს მიჯნურები მზავალა მკათე. შეეცადე, საქმე ისე მოაწყო, რომ ჩვენ მეგობარი საყუთარი ოჯახს შეუხარებდა არ ვადაიქცესო, — ეუბნება მეფის შაჟენტალს მეგობარი — ანასთია. ურვამის სიყვარულის გამო მზავალტანჯული და ბოლის ვაბენდინებულე მეფე პურურავასი კი ლეთისადმი თავის უკანასკნელ მიმართვაში ასეთ სურვილს გამოთქვამს: ნეტარი ინდრა ჩვენდამი კეთილად განწყობილი ყოფილიყოს და სათნოთა ბედნიერებისათვის რაყიფთა — ძნელად ვასაერთიანებულთა — შერწყმა მოესურვებოთო.

კოლიანი მეფის გამოჯნურებისადმი დრამებში აშკარა ანტიპათია ჩანს. მასხარა ხან აქ, ხან იქ, სწორედ მეფის გამოჯნურებას გესლავს. დუშიანტას დასკინის მასხარა: აი, კელავ აუტყდა ამას შაჟენტალსეული ციებ-ცხელებაო. არ ინაწილებს მეფის ვარაშს არც პურურავასის მასხარა (დრამა „ეიკრამორავაში“) როცა მოულოდნელად დედოფალს აღმოაჩნდება ურვამის მიერ მეფისადმი მიწერილი სატრფილო ლექსი, მეფე შემუფთებულ უჩურჩულებს მასხარას — მანდაყას, — რა ვქნა, როგორ დავადწმო თავი ვაჭირებებათა? მასხარა კი, იმის სიყვალად, რომ დაეხმაროს, გამოიყვანოს ის უხერხული მდგომარეობიდან, მეფეს ეხუმრება — ქურდი, შეპყრბილი მამხილებელი ნავითი ხელში, ველარსად წყავო.

რაც კი კოლიანი მეფის გამოჯნურება მხოლოდ განზორცილება იყო მაშინდელი საზოგადოებრივი მორალისა, აქ შეიძლება ერთგვარი პროტესტი დაენახოთ პოლოგამიის წინააღმდეგ.

კალიდასის პოემებიდან „რაგკუ-ვანშა“ რაგბუს დანასტიის ეპიკურ-პანეგირიკული სტილის ლევენდარულ ქრონიკას წარმოადგენს.

„კუმარა-სამშპავი აღწერს ომის ღმერთის — კუმარას დაბადებას. შესამე კი — „მეგა-ღურე ნიშნავს „ღრუბელს-მსტოვარს“ ანუ, რაც გვევყავს, შიკრიკად გამოყენებულ ღრუბელს.

„მეგა-ღურე“ ერთ-ერთი იაკშას ცხოვრების ეპიზოდს გადმოგვცემს. პოემაში გამოყვანილ იაკშას რალე დანაშაულის (დანაშაული პოემაში არ ჩანს) გამო ვანურისხებია თავისი უფალი — კუმერა. კუმერას იაკშას თავის ცოლთან ერთი წლის ვადით განშორებით დაუსჯია და ჩრდილო მხრიდან სამხრეთში ვადაუსახლება. საყვარელ ცოლთან განშორებით დადარდიანებული იაკშა წყიშების სეზონის დაღვამის წინ შიმართავს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ ღრუბელს თხოვნით: ინახულოს ქ. ალაკაში ქმრის მოლოდინში მყოფი მიჯნური-ცოლი, ვადასცენ მას ქმრის დიდი სიყვარული, ერთგულება და ტანჯვა მოულოდნელი განშორების გამო. ყოველივე ამით ვადაღვლიოს მას მიჯნურთათვის ყველაზე მძიმე წელაწადის დროს — წყიშების სეზონის ვადატანი და უკან მობრუნებისას მისი ამგები აცნობოს. ღრუბლისადმი მიმართულს ამ თხოვნაში იაკშა დაწერილობით აღწერს იმ ვზას, რომელიც ღრუბელს უნდა ვაბაროს იაკშას მიჯნური-ცოლის ადგილ-სამყოფელადე, ქ. ალაკამდე. ის აღწერს შიშებს, მდინარეებს, ქალაქებს; იშვიათი ოსტატობით ხატავს მთელ ხელებს, იგონებს ვზად ვასადელე ადგალობთან დაკავშირებულ მითებსა და თქმულებებს და აშნაირად იქმნება ასოციაბუთსტროფიანი პოეტური ნაწარმოები, რომელიც მაქს მიულერის თქმით, თავისი ვეგვითა და განწყობილებით ვაცილებით უფრო ემსგავსება ელევას, ვიდრე პოემას.

პოეტური მეტყველების თავისებურებათა შესახებ ინფორმებს ტრატატი აქვთ შექმნილი და მას „დჰვანის“ უწოდებენ. „დჰვანი“ ნიშნავს „დარეკვას“, უფრო ზუსტად, იმ ხმას, რომელიც ზარის რეკვის შემდეგ ისმის და შეისწავლის პოეტურ ნიშნებს, პოეტური მეტყველების ფარულ აზრს. დჰვანი იმ ხერხებსა და საშუალებებს ვანიხილავს, რომელთა გამოყენებით პოეტი ზოგჯერ, რამდენიმე სიტყვით, ასოციაციათა წყებების გამოყენებით მთელ სურათებს, სახებებსა და ვაცნობებს ქმნის. ინდოელთა აზრით, რაც უფრო ძნელა პოეტის ვაგვება, რაც უფრო რთულია პოეტური თქმებით გამოწვეულ ასოციაციათა წყება, მით უფრო მაღალხარისხოვანია ლიტერატურული ქმნილება.

ზეერ აეტრის არ აქცევენ ინდოელები უშალესი რანგის პოეტებში, მაგრამ აზრთა როგორი სხვადასხვაობაც არ უნდა არსებობდეს ამ საკითხის ირვლიც, კალიდასა ყოველთვის ერთ-

1 იაკშა ნახევარღმერთების ერთ-ერთი სახეა. ისინი კეთილ არსებებად არიან მიჩნეულნი. ითვლებიან სიმღიდრის ღმერთის — კუმერას მსახურებად და მისი ვანძის მყველებად.

ზად არის ზოლზე მიჩნეული ჰუმანიტ პოეტ-თა ერთ-ერთ პირველთაგანად.

კალიდასა ცოცხალი წარმოდგენისა და ფაქიზი აღწმის პოეტი. ის შორის მიჰყავს თავის ფანტაზიას, ცოცხლად გვიხატავს ფანტაზიის ნაყოფს და სათითად აანალიზებს მას, ის ოცდახუთი სტროფიდან „მეგვა-დღეტას“ ასზე მეტი სტროფი (ყველა ის სტროფი, რომლებიც ღრუბლის მიერ გასაფლული გზის ფანტასტიკურ წარმოსახვას ეძღვნება) ამის თვალსაჩინო საბუთია. კალიდასა ღრუბლის მიერ გასაფლული გზას არა მარტო გეოგრაფიული სიმაჩლით აღწერს, არამედ საოკარი სიციხადით წარმოგვიდგენს აღწერილ ადგილებში მოსალოდნელ სიტუაციებსაც. პოეტური წარმოდგენის სიციხად იქამდე მიდის, რომ აეტარი გვიხასიათებს ნიაფის თავისებურ სურნელს: შივას სავანის ბაღებს არხვეს მდინარე განსაჯატიდან სონანბერი წყლის ლტოხსების შტვრით გასურნელოვანებული ნიაფი (სტრ. 33); წარმოსახულ სურათებს ფერებში გვაწვდის და ყოველივე ამას იმგვარად აფორმებს, თითქოს თვითონვე ტყებზეა ამ მშვენიერებითი. კალიდასა ზშირად თვითონვე უძებნის შედარებებს მის მიერვე წარმოსახულ სურათებს, რითაც განსაკუთრებულ ხატოვანებას ანიჭებს მათ.

კალიდასა ტრფილია სამყაროსი. მშვენიერებისადმი გამოეცურებულის თვალად შესცქერის იგი სამყაროს და ამოტომაჲ მშვენიერების ის ყველგან ხედავს. მისთვის მშვენიერი ის ზოგადი კატეგორიაა, რომელიც შლის ზღვარს სულიერსა და უსულის შორის, და პოეტს ამ ორივე სამყაროს ერთნაირი თვალსაზრისით აღქმის საშეალებას აძლევს. მიჯნურობას, ადამიანთა ურთიერთობის ამ უმშვენიერეს სახეს და ვანცლანს კალიდასა ადამიანთა გარეშეც ხედავს, მისთვის ელვა, რომელიც ზშირად თან ახლავს ზოლზე ღრუბელს, შეუღლა ღრუბლისა (სტრ. 38); მდინარე, რომელსაც ვადაილის ღრუბელი, სატროფა მისი (სტრ. 29). ვარსამყაროს იმგვარით თვალსაზრისით აღქმა კი პოეტს წარმოსახვის გამრავალფეროვნების დიდ საშეალებებს აძლევს. ხან ბუნების უნახესი მოვლენები ემსგავსებთან ნახ და სათნო ქალებს ამ ტრფილისაგან განსხვავებულ შეყვარებულს, ხან კი პირაქით — ქალთა მშვენიერების აღწერა თავის სრულყოფის ბუნებასთან შედარებაში პოეებს. ასე, მაგალ., მდინარე ნიკვინდამის დინება მოხდენილად არის შედარებული ქალის კვლევობასთან.

„გზაში ჰუმანიკის აღებით გაეცანი მდინარე ნიკვინდამის: მას ხომ გუნდი ჩიტებისა, რომლებიც, ღროღადრო ტალღების მოპრაობით დამფრთხლანი, ავლავლავდებიან ზოლზე, ისე გასდევს ზოლად, თითქოს ქალის სატყელიაო. მისი მოპრაობისა ავლანუნებელი; გაეცანი ნიკვინდამის, რომლის მღორე დინებას ზოგჯერ ისე აძლევს საამბო შეტრეოლება, თითქოს მსუ-

ბუქად შეზარბოშებულ ქალს ეშლებათ დეზო სასიამოვნოდ და რომელსაც ისევე გამოეცნენიან მყარდო-მარევი, როგორც ქალი ვიწროშეკლებს ზოლზე მყარდს კველუტობისს.

ქალისთვის პირველი სასიყვარულო სიტუაცია ტაფოთა მიმართ ხომ კვლევობაა“¹ (სტრ. 28).

ზეცოური ურავის დამშვენების აღწერა კი, მისი მოტაცებით გამოაწვეული დამინებისაგან, (დრამაში „სიამამიეთ მოპოვებული ურავაში“) თავისი პოეტური შედარებების გამო ურავისს მხოლოდ დამშვიდების კი არ გადმოგვეცემს, არამედ მის ნათელ მშვენიერებაზეც შეტყვევლებს:

„როგორც დამე თავისუფლდება წყვილისაგან მთეარის გამოჩენით, როგორც კვამლი იპობა სინათლის სხივით, როგორც ვანცვის იწმინდება ალგვივის შემდეგ, ამ ნახმა ქალწულმაც ისევე ჰპოვა კვლავ სიმშვიდე“.

რახეც არ უნდა იყოს დამშეული მახვლი პოეტური სახის შექმნის დროს — სულიერზე თუ უსულო მხარეზე, ერთი რამ ყოველთვის გამოსკვივის — პოეტს თანაბარი ძალით უყვარს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე:

„იმიედ, ჩვეულებრივ, ხომ ამავრებს ზოლზე ქალის შეყვარებულ გულს (სატრფოსთან) განშორებისას ერთბაშად დაღონებულს (ისევე, როგორც ღერო ამავრებს ზოლზე ყვავილს ავდარში“ — კითხულობთ „მეგვა-დღეტას“ მეათე სტროფში და გრძნობთ, რომ პოეტს თანაბრად ებრალება ავდარში ღია ცისქვეშ დარჩენილი ყვავილიცა და დარღის უღელქვეშ მოქცეული ქალის გულიც.

შედარებლად უფრო მკორე იქნებოდა კალიდასას ღირსება, მისი პოეტური სახეები რომ მხოლოდ იმ მასალის საფუძველზე შექმნილიყვნენ, რომელსაც პოეტს გრძნობათა ორგანოები მოაწვდიდნენ, კალიდასას პოეტურ სახეებს კალიდასას განათლების, მისი ძლიერი ინტელექტის კვალიც ატვია. აქ ჩანს კალიდასას მსოფლმხედველობა, მისი ცოდნა თქმულებებისა, მითებისა, ბუნების სამყაროსი — მცენარეთა და ფრინველთა სხვადასხვა თავისებურებისა, და ყოველივე ეს შემოსხუნებულთან ერთად იმდენად ტვირთავს მის პოეზიას, რომ საგანგებო კომენტარის გარეშე არათუ უცხოელთათვის, თვით კალიდასას თანამემამულეთათვისაც ძნელია მისი გაგება².

¹ ამ სტროფში გადმოცემულია ამიკობა, რომელიც იმართება მდინარესა (ქალსა) და ღრუბელს (მამაკაცს) შორის.

² კალიდასას „მეგვა-დღეტას“ რამდენიმე კომენტატორი ჰყავს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაღინათაა. უნდა ეცხოვრა მას არა უადრეს მე-14 საუკუნისა.

ინდოლოგია შეხედულებით პიროვნება ზეცაში, სამოთხეში თავის ქველმოქმედების შესატყვისი დროით ცხოვრობს. ამ ვადის დამთავრების შემდეგ კი მას იქიდან აძევებენ. ამ რწმენამ, ამ მსოფლმხედველობამ განსაზღვრა „მეგა-პა-დუტასი“ ქალაქ ვიშალას იღწერის ასეთი, თავისებური სახე:

ქალაქი ვიშალა „მკვავს ცის ლამაზ ნაწილს, ლეთისპოპაეების მიერ თავიანთ რელიგიურ დამსახურებათა ნარჩენის ხარჯზე დედამიწაზე ჩამოტანის...“ (სტრ. 30).

მრავალი ორიგინალური პოეტური სახე და ბრწყინვალე სტროფია შექმნილი „მეგა-პა-დუტასი“ რელიგიურ პანთეონთან დაკავშირებით. მკვავს, ინდოელები ნგრევის ღმერთს, შივას წარმოადგენენ ოთხი ან ზუსტად მალააწუდილი ხელით. ინდოლოგია რწმენით, ყოველ საღამოს შივა თავის მუდღესთან ერთად ეცეკვას საყუთარი გამოგონების საზარელ ცეკვას. ამ ცეკვის შესრულების დროს მალა აწვეულ ხელებში შივას უქირავს მის მიერვე მოკლული სპილოს სისხლანა ცეკვი. ბჰაგინის ეშინია სისხლიანი ტყავისა და ამიტომ არ უყვარს ცეკვის შესრულება. „მეგა-პა-დუტას“ 36-ე სტროფი შემდეგს გვეუბნება:

„შემოეხვევი რა შენ (იაკმა მიმართავს ღრუბელს. თ. კ.), ჭირადა ჩინური ვარდავით წითლად გაბრწყინებული, ხეებსავით აწვდილი ხელების ტყავს, ცეკვის დამყებისას შივას მოკვავს სპილოს სველი ტყავის სურვილს. შენს ერთგულებას დაინახავს ბჰაგანი, რომელიც შიშის გაქრობის გამო უმოძრაო თვალებით შემოჭედავს“.

ეს სტროფი, გარდა ზემოთქცხილი თქმულებისა, იმასაც გულისხმობს, რომ ღმერთების ნორმალური, მშვიდი მდგომარეობის მიჩვენებელი მათი თვალდაუხამხამებელი ცქერაა. ინდოე-

ლების რწმენით, ღმერთები, ჩვეულებრივ თვალს არ ახამხამებენ.

ფართოდ იყენებს კალიდასა მხატვრული სახეების შექმნისას მცენარეთა და ფრინველთა სამყაროს თავისებურების ცოდნაზე.

„ნელ-ნელა გავატრებებს ჭარი, შენთვის საჭირო მიმართულებით მქროლავი და მხარმარცხნივ ტბილად გიმღერებს თავენება ჩატაქა. წეროები კი დამწერებულნი, შენდამი, თვალთათვის საამოსადმი, ჰაერში განსაყუთობებულ პატრიუსცემას გამოიჩენენ განყოფიერების დღესასწაულის გამოვრებისათვის“, — ნათქვამია მე-9 სტროფში, რომელიც ფრინველთა სამყაროს ნაკლებად მკოდნეთათვის ორ ბუცილებელ კომენტარს ითხოვს: 1) ინდოლოგია შეხედულებით, ჩიტი ჩატაქა (გუგულის სახეობა) წყურვილს მხოლოდ წვიმის წვეთებით იკვავს, დამგუბებულ და შდინარის წვალს ის არ ეკარება, ამიტომ უმღერის ის ღრუბლის გამოჩენას. და 2) წეროები მრავლებიან მხოლოდმხოლოდ შემოდგომაზე, წვიმების სეზონის შემდეგ და ამიტომაც, ღრუბლის, როგორც წვიმების სეზონის მომასწავებლის, გამოჩენას ისინი განსაყუთობული სიხარულით ეგებებიან.

უმდიდრესმა და მეტად თავისებურმა პოეტურმა სამყარომ, ფაქიზმა სულმა და ბრძნულმა სიტყვამ მისცა კალიდასას შემოქმედებას ის სიკოცხლისუნარიანობა და შთაბეჭდილების მოხდენის ის ძალა, რომელმაც მისი შექმნილი ქარტიხილებით სავსე თხუთმეტი საეცუნის მანძილზე თანაბარი ინტერესით, სიყვარულითა და ღირსებით ატარა.

დღეს, როცა მსოფლიო მშვიდობის დასაცავად და განსაზღვრებლად კავშირიობა არა მარტო თანამედროვე პროგრესულ ძალებს რაზმავს, არამედ წარსოლის უკვდავ სულსაც იხმობს, ამ დიადი მიზნის მისაღწევად, მსოფლიო მშვიდობის საბჭოს დადგენილებით, უბუცესი ინდოელი კალიდასაც დგას.

მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს დადგენილებით, 1956 წელს კავშირიობა კალიდასას მოღვაწეობის აქსესუთასი წლისთავს აღნიშნავს.

¹ ღრუბელი წითლად გაბრწყინებული იქნება ჩამავალი მზის სხივებით შეფერვის გამო. ეს აზრი წინა სტროფიდან გამომდინარეობს.



პროფ. კ. ბექაძე



რაციონალური და რეაქციური ჰეგელის ფილოსოფიაში

(ჩვეულების გარდაცვალების 125 წლისთავის გამო)

ჰეგელი კლასიკური გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის უკანასკნელი წარმომადგენელია; ეს ის ფილოსოფოსია, რომლის ფილოსოფია, ვ. ი. ლენინის თქმით, მარქსიზმის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. ლენინს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა ჰეგელის მიერ შექმნილი დიალექტიკური მეთოდი. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰეგელის მიერ შემუშავებულ დიალექტიკურ მეთოდს მარქსიზმისათვის, ამის შესახებ კ. მარქსი წერს „კაპიტალის“ მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში:

„თავისი მისტიფიკირებული ფორმით დიალექტიკა მოდოდ იქცა გერმანიაში, რადგან ისე ჩანდა, თითქოს იგი არსებულ მდგომარეობას ჰქებ-აღიღებებს. თავისი რაციონალური სახით დიალექტიკა ბრახსა ჰეგლის და შიშის ზარას სიყმს, ბურჟუაზიას და მის დიქტირებულ-იდეოლოგებს, რადგან არსებულის პოზიტიურ გაგებაში მას შეეძინა ამავე დროს ამ არსებულის უარყოფის, მისი აუცილებელი დაღუპვის გაგება. ყოველ განზოგადებულ ფორმას იგი განიხილავს მოძრაობის მდინარებაში, მასსადაც, მისი წარმავალი მხარის მიხედვითაც, იგი არაფრის წინაშე ქედს არ იბრის და მთელი თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციონარი“¹.

გასაკებია ამიტომ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიას აქვს მარქსიზმისათვის, და ის დიდი ინტერესი, რომელსაც იწვევს ეს ფილოსოფია მარქსისტ ფილოსოფოსთა შორის.

უკვე სამი წელიწადია, რაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმოებს დისკუსია გერმანულ „Deutsche Zeitschrift für Philosophie“ მარქსიზმის დამოკიდებულების შესახებ ჰეგელის ფილოსოფიისთან და, კერძოდ, მარქსისა და ჰეგელის დიალექტიკის ურთიერთობის შესახებ. უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოვიდა რამდენიმე მონოგრაფია ჰეგელზე, რომელთა შორის აღსანიშნავია F. Bloch-ისა და G. Lukacs-ის წიგნები.

ინტერესი ჰეგელის ფილოსოფიისადმი მარქსისტთა შორის ბელახალ აღორძინებას განიცდის და, როგორც ჩანს, ჩვენ ვუახლოვებით ლენინის მიერ დასახული მიზნის განზოგადებულებას: თავის უკანასკნელ ფილოსოფიურ ნაწარმოებში „მებრძოლი მატერიალიზმის შესახებ“ ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ჰეგელის ფილოსოფიის ურველგვარ შესწავლას, მისი წარმოების მატერიალისტურ კომენტირებას, მისი შრომის თარგმნას და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ფილოსოფოსებს ამ მხრივ ბევრი აქვთ გასაკეთებელი.

ჩვენი წერილის მიზანია გაარკვიოს ჰეგელის ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები, გააშუქოს ის დადებითი, რაციონალური ჰეგელის ფილოსოფიაში, რის გამოც იგი მარქსიზმის წყაროდ გახდა და, ამავე დროს, ხაზი გაესვას მის ფილოსოფიის უარყოფითსა და რეაქციულ მხარეებს, რომელთა გამო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მას შეაკრად აკრიტიკებდნენ.

ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის თავისებურების გაგება შეუძლებელია, თუ არ იქნა გათვალისწინებული — მოკლედ მიიწე — სოციალ-დემოკრატიული და პოლიტიკური გარემო, ერთი მხრივ, და იდეოლოგიური ატმოსფერო, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა ჰეგელს, მეორე მხრივ.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებული აზრი (ილექსანდროვიდან მომდინარე, თითქოს ჰეგელის ფილოსოფია წარმოადგენს აბსტრაქტული რეაქციის საფრანგეთის რევოლუციონარ და ფრანგულ მატერიალიზმზე, მცდარია, ყოველ შემთხვევაში, თავის პირველ ნაწილში. ხშირად საქმის ვითარებას ისე ახასიათებდნენ, თითქოს ჰეგელის ფილოსოფია პრეტისის ინტერეა იდეოლოგია იყო.

ჰეგელის ფილოსოფია რომ მატერიალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული და რომ იგი საფრანგეთის მატერიალიზმის წინააღმდეგაც იბრძვის, ეს საეჭუო არ არის; მაგრამ არსებითად მცდარია, რომ იგი საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ რეაქციის წარმოადგენს. ჰეგელი არ

¹ კ. მარქსი. კაპიტალი, 1954 წ., გვ. 23.

ყო მომხრე რევოლუციისა გერმანიაში, მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის აღტაცებით შეხვდა. და ეს დადებითი დამოკიდებულება საფრანგეთის რევოლუციისადმი მას შერჩა მთელი მისი სოციალისტური განწყობიდან.

ჰეგელს თავისებური აზრი ჰქონდა რევოლუციისზე. მისი აზრით, რევოლუცია აუცილებელია ისტორიის ერთი ეპოქიდან მეორე ეპოქაზე გადასვლის დროს. მაგრამ რევოლუციის კონკრეტულ მიზნებში ის ვერ ერკვეოდა. საფრანგეთის რევოლუცია, მისი აზრით, აიხსნებოდა გაბატონებული რელიგიისა და განმანათლებლობის წინააღმდეგობით. რაც შეეხება გერმანიას, აქ რევოლუცია უკვე კარგა ხნის მომართული იყო: პროტესტანტიზმი ის მოძრაობა იყო, რომელმაც შეარჩა რელიგია და განმანათლებლობა.

ასე ამართლებდა ჰეგელი როგორც საფრანგეთის რევოლუციის აუცილებლობას, ისე იმ გარემოებას, რომ ამგვარი რევოლუცია გერმანიაში სრულიად ზედმეტი უნდა ყოფილიყო, იმისდა მიუხედავად, რომ საფრანგეთის რევოლუციამ დიდი დალი დასვა მის მოძღვრებას.

ჰეგელი მოღვაწეობდა იმ პერიოდში, როდესაც ინგლისმა უკვე კარგა ხნის წინათ დაამთავრა ბურჟუაზიული რევოლუცია, ხოლო საფრანგეთის რევოლუცია ჰეგელის ახალგაზრდობის ხანას დაემოხედა.

ეკონომიურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილ გერმანიაში ბურჟუაზია საკმაოდ სუსტი იყო რევოლუციისათვის. ბურჟუაზიას, ამ ახალ კლასს, რომელიც მომწვევდელი იყო ფეოდალური წესწყობილების ჩარჩოებში, რასაკვირველია, სურს განთავისუფლდეს ამ ჩარჩოებიდან, დაამყაროს ისეთივე თავისუფლება, როგორც საფრანგეთის ბურჟუაზიამ მოიპოვა, მაგრამ, როგორც მარქსი აღნიშნავდა, ეს ბურჟუაზია სუსტი, უძლური და შშიშარაა. მისი რევოლუციური პათოსი თორბაში რჩება.

გერმანიის ბურჟუაზია ვერ იშორებს საფრანგეთის რევოლუციის, ის არსებულ წესწყობილებას ურთოდება, პრაქტიკაში მას ამართლებს, ხოლო რევოლუციის თეორიაში ახდენს. საფრანგეთის რევოლუციას გერმანელ ბურჟუაზია ფილოსოფიურ ენაზე თარგმნის. ზოცის ძირითადი წყარო, რომელიც განსაზღვრავს ჰეგელის ფილოსოფიის როგორც რაციონალურ მარცვალს, ისე მის კონსერვატულ, რეაქციულ შეხედულებებს.

ამ თავისებურ პირობებში წარმოება ჰეგელის ფილოსოფიური განთავისუფლება. დღეს საკმაოდ გარკვეულია, თუ რა დიდი მუშაობა ჩაატარა ჰეგელმა, სანამ თავის ფილოსოფიურ სისტემას შექმნიდა. პირველ რიგში აღსანიშნავია ის დიდი მუშაობა, რომელიც ჰეგელმა ჩაატარა განმანათლებელთა წარმომადგენლების შესწავლით; ახალგაზრდა ჰეგელი იცნობს ფრანგული, ინგლისური და გერმანული განმანათლებლობის მთელ ლიტერატურას, იცნობს არა მხოლოდ ფილოსოფიურ შრომებს, არამედ აგრეთვე მხატვ-

რულ ლიტერატურას, ახალგაზრდა ჰეგელის კონსექტებიდან (Hoffmeister-ის მიერ გამოქვეყნებულია) ჩანს, რომ ჰეგელი სპეციალურად შეშაობდა შოპენჰაუერს, ვოლტერის, დიდროს, პოლბახის, რუსოს შრომებზე; იცნობს ჟეოგრაფიკოსის, იუმის, გიბონის ისტორიულ შრომებს; სპეციალურად იცნობა ანტიკური ქვეყნების ისტორიკოსებს.

სოციალური შრომებში ახალგაზრდა ჰეგელის ინტერესის ცენტრში დგანან ისტორიის პრობლემებით დაინტერესებული ჰეგელი იმდროინდელი აქტუალური პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში იღებს მონაწილეობას. ვიურტემბერგის კონსტიტუციის გამო გამართულ კამათში ჰეგელი მონაწილეობს და მის შესახებ ბროშურასაც წერს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ბროშურის პირვანდელი სათაური ასეთი იყო: „ვიურტემბერგის მეცისტრიატი ხალხის (Volk) მიერ უნდა იყოს არჩეული“. პოლიტიკური საკითხებით ღრმად დაინტერესებული ჰეგელი წერს მეორე ბროშურას „გერმანიის კონსტიტუციის“ შესახებ.

დიდ ყურადღებას აქცევს ჰეგელი ეკონომიურ პრობლემას. დღეს სპობოლოდ გამოჩნეულია, რომ ჰეგელი სპეციალურად შეესწავლია სტუარტის შრომა „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების შესახებ გამოკვლევაში“ და ა. სმიტის „ხალხთა სიმდიდრე“.

ამასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ჰეგელის მუშაობას თეოლოგიურ საკითხებზე. ჰეგელი ყოველთვის იყო დაინტერესებული რელიგიის საკითხებით; მის ფილოსოფიურ სისტემას გარკვეული რელიგიური ასპექტი ახასიათებს. ფილოსოფია და რელიგია, ჰეგელის აზრით, შინაარსით ერთმანეთისაა და არ განსხვავდება, მათი განსხვავება მხოლოდ ფორმალურია. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ჰეგელის მთელი ფილოსოფია ქრისტიანული რელიგიის თავისებურებას დააფუძნებს წარმოადგენს.

ამ რელიგიური ასპექტის გამო ბევრი ბურჟუაზიული ავტორი ჰეგელის ახალგაზრდობის პერიოდს ახასიათებს როგორც თეოლოგიურ პერიოდს. Nohl-ი, Haering-ი და ბევრი სხვა ჰეგელის ახალგაზრდობის პერიოდს თეოლოგიურ პერიოდად თვლიან. Lukacs-ი „ახალგაზრდა ჰეგელის თეოლოგიურ პერიოდს“ იმპერიალიზმის აბოლოგებების მიერ შეთხზულ „რეაქციულ ლეგენდად“ თვლის.

შემუშავებულია იმის უარყოფა, რომ ახალგაზრდა ჰეგელი დაინტერესებული იყო თეოლოგიური საკითხებით, მისი სისტემა ამ ასპექტით უსათუოდ ხასიათდება, მაგრამ ჰეგელის ინტერესების ამ პერიოდში მხოლოდ თეოლოგიური საკითხებით შემოფარვლა, რასაკვირველია, ღრმა შეცდომას წარმოადგენს.

საბოლოოდ აღსანიშნავია ჰეგელის მუშაობა ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე: ჰეგელი უკვე კარგად ზედამხედველობდა და ფიხტეს ფილო-

სოფლის ნაყს, მათ სუბიექტივობს. შეღონგთან ერთად მუშაობის პერაოდში ის ობიექტური იდეალიზმის თვალსაზრისით აქტირეებს როგორც კანტს, ისე ფიხტეს და, ერთდ შეზღვედით, მისი თვალსაზრისით თითქმის არ განსხვავდება შეღონგის თვალსაზრისისაგან. მაგრამ განსხვავება მათ შორის უკვე კარგა ხანია არსებობს და ეს განსხვავება მკაყრად გამომყლავნდება ჰეგელის პირველ დიდ ნაწარმოებში — „სულის ფენომენოლოგიაში“, რომლის საყმად დიდი შესავალი თითქმის მთლიანად შეღონგის წინააღმდეგ არის მიმართული.

ჰეგელის ძირითად შრომებს წარმოადგენენ: 1. სულის ფენომენოლოგია, 2. ლოგიკის მეცნიერება, 3. ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, რომელიც ჰეგელის მთელ სისტემას შეიცავს და რომელიც სამ ნაწილად იყოფა: ა. ლოგიკა, ბ. ბუნების ფილოსოფია და გ. სულის ფილოსოფია.

სულის ფილოსოფიის ზოგიერთი თემა გარკვეულია შრომებში: 1. სამართლის ფილოსოფია, 2. ისტორიის ფილოსოფია, 3. ლექტიები ესთეტიკის შესახებ, 4. რელიგიის ფილოსოფია, 5. ფილოსოფიის ისტორია. ზოგიერთი ამ შრომათაგანი გამოკმულია ჰეგელის ლექტიების საფუძველზე მისი მოწაფეების მიერ.

ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა ფ. ენგელის სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჰეგელი არა მარტო გენიალური მოაზროვნე იყო, არამედ ყოველშრივად განსწავლული ადამიანიც. ის იღვა თავისი უბოქის ცოდნის სიმძლავრე და ამ ცოდნით შეიძარაღებული აგებს თავის სისტემას, და თუ ეს ფილოსოფიური სისტემა ნაკლებია, მეტადია, იდეალისტური და მსტიკური ხასიათის მატარებელი, ეს განსაზღვრულია, პირველ რიგში, სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური პირობებით და, შემდეგ, იმდროინდელი მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარების დონით.

ამვე დროს, უნდა ხაზი ვავსეთ ამ იდეალისტურსა და რელიგიური ხასიათის სისტემაში იმ დადებითს, რაციონალურს, რომელიც მას ახასიათებს და რომლის გამო მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა ობიექტური იდეალიზმი. ჰეგელის აზრით, სამყარო ერთიანი მთლიანია; მისი ერთიანობა მის მატერიალობაში კი არ მდგომარეობს, არამედ მის იდეალობაში: სამყაროს არსება ობიექტურად არსებული იდეაა. განსხვავებით ადამიანთა იდეებოსაგან, რომლებიც ადამიანთა ცნობიერებაში არსებობენ და რომლებიც სასრულო, ბოლოვად იდეებს წარმოადგენენ, სამყაროს არსებას — იდეას — ჰეგელი აბსოლუტურ იდეას, აბსოლუტურ განებას, სულს და, საბოლოოდ ღმერთს უწოდებს.

ჰეგელისათვის მიუღებელია ღმერთისა და სამყაროს გათიშვა: ღმერთი — აბსოლუტური

იდეა — და სამყარო ერთი და იგივეა. ეს ერთი სამყარო — იდეა სამი ძირითადი ფორმით არსებობს: წმინდა აზრის, ბუნების და საზოგადოების ფორმით.

ჰეგელის ფილოსოფიის შინაარსის სწორედ გაგებისათვის ერთ გარემოებას უნდა მივუყვებოდეთ, გარემოებას, რომელსაც ზმირად ნაკლებ უკრადღებებს იქვეყნ, რის გამოც მის თვალსაზრისს ცალმხრივად გადმოსცემენ. აღნიშნავენ, რომ აბსოლუტური იდეა — ღმერთი ჯერ არსებობს წმინდა აზრის ელემენტში, ბუნებისა და ადამიანის წარმოშობამდე, შემდეგ იგი „გდადის“ ბუნებაში, ბოლო საბოლოოდ ადამიანთა საზოგადოების სახით და ადამიანთა ცნობიერებაში გამოვლინდება. ჰეგელის ფილოსოფიის ასეთი გაგება მართებელიც არის და მკდარიც. ამ უკანასკნელი დებულების გარკვევა ნათელს მოჰყენს ამ თავისებურად აგებულ ფილოსოფიის სისტემას.

ჰეგელის აზრით, არ არსებობს ჯერ წმინდა აზრი, შემდეგ ბუნება და, ბოლოს, ადამიანთა ცნობიერება. ეს სამი სფერო აბსოლუტურის — ღმერთის სამი ასპექტია, სამი მხარეა: იდეა — ღმერთი არ არის მოწყვეტილი სამყაროს, იგა თვითონ ეს სამყაროა და ამიტომ მასზე ადრე ვერ იარსებებს. თანმიმდევრობა: იდეა ჯერ წმინდა აზრის ელემენტში, შემდეგ ბუნებაში და, ბოლოს, ადამიანთა საზოგადოებაში განვითარების ლოგიკური პროცესია და არა რეალური, დროული.

მაგრამ, მეორე მხრივ, ჰეგელი ობიექტური იდეალისტია: ყოფიერება და აზრი ერთი და იგივეა, იდეა და სამყარო ერთი და იგივეა, ამიტომ აზრის განვითარების ლოგიკური პროცესი და მისი საფეხურები იგივეა, რაც სამყაროს განვითარების პროცესი და მისი საფეხურები. ამიტომ ჰეგელის პრინციპის მიუხედავად, სამყაროს სამი სფერო, სამი ასპექტი სამ თანმიმდევარ საფეხურად იქვეყნა: ჯერ იდეა მართლაც მხოლოდ წმინდა აზრის სტიქიაში არსებობს, შემდეგ ბუნებაში გამოვლინდება და, ბოლოს, საზოგადოებაში.

ასეთია ის თავისებური წინააღმდეგობა, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემას ახასიათებს¹. ეს თავისებურება ძალიან ართულებს ჰეგელის ფილოსოფიის გაგებას. თავი რომ დაეანებოთ ჰეგელის ფილოსოფიის იმ თანმიმდევრობას, რომლისაც ჰეგელი თავის სისტემას აგებს, და მისი აზრი მარტოდ დავიკლოთ, შემდეგ კონცეფციას მივიღებთ: ადამიანი შეიცნობს ბუნებას, უფრო ზოგადად, მიეღ სამყაროს. ამ შემეცნების პროცესში ადამიანთა ცნობიერება უპირისპირდება ბუნებას, შემეცნებელი სუბიექტი — შესაცნობ ობიექტს. შემ-

¹ სისტემის ეს თავისებურება განსაზღვრავს ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის თავისებურებას.

შეცნებელი სუბიექტი, ცნობიერება, რასაც ვიწვევით, განსხვავდება შესაცნობი ობიექტისაგან, ბუნებისაგან, სამყაროსაგან. ეს უკანასკნელი სუბიექტისათვის უცხოა „სხვა“ არის. შემეცნების განვითარების პროცესში, ცოდნის გაღრმავების პროცესში შემეცნებელი სუბიექტი შესაცნობ ობიექტში, ბუნებაში, სამყაროში თავისი თავის იდენტობის აღმოჩენას, და ბოლოს, შესაცნობ ობიექტში თავის თავს იცნობს ვინც გონიერად შეხვდავს ბუნებას, სამყაროს, ის მხოლოდ გონიერებას დაინახავს. აღმოჩენდა „საბოლოოდ, რომ შესაცნობი ობიექტი „სხვა“, უცხო კი არ ყოფილა სუბიექტისათვის, არამედ თვითონ სუბიექტი ყოფილა. სამყაროს სუბსტანცია ყოფილა სუბიექტი, რომელიც ობიექტის სახით არსებობს. ჩემი აზრით, რომელიც თვით სისუბსტანცია უნდა გამართლდეს, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რომ შემეცნება უნდა განვითარდეს და გამოეთქვას არა მხოლოდ როგორც სუბსტანცია, არამედ, ამავე დროს, როგორც სუბიექტი“ („Phänomenologie d. Geistes“, 88-14).

მაგრამ ეს ზომ ისე არ უნდა გავფიქროთ, რომ ადამიანის გონება და მისგან დამოუკიდებელი სინამდვილე ერთი და იგივეა ეს ზომ უციოდერის სუბიექტური იდეალიზმია, რომლის წინააღმდეგ ჰეგელი ყოველთვის იბრძოდა. აქ ირყევა ჰეგელის ფილოსოფიის მთელი თავისებურება. სუბიექტი და ობიექტი ერთი და იგივეა; სუბიექტი სულია, გონებაა — გონება შეიცნობს სამყაროს — ამიტომ სამყაროც სული გონებაა. ეს უკანასკნელი აბსოლუტური სულია, გონებაა, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში მოქმედებს და სამყაროს — ე. ი. თავის თავს — შეიცნობს. აბსოლუტური სული, გონება თავის თავს შეიცნობს ადამიანის გონების საშუალებით.

ახლა უკვე ირყევა მთელი სერათი: სამყაროს არსება სულია, გონებაა; ეს სულია, გონება განვითარებას განიცდის; აზრის, გონების განვითარება შემეცნების განვითარებაა; ამიტომ აბსოლუტურის განვითარების პროცესში შემეცნება, ე. ი. თვითშეცნების, განვითარების პროცესია; შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ ცნობიერების საშუალებით; ხოლო ცნობიერება ახალიათვის მხოლოდ ადამიანს. ე. ი. აბსოლუტური სული — იდეა შეიცნობს თავის თავს ადამიანთა ცნობიერების საშუალებით.

რამდენიმე მომენტს უნდა მივუძღვინო ყურადღებას. 1. აბსოლუტური იდეა, რომელიც აბსოლუტური გონებაა, ჰეგელის აზრით, ღმერთია. განვითარების პროცესში ეს იდეა თავის თავს შეიცნობს და განვითარების საფუძვლები ღმერთის პრელიატებს წარმოადგენენ, ე. ი. კატეგორიები, არის, არსება, ცნება, კვადრატები, ტრანსკრები, ზომა, სუბიექტი, ობიექტი, ცნება, მსჯელობა და სხვ. ღმერთის გარკვეულობებს წარმოადგენენ. 2. აბსოლუტური იდეა იგივეა, რაც სამყარო; იგი თავის თავს შეიცნობს;

შემეცნების საფუძვლები მისი არსებობის ფორმები. აბსოლუტური სული, ჰეგელის თქმით, წყალობს, იტარება შემეცნების პროცესში; შემეცნების განვითარების პროცესში მხოლოდ წარმოადგენს ადეკვატურად მის არსებას, მის შინაარსს; ის ფორმა, რომლითაც ის „წარმოადგენს“ (შეიცნობს) თავის თავს, წინააღმდეგობაში ვარდება მის შინაარსთან, რადგან ეს ფორმა არ შეესაბამება მთლიანად მას; ამიტომ შემეცნების პროცესი აქ ეგრე დამთავრდება; ეს ფორმა უნდა მოიხსნას; აბსოლუტური ახალ, უფრო მაღალ ფორმაში გამოხატავს თავის თავს, ე. ი. უფრო ღრმად შეიცნობს თავის თავს და უფრო ადეკვატურ ფორმაში „წარმოადგენს“ — შეიცნობს თავს და ასე შემდეგ, მაგრამ ფორმა მისი გამოვლენისა არ იქნება მთლიანად ადეკვატური მისი შინაარსისადმი, ე. ი. სინამდვილისა არ დამოხვევა ფორმას, აქ ამ მომენტში მიღწეული იქნება აბსოლუტური თვითშეცნება და აბსოლუტური იდეა გახდება აბსოლუტური სული. (აბსოლუტური იდეა არსებითად იგივეა, რაც აბსოლუტური სული; აბსოლუტური იდეა არის აბსოლუტური სული „თავისთავად“, ე. ი. თავის თავის შეცნობაზე; ხოლო აბსოლუტური სული არის აბსოლუტური იდეა, „თავისთავად და თავისთვის“, ე. ი. იდეა, რომელიც შეიცნობს თავის თავს).

თვითშეცნების საფუძვლები, ე. ი. ის ფორმები, რომლებითაც აბსოლუტური იდეა შეიცნობს თავის თავს ე. ი. თავის არსებას, შინაარსს გამოვლენს — სამყაროს არსებობის ფორმები.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: შექანიერა პროცესები, რომლებიც არსებობენ სამყაროში, აბსოლუტურის თვითშეცნების გარკვეული ფორმა, ე. ი. აბსოლუტური თავის თავს ეცნობდა როგორც შექანიერა პროცესები. ეს ელარა, რასაც ვიწვევით, არ გამოხატავს მთლიანად, ადეკვატურად მის არსებას. ამიტომ ის ამ საფუძვლებზე არ ზერდება, ის უფრო ღრმად შეიცნობს თავის თავს; იგი მოხსნის ამ შესაბამის ფორმად შეიცნობს თავის თავს არა მხოლოდ როგორც შექანიერის, არამედ როგორც ჭიმიზს (ჭიმიერის მოვლენები); შემდეგ როგორც ორგანულს, შემდეგ სოციალურს. ამ უკანასკნელ სფეროში გიგელის რამდენიმე საფუძვლებს, რამდენიმე ფორმის გამოვლინდება იქამდე, მანამ მთლიანად არ შეიცნობს თავის თავს ხელოვნებაში, რელიგიაში და, ბოლოს, ფილოსოფიაში.

3. მაგრამ შემეცნებას აწარმოებს მხოლოდ ადამიანი, რადგან მხოლოდ ადამიანს აქვს ცნობიერება, გონება. ამიტომ მთელი ეს პროცესი არის ფაქტობრივად ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნების პროცესი. აქ უკვე ახალი ასპექტი გამოვლინდება: თურემ ჰეგელის მიერ აღწერილი განვითარების პროცესი არის პროცესი კატეგორიების მიერ სინამდვილის შემეცნების პროცესი, ე. ი. მ. ე. ე.

ნეერების, ფილოსოფიის განვითარების პროცესი.

ეს უკანასკნელი ასპექტია ძალიან საინტერესო: მთელი სისტემა თურმე წარმოადგენს კაცობრიობის შერ სინამდვილის შემეცნების ისტორიას, ცოდნის, შემეცნების, ფილოსოფიის ისტორიას, მის ლოგიკურად გაწმენილ ფორმას. ეს არის პირველი ცდა ისტორიაში ცოდნის კანონზომიერი განვითარების ისტორიის დალაგებისა. მაგრამ იდეალიზმის გამო ეს ისტორია ჰეგელმა თვითონ დამახინჯა, რადგან ცოდნის განვითარებას სამყაროს განვითარებად წარმოადგინა, ხოლო უკანასკნელი აბსოლუტურ იდეად, ლმერადად.

რაციონალური და რეაქციული მომენტები ჰეგელის დიალექტიკაში. ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში გათვალისწინებულია სინამდვილის ყველა მხარე: ბუნება, საზოგადოება, აზროვნება. თვითონვე ეს მხარე თავის მხრივ მრავალ თემას ეხება; ასე, მკვლავთად, საზოგადოების განხილვისას ჰეგელი ეხება ანთროპოლოგიას, ფსიქოლოგიას, სახელმწიფოსა და სამართალს, კაცობრიობის ისტორიას, ხელოვნებას, რელიგიასა და ფილოსოფიას. სინამდვილის ამ სფეროების განხილვის — ყველგან — ისტორიულობის პრინციპი წითელი ზოვით განდევს. სამყარო ისტორიული პროცესია — ეს არის ის ძირითადი აზრი, რომელიც ჰეგელმა წამოაყენა და რომლის გატარებას ის ცდილობდა ყველა დარგში, სინამდვილის ყველა სფეროს განხილვისას. „სულის ფერმწერილოგია... ლოგიკა, ბუნების ფილოსოფია, სულის ფილოსოფია, განხილული მის ცალკეულ ისტორიულ განაყოფებში, ისტორიის ფილოსოფია, სამართლის, რელიგიის, ფილოსოფიის ისტორია, ესთეტიკა და სხვ. — ყოველ ამ ისტორიულად განსხვავებულ სფეროში ჰეგელი ცდილობს იპოვოს და უჩვენოს განვითარების ზახი“ (ენგელსი, „ლ. ფერბახი“).

უკვე ეს მხარე ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის საკმარისი მომენტია იმისათვის, რომ ის მარქსიზმის ერთ-ერთი წყარო გამხდარიყო.

განვითარების იდეა ერთ-ერთი ძირითადი იდეა ამ სისტემაში. ამიტომ ვასაგებია უნდა იყო ის დავაობა, რომ რაგინდ ამხანაჯებდეს ჰეგელის იდეალიზმი სინამდვილეს, ბუნებას, საზოგადოებას, აზროვნებას, რაგინდ მისტიკურა და რელიგიურა ყოფილიყო მისი სისტემა, განვითარების პრინციპი, როგორც დადებითი, რაციონალური მომენტა, ყოველთვის თავს იჩენდა, გამომჟღავნდებოდა ამ მისტიკურ-იდეალისტურ სამოსელში.

ჰეგელმა არა მარტო წამოაყენა განვითარების პრინციპი და სცადა მისი გატარება ყველა დარგში, არამედ მან განვითარების ზოგადი თეორიაც ჩამოაყენა. ზომ არ არის საკმარისი იმის თქმა, რომ სამყარო განვითარებას განიცდის; უნდა გაიკვეს საკითხი, თუ რაში მდგომარეობს განვითარების პროცესი, რა ახასიათებს მას.

უნდა ითქვას, რომ ზოგადად ჰეგელმა მართებული პასუხი გასცა დასმულ კითხვას, მიუხედავად იმისა, რომ მან თვითონვე დამახინჯა იგი. ჰეგელი „იბნება“ (დენანსი), მაგრამ დიალექტიკის ნამდვილი მეცნიერული თეორია ვერ შექმნა.

რა არის განვითარება და რა კანონებს ემორჩილება იგი? ასეთია საკითხი, რომელიც უნდა ვაჩვენებდეს. ჰეგელს კარგად ესმის, რომ განვითარების პროცესი ახალი ჩნდება და ძველი ისპობა. ახალი რომ არ ჩნდებოდეს და ძველი რჩებოდეს, მაშინ არც ისტორიული პროცესი იქნებოდა, ვინაიდან ადგილი ექნებოდა მხოლოდ ერთობა და იმავეს განმეორებას. ახლის წარმოშობა აუცილებელი ნიშანია განვითარების პროცესში. იხადება საკითხი: რის საფუძველზე და როგორ ჩნდება ახალი და როგორ ისპობა ძველი? ზრდისა და შემცირების გზით ეს არ აიხსნება, რადგან ის, რაც იზრდება ან მცირდება უკვე უნდა არსებობდეს, რააა ვაჩვენებდეს ან შემცირდეს. ჰეგელს კარგად ესმის ეს პრობლემა და მას ის რაოდენობის, თვისებრიობის ერთმანეთში გადასვლის პრინციპით წყვეტს: ახალი, ახალი თვისებრიობა წარმოიშობა ნახტომით, რაოდენობრივი ცვლილების საფუძველზე.

ახლის წარმოშობა აუცილებელი პირობაა განვითარების იდეის გასაგებად, მაგრამ სრულადაც არ არის საკმარისი: ახალი შეიძლება არც იყოს ძველთან შედარებით უფრო მაღალი საფეხურის მატყენებელი. თვითონ ჰეგელის მკვლავითიდანაც ჩანს ეს: წყალი ტემპერატურული ცვლილების საფუძველზე ვადაიქცევა ყინულად, ორთქლად, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ არის განვითარება. განვითარება მაშინ არის, როდესაც ახალი ძველთან შედარებით მაღალ საფეხურს წარმოადგენს. ამ შერეუ გასარკვევია ძველისა და ახლის დამოკიდებულება.

აქაც ჰეგელი ზოგადად მართებულ პასუხს გვაძლევს უარყოფის კანონის ჩამოყალიბებით: ახალი უარყოფს ძველს, მაგრამ ძველადან შემოინახავს ყველა იმ დადებითს, რომელიც ძველში იყო და მას ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანს.

საპოლოოდ, რჩება ერთი ძირითადი საკითხი: სამყარო ისტორიული პროცესია, მოვლენები იცვლებიან, ახალი სპობს ძველს, დაახალი უთმობს ადვილს მაღალს — რით აიხსნება ყველაფერი ეს. რა არის მიზეზი ცვლილებისა და განვითარების? ამ საკითხზედაც ჰეგელმა ზოგადად მართებული პასუხი გასცა: ცვლილებისა და განვითარების მიზეზი წინააღმდეგობაა, შინაგანი წინააღმდეგობა მოვლენებში, საწინააღმდეგო მომენტების შპროლა — იმ განვითარების მიზეზები. ეს წინააღმდეგობა მრავალ ფორმაში გამოვლინდება: ცალკეულსა და ზოგადს შორის, არსებასა და მოვლენას, შინაარსსა და ფორმას შორის და სხვა.

როგორც ვხედავთ, ჰეგელმა ჩამოაყალიბა განვითარების პროცესის სამი ძირითადი კანონი, ის სამი კანონი, რომელსაც ჩვენ მარქსისტულ-

ლენინურ დიალექტიკაში ვხვდებით. დიალექტიკის თეორიაში ბევრი სხვა საკითხიც არის, მაგრამ ძირითადი საკითხი სწორედ ამ სამ კანონს ეხება. რა კავშირია და რა განსხვავებაა ორ პრინციპულად განსხვავებულ მსოფლმხედველობას შორის — ჰეგელისა და მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკასა და, კერძოდ, დიალექტიკის ამ კანონების გაგებაში?

უკვე აღნიშნული იყო, რომ ზოგადად ჰეგელმა მართებულად ჩამოაყალიბა დიალექტიკის ეს სამი კანონი. მაგრამ ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ იმ სახით, რა სახითაც ჰეგელმა შექმნა თავისი დიალექტიკის თეორია, ჩვენთვის ის მიუღებელია (უნაღესო). ჰეგელმა აღმოაჩინა დიალექტიკა, მაგრამ მანვე დაამახინჯა იგი. და იმ ეს დამახინჯება არის ახლა გასარკვევი.

ამ დამახინჯების საფუძველი ჯერ კიდევ კ. მარქსმა აღნიშნა: „ჩემი დიალექტიკური მეთოდი თავის საფუძველში არა მარტო განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ სრული შიში დაპირისპირებულთაა. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იღებს საბუნდობლივად დამოუკიდებელ სუბიექტად, კი აქცევს, დემონტაჟი სინამდვილისა, რომელიც მის გარეგან გამოვლენებს წარმოადგენს. ჩემთვის ეს, პირიქით, იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადტანილი და მასში გარდაქმნილი“¹.

მარქსი ხაზს უსვამს ჰეგელის დიალექტიკის იდეალისტურ ბასიოს და სწორედ ეს გარემოება ამახინჯებს საშინლად დიალექტიკის კანონებს. ჰეგელის იდეალიზმის მიხედვით, აზრი და არსი (ყოფიერება) ერთი და იგივეა; შემეცნების განვითარების პროცესი იგივეა, რაც სინამდვილის განვითარების პროცესი. ჰეგელი არ ედგება, როდესაც შემეცნების განვითარების საფეხურებს გარკვეულ თანმიმდევრობით აღნიშნავს: ჯერ შევიცნობთ სავანთა თვისებრივ მხარეს, შემდეგ მათ რაოდენობრივ მხარეს, და უკანასკნელად ამ ორი გარკვეულობის ერთიანობას, ზომას, რომელიც თვისებრიობისა და რაოდენობის ერთმნიშვნელოვანსა და კანონზომიერ შილიანობას გამოხატავს.

მაგრამ, ჰეგელის იდეალიზმის მიხედვით, ეს გზა მარტო შემეცნების განვითარების პროცესს კი არ ახასიათებს, არამედ ასეთივეა სინამდვილის განვითარების გზაც. და თუ ეს ასეა, მაშინ უკნაური მდგომარეობა იქმნება: სინამდვილეში ჯერ თვისებრიობა ჩნდება რაოდენობრივ მხარის გარეშე, შემდეგ თვისებრიობისაგან დამოუკიდებელი რაოდენობა და განვითარების მხოლოდ გარკვეულ საფეხურზე ჩნდება ამ ორი მხარის ერთიანობა.

ეს შედეგი არსებითად ეწინააღმდეგება რაოდენობისა და თვისებრიობის კანონის ძირითად

შინაარსს: დიალექტიკის მიხედვით, ყოველი მოვლენა, ყოველი საგანი თვისებრიობისა და რაოდენობის ერთიანობას წარმოადგენს; თვისებრიობა არ არსებობს რაოდენობის გარეშე და, პირიქით, რაოდენობა თვისებრიობის გარეშე. ჰეგელის იდეალიზმი კი წყვეტს საგნის ამ ორ მხარეს ერთმნიშვნელოვან, რაც მის შიშს წამოყენებულ პრინციპს ეწინააღმდეგება და არსებითად მატერიალურ თეოსოფიას წარმოადგენს¹.

არც დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის არსება აქვს ჰეგელს სწორედ გაგებულ. საქმე ის არის, რომ შემეცნების პროცესში შინაგანი წინააღმდეგობა, დაპირისპირებულობა უშუალოდ არ არის მოცემული. შემეცნების პროცესი მოვლენიდან არსებისაკენ მიმდინარეობს და მხოლოდ არსების შემეცნებით აღმოჩნდება ეს წინააღმდეგობა როგორც ცვლილებისა და განვითარების მიზეზი. მოვლენა, საგანი შემეცნებას ევლინება ჯერ როგორც იგივეობრივ; შემდეგ ჩნდება შემეცნება იმისა, რომ ეს მოვლენა, საგანი განსხვავების მატარებელია; ხოლო შემეცნების მაღალ საფეხურზე აღმოჩნდება, რომ მოვლენა, საგანი დაპირისპირებულობის, წინააღმდეგობის შემცველია.

მაგრამ, თუ შემეცნების ამ გზას თვით სინამდვილის განვითარებასთან ვაგვივითებთ, — რაც ჰეგელმა გააკეთა, — მაშინ უკნაურ სურათს მივიღებთ: სინამდვილეში ჯერ მხოლოდ იგივეობა; განვითარების პროცესში ჩნდება განსხვავება; განვითარების უმაღლეს საფეხურზე ჩნდება პირველად დაპირისპირებულობა და წინააღმდეგობა.

თუ ეს ასეა, მაშინ რა აზრი აქვს ჰეგელის დებულებას იმის შესახებ, რომ წინააღმდეგობა, შინაგანი წინააღმდეგობა არის განვითარების მიზეზი. განვითარება არსებულია წინააღმდეგობის გარეშე, მერც, წინააღმდეგობა მიზეზი კი არ უფოლა განვითარების, არამედ ის პირველად ჩნდება განვითარების პროცესის გარკვეულ საფეხურზე.

ამე ამახინჯებს იდეალიზმი დიალექტიკის პრინციპებს.

მაგრამ ეს კიდევ არ არის საქმარისი. თუ მომართვა და განვითარება — როგორც ეს ახლა გამოირკვა — წინააღმდეგობით არ არის განსაზღვრული, მაშინ რით აიხსნება იგი? ჰეგელი არ მალავს ამ მიზეზს, მიზეზს, რომელიც არსებითად უარყოფს მის შიშს აღმოჩენილ დიალექტიკის ძირითად კანონს.

ჰეგელის აზრით, აბსოლუტური (სული) წვალობს და უტარება და ეს წვალებისა და ტარების წლები მისი გამოცდილებისა და სწავლების წლებია, ამაშია სულის სიცოცხლე. ის თავის თავს შევიცნობს და ამ თვითშეგნებისაკენ

¹ კ. მარქსი, კაბიტალი. ბოლოსტეკეობა მეორე გამოცემისათვის. 1954. გვ. 23.

¹ დიალექტიკის ეს დამახინჯება განსაზღვრულია სისტემის იმ თვისებურებით, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული.

მის წარმოდგენაშია მისი არსება. სული სხვა არაფერია, თუ არა ეს მისწრაფება, ეს მოქმედება. „სულის ეს შრომა, შეიცნოს თავისი თავი. ამოიღოს თავისი თავი, ეს მოქმედება არის სული, ეს არის სულის სიცოცხლე“. განვითარების პროცესს რომ დაამთავრებს, ე. ი. საბოლოოდ შეიცნობს თავის თავს, მაშინ დაადგენს სული (d. Geist), რომ „მას სწორედ ეს სურდა თავის ისტორიაში“ („... dass der Geist dies gewollt in seiner Geschichte“). აბსოლუტური სული მიზნის შემდეგია, იგი თვითონ არის მიზანი და მისწრაფებაც; „დასაწყისი თვითონ არის მიზანი“ და ამით აბსტრაქცია ისიც, რომ განვითარების რეზულტატიც ეს მიზანია. ცხადია, რომ აბსოლუტურის (სულის) — და ამიტომ მთელი სინამდვილის — მოძრაობისა და განვითარების მიზეზი წინააღმდეგობა კი არ უყოფილა, არამედ მიზანი, რომელიც თვითონ აბსოლუტური სულია, და ამიტომ ამ მიზნის განზორციელება თავის თავის განზორციელებაა.

ტელეოლოგიაში და მისი აბსტრაქციული ნიშნისა ჰეგელის მთელი სისტემისა და ეს ტელეოლოგიაში არსებითად ეწინააღმდეგება დიალექტიკის რაციონალურ მარცხს.

შესაძლებელია იმის ჩვენება, რომ თითქმის ყველა კატეგორია, რომელთა ზოგადი დახასიათება და განსაზღვრება ჰეგელის მიერ დაახლოებით კარგად არის მოცემული, ასეთივე დამახინჯებას განიცდის იდეალიზმის გამო. მგერამ აღნიშნული საკმარისია.

ახალგაზრდაობიდანვე სოციალ-პოლიტიკური პრაბლემით დაინტერესებული ჰეგელი დიდ ადგილს უთმობს თავის სისტემაში კაცობრიობის ისტორიას და რაქციონული იდეალიზმის პრინციპების საფუძველზე დაწერილებით განახილავს იმას, რასაც ჩვენ ზედნაშენის ფორმებს ვუწოდებთ: სახელმწიფო, სამართალი, მორალური, ხელოვნება, რელიგია, ფილოსოფია.

ამ სფეროში უფრო ნათელია ჰეგელის ფილოსოფიის ნაკლი, რაქციონული მხარე მისი ნაზრებისა. ამ დარგში, ლენინის თქმით, ჰეგელის აზრები უფრო მოქმედებულა. „Здесь Hegel наиболее устарел и антиквирован“¹.

ამის დაძვინჯებად, აქაც მისტიკურსა და იდეალისტურ სამოხელში მრავალი დადებითი მომენტი შეიძლება აღმოვაჩინოთ. ჰეგელს რეალობის უშველბელი ილი ჰქონდა (ცნგელის); მან ხომ ბოლოსდაბოლოს დიალექტიკის ძირითადი პრინციპები რეალური სინამდვილის შესწავლის საფუძველზე აღმოაჩინა და შემდეგ აბსოლუტურს სულს მიაქერა და ამით დაამახინჯა ისინი. მიჩვეულ რიგში, განვითარების ეს პრინციპები მას კაცობრიობის ისტორიაში უნდა დაეხატა.

ჰეგელის აზრით, ისტორია შემთხვევით მოვლენათა გროვის კი არ წარმოადგენს, არამედ

კაცობრიობის კანონზომიერ განვითარების პროცესს. ამის გაგება — და ეს ჰეგელს კარგად ესმოდა — წარმოადგენს პრეველ ცდის ისტორიის მეცნიერების სიმბოლურ-განმანათლებლობის ფილოსოფიამ უნდა მოგვეცეს კაცობრიობის კანონზომიერი განვითარების ზოგადი სურათი.

ისტორიის, როგორც მეცნიერების, ასეთი გაგება განსაზღვრავს შემდეგს საკითხებს: რა განიცდის განვითარება ისტორიაში და რა კანონზომიერებას ექვემდებარება ეს განვითარება. ამ კითხვებზე გავეძულ პასუხში — ისევე როგორც ჰეგელის ფილოსოფიის სხვა ნაწილებში — მისტიკურ-რელიგიური და რაციონალური ერთმანეთთან არის დაცემობრებული.

კაცობრიობის ისტორიაში განვითარებას განიცდის თავისუფლება: „მსოფლიო ისტორია არის პროგრესის თავისუფლების ცნობიერებაში, — პროგრესი, რომელიც ჩვენ უნდა შევიცნოთ მის აუცილებლობაში“¹.

თავისუფლების ხარისხის განზორციელებით განსხვავდებიან ისტორიული ეპოქები ერთმანეთისაგან. ჰეგელი სამ დიდ ეპოქად ყოფს კაცობრიობის ისტორიას: 1) აღმოსავლეთის დემსპოტიკური ქვეყნები (ჩინეთიდან გვიპიტამდე), სადაც ერთი არის თავისუფალი, ყველა დანარჩენი არ არის თავისუფალი, 2) საბერძნეთისა და რომის სამეფარო, სადაც ზოგიერთი არის თავისუფალი, ხოლო უმრავლესობა არ არის თავისუფალი და 3) ქრისტიანულ-გერმანული სამეფარო; ქრისტიანობამ წამოაყენა პრინციპი: აღამიანი უნდა იყოს თავისუფალი, ხოლო გერმანიაში, კერძოდ პრუსიაში, ეს პრინციპი იქნა განხორციელებული.

პრუსიის რაქციონული მონარქია ჰეგელში კაცობრიობის განვითარების იდეალად წარმოიდგინა: პრუსიაში ყველა თავისუფალია; აბსოლუტური თავისუფლება განზორციელებულია და ამით ისტორიის პროცესით დამთავრებულია.

შემთხვევით როდი იყო, რომ ჰეგელის ფილოსოფია პრუსიის სახელმწიფოებრივი ფილოსოფიად იყო აღიარებული (ცნგელის).

ამ რაქციონულ თვალსაზრისს ექვს თავისია რელიგიურ-მისტიკური საფუძველი, რომელსაც ჩვენ ქვემოთ გვაჩვენებთ. ახლა ასეთი საკითხი დავსვათ: არის თუ არა რაიმე რაციონალური ჰეგელის ამ დებულებებში?

შრომის პროცესში ადამიანები გარდაქმნიან ბუნების მოვლენებს, აღიქვენ მათ ისეთ სახეს, რომ შესაძლებელი გახდეს მათი საშუალებით მოთხოვნილებანი დაკმაყოფილონ. ამ პროცესში შეიცნობენ ადამიანები ბუნების მოვლენებს, მათ კანონზომიერებას და ამის საფუძველზე

¹ ლენინი ასე თარგმნის ჰეგელის ამ დებულებას: „Всемирная история есть прогресс в сознании свободы, прогресс, который мы должны познать в его необходимости.“ „Философские тетради“. 1947. გვ. 220.

იწვევენ ბატონობას ბუნებაზე. თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ბუნებაზე ბატონობა. ამდენად, კაცობრიობის განვითარება არის ბუნებაზე (და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე) ბატონობის გაძლიერება და ამიტომ თავისუფლებას განვითარებაც.

ჰეგელს „სულის ფენომენოლოგიაში“ აქვს ერთი შესანიშნავი თავი „ბატონობისა და მონაბობის შესახებ“. ბატონი მონაზე ბატონობს და მონის შრომის ნაყოფს მოიხმარს; მონა შრომობს და შრომის პროცესში გარდაქმნის ბუნების მოვლენებს. ამ პროცესში მონა შეიცნობს ბუნების მოვლენებს და მასზე ვაბატონდება, ე. ი. განთავისუფლდება; ხოლო ბატონი, შრომის მოწყვეტილი, ბუნების მოვლენებს ვერ შეიცნობს და მათი მონა რჩება; მონა თავისუფალი ხდება, ხოლო ბატონი მონად იქცევა.

ჰეგელმა, რასაკვირველია, არ იცის ისეთი ცნებები, როგორც არის ფორმაცია, წარმოების წესი და სხვ. ეს კატეგორიები და მათი შინაარსის უსტი შექნიერული გარკვევა მხოლოდ მარქსიზმის კლასიკოსების შრომებშია მოკლებული. მაგრამ ისტორიული პროცესის კარგი აღლის მქონე ჰეგელი უკვე გრძნობს საზოგადოების განვითარების ზოგიერთ კანონზომიერებას; ის შემდეგ დებულებებს ჩამოაყალიბებს: ყოველი შემდგომი ეპოქა უფრო პროგრესულია წარმავალზე; ერთი ეპოქა გადადის მეორეში ნატურით; არც ერთი ეპოქა არ იღუპება, სანამ ის თავისი განვითარების შესაძლებლობას არ აშორავს და სანამ მის წიაღში არ განჩნდება შემდგომი ეპოქის წარმოშობის პირობები.

შესაძლებელი იყო კიდევ დაგვესახლებინა რამდენიმე ასეთი დადებითი მომენტი ჰეგელის მოძღვრებაში ისტორიის შესახებ, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. შევხებით ჰეგელის ნაზრების კიდევ ერთ საკითხს.

ისტორიის ადამიანზე აკეთებენ. ადამიანები შეიღან ისტორიაში თავისი მიზნებით და ამ მიზნების განხორციელებისათვის იბრძვიან. და რადგან მიზნები განსხვავებულია და ხშირად საწინააღმდეგო არის, ამიტომ მიზნების განხორციელებისათვის მისწრაფებაში ადამიანები ეჯახებიან, ებრძვიან ერთმანეთს.

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ დავებისა და ბრძოლის შედეგად ჩნდება არა მხოლოდ ის, რაც ადამიანებს სურდათ, არამედ სრულიად სხვა, რაც მათ არც ჰქონდათ გათვალისწინებული, ჩნდება ის, რაც აბსოლუტურ სულს ჰქონდა განსრახული.

აქ ჩანს ნათლად, ერთი მხრივ, რელიგიური და მისტიკურ-ფატალისტური და, ამავე დროს, რაციონალური ასპექტი ჰეგელის ნაზრებისა. ადამიანები ისტორიაში თოჯინების როლში გამოდგან: აბსოლუტური აძლევს მათ მიზნებს, მგერად ისე და ისეთს, რომ ადამიანთა მიზანთა და ინტერესთა ბრძოლის შედეგად გაჩნდეს ის, რაც მას — აბსოლუტურს — მიზნად ჰქონდა და

სახული. ეს არის მისტიკურ-რელიგიური და ფატალისტური ასპექტი.

მეორე მხრივ, ისტორიული პროცესი თორმე ადამიანთა სუბიექტებისა და ნუნდისყოფისგან და მოუცილებელი ყოფილა. ეს მართებული, რაციონალური აზრი ყოველდ უმართებულო, რელიგიური საფუძვლით არის გაპირობებული. ჰეგელმა იცის, რომ ისტორიული პროცესი ადამიანთა ნებისყოფისგან და მოუცილებელია, მაგრამ ამ გარემოებას ის ახსნის არა ობიექტური კანონზომიერებით, არამედ აბსოლუტური სულის მიზნებით.

შესაძლებელია ისიც, რომ რომელიმე პიროვნების სუბიექტური, ეკრაო მიზნები დამოუხვევს აბსოლუტური სულის მიზნებს. ის პიროვნება, რომლის სუბიექტური მიზნები აბსოლუტური სულის მიზნებს დაემთხვევა, დიდი პიროვნებაა ისტორიაში. აქაც რელიგიურ ფორმაში გამოთქმულია რაციონალური აზრი: დიდი პიროვნება ისტორიაში არის ის, ვისი მიზნებიც განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას გამოხატავს. ჰეგელი კიდევ უფრო კარგად გამოთქვამს ამ აზრს: დიდი პიროვნება ისტორიაში არის ის, ვინც გრძნობს ისტორიის მაჯისცემას და აკეთებს იმას, რაც მის დროს სჭირდება.

დაახასიათებს რა ასე ღელ პიროვნებას ისტორიაში, ჰეგელი აქვე აღნიშნავს, რომ ეს პიროვნება აბსოლუტური სულის „საქმის მწარმოებელია“, რადგან ის აბსოლუტური სულის მიზნებს ემსახურება. საქმარისა იგი გადამდგეს ამ სამსახურს, რომ იგი ჩვეულებრივ მოყვდა ადამიანად იქცეს.

ანალოგიურია ჩვენი აზრიც: დიდი პიროვნება ისტორიაში არის ის, ვინც „გრძნობს ისტორიის მაჯისცემას“, ვინც შეიცნო განვითარების კანონზომიერება და აკეთებს იმას, რაც მის დროს სჭირდება; დიდი პიროვნება აკეთებს იმას, რაც მასებს სჭირდება, მასების ინტერესებს განახორციელებს; მაგრამ მოსწუდება თუ არა იგი მასებს, იგი უბრალო მოყვდაა იქცევა.

ყველგან, თავისი მოძღვრების ყველა ნაწილში ჰეგელის მისტიკურ-რელიგიურ სამოსელში გამოთქმული აქვს მართებული, რაციონალური დებულებები, რომლებიც დამახინჯებულია მისი სისტემის იდეალიზმით. მისი სისტემის იდეალიზმში და კონსერვატიულმა ხასიათმა დამახინჯა მისი დიალექტიკა.

ჰეგელის ფილოსოფია წინააღმდეგობის შემცველი აღმოჩნდა; დიალექტიკის რაციონალური მარცვალი, რომელზედაც მიუთითებდნენ მარქსიზმის კლასიკოსები, იდეალისტურ სისტემასთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდა; დიალექტიკის რაციონალური მარცვალი უსასრულო განვითარების პრინციპის შემცველი იყო, ხოლო იდეალისტური სისტემა დასრულებას მოითხოვდა; საზოგადოების განვითარება დამთავრდა პროსისი მონარქიით: ისტორიის მიზანი — აბსოლუტური თავისუფლება — მიღწეულია პრუსიაში, შემეცნების განვითარება დამთავრებულია, რად-

ვან ჰეგელის ფილოსოფია თურმე აბსოლუტურ კენჭმარობებს წარმოადგენს; რაც შეეხება ბუნებას, აქ ნამდვილი განვითარება არც არსებობს; ბუნება, ჰეგელის აზრით, გაქვევებულ საფეხურთა ერთობლივად, სადაც დაბალი და მაღალი საფეხური ერთდროულად არსებობს და ერთიდან მეორეში გადასვლას აღვილი არა აქვს.

საინტერესოა აქ ის არის, რომ აზრი ვანეითარების პროცესის დამთავრებას შესახებ ჰეგელის ფილოსოფიაში შემთხვევითი, ყრძო შეცვლილი როლია; სისტემა ისეა აგებული, რომ განვითარების დასრულება აუცილებელი ზღვაა. ჰეგელის მიხედვით, აბსოლუტური იდეის განვითარების პროცესი არის მის მიერ წარმოებული თვითშემეცნების პროცესი. ჰეგელის ფილოსოფია — ჰეგელის აზრით — არის ამ პროცესის სურათი. თვითშემეცნების პროცესში ირყევა; თუ რას წარმოადგენს თვითონ ეს აბსოლუტური იდეა. მის მიერ თავის თავის შესახებ ნამდვილი ცოდნა მხოლოდ მაშინ იქნება მილიანი, როდესაც ის თავის თავს ამოწურავს შემეცნების პროცესში და ამით გაიგებს, რომ მთელი ასტარია მისი განვითარების ისტორია უფოლია. აბსოლუტური იდეა განვითარების მხოლოდ ეკონსანკრელ ეტაპზე გაიგებს — როდესაც ის თავის თავს მილიანად შეიცინობს — თუ რა უფოლია ის; ამის გარეშე მას არ ეცოდინება, რომ სოლი სამყარო და სამყაროს განვითარება სწორედ მისი განვითარება უფოლია. ამიტომ განვითარების დასრულება სისტემის ძირითადი პრინციპია: თ არის განსაზღვრული.

აბსოლუტური იდეა, გაიგებს რა განვითარებას წმინდა აზრის სფეროში, „გადავა“ ბუნებაში და იქედან განაგრძობს განვითარებას საზოგადოების სფეროში. აქ, ამ სფეროში შეიცინობს ის თავის თავს საბოლოოდ, ხელოვნებაში — ინტუიციის ფორმაში, რელიგიაში — წარმოადგენს ფორმაში და უკანასკნელად ფილოსოფიაში — ცნების ფორმაში: აბსოლუტური იდეის ავტორტური ფორმა არის ფილოსოფია. ფილოსოფიაში — და ყერძოდ ჰეგელის ფილოსოფიაში — ამოწურავს თავის თავს აბსოლუტური იდეა, სულა.

კამათი და ბრძოლა ჰეგელის ფილოსოფიის შესახებ, დაწყებული ჯერ კიდევ გასული აუკუნის 30-იან წლებში, დღესაც არ დამთავრებულია. ჰეგელის სიკვდილის შემდეგ დიალექტიკა თავის მისტიფიკირებულ ფორმაში მოადე გადაიტყა ვერმანიში; ის გამოყენებული იყო არსებული წესწყობილების გამართლებისათვა, ყერძინობადან რა ჰეგელის ცნობილ დებულებას: უფოლია, რაც ნამდვილია, გონიერია და რაც გონიერია, ნამდვილია. მაგრამ თავის რაციონალურ ფორმაში ამ დებულებაში არსებულის უაყოფიაც, მისი აუცილებელი დაღუბაც აუღლისსმეობია, რადგან არსებული წესწყობილება არ იყო-გონიერი და დაღუბვის, მისობის დინას იყო.

ჰეგელის დიალექტიკამ რეაქციულ ფილოსოფოსთა ზელში ყველივე მნიშვნელობა დაკარგა; მეტიც ის ჰეგელის ფილოსოფიაში ზედმეტ ბორცვად იქნა გამოცხადებული. ჰეგელის ფილოსოფია მხოლოდ, როდესაც იგი „Weisse“ დალაგა დიალექტიკის გარეშე, წერდა ვინდელმანდი. E. V. Hartmann-ი თვლიდა ჰეგელის დიალექტიკის სიკვდილად და სიტყვების უზრო „ოხარუხად“, ხოლო დაღუბთიად მიანდა მისი მოძღვრება ღმერთზე, აბსოლუტურ სულზე. N. Hartmann-ი, რომელიც თითქმის აქებს ჰეგელის დიალექტიკას, წერს, რომ დიალექტიკა არ არის მეთოდი, რომლის შესწავლა და გამოყენება შეიძლება; ის არის ინდივიდუალური ნიჭის შედეგი გამოჩენილი მეცნიერი B. Ryssel მახარად იგდებს ჰეგელს მისი დიალექტიკის და, ყერძოდ, კატეგორიების შესახებ მოძღვრების გამო. ნეოკანტიანელები (Cohen-ი Cassirer-ი) ჰეგელის ფილოსოფიის კანტის შემდეგ ფილოსოფიის ისტორიის „ნაგარდნად“ თვლიან.

ჰეგელის სიკვდილის 100 წლის თავზე უცხოეთში ბევრი გამოცვლივა შეძღვა მის ფილოსოფიის გარეყვება. უმრავლესობა ამ შრომებისა ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციულ მხარეს ავითარებდა, იმ მხარეს, რომელიც ვერმანიელმა ფაშობმა გამოიყენა თავისი ბატონობის პირველ პერიოდში. თითქმის ყველა ეს შრომა ჰეგელის ფილოსოფიის მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს ინტერპრეტაცია გამოცხადებულია „ეულგარულ დიალექტიკად“ (S. Marek) უაზრობად აცხადებდნენ დიალექტიკური მეთოდის გამოყენებას სინამდვილის სხვადასხვა სფეროს შემეცნებისათვის, დიალექტიკის შემეცნების მეთოდად აღიარებას. ასეთი აზრი ჰეგელს არასოდეს არ ჰქონია. ყველაზე მეტად დიალექტიკა, — რომელიც მხოლოდ აბსოლუტურის, ღმერთის შესახებ მოძღვრებას ეხება, — დამახინჯა მარქსის მიერ ე. წ. ისტორიის მატერიალისტრმა გავებამო, წერს ჰეგელიანელი, Lasson-ი.

საბოლოო ფილოსოფოსები დიდ მოვალეობას წინაშე დგანან: მათი ერთგობით მოვალეობა განახორციელონ ლენინის ანდერძი ჰეგელის ფილოსოფიის მიმართ: შეისწავლონ ჰეგელი, მატერიალისტური ინტერპრეტაცია გაუყეთონ მის ფილოსოფიის!, ე. ი. განავრძონ ის სიქმე, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ლენინმა „ფილოსოფიის რველებში“ და ამ თვალსაზრისით, ამ პრინციპებით კრიტიკულად განიხილონ ჰეგელის ფილოსოფიის ის რეაქციული და რელიგიურ-მისტიკური ინტერპრეტაცია, რომელიც ასე გავრცელებულია ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში.

1 „Я вообще стараюсь читать Гегеля материалистически: Гегель есть поставленный на голову материализм (по Энгельсу)...“. Ленин, Философские тетради. 1947, стр. 78.



ჰეგელი და ფილოსოფიის ისტორიის საკითხები

ფილოსოფიის ისტორიის პრობლემატიკას ჰეგელის ფილოსოფიისათვის ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც მის კონცეფციაში ყოველი საფეხური ფილოსოფიის ისტორიისა ლოგიკური იდეის შესატყვის საფეხურს შეეფერება. ეს გარემოება ამ თავითვე აყენებს იქვის ქვეშ საკითხს ჰეგელის მიერ ამა თუ იმ ისტორიულ-ფილოსოფიური ეპოქის ობიექტურ-მეცნიერული შეფასების შესახებ. ლოგიკურის და ისტორიულის გაერთიანების იდეას კიდევ მეტი სარბიელი აქვს ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის მიმართულების სფეროში. ერთი შეხედვით, ასეთმა დახელოვნებამ ლოგიკურისა და ისტორიულისა წინ წამოსწია განვითარების იდეა, რასაც ვ. ი. ლენინი დადებითად აღსაქვდა. ჰეგელის დებულებას, რომ „ფილოსოფიის განვითარება ისტორიაში უნდა შეესატყვისებოდეს ლოგიკური ფილოსოფიის განვითარებას, ვ. ი. ლენინი კტა სეკტატურად შეხვდა, მაგრამ მისი შენიშვნა გაუკეთა: „აქ მეტად ღრმია და სწორი, არსებითად მატერიალისტური აზრია (ნამდვილი ისტორია არის ბაზა, დასაყრდენი, ფაქტობა, რომელსაც მიჰყვება ცნობიერება)“¹. იმავე ღრმს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ „ჰეგელი ძალად უმარჩილებს ლეკვიზოს თავის ლოგიკას“². „მაგრამ ქვეშეობრივების მარცვლიც არის“³.

ეს ლენინური თვალსაზრისი მივუყვებით პროკლეს ფილოსოფიის კონკრეტულ საკითხს. ჰეგელის სახელთან დაკავშირებით ასეთ თემის გრნაირი მნიშვნელობა აქვს:

ა) საერთოდ, ისტორიულ-ფილოსოფიური, ესე იგი, რამდენად სწორია ჰეგელის შეფასება პროკლეს ფილოსოფიისა, როგორც ანტიკური ფილოსოფიის უმაღლესი საფეხურისა და ბ) რა მნიშვნელობა აქვს ქართული ფილოსოფიური აზროვნების ზოგიერთ ფაქტს ჰეგელის დებულების შეფასების საქმეში.

ამ საკითხებთან დაკავშირებულია სხვა საკითხებიც: როგორ შეაფასა ჰეგელმა პროკლეს არის თუ არა ერთგვარი წინააღმდეგობა ჰეგელის მიერ პროკლეს შეფასებაში და, თუ არის, სადაა გამოსავალი, ასეთი და მთელი რიგი სხვა საკითხების გარჩევა მოითხოვს ჰეგელის მიერ პროკლეს ფილოსოფიის შესწავლის განხილვას.

ჰეგელი მესამე წიგნში თავისი ლექციებისა „ფილოსოფიის ისტორიიდან“ დიდად აფასებს პროკლეს. იგი მის ნეოპლატონიკოს პორფირეზე და იამბლიხეზე, ზოგჯერ თვით პლოტინზე დაე მალა აყენებს. ჰეგელი წამოაყენებს გარკვეულ დებულებას: „პროკლე წარმოადგენს ნეოპლატონიკური ფილოსოფიის მწვერვალს“. აი ეს დებულებაა ამ ნაწილში ჰეგელის თეზისი და იგი ჩვენი გამოკვლევის საგანია. ესე იგი, ჩვენ ვაყენებთ საკითხს: რამდენად მართებულია ჰეგელის ეს დებულება. უნდა გავარკვეოთ, რამდენად შეძლო ჰეგელმა ამ დებულების დამტკიცება და, ამისდამიხედვით, შეიძლება თუ არა ასეთი დებულების წამოყენება იმ ვარაუდით, რომ მისი დაკვა მოხერხდებოდა.

ჰეგელის დებულება, რა ძემა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ პროკლეს შემდეგ მისი მოძღვრება არ გავრცელდებოდა. პირიქით, ის ამბობს: „პროკლეს ფილოსოფიამ განაგრძო არსებობა გვიანდელ ეპოქამდე და საშუალო საუკუნეთა განსწვრივაც“¹. იგი ჩამოთვლის პროკლეს შემყვიდრებებს, დაწყებული შარანიოთ, რომელმაც „პროკლეს ცხოვრება“ დაწერა, ვიდრე დამასციუსამდე, რომელიც ითენის აკადემიაში ნეოპლატონიზმის უკანასკნელი მსწავლელები იყო. ამის გამო, ჰეგელი ამბობს, „წარმოებული ფილოსოფია აღსრულდა თავისი არსებობის გარეგნული ფორმის მიხედვითაც“².

აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პროკლეს მოძღვრების გავრცელება არ ნიშნავს ჰეგელის დებულების გაქმნებას. საშუალო საუკუნეებში, ჰეგელის თანახმად, არსებობდა პროკლეს აზრები, მაგრამ ეს ნეოპლატონიზმის შემდგომ განვითარებას კი არ ნიშნავდა, არამედ პროკლეს აზრების ამა თუ იმ შემთხვევაში გამოყენებას უდრიდა.

აქ კიდევ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. ჰეგელი ამბობს: „თუმცა ნეოპლატონიკურმა სკოლამ გარეგნულად შეწყვიტა არსებობა, მისი იდეები და, განსაკუთრებით, პროკლეს ფილოსოფიური მოძღვრება კიდევ დიდხანს განმავლობაში არსებობდა და ღრმად გუშვდა ფესვები საქრისტიანო ეკლესიაში“³. ვინ უნდა იყოს ეს ხალხი, რომელიც შემდეგშიაქ დადგებდა პროკლეს იდეებს? ჰეგელს ასახელებს ადრინდელ სქრასტიკოსმისტიკოსებს.

¹ В. И. Ленин, Философские Тетради, 1947 г., стр. 278.

² ივე (Натагивал Левкиппа под свою логику...)

³ «Но и есть и зерно истины» ...ივე.

¹ ჰეგელი, ლექციები, ტ. XI, წიგნ 3.

² ივე.

³ ჰეგელი, ივე.

და მოგვიანო კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს.

ამრიგად, ჰეგელის აზრები ჩვენთვის საინტერესო საკითხზე — ანტიკური ფილოსოფიის მის მიერ შეფასების სისწორის შესახებ — გაირკვა შემდეგი სამი დებულების სახით: 1. პროკლე უმაღლესი საფუძველია ნეოპლატონიზმისა. 2. პროკლეს შემდეგ მისი მიმდევრები არსებობდნენ (ათენში) 529 წლამდე, რის შემდეგ ნეოპლატონიზმი, როგორც სკოლა, აღარ არსებობს. 3. დასავლეთში გაგრძელდა პროკლეს იდეები სკოლასტიკისა და კათოლიკურ ეკლესიაში.

ამ დებულებებს ის აზრი აქვთ, რომ პროკლეს სახით დამთავრდა ნეოპლატონისტური ფილოსოფია და ამის შემდეგ ის არსებითად და ფაქტურადაც არ გაგრძელდებოდა. ენახოთ, რამდენად მართალია ჰეგელის ეს დებულებანი. დებულება, რომ პროკლე უმაღლესი საფუძერია ნეოპლატონიკური ფილოსოფიისა, მოითხოვს ამის გარკვევას — რა იყო ნეოპლატონიკური ფილოსოფიის მთავარი საქმე, რომელიც პროკლეს დამთავრებია. კიდევ მეტი: უნდა აღიარებულა იქნას, რომ სწორედ პროკლეს ახასიათებდა ის, რაც მთავარი საქმე იყო ნეოპლატონიზმისა საზოგადოდ, ჰეგელი ამბობს: „რაც პროკლეს ასხვავებს სხვა ნეოპლატონიკოსებისაგან, ეს არის მის მიერ პლატონის დიალექტიკის უფრო ღრმა შესწავლა. ასე, მაგალითად, თავის თხზულებაში „პლატონის თეოლოგია“ ის აწარმოებს უფრცხვანო და უგონებამაზებელს დალაგებას ერთეულის დიალექტიკისა. მას აუცილებლად ესაუბირებდა აჩვენოს სიმრავლე, როგორც ერთეული, და ერთეული, როგორც სიმრავლე, განსაზღვრის მკითხველის წინაშე ფორმები, რომლებსაც იღებს ერთეული“. მაშასადამე, პლატონის შეზღოვილი დიალექტიკა პროკლემ განავითარა, როგორც ერთეულის (ანუ ერთისა და მრავლის) დიალექტიკა. ეს სხვა ნეოპლატონიკოსების ამოცანაც ყოფილა, მაგრამ პროკლეს თითქმის გაუკეთებია სხვებზე უკეთესად და ამიტომ „იგი მწვერვალა ნეოპლატონიკოსებისა“¹.

მაგრამ, იმავე ჰეგელის მიხედვით, პლატონთან შედარებით, პროკლეს დიალექტიკა მეტად თუ ნაკლებად გარეგნულად დაუმეზღვევია. პლატონთან ისეთი ელემენტები დიალექტიკისა, როგორცაა მთლიანობა, სიმრავლე, მყოფობა და სხვა წინდა ცნებები და მათ განსაკუთრებული პრეტენზია არ ჰქონიათ, — „პროკლესთან კი მათ უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა“. ჰეგელის აზრით, პროკლე გვიჩვენებს, როგორ ზღვება, რომ ყველა განმარტება, განსაკუთრებით კი სიმრავლის განმარტება, „განიწვანდება“ თავის თავში და ერთეულობას უბრუნდება“.

პროკლეს მიერ ამ დიალექტიკის დალაგებაში ჰეგელი ზედაფს ერთგვარ ნაკლს, რომლის მიხედვით, სიმრავლეს მეორეხარისხოვანი ადგი-

ლი აქვს დამოძიბილი, კიდევ მეტი, იგი „გაგრძედა“ ამ დიალექტიკაში და გამოდის, რომ ნამდვილი ჰემმარტება არის მხოლოდ ერთეულობა და სხვა ყოველი მხოლოდ მიმდევრები, რომელთა მყოფობა უდრის მხოლოდ რაიმე უშუალო აზრს². გამოდის, რომ დიალექტიკის, ამის მიხედვით, არ გაანინა თანაბარი კომპონენტები — ერთი (ანუ ერთეული) ჰარმონის ერთისა და სიმრავლის დიალექტიკაში და, მაშასადამე, აქ ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს. ამ კომპონენტის „დაჯარგვით“ მყოფობის დიალექტიკაც ზარალდება, იგი უშუალო აზრად იქცევა და ჰემმარტება ცალმხრივი გამოდის.

თი სწორედ აქ — ერთისა და სიმრავლის დიალექტიკის გზაზე — მიადგა პროკლე (ჰეგელის აზრით) მყოფობის დიალექტიკას. საცდელ მომენტად აღებულია პლატონის დიალოგი „პარმენიდესი“, სადაც როგორც ცნობილია, პლატონი ამტკიცებს, რომ, თუ არსებობს ერთი (ერთეული), არ არსებობს სიმრავლის მყოფობა და სხვ. ჰეგელი ფიქრობს, რომ პროკლე ღრმად ჩაიხედ მისედა, რომ ეს უარყოფის „ამოფსკისის“ პლატონისა არაა მოსაზრება იქვემდებარის შინაარსისა „სტერტიკია ტონ იპოკრემონი“, რომელზედაც ისინი გამოითქმის, არამედ განმარტებითი, წარმომადგენელი მათ წინააღმდეგობითა მიხედვით „გენენტკია ტონ თავის ანტიკემენე“³.

ამის შემდეგ ჰეგელს მოჰყავს მართლაც მეტად მნიშვნელოვანი ადგილი პროკლეს თხზულებიდან: „როდესაც პლატონი გვიჩვენებს, რომ სიმრავლი (ერთი — შ. ნ.) არაა სიმრავლე, ეს ნიშნავს, რომ სიმრავლე წარმოიშობა პირველისაგან (ერთისაგან — შ. ნ.); როდესაც იგი (ე. ი. პლატონი — შ. ნ.) აჩვენებს, რომ პირველი არაა რაიმე მთელი, ეს ნიშნავს, რომ მთელია წარმოიშობა პირველისაგან“⁴. აქ თითქმის გვაქვს პროკლეს მიერ პლატონის „პარმენიდესი“ გარჩევის დროს ნეგატივის დიალექტიკის მიგნება, რომ უარყოფდა ერთისა, როგორც სიმრავლისა, არის მისგან, ე. ი. ერთისაგან, სიმრავლის წარმოშობა.

პროკლე განაგრძობს: „ჩვენ, მაშასადამე, ეს უარყოფა არ უნდა გავიგოთ როგორც დაყლები, არამედ იგი შეიცავს დადებით განსაზღვრებებს (ერთეული) და გამოიხსნის ყოვლის საზღვართაგან და არსებობს რაღაც უთქმელს ზეზომიერ სიმარტივეში“. ეს „უთქმელი“ რამ, რომელიც ნეგაციის მიყენების გზით ამოდის ერთისაგან, შეუძლებლად ყოფს. — პროკლეს აზრით — და ამის აქცივს უფრადლებას ჰეგელი — ნეგაციის ღმერთისაგან მიყენებას. „ღმერთს — ამბობს პროკლე, — არ უნდა მიეწეროს ნეგაცია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მისი (ნეგაციის —

¹ იქვე, XI, 63.
² იქვე, 3, გვ. 63.
³ პლატონის თეოლოგია, II, გვ. 108 და შემდ.

¹ ჰეგელი, XI, 62.

მ. წ.) ცნება არ იქნებოდა და არც არავითარი უარყოფა. უთქმელის ცნება ტრიალებს შეუჩერებელი თავის თავის ირგვლივ და თავის თავს ებრძვის¹.

გამოღის, რომ ღმერთის ცნებას არ უხერხდება და მისი სიმრავლედ ნეგაციის საშუალებით, რადგან მისში, როგორც ერთში, მთელი დიალექტიკის გარეშეა მოცემული, ანუ, როგორც ჰეგელი იტყვის: „ერთი (ერთიანი) დიალექტიკის თავის განმარტებებს იდეალურად, მთელი შეცვლია ერთში“².

როგორც ვხედავთ, ჰეგელს არ გამოეპარა პროკლეს თხზულებაში ის ადგილი, რომელშიც ლაპარაკია ნეგატიურის პოზიტიური მნიშვნელობის შესახებ, მან პროკლეს ამ აზრებს „ღრმავ-ობრივი შენიშვნა“ უწოდო, მაგრამ მასვე (ი. ი. ჰეგელს) არ გამოეპარა არც ის განსაზღვრულობა პროკლესებური ნეგატიური დიალექტიკისა, რომლის შედეგად პროკლემ უარი თქვა და ნეგატიურის დიალექტიკის მიყენება ღმერთისადმი (უმაღლესი ერთისადმი) ვერ გაბედა. პროკლე უდავოდ წინააღმდეგობაში ჩაება: ერთი მხრივ, ნეგაციის ფორმა („ტროპოს“) მას ეგანნი პოზიტიურად, როგორც „სრულქმნის მტკიცება“ ნეგაციის საშუალებით მტკიცდება ის სრულქმნა, რომლის მიხედვით ერთი თავის სრულქმნაში რჩება, არაფერს კარგავს, თავისი საზღვრიდან (სწორედ ამ სრულქმნის გამო) ამოდის და შემდეგ თავის თავს უბრუნდება, როგორც სიმრავლის მთელი. მეორე მხრივ, ნეგატიურის მიყენება არ შეიძლება ღმერთისათვის, რადგან მის მიმართ ნეგაცია თურმე აზრს, „ლოგოსს“ კარგავს და ნეგაციას ვეღარ ვიღებთ.

ჰეგელმა იცის, რომ პროკლემ სცადა ნეგატიურის გამოყენება არა როგორც რაღაცის დაკლებების, არამედ აგრეთვე როგორც დადებითი განმარტებისა და, ამდენად, პლატონის დიალექტიკას პროკლესათვის დადებითი მნიშვნელობა აქვს: მას სურს დიალექტიკის საშუალებით ყველა განსჯავეთა „ერთიანობაში მოიყვანოს“.

პროკლეს ამ ცდას ჰეგელი უკეთესს შენიშნავს, რომლის შემდეგ ძნელი უნდა ყოფილიყო იმის თქმა, რომ პროკლე ნეოპლატონიზმის მწვერულია. ჰეგელმა უკვე გეითხრა, რომ პროკლეს ამოცანა იყო ერთისა და სიმრავლის დიალექტიკა. გადამწყვეტი პროკლემ ეს საკითხი? ჰეგელი თავის ლექციებში ფილოსოფიის ისტორიის შესახებ ამბობს: „პროკლე დიდ ჯგუფშია ერთისა და მრავლის (ერთიანობისა და სიმრავლის) დიალექტიკის გამო და მას დიდ ყურადღებას აქცევს, განსაკუთრებით თავის მოძღვრებაში „კაჟმირთა“ შესახებ. მაგრამ ყოველის ერთიანობაში შექცევა რჩება მის ამ მთლიანობის მიღმა. ამის ნაცვლად არ სჯივარ იყო ეს ნეგატიურთა გავე-

ბული ყოფილიყო, როგორც უკანასკნელისაგან (ერთიანობისაგან) წარმოშობილი“³.

როგორც არ უნდა გავივით ეს დიდი ჰეგელის ნაშრომში, ეს კი უდავოა: მას არ გამოეყრებოდა პროკლეს მიერ გამოყენებული გზა ერთიანობისა და სიმრავლის ურთიერთობისათვის, რომ ეს გვერთიანება ერთიანობის გარეშეა და, მაშასადამე, დიალექტიკური აღარაა. ამისთან ერთად, ჰეგელი კარგად ხედავდა, რომ ერთი სიმრავლედ ვაშლა და შემდეგ ერთისა და სიმრავლის წინააღმდეგობითი ერთიანობად მოყვანა ნეგაციის, როგორც მამოძრავებელი ძალის, საშუალებით არ ხდება პროკლეს ნაშრომში. ამიტომაც ჰეგელი შენიშნავს, რომ „ამ დიალექტიკურ მოძრაობაში პროკლესათვის ძირითადი განმარტება არის, რომ ეს მოძრაობა ხდება მსგავსების საშუალებით“⁴. ამ მიმართულებით, აშკარაა, ნეგაციის გამოყენება არაფერ შეუძლია და ამის მიხედვით უნდა იყოს ის, რასაც ჰეგელი აღნიშნავს პროკლეს შესახებ, რომ ერთი (ერთიანი) თითქოს ამოდის თავისი საზღვრიდან სავსებობის, შესაძლებლობათა მოკარბების წყალობით, და ეს უსაზღვრო შესაძლებლობა არის საზოგადოდ სინამდვილე. პროკლეს აზრა, — დასძენს ჰეგელი, — არისტოტელური ხასიათისაა“⁵.

ყველა ამით ნათქვამია, რომ პროკლე მიხვდა ნეგატიურის დიალექტიკის ამბავს, მაგრამ ვერ გამოიყენა იგი, პლატონის დიალექტიკაში ნეგატიურის პოზიტიურობის შეტანის ცდა პროკლემ „ერთის“ საკითხთან შეაჩერა და ღმერთისადმი ნეგატიურის დიალექტიკის მიყენება შეუძლებლად დაინახა. ამის შემდეგ პროკლე — ჰეგელისავე მოწმობით — არისტოტელეს, ასე ვთქვათ, სტიქურ დიალექტიკას დაუბრუნდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ჰეგელი დიდი სიზუსტით აღნიშნავს: „პროკლე იყენებს მრავალსახვად დიალექტიკას იმის საჩვენებლად, რომ სიმრავლე არაა თავისთავად, ... რომ ყოველი უბრუნდება ერთიანობას, რომ ერთიანობა არის აგრეთვე სიმრავლის საწყისა. მაგრამ იგი (ესე იგი პროკლე), — ამბობს ჰეგელი, ხაზგასმით, — ვერ გვარკვევს, როგორაა ეს სიმრავლე ერთის თავის თავთან ნეგატიური მიმართება. ამის გამო ჩვენ ვხედავთ მრავალნაირ დიალექტიკას პროკლესთან, რომელიც თავის მსგავსებაში იქით-აქედ ეღებება „ჰინ უნდ ჰერ გეიტ“ ერთისა და მრავლის მიმართებაში“⁶.

ყოველი ორპაროვნობის გარეშე, ეს აღიარება პროკლეს მიერ ნეგატიურის დიალექტიკის, როგორც მამოძრავებელი ძალის, გამოუყენებ-

¹ იქ ყველაფერი ნათელი არაა. უკანასკნელ გლოტიკიას, გამოცემაში ეს იდეალი ამოღებულია.

² ჰეგელი, გვ. 65.

³ იქვე, 65.

⁴ იქვე, 64.

⁵ ჰეგელი, XI, 3, გვ. 64.

ლობის გამო, თუმცა ის მიხვდა ნეგატიურის რა-
ღაც დიდ წინშენლობას. მას შემდეგ, რაც პრო-
კლემ ვერ შეაგოს პლატონის დიალექტიკა, იგ-
არისტიტელეს სტიქიური დიალექტიკის გამო-
ყენებასაც წამოედო, მაგრამ აქაც არაფერი გ-
მოუვიდა. ეს შეფასება საკმაოდ მკაცრია, მა-
გრამ საფუძვლიანი. მაგრამ არაა მართალი ყოვე-
ლაფე ამის შემდეგ პროკლე მივიჩნით ნეოპლა-
ტონიზმის შექმნელად.

ლოგიკურად საჭირო იყო ჰეგელს ეჩვენებინა,
რომ ნეოპლატონიზმი ის საფუძვრია ფილოსო-
ფიის ისტორიაში, საერთოდ და ბერძნულ ფი-
ლოსოფიაში, კერძოდ, რომელსაც არ შეეძლო
პროკლეს იქით წასვლა: ეს იგი, პროკლე მიხ-
ვდა ნეგატიურის, როგორც დიალექტიკური პრა-
ციის, მამოძრავებელ ძალას, პლატონის დია-
ლექტიკის, კერძოდ, „პარამენიდეს“ შევსება,
სეკადა, მაგრამ სიმრავლისა და ერთის ნეგატიუ-
რი (და ამავე დროს პოზიტიური) მიმართულება
ვერ გაყო, ერთის ასამოძრავებელ ჰარბი სავ-
სეობის ცნებას დაუბრუნდა, არისტოტელეს წა-
მოედო და სტიქიურ დიალექტიკაში გაიხლართა
(„მიმოვიოდა“, „აქეთ-იქით ედებოდა“).

მაგრამ ჰეგელი ნეოპლატონიზმზე, საერთოდ,
და პროკლეს, კერძოდ, ასეთი აზრის არ არის.
მართალია, ეს „ერთისა და მრავლის დიალექტი-
კა იყო, მაგრამ მას, ჰეგელის აზრით, პროკლე
თითქოს, ამუშავებდა „უმალესი გონებაშაფი-
ლობით და ფრიად ვრცლად“¹. ჰეგელის აზრით,
პროკლეს სავსებით მისილება უნარი ჰქონდა
საქველაციური აზროვნებისა და, იმავე დროს,
მას დიდი ცოდნაც ჰქონდა, — ასე ახასიათებს
მას ჰეგელი.

ჰეგელი განაგრძობს პროკლეს ანალიზს იმ მი-
მართულებით, რომ ერთისა და სიმრავლის
პრობლემას პროკლე ახალ ვაზზე დააყენებს და
სხვა ნეოპლატონიკოსებზე, კერძოდ, პროკლეს
უკეთ გადაჭრის. ეს იქნება ამ პრობლემის ტრი-
ადის სახით წარმოდგენა და გადაჭრა. იდეა,
როგორც თავის თავთან იგივეობა, ცნობილი იყო
ნეოპლატონიკოსებისთვის და ქმნიდა პრობლე-
მას თავის თავში განსხვავებისა და განსხვავე-
ბულობის მომენტებიდან ისევ თავის თავში გი-
დასვლისა, როგორც იგივესა და განსხვავებულის
მთლიანობის აღდგენისა. ჰეგელი დაასკენის,
რომ პროკლე გაცალკეობს უფრო გარკვეულია
და უფრო შორს წაიღო, ვიდრე პლოტინი და,
შეიძლება ითქვას, ის ამ მხრივ უფრო მოწინა-
ვე და უფრო განვითარებულია ვეცლა ნეოპლა-
ტონიკოსთა შორის“.

როგორც ვხედავთ, მყოფობის დიალექტიკის
ტრიადალ გაგებაში ჰეგელი ზედავს პროკლეს
უმაღლეს მიღწევას არა მარტო პლოტინთან,
არამედ, საზოგადოდ, ნეოპლატონიკოსებთან შე-
დარებით. ჰეგელს, როგორც ვიცით, არ შეიძლე-
ბოდა არ მოსწონებოდა ერთობლიობის გარ-
მეგება „დი ცევიპატი“, რომელიც ერთიმეორეს

უპირისპირდება გარკვეულობა და გარკვეულობ-
ა. ეს უნაასკენელი მთელში, როგორც შენსმე-
ნი, გამოდის როგორც წინააღმდეგობა „ნათი-
ნი“. „გემიშეს“, — აქა არის დიალექტიკის
ის მომენტი, რომელიც მყოფობა-ქონისმოც-
მული, არამედ მყოფადი „დას ზიენდე“ რამე-
ლიც წვევს ერთისა და მრავლის პრობლემას
„მე ბოლა“.

შემდეგში გარკვეულობის და გარკვეულობ-
ბის ადგილს დაიკებენ საზღვარი და უსაზღ-
ვრობა „პერას, ჰაეირონ, მიკტონ“. ეს სამეულო
არის ტრიადა, რომელიც თავის მხრივ ნაწევრ-
დება ცალკე სამეულებად და გამოდის სამი საქ-
მეული ანუ ტრიადა. მყოფობის დიალექტიკა აქ
დაიბრისპირებულია ნახაობაში („მიკტონ“).
პირველი საზღვრისა და უსაზღვრობის ნახაი
არის პირველი მყოფობა („ტო პროტოსონ“), ტრია-
დების ერთობლიობა თავის თავთან. პირველი
ამ ნახაობას არის პირველი ყოველი მყოფობი-
სა; ამას მოჰყვება მყოფობა ცხოვრებადი ანუ
ცხოვრება როგორც მყოფობა და, შემდეგ, რო-
გორც გონება. ტრიადები ახსებთადა („ოსიო-
ლოს“), არსებრავდ მყოფობაშია („ე ტო ონტო“)
ეს მომენტებია, რომელიც შემდეგ „მიხვება
წონში“ დაეინახება, როგორც ავსებს მყოფობ-
ბას, არსებას. „ესსენცია“. და განებას „რაციო“.
ყოველი მომდევნო (ორი) ტრიადა წარმოიქმნება
პირველი ტრიადისაგან, რომელიც არის — სა-
ზღვარი, უსასრულო და ნახაი. მისი მთლიანო-
ბა არის პირველი, არის ღმერთი, ვინც საზღ-
ვას საზღვრავს (გაეიხსენით რუსთაველი: „ვინ
საზღვარსა, დაუსაზღვრავს...“).

პირველი ტრიადის ელემენტებია: საზღვარი
„პერას“ — პირველი ღმერთი, თავის თავში
მყოფი წესრიგი. მერე მოდის უსასრულო
„ამოუწერელი შესაძლებლობანი ღმერთისა: ნა-
ზაი ანუ მესამე — პირველი წესი „დიაკოსმოს“
ღმერთებისა, მიხვნი ყოვლისა მყოფობისა“¹.

ამს მოჰყვება მეორე ტრიადა, რომლის აღ-
წერის დროს, თურმე, როგორც ჰეგელი ამბობს,
პროკლე ჩაეარდა სულიერ აღტყინებაში და
ვაქსანტურ გატაცებაში თქვა: „პირველი ტრია-
დის შემდეგ, რომელიც დარჩა ერთობლიობაში,
ერთობლიობაში გამართლდა, ჩვენ საშუალება
გვეძლევა მეორე ტრიადა ქებათი მოცხატებით
„ინესომენ“ და სხვ“² ამის შემდეგ დიდ საჭი-
როებას არ წარმოადგენს სხვა ტრიადების გან-
ხილება.

ჰეგელს, ცხადია, ძალიან მოსწონს ამ ანალი-
ზის დასასრული, რადგან იგი ეხმარებოდა მის
საკუთარ იდეებს მაღალი და დაბალი გზების
შესახებ. პროკლესთან ეს დებულება მოთავსე-
ბულია თხზულებაში „კავშირნი ლთოსმეტრეე-
ლებითნი“ შამასადამე, მყოფობის თავისი წესი
ჰქონია, წინააღმდეგობის შემცველი: განწვალე-
ბული — არაგანწვალებული, ღრთული — არა-

¹ პლატონის თეოლოგია, III, თ. 12, გვ. 140.

² ჰეგელი, 19, წიგნი 3, გვ. 89.

¹ ჰეგელი, XI, 3, 62.

დროული, ცვალებითი — უცვლელი და სხვ. მყოფობა ზემოდან-ღმერთებრივად — განხილული კარგავს, პროკუსს აზრით, ამ დიალექტიკურ თვისებას, რადგან იგი ხსნის წინააღმდეგობას და არა აერთებს მათ. აქ საკითხი არაა ისე მარტივი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

წამოთვლის რა ღვთაებრივი თვალსაზრისის მიერ მყოფობის წიაღში მოცემულ წინააღმდეგობებს, პროკუს (თითქმის) დასძინა: რომ ღმერთი შეიცნობს „ყველა საგნებს უცეთესად, ვიდრე მათი წესის მიხედვით“, პროკუსს ფრანზის ამ უკანასკნელ ნაწილს დავიკრებდა სჭირდება. რას უნდა ნიშნავდეს, რომ უმაღლესი (ღვთაებრივი-პროკუსსათვის) თვალსაზრისი (შემეცნება) უცეთესია, ვიდრე წესი, რომლის მიხედვით საგნები მყოფობენ? საქმე აქ, ჯერ-ჯერობით პროკუსს ტერმინის — „კრეტიონის“-ის გაგებაშია. ჰეგელი მას თარგმნის გერმანული სიტყვით — „ფორტრეფობ“ რუსული თარგმანი იღებს გერმანული ტერმინის ამ მნიშვნელობას, რომელიც აღმტებულს ნიშნავს — *превосходный* და რადგან ჰეგელს, ბერძნული ორიგინალის მიხედვით შედარებით ხარისხში აქვს გერმანული ნაზმარი, რუსულში თარგმანმა ეს გამოატა სიტყვა *превосходный*-ს ორჯერ გამეორებით: (*гор*) „*познает все вещи превосходнее того превосходства, которое они представляют собою согласно их разряду*“. რუსული თარგმანის მიხედვით გამოდის, რომ *превосходство* ეკუთვნის ერთ-ბელ ღვთაებრივ შემეცნებას, რომელიც საგნებს ხელავს წინააღმდეგობათა მოხსნაში (განყოფილ — როგორც განუყოფელი, ცვალებადს — უცვლელად და სხვა), მეორეჯერ კი თვით საგნებს, როგორც წინააღმდეგობაში მყოფობას. ამდენად, რუსულ თარგმანს არაფერი აქვს საერთო არც პროკუსს ბერძნულ დედანთან და არც ჰეგელის თარგმანთან. რაც შეეხება თვითონ პროკუსს ტერმინის აზრს, მასში სულ რაღაც აზრია. რუსულად გამოდის, რომ *превосходство* — წარმატება — ჰქონია საგნებს, მოვლენებს და ისიც „*согласно их разряду*“. ეს „*разряд*“ გერმანული „*ორდნუნგ*“-ის თარგმანია და „*რიგის*“ მნიშვნელობითაა ნაზმარი. ვეღა ეს წინააღმდეგება პროკუსს აზრს: იგი ლაპარაკობს წესზე, რომლის მიხედვით ვითარდება მყოფობის მოვლენები წინააღმდეგობრივ ფორმებში დროული — უდროული, ცვალებადი — უცვლელი და სხვა) და რომლისგან განსხვავებით, უმაღლესი (ღვთაებრივი) შემეცნება ამ წინააღმდეგობათა მოხსნა — დას ფერენდერლიხე უნფერენდერლახს“ — ცვალებადი უცვლელად ჰეგელისა) ¹.

პროკუსს ბერძნული ტერმინი „*კრეტიონის*“ — ნიშნავს უპიკობესს და იგი ეგება მადლად (ღვთაებრივ) შემეცნებას და სხვას არაფერს. ამდენად, ჰეგელი შედარებით უფრო ახ-

ლან ბერძნულ ტერმინთან. ყველაზე სწორია ი. პეტრიწის ქართული თარგმანი, ხოლო, რაც შეეხება მის „*განმარტება*“-ს, ესე იგი, პროკუსს ტერმინის კომენტარს, ეს სიუღღებამ პროკუსს დებულებას, მაგრამ ამ დამორბანს თავისი მნიშვნელობა აქვს, რაზედაც ჰეგელი ვეცნება ლაპარაკი. პროკუსს წინის ჰეგელის მიერ მოყვანილი ვადაწყვეტი ადგილისა პეტრიწისეული თარგმანი იკითხება ასე:

„ყოველმან ღმერთებრივმან განუწვალებლად განწვალებადი უწყის, ხოლო უცაზოდ ყამის-შორისი, და არა საჭიროა საჭიროდ, და ცვალებადი უცვალებლად, და ყოველითურთ ყოველი უწყობესად თვისთა წესთაებრ“ ¹.

საესებით ნათელია, რომ აქ ლაპარაკი მაღალ შემეცნებაზე — ღმერთებრივზე და არა ღმერთზე — „ყოველმან ღმერთებრივმან“, როგორც ბერძნულში. მთავარი კი ისაა, რომ „*იუბერდაუბტ*“ — „ყოველითურთ“, ყოველი უმჯობესად მათი, ე. ი. „ყოველის“ (მყოფის), წესებთან შედარებით.

მაღალი ცოდნა რომ პროკუსს აზრით მართლაც მაღალია, ეს მან გამოიტაცა იმით, რომ წინააღმდეგობათაგან (ცვალებადი — უცვლელი) ერთი წამოწია წინ და მეორეზე მაღლა დააყენა. ეს, ცხადია, არ იყო არათუ ნეგატიურის დიალექტიკა, ესე იგი, ნეგაციის საშუალებით მოძრაობაში მოყვანი — ერთისაგან გამოსვლა, მეორეში გადასასვლელად და მომდევნო ერთობლიობის აღსადგენად, არამედ ტრიადაც კი, რომლის შინაგან წყობაში პროკუსს საგანგებოდ არ უძებნია ნეგატიური მომენტი. აქ მთელი მოძრაობა მყოფობისა არ აღმოჩნდა მთელად, როგორც პროკუსის დამთავრებამდე მისული. „უეაში“ და „ყამის შორისი“, მართალია, წინააღმდეგობა და ასეთი არის მყოფობა, წინააღმდეგობად ვაშლილი, მაგრამ მარტო წინააღმდეგობა ხომ არ ქნინდა დიალექტიკურობას, მათი რაღაც სახით ერთობლიობა, ანუ „*ერთობლობა*“ უნდა მიღწეულიყო პლატონმაც კი იყოლა, რომ საზღვარსა და უსასრულოს შორის რაღაც ხალი საფეხური უნდა მიღწეულიყო, თუნდაც იგი ყოველიყო (ნახავი), რომ პროკუსი, როგორც „*მთელი*“ „*ქენ პოლა*“, აღმდგარიყო. საშუქნაროდ, ჰეგელმა მყოფობის ამ დაუმთავრებელ დიალექტიკას არავითარა შინაშენს არ გაუყეთა. პროკუსს მიერ დასატყუებული ადგილის მოყვანის შემდეგ მან გაათავა მასზე მსჯელობა. ოღონდ შემდეგი განცხადებით: „ასეთია მთავარი დებულებანი პროკუსს თვითლოყიხათ“ ².

ესეთია მთავარი განსაზღვრებანი პროკუსს „*თეოლოგიისა*“. ამის შემდეგ ნათქვამია: „*პროკუს*“

¹ ი. პეტრიწი, შრომები, II, გვ. 163, 1937. თბილისი, მ. ნუცუბიძის და ს. ვახუშტაძის გამოცემა.

² ჰეგელი გვ. 92.

¹ ჰეგელი, XI, 3 გვ. 73-რუსული თარგმანი ბ. სტარინსკისა.

ლე არის წვერვალი ნეოლატონიკური ფილოსოფიისა¹.

მატო მის მითითება, რომ ასეთია პროკლეს დასკვნა მყოფობის დიალექტიკის შესახებ, არ აღმოჩნდა საკმარისი. თუ მყოფობა დიალექტიკურია იმ გაგებაში, რომ მასში მხოლოდ წინააღმდეგობაა მიმართება, მისაღოდნელი იყო, რომ ლაბირატი იქნებოდა უფრო მაღალი მომენტზე — წინააღმდეგობათა ერთობათობაზე², მაგრამ იგი აღმოჩნდა წინააღმდეგობათა გარეთ, ლტახებრივ ცოდნაში. ვთქვათ, ღვთაებრივი აქ მაღალ ნიშნავდა, მაგრამ იგი არსებითად არ აღმოჩნდა ასეთი, რადგან „ეპიმის-შორის“ (დროულის) და „უეამის“ (ზედროულის) „ნათხის“ მაგიერად ერთი კომპონენტის უპირატესობა მივიღეთ. აქ მოხდა იგივე, რაზედაც ჰეგელმა უფრო ადრე შეგვიხატა: ყოველს ერთობითად მიყვანა პროკლესაზ ხდება ერთობლობის გარეშე და ამდენად უარყოფითის, ამის წარმოშობის აზრი დაეკარგათ³.

რა მოხდა პროკლეს ნაწერის ამ ადგილს და რატომ შეიქმნა აქ გამოუვალი მდგომარეობა მყოფობის დიალექტიკის ვერდამთავრების გამო, ამას გავიგებთ, თუ გავეხსენებთ ი. პეტრიწის „განმარტების“ იმავე 124-ე თავს.

პროკლე აღნიშნავს, რომ სიტყვები — „განმარტობილი“ ანუ „ღმერთთა შორის“ უნდა გაგებულ იქნეს „ზესთ უმჯობესად“. ეს „ზესთ უმჯობესი“ კი ისაა, რომ „წარმოსდგომია ცნობა და უწყებამ არცა საუკეთესოდა, არცა ეამითად, არამედ ზესთ ამათ ყოველთაზეა ერთობითად“. ამაზე ნათლად ამ შესწორების გაკეთება შეუძლებელი იყო: მაღალი ცოდნა, ღმერთის ან „შორის ღმერთთა“ ცოდნა კი არაა, არამედ „წესი უმჯობესი“, ე. ი. უმაღლესი თვალსაზრისი, რომელსაც ცოდნა მიეღია („წარმოსდგომია ცნობა და უწყებამ“) არც საუკეთესოსა და არც დროულის მათი დაპირისპირებაში, არამედ ზესთ ამათ ყოველთაზეა ერთობითად“, ე. ი. მყოფობის დიალექტიკა არაა ცოდნა მხოლოდ წინააღმდეგობათა, არამედ წინააღმდეგობათა მთლიანობისა, „ერთობითობისა“.

პანთეისტურ მსოფლმხედველობაში, რომელიც მოკცხულია ერთის (ღმერთის) და ყოველის (ქვეყნის) ერთობლობაში, მყოფობის დიალექტიკა ცხადია, ფორმირებულია ი. პეტრიწის გაგებით, როგორც ღვთაებრივი ცოდნა ყოველთა, „მატო ვითარ ღმერთთა და ერთთა და უზადოთა ხატობა მის ზესთა ღმერთისათა და ზესთ ერთისათა“. ესე იგი, ღმერთობრივის ანუ „ზესთ ცოდნის“ უკუფენაა ქვეყანა ანუ „უზადო ხატი“. მაშასადამე, მყოფობა არ ამოიწურება წინააღმდეგობათა დაპირისპირებით, არამედ აღწევს მთლიანობას „ზესთ უმჯობეს უწყებაში“, ე. ი. უმაღლეს ცოდნაში, ხოლო მყოფობა, საბოლო-

ოდ, შეუძლებელი უკუფენაა ანუ „უზადო ხატი მის ღმერთისათა და ზესთ ერთისათა“. ასე გააფორმა პანთეისტური თეზა „უზადო ხატი“ — ღმერთის (ერთის) მიერ უკუფენის ცოდნისა როგორც წინააღმდეგობის ერთეობობისა, რომელშიც მყოფობა, როგორც დიალექტიკური მთლიანობა, ღმერთისა და ერთისა — უზადო უკუფენაა ანუ „უზადო ხატი“. ი. პეტრიწის ამ პანთეისტური აზრების ქართულ პოეზიაში (რუსთაველი) შემოსვლის ეხება შ. ხიდაშელი („ლიტდა ხელოვნ. № 40, 1952, ფილოს. ისტ. „შრომები“ V, 1954).

ჩვენ არ მივყვებით ჰეგელს, როგორც ფილოსოფიის ისტორიკოსს. მაგრამ ჰეგელისათვის, თუნდაც იმავე მყოფობის დიალექტიკის თვალსაზრისით მნიშვნელობა ეძლევა ბერძნული ფილოსოფიის დამთავრებას და მისი ახალი რელიგიის — ქრისტიანობის — ნიადაგზე გადასვლას, რადგან აქ ისმება საკითხი სულის, როგორც კონკრეტობის, შესახებ, ოღონდ აქ „ღმერთი განმარტობულია როგორც კონკრეტული სული“⁴. აქ წამოიჭრა ჰეგელისათვის ისტორიულ გარემოცვაში გაგებული „თეზა“, რომ მხოლოდ კონკრეტული არის ქვეშეაჩივება, ხოლო აბსტრაქტული — არაქვეშეაჩივება.

აქ საინტერესო სიტუაცია იქმნება ჰეგელისათვის: როცა მან ქრისტიანობა კონკრეტულ სულის გამოხატულებად მიიჩნია, მან აღიარა, რომ „ქრისტიანობის იდეას ჩვენ ნეოლატონიზმის საშუალებით სავსებით გვეყვანით“.

ეს შინაგანი დაუსაბუთებლობა ხდებოდა იმტომ, რომ დიალექტიკა ამოდიოდა ერთიდან, რომელიც უარყოფის საშუალებით თავის თავს არკვევდა, ნეგაციით ქმნიდა წინააღმდეგობებს, მაგრამ, როგორც გაბასოლურებულნი, ისინი აქმედებდნენ ერთიმეორეს. „ამაში, — ამბობს ჰეგელი, — იყო მათი დაღუპული ერთი განხილვა, მაგრამ რამდენადაც წინააღმდეგობანი აბსოლუტიურად იყო მიჩნეული, მათი წვერები ერთი მეორეს არარაობად აქცევდნენ“. ეს დიალექტიკა არაა სრული, როგორც ზემოთ დავინახეთ: წინააღმდეგობათა გაბასოლურებებამ მოხსნა მყოფობის დიალექტიკა — წინააღმდეგობის ერთი კომპონენტი მეორეში გაითქვიფა. ეს არ იყო ბოლომდე მოყვანილი, მეთოდური დიალექტიკა, არამედ განაწევრებული, განცალკევებული. ჰეგელმა ეს შეამჩნია.

მაგრამ, ამისგან განსხვავებით, ჰეგელი მიუთითებს ქრისტიანობის იდეას კონკრეტული სულის შესახებ და აცხადებს, რომ ეს იყო საეკლესიო მამების დამახასიათებელი თვისებათ.

ჰეგელი არ იწუხებს თავს საკითხის გამოკვევით — ვინ იყო ის საქრისტიანო მოაზროვნე, რომელმაც მისცა ეთქვა, რომ „ქრისტიანული რელიგიის წარმოქმნა მთაზ-

¹ იქვე, გვ. 93.

² იქვე, გვ. 99.

როგნე შემეცნებაში საეკლესიო მიმდებნა გააკეთეს". არა, ის ამის მიგვიჩინა და აცხადებს, რომ "ამ დამუშავებას ქრისტიანულ პრინციპისას ჩვენ უფრო ახლობლივ არ განვიხილავთ, იგი ეკლესიის ისტორიის ეკლესიისა". ჰეგელმა ისიც კარგად იცის, საეკლესიო მიმდებნა ფილოსოფია, განსაკუთრებით კი ნეოპლატონიკური, ეკლესიაში შეიტანეს" და სხვ. მით უფრო საკვირველია, რომ ჰეგელმა არ მოაქცია ყურადღება ნეოპლატონიზმის მომავალ ბედს სწორედ იმ მომენტში, როდესაც, მისივე თვალსაზრისით, სულერის, როგორც სუბიექტის ცნებით, ჰეგელიანობისათვის უფრო ახლო მდგომარეობაში ქრისტიანობამ გადაიტანა თავის ნიადაგზე ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა, საერთოდ, და კერძოდ, ძირითადი საკითხი მყოფობის დიალექტიკისათვის. ახრთვინების ისტორიის იდეალისტურ-ლოგიკურმა კონცეფციამ შეზღუდა ჰეგელი. პროკლეს სახით ნეოპლატონიზმის უმადლესი საფუძვლის ეთიკაში მიღწევა ფილოსოფიის ნამდვილი ისტორიით კი არ იყო ნაყარნახვევი, არამედ სწორედ ამ იდეალისტურ-ლოგიკური კონცეფციით. ნამდვილი, ფაქტური ისტორია მას გარეგნულ, ზედაპირულ ამბავად მიანდა. როდესაც ბერძნული, წარმართული რელიგიის წიაღში (რელიგიური იდეების საფარველში) შექმნილი ფილოსოფიიდან ჰეგელს დასჭირდა ქრისტიანული ნიადაგზე ანტიკური ფილოსოფიური კულტურის გადატანა, მან განაცხადა: „არაბები და ებრაელები მხოლოდ გარეგნულად, ისტორიულად უნდა აღვნიშნოთ“¹.

ჰეგელი შემეცნად თვალსაზრისზე დადგა იდეალისტურ-ლოგიკური კონცეფციის მეზობელი. ნეოპლატონიკური ფილოსოფიის განვითარებაში პროკლეს მწვერვალად შეფასება უდავოდ შედეგია ჰეგელის იმ იდეალისტურ-ლოგიკური სქემატიზმისა, სადაც მან პროკლე წინამორბედ ნეოპლატონიკოსებს და, საზოგადოდ, ბერძნულ ფილოსოფიას შეადარა. ამის გამო ის ფაქტი, რომ ნეოპლატონიზმი ქრისტიანულ-ნეოპლატონიკოსების მიერ იქნა განვითარებული და წინ წაწეული, ჰეგელმა მხედველობაში არ გაუშვა, თუმცა ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებდა. განა ქრისტიანობამ პროკლეს ფილოსოფია, როგორც ჰეგელი ამბობს, შეიტანა თავის ხმარებაში სრულიად უცვლელად იმის გამო რომ, პროკლე თითქმის მწვერვალზე იყო ნეოპლატონიკური ფილოსოფიისა? რა თქმა უნდა, არა, და ჰეგელს არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ნეოპლატონიზმი (სწორედ პროკლეს) გადაშენებული და შეფასებული იქნა ქრისტიანობის მიერ უკვე პროკლეს დროიდან და მისი სივრცის უმაღლესი ჰეგელმა ხომ თვითონ აღნიშნა ძირითადი ნაკლი პროკლეს ფილოსოფიისა: რომ მისმა დიალექტიკამ ვერ შეძლო მისივე მიღწევების დამტკიცება, რომ ამ მტკიცებას

აკლდა შინაგანი აუცილებლობა, რომ მისი დიალექტიკა მყოფობის საკითხში ვერ წავიდა წინააღმდეგობა მხოლოდ დაძირისპირების იქით და წინააღმდეგობის კომპონენტის „სხალ-სტერ-რად შეფასებამ მოხსნა ნეგატივის — *ნათქმის* მყოფობის დიალექტიკაში და ეს დიალექტიკა გამოვიდა უსრულო, არამეთოდური და გამოუალკევებელი — ფერეინცელტ“. უფრო ადრე ჰეგელმა აღნიშნა, რომ პროკლემ შეამჩნია მყოფობის დიალექტიკაში ნეგატივის პოზიტიური მნიშვნელობა, მაგრამ ლმერტის ცნებაზე ნეგატივის მიყენება ვერ გაბედა და ლმერტის — უთქმელობა“ აღიარა, ლმერტისა, რომელიც უსასრულოდ თავის ირგვლივ ტრიალებდა. მაშასადამე, ნეგატიური თეოლოგიის განვითარება, რომელსაც პოზიტიური შედეგები უნდა მოეცა მყოფობის დიალექტიკისათვისაც, პროკლემ ვერ მოახერხა.

ახლა გასაგებია, რატომ მოვიყვანეთ ზემოთ ი. პეტრიწის კომენტარი პროკლეს „კაეშიონის“ 124 თავისა. ეს თავი მოპყავს ჰეგელსაც თავისი შენიშვნის დასაყრდენად. ნათელია, რომ პეტრიწის კომენტარი ასწორებს და აცხადებს პროკლეს ტექსტის ნაქს. ა. პეტრიწმა 124-ე თავის კომენტარში სამი რამ აღნიშნა: 1) მყოფობის წინააღმდეგობათა ლმერტებრივად უწყება (კლდე) გაიგე „ზეთ უზრუნველად“; 2) წინააღმდეგობა მყოფობისა არ გაიგო აბსოლუტურად: „არც საუკუნითად და არც ეამითად, არამედ ზესთა ამათ ყოვლთასა ერთბითად“; 3) მყოფობის მთლიანი (მთლიური) და ცალ-ცალკე (ჰეგელის ფერეინცელტ) დიალექტიკა გაგებელი უნდა იქნეს „ეითარ ლმერტითა და ერთთა“, და რადგან ლმერტა (ერთი პირველი) და ქვეყანა იგივეა („რომელ პირველ, შემდგომთა პირველ“) ¹. ამიტომ ყოველივე არის „უზღო ხატი მის ზესთ ერთისათა და ზესთ ლმერტისათა“. აზრად, აქ, ი. პეტრიწთან, მყოფობის დიალექტიკა მთლიური და მთლიანია, ნეგატივის საშუალებით გაშლილი, „არც საუკუნითად“, არც „ეამითა“ რომელიც უმაღლესა ერთის (ლმერტის) ცნებასაც მოიცავს და ლმერტისა და ქვეყნის პანთეისტური თეზისის ნიადაგზე უმაღლესი დიალექტიკა იმავე დროს მყოფობის დიალექტიკაცაა, როგორც მისი „უზღო ხატი“ ე. ა. უკუყენა შეუცდარი.

ა. პეტრიწის თეზისი მოგვიანო დროს ეკუთვნის, მაგრამ ის თავის აზრებს მყარებს იმ კაცის ნაზრებს, რომელმაც, ქრისტიანობის ნიადაგზე მდგომარეობა, უშუალოდ მიიღო პროკლეს ფილოსოფიური მემკვიდრეობა, თავისი თანამშრომლის — პროკლეს საშუალო მეგობრის (როგორც ეს დაადგინა დღეს დასავლეთის მეცნიერებამ) იოანე ლაზის — ფერეინცელტის — განმარტებით. აღვნიშნავ, პროკლეს ფილოსოფიის განვითარება ისტორიული ფაქტია, რომ აღვნიშნავ

¹ ა. პეტრიწი, შრომები, II, გვ. 219.

² გ. პონიგვანი, „პეტრე იბერის თხზულებანი“.

¹ იქვე, გვ. 99.

არეოპაგიტის ფუძემდებელმა პროკლეს დებულებები—ნეგაციის გამოყენებისა ლმერთის (პირველის, ერთის) მიმართ განსაზღვრა, ამის ნადავზე მყოფობის დიალექტიკის წინააღმდეგობათა სტადიაზე შეჩერება გადალახა და მყოფობის დიალექტიკა „მეთოდური“ გახადა.

ჰეგელმა უთუოდ იცოდა არეოპაგიტის ძირითადი დებულებანი: რომ ნეგაცია არის, გზა, რომლითაც მყოფობა ლმერთამდე ამაღლება და აღმაინი ღვთაებრივი უზესათესობას ეწიარება. მას არ შეეძლო არ სკოდნოდა, რომ პროკლეს მიერ პლატონის ფილოსოფიის გააზრებისათვის გამოყენებული უარყოფა (ნეგაცია) პრეოპაგიტის შემქმნელმა დასაყრდენად გამოაცხადა და მასზე ააგო თეოლოგიის ორ სახედ გაყოფა: დაღებით თეოლოგიად და უარყოფით თეოლოგიად, რომ ეს ორი გზა არსებითად ერთი მთლიანი, საფეხურებრივი ჰეგელის განლაგებულ განვითარების გზა იყო. რამდენადაც ნეგატიურ თეოლოგიაში უარყოფითი განსაზღვრულის მოხსნაცა და უსარსებლობის განმარტოებელი, იმდენად, ნეგაცია გზა განვითარების, მოძრაობისა და ლმერთთან ამის მიხედვით სწორედ მას მივყავართ. აქ გადალახა არეოპაგიტის შემქმნელმა ის განსაზღვრულობა, რომელშიც პროკლეს ხელი შეუწავლა, ვაგონ ნეგაცია, როგორც მყოფობის დიალექტიკური უსასრულობის თავმღები. ამ გზით მივიდა არეოპაგიტის შემქმნელი ლმერთის, როგორც არაჩსებულის, როგორც ნეგატიურის აღიარებამდე. ლმერთის მყოფობა მოიხსნა იმისათვის, რომ ნეგატიურად განმარტოებულიყო. აქ ის მომხატვრა. სადაც პირველი უსაზღვრობა და პირველი საზღვრის ერთობიარეს ემთხვევიან. ეს დასკვნები მიღებულია არეოპაგიტის საფუძვლემდებლის მიერ თავის ობზერვაციაში „საიდუმლო ლმერთისმეტყველებითისათვის“.¹

აქ ნათელია, რომ ლმერთის ცნება, ისევე როგორც მყოფობისა, რომელიც მისი ხატია, არ უფრობის ნეგატიურობის მიყენების, ამ საფეხურზე არეოპაგიტული ლმერთი ისევე — უცნაურა“ და „უთქმელია“, როგორც პროკლესი, მაგრამ ეს უთქმელობა, როგორც ჰეგელმა შენიშნა პროკლეს, არ „ტრიალებს თავისი თავის ირგვლივ“, არამედ ნეგაციის ნეგაციით ისევე ქვეით ჩაიშობის საფეხურებით და აღწევს პირველ საზღვრასა და პირველ უსაზღვრობას. აქ ისმის პლატონის ლმერთის ცნება, როგორც საზღვრისა, მაგრამ არეოპაგიტისათვის, პლატონიდან განსხვავებით, მას აზრი ეძლევა პირველის საზღვრის და პირველი უსაზღვრობის მთლიანობაში. დასავლეთის ფილოსოფიაში არეოპაგიტის ატერის ნადავზე მდგარმა იოანე სკოტ ერიუგენამ უკუფინა პეტრე იბერის ეს თეზისი და

იგი შემდგენიარად გამოხატა: „ღმერთმა არ იცის თავის შესახებ, როგორია მისი მყოფობა, რადგან იგი არ არის მყოფობა“, მაგრამ ლმერთის, როგორც ყოველგვარი მყოფობის, მოხსნადან გზა მისი ნამდვილ მყოფობისაკენ, სადაც პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვრო ერთობითებაში მოდიან. თუ ეს მომენტო საყვებით ნათლად არ ჩანს პროკლეს პირველ დამმუშავებელთან — პეტრე იბერთან — ნეგატიური თეოლოგიის ბუნდოვან ენაზე, იგი უფრო ნათელია პროკლეს წიგნის ქართულად მეორე გადმოშვებულის, ი. პეტრიწის, „განმარტებში“.


ყოველნი ლმერთებრივი ერთნი და მზოლნი რომელნიმე საზღვრის გუარ არიან, ზოლო რომელნიმე უსაზღვროის გუარ“. ამ წინააღმდეგობათა ზემოთ — თვით იგი უთვთოა თვით ერთი მყოფობისაკე და არამყოფობისაკე სწორებით ზესთ დაუშობის“ ესე იგი, ეს არის ის საფეხური მყოფობისა, რომელიც გულგროლია ყოფნა არყოფნისადაში, მაგრამ აქ არც ნამდვილყოფი მიიღებენ. ნამდვილ მყოფი არაა ამოსავალი, არამედ არმყოფობა, მყოფობის ნეგაცია, მოხსნა, და აქედან „არმყოფობის დამართებით“, ე. ი. არმყოფობიდან მყოფობისაკენ გადასვლით, მიიღება ნამდვილყოფი,“ რამეთუ, — განაგრძობს ი. პეტრიწი, — არმყოფობისა დამართებითი მყოფი არს პირველი, ესე იგი, არს ნამდვილყოფი“. აქედან ნათელია, რომ თუ არმყოფი არის ამოსავალი ნამდვილყოფისა, მაშინ არ შეიძლება, რომ უმაღლეს ანუ ზესთად ერთს რაიმე წინამძღვარი ანუ „წინამყო“ ჰქონდეს და მაშინ გამოდის, რომ უმაღლესი ერთი (ანუ ლმერთი) შეიცავს, როგორც ნამდვილ მყოფის ამოსავლს, არმყოფს. ამის გამო ამბობს ი. პეტრიწი, პეტრე იბერის ნადავზე მდგარი: „ზოლო ზესთად ერთთი არს იქონებს წინამყოლ თვისსა, რამეთუ ვერცა არმყოფი, ვითარ არ მყოფი, განვილთს საყრველთა ერთობისათა“, ე. ი. უმაღლესი ერთი, როგორც ნამდვილყოფი შეიცავს არამყოფს, როგორც ნამდვილყოფის მყოფიადობის მომასწავებელს ანუ „არმყოფობის დამართებითით ერთსა და ნამდვილ მყოფს“.²

აქ ვათავებთ ზვენი პრობლემის წინამწარ კვლევას. ჰეგელი არ იყო მართალი, როდესაც ნეგაციისაგან მოხსნის, საერთოდ, და მყოფობის დიალექტიკაშიც, კერძოდ, მწვერვალად ჩათვალა პროკლე, რომელიც, როგორც ვხედავთ, გადაამუშავა ქრისტიანული კულტურის ნადავზე ანტიკურობის შემკვიდრებ ფილოსოფიაში — პეტრე იბერში. ამ უკანასკნელმა ეს შედეგ შემდგომ ფილოსოფიურ ვენერაციებს გადასცა აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

¹ იოანე სკოტ ერიუგენა, „განყოფითათვის ბუნებისა“.

² ი. პეტრიწი, შრომები, II, თავი 139.

¹ პეტრე იბერი, საიდუმლო ლმერთისმეტყველებითისათვის, თავი 1, 3.



ბიოგრაფიული



ქართული ხალხური ბადაღა „ვეფხვი და მოყმე“

ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთ მშვენიერეს შედევრს ბადაღები. ისეთ ბადაღებში, როგორც არის „ია შიანდია“, „თოფთარაგენელი ჭაბუკი“, „ვეფხვი და მოყმე“, „შემომეყარა ვიჩაღი“, „ჯარაჯო“ და „მრავალი სხვა, გამოსახულია ქართული ხალხის ცხოვრება, აღსაყვებელია და ვაყვაცობით, ქალისადმი ფაქიზი და მტკიცე სიყვარულით, სამშობლოსა და თავისი ხალხისადმი ერთგულებით. ასეთ ნაწარმოებთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ვეფხვისა და მოყმის“ ბადაღს.

ეს ბადაღა არა მარტო ქართული ხალხური შემოქმედების შედევრია, მკვლევარები მას თვლიან ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად მსოფლიო ხალხურ სიტყვიერებაში. როგორც საუკეთესო ხალხურმა ნაწარმოებმა, მან ზეპირი გადაცემის გზით გავრცელება პოეზიისა და სხვადასხვა კუთხეში და შეიქმნა მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტი მე-19 საუკუნის 90-იან წლებში და შემდეგ კი ეს ბადაღი მრავალჯერ გამოქვეყნდა სხვადასხვა ვარიანტის სახით.

ამ ნაწარმოების ჩაწერა-გამოქვეყნებისა და შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკად. ა. შანიძეს, რომელმაც 1931 წელს „ქართული ხალხური პოეზიის“ პირველ ტომში დაბეჭდა ამ ბადაღის თხუთმეტამდის ვარიანტი და დაურთო მებრუნ საუკრებლო შენიშვნები, სადაც მოკლულია ძირითადი ცნობები ამ ნაწარმოების შესახებ. ა. შანიძე ამ ბადაღს თვლას ძველ ზეესტრულ „სიმღერად“, რომლის ბეგის ღებრად დროთა განმავლობაში დაიკარგა, ხოლო ბეგის რამ ჩამატებული და გადაკეთებულ იქნა ახალი მეღვესებების მიერ.

როგორც ცნობილია, ბადაღა შექმნილია ვეფხვისა და ვაყვაცის ბრძოლის თემაზე. იბადება კითხვა: რაღაღერ საფუძველზე შეიქმნა ეს ნაწარმოები თუ იგი ფანტაზიის ნაყოფია?

ვეფხვი რომ გავრცელებული ყოფილა საქართველოში და შესაძლებელია ღებრად იღწერილა ამათი ნაშედეგად მომხდარიყოს, ამის დადასტურებას ვაძულობთ ძველ გადმოცემებში, ხალხურ სიტყვიერებასა და სხვა რეალურ ფაქტებში.

1) გავიხსენოთ ცნობილი ხალხური ღებრა „შვიდნი ძმანი და იმათი ბიძა“:

„ჩვენ, შვიდთა ძმათა თვარელთა, მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა შევლთავე ვესროლეთ შედ-შვიდი, ვეფხვს ერთიც არ მავიკიდა. ბერმა ესრია ბიძამა, ყათა ჩამავიკიდა“ და ა. შ. (ა. შანიძე, ხალხური პოეზია გვ. 207).

2) ძველ სევანებს ვეფხვის მოკლე დაუშვებლად მიაჩნდათ, ხოლო თუ ეს მოხდებოდა, უნდა შეესრულებინათ ვეფხვისათვის მიძღვნილი დატირება. რამდენი ხოლო ჰქონდა ვეფხვის ტყავს, იმდენაირი დატირება უნდა თქმულიყო. (იხ. ლიტ. ძიებანი, ტ. 8. დოკ. ვლ. ვირსალაძე, ზემო სევანეთში ფოლკლორული მივლინების მოკლე ანგარიში). ასეთი წესის შემოღება და დამკვიდრება ადისტურებს, რომ ვეფხვის მოკლე ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა თაობათა მანძილზე. მოკლე ვეფხვის დატირებაში აშკარად ჩანს ტრადიციის ნაშთები.

3) ტრადიციისტი რწმუნის ძლიერი კვალი ჩანს ზეესტრუთა ყოფა-ცხოვრების ამბებშიაც. ვეფხვის მოკლის შემთხვევა ხშირი მოვლენა ყოფილა ზეესტრუთში და უძველესი დროიდან წესად დაღვინდა, რომ ვისაც ვეფხვი შემოაკედებოდა, საკუთარი პერანგი უნდა ჩაცემია ნადირისათვის და ისე დაემარხა.

4) ვეფხვის არსებობისა და მისი მოკლის შესახებ ზეესტრუთში მრავალი გადმოცემა არსებობს. აქაი შანიძეს ზეესტრუთში, სოფელ ბარისახოში, 1911 წელს ჩაუწერია ერთი ასეთი გადმოცემა ამის შესახებ, რომ ვინმე შველა ყურაულისძის ხმით მოუვლავს ვეფხვი (იხ. ხალხური პოეზია, გვ. 565). შესაძლებელია, გვფიქროს, რომ ვეფხვისა და შველა ყურაულისძის ბრძოლის შესახებ თქმულებას კავშირი ჰქონდეს ვეფხვისა და მოყმის ბადაღსთან. მაგრამ ეს საუკუთა, რადგან მომხდარ ფაქტს მეღვესე არ შეუძლიდა და არ გადააკეთებდა: ბადაღის ყველა ვარიანტის მიხედვით ვეფხვთან მებრძოლი ხომ მონადირეა, ამ თქმულებაში კი ასეთი რამ არ არის. უფრო სარწმუნო იქნება, თუ ვიტყვი, რომ ბადაღს საფუძვლად დაედო სხვა რაიმე შემთხვევა, რომელმაც ჩვენამდე გადმოცემის გზით ვერ მოაღწია, და ამის შესახებ ახლა მხოლოდ ბადაღიდან ვიცით.

ბალადის ყველაზე პოპულარული ვარიანტის ვერსია, არსებობენ სხვა ვარიანტები, რომლებიც შედარებით მცირე მოცულობისაა და გადმოგვიცემენ მხოლოდ ვეფხვისა და მონადირის ბრძოლისა და მათი დაღუპვის ამბავს. ჩვენს ხელის არსებული 22 ვარიანტიდან მხოლოდ 9 ვარიანტი არის ვრცელი, დანარჩენი ვარიანტები კი ფრაგმენტულია. ცხადად ჩანს, რომ ბალადა თავიდან მცირე მოცულობისა უფოლია, ხოლო შემდგომ მრავალჯონის გავრცობისა და გადაცემების შედეგად მივიღეთ ის ვრცელი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტები, რომლებიც ამჟამად არსებობს.

ბალადის ამჟამად არსებული ყველა ვარიანტი იმდენად შეცვლილი და გადაკეთებულია, რომ ვერც ერთ მათგანს ვერ მივიჩნევთ პირველდელ ტექსტად. ე. ი. იმ ნაწარმოებად, რომელიც ბალადის პირველმა ავტორმა შექმნა. ჩვენ ვცადეთ დავედგინა ბალადის პირველდელი ტექსტი, სხვადასხვა ვარიანტის იმ ნაწილებიდან, რომლებიც საერთოა ბევრი მათგანისათვის:

მეგამ თუ ამას პარობითად მივიჩნევთ ბალადის პირველდელ ტექსტად. ისმება კიბხე-როდის ან ვის მიერ შეიქმნა ნალოისს შეიორე ნაწილი, დედის გლოვა, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული პირველ ნაწილისა და ეს ნაწილები დღეს ერთმანეთის გარეშე ვერ წარმოვიდგინა?

მოხუც ხევსურს უნცრუა ჯაბუშანურს, ვისგანაც აყად. ა. შანიძემ ბალადის ერთი ვარიანტი ჩაიწერა, უთქვამს, რომ ბალადის მეორე ნაწილი მთლად ახლად შექმნილია და იგი გიორგი უთურგას-ძე ჯაბუშანურს ეკუთვნის; გიორგი ჯაბუშანურის მიერ ჩამატებული უფოლია ზოგი რამ პირველ ნაწილშიც. ამ საკითხის შესახებ ჩვენ მნიშვნელოვანი ცნობები გადმოგვცა ხალხურმა მელექსემ ბესარიონ გაბურამ. მან დაადასტურა უნცრუა ჯაბუშანურის ცნობა იმის შესახებ, რომ წინათ არსებობდა ვეფხვისა და მოყმის ბალადის მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც თავდებოდა ვეფხვისა და მონადირის სიკვდილით, ხოლო მეორე ნაწილი შექმნა ხალხურმა მთქმელმა გიორგი ჯაბუშანურმა. გაბურას სიტყვით, გიორგი ჯაბუშანური უფოლია ნიჭიერი ხალხური მელექსე, გარდაიხველა დაამლოებით 15 წლის წინათ. როგორც ბ. გაბურა ამბობს, გიორგი ჯაბუშანურმა ეს ბალადა გაავრცო იმის შემდეგ, რაც აყად. ა. შანიძემ პირველად იმოგზაურა ხევსურეთში; ეს კი მოხდა 1911 წელს. ხოლო 1924 წელს ჩ. შარაშიძეს და 1925 წელს აყად. ა. შანიძეს უცვლად ჩაუწერიათ ბალადის გავრცობილი ვარიანტები. მაშასადამე, ბალადის გავრცობის თარიღი თავსდება 1911 — 1924 წლებს შორის.

აზრი, რომ ბალადის გავრცობა ეკუთვნის ხალხურ მელექსეს გიორგი ჯაბუშანურს, სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ის პირნი, რომელნიც ამ ცნობას გვაწვდიან, ახლოს იჯობდნენ ამ პიროვნებას, როგორც თანამედროვესა და თანასოფელელს.

როდის არის შექმნილი ეს ბალადა? ჩვენ მიერ შესწავლილი ვარიანტების უმრავლესობაში გვხვდება სიტყვა „თოფი“ და თოფის გამოყენების ფაქტი: მონადირე ჯიხვის ქლავს თოფით (ჯიხვისა თოფ დაეგზარა ბეკენსა). მაშასადამე ბალადაში აღწერილი ამბავი უნდა მომხდარიყო შედარებით გვიან, თოფის გამოყენებისა და მისი სავარაუდოდ და ეკრძოდ ხევსურეთში გავრცელების შემდეგ და თითქმის ბალადაც ამის შემდეგ უნდა იყოს შექმნილი. მეგრამ ბალადის ბოლომდე წაკითხვამდის უცვლად წინააღმდეგობაში ვვარდებით.

ჯერ ერთი, — მონადირეს ვეფხვთან შებრძოლება ხმლით უხდება. თუკი მის თოფი ჰქონდა, რატომ ხმლის მეფერ ის არ იხმარა? მეორე, — ბალადაში ნახსენები არის მშვილდისა და მოყმე ნაჭრის, მის დედას უთხრის ვინმემ, რომ „ერთოდ არ დაიხარჯნეს მისი შვილის ისარანი“. თოფი და მშვილდისარა სხვადასხვა ეპოქის

მოყმემ თქვა პირშიშველამ: შინ გავიარენ
კლდისანი,
მოვინადირენ, დაკლავენ ბილიგნი ჭიუხისანი,
შამამხედეს კილდის თავხედა ზორანი
ჯიხეებისანი,
მშვილდ დაგზარა ჯიხესა ბეკენსა, ქალას ჯახს
იქნეს რქისანი
ზედ ბნელი ღამე დახედა, გზან ვერ გავიდენ
კლდისანი,
შავლვარდი ვეფხვისა ნაწოლსა, დრონ იყენეს
შულამისანი,
ვეფხვი სიომარდ მეტია, თვალნი მარისხნა
ხთისანი,
გაზით გამართენა კალთანი ჯაქვისანი,
ჯაქვანისანი.
ქნევას მავღალენ მავანი, ვდან დაეკითონ
ხმლისანი.
ნელ-ნელს გაქრა ფრანგულმა, დრონ იყენეს
წაკეეისანი.
ვეფხვი კლდეთ გადაიკიდა, ჩამაწიონა ქვიშანი,
თაოდ კლდის თავზე შამაწევე მიიკ
სულამდინარი.
ვლიან სულთ ამასელასა დარბლიან კლდისანი,
ჩამათულებს ღამობენ ყვარანი შავის თბისანი.
ვინ ეტყვის ჩემსა დედასა, — კარს უსტენ
ქაღაც — მისანნი, —
„ერთოდ არ დაიხარჯნეს შენის იუხაზის
ისარანი“
დათა-ღ ვინ გამოგებეთ, ნაქან დიჭირან
თმისანი,
ნულარ გამაქვენ სწორშია მგელოვიარანი
ძმისანი.
დაძივან ჩემმა სწორებმა იწორნ ყურენი
კლდისანი,
•ქნება კიდეც დახელნან ნავლავნი
ყაწმისანი.

იარაღები და ერთი პიროვნების მიერ მათი ერთდროულად ხმარება ყოველად შეუსაბამოა. მაგრამ ეს წინააღმდეგობა სრულად გასაგები ხდება, როდესაც ვეცნობით ბალადის ერთ ვარიანტს, რომელიც ჩაწერილია თელ რაზიკა-შვილის მიერ და გამოქვეყნებულია აკად. ა. შანიძის მიერ („ხალხური პოეზია“, 1, გვ. 560, ე. ა. ვარიანტში თოფის ადგილზე მშვილდი იხსენიება და ასე იკითხება: „მშვილდ დეკარ ჯიხვსა ბეყენსა, ჭილას ჯახს იქნეს ჩქისანი“. აქ მშვილდი შემთხვევითი მოვლენა არ არის და იგი შემთხვევით არაა შეტანილი ნაწარმოებში. თუ ვაითვალისწინებთ ნაწარმოებში არსებულ წინააღმდეგობას, რაც მასში თოფის შეტანით აქმნება, სრული რწმენით უნდა ვთქვათ, რომ ამ ნაწარმოების შექმნისას იხივის მოსაკლავ იარაღად დასახელებული იყო მშვილდ-ისარი და არა თოფი.

მე მ რატომ არის, რომ დღეს ბალადის ვარიანტების უმრავლესობაში თოფია დასახელებული და მშვილდ-ისარი კი მხოლოდ ერთ ვარიანტად შემორჩა? ხალხური ნაწარმოებთ დროთა განმავლობაში სახეს იცვლის; იცვლება მისი ლექსიკა, მორალურ-იდეოლოგიური მხარე, ნაწარმოებიდან ამოვარდება მოძველებული ნივთებისა და იარაღების სახელები და მათ ადგილს იკავებს თანამედროვე ცხოვრებაში ხმარებული საგნები, იარაღები და სხვა.

ასე დავიხარტა ამ ბალადსაც. თოფში, როგორც რაქტიულ ცხოვრებაში შეცვალა მშვილდ-ისარი, ასევე ნაწარმოებიდანაც გამოდევნა ეს მოძველებული საგანი და მისი ადგილი დაიკავა. ეტყობა, ბალადში მშვილდი უფრო დასახელებული და არა თოფი. ამას ის გააუმჯობესებს ახსენებებს, რომ თოფი ძალიან „მთკვრებლად“ მოჩანს და, როგორც ვნახეთ, აზრობრივად ეწინააღმდეგება ნაწარმოებში არსებულ სხვა ელემენტებს. სწორედ ეს, სანადირო იარაღად მშვილდ-ისარის გამოყენების ფაქტ, მიგვიბრუნებს ნაწარმოების შექმნის დროზე. თოფი საქართველოში შემოდის მე-16 საუკუნიდან (ყოველ შემთხვევაში, არა გვიანეს ცნობები ამაზე ადრე საქართველოში თოფის არსებობის შესახებ) და მე-17 საუკუნეში ისე გრცელდება და გვიდრდება, რომ სრულიად დევნის მშვილდ-ისარს სამოქმედო ასპარეზიდან. საქართველოში თოფის გავრცელების შესახებ, ლიტერატურულ წყაროებს (თეიმურაზ 11, სულხან-საბა ორბელიანი, არჩილი) რომ თავი დაეხეობოთ, აკად. ივანე ჯავახიშვილი შემდეგს წერს: „მე-16 საუკუნიდან მოყოლებული იარაღების ისტორიაში საყოველთაოდ დიდი ცვლილება მოხდა. ხმარებაში შემოვიდა ცეცხლის მტრქვეყი იარაღები ისეთი ხასიათისა, რომლებსაც ჩვენში ვერ შეხედუბოდი.

თოფი მე-17, მე-18 საუკუნეებიდან მოყოლებული საქართველოშიც მზადდებოდა, მაგრამ

საუკეთესო ლელები უცხოეთიდან შემოქმედდნო“.

ამით შეიძლება დაედიგინოს ბრძოლა მხარე-ბრძოლის დროს. იგივე შექმნილია მე-17 საუკუნეში, ან ამაზე ადრე, რადგანაც მე-17 საუკუნის შემდეგ მშვილდ-ისარი ხმარებაში აღარ იყო და ამის გამო აღწერილ ამბავს და მის შესახებ ნაწარმოების შექმნასაც აღარ ექნებოდა ადგილი.

ვეფხვისა და მოფის ბალადის ენას თუმცა დიდი ცვლილებები განუცდია და მის ბევრ ვარიანტში ძველი, გაუგებარი სიტყვები ახლით არის შეცვლილი, მისი ლექსიკური შედგენილება მაინც მნიშვნელოვან მისაღის იძლევა ბალადის შექმნის დროის გათვალისწინებისათვის. ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორც არის „აფხაზი“, „მეკობარი“, „ნახლობანი“ და სხვ. დღეს ხეცურეთშიც კი ბევრმა არ იცის და მათი მნიშვნელობისა და ეტიმოლოგიური მნიშვნის დადგენა მხოლოდ ღრმა მოხუცების მრავალგზის გამოკითხვით შეეძლება.

სიტყვა „აფხაზის“ შესახებ ვეფხვნიდან, რომ ის იაქოლიანი და სიყოლიის გამოსახატავად არისო ნათქვამი და მის სინონიმებად ასახელებულ სიტყვებს: „მგელგაზანს“, „ვეფხომას“. სხვათა შორის, ასე განიშორება ეს სიტყვა ბ. გაბურამი: რომ ვიტყვი, „აფხაზი ვაშკაციო“, ამ მნიშვნელობით ნახშირი არისო. ეს სიტყვა თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით უნდა უკავშირდებოდეს იმ აფხაზებს, რომელიც არსებობდა მე-8-9 საუკუნეებში. ამ ეპოქაში მთელი დასავლეთი საქართველო, გადაკობული ჯიქეთიდან ქართლამდის და ჩრდილოეთ კავკასიიდან, აღანებიდან, ჯავახეთამდის, ერთი ხელისუფლების ქვეშ ერთიანდებოდა და იწოდებოდა აფხაზთა სამეფოდ: იგი საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ერთეული იყო. და ხშირად უცხოეთის ქვეყნებში მთელ საქართველოს აფხაზეთის სახელით იხსენიებდნენ (მაგალითად, ფარ-ედდინ გორგანელი, ნინამი განჯელი, ზაქარია).

როგორც ვხედავთ, სიტყვა „აფხაზის“ მიერ ვაკეციის სამამაკო ზნის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მიღება ეუთვნის მე-9—10 საუკუნეების ეპოქას. არქელად ელერს აგრეთვე ბალადში ნახშირი სიტყვები: „ბაკენი“, „მეკობარი“, „ნახლობანი“ და სხვა.

სიტყვათა არქელი ფორმა, რომელიც ძალიან დაშორებულია თანამედროვე ცოცხალი დიალექტისაგან, მიგვიბრუნებს ამ ბალადის ადრეულ წარმოშობაზე.

აქ განხილულ ფაქტებს მივყავართ შემდეგ დასკვნამდის:

1 საქართველოს სახელმწიფო. მეზ., ი. ჯავახიშვილის ფონდი B № 8, „მატერიალური კულტურის ისტ. მასალები, იარაღი საქართველოში“.

ქართული ხალხური ბალადა „ვეფხვი და მოყმე“ თავისი პირველდელი სახით შექმნილია შუა საუკუნეებში, მშვილდოსნობის ეპოქაში. მისი შექმნა ეკუთვნის დროს არა უადრეს მე-9 საუკუნისა, როდესაც სიტყვა „ფხვს“ შეიძლება მივიღო ზემოაღნიშნული მნიშვნელობა, და არა უგვიანეს მე-17 საუკუნისა, როდესაც მშვილდოსნობის აღმართვებამ და...

დროთა განმავლობაში ბალადამ განიცადა მნიშვნელოვანი შეცვლა-გადაკეთება, რის საფუძველზეც შეიქმნა მისი მრავალი ვარიანტი. ყველაზე არსებითი ცვლილება ამ ნაწარმოებში განიცადა მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც იგი მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაიკარა ხალხურმა მელექსემ გიორგი ჯაბუჭანიძემ.

ძველი და ახალი ნაწილები ბალადისა ახლა გამოლიანებულია ერთიანი მტიციე იდენტით და საერთო რაინდული სულით და წარმოადგენს ხალხის კოლექტიური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშს.

შაინც რით მოიპოვა ამ ბალადამ ასეთი დიდი მნიშვნელობა და აღიარება? რაშია ის ძალა, რომლითაც შორეულ წარსულში შექმნილმა ნაწარმოებმა თაობიდან თაობაზე ზეპირი გადაცემის გზით ჩვენამდე მიადგინა და იქცა ხელი-ხელ საგოგამანებ მარგალიტად?

მნიშვნელოვანია ამ ნაწარმოებში, რითაც ის ასეთი პოპულარული გახდა, არის ნაწარმოების იდეური და მორალური სიძლიერე, მისი პერსონალური სული და ყოველივე ამის უადრესად მხატვრულად, ძლიერა პოეტური ფორმებით გამოხატვა.

ძლიერი პერსონაჟი. აღმანიის სულია და ნებასყოფის უდიდესი სიმტკიცე, ჭირის შიგან მამაცობა, მოწინააღმდეგის ძლიერ და სიკვდილის უშიშრად და უშფოთვლად შეხვედრა — ყოველივე ეს აღმანიის იტაკებდა, აღფრთოვანებდა და ახალ ძალას მატებდა ბრძოლისა და თავგანწირვისათვის. ამიტომ არ დაანება ხალხმა ეს გმირული პანგი დღევანდელს და საუკუნეთა მანძილზე შთამომავლობას გადმოსცა, როგორც უძვირფასესი განძი.

ვაკაცოს რაინდული სახის გარდა, ამ ნაწარმოებში გვაქვს მეორე, გმირული და ძლიერი, რაინდული და ჰუმანიტარული შარავანდედით მოსალო სახე დედისა, რომლის მსგავსი ხალხურ შემოქმედებანსა და ლიტერატურას იშვიათად თუ შეუქმნია.

იდეურ-მორალური სიმაღლისა და საგმირო მოტივის სიძლიერის გარდა, ნაწარმოების უდიდეს ღირსეულ შეადგენს მისი მალაზმხატვრობა. მოკლე და მკვეთრი თბარობა, ლაგონური, მაგრამ მრავალმეტყველი ფრაზები, ლექსის უაღრესად დახვეწილობა, პოეტური სახეების სიუბევე — ყოველივე ეს ბალადის ძლიერსა და მიშვიდეულს ხდის. რად ღირს თუნდაც მობედნილად დახატული ნაღბობის სურათი:

მოყმემ თქვა პირშიშველამა: შენ გავიარენ
მეწიქლდინანთ,
მოვინადირენ, დაკავენ ბიჭვინდ,
მეწიქლდინანთ,
შამამხედეს კილდის თავზედა ხორონი
ჯიხვებისანი,
მშვილდ დაეხეარ ჯიხვსა ბეყენსა,
კალას ჯაბხ
იქნეს რქისანი.

მთელი ეპიზოდია ჩატეული უკანასკნელ ტიპში: მოყმემ ისარი ვსროლა ჯიხვს და... კილდში გაისმა კლდეზე დანარცხებული რქის ხმა. მკითხველისათვის ნათელი ხდება, თუ როგორ მოწყდა ადგილიდან ისრით განგმირული ჯიხვი.

შეიძლებაოდა პარალელები მოგვეძებნა ამ ბალადისა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის. „ვეფხისტყაოსანის“ გმირებს ხშირად უხდებოდათ ლომ-ვეფხვებთან ბრძოლა, ხოლო ტარიელი ვეფხვის ტიპითაც კი არის შემოსილი. რუსთაველის გმირებისათვის ვეფხვებისა და ლომების ხოცვა ჩვეულებრივი და იოლი საქმეა და ისეთი ცალკეული ფაქტის კოდნა, როგორც ვეფხვისა და მოყმის ბრძოლის ამბავია, მის გენიალურ პოემას არაფერს შემატებდა, ასევე არც ხალხურ მელექსეს დასპირდებოდა „ვეფხისტყაოსანიდან“ რაიმეს სესხება, რადგანაც მას ხელთ ჰქონდა რეალურად მომხდარი ის ფაქტ რომელიც მან გალექსა. პირველ მიზეზი ჩიქოვანის სიტყვებით რომ ეთქვას, „პოეტური წარმოსახვაში რუსთაველი და ხალხი ერთმანეთს ეჯაბრებინან; ორივენი სხვადასხვა მასალო მხატვრული ოსტატობის განუმეორებელ სიმაღლეს აღწევენ“.

პარალელების გაელება შეიძლება აგრეთვე რთი ელასიკოსების; ლერმონტოვის პოემასთან „მწირი“ და მაქსიმ გოგკის ზღაპართან დედაზე (ამ უკანასკნელთან ურთიერთობის საკითხს ეხება მწერალი გ. ნატროშვილი).

საინტერესოა აგრეთვე ამ ბალადის იდეური შეხვედრა მალაიელი მწერლის რაჯა რატნამის მოთხრობასთან „ვეფხვი“. ასეთი იდეური მსგავსებაში მოწოდებს, რომ დედობრივი სიყვარულის თემა საერთო-საეპიკობრიო მთარული თემაა, რომელიც ერთნაირად იღვლებს სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ეროვნების აღმანიების შემოქმედების ფინტაზიას. გიორგი ნატროშვილი სრულიად სამართლიანად შენიშნავს: „თუ ერთის მხრივ ქართული ხალხის ფანტაზია და მეორეს მხრივ მსოფლიო ლიტერატურის დიდი ბეშეკარზის (მაქსიმ გოგკის — გ. ა.) ჯონება დამოკიდებულად მივიდნენ ამ ერთ დიდებულ აზრამდე, მაინც საინტერესოა ეს შეხვედრა, რადგან იგი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ყველა უკეთესი შეილი კაცობრიობისა, ყველა მკოცნებე სიყვარულზე, სამართლიანობაზე, ყველა მოკიქული ჰუმანიზმისა ერთი დიდი გზით მიდის და ამ გზაზე შეხვედრა არც საოცარი და არც მოულოდნელი ამბავია“.



მუშათა ფოლკორი



თაობიდან თაობაზე გადასული მუშათა ლექსები და სიმღერები ყოველთვის მკაფიოდ გამოხატავენ ეპოქის დამახასიათებელ თვისებებს, მუშათა მასების სურვილებსა და მისწრაფებებს. მუშათა ხალხური პოეზია წლების განმავლობაში აგრძელების მძლავრი იარაღი იყო.

1905 წლის დასაწყისიდან როგორც რუსეთი, ისე საქართველო და მთლიანად ამიერკავკასია არეოლუციის ქარცეცხლში იყო გახვეული.

არსებულ ვითარებას მხატვრულად აგვიწერს ჭიათურის მალაროს ყოფილი მუშა ტოფაძე. სადაც გამოხატულია აჯანყების მონაწილეთა ზეგერი — ციხე, ბორკილი, კატორღა, სახარხოზელი და სხვა.

ათას ცხრაას ხეთსა წელსა,
როს ვაწუობდით აჯანყებას,
რა თქმა უნდა, ბევრ ჩვენგანი
გადეკიდა ჭირს და ვნებას.

ბევრსა შეხვდა ციხე ბნელი,
და ბორკილი გულის მკვლელი,
კატორღა და სახარხოზელი
იყო ჩვენი სატანჯველი.

ლექსის უჩანასკნელი ტაეპი აღსაესვა მომავლის იმედით:

თუმცა ძვირად კი დავჯიჯდა,
ჩვენ ამ ტანჯვის გადატანა.

იგივე ტოფაძე, 1906 წელს პატიმრობაში მყოფი, გვაუწყებს პატიმარ მუშათა მდგომარეობას, და მათ სულისკვეთებას.

ციხეში ვიტანჯებოდით!
ჩვენთვის დღე-ღამე ბნელიდა,
მაგრამ სიცოცხლის იმედი
მაინც არ ვგვეკარგებოდა...

კაპიტალიზმის განვითარებამ ქართველი გლეხი გაწამებული, დაუჩაქვებული, უმიწაყლო და შვიერი, ფაბრიკა-ქარხანაში მიიზიდა, რაგამ მას აქაც სულთამზუთავად მოველინენ ქარხნის მუშატრენი და მეფის მოხელეები.

თავლის ჭყაპ-ყინლისაგან
ღამის წამძვრება ფეხები,
ნაცნობი ვერვინ ვერ ვნახე
და ცუდათ დავებატები.

ოპ, რად გამწიარა სოფელში,
მიმცა ქალაქის ქუჩებში,

მე ვიტანჯები და მდიდრებს
ლიმილი მოსდით ტუჩებში.

თუ ავტორი ლექსის პირველ ნაწილში სასოწარკვეთილებას გამოხატავს, მეორე ნახევარში იგი, ბრძოლის სულისკვეთებით განწყობილი, შედგარდ გაიძახის: ჩვენი შედილობა ჩვენვე უნდა გამოვქველოთ.

საერთოდ მუშებს გვეჩიროს!
საეხოვრებელი კერია,
უნდა დაეაშოთ მდიდრები
ისინი ჩვენი მტერია.
ჩვენი თავის შედილობა
ჩვენვე უნდა გამოვქველოთ
მოღით, ძმებო, უროს ხელი,
და სიმართლე ვქედოთ-ვქედოთ!

ძველი რკინიგზელი მუშის დობორჯინიძის გადმოცემით, ძალიან გავრცელებული ყოფილა მუშათა ფართო მასებში ლექსი, რომელიც მუშების ერთსულოვნებას და გაბედულ მითხონენებს გამოხატავს:

ხომ ხედავთ, პური არა გვაქვს,
დღეს თუ ხელ მაინც მოვეცდებით.
უბრალო სიყვდილს მაინც სჯობს
ბრძოლაში დავიხიციებთ...

ამ ლექსს 1906 წელს დიდი პოპულარობა მოუპოვებია ბათუმის მუშებში.

1904 წელს მუშათა წრეებში დაიკვიდრებულა სიმღერა, რომელშიც ნათლიდაა ასახული მუშათა მდგომარეობა და ორგანიზებული ბრძოლის აუცილებლობა. ამავსე ლექსში დაგმობილია ცრემლი და წუწუნი. იგი აშკარად გამოხატავს მუშათა კლასობრივ მსოფლმხედველობის თვითშეგნებას:

ყველგან და ყველასაგან
ისმის ვიწი და წუწუნი,
რადგან ახლა ყველამ იცის,
რაც რამ არის დასაწუნი.

ჩვენ რომ ჩვენსას ცრემლი ვღვაროთ,
საქვს ამით ვერ ვუშველით,
უსამართლოს გავუშვავადით,
რას უყურებთ, რაღას ველით.

¹ ჩაწერილია ჩვენ მიერ ჭიათურაში 1949 წ. 25 სექტემბერს.

¹ ჩაწერილია ჩვენ მიერ ქ. ბათუმში. 1940 წ. ნოემბერს, გურგენიძის ოჯახში.

ხალხს არ ძინავს, გაიღვიძა,
წინამძღოლი საერთო,
რომ სიმართლე გავამეფოთ,
დამერწმუნეთ, აწი დროა...

ლექსი მიღწეულია 1905 წლის მოძრაობისა-
დმი.

შბატერულად იგვიწერს იტორი იმ ტანჯვას,
რასაც განიცდიდა დიდი თუ პატარა, სახრჩო-
ბელაზე, საყრობილენი, აღამიანთა მსხვერპლის
გამო.

ყველა ერთად იტანჯება
ქალი, კაცი, დიდ-პატარა,
ხალხის შემწე და მფარველი
აღარ არის არსად არა.

ყველგან გამეფებულია
საყრობილე, სახრჩობელა,
იმათ მსხვერპლად გადაიქცია
ვინც ვარგოდა, ჩვენში ყველა.

ზოლო ლექსის უკანასკნელ ტაბში იტორი
გაღმგვეცემს რწმენას ზეღანდელი დღისას:

ეს ტანჯვა და ეს წვალება¹
გაკეთილად გამოდგება,
დღეს თუ არა, ზეალ მაინც
აქ სიმართლე გამეფდება.
დარწმუნდით, ვერ შეიჩერებს
ხალხის სურვილს ბნელი ძალა,
ვაშა, ვაშა იმის სახელს,
სიმართლისთვის ვინც ეწვალა.

როგორც ვიცით, ბათუმი წინათაც წარმოად-
გენდა მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრს,
ხადაც თავს იყრიდა უამრავი სამრეწველო
საწარმოები — როტმილდის, მანთაშევის, ნო-
ბელისა და სხვა.

მუშათა ექსპლოატაციას აძლიერებდა მეფის
თვითმპყრობელობის ნაციონალურ-კოლონიალურ
ჩავერის მკაცრი პოლიტიკა, მცირე ზელ-
ფასი, მუშათა უფლებების გათელვა, მცირე-
წლოვანთა შრომა და სხვა.

ყოველივე ეს ბათუმის მუშებში ზრდიდა
წინააღმდეგობას და აძლიერებდა საბრძოლო
განწყობილებას შექარხნეთა წინააღმდეგ.

საინტერესოა ამ შრომე ბათუმის მუშერი
ფოლკლორის ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც შე-
მონაბულია ხელნაწერის სახით ბათუმის რევო-
ლუციური მუშეუმის არქივში.

თავადი ლევან გურიელი, მეფის მოხელე და
მისივე ჯამში, მუშებს სასტიკად ივიწროებ-
და, რითაც მან გაითქვა სახელი და შილო
წარჩინება და გილდო. ლ. გურიელი 1905 წლის

16 იანვარს (ძველი სტილით) მოკლეს მან-
თაშევის ქარხნის ქვემოთ, რეინაგზის ვადსას-
ვლელ ბარიერზე. როტმილდის — ქარხნის მე-
შეშა ასეთი ლექსი გამოთქვას:

მუშის მტერი, მოლაღატე, უსვენდისო
გურიელი,
ამაყი და მოარშიყე, თან ჯამში
საძაველი,
მუშას სცემდა უმოწყალოდ ის უზნეო
საზიზღარი,
მით გაითქვა მან სახელი, უწყალობენ ჩინი,
ჯვარი.
ველარ გაძღა, კიდევ სურდა, აგვიოზბა სულ
სახლ-კარი,
მტარვალმა და მოლაღატემ შეირცხვინა
თვისი გვარი,
დღე რომ მუშას მათარახს სცემდა, ღამით
იყო მუდამ მთერილი.
მას ეგონა მისი თეთი მართლა იყო დიდი
გვარი,
მთავრობიდან წაქეზებულს რათ უნდოდა
მუშის გული,
ამასწინათ, გასულ კვირას სასეირნოდ
მიდოდა,
მხეცის სახეს უფრო გავდა სახე მისი
ამაყური,
ამ დროს მოხვდა ტყვია ზურგში მამაცი და
გაბედული,
დააეწევა ნეტარება, გაელაღრა მტარვალს
გული.
გაიზმორა, დააკეტა, გაიშლართა ოჯახქორი.
ენის თქმაც კი ვერ მოასწრო, ისე მოკვდა,
როგორც ღორი.

ცოტა ხანში იმ ადგილას კახაკებიც ასეიარა,
ქებნეს მკვლელო, ვეღარ ნახეს, რადგან
დროზე გაიპარა.
დარჩა ლევან გურიელი სისხლში გასერილ-
გაიხუზუნული,
აელანტაღეს დიდხანს, მაგრამ აღარ ეღვა
უკვე სული.
სამ დღეს ეგდო ბაღნიცაში, არ გახადეს
კუბოს ღირსი,
არც უფულოდ გაასვენეს, არც აიღეს ფული
მისი,
და როდესაც მიღად აყრილდა, მოიტანეს
ოთხი ძელი,
მეოთხე დღეს გურიაში წაასვენეს საძაველი.
სტრავის შეტმა მის ბინძურ გეშას არ მოკიდა
არეინ ზელი,
მიავიგებს სამარეში, არ დაუშვეს მასთან
მღვდელი,
გურიაში მის საფლავზე ისე არის წარწერილი:
„აქ მარხია მოლაღატე, მუშის მტერი
გურიელი“.

¹ ჩაწერილია 1949 წ. ქ. ბათუმში. ლექსის
მოქმედი გურგენიაძე.

აღნიშნულ ლექსს გოგონები გიტარაზე ამღე-
რებდნენ და მუშათა ფართო წრეებში ზემი-



რად ამბობდნენ ხოლმე: ეს ლექსი სოფელშიც ფართოდ გაერცლება.¹

ძველი მუშა დობორჯგინიძე მხატვრულად ფიქსურს კაპიტალიზმის პერიოდში მუშათა უმგვანო ექსპლუატაციას, 14-16 საათის განმავლობაში ქარხანაში მუშაობას.

თექვსმეტ საათს ქარხანაში ვლურით მუშები ტანჯვით ოფლსა, ქარხნის მეპატრონის ცოლი ჩვენი შრომით დედოფლობსა. ჩვენებს ხშირად ენატრება ერთი ლექსა შავი პური, ვიბრძვით მისთვის, რომ უქნარებს აუწიით მწარედ ყური.

მუშათა ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ლექსები და სიმღერები გამოყენებული იყო მუშათა პროკლამაციებშიც, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ მუშათა მასების ბრძოლის განწყობილების განმტკიცებისა და იდეურ-პოლიტიკურ აღზრდისათვის.

ერთი პროკლამაცია ვრცლად აღწერს მუშის ექსპლუატაციას და მის სილიტაციას:

აღამიანად ვშობილვართ, გვაქვს გრძნობა, ახრი, გონება, ვშრომობთ და მაინც არა გვაქვს არც ფული არცა ქონება.

ამ ლექსის სხვა სტრიქონები ნათლად გამოხატავენ მუშის დამკირება-შევიწროებას, მათი ნაოფლარის მოთვისებას და ყველა იმ სისასტიკეს, რომელთაც მიმართავდნენ მეფე და მისი მოხელეები რევოლუციონერი გმირების გასანადგურებლად:

ჩვენი ნაწევ და ნადავით მრეწველი იესებს ჯიბებსა, და ჩვენ კი ზიზლით დაგვეურებს, ვით მსახურ-მეჯინიბესა.

ხან ერთს კბენს და ხან მეორეს, მგელივით შემოგვეცქერის, ჩვენი სისხლისა წოვითა გული ვერ მოუჯერია.

ლექსის მეორე ნახევარში ავტორი მწვავედ აღნიშნავს სამღველოებისა და მეფის ცბიერებისა და მათი მორალურ გახრწილებას:

აქ მღვდელი, „ქრისტეს მოყვარე“, ცბიერი, როგორც მელია, შეილებს გვიწოდებს და საქმით ჩვენგვარ, შეილებს მველელია.

თუ კი ქვეყნისა დამკვიციე მეფე, გახრწილი სულითა, გააშუშებსა და საყვარლებს ასულებს ჩვენი ფულითა.

ყველა სიცოცხლეს გვიმოყლებს, სუყველა ჩვენი მტერია: ხელმწიფე, პოლიციელი, ეპყარი, ღვედელი, ბერი.

მუშები ხსნას ერთიან ბრძოლასა და შეიარღობაში ხელაფენ: ჩვენ გვიხსნის მხოლოდ ერთობა, ჭკუა და გონიერება, კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის სწავლა და მეცნიერება.

მათ გვიანდერძეს, შევეყართ მსოფლიო მუშათ ლაშქარი, ვიბრძოლოთ მედგრად, სანამღვე დღე არ გავწვევა ნეტარი.

და ბოლოს, მკვეთრად გაიძიხიან ზეფის წინააღმდეგ ბრძოლის აუკლებლობაზე:

მაშ, ბრძოლა, ძმებო, ემირული, ბრძოლა მტრებთანა მედგარი. მუსრი მგლებს... მუქარი ქოფაყეს... ძირს მეფე, გაუმძლარი.

რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის მიერ 1904-წლის აპრილში დაბეჭდილი პროკლამაცია: „ქართულო, ხელა ხმას ეყარ“-ის სიმღერის ჰანგზე ფართოდ გაერცლებულა, საბრძოლო მოწოდების მძლავრი გამოძახილია:

მუშა ხალხო, წინ, წინ გასწი... გასწი ჩქარა გაექანე, და ქუხილით მტრის ბანაჯედ იერიში მიიტანე...

ეს ლექსი მოეწოდებს აშყარა გაბედულო ბრძოლისაკენ მტრის ბანაკის წინააღმდეგ იერიშის მიტანაზე, მოსპობასა და განადგურებაზე.

გეყო, დღემღე რაც იტანჯე ან მტერს მედგრად შეებძოლე, ვინ გიმუხტლოს, ის საქვეწოდ შეაწვენე და ჩაქოლე...

გასწი, გასწი, ნუ შედრკები, ბევრი გახლავთ მეომარი. აბა, დაკვარ მამაცურად, გამარჯვება ჩვენი არა.

ბათუმელ სოციალ-დემოკრატულ მუშათა ჯგუფის 1912 წლის 29 ივნისის პროკლამაცია „მაშ ძმებო ჩვენი გამარჯვებით გამოხვედბულე-

¹ ლექსის ვარიანტი გამოქვეყნებულია მიხეილ ჩიქოვანის მიერ 1934 წ. „ფირალის ებოსი გურიაში“, სახ. უნივერსიტეტის გამოცემლობა.

ბმა მთლად ბათუმელ მეშათა კავშირით შვერთე-
ბულბუმა შორეულ თანამომხეთა ხმას ჩვენი
ძლიერი ხმაც მივაწვდინოთ" ლექსით მთავრ-
დება:

ბრძოლა და ბრძოლა მედგარი,
ეს ჩვენი წმინდა ვალია,
აწმუის დამეც თავზარი,
ახლო ჩანს მომავალი...

1907 წლის 25 მარტს სამტრედიის რაიონში
(სოფ. ჭაგანში) დასახლდნენ ძველი რევოლუ-
ციონერი მუშა ბოლშევიკი გ. თელია. დასაფ-
ლავებმა დაესწრნენ ამიერკავკასიის ბოლშევი-
კური ორგანიზაციის წარმომადგენლები. წარ-
მოთქვეს სიტყვები და შესატრულეს რევოლუ-
ციური სიმღერები. მიძღვნილ გვირგვინზე
კ. თბილისის ელექტრონის, ტრამვაის კონდუქ-
ტორებისა და ვატმანების მუშებმა შემდეგი
ოთხსტრიქონიანი ლექსი დააწერეს:

ხალხი ტანჯული, ხალხი ზაგრული
შენებრივ გმირებს არ დაიფიქვებს,
გამარჯვების წუთს, განთიადის დროს
შენც დავიტირებს, შენც მოვთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ მუშურ ლექსებში არ
გვესმის უიმედო და სასოფარკვეთილი ხმა. ამ
ლექსებში აღწერილია მუშათა დღეპირი ცხოვ-
რება, ამავე დროს, სრული იმედია გამოხატუ-
ლი ზვალინდელ დღისა და რწმენა იმისა, რომ
კაპიტალიზმის უღლისაგან ხსნა განპირობებუ-
ლია ბრძოლათა და ძალთა ერთიანობით.

რევოლუციის აღმავლობა როგორც რუსეთში,
ისე ჩვენში შესანიშნავად იგრძნობოდა, ქართ-
ველი მუშების შემოქმედებაში ასახული იყო
ოქტომბრის რევოლუციის საბრძოლო პანცები.

ოქტომბრის ღამეს გაჰალდა ომი
და ათასობით ხალხი კვდებოდა,
ციხის პორიზონტზე შავი ღრუბელი
ჭექა-ქუხილით იფანტებოდა.

გათენების ეამს გადააარა,
ცამ მოიშორა შავი ღრუბელი,
და აღმართა წითელი დროშა,
ტანჯული ხალხის ბედის მომგვრელი.

1917 წლის ოქტომბერში ჩვენი ქვეყნის
მუშათა კლასმა უღარიბეს გლეხობასთან ერთად,
კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დამ-
ხობილი იქნა კაპიტალიზმი, დიდი ლენინის
მეთაურობით გაარღვია იმპერიალიზმის ფრონ-
ტი და დედამიწის ერთმეექვსედზე დაამყარა
პროლეტარიატის დიქტატურა.

დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დააგ-
ვიარგინა მშრომელთა პოლიტიკური თავისუფ-
ლება და მატერიალური უზრუნველყოფა.

ოქტომბრის რევოლუციის ფუძემდებლის, დი-
დი ლენინის სახე ქართველ მუშათა შემოქმე-
დებაში მთელი ძალით გამოიკვეთა:

ოქტომბერი ლენინია,
მან დაანთო ცეცხლის აღი,
ირველი მტრები მოგვამორა
და ჩვენ მოგვცა მომავალი...

შვიდი ნოემბრისადმი მიძღვნილი სიმღერე-
ბითა და ლექსებით მოგვნილი იყო საქართვე-
ლო. გმირული ბრძოლებით აღფრთოვანებულ
მუშა ასე აგვიწერს ამ დღეს:

ბრძოლის ქარმა ამოხეთქა,
დასწვა ძველი ყველაფერი,
წითელ დროშას დააწერა
მაშინ შვიდი ნოემბერი...

შვიდი ნოემბრის მონაბოვრით გაბარებულ
მუშა ერთ-ერთ ლექსში მთელი მსოფლიოს
მუშების გასაგონათ იუწყება:

მუშა ქარხანაში შრომობს,
მეურნეუ მკის თავის ყანას,
წითელ დროშით ნოემბერი
შემოივლის მთელ ქვეყანას.

საბჭოთა პარტიოტიზმი, სამშობლოსადმი უდი-
დესი სიყვარული, თავდადება, ჩვენი ხალხის
მშვიდობისა და გამარჯვების იდეები ორგანო-
ლად ჩაქსოვილია დღევანდელ მუშათა შემოქ-
მედებით ნიმუშებში.

აი, ტყეების მღაღაოს მუშა მ. მიქაბერიძე
შრომითა და ხალხით გარემოცული შეზარის
მღაღაოს:

უკვე შრომაა გარიღებული,
რომ ქვანახშირი უხვად ვანგრითო,
ჩვენი სამშობლოს დოცლათისათვის
რომ ეს კლდის გული გადმოვფარქვიოთ...

თუ კაპიტალიზმის პირობებში მუშა მწუხ-
რებას გამოთქვამს, დასტირის თავის ბედს,
მისი ხვედრია შრომაში წაშება და ტანჯვა,
დღეს ის უმღერის შრომას, რომელიც სახელ-
სა და ღირსების საქმედ იქცა.

საბჭოთა ადამიანები, სოციალისტური შრო-
მის გმირები, უჩვეულო შემოქმედებით ქმნიან
ახალ-ახალ ფორმებსა და მეთოდებს საზოგა-
დოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ამიტომ
იყო, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებებმა ჩვენს
ქვეყანაში მიიღო საყოველთაო-სახალხო მოძ-
რაობის ხასიათი, მოიცვა საბურთეო და კულ-
ტურული მშენებლობის ყველა დარგი და უბა-
ნი, აამოძრავა მილიონიანი მასების შემოქმედ-
ებით ანერგია.

რკინიგზების მოწინავე მშედლის — ილერი-
ძის გმირულ შრომას გადმოგვცემს ამავე რკი-
ნიგზის ყოფილი მუშა დათავილი:

მივა, უროს ხელს მოვიდებს
საყვირების გაბმულ ხმაში,
ილერიძის გრდემლის პანგი
მმლაერად ისმის ქარხანაში.
ახალ ფურცელს მიუმატებს
ხახელოვან შრომის ფურცელს
და სამ წელში გოლიათი
დაამთავრებს თავის ზუთწელს.

პირველი სამყარავლოს მუშა ქალი ლეგ-
შვილი ფშტერის სიმამაცეს სოციალისტური
შრომის გმირ კოლმეტრანე ქალისას, რომელიც
კომბაინს აფუგუნებს და სამშობლოს აძლევს
უხვ მოსაგაღს:

თვალწყდენელ ველზე დელავს პერის ყანა,
გავსებულმა თავთავებმა საღმით თავი
დაგვიხარა,
გაახარა მშრომელები, ზღვა მოსაგლით
ხარობს გული,
გველოდება პერის ყანა მწიფე ზოარბლით
დატვირთული,
კომბაინს რომ აფუგუნებს მამაცურად
ქართლის ქალი,
ბარაქალა შენს მარჯვენას შრომის გმირო,
რომ შეტყენი ეს ამდენი კირნახული.

პერის ყანა იქროს ფერად მოღალადე,
სიმინდები, ვენახები დაბარდული,
ყვავილების ძნად შეკრულა ქართლის გული,
ნატერის თვალით ორ ზღვის შუა

მეგობრობა
განუყოფელია

თუ რევოლუციამდელმა მუშათა ფოლკლორ-
მა დიდი როლი შეასრულა ცარიზმისა და
კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ღვა
პროპაგანდისა და აგრიტიკის საუკეთესო სა-
შუალება იყო და ხელს უწყობდა მუშათა მასე-
ბის კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებას,
თავის ორგანიზებულებასა და პოლიტიკურ დი-
რაჯშეკას, მათს შემოქმედებითს ნიმუშებში ასე-
ხელი იყო მუშის უმწურო მდგომარეობა, სიღუბ-
ნე, ორგანიზებული ბრძოლის აუცილებლობა
და პოლიტიკური დარაზმვა კაპიტალიზმისა და
ცარიზმის წინააღმდეგ. დღეს მუშათა ხალხურ
პოეზიაში გამოხატულია მშვიდობიანი შრომა,
საბჭოთა პარტიოტიზმი, სამშობლოსადმი უღა-
დესი სიყვარული, ერთა თანამეგობრობა, ჩვე-
ნი ხალხის მშვიდობისა და გამარჯვების იდე-
ბი. ასეთი ლექსი მოუწოდებს შრომისადმი და
ჩვენი ქვეყნის მატერიალური დოვლათის შექმ-
ნისადმი.

მუშათა ფოლკლორის ნიმუშების თავმოყრა
გადაუდებელი საქმეა. ამგვარი ხასიათის ლექ-
სებში ასახულია რევოლუციური მოძრაობის
ესა თუ ის პერიოდი; მათ გარკვეული მნიშვნე-
ლობა აქვთ ჩვენი მდიდარი ხალხური შემოქ-
მედების არაერთი საყთხის გასაშუქებლად.



გიგო გაბაშვილი მხატვრის ხელოვნების შესახებ

წმინდა წამების საუკუნენი საქართველომ უკვე გადაიტანა. იგი ახლა ალლიან მხატვრებს ელის, რომელთაც შეეძლება ეს ყველაფერი ფერებში ღრმა ჩაწვდომით განახორციელონ, — მიაწერა გიგო გაბაშვილმა კალენდარის მოხეულ ფურცელს 1936 წლის 1 სექტემბერს, თავისი სიცოცხლის მიწურულს.

საქართველოს უფლება აქვს სწორედ გიგო გაბაშვილი ჩათვალოს იმ შესანიშნავ და ალლიან მხატვრად, რომელმაც შეძლო „ფერებში ღრმა ჩაწვდომით“ გაეცოცხლებინა თავისი ქვეყნის აღმართა სახეები და ბუნების მშვენიერი სურათები.

გ. გაბაშვილის შემოქმედებამ არა მხოლოდ ღრმა კვალი დატოვა ქართულ ხელოვნებაში, არამედ მაღალ საფეხურზე აიყვანა იგი და რუსულსა და ევროპულ რეალისტურ ხელოვნების გაუთანაბრა.

თავის ახლობელ მხატვარ აშხანაგბთან ერთად გ. გაბაშვილი ქართული რეალისტური ხელოვნების ფუძემდებელია, რომელმაც დასაბამი მისცა ყოფი-ცხოვრებით ეანრს ქართულ მხატვრობაში. თავის საუკეთესო სურათებში გ. გაბაშვილი ფსიქოლოგიური და სოციალური პორტრეტის შექმნის სიმალღზე აღის.

გ. გაბაშვილის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა მაშინ ყალიბდებოდა, როცა საქართველოში დაიწყო საზოგადოებრივი აღმავლობა, დაკავშირებული საქართველოს რევოლუციური და ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ზრდასთან. ეს იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარი. საქართველოს პირველ მხატვარ-რეალისტებზე და, განსაკუთრებით, გაბაშვილის შემოქმედებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა ქართველი ინტელიგენციის, ე. წ. „თერგდალეულების“ მოღვაწეობამ, თერგდალეულებისა, რომლებიც გაზრდილი იყვნენ ბელნიისის, ღობრილეთის, ჩერნიშევსკის წიგნებზე.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მუშათა მოძრაობის დემოკრატიული ინტელიგენციის ზრდასთან დაკავშირებით ქართულ ხელოვნებაში იჭრება იგივე ტენდენციები, რომელთაც უზრუნველყვეს „პერედეიჩნიკობის“ აღმოცენება რუსეთში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ხელოვნების აყვავება ბევრით არის დავ-

ლებული გიგო გაბაშვილით, რომელმაც მხატვრებთან — ა. ლ. ბერიძესთან (1868 — 1917), რ. გველუსიანთან (1859 — 1884) და ა. რ. მრეველიშვილთან (1866 — 1933) ერთად მხატვრობაში რეალური ცხოვრების ასახვა დაიწყო და შექმნა სურათის თხრობითი ენა.

გიგო გაბაშვილის შემოქმედებას ხშირად უკავშირებენ დიდი რუსი მხატვრის ი. ი. რეპინის შემოქმედებას. ექვს გარეშეა, რომ რეპინმა დიდი გავლენა მოახდინა გაბაშვილზე, მაგრამ იგი არ იყო რეპინის უბრალო მიმბაძველი.

ხელოვნებაში სიმართლისაკენ მღელვარე მისწრაფებამ, ყურადღებიანმა აღქმამ და რეალური სამყაროს გამოხატვამ, ყალბი მწერებისა და სტილიზებისადმი შევეთრმა სიძულელმა შექმნა ის მხატვარი, რომელმაც ქართული მხატვრობა ნამდვილი რეალისტური ხელოვნების ახალ და მაღალ საფეხურზე აიყვანა. რეპინის მსგავსად გ. გაბაშვილის შთაფრების წყარო იყო სიმართლისადმი დიდი სიყვარული, რეალური ბუნებისადმი გულწრფელი თავყვანისცემა, ღრმა დაწვრთნება, რომ მხატვრობა უნდა ემსახურებოდეს მართალსა და სამართლიანს.

„გაბაშვილი სათნოება მიმზიდველად, ბიწვით — საზოგადოებრივად, სასაბუღალტო-თვალსაჩინოდ, ან თვითონი ადამიანის მიზანი, რომელიც ხელს ჰქონდა კალამს, ფენჯეს ან საკრისს“, — წერს გ. გაბაშვილი თავის წერილში „შენიშვნები კომპოზიციის შესახებ“.

კოლორიტიცა და თემატიკის ტრადიციების გამოყენების ღრმა ნაციონალურობით, სიმართლისა და ღრმა გულწრფელობის წყალობით გ. გაბაშვილი არ შეიძლება ეინმეს მიმბაძველი ყოფილიყო, მაგრამ მისი კავშირი რუსულ ხელოვნებასთან და, განსაკუთრებით, „პერედეიჩნიკებთან“ უდავოა.

გიგო გაბაშვილის არქივში, რომელიც თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება, დაცულია წერილი, რომელსაც რეპინი უგზავნის გაბაშვილს მიუნენში 1895 წლის 13 მაისს. „თქვენი თავზაიანი წერილით გული ამიჩვილეთ, მომზიბველო უცნობო, — წერს ი. რეპინი, — თქვენი წერილის შემდეგ მართლაც შეიძლება იოცნებო საბედნიეროდ, მე უკვე კარგა ხანია განველოე მეოცნებე კმატუობის დრო და ძალიან მოკრძალებული აზრისა ვარ ზემს მხატვრულ ღირსებებზე... მთელი გულით მად-

ლობელი ვარ თქვენი ახალგაზრდული, კვლამობილური თეხებისათვის. დღეად ბედნიერი ვიქნები, თუ საშუალება მომეცემა ჩამოგართვით ხელი ამხანაგურად¹.

ეს იყო დიდი რუსი მხატვრის პასუხი იმ აღტაცებულ წერილზე (საწიფხაროდ, ნაპოვნი არ არის), რომელიც მონენჰაინის საერთაშორისო გამოფენაზე რეპინის „ზაპოროჟელების“ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ გაბაშვილმა გაუგზავნა რეპინს.

ჩვენს წინაა გ. გაბაშვილის ჩანაწერები¹. ეს არის მხატვრის ცალკეული აზრები ცხოვრებისა და მხატვრობის შესახებ, მხატვრისა და ადამიანის თავის თავზე მუშაობის შესახებ, ასევე იმათ შესახებ, ვისაც მან ფერწერა ასწავლა. ეს შენიშვნები, მიწერილი ქალაქის ნაგლეგებზე, კალენდარის მოხეულ ფურცლებზე, რომელიც გ. გაბაშვილმა თავისი ცხოვრების უკანასკნელ წელს გააკეთა, შუქს ფენს გაბაშვილის შინაგან სამყაროს, მის მუშაობას. თითქოს თავისი ცხოვრების შეჯამებას ახდენს; გ. გაბაშვილი თავისთვის იწერს იმას, თუ როგორ უყურებს მხატვრის ცხოვრებას, ზეწობრიობას, იწერს იმას, რასაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე უზიარებდა თავის მოწაფეებს, რომლებთანაც ყოველდღიურ ურთიერთობაში იყო. ზმირად მისი ჩანაწერების ცალკეული აზრები ერთმანეთს არ უკავშირდება, იგი წერს ისე, როგორც მოჰყვება ფიქრი ფიქრს. ეს არის აზრები ადამიანის ღირსებასა და უღირსობაზე, სიციცხლეა და სიყვდილზე, მამაკობასა და გვირობაზე, საქმეზე, რომელიც უსულგებლოდ კეთდება და ამდენად ნახევარსაქმედ რჩება, ქვეყნებზე, სადაც ხელოვნება ჰყავის და ამიტომ ადამიანებიც მშვენიერნი და კეთილნი არიან. „სხვისას ვაქრიტებ, — წერს იგი 1935 წლის იანვარში, — მაგრამ როცა თვითონ ვაკეთებ იმასვე, არაფერი გამოდის. სხვისი კრიტიკის დროს ძალიან ფრთხილი უნდა იყო“. „მასწავლებელი, რომელიც ზრდის და აყალიბებს მოსწავლის ხასიათს, თავისებური ტალანტიანი მხატვარია“.

„ხელოვნების მიზანი არის ცხოვრება, — წერს იგი, — ბუნებაში ჩაწვდომა ყველას არ შეუძლია, ეს არჩევითა ხვედრია. ბევრი რამეს უნდა აღვეჩოთ თვალს — ეს კი უნდას მოითხოვს“; „კარგია მხატვრისათვის ბევრის ცოდნა, მაგრამ კიდევ უფრო კარგია წინასწარგძნობა, წინასწარხედვა“; „ტალანტთან ერთად მხატვარს უნდა ჰქონდეს არაჩვეულებრივი ნებისყოფა სისტე-

მატორია და შეუპოვარი მუშაობისა, ეს არის დიდი მიღწევის ნამდვილი პირობა. საჭიროა სიჩქეზე, თავშეკავება, წესრიგი, გამბედაობა, შრომაში ნუ დაკარგავთ დროს, ყოველთვის ავირთ დაკავებული რაიმე სასარგებლო საქმით, ყოველგვარი მოუწყვრობა განაგდნენ¹ თქვენგან. საიბოა გულწრფელობა! ნუ-ისარგებლებენ შე მოსაველელი გზებით. დაე თქვენი აზრები გულწრფელი და სამართლიანი იყოს და, თუ ლაპარაკობთ, ილაპარაკეთ ის, რასაც ფიქრობთ. ისევე თავშეკავება, სიმშვიდე“, — წერს იგი იქვე. ამ სიტყვებში ჩანს არა მხოლოდ პედაგოგი, რომელიც მთელი სერიოზულობით ეკიდება მხატვართა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს, ამ სიტყვებით იგი თითქოს თავის პორტრეტსაც ხატავს. იგი მართლაც ასეთი იყო.

გ. გაბაშვილი თავის მშობლიურ ქვეყანაში ეძებდა ტალანტებს და შრომობდა მათ. მას მიარჩნდა, რომ „მასწავლებელი, რომელიც ზრდის და აყალიბებს მოსწავლის ხასიათს, თავისებური ტალანტიანი მხატვარია“. საქართველოს თითქმის ყველა გამოჩენილი თანამედროვე მხატვარი, რომლებმაც თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრეს, ისინიც კი, რომლებიც არც კი იყვნენ გაბაშვილის მოწაფეები, ან იყვნენ, მაგრამ ძალიან ხანმოკლე დროის განმავლობაში, მძლეობების გრძნობით იხსენიებენ გ. გაბაშვილს და მის ზემოქმედებას მათზე.

სურათს, კოლორიტს, კომპოზიციას უძღვნის გაბაშვილი თავისი ჩანაწერების გვერდებს. შრავალანაშვზაურს, ბევრი საზღვარგარეთული მუზეუმის მნახველს, მას შეეძლო მხატვრის მახვილი თვალით ყურება. იგი მუდამ შემოქმედებით ძიებაში იყო, აღნიშნავდა და თან შინაგანად არჩევდა თავისთვის იმას, რაც მისი მხატვრული და პედაგოგიური მუშაობისათვის სასარგებლო იქნებოდა.

შესანიშნავად ფლობდა რა კოლორიტს, გაბაშვილი წერდა მის შესახებ და თან ამ ჩანაწერებს მოკრძალებით ასე უწოდებდა: „ჩემი პატარა იდეები კოლორიტის შესახებ“.

„ნახატო თვითველ არსს ფორმის ძილევს, საღებაე — სიციცხლეს. სწორედ მათშია ის ლეთიური სუნთქვა, რომელიც ფრთებს ასხამს მას. ყველას არ შეუძლია იმსჯელოს კოლორიტზე, ნახატის მსაჯული რომ გახდეს, ოსტატე უნდა იყო.“

კარგი მხატვრების ნაქლებობა არ არის, მაგრამ კოლორიტის დიდოსტატები კი ცოტაა. ასევე ლიტერატურაშიც. რატომ არის ასე ცოტა ისეთი მხატვრები, რომელთაც შეუძლიათ გადმოსცენ ყველასათვის გასაგებად? თუ კი ბუნებაში ერთი და იგივე ფერები არსებობს, რატომ არის კოლორიტის ოსტატთა ასეთი სხვადასხვაობა?

უპასუვია, რომ ამანვე გავლენას ახდენს მხეველობის ორგანოს მოწყობილობა. ნაზ და სუსტ

¹ გ. გაბაშვილის ჩანაწერები და შენიშვნები 1939 წელს გასაცნობად გადმოიცა მისმა მეგობარმა ქალმა თ. გ. მოლბაუმმა. შემდეგში ისინი გადაეცა „მეტეხის“ მუზეუმს, სადაც გაბაშვილის არქივი ინახებოდა.

თვალს არ შეიძლება მოხწონდეს კავშირი და ძლიერი ფერები. ვინც სურათს წერს, ის არ მორიდობს შექმნას ისეთი ფერადი ეფექტი, რომელიც შეერაცხეთს მის ბუნებრივ მხედველობას. მას არ ეყარება არც მკეთობრივად, არც ძლიერ თეთრი. იმის მსგავსად, როგორც თავისი საცხოვრებელი ოთახის კედლებს მოაფარავენ, მისი ტილოც უსუსტი, რბილი და ნაზი ტონებით დაიფარება, მაგრამ ძალის ნაკლებობას იგი პარპონით აანაზღაურებს. განა ხასიათი, ადამიანის სულის განწყობა მის კოლორიტში არ აისახება? თუ მხატვრის ფიქრი შედევს პირქუში, შავი და ნაღვლიანია, თუ მის სულიან არსებაში და საყოფად სახელოსნოში შარავი ღამეა, თუ ის თავისი ოთახიდან დევნის დღის სინათლეს, თუ ის მიისწრაფვის მარტობისა და წყევლიდისკენ, განა თქვენ უფლება არა გაქვთ მისგან ელოდეთ შესაძლოა ძლიერ, მაგრამ მუქ, ნისლოვან და ეუმტ სიუენებს? თუ მხატვარი ნაღვლის ჩაქვეით იტანება, მას ყველა სავანი ყვითლად წარმოუდგება და განა შეუძლია თავისი ნაწარმოებებსაც არ გადაფაროს იგივე ყვითელი საბერეელი, რომელსაც დაზიანებული ორგანი მთელ ბუნებას ადებს და რომელიც ამუხრებს მას?.. დაწმუნებული იყავით, რომ მხატვარი თავის ქმნილებაში თვითონვე გამოასახება ისევე და უფრო მეტადაც, როგორც მწერალი. სუსტი მხედველობის ან შელანჭოლიური განწყობის მხატვარმა შეიძლება ერთხელ კი შექმნას ფერებით ძლიერი სურათი, მაგრამ იგი მაშინვე დაუბრუნდება თავის ჩვეულებრივ კოლორიტს. იღებს რა საღებავს პალიტიდან, მხატვარმა ყოველთვის არ იცის, როგორი იქნება იგი ტილოზე და, მართლაც, რას უდარებს იგი პალიტრაზე ამ საღებავს, ამ ტონს? — სხვა ძირითად ტონებს, ძირითად საღებავებს.

როცა საღებავი პალიტიდან კომპოზიციის მთლიან სცენაზე გადადის, საღებავი იცვლება, სუსტდება ან ძლიერდება და მთლიანად ცვლის ეფექტს. მაშინ ზელოვანი ცდის ფერების ერთმანეთში შერევას, არევას, შეცვლას. ამით მისი ტონი იქცევა იმ სხვადასხვა სუბსტანციის ნაერთად, რომლებიც შეტრავდება მოქმედებენ ერთმანეთზე და, ადრე თუ გვიან, ერთმანეთის შეეწობიან. საერთოდ რომ ითქვას, სურათის პარპონა მით უფრო მტკიცეა, რაც უფრო დაწმუნებულია ფერმწერი თავისი ნაწარმის საბოლოო შედეგში, რაც უფრო გაბედულად და თავისუფლად იმუშავებს, რაც უფრო ნაკლებად დაიწყებს თავისი საღებავების არევას და შერევას, რაც უფრო უბრალო და მარტვ ტონებს გამოიყენებს. ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე სურათები სულ ცოტა ხანში კარგავენ კოლორიტის პარპონიულობას. ჩვენ ვნახულობთ უძველეს სურათებს, რომლებსაც, დროის გასვლის მიუხედავად, არ დაუკარგავთ სახალე და პარპონი

ნოულობა. მე გგონი, ეს უფრო მხატვრის უნარიანია შედეგია, ვიდრე საღებავის ხარისხისა. ახლა ისე აღარაფერი გვიხდება სურათში, როგორც ნამდვილი კოლორიტი. იგი ერთნაირად ვასაგებია როგორც უეკისათვის, რაც მკაცრისათვის. ნაკლებ მკოდნე აფაშაშენი სურათის, ექსპრესიის, კომპოზიციის მიხედვით უნაკლო სურათს ისე ჩაუვლის, რომ არც შეჩერდება... მაგრამ არც ერთ თვალს არასდროს არ დაარწმუნა შეუმჩნევლად კოლორიტი...

...მეტად დიდი ხნის განმავლობაში მოწაფე თავისი ოსტატის სურათის პირს იღებს და თვითონ აღარ უყურებს ბუნებას; იგი ირევეა სხვისი თვალით უყრებას, რადგან კარგავს უნარს თავისი საკუთარი თვალით დაინახოს. მის უკვე იქვე გადაფარებული თვალებზე.

თი, ყალიბ კოლორიტის შექმნის მიზეზი, რომელიც ასე ხშირად გვხვდება. ის, ვინც გადაიღებს ლაგრენისაგან, ნათელი და მამლარი ფერებით დაწერს, ვინც გადაიღებს ლე-პრენისაგან, მისი ფერები მოწითალო და ავერისფერი გახდება, ვინც გრუზისაგან გადაიღებს — მონაც-რისფერი და იისფერი იქნება, ვინც შარდენს რისწავლის — მართალს იტყვის. აქედან მოდის სხვადასხვაობა მხატვრისა და კოლორიტის შესახებ მსჯელობაში თვითონ მხატვრებს შორისაც კი. ერთი გეტყვით თქვენ, რომ პუსენი მშრალია, მეორე, — რუბენსმა არაფერში არ იცოდა ზომა. მე კი, როგორც ლილიპუტი, მათ ნელა მოყუთათუნებ ზელს მხარზე და ამით დავმტყიცებ, რომ სისულელი თქვენს.

ვიღაცამ თქვა, რომ ყველაზე წარმატაცია ის ფერი, რომელიც ფარავს ჭალწულის ლაწვებს, ახალგაზრდულ უმანკოებას, ახალგაზრდულ სიჯანსაღს, მოკრძალებას და სიმორცხვეს. და ეს შენიშვნა არათუ ფაქტია, არამედ პართალიცაა.

გ. ვაბაშვილი სათავეს უდებს ქართული ფერწერის ახალ ენარს — პეიზაჟს, მაგრამ იგი იშვი-ათად წერს პეიზაჟს უდამიანებოდ. მისთვის კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს საყვარელი ბუნება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანს, მის ცხოვრებას. პეიზაჟური ფერწერის სფეროში ვაბაშვილის ტრადიციები უფროდ გამოიყენეს საქართველოს პეიზაჟის ოსტატებმა.

„ნახატი თვითუღლ არს ფორმას აძლევს, სასაღებავი — სიუცხლს“. — წერს გ. ვაბაშვილი კოლორიტის შესახებ შენიშვნებში და მის მიერ დაწერილი თითქმის ყველა პეიზაჟი ამ დებულების ილუსტრაციაა. თი, პატარა ზომის მშვენიერი აკვარელი „ტივებზე“ (1902), მშვენიერი კოლორიტის მიხედვით. იგი საესეა კავკასიის ბუნების ენით უთქმელი სიღამიანით: დაბალი ტყით დაფარული გორების ვასწვრივ მტკვარზე მოცურავე ტივები. ამ საქმალი ვანიერ ზეობაში უშფოთველი და მიწყნარებული მტკვარი, მტრედისფერი მთები შორეთში...

გაბაშვილის მეორე პეიზაჟი — წვიმის შემდეგ კოლორიტის მიხედვით განსხვავებულია მისივე სხვა ნამუშევართაგან. ამ თემაზე პეიზაჟის ბევრი ოსტატი წერდა, მაგრამ გაბაშვილთან იგი არ არის გადმოცემული ლირიული გრძნობებით: წვიმისაგან ჩამორეცხილი მოვერცხლისფრო-მოთეთროდ მოკრიალე დიდი ქვები, ღრუბლის ქვლებით დაფარული ცა, ჯერ კიდევ შეუმოსავი ხეები, სულ ახალახანს გადაღალი კაქსისპირა — ყველაფერი ეს ქმნის მთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ სურათს, ხოლო ფერების ვერცხლისფერი გაბა კიდევ უფრო უსყამს ხაზს ჰემა-ქუხილს შემდეგ მიწწანებულ ძალას, რომელიც ბუნებაში იგრძნობა.

ორი ტილო „ხევსურები სადარაჯოზე“ და „ხევსური სადარაჯოზე“ დაწერილია 900-იანი წლების დასაწყისში. პირველზე გამოსახულია კავკასიის მთის პეიზაჟი: მტრედისფერი და მოლილისფრო მთები პორაზონტზე, ალპური მწვანით მოსილი ზეგანი; წინა პლანზე — ხევსურთა ჯგუფი, რომელიც თავის მშობლიურ მთებს იტყის. მყურბულისკენ მიმართული ხევსურის თავისუფალ დგომიში ღონე და ძალღატანებლობა ჩანს. ხევსურის ფიგურის ბუნებრიობა, საერთო კოლორიტი, შერთალი ალპური სიმწვანე, მომტრედისფრო-მოლილისფრო გორების შორეთი ამ ტილოს დაუციფრად ხდის.

თავისი მშობლიური პეიზაჟის ასახვისას გაბაშვილი გამოისახვის საშუალებების ერთგვიან სიძუნწეს იჩენს. ფერწერა აქ უმეტეს შემთხვევაში მსუბუქია, თითქმის აკვირვებული. თითქოს მხატვარს სურს ამ გზით გადმოსცეს ის განუმეორებელი სერიოზულობა და დიდებული სიმყდროვე, რომელიც ასე დამახასიათებელია კავკასიის პეიზაჟისათვის. ადამიანის სახეებისა და ბუნების სურათების გადმოსაცემად ეს მუდმივი ძიება შეტად დამახასიათებელია გ. გაბაშვილისათვის.

როცა გ. გაბაშვილის კოლორიტზე ლაპარაკობ, გინდა მოიხსენიო მისი „სამარყანდის ბაზრობა“, სადაც ვასაოცრადაა გადმოცემული სითეთრმდე გაყვარებული შავი, და „აუზთან“, შესრულებული ღია ტონის, აკვირვლურად ნაზი ფერებით.

გაბაშვილის შეაზიურ სურათებში გადმოცემულია სამარყანდელეების და ბუხარელეების ცხოვრების თავისებური სილამაზე და სიწირმატე, მათი არაჩვეულებრივი არქიტექტურის სიმშვენიერე, რომელიც, ამავე დროს, განუყოფლად უკავშირდება პეიზაჟს.

გ. გაბაშვილი განსაკუთრებულ მინშენელობას ანიჭებდა კოლორიტს. ფერებისაღმი უსაზღვრო სიყვარულია და თავის საკუთარ ნაწარმოებებში კოლორიტზე შეენელებული მუშაობის შემდეგ ყოველგვარი ფორმალისტური გადახვევა, რასაც იგი ზოგჯერ ამწნევდა აკადემიის სტუდენტებს, დღეად აღონებადა მის.

თავის შენიშვნებში „ჩემი უცნაური ფიქრები სურათის შესახებ“ გაბაშვილი ამბობდა: „ბუნება არაფერს აკეთებს არასწორად. რეალურ ფორმას, ლამაზსა თუ უმისს, აქვს თავისი მიზნე და ცოცხალ ასრებათაგან არაფერი არ სწრს ასრები, როგორც არ უნდა ყოფილიყნდ უნდუნდნა მამ შეონდეს, ჩემი კუნძიანიდან მოსასხამს შედიცის ვენერაზე გადავიტანდი და შიშულად მხოლოდ ფეხის წყებს დავტოვებდი. ბუნებაში რომ ისეც თავიდან მიონდომის ვენერას ფიგურის აღდგენა ამ ფეხის წყერის მიხედვით, თქვენ გაკვირვებულე დარჩებოდით, რადგან იგი საშინელ ურჩხულს შექმნიდა. მე კი გაკვირვებული დავჩებოდით მხოლოდ მაშინ, თუ პირიქით იქნებოდა.“

ადამიანი თავისთავად რთულ ფიგურას წარმოადგენს. მისი გამოსახვისას თავდაპირველად თითქმის შეუძნეველი ადამიანების შემდეგ ხელოვნების ნაწარმოები ათასი ვერსით შორდება ბუნების შექმნილს. მე რომ ხელოვნების საიდუმლოებაში ვიყო კერძივული, იქნებ მიკიდნოდა, რამდენად უნდა დემორჩილოს მხატვარი აღიარებულ პროპორციებს და ამას გეტყვიდით კიდევ, მაგრამ მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს პროპორციები ვერ ძლებენ ბუნების დესპოტიზმის წინაშე და რომ დრო და ცხოვრების პირობები ათასნაირად მოქმედებენ მასზე.

მე არასდროს გამიგონია, რომ ეთქვათ — ადამიანის ფიგურა ცუდი დახატულია, თუ კი ეს, შეკვირვად გადმოსცემდა ადამიანის გარეგნულ მოყვანილობას, მის ასაქს და ჩვეულებებს ან გაკვეთული მოქმედების შესრულების უნარს.“

რეალური ბუნების წინაშე ჰედომობრას, მის მოთხოვნას — შესწავლან ბუნება მოძრაობასა და მოქმედებაში — გაბაშვილი ხანდახან იქამდეც მიჰყავს, რომ აკადემიაში ხატვის სწავლების შეთოდსაც კი უარყვოს. „ამბობენ, ანატომიას იმიტომ სწავლობენ, რომ შეეძლოთ ნატურაზე ყურება, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რამდენია, ამ შესწავლის შემდეგ ნატურა ისე დონახთ, როგორც ის სინამდვილეში არის. ყველა ეს აკადემიური პოზა ძალღატანებითია, გაცეთებულია, გამოგონილია, ყველა ეს მოქმედება ცივილ და უხერხულადაა წარმოდგენილი ერთი დიმივე საცოდავი კაცის მიერ, რომელიც დაქირავებულია, რათა კვირახს სამჯერ მოვიდეს და პროფესორს საშუალება მისცეს, რომ მისგან მანეკინი გააკეთოს. რა საერთო აქვს ამას ბუნებრივ მოძრაობებთან?“

არ გაკვირვდეთ, თუ პროფესორი მოიფიქრებს უცბად უთხრას ხეუნებულ საცოდავი კაცს: მეგობარო, აღუქი და რაც გინდა, ის გააკეთე.“

აქ გ. გაბაშვილს მოჰყავს გ. დიდარის სიტყვები, რომელსაც თვითონ მთლიანად იზიარებს: „ასჯერ მინდოდა მეტქვა ახალგაზრდა მოწიფეებისათვის, რომლებიც ლუერის გზაზე მხედვოდნენ ილიანში ამოდებული საქალაქლებით: დატოვებ ღვლარკნილობის დუქანი, წილით მონასტერში და თქვენ იქ ნახათ, როგორია ჰეშმა-

რიტი ლევისნიერება და ლეთისმოშიშობა... ყოველგვარი პოზის, ყოველგვარი გაყინულობის და სიყალბის მტერი, ეს ნამდვილი მხატვარი რეალისტ მზღ არის სტუდენტები კარტუზინის და სხვა მონასტრშიც კი გაგზავნოს ბუნებრივი მოძრაობების შესასწავლად.

„როგორ მეცოდებით, ჩემო მეგობრებო, თუ თქვენ როდესმე მოვიხდებათ მთელი დასწავლილი სიტყვე შეცვლილი ლე-სიუერის უბრალოებითა და სიმართლით. თქვენ მოგიწყეთ ამის გაყვობა, თუ კი გსურთ რამე გამოხვიდეთ. პოზა ერთია, მოქმედება — მეორეა... ყოველგვარი პოზა ყალბი და არარაობაა. ყოველგვარი მოქმედება მშვენიერია და მართალი. ლეარტნილობის ერთი ნამდვილი მიზეზიდანაა ცუდად ვაგებულ კონტრასტია. ნამდვილი კონტრასტი მხოლოდ ისაა, რასაც საფუძველი არ მოქმედების არსში აქვს, ან ორგანოებისა და ინტერესების სხვაობაში.

შეხედეთ რაფელს ან ლე-სიუერს, ისინი ხანდახან სამოთხ-ხეთ ფიგურას ერთმანეთის გვერდით განალაგებენ და ფუტკტი ჩინებულია. კარტუზილების წირვის ან შუქობის როცის დროს 40-50 კაცს ნახავთ ერთი და იმავე საქმით დაკავებულს, ერთნაირ სკამებზე მსდომთ, ერთნაირად ჩაცმულს და მანაც ვერ მოსძებნით თქვენ თუნდაც ორ ბერს, ერთმანეთს რომ ჰკვანდნენ: ნუ ეძებთ აქ სხვა კონტრასტს, ვარდა მათი განსხვავებისა. ეს არის სიმართლე, სხვა ყველაფერი უბაჟსობა და სიკრევა“.

კ. გაბაშვილი არა მხოლოდ მშვენიერი ფერმწერი იყო. მისი ნახატები, აკურული ვაოცებთ დაკვირვების სიმახვილით, ხაზის მკაფიო მოხდენილობით. „ნახატი თვითვე არის ფორმის აძლევს“, წერდა ის და ფორმის მიცემის ამ ხელისაგან თვითონ ზედმიწეწით ფლობდა. მისი „მომთაბარე ქვრთები“ ხატვის ისეთი ფლობის ერთ-ერთი მრავალ მაგალითთაგანია. ისევე, აკაცი წერეთლის პორტრეტში მან გამოავლინა ხატვის მაღალი ოსტატობა. ეს მოცულობით პატარა პორტრეტი სინტერესოა არა მხოლოდ ნახატის მიხედვით, არამედ პოეტის სახის ფსიქოლოგიური განხილვითაც. მხატვარმა შეძლო ვაღმოეცა პოეტის ის თავისებური სახე, რომლისთვისაც, მისივე პოეზიის მსგავსად, დამახასიათებელი იყო გულწრფელი მზარუნულებისა და გულში ჩამარხული სევდის მკვეთრი შერწყმა.

კომპოზიციის შესახებ შენიშვნებში გაბაშვილი წერს: „ღაც ყველაფერი მარტავი და გასაგები იყოს. მაშ — არც ერთი უსაქმო გამოხატულება, არც ერთი ზედმეტი აქსექსუარი. პუსენი ერთსა და იმავე სურათზე წინა პლანზე წარმოადგენს იუბიკერს, რომელმაც კალისტო მოიბოძა, სიღრმეში კი — მოიბოძლის ფიგურას, რომელიც უბუნებო ათარა. ეს შეცდომაა, რომელიც არ ეკადრება ასეთ კვიან მხატვარს. საქმე ის კი არ არის, რომ ტილოები ვაავსო. საქმეა

შენი სიუჟეტის ღრმად მოფიქრება. საქმეა, რომ ფიგურები თვითონ განლაგდნენ ისე, როგორც ბუნებაშია: ძლიერად, უბრალოდ და გასაგებად. სხვანაირად შე ისევე ვიტყვი, როგორც ფუნქციონალურად თქვა: ვიფიქრავ, არა უნდა ჩემგან? ფერმწერს ის საერთო აქვს მთელს მსოფლიო თითქოს აქამდე არც იყო შემჩნეული, რომ ორივე *moratae* უნდა იყოს, ორივე ზნეობრივად მაღალი უნდა იყოს. ბუშე არ ფიქრობს ამაზე, იგი მუდამ გრყვივის და არასდროს არ გზიბლავს. მე გაგებდებდი შეთქვა ბუნებათვის: შენ თუ ყოველთვის თვარამეტი მზარნივე გვაეს მხედველობაში, მაშინ მართალი ხარ, ჩემო მეგობარო, გაწარმე წერა და...“

და, ამავე დროს, მე სულაც არა ვარ მორცხვი. მე ხანდახან პეტრონოუსს ვითხოვლობ, პორაციუსის სატირს გადავტოვებთ გაბაშვილი წერს: „გახადო სათანოება მიმზიდველად, ბიწიერი საზიზღრად, სასაკილო თვალსაჩინოდ, აი მიზანი თვითველი ადამიანისა, რომელიც. ხელს ჰკიდებს კალამს, ფუნჯს თუ საქრისს“. რა ახლსაა ზელოვნების გაბაშვილისი სული გაგება „პეტრედვანიკების“ გაგებისთანავე ზელოვნების მიზანი ხალხის სამსახურია, სიმართლისა და ჭეშმარიტების სამსახურია, — ასეთია გაბაშვილის რწმენა, „ჩემი ფიგურები უტყვიან, — ამბობს იგი თვის ჩინაწერებში, — მაგრამ ისინი აკეთებენ იმას, რასაც მე ჩემს თავს ვესურბები“.

„განასხვავებენ ექსპრესულ და ფერმწერულ კომპოზიციებს. მე არ ვდარდობ იმაზე, მხატვარმა განალაგა თუ არა თავისი ფიგურები იმ ანგარიშით, რომ განათების რაც შეიძლება გასაოცარი ეფექტი მოახდინოს, თუ კი ფიგურათი ერთიანობა ჩემს სულს არაფერს ეუბნება. ყოველი ექსპრესული კომპოზიცია ამავე დროს შეიძლება ფერმწერულიც იყოს; თუ კომპოზიცია ექსპრესულია მთელი შესაძლებლობით, მაშინ იგი მარტო ამიტომ იქნება საკმაოდ ფერმწერული და მე მახარებს მიწვევა მხატვრისა, რომელმაც უკანასკნელ აზრს მსხვერპლად არ მოუტანა მხედველობის ორგანოს“.

თვითონ გაბაშვილის შემოქმედებაში კომპოზიცია კოლორიტთან ერთად ქმნის მის განსაკუთრებით ძლიერ მხატვრებს.

როცა გაბაშვილის სურათებს კომპოზიციის თვალსაზრისით ათვალიერებ, მაშინ ჩანს, თუ როგორ აბორციელებდა იგი თავის ნამწევრებში იმ მოთხოვნებს, რომელსაც უყენებდა თავის თავს და სხვებს. შეხედეთ მის განთქმულ „ალავერდობას“, რომელიც დაწერილია 1898 — 90 წლებში. მთელი ეს მრავალფიგურაანი კომპო-

ზოცია ერთიანი სიკოცილობა სავსე, ერთიანი მზიარულებით სუნთქავს. აქ ყველაფერი „უბრალო და გასაგებია“, რასაც ავტორი თხოვლობს კომპოზიციისაგან. დღეობა კახეთში, ალავერდის ტაძრის კედლებთან. ფერადი ნიშნებით გადახურული ურმები, მწვანე სიერკე, მინდორი, ფართოდ ტოტეხავილი ასწლოვანი ხე, — ყველაფერი ეს დაწერილია დიდი ოსტატობითა და ღრმა ჩიწვდომით და, ამავე დროს, ქმნის შესანიშნავ ფონს გლახთა ჯგუფებისათვის, რომელთაგან ერთნი საუბრობენ, მეორენი კი ყურს უგდებენ სახალხო მთქმელს.

აღუთ მისი არა მხოლოდ ფართოდ განთქმული, არამედ პატარა, მაგრამ დიდი ოსტატობით შესრულებული სურათები, აი, მაგალითად, „საკერპე“, თავისი ზღვიით, რომელიც შორეთში მოიხსნ, არაჩვეულებრივად მეტყველი ფიგურებით, ანდა გაიხსენეთ ასევე პატარა ტილო „კრება ხეისურეთში“ (ზეთი) და აქაც „არც ერთი უსაქმო ფიგურა, არც ერთი ზედმეტი აქსესუარი“.

მეტად საინტერესოა კომპოზიცია მისი ისეთი შედეგისა, როგორცაა „სამი მოქალაქე“. ეს არ არის ჯგუფური პორტრეტი და ამ სამი ვაჟის გამობატულება, ფსიქოლოგიურად დახვეწილად მოხატული სახეებით, შეიძლება განიხილო, როგორც ძველი, „მიმავალი თბილისის“ გამოსახვა. ხანდახან ამ სურათს რეპინის „ზაპოროჟიელებს“ ადარებენ, მაგრამ აქ სხვაობა მტრია, ვიდრე მსგავსება. მთავარი განსხვავება იმაშია, რომ რეპინთან ზაპოროჟიელები გაერთიანებული არიან ერთიანი მოქმედებით, მაშინ როცა გაბაშვილთან მოქმედება სულ არ არის. აქ არ არის არავითარი სიუჟეტი და ეს წელს-ზემოთა კომპოზიცია მეტისმეტად უდგება ამ უსიუჟეტო სურათს.

ასევე მოზღვნილადა გამოყენებული წელს-ზემოთა კომპოზიცია მის აკვარელურ პორტრეტში „სამი გენერალი“. ამ მშვენიერ ნამუშევარს, როგორც მისი მეგობრის თ. მოლბაუმის

ნათქვამიდან ჩანს, თვითონ გაბაშვილიც მაღალ შეფასებას აძლევდა.

გაბაშვილის დიდი კომპოზიციური ნიჭი გამოჩნდა მის მთელ რიგ შესანიშნავ პორტრეტებში, სადაც აღბეჭდილია მთელი ექოქა; გაბაშვილმა შექმნა ქართველი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, არტისტების და იმ უბრალო ადამიანების პორტრეტები, რომელთა სახეები იპყრობდნენ მის ყურადღებას თავისი ინდივიდუალულობით ან ნაციონალური თავისებურებებით.

გ. გაბაშვილის პორტრეტულმა შემოქმედებამ ქართული პორტრეტული ფერწერა ახალ და მაღალ საფეხურზე აიყვანა. ავითარებდა და აღრმავებდა რა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხელოვნების პორტრეტულ ტრადიციებს, გაბაშვილმა თავის ნაწარმოებებში იგი ფსიქოლოგიურ და სოციალურ პორტრეტამდე იამაღლა. მის მიერ დაწერილ პორტრეტთა შორის საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს პინისტ დე-როზას პორტრეტი. იგი შესანიშნავია კომპოზიციითაც, კოლორითაც, მუსიკოსის სახის ფსიქოლოგიური განხილვითაც. მოხუცს რუხი ქურქისა და კედლის მუქ ეოლისფერ ფონზე გამოიყოფა უღიმღამო სახის თავლის სანთლისებური სიფერმკრთაღე. ნაცრისფერია, რამდენადმე გამოხუნებული თვალები მკაცრად და ურადლებით იყურება. მზატვარმა შექლო შექმნა სახე მკაცრი და მარტოხელი მოხუცისა, რომელიც ჩაფლულია თავის ხელოვნებაში.

„უსაზღვრო ერთგულებით და სიყვარულით მომაქვს საჩუქრად ჩემი ხალხისთვის ჩემი მრავალი წლის შრომა“, წერს გ. გაბაშვილი ანდერძში, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ იპოვეს.

ის ფრაგმენტები გაბაშვილის ჩანაწერებიდან, რომლებიც ამ წერილში მოგვყავს, რემდენადმე შექს ფენს მისი, როგორც მზატერისა და ადამიანის, შემოქმედებით ძიებათა გზებს, გვხვმარება ამ შესანიშნავი, არაჩვეულებრივად გულწრფელი ადამიანისა და მზატერის სახის შექმნაში.



პაბლო პიკასო



პაბლო პიკასოს 75 წელი შეუსრულდა. მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა ეს მნიშვნელოვანი თარიღი. მოსკოვში მოეწყო სპეციალური გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო მხატვრის 90-მდე ნაწარმოები — ფერწერა, გრაფიკა, კერამიკა, პლაკატები.

პიკასო... მეოცე საუკუნის პირველ ნახევარს არ ახსოვს სხვა მხატვარი, რომელიც ერთიანად იგნორირებული იყო საზოგადოების მიერ. დაწყებული პირველი გამოფენიდან, რომელიც 1901 წელს პარიზში მოეწყო — დღევანდლამდე, როდესაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ფერწერის „ბილდუნდერ კუნსტის“ ფერტელეზე წარმოებს გაცხადებული დისკუსია მხატვრის შემოქმედების შესახებ, პიკასო მუდამ იყო და არის მთელი მსოფლიოს მხატვრული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. შეიძლება ამ მხრივ პიკასოს მხოლოდ ჩარლი ჩაპლინი გაეწიოს მეტოქეობა, მაგრამ ჩაპლინი უფრო გვიან, 1914 წელს, გამოვიდა მსოფლიო კერძნე.

ვლ. მაიაკოვსკი 1922 წელს პარიზში ყოფნის დროს წერს პიკასოს შესახებ: „იგი ყველაზე დიდი მხატვარია, როგორც თავისი გაქანებით, ისე მნიშვნელობით მსოფლიო ფერწერაში“. დაახლოებით ამავე წლებში ჩილიელი პოეტი ვისენტე უილიამო, რომელიც პარიზში ცხოვრობდა, დიდი შეგობარა იყო გიომ აპოლინერისა, ავტორი „ელეგიისა ლენინის სიკვდილზე“ წერდა: „პიკასო. სამი მარცვლი, რომელმაც გამოიკლა ათასი სამეღნე, გაკეთია ათასი კალაში... სამი მარცვლი, რომელმაც ვაიკო მრავალი გვერდი, წიგნები, თევები, წილები. პიკასო—ფერა, პიკასო—ფორმა, პიკასო—მოგვი, პიკასო—დღეობა, პიკასო—გენიოსი, პიკასო—ბრძენი, პიკასო—გიგი, პიკასო—ანგელოსი, პიკასო—ურჩხელი... პოეტის ამ პარადოქსულ თქმებაში, მაფრ და გაზეაღებულ ფორმაში, გამოხატულია მძვინვარეობის ფრანგული საზოგადოების სხვადასხვა ფენის ერთიანობის მნიშვნელოვანი შეხვედრებიანი მხატვარზე.

მასისკს, პირველი მსოფლიო ომი მჭიმვარებდა, 1915 წლის ზაფხულში, ჯერ კიდევ მოწოდებ, მაინჩემის მავიდაზე წვაყუდი მამინ საკმაოდ გავლენიანი ფერწერის „რუსკაია მისლის“ ნომერს. ერთი წერილის ექნაერმა სათაურმა მიაპყრო ჩემი ყურადღება—„სილამაზის გეამი“. მოახლოებულ რევოლუციის წინაშე დილისტერული შიშით შეპყრობილი სერგეი ბელტაკოვი პიკასოს შემოქმედებას არჩევდა და ახასიათებდა მხატვარს, როგორც „ემშაქის მოციქულს“. ავტო-

რის აზრით, შესადაუენების დროს პიკასოს უფროდ დაწვავდნენ კოკონზეო ამ წერილით პირველად გავიციანი პიკასო. გავიდა დრო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შესაძლებლობა მქონდა მოსკოვში მენახა სერგეი შტუკინის კოლექცია და „რუსკაია მისლის“ ავტორის გახსენება ჩემში უკვე ღიმილს იწვევდა. ბულგაკოვების ემიგრანტები გახდნენ, რუსი მეტყნატის მიერ შეგროვილი ახალი ფრანგული მხატვრობის, და მით შორის პიკასოს სურათები კი საბჭოთა მთავრობამ 1918 წელს ნაციონალიზაციის წესით „დასავლეთის ახალი მხატვრობის მუზეუმში“ (ახლა პეტროვის სახელობისა) მოათავსა და ხალხის საკეთრებად გამოაცხადა...

პაბლო პიკასო ესპანეთის ქალაქ მალაგაში დაიბადა 1881 წლის 25 ოქტომბერს. მხატვრის ნამდვილი გვარია — რუისი (Ruiz), პიკასო — მისი დღის, იტალიელი ქალის მარია პიკასოს გვარია, რომელიც შემდეგში მხატვარმა მიიღო. როგორც ცნობილია, მალაგას რაიონი ყველაზე მეტად წავიკვს ბუნებით, ჰავით და მოსახლეობის ზნეჩვეულებით აფრიკას. მალაგა ფინიკიელი მუზღაურების მიერაა დაარსებული. ვინ არ იყენებ აქ კართაგენელები, ბერძნები, რომაელები, ვესტგუთები. მაგრამ ყველაზე ძლიერი კვალი ამ ქალაქში არაბებმა დატოვეს. პიკასოს ზოგი პიროვნული აღნიშნავს რუისის მავრიტანულ წარმოშობას. შეიძლება ეს ასეც იყოს. ყოველ შემთხვევაში, პიკასო ახლაც ვატყუებულა დაპოვის და კონგოს ზანგების ქანდაკებით. მაგრამ პიკასო ნამდვილი ესპანელია, თუმცა მან ფრანგული მხატვრული კულტურისათვის უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ესპანურისათვის. ეს გასაგებია მყოველ საუკუნის დასაწყისისათვის აღფრთოვანებების მონარქია სამშინელ კრიზისის ვანიცილია, მეტადრე კულტურის დარღვი. არც ერთი, ასე თუ ისე, ნიჭიერი მხატვარი და მწერალი არ ზერდებოდა ესპანეთში და პარიზისაყენ მიიღტეოდა უწინ თუ დიდი რებენჩი ჩაილიაა მადრიდში და მოწინავეთი ათვალეებდა ესპანელი მხატვრების სურათებს, ახლა ესპანელი მხატვრები ლეგერში სწავლობდნენ. პიკასოს მამა, ბლასკო რუისი, თვითონ მხატვარი იყო (მემდეგ მან ბარსელონის სამხატვრო აკადემიის დირექტორობამდეც კი მიადგინა). პაბლო იდრე იწყებს ბატყა. 1897 წელს შედის მადრიდის სამხატვრო სკოლაში. 1900 წლის ოქტომბერში პიკასო პირველად გამოჩნდება სენის ნაპირებზე და 1904 წელს საბოლოოდ სახლდება პარიზში. მაგრამ პაბლო არ იფრყებს მშობლიურ ესპანეთს. ესპანური თემა პიკასოსთვის მუდამ ორგანული და აბლობელი იყო. ქე-

ტარე ახალგაზრდობისას. აღსანიშნავია ისიც, რომ ესპანურ თემაზე დაბატული სურათები თოქმის ყველა ღრმად რეალისტურია. აქ პიკასო ძველი ესპანელი მხატვრების ვრეკისი და შორა-ლესის, რინერასი და გოას ტრადიციებს აგრძელებს. ასეთები, მაგალითად, „მოზეცი ებრაელი ბავშვით“, „შეხვედრა“, რომლებიც 1902—1903 წლებშია შესრულებული (ინახება მოსკოვში). და ასეთია აგრეთვე ის ანტიფემისტური გრაფიკული სერია, რომელიც მან 1937 წელს შექმნა ფრანკოს დიქტატურის საწინააღმდეგოდ.

უნდა ითქვას, რომ 1936—1939 წლების ესპანეთის ამბებში დიდი როლი ითამაშეს პიკასოს ცხოვრებაში. მსოფლიოში განთქმულ პარიზელ მხატვარში იღვიძებს ესპანელი პატრიოტი და დემოკრატი. როდესაც ფრანკოს ფაშისტები შეესივნენ რესპუბლიკურ ესპანეთს, პიკასო უყოყმანოდ და მტკიცედ ჩაღვა ანტიფაშისტების რიგში. 1937 წელს პიტლერის ავიაციამ დაანგრია ესპანეთის პატარა ქალაქი გერნიკა. აღმოთებული პიკასო ხატავს სურათს „გერნიკის დაწვრთვა“, რომელიც ფაშისტების ვინაობის მკნებარე მხილვად იქცა უფრო მძლავრად მხატვრის გულისწყრომის და სიძულელი ფრანკოსადმი გასიხატული გრაფიკული სერიაში „Songe et message de Franco“ (ფრანკოს ოცნება და სიტყვა), რომელიც 14 თვითრისა და 4 გრაფიკურისაგან შედგება. აქ პიკასო თავისებურად აგრძელებს დიდი ესპანელი მხატვრის ფრანსისკო გოას ტრადიციებს. ფრანკო — ესპანელი ხალხის ჯალათი წარმოდგენილია როგორც ჯოჯობეთის მოცქეული. საურაღდებოა, რომ თოქმის ამავდროს, პიკასოს მეგობარმა, პეტრე პაბლო ნერუდამ თავის ერთ-ერთ ესპანურ ლექსში ფრანკო აგრეთვე ჯოჯობეთში მოათავსა: „შენ იქნევი მარტო, ყველასაგან წყველი, მარტო, და შენ არ მოგეკარება ძილი, მარტო, და შენ ირგვლივ მხოლოდ მკედრებია, და სისხლი დაგეცემა თავზე, როგორც წვიმა“. პიკასო უფრო შორს მიდის: ივერ ფრანკო ცხენზეა, თავზე გვირგვინი ადგას, ერთ ზელში ხმალა, მეორეში — დროში უკავია; რეაფეხა ურჩხულმა ჩაქუჩი აღმართა ანტიკურ ბიულტზე, როგორც კაცი-პატივითის თასწლოვანი ქვლტურის სიმბოლოზე; შვირი ბეიზაყის ფრწულ — დამბობილი ქალი, ფრანკოს ქუსლის ქვეშ მყოფი ესპანეთის სიმბოლო — ქვეწარმავალი გამძვინვარებული ხარის რქის ჩაოკობა (სიმბოლური გამობატლებია იჯანყებული ესპანეთის ხალხისა, რომელიც მარჯვედ დაუხვდა დამპყნებელს). სხვა ნახატებშიც — ფიზიკურად სახარტული ქვეწარმავალი თავის ცაცებით ქვეყნს კომპარტულ ქაოსს. და თოქმის ყველა ნახატში გამოხატულია გოიასებური სიძლიერით ფაშისტების სიტყვი და სისაძაგლე... (სხარტებლობ გ. ნელომივიზის არასრული აღწერით).

რამდენჯერმე მინახავს ფრანგული სურათების შუენინისეული კოლექცია მოსკოვში. აქ პიკა-

სოს დაახლოებით ოცდაათამდე სურათია. უნდა ითქვას, რომ მოსკოვში დაცული ნაგებობის სურათების კრებული მსოფლიოში უკანასკნელს აქმიდირესი და ბრწყინვალეა. აქ არის ისეთი შედეგები, რაგორც უკვე ნახსენებია: „მოხეცი ებრაელი ბავშვით“, „შეხვედრა“, აგრეთვე „ავი-მანი“, „ნატურმორტი. ვაზა მსსლებით“ და სხვ.

საერთოდ, პიკასოს შემოქმედებას რამდენიმე პერიოდად ყოფენ. როგორც ი. ერენბერგმა სამართლიანად აღნიშნა, ეს დაყოფა მეტად ხელოვნურია, რადგან ერთ განსაზღვრულ პერიოდში პიკასო რეალისტურ და არარეალისტურ სურათებს ხატავს, თანაც მუდმივ ექსპერიმენტულ ძიებებს აწარმოებს ფაქტურისა, ფერის და ფორმის სფეროებში. 1901 — 1904 წლები პიკასოს შემოქმედებაში ცნობილია როგორც „ცისფერი პერიოდი“, როდესაც მხატვრის სურათებში გაშეფერული ერთი ტონი — ცისფერი („შეხვედრა“ — 1902 წ.). „ვარსისფერი პერიოდი“ (1904 — 1907) ყველაზე საინტერესოა შინაარსისა და ოსტატობის მხრივ. ამ დროს პიკასო მოხეტიალე მსახიობების, აკრობატების, ამაშების და სხვა უბრალო ადამიანების ცხოვრებას ხატავს.

1906 წელს პარიზში გაიხსნა სეზანის ნაწარმოებების სიკვდილმემდგომი გამოფენა. როგორც თვითონ პიკასო ამბობს, „1906 წელს სეზანის გავლენამ... ყველაფერი დაფარა“. ახლა პიკასო უფრო ნატურმორტებს ხატავს. 1908 წელს მატისმა ამ სურათებს „კუბიზმი“ დაარქვა და ეს სახელწოდება შერას კიდევაც ამ მიმართულებას. (ყოველ ბრავი, პიკასო და სხვა). ამ კუბისტური პერიოდის სურათებიდან მოსკოვშია „იზაბო“, „ეოლარის პორტრეტი“, „ქალი მარათი“ და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ პიკასო არასდროს არ ყოფილა არც ერთი სკოლის ან მიმდინარეობის შემქმნელი. საერთოდ, ახალი „იზმების“ შემქმნელი ყოველთვის პორტები იყვნენ ისე, აპოლინერმა „გაოიგონა“ სურეალიზმი, ბიეტონმა და ტყარამ — დადიზმი და ა. შ. პიკასო ვერ იტანს მოამბებრებელ მიმდევრებს და მიმბაძველებს, „ყველა იმით, ვინც ბაძავს ჩემს შემოქმედებას, ჩემს ნაშეყვრებს, ჩემს მანკარგებას“ (პიკასო). საურაღდებოა, რომ ვან-გოგს მიმბაძველების საწინააღმდეგოდ მუდამ მოყავდა მიქელანჯელოს ცნობილი სიტყვები: „ჩემი ხელოვნების ზედგარა უღიდესი სულელების შექმნა“. პიკასოს მიმდევრები ბაძიდენენ მის ექსპერიმენტებს მხოლოდ, ამიტომ მათი „ნაწარმოებები“ ხელოვნების გარეშე დარჩნენ საერთოდ.

კუბიზმი უთუოდ იმპრესიონიზმის საწინააღმდეგო მოვლენაა. იმპრესიონისტები ნაგლებს ყურადღებას აქცევენენ კომპოზიციას, კუბიზმში კი სეზანის კომპოზიციის კონსტრუქციად იქცია. (იქედან კონსტრუქტივიზმი). სეზანის ფერწერას ახაიათებს კომპოზიციის მონუმენტობა, ფორმის სკულპტურულობა, ფერის ელერაობა და კონტრასტების რიტულობა. სეზანი ოცნებობდა იმპრესიონიზმის უფორმო ფერისათვის

ფორმა მიეცა. მაგრამ, როგორც ყოველთვის მოსდით ხოლმე ორთოდოქსალურ მიმდევრებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, აქაც სენანისტებმა გადააქარბეს: ფერისა და ფორმის ანალიზი მოახდინეს, რათაც საგნის დეფორმაციამდე მივიღწენ (საგნის გამოსახვა ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა თვალთახედვით, მაგალითად, ანფასითა და პროფილით). ეს კი უკვე კუბიზშია (ანალიტიკური მეთოდის შედეგად ფორმის დაშლა). აქედან ერთი ნაბიჯია აბსტრაქტულ ხელოვნებამდე. აქვე უნდა ითქვას, რომ აპოლინერი და მაქს ეკსობი, რომლებიც ლიტერატურული კუბიზმის შემქმნელებად ითვლებიან, უფრო რემბოს ტრადიციების გამგრძელებლებად არიან. მხოლოდ ჯოისი, რომელიც პოლა წლებში ზაუმამდე კი მივიდა, შეიძლება, ჩემი აზრით, ამ პერიოდის პიკოსის პარალელურ მოვლენად ჩაითვალოს ლიტერატურაში. (იხ. ჯოისის რომანის „ულისის“ ნაწყვეტები 1935 წლის ეფრნალ „ინტერნაცი. ლიტერატურაში“). მართალია, პიკოსი კუბიზმიდან მივიდა აბსტრაქციებამდე (დიფიზიონიზმი), მაგრამ ვასილი კანდინსკისავეთ (გარდ. 1944 წ.) კი არ გაიჩრდა ამაზე, არამედ „ნეოკლასიციზმზე“ გადავიდა. ჯოისი კი ზაუმის ჯერდმეულებს შერჩა ბოლომდე. („Work in Progress“). პიკოსს ეგრ. წოდ. „ნეოკლასიციური“ პერიოდი 1915 წლიდან იწყება. ამ პერიოდის სურათებში მხატვარი აღწევს უნგრის ნახაზის სიწმინდეს (იხ. „გლეხები“ 1919, „ზღვასთან“ 1921 წ. და სხვ.). მაგრამ ეს გასაკვირველი არაა, რადგან დაუცხრომელი, მოუსვენარი, მშფოთვარე და დაუდევარი პიკოსი მუდმივ ძიებაშია.

პიკოსის მხატვრული შემოქმედების შეფასება უნდა წარმოებდეს დღევანდელი მისი სოციალ-პოლიტიკური მრწამსის მიხედვით. მთელი მისი შემოქმედებითი გზა: ძიებანი, შეცდომები, გადახრები, გამარჯვებანი ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს შეფასებული. გარდა ამისა უნდა გამოვიყენოთ ისტორიული, მასშადად, მეცნიერული მიდგომა. კაკობალიტიკის სამყაროსადმი მტრულად განწყობილმა პიკოსმა განსაზღვრულ დროს განდევნა თავისი შემოქმედებიდან ბურჟუაზიული ცხოვრებიდან აღებული სიუჟეტი და „გმირები“, აშვედ დროს, ვერ დაინახა ახალი სოციალური ძალის გამოჩენა ისტორიულ არენაზე და ფორმალურ ვარჯიშობას მიეცა. როგორც უკვე აღენიშნეთ, 1936 — 39 წლების ესპანეთის ამბებმა დიდი გარდატეხა მოახდინეს პიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. მეორე მსოფლიო ომის დროს პიკოსი არაგონთან, ელვართთან და სხვა ფრანგ პატრიოტებთან ერთად ოკუპაციის პერიოდში წინააღმდეგობის მძლავრ მოძრაობაში იღებს მონაწილეობას. ზოგიერთი სხვა მხატვრისა და მწერლის მსგავსად პიკოსში არ დატოვა სიმშობლო, არ გაიქცა ამერიკაში. ჯერ კიდევ 1922 წელს ვლ. მაიაკოვსკიმ შესანიშნავად განსაზღვრა მხატვარი ერთეულ ბრავის პოლიტიკური ფიზიონომია

პიკოსთან შედარებით: „ЭТОМУ НЕ ДО ПРЕДПОЧТИ“ და მართლაც ბრავი წავიდა ამერიკაში, ასევე მოიქცა ა. გლუბო, მ. შაგალი, ა. არხიპენკო, ვ. ვარისი, ს. დალი და სხვ. ზოგი ფრანგი მხატვარი კოლამორაციონისტი გახდა (პრენი, ვლამენკი, ვან-დონგენი, ფრინი). სამაგიეროდ, პიკოსთან ერთად საფრანგეთში დარჩნენ (მართა დიდი სახელები რომ ჩამოეთვალოთ) ფერნან ლეჟე, ალბერ მარკე, ანრი მატიისი, ანტურ ლორე, ფრანს მანერეული და სხვ. დამახასიათებელია: როდესაც პიტერელები შეცვიოდნენ პიკოსის სახელოსნოში და „დანგრეული გერნიკა“ ნახეს, პეიზაჟს მხატვარს: „ესაც თქვენ გააკეთეთო“, პიკოსმა გაბედულად უპასუხა: „აა, ეს თქვენი წაკეთებულია“. ვიშის ხელისუფლებამ 1942 წელს დაპატიმრა კიდევაც პიკოსი, მაგრამ ხალხში უდიდესი პოპულარობის გამო, იძულებული იყო მალე გაეთავისუფლებინა. 1944 წ. ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე პიკოსი შედის საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში. მკვნებარე მებრძოლად, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა, პიკოსმა, როგორც ეკ დიუკლო აღნიშნავდა „ქუმანტეში“, „უდიდესი წელიწადი შეიტანა მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში“. 1949 წელს პარიზის კონგრესისათვის პიკოსამ პირველად დახატა „მშვიდობის მტრელი“. მაშინ მშვიდობისათვის მოძრაობა ჩასახვის პერიოდში იმყოფებოდა და პიკოსის მტრედიც მშვიდი და აუღელეებელია. გავიდა დრო, მშვიდობისათვის მოძრაობა მრავალმილიონიან ხალხს მოედო „და ბოლოს შეიქმნა მტრელი ენის კონგრესისათვის. ამ მტრელმა გაშალა თავისი ფრთები. იგი დიდებულო და მძლავრი გახდა, როგორც მშვიდობისათვის მებრძოლ ხალხთა სუნთქვა-სწორედ ეს სუნთქვა შლის ჩემი მტრელის ფრთებს“, წერს პიკოსი. თეთრი მტრედის დახატვა ანა სხვა მხატვარს არ შეეძლო, მაგრამ აქ მოთავითა ის გენიალური მიხედვრა, რაც პიკოსმა გამოიჩინა მშვიდობისმოყვარე ხალხების სანუკვარი მისწრაფების დროულად, ყველასათვის გასაგები ემბლემით გამოატეგაში. ამით გაამართლა მხატვარმა მის მიერ თქმული სიტყვები: „მე მუდამ ჩემი დროისათვის ვემუშობ“.

1951 წ. სურათში „მზეცობა კოჩიაში“ პიკოსმა გამოხატა თავისი გულსწყერობა ამერიკელ აგრესორების ბრძაბრობის გამო. 1952 წ. მხატვარი შეზობს ახალ სურათებზე „ომი“ და „მშვიდობა“, ქმნის მორის ტორეზისა და პოლ ლანგეენის პორტრეტულ ნახატებს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, პიკოსი ისევ მოუსვენარია, ტეპერამენტული და შრომისმოყვარე. კინორეჟისორი ს. იტრეკიითან საუბარში პიკოსმა მკაფიოდ გამოთქვა თავისი აზრი: „ყველაზე მოთვარია — რევოლუცია, მისი გამარჯვება. ამისათვის ვმუშაობთ ჩვენ, თვითიული თავისებურად, რევიოლუციამ უნდა გამოარჯევოს, და იგი გაიმარჯვებს“.



სოლომონ საიშვილი



ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები

ილია ჭავჭავაძის ყოველ პირად წერილს, რომელიც კი გადმოგვცემს გვლებთან მის ურთიერთობას, საკითხის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ მიზნით არის გამოკვეთილი ილიას თხზულებათა სხვადასხვა გამოცემაში საგურამოს შოურავ მოსე მემარნაშვილისადმი 1905 — 6 წლებში მიწერილი ბარათები. ამ ბარათებში ჩანს ენერგიული მოწოდება, რომ ყოველგვარი ღონე იხმარონ და „გლეხები არ აწიოყებიონ და ტუთილ-უბრალოდ არ გააფუქებიონ“ გამძვინვარებელი რეაქციის ძალებს.

ქვემოთ მოყვანილი უცნობი ბარათები ცოცხალი ილუსტრაცია იმისა, თუ როგორი განწყობილება და ურთიერთობა ჰქონია პოეტს გლეხებთან ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროს.

საინტერესოა დიდი პოეტის სამი წერილი გიგო აფხაზისადმი, რომელიც პოეტის დისწული იყო და მისი ყვარლის მამულის მოურავიც. ეს წერილები ბარათები შეიცავს მეტად საუერაღებო ცნობებს, რითაც ნათელი ხდება პოეტის შეხედულება 70-იანი წლების შეახანებში, მაშინ, როდესაც მას უკვე შექმნილი ჰქონდა „არდილის“ შრომის პირად მიჩნეული ადგილები, „პარაზის კომუნის დაეშის დე“ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მედროვე დემოკრატიულ ნიადაგზე იდგა.

ილია არ ეთანხმება თავის მოურავს გლეხებთან ისეთი შეთანხმების გაფორმებაზე, რომლითაც ისინი დაზარალებიან ნეოთიკად. მას არ სწამს მხოლოდ ოფიციალურ კანონებზე და ქალაქებში დამყარებული პირობა და მისი მახედვით მოქმედება. მისი სამოქმედო ნიადაგი და მყარი საფუძველი ზნობაა, სინდისია. მისივე აზრით, ქვეყანაზე, ქალაქის გარდა, არის კიდევ სინდისი, რომელზედაც უნდა იყოს დაფუძნებული ყოველგვარი საქმიანობა. პოეტი ითვალისწინებს რა იმდროინდელ სახელმწიფო კოდექსებს, რომელთა ყოველი მეხლი შეხატვისა და ექსპლუატატორ კლასთა სასარგებლოდ იყო გამოიხეული, ყოველთვის და ყველგვარში არ სურს მიმართოს მას. მისთვის არსებობს კიდევ სხვა, ადამიანური, ხალხური სინდისზე დამყარებული კანონები და ადამიანთა უფლება-მოვალეობანი, რომელიც საყოფარო უფლებების დაცვასთან ერთად ადამიანს მოეწოდებს სხვისი უ-

ფლებსა და ინტერესის პატივისცემისაყენ. როცა შენს პირად უფლებას იცავ, იქ სხვათა უფლებასაც პატივით უნდა მოეპყრაო, — ასეთია ამ დიდი ადამიანის დარიგება თავისი პირადი ჭონების დამცველისადმი. წერილის ადრესატს იგი, როგორც დისწულს, ენდობა. დისწულმა კი გადაჰყარა და მეზობელ გლეხებთან ახალი სამეურნეო ხელშეკრულების დადებით მათს უფლებასა და ინტერესს ფრთა შეაკვეთა, ამით „საქმეში უპირატესობა გაურთა“. გლეხთა მოსარჩლე დიდმა შემოქმედმა ეს იწყინა და თავისი ღვიძლი დისწული დატუქსა. ამასთანავე მას შემდგომი მეშაობის სახელმძღვანელო ღვიზიც დაუსახა.

ქვემოთყვანილი წერილებიდან ერთი (2) შეტანილია (წყაროს დაუსახებლად) ი. ბოცვაძის მიერ გამოცემულ „ილია ჭავჭავაძის წერილების კრებულში“ (სოხუმი, 1947 წ.), მაგრამ დაბეჭდილია შეცდომებითა და მცდარი კომენტარებით. ამიტომ მისი ზღაპოვრულ გამოცემა აუცილებელია. ამასთანავე, ამ წერილის გამოთქმა დანარჩენი წერილებიდან უმარტობლად იქნებოდა, რაკი ისინი ერთ რკალს წარმოადგენენ და ერთი წყაროდან მომდინარეობენ. სამივე ეს წერილი თავის დროზე დაუკული ყოფილა სოფელ კარდანახში მცხოვრებ ნიკოლოზ შერმაზანის-ჭე აფხაზის ოჯახში. 1908 წელს ისინი გადაეციათ გაზეთ „ამირანის“ რედაქციისათვის, რომელსაც წერილები ამავე გაზეთში № 158-ში გამოქვეყნებია. ამ პებლიკაციისათვის ყურადღება დღემდე არავის მიუქცევია და, ამრიგად ეს საუერადლებო მასალა მკვლევართათვის ჯერჯერობით უცნობია.

წერილების ადრესატს ილიამ უძღვნა მშენიერი ლიტერული ლექსი (იხ. ტ. 1, გვ. 21, 1925 წლის გამოცემა), ი. გოგებაშვილმა ეს ლექსი „ბუნების კარში“ შეიტანა. წერილებში მოხსენიებული ბიჭია, ტერენტი და გიორგი ღონიანდელი — ყვარელი გლეხები, ილიას ზერებისა და წიქვლის მოიჯარაფრენი. გიორგი ჭავჭავაძე იყო ილიას ნათესავი, ყვარელი მემამულე, რომელიც გადამტერებული ჰყავდა ილიას გლეხების გამოსარჩლების გამო და ამიტომ მამულების ჩამორთმევას ემეტებოდა; წერილში ნახსენები „შარაბანი“ ლია ეტლია, ხოლო „ღვანა“ (ანუ „ხაშ“) მისი აწილია და არა სხვების სა-

ხელები, როგორც ეს განმარტებულია ილია ჭავჭავაძის წერილების კომენტარებში (გვ. 193); „უცხო“ შინაური სახელია მიხეილ ჭავჭავაძისა, რომელიც იყო ილიას ახლო ნათესავი და „აკაცია ადაშიანის“ პირველი გამომცემელი. ელისაბედი და იყო ილიასი, სავანაშვილები გათხოვილი.

წერილები იბეჭდება იტოგრაფებთან შეჯერებით (იხ. საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხ: № 1760, 1761, 1762) და სტილისა და მართლწერის დაკეთა.

1.

ძალიან მეწყინა შენი უკანასკნელი წიგნი. მაგ შენს მეზერებთან მორიგებას და პათილამის ჩამორთმევას ფინთი გწმი უდის და სამაგვლი ფერი აქვს. თუ ღმერთი იწამს, გიგო. ეს ანდერძათ გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიონობა არ გაურიო. გასსოვდეს ყოველთვის რომ ქვეყნაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს.

Людских отношений не возможно основывать на безнравственном начале и дело, исходящее от нарушения нравственных принципов, в прок не пойдет. Помни на всегда, что нет прав без обязанностей, а обязанности в том и состоят, чтобы уважать, охранять, даже и отнюдь не нарушать чужих прав. примени все это к данному случаю и увидим, что дело с садовниками, тобою оконченное, не может быть одобрено правилами нравственности, следовательно не может быть признано мною. Вопрос не в том, что ты их подпиской оградила меня от притязаний закона, забыв совсем, что у людей есть еще и совесть, требования которой выше требований законов гражданских. Итак, мой милый Гуго, пока Биция и К° честно выполняют свои обязанности ко мне, честь моя не позволит нарушать их прав.

ამას ყოველფერს იიტიტობა გწერ, რომ მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ, სინდისის ბრძანებას ვასრულებ ხოლმე. ამის გამო ვენახის ჩამორთმევაზედ მე თანახმა არა ვარ, ვიდრე არ დამაჯერებ, რომ ბიქია და მისი კამპანია პირობას არ ასრულებენ. ბიქიამ თვითონ გამომიცხადა, რომ გალაკეთის ვენახის კეოება ჩვენ ხელს არ გვაძლევენ. რადგანაც მაგ ვენახის კეოება ბიქიას არ უნდა, უნდა ეკითხოს ტერენტისაც და თუ ისიც არ ინდომებს, მაშინ შენ გააკეთე. დიდი ზეარი კი მანამ სურვილი აქვთ ბიქიას და ტერენტის (უსათუოდ ორივეს) და მი-
12. „ნათობი“ № 11.

ნამ თავისას ასრულებენ, იმ დრომდე მაგას/ უფლების მე ვერ შევცხებო.

ისიც მეწყინა, რომ ჭამნიკები არ გამოიგზავნენ შენი ილია ჭავჭავაძე

ღვინოები არ დამიხარჯო და უჩემოთ არ გაყოლო.

19 ქრისტეშობისთვე. 1975 წ.

2.

დიდის ყვარლის მემატონის დიღო მოურაეო. ბრწყინვალეო თავადო გიგო! პირველად უფალსა ჩვენსა ესამთხოვ თქვენის ბრწყინვალეების ბედნიერებით სუფუვას და მეორედ გახარებუთ მას, რომ კუტრობასა ზედა თქვენმა ჩივილმა გასჭრა, ამა გაჭრამ განხნა ჩემი ჯიბე თქვენ და საკეთილოდ და ამის გამო გიგზავნით სამს თუშანს. ამას წინად სიუხვემან ჩემთან მოგართვათ თქვენ ერთი თუშანი გოგია ლონიაშვილის ხელით. დარწმუნებული ვარ, რომ რისხვა თქვენი აქამომდე როზვს დაჰკრავდა იმ უბედურს თუშანს და იმ თუშნიდამ ნაფულთუბიც აღარ იქნება.

მილოცავ ჩვენის დიდის ღირის მშვიდობით განთავისუფლებას და შეილიერებას. მიხარის ეს ამბავი ურიად და ურიადაც მშურს, რომ ჩვენი ღირის ძეობაში მარტო თქვენ დაესწრობით.

წოურის ვენახისას აი რას ბრძანებს ჩვენი მაღალგონიერება: თუ გიორგიმ დავიშალა გაცემება, ამაზე აქტი შეადგენინე მამსახლისს, აგრეთვე მოიტეც თუ გზა შეგვარა. ის აქტი ჩვენს ხარატის შეილს გამოატანე ჩემთან და მე აქვდამ საჩივარს გამოგვგზავნი. გიორგი თავის კაი კაცობით იძოღენა სიკეთეს მიზანს, რომ ყოველს ზიანს ყოველწლივ გადმიხდის და ამ რიგად მაგ წოურის ვენახიდან დაუსტყვევი მოსავალი მექნება. — თუ შეგზვდეს გიორგისთან ლასარაკი, ჩემს მაგიერ უთხარი, რომ რაკი ძალით წართმევა წოურისა გულში განუზრახავს, ჩემს სრულ ღონისძიებას ზედ გადაუკვებ და მაგას კი არ დაეგებრებებინებო. უთხარი, რომ დღეის ამას იქით წერასფერში ნუ დამინდობს და თუ მტრობა უნდა, პირდაპირ მიმტროს. იქნებ ჩვენც უცვლლო პასუხის ვაცემა. ჩატყდა იმე და მაგას შეა ხილი, თუმცა მე სრული მეცადინეობა ეიხმარე რომ არ ჩატყხილიყო, მაგრამ რაკი მაგან ეც მოინდობა, ბაშუსტა, ეს ბურთი და ეს მიოდანი, ბიქიას უთხარი, რომ რაკი ყვარლის ურმები ჩამოეკა, მაშინვე ეფუადი წვეილს ქვას და გამოვგზავნი. მხოლოდ გთხოვთ ჭკობით მანდ კარგს ვისმე მეწისქვილეს, რამოდენა სივანის ქვეით მოუნდება და მოუხერხებუბა ჩვენს წისქვილს, რომ იმოდენა ვიყიდო. სხეებერ ბრძანდებოდა მშვიდობით, დიღო მოურაეო პატარა მამულისაც, და მიგულე მე მზად თქვენის სამსახურისათვის.

დუგანა და შარაბანი ჯერ მანდ იყოს, გა-
ზაფხულზედ ჩამოვიგზავნე.

ღვინოები, თუ მუშტარი იყოს, გაყიდე — ოცდა-
თორშეუთუნად ურემი იმ პირობით კი, რომ
ღარაქლიანი ჩაღვით არ ამოიღონ და ზედ დასასხმე-
ლი არ ითხოვონ.

ცუცა თავისი ცოლით მომიკითხე.
27 თებერვალი [1876].

3.

შენი წიგნი, ჩვენო მოურავთ-მოურავო, გვე-
ბოძა. მაგრამ ის, რაც მინდოდა შემეტყო ვერ
შემატყობინა, თუმცა ჩვეულებრივ წიგნი გაბრე-
ლებული იყო. მე მოგწერეთ, რომ პროტოკოლებ-
ში თუ ჩემის საბელით ხელწერილია, რომ მეღ-
ქისედეგიანთ ტყუნიაც ზეთში სამი წილი აქვსთ,
მამინ უნდა ამას დათანხმებულით და ამ რიგით
გაგეყოს, თუ არა და უნდა გეთხოვნათ, შუა გა-

გეყოს. ამისი შენს წიგნში არა არის რა ეღი-
საბედთან ჩვენ სანახევროდ უნდა გავყოთ და არა
ისე, როგორც შენ იწერები.


აქ ამზობენ, რომ ნაიარმა ძალიან წაახდინა
ვეარულში ვენახები და შენ კი არც-კი მატყობი-
ნებ ვენახის ამზავს, თითქო უცხო ვიყო. ათი თუ-
მანი სამკალად ითხოვე და დაგინარჯავს კიდევ,
როგორც დედაშენი მწერდა და მაგ ათის თუნით
სამი ურემი პური მოგიპოვებია. კაი სარგებელია,
მაგრამ მე და შენ ერთი კაი ნუვეში გვაქვს:

Что с возу упало, то пропало. Но если так
будет продолжаться, Бог даст, дойдем до
того счастливого положения, что с возу не-
чего будет упасть и тогда ничего не про-
падет у нас.

მომიკითხე შენი თავი, ცუცა და აფლანი.

შენი ილია ზავზავამ

12 აგვისტო [1876]



★

პოეზია და ხალხი

გ. შერკვილაძის შრომაში „პოეზია და ხალხი“ მარქსისტული ესთეტიკის საფუძვლებზე დაყრდნობით განვითარებულია შემდეგი დებულება: „...პოეზიის უპირველესი მოვალეობაა ენაპატრონის ხალხს, იგი უნდა ემხრობოდეს აღმართს გარდაქმნის ცხოვრება, მოაწყოს იგი მაღალი საზოგადოებრივი იდეალის შესაბამისად“ (გვ. 203). ეს არის მთელი შრომის ძირითადი თეზისი. იგი საესებით მართებულია, მაგრამ წიგნი ვერ მიიქცევა მკითხველის საკმაო ყურადღებას, რომ ავტორი ამ ცნობილი ტემპორიტეტის პოპულარიზაციით შეზღუდულაყო. გ. შერკვილაძის შრომაში წიგნის სათაურით გამიზნული პრობლემის პარალელურად განხილულია ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითადი საკითხები. ავტორი ხელოვნების მთავარ ობიექტად საესებით მართებულად ითვალისწინებს ცხოვრების სინამდვილეს და მოაგონებს შერკვილაძის პარტიის მოწოდებას, რომ „... ღრმად შეისწავლონ სინამდვილე მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად დაუფლების საფუძველზე, რაც შესაძლებელს ხდის მთელი სირთულით და სისრულეთი ვხედვდეთ ცხოვრების ნამდვილ სიმართლეს, როგორც იგი გვევლინება თანამედროვე საერთაშორისო პირობებში“ და ასახონ მხატვრულ სახეებში საბჭოთა სინამდვილე. მაგრამ ასახონ არა ფორტრაფივლად, უტენდენციოდ, ასახონ არა ისე, როგორც ფორმალნიზმი და ნატურალიზმი მიმდევრები ქადაგებენ, არამედ გაიარონ სინამდვილე და შეაფასონ იგი მარქსისტული თვალსაზრისის საფუძველზე. ანტიმარქსისტული ესთეტიკის მიმდევართა წინააღმდეგ, ავტორი შრომის დასაწყისშივე ამბვილებს ყურადღებას ფაქტზე, რომ „უკუშარიტიტი პოეზია მუდამ შესანიშნავად გადმოსცემს ხოლმე იდეალის სულს, მის გრანძობებსა და აზრებს...“ (გვ. 5). ავტორი შესავალ ნაწილშივე ავლენს ლიტერატურის შემეცნებისა და აღმზრდულობითი მნიშვნელობას. საესებით სწორია დებულება, რომ სინამდვილის ასახვა, „ცხოვრების დიდი სიმართლის დანახვა, მხატვრული შემეცნება თანამედროვეობის მოწინავე ლიტერატურაში წარმოებს კომუნისტური, დემოკრატიული, პროგრესული იდეალის უშუალო ზე-

გავლენით“ (გვ. 9). აღნიშნავს რა ლიტერატურის მაღალი იდეური შინაარსის წამყვან მნიშვნელობას, ავტორი სათანადო აღვილს უთმობს მხატვრულ ფორმას, რომლის დაუფლების გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ ნაწარმოების ესთეტიკური მნიშვნელობაზე ვილაპარაკოთ. იგი მართებულად იყენებს ზ. ბელინსკისა და სხვა დიდ რევოლუციონერ დემოკრატთა შეხედულებებს ხელოვნების მაღალ ქმნილებებში მხატვრულობისა და იდეურობის შეთავსების შესახებ. ავტორი თანდათან ივითარებს თავისი შრომის ძირითად თეზისს და წიგნის დასასრულში მკითხველი მიჰყავს წინა თავებში მოცემული მსჯელობებიდან გამოვლინარე შემდეგ დასკვნამდე: „პოეზია უნდა ზრდიდეს აღმართის მაღალ მომთხოვნელობას, მის ჰუმანურ სულს, უნერგავდეს მას ცხოვრების საყვარულს, განაცდევინებდეს ესთეტიკურ სიამოვნებას, აღზრდიდეს მისში მაღალ მორალურ თვისებებს, აღანთებდეს დიდი ბრძოლისათვის. პოეზია თავისი დიდი მხატვრული შესაძლებლობებით უნდა ემხრობოდეს აღმართს შეიცნოს სინამდვილე, აითვისოს ცხოვრების მოვლენები, გაეყვეს მათს სირთულესა და მრავალფეროვნებაში...“ (გვ. 203).

ავტორი დასკვნის, რომ საბჭოთა პოეზიის მოვალეობა ხალხის წინაშე არის კომუნისმის იდეის გამარჯვებისათვის ბრძოლა. შრომის ძირითად ნაწილში თეორიულ დებულებათა საინლესტრაციოდ გ. შერკვილაძეს განხილული აქვს ქართული საბჭოთა პოეზიის ცალკეული ნიმუშები. ასეთია, მგავალიად ი. გრიშაშვილის ლექსის „სინათლის“ და აგრეთვე გრ. აბაშიძის და ი. ნონეშვილის დამახასიათებელი პოეტური ქმნილებების განხილვა.

სარეცენზო წიგნი ავტორს მართებულად აქვს დანიჭებული პოეზიის ბუნება და მისი სახალხო დანიშნულება.

ამ ღირსებასთან ერთად წიგნში აქა-იქ გვხვდება ზოგიერთი მცდარი ან დავის გამოწვევი მსჯელობანი ან კიდევ ისეთი დებულებები, რომელთა დაზუსტება სავირო და შესაძლებელი იყო. დავასაბლოთ ზოგი მათგანი.

სარეცენზო შრომაში გ. შერკვილაძეს მისი პრინციპულად სწორი დებულების დასამტკიცებლად (რომ შერკვილაძის ცხოვრების დადებითსა და უარყოფით მოვლენას ტენდენციურად გვიყენებს, ხოლო უარყოფითი თუ დადებითი სახის

„წამდელი მხატვრული ჩვენება გარკვეულ ვითარებაში ემოციონალურად აღძრავს ადამიანებს გარკვეული დადებითი მოქმედებისათვის“) დამოწმებული აქვს ენგელსის აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანი ხასიათდება არ მარტო იმით, რასაც აცეთებს, არამედ იმითაც, თუ როგორ აცეთებს. ამ დებულებაში, — წერს გ. მეტკელიძე, — ენგელსის მიერ ხაზგასმულია იდეური მხარე, რასაც ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს შემოქმედი ტიპებისა და ხასიათების შექმნის დროს“ (გვ. 15). ენგელსი საერთოდ დიდ ყურადღებას აქცევს ლიტერატურის იდეურობას, მაგრამ იმ ადგილზე, რასაც სარეცენზიო შრომის ავტორი იმოწმებს, ენგელსის მიერ ხაზგასმულია არა იდეური, არამედ ფორმალური მხარე. „მხატვრული ხერხი. ენგელსის დედანში სიტყვები „რას აცეთებს“ და „როგორ აცეთებს“ მართლაც ხაზგასმული აქვს იმ მიზნით, რომ ყურადღება გარკვეულ მომენტში ფორმალურ მხარეზე გაამაგვილოს. იგი ლასალისადმი გვიხაზავს წერილში, საიდანაც არის ეს აზრი დამოწმებული „ფრანკ ფონ ზიკინგენის“ განხილვის დასაწყისშივე აშობს, რომ „ყველაზე დიდი ფორმის შევსებით (იხ. K. Маркс, Ф. Энгельс, „Об искусстве“. М. 1937. გვ. 176). ენგელსი მიუთითებს, რომ გრძელი მონოლოგები, რომლებითაც იღია უფრო ნათლად იხატება, ტრაგედიისათვის, რომელშიც მოქმედების სიცოცხლეა მხატვრობის პირობა, გამოუსადეგარა. გრძელი მონოლოგი დრამატულ ნაწარმოებში ენგელსს საშარლოანად მიაჩნია „კედ“ ინდივიდუალიზაციად და ლასალს ურჩევს თავის „ზიკინგენში“ მისი გამოყენების ნაკლებად შეიტანის მოქმედების სიცოცხლე, დაუპირისპიროს ხასიათები ხასიათებს, გვიჩვენოს ადამიანი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, ვეჩვენოს პირობები, გარემო, რაც ადამიანის მოქმედების თავისებურებებს იწვევს.

სარეცენზიო შრომის მე-19 გვერდზე მოცემულია მხატვრული ლიტერატურის ამგვარი დაყოფა: „ცალკე აღებული მხატვრული ლიტერატურა იყოფა პოეზიად, პროზად, დრამატურად...“ ასეთი დაყოფა უმართებულოა ვიწრო მნიშვნელობით პოეზიაში იგულისხმება ლექსად დაწერილი მხატვრული ნაწარმოები. ციტირებულ ფრაზაში იგი ამ მნიშვნელობით არის ნახშირი. უმჯობესი იყო ლიტერატურის დაყოფა ეპოსად, ლირიკად და დრამად, რადგან ასეთი კლასიფიკაცია დაქვედრებულია და მისი მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია.

ვერ დავეთანხმებით სარეცენზიო შრომის ავტორს იმის მტკიცებაში, თითქოს ჩვენი ცხოვრების უარყოფითი მხარეები — ურტობა, ვაუღანავა, ყუღმალბობა და სხვა მხოლოდ წარსულის გადმონაშთებია. მართალია, უარყოფითი სახის წარმონაშთზე წარსული ახდენს მნიშვნელოვან გავლენას, მაგრამ უარყოფითი სახის შექმნა მის წარმომშობ ტიპურ გარემოს ჩვენების გარეშე ეწინააღმდეგება საბჭოთა მწერლის მხატვრულ მეთოდს და მის მიზანდასახულებას. ასეთი „საბე“ ყალბი და არადამოკრებელი იქნებოდა. პარტია გვასწავლის, რომ საბჭოთა კრიტიკა, რომელიც გზას უჩვენებს ზელოვნებას, უნდა იბრძოდეს „სინამდვილის ყალბად ასახვის წინააღმდეგ. მისი შელაპარაკების ცდების წინააღმდეგ ან, პირიქით, იმის ცდის წინააღმდეგ, რომ გააბიბრუნონ და ჩირქი მოსკონ იმას, რაც საბჭოთა ხალხს მოუპოვებია“. ამ საკითხის მართებულად გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სატირის განვითარებისათვის.

გ. მეტკელიძე მისი შრომის ძირითადი თემის — პოეზიისა და ხალხის გაშუქების დროს მართებულად იყენებს დიდი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელნსკისა და ჩერნიშევსკის შეხედულებებს. სასურველი იყო მათ გამოყენებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ცნების დაზუსტება. ავიღოთ, მაგალითად, ცნება „ახლი“. ეს სიტყვა სხვაგვარად ესმოდათ პუშკინს და ბელნსკის, სხვაგვარია მისი შინაარსი დღეს. ლიტერატურის ხალხურობის განვითარების შემდგომი საფეხურია მისი ეროვნულობა. ბელნსკიც ამხაზულებდა ყურადღებას ლიტერატურისა და ხელოვნების ეროვნული ხასიათის შესახებ, რაც უკანასკნელს აუცილებელ პირობად მიიჩნდა იმისათვის, რომ მხატვრულ ნაწარმოებს საკაცობრიო მნიშვნელობა მიეღო. სასურველი იყო სარეცენზიო შრომის ავტორი ამ საკითხზე შეტანს შეხედულებათ.

შეუხედავად ზემოაღნიშნული შენიშვნებისა, გ. მეტკელიძის შრომა თემის ძირითადი საკითხების განხილვის დროს მარქსისტული ესთეტიკის პრინციპების სწორ გაშუქებას ეყრდნობა. იგი მიზნად ისახავს წართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშების ანალიზის საფუძველზე უცხადყოს საბჭოთა ხელოვნების ხალხურობის ძირითადი ნიშნები. ამ ნიშნების სწორი გაგებით სარეცენზიო შრომის ავტორი მართებულად ავლენს საბჭოთა ლიტერატურის იდეურ გამიზნულობას და იცავს სოციალისტური რეალუზმის პრინციპებს. ყოველივე ეს ცხადყოფს სარეცენზიო წიგნის აქტუალობას და მისი გამოცემის მნიშვნელობას.

რომანი საკოლმეურნეო სოფელზე



ივანე ურჯუმელაშვილის რომანი „თანატორები“ გვიხატავს თანამედროვე სოფლის ცხოვრებას. ნაწარმოებში ნათლად და მკვეთრად მოჩანს უბრალო ადამიანების, რიგითი კოლმეურნეების მისწრაფება შექმნან მატერიალური ღრედათი, ბუნების ძალთა გამოყენებით დაამკვიდრონ უკეთესი ცხოვრება, მისწრაფება, რათა აღორძინდეს, გაძლიერდეს კოლმეურნეობა და ამაღლდნენ ადამიანები უანგარო, პატიოსანი, თავდადებული შრომით.

ამ კეთილშობილურ და ბუნებრივ მისწრაფებას თითქოს არაფერი არ უნდა უშლიდეს ხელს, მაგრამ მწერალი გვიჩვენებს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ელმობიან საკოლმეურნეო სოფლის წინსვლას. ავტორი ამ წინააღმდეგობების ჩანასახს პირველ ყოვლისა თვით ადამიანებში ხედავს და ეს მართალიც არის. ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მოიპოვებთან ისეთი პირები, რომელნიც წარსულის გადმონათებისაგან არ არიან განთავისუფლებულნი. სწორედ ამ გადმონათებითან ბრძოლაზეა აგებული რომანის სიუჟეტური კონფლიქტი.

ივ. ურჯუმელაშვილი კოლმეურნეობაში სიბზლის დანერგვის ინიციატორებად ახალგაზრდები გამოიყენებს. ეს ბუნებრივიც არის. კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი კომკავშირელი ახალგაზრდობა მართლაც სახელოვნად იბრძოდა და დღესაც იბრძვის სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ამ ნაწარმოებში ბრძოლა სწარმოებს ერთი მხრით რაიალისტკომის თავმჯდომარე დიმიტრი ჭრელაშვილის, სოფელ წინაყარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯავახის, ამ უკანასკნელს დამაშინებელ საწყობის გამგე იაშასა და მეორე მხრით კომკავშირელი ორგანიზაციის მდივან ვახტანგ ხასიაძის, ახალგაზრდა აგრონომ ნათელა მეცხვარიშვილისა და მოწინავე მეტროლოგ ნატოს შორის.

კომკავშირელი ახალგაზრდები ამკარად ხედავენ ჯავახის უპატიოსნო დამოკიდებულებას საზოგადოებრივ საქმიანობაში, მის ყოყონობას, თვითნებობას, ცდებს ახალგაზრდათა ინიციატივის ჩახშობისა. პირუთენელი, პირდაპირი და თავდაუზოგავი ახალგაზრდები, განსაკუთრებით ვახტანგი და ნათელა, ბრძოლას უცხადებენ ჯავახს, მაგრამ ეს ბრძოლა მარცხს ვანიცდის, რადგან ჯავახს მფარველბა ილმასკომის თავმჯდომარე დიმიტრი ჭრელაშვილია. ჯავახი კი თავის მხრივ სახელს უტეხს ახალგაზრდებს, ყველა მათ წამოწყებას ახშობს:

— „ჯერ ახალგაზრდებმა ხართ, ჩემი ჭკუის დამრჩეველბა არ გამოდგებით, ხომ გასაგებია? "

თქვენ ვინა და მე ვინა? " — თქვენს ჯავახი ახალგაზრდებს.

ილმასკომის თავმჯდომარე ჭრელაშვილი ესულგული ადმინისტრაციების წესით ხელშეკრულებას კოლმეურნეობას:

— სალაპარაკო აქ არაფერია, — ამბობს იგი, — ისა სჯობია სწრაფად აიღოთ მოსავალი და დროზე შეასრულოთ პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. არ შეასრულებთ, მოგხსნით, პარტიიდან გავრაცხეთ. შორისა! "

ჯავახის დამოკიდებულება ახალგაზრდობასთან შემოხვევითი არ არის. ყოყონაკაი, რომელიც თავის მტერს სწინადა მთელ სოფელში, ახალგაზრდა აგრონომს ნათელას კოლმეურნეობაში ჩასვლის პირველი დღიდანვე მტრულად ხედება. როდესაც ხევის წყლის ადიდება კოლმეურნეობის ნათესები წალუკა, ნათელამ თვითონ შეიმუშავა პროექტი ამ შივის მდინარის კალაპოტში მოქცევისა. ეს საკითხი კომკავშირის ორგანიზაციის კრებაზე დაუყენეს კიდევ. კომკავშირელთა ინიციატივა, რომ ხევისწყალი კალაპოტში მოექციათ და მთელ სოფელს სარწყავად გამოუყენებინა, ჯავახში ჩაბნო, უკუგებობად ჩაივალა. თი, ისეთ პარტებს გამოუცხადეს ბრძოლა ახალგაზრდებმა და კიდევ მიაღწიეს მიზანს: ჯავახი და მისი მფარველი ჭრელაშვილი მხოლბული იქნენ თვითონ კოლმეურნეებისა და პარტიის რაიკომის მიერ.

ორი კოლმეურნეობა ერთიანდება და ჯავახის ინიციატივა რომ მას თავმჯდომარედ აარჩიოდნენ არ გამართლდა. თანატორები — ვახტანგი, ნათელა, ნატო იმარჯვებენ და ახალგაზრდები-სათვის ჩვეული ხალისით განაგრძობენ შრომას.

რომანში ვითარდება სიყვარულის ორი ხაზი — ვახტანგსა და ნათელას, იაშასა და ნატოს შორის. მათი ურთიერთობა საკმაოდ წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს და აღსავსეა ფსიქოლოგიური განცდებით, სულიერი მღუღღარებით, იჭვევით და საბოლოო სიბარულით. განსაკუთრებით ეს ითქმის მეტროლოგ ნატოს შესახებ, რომელსაც შეუყვარდა იაშა. იაშა ცხოვრების მრუდ გზით მიდიოდა, ამიტომ მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება პირველ ხანებში მწიკვე იყო. ეს გაერმოება კი იწყებდა ერთგვარ დამბზბულბას, საკმაოდ ძლიერ კონფლიქტს ორი ახალგაზრდას შორის.

დღევანდელი სოფლის კოლმეურნეობის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს რეალისტურად გადავიშალოს ადამიანთა ცხოვრება, მათი შინაგანი ბუნება. ზოგიერთბა პერსონაჟი, მაგალითად ჯავახი, ნათელა, ვახტანგი, ნატო ავტორს საკმაოდ რელიეფურად აქვს მოხაზული. ჯავახი მწერლის მიერ მკვეთრად დახატული რეალისტური სახეა.

ივანე ურჯუმელაშვილი. თანატორები. სახელბამი. 1956.

ივ. უჩაძემელაშვილის ენა დახვეწილი და კარგადეა გამართულია, მაგრამ ზოგჯერ გვხვდებიან „შეცოდებანი“. მაგალითად :

„ლევანს შიგ ბაღში უდგამა კოსტა, ორსართლიანი სახლი“, უნდა იყოს უდგას.

„უნდოდა აღარ გაეგონა ეს გულსკველული სიტყვები“. უფრო სწორი იქნებოდა: „არ უნდოდა ამ გულსკველული სიტყვების გაგონება“.

„საბრძნე კბილებიც გამოუჩნდა“, — უნდა იყოს, „სიბრძნის კბილებიც გამოუჩნდა“. გარდა ამისა, ულახოთოდ ისმის ქართულ წინადადებებში ასეთი სიტყვები:

„დაბუქსავეა“, „შინა“, „მეკანტროლებთ“, „მბრებთ“ და სხვ.

ძალიან ცუდი შედარებაა გამოყენებული დაქუცმაცებული ველმინდვრების დასახასიათებლად: „ჩვენი მინდვრები შეტად პატარა ნაკვეთებად არის დანაწილებული, თანაც ისეა ერთმანეთში შეკრიბლ-შემოკრიბები, გვგონება მოსიყვარულ ნუნუ-დედოფლის ხელფები იყოს“.

ეს სტატია იგრეთვე შემდეგი მხატვრული სახე: „ქოჩორა იმიტომ შეურქმევიათ, რომ მის მწველი ჯგუფად მღვარი ოციოდ ცაცხეა ყმაწვილი კაცის ქოჩორივით შონანს დაბლიდან“. ეს წარმოდგენელია, ოციოდ ცაცხე (ცანა ოციოდ ცაცხე კოტაჟი) როგორ უნდა მოჩანდეს ყმაწვილი კაცის ქოჩორივით?..

დასასრულ უნდა აღინიშნოს ერთი შეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. წიგნს როგორც წესია, რუსულად აქვრია რომანის სახელწოდება და ავტორის გვარი და სახელი, ერთად ერთი სიტყვა რუსულად „თანატრება“. ვედლოში არის დაბეჭდილი. რა უჭირდა იმას, ვისაც ეს ევალება, რუსულად წაეკითხა და სწორი რუსულით დაეწერა „Ровесники“-ს ნაცვლად „Ровесники“. სამწუხაროდ სახელგამის სხვა გამოცემებში ხშირად ვხვდებით ასეთ შეცდომებს.

ელეზბარ ჯღვინიძე

საალი შირაჯელი „გუსტანი“

შე13 საუკუნის ტაჯიკურ-სპარსული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის საადის თბზულუბა „ბუსთანის“ („ხეილანარი“) წარმოადგენს ითი კარისგან შემდგარ დიდაქტიურ პოემას, რომელშიც ოცხლად და მიმზიდველადაა გადმოცემული ავტორის შეხედულება ამათიმი ყოფაცხოვრებით საერთოზე. დიდაქტიური ენარი ტაჯიკურ-სპარსულ ლიტერატურაში საადიმდორ საუკუნეზე მეტს იფილის. მაგრამ საადიმ ვენილერად მოახერხა კიდევ უფრო შიდალ საფეხურზე აყვინა ეს ენარი. დარბევებს შორის ჩართული იგავები, სადა, ბუნებრივი და ამავე დროს უადრესად მხატვრული თბრობა, ავტორის დიდი სიბრძნე და პრაქტიკული გამოცდილება — ყოფლივე ეს საყვარულ წიგნად ხდის „ბუსთანს“ სხვადასხვა წრის მკითხველისათვის. ეს ძველი სინტერესოა იმ მხრივაც, რომ საადიმ ამ წიგნში წარმოავლიდგინა იმდროინდელი ფეოდალური ქალაქის მორალური კოდექსი, მოგვცა რეალური ცხოვრების ცოცხალი სურათები.

გასაგებია, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ძველის პირველ ქართულ თარგმანს. მიუხედავად იმისა, რომ იგი შემოკლებულად იბეჭდებო, მკითხველს შეუძლია გარკვეული წარმოდგენა იქონიოს ამ პოემაზე.

„ბუსთანის“ ამ პირველი ქართული თარგმანის ღირსებად უნდა ჩათვალოს ტექსტის კარგი გავება და ძირითადში მისი სწორი გადმოცემა. მართალია, როგორც რედაქტორი მ. თოდუა აღნიშნავს ბოლოსიტყვაობაში, ა. ქველიძეს არ ჰქონია ხელთ „ბუსთანის“ საუკუნეო გამოცემა (იგულისხმება მოამედ ილი ფორელის მიერ გამოცემული ტექსტი), მაგრამ, ვიშვორებთ, ძირითად ნაწილში შინაარსი მშვენიერად არის წაკით-

ხული და გადმოცემული. მით უფრო დასანიხაო ზოგი ისეთი გადახვევა, რომელიც სახეებით ცვლის ან ამახინჯებს და აბუნდოვანებს შინაარსს. მაგალითად: შესავალში, რომელიც თარგმანში რატომღაც წიგნს გარეთ არის გამოტანილი და საგრძნობლად შეკვეცილი, საადი ერთგან განმარტავს „ბუსთანის“ დაწერის მიზეზს: გულში ვთქვი: მისრუთიდან ყანდ წამოვიღებ, მეგობრებს საწუქრებს მივცეან.

მაგრამ შემდეგ გადმწევებს წიგნი შეუპოვად და ის ჩამოიტანოს შაქრის ნაცვლად. ეს ზერხი ჩვეულებრივია საადისათვის (მღარ. „გოლუსთანის“ შესავალს). თარგმანში ეს აღვლილი „აეა ვაეე-მელი:

და გადაწყვეტე, ეგვიპტადე, ეთარაე ძღვენი, მათთვის შაქარი წამომელო, ასე დე აე ვქენი. ეს ასედაც ვქენი“, რომელიც იქნებ რითმის გამო ვაჩნდა, უკარგავს შიულ აზრს შემდგომი დაბრისპირებისას თბზულუბასთან.

სადის ერთ-ერთი სენტენცია შემდეგში მდგომარეობს:

შეგლს აღრევე უნდა მოსტრა თავი, და არა რაეა დიგულჯს ხალხის ცხვარს. მთარგმნელს ეზაფეთის (ვაეშირა) გარეშე წუკთხავს ტექსტი (ზომა კი მოითხოვს ეზაფეთიან წყაიბთხავს — „გუსლფანდანე მარდომ“) და მიუღია:

შგლის თავი დროზე უნდა იქნას მოკრილი დანით, სანამ ცხვირით არ გავლიჯა მან კაცი(7) ტანი“. (ცვ. 9).

შე-7 კარი იწყება დარიგებით, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა ებრძოლო შენს ნაკლოვანებებს და არა გარეშე ვინმეს:

შენ შენი თავი ბავშვითი გოგონით გაწერეთენი, მძიმე გურზით ხალხს ტყენს ნუ უჩეჩქევე. ქართულ თარგმანში რატომღაც აზრი შეცვლილია:

შენ შენი თავი, როგორც ბავშვი, გაწვებულ კარგად

და მტერს კი თავი გაუჩეჩქე, შემოქარი მაგრად. შეიძლება კიდევ რამდენიმე აზარულად გადმოცემული ადგილის აღნიშვნა (გვ. 10, 12, 38, 68, 98, 125), მაგრამ მათი, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნული მაგალითების, გასწორება ადვილი საქმეა.

ა. ჭელიძე ყველგან ცდილობს ზუსტად გააქვეს დღედან და იქნებ ამ ზედმეტი სიფრთხილის გამო ზოგჯერ უხერხულ თარგმანს იძლევა. სპინიმოდ აღნიშნავთ რამდენიმე მაგალითს: —ერთი ვერძი გადაეკიდა ბრძენ დიდებულს და ცდილობდა როგორმე მასსა რაიმე ნაკლი მოეტყვნა, რათა მეფესთან დაესმინა:

ვერ უნახა იმ ბრძენ ვერცერთი ნაბრალი (ზნარი),

რათა მასში შეძლებოდა დასმენის ჩარტყმა. თარგმანში ეს ადგილი ასე უხერხულად ძღერს:

ვერ ახერხებდა ამ ბრძენ კაცთან მოშურნე მტერი,

რომ მის ნახვერეტში ჩაეყარა სიბიწის მტვერი...

ზოგჯერ ერთობაგივე კომპოზიტი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა მნიშვნელობის მქონეა. ამიტომ ზუსტმა თარგმანმა შეიძლება აზრი შეცვალოს. სპარსულში „ხელმოკლე“ (ქუთაბდასთ) ნიშნავს სუსტს, მოღუნებულს. ქართულში, როგორც ცნობილია, მას სხვა გაგება აქვს. საადი წერს:

ორ სუსტ მტერს შორის მშვიდად ჯდომა უგუნურება იქნება.

თარგმანში ეს აქცენტი (სუსტი მტერიც ანგაჩინვასაწვევია) დაიკარგა:

ორ მტერთა შორის, თუნდაც იუნენ ხელმოკლე ბევრად,

უგუნურება იჯდე მშვიდად და დაუღვრად დასასრულ, ორიოდე სიტყვა ამ თარგმანის

ლიტერატურული ღირებულების შესახებ. თუმცა წესით, თარგმანზე მსჯელობა ამ საკითხით უნდა იწყებოდეს, მაგრამ აქ ერთგვარაა წინაპირობა გასათვალისწინებელია. ეს ძველი ა. ჭელიძემ თარგმნა დაახლოებით ოცო წლის წინად, როდესაც ჩვენი თარგმნის თეორიის ძირითადი საკითხები დასმულიც არ ყოფილა (ვადამტარი ხომ ბერი რამ არც ახლად), ზოლო თვით თარგმანის დონე საგრძნობლად ჩამორჩებოდა დღევანდელს.

პირველ რიგში თვალში გეცემათ მეტად სუსტი რითმები, მათი უზრაველსობა ზმნებით: „მერება — მოეშლება“ (გვ. 28), „დასტოვა — შიპოვა“ (იქვე), „ქებდა-აგაროვება“ (გვ. 30), „დამხმარე-მოყვარე“ (გვ. 44), „იპოვე — მთავა-

დოვე“ (გვ. 45) და ა. შ. არის ასეთი უხერხო რითმებიც: „ტახტი — გადასახადი“ (გვ. 35), „კოცა — მტეცი“ (გვ. 37), „გვლები-ფსრებნი“ (გვ. 107), „ნებაზე-ტანზე“ (გვ. 113) და ა. შ. **წიგნის მიმოხილვა** წინადადების უხერხულად აგების გამო ზოგჯერ აზრი ბუნდოვანდება, ზოგჯერ კი ტექსთან საერთო აღარაფერი რჩება. მაგალითად:

თუკი მთასავით დეხს მიწაზე მაგრად დაბჯენ, ცათა ტატნობზე ბრწყინვალეობით თავს გამოიჩენ.

დაღუმიდი, ძმაო... (გვ. 122)

დენდითაც და აზრითაც უნდა იყოს: „თუ ნდაც მთასავით დეხი...“ და ა. შ. ანდა: ზნეშალას უნდა არ სტანჯაიდეს რამ გასაძირი...

ვით ნიაღვარი მთის წვერიდან დაქანებული ძირს დაეშვება გამეტებით ტანჯულ-გვეშული“ (გვ. 56).

ვინ დაეშვება? ტანჯულ-გვეშული ნიაღვარი? პოეტის არაერთი კანონებს არ ემორჩილება შემდეგი ადგილები:

მეზავრსა და სტუმარს უნდა კარგი პატვი ვეცეს,

მაგრამ ფრთხილად, რომ ბოლოს ის მტრად არ გადაგვქცეს (გვ. 11).

ერთხელ, როდესაც იმათ ყოფნას ფერა ეცელება,

ორივე ერთგვარად გადაიქცევა მარტოკა ძელებად. (გვ. 45)

ჩვენ საგანგებოდ შევიჩრდიო ნაკლვან მხარეებზე ასე ვრცლად არა იმტომ, თითქოს თარგმანში დადებითი არა იყოს რა. ჯერ ერთი, დადებითია თვით ფაქტი ამ ძველის გადმოქართულებისა. მეორეც, მთელი რიგი ადგილებისა შესანიშნავად ეღერს როგორც შინაარსის, ისე ელქის თვალსაზრისით. მოვიტანი მხოლოდ ერთ ნიმუშს.

ვარდით ვიყავ გაფურჩქნელი, ყვავილის მგვანი,

მქონდა ბროლივით ლაშაზე და ქათქათა ტანი. აჲ მე სუღარა თუ შემდერის, სხვა რა

ნეტავ!

თმა გამოთვთრდა, ბამბასავით გადამეშენტა.

ჩემი ხუჭუქი იყო წინათ ვით ლამე შავი, ტანს სამოსელიც როდი შეცვა მოუხეშავი

გამოქედელი მქონდა ყბები ბროლის ცბილებით,

როგორც კედელა, მოჭიქული ვერცხლის ფილებით“. (გვ. 19).

მაგრამ ისევე, როგორც სხვა ხალხთა ენებზე, არსებობს რამდენიმე თარგმანი, ქართულადაც ამ ძველის ახალი თარგმანი უნდა შეიქმნას. ის ამ მომავალ მუშაობას უდაოდ დიდ დახმარებას გაუწევს ა. ჭელიძის ნაშრომი და მასზე დაყვირებით მიღებული გამოიყენება.

ალ. მახარია

ქართული ქალები დიდ სამამულო ომში

ცნობილია, რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეას საქართველოში ზანგარლივი ისტორია აქვს. საქმიან გავიხსენოთ უცუდავი შოთას სიტყვები: „ღვევი ღმისა სწორია, — ძე იყოს თუნდა ხედილი“.

ქართველ ხალხს დღევანდამდე შემორჩენილი სახელეო გმირი ქართველი ქალებისა, რომლებიც მშვენიერად უბრძოდნენ მტერს. მაგრამ ეს იყო მაინც ერთეული შემთხვევები, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ აქაირა ქალს მონაბის ბიპრალი და საზოგადოებრივ-სახელმწიფობრივი ცხოვრების ფართო სარბილზე გაზიარება. ჩვენი დროში ქალთა გმირობამ და თავდადება მამული სახალხო, მასობრივი ხასიათი მიიღო. საბჭოთა ქალების გმირობა და პატრიოტული სულისკვეთება განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის ვეფლზე მძიმე განსაცდელის დღეებში — დიდი სამამულო ომის პერიოდში.

დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისათვის რუს და სხვა მოძვე ხალხთა ქალებთან ერთად თავიანთი წვლილი გაიღეს ქართველმა ქალებმა. სწორედ ამ თემაზეა დაწერილი ქსენია ანთიძის წიგნი „ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში“.

პირველ თავში, რომელიც არსებითად წიგნის შესავალს წარმოადგენს, ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქალის უფლებები მდგომარეობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდე და ეხება ქალის სულიერი ვარდების პროცესს დიდი სამამულო ომის წინა პერიოდში.

წიგნის ძირითად ნაწილში, — მეორე და მესამე თავებში — მოთხრობილია საბჭოთა საქართველოს ქალთა შრომითი საქმიანობა დიდი სამამულო ომის პერიოდში.

წიგნში ცალ-ცალკეა აღწერილი მეშა, კოლმეურნე და ინტელიგენტ ქალთა შრომა სამამულო ომის წლებში. ეს საკითხები საქმიან დაწერილებითაა გაშუქებული და ილუსტრირებულია დიდძალი ფაქტობრივი მასალით. ამისათვის ავტორს გამოუყენებია როგორც პერიოდული პრესა, ისე საარქივო მასალები. საინტერესოა, მაგალითად წიგნში მოყვანილი ასეთი მონაცემები: „მრეწველობის დარგში მომუშავე მეშა-მოსამსახურეთა შორის ქალთა რიცხვი გაიზარდა 41 პროცენტადან 1940 წელს, 53 პროცენტამდე 1942 წელს. რკინიგზის ტრანსპორტზე ამავე წლებში ქალთა რიცხვი გაიზარდა 25 პროცენტადან 36 პროცენტამდე. ომის დროს მარტო მრეწველობაში 250 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი ქალი მუშაობდა“ (გვ. 56). „ომის დაწყებისთანავე 1944 წლის აპრილამდე მარტო ქ. ქუთაისში საწარმოებსა და დაწესებულებებში 10286

ახალი მეშა და მოსამსახურე მიიყვანა, რომელთა შორის 6669 ქალი იყო. 1944 წლის აპრილისათვის ქალაქის საწარმოებში ნორმირებულ სამუშაოზე 3000 ქალი მუშაობდა“ (გვ. 65 — 66).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი შედარებით მართლად ამტკიცებს რკინიგზული ქალების მონაწილეობას დიდ სამამულო ომში.

ავტორი ეხება ქართველ ინტელიგენტ ქალთა შრომითს საქმიანობას დიდი სამამულო ომის წლებში, კერძოდ იხილავს ხელოვნების მუშაე და მწერალ ქალთა შემოქმედებასაც.

განსაკუთრებით საინტერესოა მესამე თავი — „საქართველოს სსრ ქალები საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ფრონტზე“. აქ ნაჩვენებია ქართველი ექიმი ქალების, მედიკოსის დების, სნაიპერების, მეცაწიერების გმირული საბრძოლო საქმეები.

აი, ერთი მაგალითი: „დაიკავეს რა ჩრდილო კავკასიაში რკინიგზის ერთ-ერთი სადგური, ფაშისტებმა ჩამოაჩრჩვეს სადგურის უფროსი ვალაქტონ ნატროშვილი, რომელსაც ბრალად დასდეს ფაშისტთა საბრძოლო მასალებითა და დიამანებით დატვირთული მატარებლის დაღუპვა. უჭმარო და უსახლკაროდ დარჩენილმა ქართველმა პიამა ნატროშვილმა, რომელსაც ორი შვილი საბჭოთა არმიამი ჰყავდა, გადასწყვიტა შერიცხა და პარტიზანებს შეუერთდა. მამაცი საბჭოთა პარტიოტი ქალი მამაკაცებთან ერთად დიდოდა დაზვერვანზე, საუკეთესოდ მსარღებდა სარდლობის დავალებას. ერთობელ ამ სადგურზე მოიყვანა საბჭოთა მზურგებელი და მათ ზღვში ჩაუვლო სახლში მძინარე თორმეტი გერმანელი ჯარისკაცი, შემდეგ პიამა ნატროშვილმა შტაბს სთხოვა გაეზხანათ იგი იმ ნაწილში, სადაც იბრძოდა მისი შვილი სანდრო“.

ავტორი დაწერილებით ეხება გმირი ქართველი პარტიზანი ქალიშვილის ზოია რუხაძის საბრძოლო თავდადებებსაც, აგვიწერს ტრაგიკულ სურათს პიტლერელთა მიერ მისი მხეცური წამებისა. ცნობილია, რომ ზოია რუხაძის შესაგებ ამოღებულზე პრემია დასწერა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა.

საერთოდ, ქართველი ქალების ღვაწლს დიდი სამამულო ომის წლებში არა ერთი ლექსი, პოემა, მოთხრობა თუ ნარკვევი მიემდგნა და ავტორი გზადგავს იმელოებს ამ მხატვრულ მასალასაც, თუმცა შეიძლება ზოგი მთავანი უფრო ვრცლად ყოფილიყო გამოყენებული. აქვე უნდა ითქვას, რომ წიგნში ნაჩვენებია არაა, რამდენი ქართველი ქალი იქნა დაჯილდოებული სამამულო ომის ფრონტზე.

ამ ცალკეულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ქ. ანთიძის წიგნი საქმიან წარმოდგენას აძლევს მკითხველს, თუ როგორ იბრძოდნენ ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში.

ქსენია ანთიძე. ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში. სახელგამი. 1955 წ.

6060 აღნიავშილი

ლენინგრაფი დაცული ძველი ქართული ხელნაწერები

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ ახლანაჲ გამოსცა რ. თარხელის, უაღრესად საყურადღებო წიგნი, რომელიც შეიცავს ყოფილი სააზიო მუზეუმის ქართული ხელნაწერების აღწერილობას. ესაა ფართოდ მოფიქრებული და დამუშავებული გამოცემის პირველი ნაკვეთი, სადაც ვეცნობით ძველ პეტერბურგში დიდი წინამძღვრობაში დაგროვილი ქართული ხელნაწერების მდიდარ კოლექციას ისტორიის, გეოგრაფიის, მოგზაურობის, არქეოლოგიის, ფილოსოფიის, ენათმეცნიერების და ბიბლიოგრაფიის დარგებში.

პეტერბურგის ე. წ. „სააზიო მუზეუმი“ დაარსდა 1818 წელს. აქ თავს აყრიდა უმთავრესად აღმოსავლეთის ქვეყნების სხვადასხვა ენაზე შესრულებული მეტად საყურადღებო წერილობითი დოკუმენტები, რომლებსაც ეწოდებოდნენ რუსეთისა თუ საზღვარგარეთის ორიენტალისტები და ექვდან კრფდნენ საინტერესო მასალას ამა თუ იმ სამეცნიერო საკითხის გასაშუქებლად. „სააზიო მუზეუმი“ ამჟამად შედის „საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის“ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სისტემაში.

ამ „სააზიო მუზეუმში“ პირველი ქართული ხელნაწერი წიგნი შევიდა 1818 წელსვე, როცა მუზეუმში დაარსდა. ეს იყო მე-18 საუკუნის ხელნაწერი — ე. წ. ახალი ქართლის ცხოვრება. იგი ადრე ინახებოდა რუსეთის საიმპერატორო მუცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

დღეს ამ ქართულ კოლექციაში დაცულია 506 ხელნაწერი (ტომები თუ ცალკეული ფურცლები) და 429 დოკუმენტი (მათგან 65 ორიგინალი და დანარჩენი — კაპიო).

ქართული ხელნაწერების ლენინგრადის კოლექცია შეიცავს ცოდნის მრავალ დარგს. ეს დარგებია: ისტორია, გეოგრაფია, მოგზაურობანი, არქეოლოგია, სიმაართალი, ფილოსოფია, ენათმეცნიერება, ბიბლიოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა, ლეთისმეტყველება, აგეოგრაფია, პოეზიატურა, ასტრონომია და ასტროლოგია, ქიმია, მედიცინა, ვეტერინარია, და სხვ. ცხადია, მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ამ მრავალფეროვან დარგებში წარმოდგენილ ხელნაწერებს, რომლებიც ხელშისაწვდომია სპეციალისტებისათვის.

სარეცენზიო წიგნი პირველი ვრცელი მეცნიერული აღწერილობაა, რომელშიც სრული ცნობები მოცემულია ამა თუ იმ ხელნაწერის თაობაზე. მითითებულია იმაზედაც, თუ რომელ სამეცნიერო გამოცემაშია გამოყენებული ხელნაწერი, არის თუ არა გამოცემული; აღწერილობითაა აღნუსხული ყოველი ხელნაწერის შინაარსი, მისი შედგენის ისტორია და სხვ. ამ გეგმით აღწერილობის გამოცემის დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს.

სააზიო მუზეუმის ქართული მასალების აღ-

წერა ადრეც უცდიათ. პირველი კატალოგი შეადგინა პროფესორმა დიდიმ ჩუბინინმა წელს 1841 წელს აკადემიკოს ბროსეს ხელმძღვანელობით და გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე. შემდეგ ქართული ხელნაწერების კოლექციამ თავისი გამოხატულება პირველ აკადემიკოს პ. დორნის წიგნში, რომელიც დამბეჭდა გერმანულ ენაზე. სააზიო მუზეუმის ქართული კოლექცია დაახასიათა აკადემიკოსმა ნიკო მარზია სპეციალურ ნაშრომში.

როგორია „სააზიო მუზეუმის“ ქართული ხელნაწერების კოლექციის ისტორია?

მართალია, ქართული ხელნაწერები და წიგნები ამ მუზეუმში კანტაქუნტად გროვდებოდა 1818 წლიდანვე, მაგრამ მუზეუმის გაშიღრება ქართული მასალებით იწყება 1837 წლიდან, როდესაც ქართველოლოგიურ მუშაობას რუსეთში სათავეში უდგება დიდი მეცნაერი აკადემიკოსი მარი ბროსე. ეს იყო მსოფლიო მასშტაბის მკვლევარი, რომელმაც შექმნა მეცნიერული ქართველოლოგიური და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და პეტერბურგის უნივერსიტეტში ფართოდ გაშალა მუშაობა ქართული ენის, ისტორიისა და არქეოლოგიის კვლევის დარგში. მისი წყალობით სააზიო მუზეუმს შეემატა მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის თეიმურაზ ბატონიშვილის, პლატონ ოსილიანის, პროფესორ დავით ჩუბინინშვილისა და სხვათა კოლექციები. მნიშვნელოვანი შენამენია მუზეუმისათვის ცნობილი ბიბლიოფილის პეტრე ჭეზაძის (გარყ. 50-იან წლებში) მდიდარი კოლექცია და სხვა.

ყოფილ „სააზიო მუზეუმში“ დაცულმა უაღრესად საყურადღებო ქართულმა მასალებმა დიდი სამსახური გაუწიეს რუსული კავკასიოლოგიის განვითარებას მეცნიერებულ საუკუნეში. ეს მასალები წარმოადგენდნენ ძირითად წყაროს საქართველოს შესაწავლად. დღესდღეობითაც აქ დაცული ბევრი ხელნაწერი მეცნიერებაში ან სულ უცნობია ანდა ნაკლებად შესწავლილი. ასეთია, მაგალითად, ქართული თარგმანი სპარსული იურიდიული ტრაქტატისა (1691 წლის ავტორგრაფი). თეიმურაზ ბატონიშვილის მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგში (1810—1811 წ. ავტორგრაფი) და სხვა. თანამედროვე ქართველოლოგიურ ნაშრომებში ყოფ. „სააზიო მუზეუმის“ კოლექციები საპატიო ადგილს იჭერენ.

გავეცნობ ზოგადად ლენინგრადის ამ ქართულ კოლექციებს.

სასტრობო თხზულებათაგან ჩვენს ყურადღებას იპყრობენ „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტები. მაგალითად, ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ძეგლის ის ნუსხა, რომელსაც ეწოდება „თეიმურაზისეული“. ხელნაწერზე მინაწერების მიხედვით იტყვევა, რომ იგი თავ-

დაბრველად ეკუთვნოდა ვახტანგ მეექვსეს, შემდეგ იგი ვახტანგს უბოძებია იმერეთის მეფე ალექსანდრე მეტეხისათვის. 1812 წ. ხელნაწერი შეუძენია პოლკოვნიკ გრ. წყნეთელს; ბოლოს იგი თეიმურაზ ბატონიშვილის კუთვნილება გაიზარდა. აქვეა დაცული მცირე ქართლის ცხოვრების რამდენიმე ნუსხა. „სააზიო მუზეუმის“ კოლექციებს ამშვენებს აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის ხელნაწერები, ფარსადან გიორგიჯანიძის საქართველოს ისტორია და მრავალი სწვა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ცნობილი მეცნიერის თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიო თხზულებანი, რომლებიც ძვირფასი წყაროა ჩვენი ქვეყნის წარსულის შესასწავლად. ამ ნაშრომების საფუძველზე პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ თეიმურაზს სამატიო წევრად აირჩია. აკადემიკოსი ბროსე მას თავის მასწავლებლად მიიჩნევდა როგორც აღწერილობიდან ჩანს, ძალიან საინტერესოა პლატონ იოსელიანის გამოცემა „ძველი საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული აღწერილობა“ (რუსულ ენაზე), რომელიც დაფუძნებულია ფართო მასალაზე. ავტორის გამოყოფენობა ქართული, სომხური, არაბული და სპარსული წყაროები, ანტიკური ავტორების ცნობები და სხვა.

კოლექციებში ინახება ფილოსოფიური ხასიათის თხზულებები — როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ძეგლები.

შეიღობადა წარმოდგენილი საენათმეცნიერო ხასიათის ხელნაწერები. აქაა სულხან-საბა ორ-

ბელიანის ქართული ლექსიკონის ნუსხები. თანე ბაგრატიონის „ლექსიკონი რუსულისა და ქართლისა ენისა“ (რუსულ-ქართულ ლექსიკონი), რომელიც შეიცავს 2222 სიტყვას. აღნიშნულია მე-19 საუკუნის დასაწყისის რუსული და ქართული სასაბურო მეტყველების მასალა; ჩართულია სამეცნიერო ტერმინოლოგია (მათემატიკური, ზოოლოგიური, ისტოლოგიური და სხვ.). ეს ლექსიკონი ერთ-ერთი ადრეული ცდამა ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენისა. გრამატიკული ლიტერატურიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ანატოლ პირველის გრამატიკის ხელნაწერები, სოლომონ დოდაშვილის „შემოკლებული ქართული ლრამატიკა“, თანე ბაგრატიონის „ლრამატიკა“ და სხვ.

წიგნი შეიღობადა გამოცემული. მას აშშ ენებს ხელნაწერების ფრაგმენტები, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი საქართველოს რუკა, სვეტიცხოვლის ფრესკების კაპიოები, ოთხთავების ილუსტრაციები... ერთის ცალკეულ ქრონოლოგიურა, გეოგრაფიული და კოლექციების საძიებლები.

საკუთრო მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული „ქართული ხელნაწერების აღწერილობის“ პირველი ნაგვეთი მთელი სისრულით ასახავს გარკვეული დარგების ხელნაწერთა განას, რომელიც დაკლებია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიის ამ უძველეს საკვლევამებო ცენტრში.

შ. ოთა ძიძიშვილი

ორი საინტერესო ნაშრომი

1. საქართველოს სსრ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა საკუთრო გეოგრაფიის ინსტიტუტთან ერთად მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემა საინტერესო შრომა საქართველოს შესახებ. დღემდე რუსულ ენაზე გამოცემული გეოგრაფიული ლიტერატურა სრულ წარმოდგენას არ გვაძლევს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განლაგების და ზრდა-განვითარების შესახებ. მით უფრო მისასაღებებელია ისეთი სექტანაანი, უხეად და სურათებელი და კარტირებული წიგნის გამოცემა, რომელშიც ვრცლად არის წარმოდგენილი საქართველოს სს რესპუბლიკის შედარებით სრული ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

Грузинская ССР. Экономико-географическая характеристика. М. 1956. под редакцией А. Н. Джавахишвили и С. Н. Раизцева.

საორეცნო შრომაში ზუთი მთავარი თავი. პირველ თავში მოკლედა განხილული რესპუბლიკის ბუნებრივი პირობები და რესურსები ამავე თავის ერთ-ერთი ქვეთავი მოცემულია სახელწოდებით „ბუნებრივი რესურსების სამეურნეო მნიშვნელობა“, ხოლო რუკაზე მხოლოდ წიაღისეული სიმდიდრებია ნაჩვენებია და ეს უკანასკნელი საესებით სწორად არ ასახავს ტექსტის შინაარსს.

მეორე თავში გამოქებულია საქართველოს წარსული (მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), შესამეში კი მოსახლეობა.

შრომის დიდი ნაწილი უკავია სახალხო მეურნეობის დახასიათებას მთლიანად და ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონების მიხედვით. სახალხო მეურნეობის ზოგად მიმოხილვაში მკითხველი ეცნობა იმ უდიდეს ძვრებს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკაში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სამკოთა ხელისუფლების დამყარებამდე

1954 წლამდე. ამაზე ნათლად შეტყვევებს შემდეგი შთავაზი მონაცემები: 1921 წლიდან 1953 წლამდე კაპიტალდამანდებანი საქართველოს სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 25 მილიარდ მანეთზე მეტს, რომელთა დიდი ნაწილი მრეწველობაზე მოდიოდა. შრომაში ზანჯანულია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება და რაზედ დარგების საკავშირო მნიშვნელობა.

თავი „მრეწველობა“ მოკლედ გადმოგვცემს მრეწველობის განვითარების ზოგად დახასიათებას ხუთწლედების განმავლობაში მთავარი დარგების მიხედვით. სპეციალური რუკა მრეწველობის დარგების აღნიშნული ტექსტის საუცხოოვ დამატება და ვაგრძელებთ.

სოფლის მეურნეობის დახასიათება შეიცავს შიშის ფონდისა და იმ წამყვანი კულტურების დახასიათებას, რომლებიც ძირითადად ჰქმნიან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სახეს. სპეციალური რუკები ნათლად ასახავენ სასოფლო-მეურნეობის გამოყენებული ტერიტორიის, სარწყავი მიწების, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და აგრეთვე წამყვანი კულტურების — ზაის, ციტრუსების, ვენახის, ხეხილის ბაღების და მარცვლული კულტურების გეოგრაფიულ განლაგებას. შრომა შეიცავს აგრეთვე მოკლე ცნობებს ჩვენი რესპუბლიკის საკურორტო მეურნეობისა და ტრანსპორტის შესახებ.

სახალხო მეურნეობის დარგობრივი განხილვის შემდეგ ვრცელდ აჩის მოკლემული საქართველოს სსრ ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონების ბაღე და თითოეულ რაიონის გეოგრაფიული დახასიათება. ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონების სახით საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილია: 1. ცენტრალური (თბილისის), 2. აღმოსავლეთისა (ჯაბთის), 3. სამხრეთისა (ახალციხე-ახალქალაქისა), 4. აღმოსავლეთ მაღალმთიანი, 5. შავიზღვისპირა, 6. დასავლეთისა (ქუთაისის), 7. დასავლეთ მაღალმთიანი, 8. აფხაზეთის ასსრ, 9. აჭარის ასსრ, 10. სამხრეთ-ოსეთის ა. ო.

თითოეულ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონში განხილულია ბუნებრივი პირობების მთავარი ნიშანთაღიხებურებები, სახალხო მეურნეობის მთავარი დარგები და განლაგება, ძირითადი სამრეწველო ცენტრები და მათი ადგილი რესპუბლიკის ეკონომიკაში.

შენიშვნის სახით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი ძალზე მკრთალად და მშრალად არის დახასიათებული ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ბუნებრივი პირობები. განსაკუთრებით კლიმატი და წყლები (გვ. 12 — 22). საერთოდ, ბუნებრივი პირობების დახასიათება ისეა დაწერილი, თითქმის ფიზიკურ-გეოგრაფიული ნაწილი არ იყოს ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათების ორგანული და შემადგენელი ნაწილი.

მართალია, თითოეულ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონის დახასიათებას წინ უძღვის ბუნებრივი პირობების განხილვა, მაგრამ მეტიად მოკლედ, სკემატურად, მაგალითად, აღმოსავლეთ (ჯაბთის), შავიზღვისპირა, დასავლეთ (ქუთაისის) და დასავლეთ მაღალმთიანი რაიონების დახასიათებას აქვია „გეოგრაფიულმა“, პირველ რიგში, ეს შეეხება ბუნებრივი პირობების აღწერასა და დახასიათებას და მათ დაკავშირებას სახალხო მეურნეობასთან.

სადღეოდ მიგვანია საქართველოს ეკონომიურ-გეოგრაფიული დარაიონების ბაღე, პირველ ყოვლისა, ის გარემოება, რომ დაზღვეულია ადმინისტრაციული რაიონების საზღვრები. მაგალითად, დეშეთისა, თიანეთისა და ახმეტის რაიონების ჩრდილო ნაწილი აღმოსავლეთ მაღალმთიან კავკასიონს მიაკუთვნეს, ხოლო სამხრეთ ნაწილი — ცენტრალურსა (თბილისის) და აღმოსავლეთ (ჯაბთის) ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებს. ცხადია, ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიის ამ თავისებური მცირე მასშტაბის ეკონომიური „კერის“ დაქუცმაცება და სხვადასხვა ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონში მითავსება გამართლებული არ არის.

წიგნი კარგად არის ვაფორმებული. თავისი შინაარსით, მასალების, რუკების, კარტოქემებზე და ფოტოსურათების სიუხვით სარეცენზიო შრომა საკუთესო შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი საბჭოთა მკითხველს ვრცელად გააცნობს საქართველოს მდიდარ და მრავალფეროვან ბუნებრივ პირობებს, მხარდ სახალხო მეურნეობას როგორც დაზგობრივი, ისე ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონების მიხედვით.

სარეცენზიო შრომა კარგი საზღვარი საბჭოთა მკითხველისათვის და, სასურველია, ის გადითარგნოს ქართულ ენაზე.

ა. ნაზრომი მახუზბინა და მისი თანამედროვეების შესახებ

შოღინარე წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოიცა ლეან მარაუშვილის საინტერესო ნაშრომი

Маруашвили Л. И. Вахушти Багратиони, его предшественники и современники. (географические труды и путешествия). Географиздат. М. 1956.

რომი ვახუშტი ბაგრატიონისა და მისი თანამედროვეების შესახებ. როგორც ცნობილია, ქართული გეოგრაფიული ლიტერატურა აჯრ კიდევ ღარიბია ცნობილი ქართველი გეოგრაფების ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერით. შედარებით უკეთ არის წარმოდგენილი ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედება, ხოლო დანარჩენი მოგ-

ზურგებისა და გეოგრაფიული შრომების შესახებ ჯერჯერობით თითოერთი გამოკვლევა მოგვეპოვება. ჩვენს დროში ცალკე საინტერესო სტატიები ან გამოკვლევები აქვთ გამოქვეყნებული ალ. ჯავახიშვილის, ს. ცხაქაიას, ი. შაქარაშვილის, ლ. მარტაშვილის, ი. მათურელის, დ. დონდუას, შ. მესხიას, გ. ვეტქიას (დამატება მის წიგნში „ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან“) და სხვ. დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულ სოლომონ იორდანიშვილს — სულხან-საბა ორბელიანის, თეიმურაზ ბატონიშვილისა და რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურბათა ტექსტების გამოკვლისა და ინტერპრეტაციის. დასასრულ, საყურადღებო მოვლენა ტიმოთე ვაბაშვილის „მიმოსვლის“ გამოცემა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ (ტექსტი გამოსაცემად მოაზრდა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მეცნიერ თანაშრომელმა ელ. შატერეველმა).

ჩამოთვლილ შრომებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორიის რიგი საკითხის გასარკვევად, მაგრამ უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში რუსულ ენაზე თითქმის არ დაბეჭდილა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართული გეოგრაფიის შესახებ. მხედველობაშია მხოლოდ მისაღები ალ. ჯავახიშვილის და ლ. მარტაშვილის სტატიები ვახუშტის შესახებ და ირ. მათურელის გამოკვლევა იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის რუსეთს შესახებ. ლ. მარტაშვილის ნაშრომის გამოცემა რუსულ ენაზე არა მარტო შეავსებს ამ ნაკლს, არამედ საბჭოთა მკითხველს გააცნობს გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის, მისი წინამორბედებისა და თანამედროვეების გეოგრაფიულ შრომებსა და მოგზაურობას.

სარეცენზიო შრომაში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განხილულია XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი გეოგრაფების შრომები და მოგზაურობა.

ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ავტორი იხილავს ვახუშტი ბაგრატიონის წინამორბედების — სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI მოღვაწეობის გეოგრაფიის დარგში. როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანი არის არა მარტო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, ქართული სიტყვის დიდოსტრუქტორის მოამავე, არამედ მოგზაური და თვალსაჩინო გეოგრაფ-კარტოგრაფიც. მისი ცნობილი „სიტყვის კონა“ შეიცავს გეოგრაფიის თითქმის ყველა დარგის ტერმინის ახსნას, მოცემულია აქვე შესავალი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი (250-დე) გეოგრაფიული კოორდინატების აღნიშვნით, რაც ორბელიანის საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ პარიზონტზე მივითითობს. ავტორს კარგად აქვს აღწერილი სულხან-საბას ვეროპოში მოგზაურობა და მისი შრომის მნიშვნელობა, აღნიშნული აქვს სულხან-საბას

მონაწილეობით შედგენილი კავკასიის რუკა, (რომელიც მან ლუდოვიკო XIV-ს წარუდგინა და შემდეგ კი გილომ დე-ლილმე ფრანგულენოვან გამოცემა პარიზში 1723 წ.) და ფრანგულ ენაზე მცენიერ-მეფის ვახტანგ VI-ის ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და, კერძოდ, გეოგრაფიის განვითარებაში. ამ თავის მიმართ მხოლოდ ერთი შენიშვნა გვაქვს. ავტორი რატომღაც გვერდს უვლის იმ ფაქტს (და ბიბლიოგრაფიაც არ იხსენიებს), რომ 1723 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემული რუკის შესახებ ქართულ ლიტერატურაში პირველად დაიბეჭდა ექვანალ „დროშაში“ (1,1950), ხოლო უფრო ვრცელად საკემპრო გეოგრაფიული საზოგადოების შრომაში. ავტორმა იცოდა ამ სტატიების არსებობა (და მნიშვნელობა თავისი შრომისათვის), მაგრამ არადა არ იხსენიებს, თუმცა წიგნის ბოლოში დაართო ბიბლიოგრაფიული შეტანილი აქვს მეორეხარისხოვანი შრომები.

ნაშრომის დიდი ნაწილი (90 გვერდი 131-დან) დათმობილი აქვს საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელს ვახუშტი ბაგრატიონს. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ ვახუშტის ფსიქოლოგიურ ღვაწლს ქართული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში.

ავტორის მიერ ვახუშტი აღწერილია შემდეგი თანამიმდევრობით: ვახუშტის წარმოდგენა საქართველოს ბუნებრივი პირობების შესახებ, ცნობები მოსახლეობისა და მეურნეობის გეოგრაფიიდან, საქართველოს გეოგრაფიული ატლასები, ვახუშტის შრომების წყაროები, ვახუშტის შრომების მნიშვნელობა. ტექსტს თან ერთვის ავტორის მიერ შედგენილი ვახუშტისადმი სპეციალურად მიძღვნილი სამი რუკა, ხოლო დამატების სახით თვით ვახუშტისეული ქართლის რუკა მეორე ატლასიდან (რუსულ ენაზე). მოცემული მასალები შედარებით სრულ წარმოდგენას იძლევა გამოჩენილი გეოგრაფისა და კარტოგრაფის შოგრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

შემდეგ ავტორს ძალზე მოყვლად აქვს განხილული ვახუშტის გეოგრაფიის მოღვაწეობა, რომელშიც პირველმა თარგმნა ქართულ ენაზე მსოფლიო გეოგრაფია, ახლო აღმოსავლეთში ტიმოთე ვაბაშვილის მოგზაურობა, იონა გედევანიშვილის მიერ ჩატარებული მოგზაურობა ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში და დასასრულ რაფიელ დანიბეგაშვილის დიდი მოგზაურობა ინდოეთსა და ცენტრალურ აზიაში. (ტექსტს თან ერთვის ი. გედევანიშვილისა და რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობათა მარშრუტის რუკა).

რამდენიმე შენიშვნა იონა გედევანიშვილის შესახებ. ტექსტს თან ერთვის სათანადო მოგზაურობის რუკაც, მაგრამ იონას მოგზაურობის მარშრუტი ტექსტში არ შეესაბამება რუკაზე დატანილ მარშრუტს, ხოლო თვით ტექსტში მოცემული მარშრუტები მოგზაურობისა არეულია და არ შეედრება სინამდვილეს.

ავტორს დასახელებული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სიაში ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენაზე არსებული შრომები, ხელნაწერები და რუკები სულ 82 სახელწოდება, მაგრამ ავტორმა ჩატომლიც გვერდი აუღია და ბიბლიოგრაფიაში არ შეიტანა ისეთი შრომები როგორებიცაა: ი. ჯიბლაძე — ვახუშტის შორეულგრაფიულ ცნებათა საკითხისათვის; ნ. კეცხოველი — საქართველოს მეცნიერული საფარი ვახუშტის მიხედვით; დ. დონდუა — ვახუშტის მათიანე და მისი სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობა; ნ. ნიქარაძე — საქართველოს მოსახლეობა ვახუშტის შრომის მიხედვით; ვ. ვეტქმანი — XVIII საუკუნის გამოჩენილი რუსი და ქართველი გეოგრაფები; მ. ვ. ლომონოსოვი, ვ. ნ. ტატიშჩევი, ვახუშტი ბაგრატიონი და სულხან-საბა ორბელიანი, აღნიშნული მეცნიერული

სტატიები მოთავსებულია ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში „ვახუშტი როგორც გეოგრაფი“ (ტ. 1, ტფი, 1937); თუმცა ამ კრებულის სხვა ნაშრომებს ვეტქმანის ცნებებს ბიბლიოგრაფიაში (ალ. ჯავახიშვილი, მ. კორძია და ვ. ჯიბლაძე, ა. ჯანაშვილი და ს. ცხაყაია). ეფიქრობთ, რომ ავტორს ვახუშტის შესახებ გამოქვეყნებული შრომების სისრულისათვის მაინც უნდა დაესახელებინა ჩამოთვლილი სტატიები, რადგან, როგორც თვით ტექსტიდან ჩანს, მას სტატიებიც აქვს გამოყენებული.

აღნიშნული შენიშვნები არ ამცირებენ შრომის ღირსებას და მისი გამოცემა რუსულ ენაზე მნიშვნელოვანი განძია ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორიისათვის.

გ. ზარდალიშვილი

ბიოგრაფიკული



გულგარეობა თუ უმეტება?

შევიძლიათ თუ არა თქვენ წარმოიდგინოთ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ავტორი, რომელიც დაწერდა და რედაქტორი, რომელიც დაბეჭდავდა, ვთქვათ, ასეთ რამეს: „საბჭოთა მხატვრული კულტურის ზოგიერთი მოღვაწე, რომლებიც ბერძენული ნაიკონა-ლიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ნერვებს ქველ პოეტურ ფორმებს — იამბებს და ქორეოს და აცლის მათ თანამედროვე, სოციალისტურ შინაარსს“. თქვენ არათუ არ დაიჯერებდით, რომ მსგავსი რამ შეიძლება დაწერაოლიყო 1956 წელს, არამედ არცთუ ისე უსაფუძვლოდ გამოსთქვამდით ეჭვს. თუ რამდენად სამართლიანი იქნებოდა მიგვეწერა ეს ფრაზა თუნდაც ოციანი წლების დასასრულისა და ოცდაათიანი წლების დასაწყისის გულგარეული სოციოლოგისათვის. ყველაზე უფრო საეარადოა, — იტყვოდით თქვენ, — რომ ეს 1917-19 წლებში მებრძოლი ფურტურისტის მიერ წამოსროლილი პოლემიკური ფრაზაა. თან დასაქნდით, რომ იმ პირველდაწყებით ხანაშიც კი იამბებისა და ქორეების მოსპობისაგან მოწოდებას უნდაეღეს შემთხვევაში პირობითი, ასე ვთქვათ, შეტყობილ და არა პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდა.

მაგრამ ზუსტად ეს თუ არა, უცვლელ შემთხვევაში, საეგებით ანალოგიური ფრაზა ითქვა, დაიწერა და დაისტამბა სწორედ 1956 წელს ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის პ. ს. ტროფიმოვის წერილში სათაურით „საბჭოთა ხელოვნების იდეური ერთიანობა და ნაიკონაზური სპეციფიკა“, რომელიც შეეფადა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კრებულში — „მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საკითხები“.

აი ეს ფრაზაც: „Некоторые деятели советской художественной культуры, находящиеся под влиянием буржуазных националистов, например в Грузии, вслещи культивируют старые поэтические формы, «шайри», изолируя их от современного, социалистического содержания“ (იხ. ხსენებული კრებული, 329 გვ.). თანაც ამ „მაგალითის“ წამბეჭობელი აქვს შემდეგი მრისხანე სიტყვები, რომელთა საილუსტრაციოდაც არის იგი მოყვანილი: „Буржуазному национализму важ-

но увести советских поэтов и художников национальных республик в далекое прошлое, возвеличить все старое, отжившее, косное и тем самым внушить деятелям советской художественной культуры мысль о том, что старое лучше нового, созданного при советском строе“ (იქვე).

ზრალდება მეტად სერიოზულია, მაგრამ საფუძელიანად იგი მოეჭვენება მხოლოდ მას, ვინც არ იცის, რომ „შაირი“ არც საწამლაგია, არც დინამიტი და არც ნიტროგლიცერინი. არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართული ლექსთაწეობის ყველაზე გაერცელებული ფორმა — თექვსმეტ ან რამარცელოვანი საზომი (მბაალი შაირი ზუსტად ემთხვევა რუსულ და გერმანულ ქორესს), რომელსაც მიმართავდნენ (მის სხვადასხვა ვარიაციასი) არა მარტო რუსთაველი და გურამიშვილი (მე-12 და მე-18 საუკუნის პოეტები), არა მარტო ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა (მე-19 საუკუნის პოეტები), არამედ ყველა * საბჭოთა ქართველი პოეტი უკლებლივ. ზუსტად ისევე, როგორც რამარცელიანი ქორეთი ან იამბით სარგებლობენ არა მარტო დერგავინი და ბატიუშკოვი (მე-18 საუკუნის პოეტები), არა მარტო პუშკინი, ლერმონტოვი და ნეკრასოვი (მე-19 ს. პოეტები), არა მარტო ბლოკი და ბრიუსოვი (მე-20 ს. დასაწყისის პოეტები), არამედ ყველა რუსი საბჭოთა პოეტი უკლებლივ — მთაკოვსკი დაწეებული, ვიდრე ვეტუშენკოვმა!

რა ვუბანსოთ პ. ს. ტროფიმოვს? მოეფყანოთ მას მისი კოლეგისა და აღნიშნული კრებულის ერთერთი ავტორის ვ. კ. სკატერნიკოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ „упрошенчество и вульгаризация марксизма проявляются в стремлении найти «классовый эквивалент» буквально всех сторон содержания и формы искусства“ და რომ «когда Фриче «объявлял» преобладание в портретах королевской семьи работы Веласкеса желтого тона тем, что это соответствует закатному состоянию испанского абсолютизма — все это представляло собой образец вульгаризации марксизма? (გვ. 51). თუ შეეახნოთ მას თავისივე სიტყვები ამავე კრებულში გამოქვეყნებულ ლეონოვს უწერილიდან. სადაც იგი სასტიკად კიცხავს გულგარეობატორებს, რომლებიც „в сущ-

შთის რაწვრივთ პონატი სტილა ინ პონატი
 მროვარენია ხუდოჟნიკა? (გვ. 279) თუ
 შიუთითოთ მას, რომ ამა თუ იმ მხატვრის გა-
 მომხმანველ საშუალებათა კლასობრივი განსაზღვ-
 რულობის საკითხი თუ კიდევ შეიძლება საკამათო
 გახდეს, — პოეტურ საზოგადოებას, პოეტურ მენტაა
 „ნიტრალობა“ მაინც ყველა შემთხვევაში საყვარ-
 ლით უდავოა? და რომ მაშინაც კი, როდესაც ესა
 თუ ის მხატვრული ხერხი დანაშაუ-
 ლებრთვად „იზოლირებულია“ რომელიმე დაწვეუ-
 ლილი პერევაზიული ნაციონალისტის მიერ „თი-
 ნამშედროვე, სოციალისტური შინაარსისაგან“, —
 იაშის, ქორეის, ანაქსტის, ამფიბრაბს და იმავე
 „შარის“ არაკითარი პასუხისმგებლობა არ აკის-
 რიათ და არც იზიარებენ პოეტის დანაშაულს?

მაგრამ დაეუშვათ ერთი წუთით, რომ ქართველი
 პოეტები, რომლებიც მიმართავენ „შარის“ (თუქსე-
 შტ ან რვაამარცვლოვან მენტას) მართლაც უწევებენ
 შეცდომას და, რომ მათი პოეზია ამის გამო მარ-
 თლაც არქიზებულია. დაეუშვათ, რომ ეს ასეა.
 მაგრამ მაშინ სწორედ ამის კონტრატაქტია
 უნდა მოვხდინა პ. ს. ტროფიმოვს. და ვინ მისცა
 მას უფლება, პოეტების ამ საგვარაუდო შე-
 მოქმედებითი, პოეტური, მხატვრული
 შეცდომის საფუძველზე დაესკვნა, რომ აქ
 აღვიღო აქვს არა მარტო და არა იმდენად პოე-
 ტურ შეცდომას, არამედ შეცდებულ სურ-
 ვილს (მომიტევოს მეთიხველმა, რომ ვამეორებ
 პ. ს. ტროფიმოვის უკვე ციტირებულ სიტყვებს) —
 „უფთის სოვეტსკის პოეტის და ხუდოჟნიკოვ
 ნაციონალის რესპუბლიკის და დილეკოე პროშ-
 ლოე, ვოვლიჩიტი ვსე სტაროე, ოჯივშიე, კოსიოე
 და თემ სამამ ვნუშიტი დეატილამ სოვეტსკოი
 ხუდოჟნიკოვნი კულტური მუსლყ თა მუსლყ
 ოთ, ჩო სტაროე ლუჩშიე ნოვოე, სოვანიოე
 გო პრი სოვეტსკოე სტროე“?

იქნებ გვიხიზრან, რომ კერძო პოეტური შეცდო-
 მის მიღმა შეიძლება იმალეზობდეს მთელი მანკი-
 ური მსოფლმხედველობა. მაგრამ ხომ შეიძლება,
 რომ აკრიზებულ უნდა იქნეს? ჭეშანძრობებში
 კი — უმარტოეს შემთხვევაში — ხომ არც იმალე-
 ზა? მაშ თუ ასეა, განა ვალდებული არ იყო ბრალ-
 მდებელი... ზოღიში შომიხილა, კრიტიკოსი რითიმე
 მაინც დამოუწმებინა, დამტკიცებინა, დაესაბუთე-
 მინა თაგისი შიშიე ბრალდებამ? ან თუნდაც ელი-
 ლოყო დაესაბუთებინა? თუ იგი, ზოგერთი „მეკ-
 ნონის“ კვალდაკვალ, თვლის, რომ ბრალდების
 დასამტკიცებლად საკმარისია „მაქსიმალნაია
 სტეპენი ვეროთნოსი უბედენია“ ბრალდებუ-
 ლის დანაშაულში? (იხ. ჟურნალი „Коммунист“
 № 14, 1956 წ. გვ. 50). მაგრამ ეს მანკური ან-
 ტიმარქისტული კონცეფცია ხომ ზოლომდე ამ-
 ხილა დღეს პარტიამ!

როგორც ეტყობა, ძალზე ჩამორჩა ცხოვრე-
 ბას ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი
 პ. ს. ტროფიმოვი, ის ამკარად აზროვნებს იმ სქე-
 მებითა და კატეგორიებით, რომლებიც უკვე არ-
 ქივს ჩაბარდა. ამას მხოლოდ „შარის“ მავალითი

არ მოწმობს. ამით შეიძლება აიხსნას, სახელდობრ,
 რომ პ. ს. ტროფიმოვი კალმის ერთი მოხმით აკა-
 მტვერებს ნიჟური ქართველი მხატვრის ლალო
 გუდიაშვილის შემოქმედებას (რომლის არც ერთი
 სურათი მას, როგორც ჩანს, არ უნახავს) და არც
 კი ცდილობს გაერკვეს მისი შემოქმედებითი გზის
 სირთულეში და გამოარკვიოს, თუ რა შემთხვევაში
 არ ეწინააღმდეგება ლ. გუდიაშვილის ფერწერ-
 ლური მანერა (რომელმაც დიდი ევოლუცია განი-
 ცადა წელთა მანძილზე) თაგისი ნაწარმოებების
 თემასა და შინაარსს და არა განეყენებულ „თინ-
 მედროვე შინაარსს“ საერთოდ (გვ. 330). მხო-
 ლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ
 იგი საჭიროდ თვლის გაიმეოროს ე. სოსიურას
 ლექსის — „ციყვარდეს უკრაინა“ მცდარი შესაბ-
 ანა და გააკრიტიკოს უკრაინელი პოეტის ეს ლექსი
 იმავე „შარისაზე“ კონტექსტში, რომელშიაც ნან
 „შარისის დამწერავი“ პოეტები გაიცხა-

პ. ს. ტროფიმოვი წერს: „Украинский поэт
 Сосюра, как известно, в ряде стихотворе-
 ний и особенно в стихотворении «Люби
 Украину» дал образ не современной Украин-
 ской советской республики с ее могучей
 социалистической промышленностью, Дне-
 прогэсом, колхозным строем, механизиро-
 ванными шахтами, а некую извечную
 Украину с ее кудрявыми вербами, днепров-
 скими волнами, соловьями и т. д. Идеали-
 зация старины привела Сосюру к тому, что
 он создал ложный образ современной Со-
 ветской Украины“ (გვ. 329).

თი რას წერს ამავე ლექსის შესახებ ცნობილი
 საბჭოთა კრიტიკოსების ჯგუფი ჟურნალ „Ком-
 мунист“-ის 1956 წლის № 12-ში მოთავსებულ
 წერილში — „საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის
 ღრმად დამუშავებისათვის“. „Подмену объек-
 тивного научного анализа явлений лите-
 ратуры крикливым «разносом» мы встречаем
 и в «Очерке истории украинской совет-
 ской литературы». Например, о стихотво-
 рении В. Сосюры «Люби Украину», напи-
 санным в 1944 году, говорится, что „это
 была националистическая пропаганда, под
 которой с готовностью подписались бы
 злейшие враги украинского народа“, но
 сколько-либо убедительных доказательств
 по этому поводу не приводится, да и едва
 ли они могут быть приведены. Дело в том,
 что получившая распространение резкая
 оценка стихотворения «Люби Украину» не
 оправдана. Это — произведение, где лири-
 ческое восприятие Родины дано через по-
 этизацию ее природы, и предъявлять к не-
 му какие-либо требования без учета его
 художественных особенностей неправи-
 рно“.

შევენიერი სიტყვებია, და ისინი საესებით სა-
 მართლიანად შეიძლება გავიმეოროთ პ. ს. ტრო-

ფიზიკის მისამართითაც. მაგრამ იქნებ ეს უკანას-
კნელი გვეტყვის, რომ წიგნი, რომელშიაც მისი
წერილია მოთავსებული, ხელმოწერილ იქნა დასა-
ბეჭდად აგვისტოს შუა რიცხვებში და მას შეიძ-
ლება ვერ მოესწრო „Коммунист“-ის აგვისტოს
ნომერში მოთავსებული წერილის წაკითხვა? მაგ-
რამ განა დასაშვებია საკითხის ასე დაყენება?
მეოცე ყრილობაზე ჩვენი პარტიის მიერ წამოყ-
ნებული იდეოლოგიური ბრძოლის მთელი არსი
ხომ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ უნდა უკუვა-
დოთ მოვლენებისადმი და პრობლემებისადმი შე-
დაეითნური, დოგმატიკური მიდგომა, ვიარსოვ-
ნით დამოუკიდებლად, გადავხედოთ მოძველე-
ბულ, დრომოკმულ სტეპებსა და დოგმებს და, ამ-
გვარად, უზრუნველყოთ პოლიტიკური, მეცნიე-
რული და მხატვრული აზროვნების კუთხით
წინსვლა ყრილობის გადაწყვეტილებებში ხომ
პირდაპირი მოწოდებაა ამის შესახებ ფილოსოფი-

ური და ლიტერატურული ფრანტის მიწვევის
მიმართ!

... დიახაც აღიშართება ახალი, ინდუსტრიული
გიგანტები რუსეთში, უკრაინაში და საქართველო-
ში, დაიბადება ახალი დნეპროპეტროვიც, მაგრამ
მარადეამს დაამშვენებს ჩვენს მიწა-წყალს ქო-
ჩორა ტირიფები, ტანწერწეტა არეები და ახო-
ვანი ძელქეები, ყოველთვის გაახარებენ ჩვენს
თვალს დნეპრის, ვოლგისა და მტკვრის ქარაფები,
მუდამ დაატვობენ ჩვენს ყურთასმენას კიევის,
კურსკისა თუ კრწანისის ბუბულები, მუდამ მი-
მართავენ რუსი პოეტები იამსსა და ქორეის, ხო-
ლო ქართველები — შაირს, და მათთვის მხოლოდ
საამაყო იქნება ის ამბავი, რომ ამ, თვით ხალხის
მიერ შექმნილ, და ენის ბუნებიდან გამომდინარე
პოეტურ ფორმათა მრავალსაუქუნოვანი გზა ნა-
კურთხაა პუშკინისა და რუსთაველის მიერ!

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე, პ. რატიანი,
ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6, ტელეფონი 3-23-42.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XII-56 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. ტირაჟი 6.000.
უც 06752 ინაწყოების ზომა $7\frac{1}{4} \times 12\frac{1}{4}$, ჭაღალდის ზომა 70×108 . შეკვ. № 624.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლთაგრაფგამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ახალი წიგნები

სახელმწიფო გამომცემლობა



- ვ. ი. ლენინი — ახალგაზრდობის შესახებ. გვ. 372, ფასი 5 მან. 60 კაბ.
 საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები. (სტენოგრაფიული ანგარიში)
 გვ. 236, ფასი 4 მან. 80 კაბ.
 ზ. ნარიშკინი — შრომის საქმის განხილვა. რედ. ე. ვაჟაიძე, გვ. 120, ფასი 1 მან. 25 კაბ.
 აკაკი ბუღიაშვილი — უღელტეხილი. რედ. ს. ჭილაია, გვ. 346, ფასი 8 მან.
 ელიზბარ ზედგინძე — რჩეული. მოთხრობები. რედ. შ. შირცხულავა. გვ. 512, ფასი 10 მან.
 მიკოლა ბაიანი — რჩეული. რედ. ხ. ბერუღია, გვ. 140, ფასი 5 მან.
 ვარლამ შურული — ღარიკა. რედ. ბ. შირცხულავა, გვ. 210, ფასი 5 მან.
 ვილის ლაცაბი — ახალი ნაბირისაგენ. თარ. რ. ბერძენისა. რედ. ზ. ბუბია, თ. სულიაშვილი.
 გვ. 676, ფასი 14 მან.
 მიხეილ ქვლივიძე — ლირიკა. რედ. შ. სულაბერიძე, გვ. 158, ფასი 4 მან. 50 კაბ.
 ზურაბ ჭეჭვორიძე — ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები. რედ. ქ. ქილაჩ-
 ჯიანი. გვ. 182, ფასი 6 მან.
 მიხეილ დავითაშვილი — თქროს მარტყელების ბარაქა. რედ. ი. ლომოური, გვ. 92, ფასი 1 მან.
 ნ. ანდრეევა — საკვებწარმოება ბლტანის საფუძვლებით. თარ. შ. მესხისა. რედ. ა. მუყაშვილი.
 გვ. 534, ფასი 10 მან. 85 კაბ.

საბლიტბაში

- მირზა გულჯანი — შიგნაბაღა. რედ. ვ. ბუწუკელი. გვ. 132, ფასი 2 მან. 70 კაბ.
 ნ. ოსტროვსკი — როგორ იწრთობოდა ფოლადი. თარ. რ. ქორჭიასი. რედ. ა. ვახტანგია.
 გვ. 384, ფასი 10 მან. 70 კაბ.
 გრიგოლ იმედაძე — მოღაბარავე ფოთლები. რედ. ა. შენგელია. გვ. 150, ფასი 3 მან. 60 კაბ.
 ნ. ნოსოვი — არიკისა და მისი მეგობრების თავდასახველი. თარ. ალ. ვახტანგია და ს. ხუნ-
 დამისა. რედ. ქ. ქუჩუაშვილი. გვ. 174, ფასი 6 მან. 30 კაბ.
 ა. სკანინსკი — კითხვათა კონა. თარგ. ლ. ვახტანგია. რედ. ელ. გოგოლაშვილი. გვ. 64, ფასი
 2 მან. 50 კაბ.
 ვ. იანი — ფინიკიური ზომალდი. თარ. თ. ჯგავიშვილისა. რედ. ელ. გოგოლაშვილი. გვ. 172, ფასი
 4 მან. 20. კაბ.
 ივანეს თუმანიანი — რჩეული ნაწერები. თარ. ი. გრიშაშვილისა. რედ. ქ. ქუჩუაშვილი. გვ. 138,
 ფასი 5 მან. 20 კაბ.
 ა. ტვარდოვსკი — ვასილ ტიორკინი. თარ. თ. ჭელიძისა. რედ. შ. იფხაიძე. გვ. 248, ფასი 7 მან.
 50 კაბ.
 მარია ტიუნევა — საბავშვო ტყინოვზა. თარგ. არნო ონელია. რედ. ნ. კალანდარიშვილი. გვ. 16,
 ფასი 1 მან. 50 კაბ.
 ბ. გულო-ლანა — რი გვიანში ჩაიდანა. თარ. ი. ივლიანისა. რედ. ნ. კალანდარიშვილი. გვ. 64, ფასი
 1 მან. 70 კაბ.

გახწორება

„მნათობის“ № 10-ში, ვალ. იმედაძის წერილში „სამკალაქო ომის გმირი ლეკიანე თახუ-
 კაშვილი“, გვ. 33, სტრ. 17 (ქვემოთ) გამოტოვებულია სიტყვა: უნდა იკითხებოდეს: „ნიკოლოზ
 ილიას-ძე პოდგორსკისა და დ. ზ. მანუილსკის მეშვეობით“; შემდეგ — როგორც ტექსტშია.
 გვ. 34 ბოლო აბზაცის წინ გამოტოვებულია წინადადება: — „ლეკიანე თახუკაშვილი დასაფ-
 ლავებულია თბილისში, კომუნარების სახელობის ბაღში, ამჟამად ბორის ძნელაძის ძეგლთან, თი-
 ილე ნაბაჯის მოწოდებით“.
 გვ. 165, სათაური „გუფხისტყაოსნის“ ორიგინალის დასაცავად“ უნდა იკითხებოდეს „რამ-
 ლენინზე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალის დასაცავად“.